პარმენ ლორია

ღელი მურაღი

რომანი

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი 1939

I

ცხენს ბილიკზე დაუცურდა ფეხი და მუხლებით ჩაიჩოქა ქვიშიან მიწაზე. მოზრდილი ქვა მოწყდა ადგილიდან, დაგორდა, გზადაგზა კენჭები აიყოლია და ხრიალით დაეშვა ხევში.

— ჰეი, ჰეი—ამოიძახა ვილაცამ ქვემოდან. მთელი ხევი გაეხმაურა ამ ხმას. რამდენჯერმე განმეორდა იგი და სადღაც მთებს გადაღმა მიწყდა.

მგზავრი ჩამოხტა ცხენიდან. წამოაყენა დამუხლებული პირუტყვი, გავაზე გადაუსვა ხელი და მოსართავები ოდნავ შეუშვა.

ცხენი ნამიან ბალახს დაწვდა. ერთი მუქა მოგლიჯა, პირში მოიმწყვდია, მაგრამ ლაგამი არაჩხუნდა, კბილები ერთმანეთს ვერ მიეკარნენ და ბალახი პირიდან გამოუცვივდა.

მხედარს შეებრალა ერთგული პირუტყვი. ლაგამი გამოაცალა, აღვირი კისერზე გადაადვა და ბალახზე მიუშვა. შემდეგ მობრუნდა, ტანსაცმელი დაიბერტყა, წელზე ქამარი გაისწორა და ხევში გადაიხედა.

ხევიდან გიჟი მდინარის ხმა ამოდიოდა. ეს ხმა თავიდანვე მოჰყვებოდა ამ ბილიკს. ხან შენელდებოდა, ხან მიწყდებოდა, ხან კი საშინელი ქუხილით და გრიალით აყრუებდა ყველაფერს. ასე გრიალით მიდიოდა ის ახლაც და ნაპირებზე დაგორებულ ლოდებს ასკდებოდა.

ნაძვის, ფიჭვის, მუხისა და წიფლის ხეები ამაყად აზიდულიყვნენ ჰაერში. ქოლგასავით გადაეშალათ ტოტები და საჩრდილებლად გადაფენოდნენ მიწას. მზის სხივებს ძლივს მოეხერხებინათ ფოთლებს შუა შემოპარვა.

საამური სუნი იდგა. ბალახებზედ მარგალიტივით კიაფობდნენ ნამის წვეთები. ფრინველების ჟივილ - ხივილი აყრუებდა მიდამოს. დახტოდნენ ხიდან ხეზე, ტოტიდან ტოტზე. მიღმა შაშვის ჭახჭახი ისმოდა, გასაწრთვნელად გამოყვანილ ბარტყებს აძლევდა თავისებურ ნიშანს. საკვების შოვნასა და მტრისგან თავის დაცვას ასწავლიდა.

ცხენი გემრიელმა ბალახმა გაიტაცა. კარგა მანძილით ასცილ-

და ბილიკს, მაგრამ ვერ მოიკიდა ფეხი, ისევ დაუცდა და ფოფხვით დაეშვა. მხედარი მიეშველა. უნაგირის კეხს დასწვდა. აღვირში მოავლო ხელი და ბილიკთან ჩამოფოფხვილი პირუტყვი წამოაყენა.

ახლა უფრო მეტი ქვები ამოძრავდნენ. უამრავი კენჭი აიყოლიეს და ისეთი გრიალითა და ლაწა-ლუწით დაეშვნენ, თითქოს საშინელი სეტყვა მოვიდაო.

— რომელი ხარ შენ, ეი!—მოისმა უფრო ბრაზმორეული ხმა ქვევიდან და წყევლა-გინება ამოიყოლია.

მგზავრმა უნაგირი გაუსწორა ცხენს, მოსართავები მოუჭირა, ლაგამი ამოდვა და შესაჯდომად მოემზადა.

— ვინ ოხერი ხარ შენ, ეი!—ისევ მოისმა. მგზავრმა მოიხედა. ახალგაზრდა კაცი მობობღავდა ხევიდან. ცალ ხელში გრძელტარიანი წალდი ეჭირა, მეორე ხელს ხან ბუჩქებს ჩასჭიდებდა, ხან ქვებს და ისე მოიწევდა ზევით.

მგზავრმა უზანგში შედგმული ცალი ფეხი გამოიღო. მობრუნდა და ახალგაზრდის ამოსვლას დაუცადა.

— გამარჯობა ამხანაგო,—უთხრა მან მოსულს და თავიდან ფეხებამდე დაათვალიერა.

— კარგი სათამაშო გიშოვნია, შენმა სიცოცხლემ—მოსვლისთანავე უთხრა ახალგაზრდამ, შემდეგ ქვემოთ გადაიხედა—რას აპირებდი, რომ ამ შენი თამაშობით ვინმესთვის თავი გაგეტეხა! რამდენი ბავშვია, რამდენი პირუტყვი!.. ცოცხალს არ გაგიშვებდი აქედან!—წალდი მოიმარჯვა ხელში და უფრო ახლო მივიდა.

მგზავრი არ შემკრთალა. პირდაპირ დაუდგა და თვალებში ჩახედა.

— დამნაშავე ვარ, ამხანაგო,—უპასუხა მან — თუმცა ჩემი ბრალი არაა. ცხენს დაუცურდა ფეხი და... ძალიან ცუდი გზა გჭონიათ. რატომ არ გიფიქრნიათ გზის გაყვანაზე!—იქით მეედავა მგზავრი.

ახალგაზრდამ წალდი დაუშვა, ოდნავ დამშვიდდა, სიბრაზის ნაპერწკლები ჩაქრნენ თვალებში, უხერხულად მიიხედ-მოიხედა და დაბალი ხმით უპასუხა:

— ვინ უნდა გაიყვანოს გზა. ხალხს არ უნდა და ალლახი ხომ არ ჩამოვა აქ გზის გასაყვანად.—გაიღიმა და ისევ განაგრძო:—ალლახის გაყვანილი გზა ესაა—გაიშვირა ხელი ხევისაკენ. მეტი რა გინდა. — მიწაზე დაწვდა, კენჭი აიღო და ისე შორს გასტყორცნა, რომ თვალი ვერ მისწვდებოდა.

— ნუთუ ამაზე უკეთესი გზა არ გჭირიათ. როგორ უნდა იცხოვროთ უგზოუკვლოდ. არ ფიქრობთ გზის გაყვანაზე?

ახალგაზრდამ გაკვირვებით შეხედა თვალებში უცნობს.

— რა ხეირს მოგვიტანს გზა!—თითქო თავის თავს დასცინისო, ისეთი კილოთი სთქვა ეს სიტყვები.—კარგი გზით მთავრობა ამოვა, მთავრობას კი კარგი არაფერი მოაქვს სოფლისათვის, გადასახადები ისედაც ბევრი გვაქვს და მაშინ ხომ სულ ვეღარ ავიტანთ...

— ასე ფიქრობ?—შეეკითხა მგზავრი.

— მე ვინ მკითხავს — ცოტა სიჩუმის შემდეგ მიუგო ახალგაზრდამ.—ასე ამბობენ ჩვენები, გზა რომ გვქონოდა, ამდენხანს არ დაგვაყენებდნენ. აქ ჩამოგვისახლდებოდნენ, ან ჩვენ გადაგვასახლებდნენ აქედანაო.. მართალია, ყველაფერი კარგი თავისთვის უნდათ.—ჯიბიდან სქელი ქაღალდი ამოიღო, შუაზე გახია, მეორე ჯიბიდან ფხვიერი თუთუნი ამოფერთხა, ქაღალდზე დააყარა და შეხვევა დაუწყო.

არ დაემორჩილა ქაღალდი თითებს, არ მოიგრიხა, ფხვიერი თუთუნი არ გაჩერდა შიგ და მიწაზე დაიბნა. ახალგაზრდამ კიდევ ჩაიყო ჯიბეში ხელი, სულ გადმოაბრუნა ის, დაიფერთხა ხელის გულზე, მაგრამ უფრო მეტი მტვერი აღმოჩნდა, ვიდრე თუთუნი. ნერვიულად მტვერი იქით მიჰყარა, ქაღალდი ჯიბეში ჩაიკუჭა და ბრაზმორევით გააფურთხა.

— მე მოგაწვევინებთ თამბაქოს — მგზავრმა ჯიბიდან ვერცხლის სათუთუნე ამოიღო, გახსნა და ახალგაზრდას გაუწოდა.

ახალგაზრდამ ჯერ სათუთუნეს დახედა, შემდეგ შიგ ჩაწყობილი პაპიროსები დაათვალიერა, ბოლოს თითქოს საუკეთესო აარჩია, ერთი ამოიღო, შეაბრუნ-შემოაბრუნა ხელში, შეხედ-შემოხედა და პირში ჩაიდო.

მგზავრმა ერთი თავისთვის ამოიღო. სათუთუნე ჯიბეში ჩაიდვა და წუმწუმა აანთო.

— ჯერ თქვენ მოუკიდეთ—გაიპატიჟა ახალგაზრდამ, როცა მგზავრმა პირველად შესთავაზა ცეცხლი.

მგზავრი არ შედავებია. მოუკიდა და შემდეგ მას მიაწოდა.

— რა კარგი თუთუნია!—ზედიზედ ამოუშვა ბოლი ახალგაზრდამ და მგზავრს მიუბრუნდა.

— საით მიბრძანდებით?—კითხა მან, დაგრეხილი კვამლი ისევ ამოუშვა პირიდან და სანამ არ გაიფანტა, თვალი არ მოუშორებია.

— სოფელ წყავნარაში—მიუგო მგზავრმა.—შორსაა აქედან?

— ორი საათის იქნება. მეც იქაური ვარ... რა კარგი თუთუნია!—კიდევ დახედა პიპიროსს და გაიღიმა.

— მოგწონს?

— კარგი ვის არ მოეწონება. ქალალდის გემოც არ ახლავს. მეკი ქალალდსაც ვერ ვშოულობ. თუთუნი ხომ არაფრად ვარგა.

— რატომ?—შეაწყვეტინა მგზავრმა — თქვენებურ თამბაქოს ძალიან აქებენ.

— აქებენ—გაიმეორა ახალგაზრდამ—ტყვილა აქებენ... არა, ასეთი თუთუნი ჩვენში არ მოვა. თუმცა... — გააბოლა და შემდეგ დაუმატა.—მართლაც შეიძლება ამაზე უკეთესი თამბაქოს დამზადება.—მაგრად მოსწია და კვამლი დიდხანს გაიჩერა პირში.—დამუშავებაზეა ყველაფერი. ამბობენ, აქაურ თამბაქოდან ისეთ სიგარებს ამზადებენ, რომ ხემწიფესა და ფაშას მიერთმევაო.—წალდი ხეზე მიაყუდა, თვითონ ქვაზე ჩამოჯდა.

— რატომ მიბრძანდებით წყავნარაში?

— საქმეები მაქვს. მთავრობამ გამომგზავნა დავალებებით.

— მთავრობამ?—ახალგაზრდა ცოტა ხანს ფიქრობდა.—ჰო, ვიცი, ელბეთ გადასახადები იქნება. ჩვენი თავმჯდომარე ამბობდა ამ წინაზე, მთავრობის კაცი ამოვა და მერე ნახეთ თქვენი სეირი. სულ ძალად წაიღებენო. ნეტავ სად მიაქვთ ამდენი ფულები! საწყალი კაცი ძლივს მოუყრის თავს გროშებს. ჩითი უნდა იყიდოს, ან მარილი. წამოუვლიან ამ დროს და წაართმევენ.—მაგრად ამოიოხრა და ფეხებზე დაიხედა. შალის წინდები მრავალ ადგილას იყო დახეული და იქიდან წვირიანი ხორცი მოსჩანდა. თითებიც გამოცვენოდა ქალამნებიდან.

მგზავრმა თანაგრძნობით გადახედა ახალგაზრდას. ის ლამაზი და მიმზიდველი მოეჩვენა. შავი გრუზა თმა ეყარა თავზე. ეტყობოდა მაკრატელი და სავარცხელი დამდურებოდნენ მას და ამიტომ იყო ისე უწესრიგოდ მიბნეულ-მობნეული. შავი ულვაშები ახალამოსული ჰქონდა და ისე უხდებოდა, როგორც მინდორს აბიბინებული ჯეჯილი. შინ მოქსოვილი შალის ხალათი ეცვა, მრავალ ადგილას დაკერებული და იმავე ფერის შარვალი უფრო დაცვეთილი და თეთრი ძაფით დალამბული.

მიუხედავად ასეთი ჩაცმულობისა, მიმზიდველი სჩანდა. ის უფრო იმ ვეფხვს მოგაგონებდათ, რომელიც, საკუთარ ძალზე და ბრეკალებზე დაყრდნობილი, უალრესად ამპარტავანი და მედიდურია.

— რა გვარი ხარ, ამხანაგო, შენ?—კითხა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ მგზავრმა ახალგაზრდას და კიდევ მიაწოდა პაპიროსი.

ახალგაზრდამ ჯერ პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, გააბოლა და შემდეგ უპასუხა.

— დურსუნოღლი... —უცებ გამოასწორა —არა, ეგ გვარი არ

არის, მამის სახელია. მამაჩემს დურსუნი ქვიოდა. ნამდვილი გვარი ოდილაძეა. ჩვენს სოფელში ათამდე ოდილაძე ცხოვრობს... სახელად მურადს მეძახიან.

— მურად ოდილაძე—გაიმეორა მგზავრმა.—ჰო, ამხანაგო მურად, შენ ამბობ ძალიან გაწუხებენ გადასახადებით. ვერ დამისახელებ ამ მოკლე ხანში რამდენჯერ აკრიფეს და რა სახის?!.

ახალგაზრდა ჩაფიქრდა, რაღაც თითებზე ჩამოითვალა, მაგრამ არ დაუჯდა თავისი ნაანგარიშევი.

— არ მახსოვს კარგად... ერთხელ ოც-ოცი მანეთი გადაგვახდევინეს. დიაღ, დიაღ, ოც-ოცი მანეთი. თემსაბჭოს შენობისა-თვის გვინდაო. ერთხელ კიდევ ათ-ათი მანეთი. ეს ზამთარში იყო, მინარეთი დაანგრია ქარმა და ის უნდა გააკეთოთო. ამ ზაფხულზე მედრესე ააშენეს და ოცდაათ-ოცდაათი მანეთი გაგვაწერეს. ძლივს გადაახდევინეს, თხები და ცხვრები წაართვეს გლეხებს. ახლა კიდევ თქვენ ამობრძანდით და ახალ გადასახადს მოიტანდით... ვინ გაუძლებს ამდენ გადასახადს!—ისევ დაიხედა ფეხებზე და ისევ დაათვალიერა გაცვეთილი ქალამნები.—ჩვენზე კი არავინ ფიქრობს.—მუხლის თვალზე დაიდო ხელი, სადაც გახეული შარვლიდან ხორცი მოსჩანდა.

— კი, მაგრამ ვინ კრეფდა ამ გადასახადებს? — შეეკითხა მგზავრი.

— ვინ კრეფავდა! ვინ კრეფავდა და მთავრობა. ჩვენი თავმჯდომარე გადიოდა, მილიციას გვიგზავნიდა. მინარეთის ასაშენებელ გადასახადს რომ კრეფდნენ, ხოჯაც დადიოდა მათთან ერთად...

მგზავრმა უბის წიგნი ამოიღო და შიგ რაღაც ჩაიწერა. შემდეგ მობრუნდა და წასასვლელად მოემზადა.

— ნახვამდის, ამხანაგო მურად.—უთხრა მან. უნაგირს ხელი მოჰკიდა და უზანგებში გაუყარა ფეხი.

— ტყვილა ჯდები ცხენზე.—უთხრა ახალგაზრდამ, ცხენთან მივიდა და ლაგამში მოავლო ხელი.—მიღმა ისეთი გზაა, რომ ხოხვითაც ვერ გახვალ... მეც იქით მივდივარ. ერთად წავიდეთ, თორემ საფრთხილოა. სადმე არ გადაიჩეხო და მგლების გული არ გაახარო... არა უშავს, ცხენი წინ გაუშვათ, ეტყობა გამოჩვეულია მთაში.—გავაზე გადაუსვა ხელი, შემდეგ აღვირი კისერზე გადაადო.

ცხენი ფრთხილად გაყვა ბილიკს.

გზა მართლაც ცუდი იყო. ეს ვიწრო ბილიკი ჩაშვავებულიყო ზოგიერთ ადგილას და ძლივს გადიოდნენ. ქვემოდან უფსკრული იყურებოდა. ოდნავ ფეხის დაცურება და სიცოცხლეს გამოეთხოვე-

ბოდა ადამიანი. ცხენი მოხერხებულად გადიოდა. ერთი ნაპირიდან ისკუპებდა და მეორეზე ისე გაუხტებოდა, თითქოს იმავე ადგილას დგასო. მას მურადი ბაძავდა, შემდეგ მგზავრი, მაგრამ უკანასკნელს ძალიან უძნელდებოდა.

— ნუთუ ამ ერთადერთი ბილიკის მეტი გზა არ გაგაჩნიათ? —ისევ იკითხა მგზავრმა, როცა მურადი წაფორხილდა.

— რად გვინდა უკეთესი გზა!—მურადი შესდგა.—ამ გზით დადიოდნენ ჩვენი ძველები. ამ გზით უნდა ვიაროთ ჩვენც. დაბადებიდან სიკვდილამდე რამდენიმე გზაა, მათში ეს გზა უფრო მოკლეა, უფრო პირდაპირიც. ჩვენი ხოჯაც ასე ამბობს. ჰო. და, ხოჯას რომ არ დაუჯერო, გიაური იქნები და გიაურობა ცოდვაა... აჩუ ცხენო, შე სამგლეევ!—წკეპელი გადაჰკრა ლურჯას.—ჭკვიანი ცხენი გიშოვნია. ვისგან იქირავე?

— ფურტიოში მომიყვანეს. მართლაც გონიერი და მარჯვეა.

—ჰო, ფურტიოელებმა კარგი ცხენები იციან. აბა სხვა კუთხის ცხენი აქ ვერ გაივლის. სჩანს ნამყოფია ჩვენს სოფელში. — კიდევ გადაჰკრა შოლტი და ცხენი ბილიკზე აათამაშა.

კარგა მანძილი გაიარეს. გზა ყოველგან ერთნაირი იყო. ხშირ და გადმობურულ ტყეში მიდიოდა, ხან ხევში დაეშვებოდა, ხან ზევით აიწევდა, ხან მდინარის ნაპირს მიყვებოდა.

— არის თქვენში ასეთი ადგილები? მართლა, სადაური ხარ? შეეკითხა მურადი მგზავრს, როცა ერთ ადგილს შეისვენეს.

— გურული. გაგიგონია გურია?

— რას ამბობ, გურია როგორ არ გამიგონია! ჩვენი გვარის ყაცები იქაც ყოფილან. მამაჩემი იტყოდა, ძალიან კარგი ხალხიაო. ნამყოფი იყო გურიაში, თაფლი და სანთელი მიჰქონდა. მე კი ბათუმს იქით არ ვყოფილვარ... რა გვარი ხარ?

— ბერტაძე. ანდრო მქვია სახელად—მიუგო მგზავრმა.

— ანდრო ბერტაძე.—გაიმეორა მურადმა.—რა საქმეზე მოდიხარ ჩვენში?

— ადგილობრივ ამხანაგებს უნდა დავეხმარო.

— ხა, ხა, ხა, ხა.—გადაიხარხარა მურადმა.—ვის უნდა დაეხმარო! ჩვენში ხეების მოჭრას ვერ შესძლებ და მორების დაცურებას...

— განა ამიტომ მივდივარ!—შეაწყვეტინა ანდრომ.—მე საბჭოში უნდა...

— ვიცი, ვიცი.—არ დაამთავრებინა სიტყვა მურადმა.—გადასახადები ააკრეფინო, ბეგარაზე ხალხი გაიყვანო და... რა ვიცი კიდევ რამდენ საქმეს გაიჩენთ...

— რატომ?!—ოდნავ ნაწყენი კილოთი შესძახა ანდრომ.— ჯანა სხვა საქმეები ცოტაა? მივიდეთ, დავიწყებ მუშაობას და ნახავ!

მურადი ჩაფიქრდა. კარგა ხანს არ ამოუღია ხმა. მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, თავი ასწია და ანდროს შეხედა.

— დიდხანს დარჩები?!.

— სანამ საჭირო ვიქნები. ან სანამ პარტია სხვაგან არ გამგზავნის.

— გაგიჭირდება ჩვენს სოფელში ცხოვრება. აი გახედე, სულ ასეთი ტყეები და კლდეებია. აქა-იქ არის გაკაფული ადგილი და იქ მოგვყავს ჭირნახული. ძალიან ღარიბად ცხოვრობს ჩვენში ხალხი.

— არა უშავს—გადახედა ანდრომ მაღალი ხეებით შემოსილ გორებს—თუ ვიმუშავებთ როგორც წესია, ყველაფერი გვექნება. განა ეს ტყე სიმდიდრე და ქონება არაა?!.

— სიმდიდრეა, სიმდიდრე.—ჩაილაპარაკა მურადმა. — მაგ სიმდიდრეს წაღება უნდა. მამაჩემი სწორედ მაგ სიმდიდრემ დაღუპა. მორებს აცურებდა და წყალში დაიხრჩო. არა ჩემო ემიავ, შენისთანა კაცი აქეთ ვერ იცხოვრებს. შემდეგ გაიღიმა და თვალებში შეხედა—სად იშოვი აქეთ მასეთ ციგარებს!

— რატომ, ეგ სულ ადვილი საქმეა, ჩემო მურად. თამბაქო ხომ მოდის თქვენში. იმას დავამუშავებთ კარგად, ამ ხე-ტყის გატანის საკითხს მოვაგვარებთ, გზას გავიყვანთ და...

მურადმა გადაიხარხარა. მუცელზე მოიჭირა ხელი და ზედმეტი სიცილისაგან ცრემლები გადმოსცვივდა.

— რამდენი შეპირებები იცით ამ ქალაქის ხალხმა — ძლივს სთქვა სიცილის შემდეგ მან.—შარშან კიდევ ერთი კაცი ამოვიდა, შენსავით გამოწყობილი იყო. იმ დალოცვილმა იმდენი ილაპარაკა, იმდენი შეპირებები ამოგვილაგა, იმის მესამედი რომ გაეკეთებინა, რა ვიშავდა. ერთი კვირა ძლივს იცხოვრა ჩვენში. ისე გაიპარა, რომ არავის გაგვიგია. ქალაქელებმა ლაპარაკი და ანგარიში იცით, სოფლელებმა მუშაობა. თქვენ ლაპარაკით სჭამთ პურს, ჩვენ მუშაობით და მაინც უპურობ ვართ. რას იზამ, ასე გაუჩენია ალლახს ეს ქვეყანა...

ანდრომ მაჯაზე წაავლო ხელი მურადს და გააჩერა.

— გინახავს შენ ქალაქი?

— აკი გითხარი, ერთხელ ბათუმში ვიყავი-მეთქი! დიდი ხანია მას შემდეგ. ახლა არც მახსოვს იქაურობა.

— მოგეწონა?

მურადმა მხრები აიჩეჩა.

— იმუშავებ, ქალაქში რომ გაგაგზავნო?

— რა უნდა ვაკეთო იქ, როცა არაფერი ვიცი. ჩემისთანა უსწავლელ კაცს ქალაქში რა უნდა. არა ჩემო ემიავ, ჩემი საქმე ქალაქი არაა „ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადი იქ არისო", ჩემი ბაღდადიც ჩემი სოფელია.—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაუმატა:— ეჰ, ბარემ კარგია ქალაქში ცხოვრება... კარგია სოფელშიც, მაგრამ... იცი რა გითხრა? წელან რომ ამბობდი, ისე თუ იქნება, მაშინ იქაც კარგია და აქაც. კაცი ყველგან კარგად უნდა ცხოვრობდეს. თუ ქალაქში სწავლობენ, მუშაობენ, მსახურობენ, რატომ სოფელში არ ისწავლება. მართალი სთქვი შენ, თუ კარგად ვიშრომებთ, ყველაფერი გვექნება. კარგ მუშაობას სწავლა უნდა, ეს სწავლა კი არაა აქ.

— სოფელში სკოლა არა გაქვთ?

— არის. ეს მთავრობა რომ მოვიდა, მერე ააშენეს ერთი სკოლა, მაგრამ მარტო სახლი რას გააკეთებს!

— როგორ, სწავლა არაა შიგ?!

— ვინ უნდა ასწავლოს. მასწავლებლებმა ვერ მოიცადეს. ან როგორ მოიცდიდნენ, როცა არავინ ყურადღებას არ აქცევდა მათ. არც ბავშვებს აგზავნიდნენ. არ უნდა ხალხს სწავლა... თუმცა ხალხი რა შუაშია. აქ ყველაფერს ხოჯა და იუსუფ-აღა აკეთებენ. რას იზამ, უფროსი კაცებია და ყველა უჯერებს... ხომ გეუბნები, გაგიჭირდება-მეთქი! თუ შენც ისე დაიწყე, როგორც ზოგიერთმა მასწავლებელმა, ორ დღეს არ გაგაჩერებენ.

— რა ჩაიდინეს იმ მასწავლებლებმა? —დაუწყო გამოკითხვა ანდრომ.

— ისეთი არაფერი. ბავშვები აგზავნეთ სკოლაშიო, წერა-კითხვა უნდა ისწავლოთ ყველამო. ერთი მასწავლებელი ჩვენს თავმჯდომარეს შეედავა. რა უფლებით ახდევინებ ხალხს ჯამეს შესაკეთებელ ფულებსო. თუ არ სურთ გადახდა, შენ ვინ გკითხავსო. თავმჯდომარეს გული მოუვიდა და დაითხოვა. მთავრობის კანონს, ხომ ვერ შეცვლიდა, რა ხელი გაქვს, ჩემს საქმეში რომ ერევიო. ასეა, ჩემო ემიავ. არ უნდათ სკოლა. მედრესე გვაქვს და გვეყოფაო, ამბობენ.

— შენ როგორი აზრის ხარ?

— მე? მე რა ვიცი. მთავრობა რომ ვიყო, მასწავლებლებს დავუჯერებდი. კარგს ამბობენ ისინი. რა საჭიროა მართლაც ჭირნახული გაყიდო—ჯამე ააშენო.

— არც მედრესე?

— მედრესე? მედრესე რა ვიცი. ვითომ საჭიროა მედრესე?

— მე შენი აზრი მინდა გავიგო. ხომ დადიოდი მედრესეში?

— ტავდიოდი.

— ისწავლე რამე?!.

— არაფერი.

— არ სწავლობდი?!.

— რა უნდა მესწავლა. არაბულის რა გამეგება ან რად მინდა ლოცვების სწავლა. ღმერთს თუ ჩემთვის კარგი უნდა, ისე მომცეს. ეცის, რომ გონჯათ ვცხოვრობ.

— არ ლოცულობ?!.

— რას გამიკეთებს ლოცვა. ხუთჯერ დამწყევლა ხოჯამ. გიაურად გამომაცხადა... სულ არ მწყენია. გიაურიც ადამიანია. ღმერთი თუ ჰკვიანია, ყველა ისე გააჩინოს ამ ქვეყანზე, როგორც მას უნდა. თუ გიაურობა არ მოსწონს, ნუ გააჩენს გიაურს.—ჩაიცინა —გადელებულია მურადიო გამოაცხადა ხოჯამ, ასე რომ ვუთხარი, ჩემ დას უთხრა ნუსხას დაუწერო.

—მერე?

— ჩემი და ჩემზე დელია. შენ თავს მოუარე და შენი ...ნუსხა შენთვის შეინახეო... ნაილე მოხერხებულია. ის რომ არ მყავდეს, გავდელდებოდი... მართლა დელი არ გეგონო. ტყეში კი დავდიეარ ხშირად, მაგრამ ეს ჩემი ხოშია. საშიშია ტყეში სიარული, იქ ნადირი ბუდობს, მაგრამ ზოგიერთ კაცთან სიარულს ნადირთან სიარული სჯობია. ტყუილს მაინც არ გეტყვის. ძალიან ლამაზია ტყე. ხანდახან ჩამოვჯდები წაქცეულ ხეზე და ვუსმენ ჩიტების ჭიკჭიკს. თითქოს მათრობს მათი სტვენა. სისხლი მეყინება ძარღვებში. გული აღარ ძგერს. ხშირად საჭმელიც მავიწყდება. რამდენი ღამე გამითევია რომელიმე განიერ ტოტზე გადაწოლილს. მოვკალათდები, მარჯვენა ჩკლავს სასთუმლად ვიკეთებ, თვალებს ვხუჭავ და სმენას ვამახვილებ. ფოთლის გაშრიალება არ გამომეპარება. კურდღელი რომ გაცოცდება ნამიან მიწაზე, იმასაც ვეურრობ. გამთენიეს ხომ მშვენიერი სეირობა გაიმართება. ერთხელ რომ ნახო, შემდეგ სახლში დაძინება შეგეზარება. მზე კიდევ არ ამოსულა. სიბნელე თანდათან იფანტება. ნამის წვეთები უხშირებენ ძირს ჩამოვარდნას. ჩხაკ! ჩხუკ!—იძახიან ისინი ჩამოცვენისას. ხეების ტოტებზე მჯდომი ჩიტები შეფრთხიალდებიან. ერთი პატარა ჩიტი ტყვიასავით ავარდება ცაში და ისე არაკრაკდება, როგორც სარეკელა. იმას აჰყვებიან სხვები და ეს ჩემი ტყე ისე ახმაურდება, რომ მკვდარსაც გაეღვიძება. თითქოს ხეს გამოუსხამს ენა. ფოთოლი მღერის და ლაპარაკობს. უკეთეს მუსიკას კაცის ყური ვერ მოისმენს. დელია მურადი, ასეთი რამეები რომ უყვარსო. ვიყო დელი, ხომ არავის ვუშავებ რამეს. ტანსაცმელს ხომ არ ვიგლეჯ. ქვებს ხომ არ ვსროლილობ, მიყვარს ასეთი ცხოვრება

და რა ექნა. ხოჯას ლოცვა უყვარს, თავმჯდომარეს გადასახადების კრეფა, იუსუფ-ალას სხვისი ნამუშევარის წართმევა. ყველას აქვს თავისი საქმე და მე რას მერჩიან!

ანდროს გულიანად გაეცინა. ის უფრო დაუკვირდა ამ უცნაურ ახალგაზრდას, რომელსაც არც სწავლა ჰქონდა, არც განვითარება, მაგრამ ისე მსჯელობდა და აზროვნებდა, რომ ბევრს შეეხარბებოდა.

ბევრი რამე გაიგო ანდრომ მისგან. სოფელში, რომელშიაც ანდრო მიდის, ჯერ კიდევ არ შეჭრილა ოქტომბრის სხივი. გარდა ერთი სკოლისა, რომელიც დიდი ტანჯვა-წვალებით აუშენებიათ, აქ არაფერი მოიპოვება. ადგილობრივი ხელმძღვანელი პირები თვითონ წასულან სწავლის წინააღმდეგ. რამდენიმე მასწავლებელი იძულებული გაუხდიათ დაეტოვებინა სკოლა...

ბილიკი თანდათან ფართოვდებოდა და ბოლოს ისე გაგანიერდა, რომ დაბალთვლებიანი ურემიც გაივლიდა. აქ მდინარეც ახლო იყო და ტყეც ქარაფი.

— ეს არის ჩვენი გზა—სთქვა მურადმა—სათრიელა ურემი დაჰყავთ ზედ, ხან ხის მორებს მოათრევენ. ჭირნახულიც ამ გზით მოაქვთ... გახედე გაღმა! თამარის ციხეა. მაქ ცხოვრობდა თურმე. ძალიან ჭკვიანი ქალი ყოფილა. ხონთქარსაც შინებია მისი. ყველა აქებდა თურმე. ერთ დიდ სწავლულ კაცს წიგნი დაუწერია მისთვის... მოიცა, მოვიგონო... ჰო, შოთა რუსთაველი. ჰაი, რა წიგნი ყოფილა. კითხვა რომ ვიცოდე, აუცილებლად ვიყიდდი იმ წიგნს.

— საიდან იცი, მურად, შენ ეს ამბავი? — ჰკითხა ანდრომ გაკვირვებით.

— გავიგე, დიდი ხანი არაა, რომ გავიგე. ჩვენში ერთი მასწავლებელი ქალი იყო, ისიც გურიიდან. იქნებ იცნობ კიდევაც. ქეთო ქვიოდა. მოიცა, გვარი მოვიგონო!—დიდხანს ფიქრობდა, მაგრამ ვერ მოიგონა.

— თქვი, გვარი არაა საჭირო.—უთხრა ანდრომ და კიდევ მიაწოდა პაპიროსი.

მურადმა ჯერ პაპიროსს მოუკიდა, მადიანად გააბოლა და შემდეგ ალაპარაკდა.

— გვარი არ მახსოვს. ვერ მოვიგონე.. ძალიან კარგი ქალი იყო. ქალი კი არა ბაღვი იყო ჯერ, მაგრამ... ბევრი რამ შეუძლია სწავლას. იმდენი რამე იცოდა, იმდენი, რომ ჩვენმა ხოჯამ იმის მესამედიც არ იცის. აი, ქალი ის მითხარი. რომ დაიწყებდა ლაპარაკს, ყურს ვერ მოაშორებდი. არც კაცს ერიდებოდა და არც ქალს. რომ შემხვდებოდა, ჯერ გამარჯვებას მეტყოდა, ხელს ჩამომართმევდა, ოჯახის ამბავს მკითხავდა. ჩემი დაც ძალიან უყვარდა. წერა-კით-

ხვაც ასწავლა. მეც მასწავლიდა, მაგრამ ვერ გავუბედე. კაცი რომ ყოფილიყო, კიდევ შევკადრებდი.—ცოტა ხანს ჩუმად იყო.

— თამარის ამბავიც იმან მოგვიყვა. ქართველების ხელმწიფე ყოფილა, მაგრამ მთელ დუნიას ეშინოდა თურმე მისი. შენც გეცოდინება მისი ამბავი.—მოუხედა ანდროს.

— ვიცი.—მიუგო ანდრომ.

— მაშ ტარიელის ამბავიც გექნება წაკითხული.

— წამიკითხავს.

— ძალიან დიდი ლონიერი ყოფილა. მდევები და ქაჯები სულ გასწყვიტა თურმე. პირველად ისიც ჩემსავით დადიოდა ტყეტყე, კაცს არ იკარებდა. აი, დედასა, იმდენი ლონე მქონდეს, რა მიშავს! მაშინ ვინ გამიბედავს დელის დაძახებას!

— ანდრო უფრო დაუკვირდა მურადს. შეიძლება მართლაც აქვს ნიშანი შეშლილობისო, მაგრამ ვერაფერი შეატყო. მართალია, მურადი ხშირად აურევდა, ერთი ამბიდან მეორეზე გადავიდოდა, მაგრამ ანდრომ ეს სულ სხვა გარემოებით ახსნა.

— უკადრისი ქალი არ იყო ქეთო და იმიტომ უფრო შემიყვარდა,—განაგრძო მურადმა—ერთხელ ჩვენსას მოვიდა, ყველაფერი დაათვალიერა საკუთარ ოჯახივით. ეს ასე არ უნდა გააკეთოთ, ეს აქ არ უნდა დადგათო. ასე არ უნდა ჭამოთო. მაგრიგად არ შეკერეთო. ყველაფერი დაგვიწუნა. ნაილეს არ სწყენია, როგორც ქეთომ უთხრა, ისე მოიქცა. მე ვიცინოდი, მიხაროდა. სასიხარულო იყო, მასწავლებელი გვესტუმრა. ნაილემ სთხოვა — მასწავლებელო, ამაღამ დარჩი ჩვენსასო. მე მეგონა გაჯავრდებოდა, როგორ მკადრესო, მაგრამ... კარგი, აბა წიგნებს მოვიტანო, და გაიქცა. მართლაც მოვიდა, მოიტანა წიგნები, მაგრამ რა წიგნები! თოვდა გარეთ, ავაგუზგუზეთ ცეცხლი ბუხარში, მივუჯექით აქეთ-იქედან და დაკუწყეთ ყურისგდება. ისეთი ლექსები წაიკითხა, იმდენი ამბები, იმდენი, რომ ნახევარი არ მომაგონდება. ძალიანი იყო კაკო ყაჩაღის ამბავი. ვეყურბანე, კაცი ის ყოფილა. მთელი ღამე არ გვიძინია... ბედნიერი მისი ქმარი იქნება!—ცოტა არ იყოს ნაღვლიანად სთქვა მურადმა და მოუკიდა პაპიროსს, რომელიც ლაპარაკის დროს ჩამქრალიყო.

— სად არის ახლა ის ქალი?—ჰკითხა ანდრომ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ხომ გითხარი, ჩვენს სოფელში მასეთ ადამიანს არ გააჩერებენ... მოიცილეს... გააგდეს.

— როგორ?

— დაითხოვეს.

— მიზეზი?

— მიზეზს მოგინახავენ, თუ მოინდომეს. ჩვენსას რომ ღამე გაათია, მეორე დღეს სკოლაში არ შეუშვეს. თავმჯდომარემ გამოაგდო, კახპა ყოფილაო, დელ მურადთან იწვაო. საშინელი ჭორი მოუგონეს.

ანდრო დაინტერესდა. დაწვრილებით დაუწყო გამოკითხვა.

— თავმჯდომარე, იუსუფ-აღა და ხოჯა მამუდი შეკავშირებული არიან. რასაც მოინდომებენ, ყველაფერს გააკეთებენ—დაიწყო მურადმა და მოჰყვა რაც იცოდა.

— თავმჯდომარე დურსუნ შინდაძე სიძეა ხოჯა მამუდის, იუსუფ-აღა ქონებიანი კაცია და ესაჭირობათ. რასაც იტყვის ხოჯა, იმას აკეთებს თავმჯდომარე, ხოჯის თქმული კი არასოდეს არაა ცუდი იუსუფისათვის. ხალხი მათ უყურებს: ხოჯა ჩივა, მთავრობაც ამას აკეთებს, იუსუფ-აღაც ამათკენაა, ჩვენ რას გავხდებითო — და არიან გაჩუმებული.

— თქვენში კომუნისტები არაა?—ჰკითხა ანდრომ.

— ჩვენი თავმჯდომარე თვითონ კომუნისტია. ერთი ფერშალია კიდევ, ისიც ამბობს კომუნისტი ვარო. მე არ ვიცი... მგონია, კიდევ არის ვიღაცა.

— შენ არ ჩაეწერები პარტიაში?—გაუღიმა ანდრომ.

— მე ვინ მიმიღებს! წერა-კითხვა რომ ვიცოდე....

— წერა-კითხვას შეგასწავლით. შენ ის მითხარი, თუ გსურს იმუშაო პარტიაში?

— ელპეთ ვიმუშავებ!—ამაყად სთქვა მურადმა და გასწორდა.—მართლაც რომ ვისწავლიდე წიგნის კითხვას...—ღიმილით შეხედა ანდროს...

— ხომ გითხარი, გასწავლი-მეთქი.—შემდეგ ისევ იმ მასწავლებელი ქალის ამბავს დაუბრუნდა.

— იმ ქალს არ გაუსაჩივრებია ეს საქმე?

— არ ვიცი.—მიუგო მურადმა.—ამ სოფელში მაინც არ დაბრუნდებოდა. რატომ გაილანძღავდა თავს! მოსვლისას ვითომც კარგად მიიღეს, იუსუფ-აღასას დააბინავეს. შემდეგ შეუჩნდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ეს ამბავი მოუგონეს... ყოჩაღი იყო. ისეთი სიტყვები უთხრა თავმჯდომარეს, რომ ყველას გაგვიკვირდა. დაიცადეთ, მოგხვდებათ მაგისათვისო. ჩვენ დაგვიბარა—ისწავლეთ ახალგაზრდებო, გაბოეჩვიეთ და მაგი ჯირკი ხევში გადააგორეთო... თავისი ყურებით ისმენდა დურსუნი, მაგრამ ენა ვერ დასძრა. აი, დედასა, ისეთი მშრომელი და ერთგული ჩვენს სოფელში აღარ მოსულა შემდეგ.

გზა თანდათან დაბლა ეშვებოდა და ბოლოს სულ მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა. გიჟი მდინარე ვიწრო კალაპოტში იყო მოქცეული. შიგ ბლომად ეყარა კლდიდან მოხეთქილი ქვები.

მდინარის ნაპირას ეყარა ფიჭვისა და ნაძვის ხის მორები, დასაცურებლად გამომზადებული. როცა მდინარე ადიდდებოდა, ამ მორებს მიაწვდიდნენ და მიყვეპოდნენ ბათუმამდე, სადაც გაყიდდნენ და აღებული ფულით ოჯახისათვის საჭირო ნივთები მიჰქონდათ.

მდინარის გალმა, ოდნავ შეფერდებაზე რამდენიმე სახლი მოჩანდა ყავრით დახურული. სახურავზე უამრავი ქვა ეწყო.

— ლურსმანს ვერ შოულობენ და ყავარს ქვებით ამაგრებენ— აუხსნა მურადმა ქვების დანიშნულება სტუმარს.

ქვემოთ, გაშლილ შეფენებაზე დასახლებული სოფელი მოჩანდა. ეს სოფელი უფრო ლამაზად იყო გაშენებული.

— ეს ჩვენი სოფელია.—მიუთითა მურადმა.

ანდრომ გაიხედა სოფლისაკენ. ერთნაირი სახლები იდგა, ორ-ორსართულიანი. ისინი მხოლოდ მოცულობით განსხვავდებოდნენ ერთი-მეორისაგან. ქვედა სართული დაყრუებული იყო, მუჭის ოდენა ნახვრეტი ჰქონდა აქა-იქ დატანებული. წინიდან ერთი კარი. ამ სართულში პირუტყვი ჰყავდათ დაბინავებული. მეორე სართულიც ისეთივე ფორმის იყო, როგორც პირველი, მაგრამ მას რამდენიმე ადგილას ჩატანებული ჰქონდა უფრო განიერი გამოჭრილები, რომლებიც ფანჯრების როლს ასრულებდნენ. ეს ფანჯრები ყველგან ჩამოფარებული იყო—ზოგან ხალიჩების ნაგლეჯებით, ზოგან ძონძებითა და ჩვრებით. სოფლის შუა ადგილას, ყველაზე უფრო მოხდენილად მოჩანდა ჯამეა. ახალაშენებული მინარეთი ცას ებჯინებოდა. ის ლურჯად იყო შეღებილი და ზედ მრავალნაირი სურათები იყო გამოხატული.

— ის ჩვენი ჯამეა—სთქვა მურადმა—იმ მინარეთის ასაშენებლად ოცი მანეთი გადამახდევინეს. ორი თხა გამიყიდეს... ქვემოთ რომ დიდი სახლია—იუსუფ-ალასია. შენ, ალბათ, იმისას დაბინავდები. ძალიან მდიდარია. მის გვერდით ხოჯა მამუდი ცხოვრობს. მთავრობის კაცები მუდამ მაგათსა ბინავდებოდნენ. ყველაფერი ბევრი აქვთ და პატივისცემაც იციან.

— შენ მირჩევ მისას დაბინავებას?—შეეკითხა ანდრო.

— მე რა ვიცი.—მხრები აიჩეჩა მურადმა. — კარგი ბინა რომ მქონდეს...—უნდოდა ეთქვა ჩემსას წაგიყვანდიო, მაგრამ ვერ გაუბედა.

— შენ რომ ჩემს ადგილას იყო, ვისას დაბინავდებოდი?—

და ანდრომ პასუხის მოლოდინში სათუთუნე ამოიღო.

— მე?—ჩაფიქრდა მურადი.—რა ვიცი. ყველას თავისი ხასიათი აქვს.—თვალებში შეაჩერდა ანდროს.

— მაინც ვისას დაბინავდებოდი?—კიდევ ჰკითხა ანდრომ.

— ყველა ჩემისთანა ხომ არაა, მე გლეხი კაცის მჭადის ნატეხი მირჩევნია ალისა და ხოჯის სადილს... რა ვიცი... ყველა ჩემისთანა ხომ არაა...—კიდევ გაიმეორა მან.

— მაშ მე შენსას ვბინავდები. — მტკიცედ უთხრა ანდრომ და ღიმილით შეხედა.

— ჩემსას?

— ჰო, რას იტყვი?

მურადმა თითქო შეურაცყოფა იგრძნო. დამცინისო გაიფიქრა, მაგრამ ანდროს სახეზე დამცინავი გამომეტყველება რომ ვერ შენიშნა, სახე გაუბრწყინდა.

— არ მიკადრებ, თორემ...—თითქო ალმური მოედო ტანზე— ვინ მომცა იმდენი შეძლება ობოლ კაცს, რომ შენისთანა კაცს პატივი ვცე. ეჰ!—ამოიხვნეშა და შემდეგ დააყოლა.—ღარიბ კაცს არავინ კადრულობს.—ერთხელ კიდევ შეხედა ანდროს და შემდეგ ტანზე დაიხედა.

ანდროს შეებრალა გულკეთილი ახალგაზრდა. შეუყვარდა კიდევაც სპეტაკი და მართალი გულის ადამიანი, რომელიც ცხოვრებას ისე უყურებდა, როგორც ხედავდა.

— შენ ფიქრობ მე სასახლეში გაზრდილი ვარ? არა, ჩემო ძმაო, ჩემს მშობლებს საკუთარი ქოხიც არ ჰქონდათ. დაქირავებულ სარდაფში ვიდექით და იქიდანაც გამოყრით გვემუქრებოდა სახლის პატრონი, ბინის ქირის გადახდა რომ დაგვიგვიანდებოდა. ლუკმა პური მუდამ გვენატრებოდა და ფეხსაცმელი არასდროს არ ღირსებია ჩვენს ფეხებს. მაგრამ დღეს, როცა ძალაუფლება ჩავიგდეთ ხელში, როცა თვითონ შევიქენით ჩვენი თავის ბატონ-პატრონი, ბედნიერი ვართ.—ცოტა ხანს შეჩერდა, კიდევ გახედა მურადს, რომელიც თავდახრილი იდგა. შეებრალა, დაეწვა გული და სანუგეშო სიტყვები მიაშველა.

— სილარიბე ჯერჯერობით სირცხვილი არაა ჩვენში. ძველმა წესწყობილებამ დაგვიტოვა ის და ასე უცებ ვერ მოგვიშორებია. მაგრამ ძალიან მალე ჩვენ მაგ სიტყვასაც გავაუქმებთ.

მურადს გული აუთრთოლდა. თავიდან ფეხებამდე დაათვალიერა ანდრო და თავისთვის გაიფიქრა: „ნუთუ ჩემზე მეტი სილარიბე გაუვლია ამას“.

— მართლა დაბინავდები ჩემსას?.—დაბალი ხმით შეეკითხა ის.

— თუ თანახმა იქნები...'

— შენს უკეთესი ვინ მოვა ჩემს ოჯახში! ღარიბად ვარ, მაგრამ ყველაფერს გავაჩენ... გავყიდი რამეს... რძე, ყველი და მაწონი მაქვს. ხანდახან ქათამსაც დავკვლავთ... ნაილემ ისეთი კარგი გაკეთება იცის, რომ მოგეწონება. ქეთომ ასწავლა... კარგი იქნებოდა ახლა, ქეთოც იყოს ჩვენს სოფელში... ორი ოთახი მაქვს, ერთი სამზარეულო. ერთ ოთახს მოგიწყობ კარგად. მეორეში მე და ჩემი და მოვთავსდებით. თუ ვინმე გესტუმრება... საგებ-სახურავსაც გიშოვი...

— არაფერზედაც არ შეგაწუხებ—შეაწყვეტინა სიტყვა ანდრომ.—ყველაფერი საკუთარი მაქვს. თუ შენსას დავბინავდები, ბინის ქირასაც მოგცემ. სასმელ - საჭმელშიც ფულს გადავიხდი.

— რას ამბობ!—შეუხტა მურადი.—როგორ შეიძლება! აღა ხომ არ ვარ... — ცოტა ხანს გაჩუმდა, შემდეგ ეჭვის თვალით ახედა.

— მეხუმრები, შენც იუსუფ-აღასას დაბინავდები, როგორც სხვები—სთქვა გულნატკენად და გაიხედა თავის სახლისაკენ. რომელიც ყველაზე საწყლად გამოიყურებოდა სოფლიდან.

— პატიოსან სიტყვას გაძლევ, შენსას დავბინავდები.

— კიდევ არ მჯერა.—ყოყმანით სთქვა მურადმა.

— ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევ. გესმის?

მურადი რეზინის ბურთივით შეუხტა და შემოტრიალდა.

— მომეცი ხელი.—ორივე ხელი დასტაცა ანდროს ხელს და მაგრად ჩამოართვა.

მდინარეს მიადგნენ. ცხენი თითქო მიხვდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, ცოტა ზევით შეჰყვა მდინარეს და ფონი მონახა. მურადი და ანდრო ძლივს გავიდნენ ქიწრო ხიდზე.

— განა ესეც სილარიბის ბრალია, აქ რომ სასიკეთო ხიდი არა გაქვთ?—უთხრა ანდრომ და თვითონვე გასცა პასუხი...—პირიქით, სილარიბე და გაჭირვება ამ უგზოობის ბრალია, ჩემო კარგო...—კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაცა, მაგრამ მურადმა დაასწრო.

— უთაობის ბრალია, უთაობის—თქვა მან.

— მართალია.—დაუმოწმა ანდრომ.

შეავიდნენ სოფელში. გარედან უფრო ლამაზი მოჩანდა აქაურობა, ახლოდან ის სრულიად არ იყო მოსაწონი.

ვიწრო და უსუფთაო შუკები, ნეხვით სავსე ეზოები და უგეგმოდ აგებული სახლები ერთმანეთში იყო არეული.

ჯამესთან ახლოს იდგა ძველი შენობა, რომელშიაც სასოფლო საბჭო მოეთავსებინათ. იქვე მედრესე, ცოტა განზე—სკოლა.

ეს უკანასკნელი ახალაშენებული იყო, მაგრამ მოუვლელი და უპატრონო. არც ერთი მინა არ შერჩენოდა ფანჯრებს, აივნის იატაკიც აეყარათ და ფიცრები აქა-იქ ეყარა ეზოში.

საბჭოს შენობის წინ ჩრდილში გლეხები ისხდნენ და დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ. მათში ორი ღრმა მოხუცებული ერია. ისინი ხანდახან ჩაერეოდნენ ლაპარაკში, მაგრამ როცა რასმე იტყოდნენ, ყველა გაკმედდა ხმას.

შორიახლო ბავშვები თამაშობდნენ. მხოლოდ ერთს ეცვა ქალამნები, დანარჩენები ფეხშიშველი იყვნენ. ჯამესთან, სადაც წყარო იყო გამოყვანილი, გოგონები გაჩერებულიყვნენ, სპილენძის თუნგები ეჭირათ ხელში და იცდიდნენ. ძალიან ცოტა წყალი მოდიოდა ღარზე და თითო თუნგის ავსებას რამდენიმე წუთი სჭირდებოდა. გოგონებს ფერადი ჩითის კაბები ეცვათ, დანაოჭებული, კოჭებამდე წვდებოდათ, თავზე მოხვეული ჰქონდათ დოლბანდის თავსაფარი (იაზმა). მართალია, ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ იმ ასაკში, როცა სჯული სახის გამოჩენას უკრძალავს, მაგრამ მამაკაცის დანახვაზე მაინც იბურავდნენ თავპირს. აქედან ეჩვეოდნენ წესებს.

გალმა-გამოლმა სერები სიმინდის აბიბინებული ყანებით იყო დაფარული. აქა-იქ ამ ყანებში მოსჩანდნენ ქალები თოხით ხელში. ისინი თეთრ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი, თავზე თეთრი იაზმა შემოეხვიათ და მარჯვედ იჭრეოდნენ თოხს. თითოოროლა მამაკაცებიც გამოსულიყვნენ სამუშაოდ. ისინი მარტოდ ან თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭთან ერთად თოხნიდნენ.

— ისინი ყველაზე ღარიბებია. ბეჩებს ეძახიან მათ. ცოლებს არ ამუშავებენი, ამბობენ.—აუხსნა მურადმა ანდროს სამუშაოდ გასული გლეხების შესახებ.

— ოჯახში ვინლა რჩება?—იკითხა ანდრომ, რამდენიმე წუთი გაჩერდა და უცქირა ქალების მუშაობას.

— ბავშვები. ან სულ არავინ. რა საქმე აქვთ ოჯახში! სადილი დილით ადრე უნდა გააკეთონ და საქონელს კაცები უვლიან. ასეა განაწილებული: კაცები დათესვაზე მუშაობენ, დანარჩენი ქალების საქმეა...

— კარგია მერე ეს?

— რა ვიცი... მე რომ ცოლი მყავდეს...—მხრები აიჩეჩა— სხვა საქმეზე ვამუშავებდი. თუმცა... ძნელია მიწის მუშაობა. შენ გიმუშავნია ყანაში?

— მიმუშავნია—მიუგო ანდრომ.

— კარგი სამუშაოა?

— როგორ გითხრა. უსათუოდ მაგარი სამუშაოა, მაგრამ მით უფრო ცუდია ქალებისათვის.

მურადმა გაიცინა.

— ქალებისათვის არაა ძნელი. — თქვა მან. — ერთი ქალი ცხრა უღელი კამეჩის ოდენას გასწევსო, იტყვიან. ჩვენებური ქალი მეტსაც შესძლებს. დაიცადე, დარჩები ჩვენში და ნახავ. ცოლიანი ხარ?

— არა.

— შეირთე აქაური ქალი. — შემდეგ სიცილით დაუმატა. იუსუფ-აღას ყავს ერთი კარგი გოგბიო. ხისიმია მისი.

— მოგწონს?

— რომ მომწონდეს მერე რა. ვინ მომცემს. ბეგის შვილისათვის უნდოდა, მაგრამ ახლა ბეგობა აღარ არის და...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ შუკაში ერთი მაღალი, სქელი, ოდნავ შეჭალარებული კაცი გამოვიდა და პირდაპირ ამათ შეეჩეხა.

— გამარჯობათ!—უთხრა ანდრომ გვერდით ჩავლისას მას.

მან კი რაღაც დაიბურდღულა და ჩაიარა.

— ეს არის იუსუფ-აღა!—ჩუმად უთხრა მურადმა.

ანდრომ გვერდზე გახედა უცნობს და შემდეგ მურადს მიუბრუნდა.

— ვაჟკაცის შეხედულება აქვს—უთხრა მან.

— ყაჩაღია.

— მართლა?

— არა, ისეთი ყაჩაღი კი არაა, წიგნებში რომ სწერია. ეს ხალხს სძარცვავდა. იაილებზე საქონელს სტაცებდა ქურთებს. არდაგანში გადადიოდა. იქედან კონტრაბანდა შემოჰქონდა. ხიმშიაშვილთან კარგად იყო და არვისი ეშინოდა.

— ახლა?

— ახლა. ცხოვრობს დიდებულად. ფული აქვს გასესხებული. კონტრაბანდისტებს იცნობს, მთავრობაში კაცები ყავს და... ყველაფერი მის ხელშია. ელბეთ შენც გაიცნობ და კიდევ მისი დამხმარე იქნები.—სთქვა მურადმა და ანდროს შეხედა.

— ასე გგონია?

— მთავრობის კაცები ყველა ასე შვებოდნენ.

— ჩვენი მთავრობა კი არაა ისეთი.

— არ ვიცი.—ამოიხვნეშა მურადმა და ცხენს ლაგამი

მოჰკიდა ხელი. ის კიდევ ვერ დარწმუნებულიყო, რომ ანდრო მის ოჯახში დაბინავდებოდა, გვერდს აუვლიდა იუსუფ-აღას, საბჭოს თავმჯდომარეს, ან კიდევ უფრო გავლენიან პირებს.

არ უნახავს, არ ყოფილა ასეთი მაგალითი. ვინ იკადრებდა ფუხარა კაცისას მისვლას, ღარიბი კაცის ოჯახში დაბინავებას!

იყვნენ მოხერხებული გლეხები, რომლებიც იყენებდნენ მთავრობის კაცებთან დაახლოვებას.

მურადმა ერთი ამბავი მოუყვა ანდროს, სანამ საბჭოს შენობასთან მივიდოდა.

იუნუს ბეჟიოღლი ღარიბი, მაგრამ გამოქნილი კაცი იყო. ერთ ღელ აისესხა მეზობლებიდან ზოგიდან ფული, ზოგიდან ჭირნახული, ამუშავა ხუროები. დაიდგა მშვენიერი სახლი და ბოლოს ყველა მევალეს უარი უთხრა. დაესივნენ აქეთ-იქედან. ზოგმა გადაწვა შეპირდა და შეიძლება მართლაც აესრულებინათ, მაგრამ, გავიხედოთ, ერთ დღეს სოფელში მაზრის უფროსი მოვიდა რამდენიმე რუსი მოხელის თანხლებით.

— სად ცხოვრობს აქ ბატონი იუნუს ბეჟიოღლი? — იკითხა მან. ყველას გაუკვირდა, რომ მაზრის უფროსი იუნუსას მორიდებით იხსენიებდა. მიასწავლეს. იუნუსა მიეგება დიდი ხნის ნაცნობივით, ხელი ჩამოართვა უფროსსაც, მის მხლებლებსაც, შეიყვანა სახლში, გაუმარა დიდი ქეიფი, მოიყვანა ზოგიერთი მისი მევალე და გააცნო. ძალიან გთხოვთ ბატონო ნაჩანიკო, დაეხმაროთ ამათ. საწყლები არიან, მაგრამ დიდი ერთგული არიან თქვენიო—უთხრა.

მაზრის უფროსს რა ენაღვლებოდა: კარგი, ყველაფერში დავეხმარებიო და იმ გლეხებიდანაც მიიღო ოქროს თუმნიანები.

იმის შემდეგ ვინ გაბედავდა ეჩივლა ბეჟიოღლისათვის. აღას ეძახდნენ და ყველა მის პატივისცემას ცდილობდა. ნაჩალნიკთან აქვს საქმეო, მთავრობა იცნობსო—ამბობდნენ.

მურადი არ ფიქრობდა ასეთ სახელზე, მაგრამ ანდროს დაახლოება მაინც ახარებდა—წიგნების კითხვას მასწავლისო—ფიქრობდა. ქალაქში წავალ, ნაილესაც იქ წავიყვანო.

ქეთო მოაგონდა. სულ იმის ბრალია, რომ ასე გაიტაცა სწავლის სურვილმა მურადი. როგორ მშვენივრად კითხულობდა ქეთო წიგნებს! რა კარგი ხასიათის იყო! ნეტავი ის არ წასულიყო ამ სოფლიდან.

— რომ არ მოგცენ ჩემსას დაბინავების ნება?—კიდევ დაეჭვებით ჰკითხა მან ანდროს, როცა საბჭოს შენობას მიუახლოვდა.

— ვინ დამიშლის?

— მთავრობას ყველაფერი შეუძლია. თავმჯდომარე დიდი კაცია, შეუძლია გიბრძანოს....

— დარდი ნუ გაქვს.—ხელის ჩაქნევით უპასუხა ანდრომ.—მე აქ პარტიამ გამომგზავნა.

— გეტყვის, მურადი დელიაო, არაფერი არ მოეძევაო... ღარიბიაო და...

— არ დავიჯერებ. საერთოდ ეგ არაფერია. შენ საბჭოში მიმყევი და თქვენი თავმჯდომარე გამაცანი — უთხრა ანდრომ. აღვირი გამოართვა ხელში და ცხენი ბოძთან მიიყვანა დასაბმელად.

— არა. მე ვერ შემოვალ მასთან. არ მოსწონს ჩემი ნახვა. არც მე მიხარია მისი შეხვედრა... აქ დაგიცდი. ცხენს დავიკავებ.— აღვირში სწვდა. — შენ შედი. აი იმ კიბეზე ახვალ. იქვეა ოთახი.— უთხრა, ცხენი გამოართვა და გაატარ-გამოატარა.

ანდრო საბჭოს შენობაში შეიდა....

ჩრდილქვეშ მჯდომმა გლეხებმა თვალი გააყოლეს ახალმოსულს, ჯერ ერთმანეთს გადახედეს უხმოდ და შემდეგ ალაპარაკდნენ.

— კიდევ ახალი მასწავლებელი გამოუგზავნიათ—ჩაილაპარაკა ერთმა.

— ჯანდაბას მაგათი თავი. რა ოხრად გვინდა მაგათი სწავლა!

— განა ჩვენთვის გვასწავლიან? — ჩაერია ლაპარაკში ერთი ახალგაზრდა, რომელსაც წვერები მოშვებული ჰქონდა და თავი თეთრი იაზმით შეხვეული. ის უფრო მოშორებით იჯდა და იშვიათად ერეოდა ლაპარაკში.

— მართალს ამბობს მოლა — სთქვა ხანშესულმა კაცმა. სწავლით თავიანთ საქმეს იკეთებენ. ჩვენ ბალვები მედრესეში ვერ გაგვიშვია, ლოცვები და წინასწარმეტყველის კანონები ვერ შეგვისწავლებია, იმდენი საქმეები გვაქვს, და აქ კი სკოლა გაგვიხსნეს!

— სწორია, სწორია!—დაუმოწმა ისევ ახალგაზრდა მოლამ.— რჯულის კანონების სწავლა უფრო საჭიროა—და თავისი სიტყვის დასასაბუთებლად რაღაც არაბული სიტყვები წარმოსთქვა.

გლეხებს არაფერი გაეგებოდათ იმ სიტყვების, მაგრამ მაინც ჩაიქნიეს თავი, თითქოს ამბობდნენ,—მართლაც რომ დიდი სიბრძნეა მაგ სიტყვებშიო.

— თქვენ ნახავთ, თუ ეს კაცი გადასახადების ასაკრეფად არ იქნება ამოსული!—ყუმბარასავით გაისროლა ვილაცამ.

ყველამ მრისხანედ გადახედა მთქმელს და შემდეგ საბჭოს

შენობის კარებს მიაჩერდნენ, სადაც ორი წუთის წინ ანდრო შევიდა.

— ამოგვხადონ ბარემ სული!—წყრომით სთქვა ერთმა და მაგრად შეიკურთხა.

— დელ მურადას ვკითხოთ. მას მოჰყვებოდა. ეტყოდა რისთვის მოვიდა—სთქვა მეორემ და გასძახა:—დელო მურადავ, ამოდი აქით!

მურადმა მწრალად გაიხედა იმათკენ. არ ესიამოვნა „დელი მურადას“ დაძახება. ანდრომ რომ გაიგონოს, მართლაც დელი ვეგონები, ჩემსას არ დაბინავდებაო—გაიფიქრა. არ უნდოდა მისვლა, მაგრამ, უარესი იქნება, უფრო მეტად დამცინებენო—სთქვა თავისთვის, ცხენი ალუბლის ტოტზე გამოაბა იქვე და თვითონ ეზეებთან მივიდა.

— დელო მურადავ, ვინაა რომ მოგყვა?—ჰკითხა ყველაზე უხნესმა გლეხმა იქ მყოფთაგან.

— მთავრობის კაცია—მიუგო მურადმა.

— გიაური ყველა მთავრობისაა!—მწყრალად სთქვა ახალგაზრდა მოლამ.—რა საქმისაა?

მურადმა ყურიც არ ათხოვა მას. მოლას ეს ძალიან ეწყინა, უნდოდა რალაც მეტად მწარე, მეტად საწყენი ეთქვა მურადისათვის, მაგრამ გვერდით მჯდომმა გლეხმა ურჩია არ გალაპარაკებოდა.

— დელია, რა პასუხი უნდა მოგცეს?

— დელია და ბრიყვიც!—დაუმატა მოლამ. გული მოიფხანა ამით და დელ მურადს ზურგი შეაქცია.

— გადასახადებისთვის მოდის?—იკითხა ერთმა ჩოფურა გლეხმა.

— არა.—უპასუხა მურადმა.

— მაშ რა საქმე აქვს?

— დასახმარებლად მოვდივარო—განმარტა მურადმა.

გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს.

— თოხვაში თუ დაგვეხმარება!

— ან მორების დაცურებაში!

— ვიცი, ვიცი, რა დახმარებაც იციან მთავრობის კაცებმა!—ჩაილაპარაკა ვილაცამ—კრებას გაგვიმართავს და ისწავლეთო გვეტყვის. ესაა მაგათი დახმარება.

არ მოასვენეს მურადი შეკითხვებით. ყველას აინტერესებდა გაეგო უცხო კაცის მოსვლის მიზანი, მაგრამ პასუხი მათ ვერ აკმაყოფილებდა.

მურადი აეშვიდებდა მეზობლებს: კარგი კაცია, კეთილი გული აქვს, თავდადებული და პატიოსანია, ძალიან ბევრს დაგვეხმარებაო; მაგრამ ვინ დაუჯერებდა.

— დაანებეთ თავი, დელმა რა პასუხი უნდა მოგცეთ! — ჩაილაპარაკა ახალგაზრდა მოლამ და თურქულად შეიგინა მურადის მისამართით.

მურადი თოფის წამალივით აფეთქდა.

— გამიშვით, გავგლიჯო ეგ ღორიშვილი! — იყვრა მან და ცეფხვივით გადახტა. გლეხებმა გადაუღობეს გზა, მაგრამ ერთი დარტყმა მაინც მოასწრო.

მოლას ხმა არ ამოუღია. ის ხეს მოეფარა და თავისებურად არაბული სიტყვებით ალუღლუღდა.

რამდენიმე კაცი შემოეხვია მას, დანარჩენები მურადს დაესივნენ.

— მივუყვანოთ თავმჯდომარეს, მივუყვანოთ!—იძახდნენ ისინი.

— მოგვაშორონ, მოგვაშორონ, დელი!.. — აღრიალდნენ გლეხები.

მურადი დამშვიდდა. ახლა იგრძნო, რომ დააშავა. სჯობდა მოეთმინა და ასეთი საქმე არ ჩაედინა. არ აეჯანყებინა მეზობლები მის წინააღმდეგ. ახლა ხომ მართლა შეუძლიათ მოსთხოვონ მთავრობას, გადაასახლე დელი ჩვენი სოფლიდანო. მერმე რა დროს! როცა აქ არის ანდრო, რომელიც მურადასს უნდა დაბინავებულიყო. ახლა კი... საშინლად აემღვრა გული მურადს — ანდროსაც ხომ დაარწმუნებენ, რომ მურადი დელია, რომ მან მასწავლებელ ქალთან გაათია ღამე, რომ ის მუდამ ტყეში დახეტიალობს, რომ ის ხელს უშლის მშვიდობიან მცხოვრებლებს.

საშინელმა ტკივილებმა დაუსერა გული.

— გამიშვით ხელი—გაქანდ-გამოქანდა ის და გლეხები იქითაქით მიყარ-მოყარა.

— რა გინდათ ჩემგან—და ქვემოთ წავიდა, რომ საბჭოს შენობას მოსცილებოდა, როგორმე დაეფარა ეს შემთხვევა ისე, რომ ანდროს არ გაეგო. მაგრამ გლეხებმა ის გააჩერეს. მაგრად ჩასჭიდეს ხელი და ყვირილით წაიყვანეს საბჭოსაკენ.

— რა ამბავია?—გამოვარდა კარებში თავმჯდომარე და გლეხებს მაღლიდან გადმოადგა.

— მოგვაშორეთ დელი! მოგვაშორეთ გადარეული!—შეეგება თავმჯდომარეს რამდენიმე ხმა.

მურადმა აიხედა ზევით და თვალები ვეღარ გაუმაგრა: თავმჯდომარის გვერდით ანდრო იდგა და გაკვირვებული იცქირებოდა.

— რაშია ხალხო საქმე?—გადმოსძახა ისევ თავმჯდომარემ.

— კაცი გაგვილახა! კაცი გაგვილახა! მოგვაშორეთ დელი!— უპასუხა ისევ რამდენიმე ხმამ.

— კაცი გალახა?—ბრაზით სთქვა თავმჯდომარემ და სწრაფად დაეშვა კიბეზე.

ანდრო ფეხდაფეხ ჩამოჰყვა.

— კიდევ ვერ მოგაშლევინე შენ დელობა?—და გაშლილი ხელი მოუქნია რაც ძალი და ღონე ჰქონდა. უნდა გაერტყა, მაგრამ...

— შესდექ!—და ანდრომ გაუჩერა ხელი თავმჯდომარეს.

თავმჯდომარემ მრისხანედ მოუხედა ანდროს, მაგრამ რომ მეტი მრისხანეობა შენიშნა ჯერ კიდევ გაუცნობელი კაცის სახეზე, მოეშვა, ნაძალადევად დაიმშვიდა გული.

— გრძნობიდან გამოვალ კაცი ამ დელის გადამკიდე...— ჩაილაპარაკა მან. შემდეგ ხალხს გადახედა.

— ვინ არის ხალხო გალახული?

— მოლა ნური!—ერთხმად უპასუხეს გლეხებმა.

— ეს მერამდენეა!—მიუბრუნდა ანდროს თავმჯდომარე— დღე არ გაივლის, რომ ვინმე არ გალახოს, რომ ვინმეს არ წაეჩხუბოს. დელია, რა! გაეწყობა. მინდოდა გადამეგზავნა საგიჟეში, მაგრამ ვერ მოვახერხე. არც დამეხმარა ვინმე.

ანდრომ მურადს გადახედა. ის იდგა თავდახრილის მიწას მისჩერებოდა და ხმას არ იღებდა, ხოლო სხეული უთრთოდა, თვალები ამღვრეოდა, ტუჩები უცახცახებდა.

დაენანა ასეთი ვაჟკაცის დაღუპვა ანდროს. დაეჭვდა. ვინ იცის იქნებ მართლა გიჟია, მართლა უელისო — გაიფიქრა. ახლო მივიდა და მხარზე დაადვა ხელი.

— მურად, რა ჩაიდინე?—შეეკითხა იგი ტკბილი ხმით.

მურადმა არაფერი უპასუხა.

— არ მეტყვი რა ჩაიდინე?—გაუმეორა ანდრომ.

მურადმა თავი ასწია, პირდაპირ შეხედა ანდროს და ორი მარგალიტის მგავსი ცრემლი გადმოვარდა თვალებიდან.

— რა მოგივიდა მურად? ავად ხარ?—მკლავზე მოჰკიდა ხელი ანდრომ და თვალებში ჩახედა.

— არა. — თავის გაქნევით დაადასტურა უარი მურადმა.— არა, ავად არ ვარ.—გაიმეორა კიდევ — მაგრამ სიკვდილი მირჩევნია...—ვერ დაამთავრა სიტყვა. ცახცახი აუვარდა და სახეზე ალმურმა მოედო.

— წადი სახლში, მოისვენე.. დამშვიდდი. — მხარზე ხელის დადებით უთხრა ანდრომ, როცა შეატყო, რომ არ იძროდა.

— სახლში?—გაიმეორა მურადმა. შემდეგ თავი ასწია და ანდროს შეხედა—შენ?—კითხა მან.

— მოვრჩები საქმეს და მოვალ.

მურადმა მწარედ გაიღიმა, შემდეგ თავი ჩაიქნია.

— მოხვალ! — თითქოს თავს დაცინისო, ისე წარმოსთქვა მან და მაგრად მოკუმშა თითები.

ანდრო მიუხვდა, მაგრამ არ აგრძნობინა.

— წადი მეთქი. ცხენი მოშივებულია. წაიყვანე, აქამე რამე, თორემ შეიძლება კიდევ რამდენიმე საათი დამაგვიანდეს.

მურადს სახე გაუბრწყინდა. უცებ მიტრიალდა. ალუბალზე ჩიბმული ცხენი ახსნა და ანდროს მოუბრუნდა.

— ხომ ხედავ. აი იმ სახლში ვცხოვრობ.—თითი გაიშვირა მან თავისი სახლისაკენ. შემდეგ მიუბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

გლეხებმა თვალი გააყოლეს მიმავალ მურადს, შემდეგ ანდროს ახედ-დახედეს და ერთმანეთს ჩაულაპარაკეს.

— ვინ იცის, იქნებ არ იყოს დელი. რას იტყვი, დურსუნ ეფენდი?—შეეკითხა ერთი გლეხი თავმჯდომარეს.

თავმჯდომარემ მწყრალად გადახედა გლეხს.

— შენი ჭკუისაა! — მიუგო მას და ანდროს მიუბრუნდა წამობრძანდით ამხანაგო!—მიტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

გლეხებმა თვალებით გააცილეს ისინი. შემდეგ ერთმანეთს გადახედეს და თავიანთ გულშიც ჩაიხედეს.

II

ბუდიდან ამოფრენილი წიწილი ნაილემ კარებთან მიამწყვდია, დაიჭირა, ხელში აიყვანა და მიიხუტა გულზე.

— აი, შე ცელქო, გარეთ გავარდნას ფიქრობ? — თავზე აკოცა,—ჯერ პატარა ხარ. გაიზრდები და მე თვითონ გაგიშვებ გარეთ.—წაიყვანა და ჩასვა ბუდეში, რომელშიაც თუთხმეტამდე წიწილი კიდევ იყო, და ზემოდან ძველი ტომარი წააფარა.

კარებზე ვილაცამ ფრთხილად დააკაკუნა.

ნაილე სწრაფად მიტრიალდა. კარებთან მიირბინა და სმენად იქცა.

— ნაილე, სახლში ხარ?—მოისმა გარედან, თან ფრთხილი კაკუნიც განმეორდა.

— ნაზიმე!—შესძახა ნაილემ და კარები გააღო.

სახლში საშუალო ტანის, ლამაზი სახის და მოხდენილი აგებულების ქალიშვილი შემოვიდა. უფრო კი შემოვარდა, ვინემ შემოვიდა.

— მარტო ხარ?—ჰკითხა მან ნაილეს შემოსელისთანავე.

— ელბეთ. რა მოგვივიდა.

— არაფერი. მარტო მინდოდა მენახე...—იაზმა, რომელიც თავზე ჰქონდა შემოხვეული, მოიძრო და ნაილეს მოახვია.

— წავიდეთ ოთახში.—ნაილემ ხელი მოხვია ამხანაგს წელზე და სასტუმრო ოთახში შეიყვანა. — დაჯექი — განიერ ტახტზე დასვა და თვითონაც მიუჯდა.

— ვერაფერი მოაფერე?—თვალებში ჩახედა ნაილემ ამხანაგს.

— ვერა.—უპასუხა სტუმარმა და თითებს მტვრევა დაუწყო.

— რას აპირებ მერე?

— თავი უნდა მოვიკლა. ისეთი კაცის ხელში ცხოვრებას სიკვდილი ბევრად სჯობია.—ცრემლები მოადგა თვალებზე და იაზმით მოიწმინდა.

— რას ბეჩობ.—ხელზე მოჰკიდა ხელი ნაილემ,—თავის სიკვდილი რამ გაფიქრებინა?

— აბა რა ვქნა, თუ არ მინდა იმ კაცთან ცხოვრება?!

— ნუ წაყვები, უარი უთხარი. არ მინდა გათხოვებათქო.

ნაზიმემ ამოიოხრა.

— ჩემს დღეში რომ იყო, წყალში გადავარდებოდი... ბედნიერი ხარ ნაილე, ნეტავი შენ, ვისაც გინდა იმას გაყვები. ვერც მამა დაგიშლის, ვერც დედა...

— ობლობას ნატრობ?

— გლახა პატრონს უპატრონობა სჯობია... უბედურები ვართ ჩვენი ქალები. ვისაც გვინდა ვერ წავყვებით, ვისთანაც გვინდა ვერ მივალთ. რა გვსურს ვერ ვიტყვით... გიაურები გლახაა, მაგრამ... იმათი წესი კი...

— კიდევ გიაურობა!—წყრომით სთქვა ნაილემ.—ყველა ავი კაცია გიაური. ჩვენ რომ გიაურებს ვეძახით, ისინი ნამდვილი ადამიანებია. ხომ გახსოვს, მასწავლებელი ქეთო რომ ამბობდა, ადამიანი ყველა ერთნაირია, ყველას ერთნაირი ცხოვრება უნდაო. ქალი და კაცი თანასწორი უნდა იყოსო...—ჩაფიქრდა ნაილე—ჰო, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიო," იცი, რას ნიშნავს ეს?

— არა.

— თურმე ხემლწიფეს მხოლოდ ქალიშვილი ყავდა. როცა მეფე მოხუცდა, დაფიშმანდა, ჩემს მაგივრად ხელმწიფედ ვინ დავსვაო. შეკრიბა ბრძენი კაცები და რჩევა სთხოვა.

— შენი ქალიშვილი დასვი ხელმწიფედო—უთხრეს თურმე, ქალია მარა სულ ერთია—ლომის ლეკვი დედალი იქნება თუ მამალი, მაინც ლომიაო... ხომ გაიგე. ქეთომ მელაპარაკა ეს ამბავი... ცოტა ხანს იყუჩა და შემდეგ განაგრძო.—ის რომ ახლა აქ იყოს, დაგეხმარებოდა. ხომ იცი რას ამბობდა: ძალად გათხოვება აკრძალულია, მთავრობა დასჯის თუ გეიგოო... ჰოდა ასეა. მურადი რომ მოვა, იმას ვკითხავ. მან იცის მთავრობის ამბები.

— მურადს... — უნდოდა ეთქვა არაფერი დაეჯერება, დელიაო, მაგრამ ვერ გაბედა. იცოდა, ნაილე არავის აპატიებდა ძმის გალანძღვას და ამიტომ სიტყვის დაუმთავრებლად დატოვება ამჯობინა.

— მურადს არ დაეჯერებაო, გინდოდა გეთქვა?—მიუხვდა ნაილე ამხანაგს—ნახავ თქვენ, თუ მურადი დელია. დაიცათ. მოვაგროვო ფულები, ბათუმში წავიყვან, აქიმებს გავასინჯებ, ქელელს გამოვართმევ და ამოვიტან. მურადი რომ დელი იყოს, ასე იქნება?!

ნაზიმემ შეატყო, ეწყინა ამხანაგს და უხერხულობა იგრძნო.

— არა, ნაილე. რახან ვთქვი, დელია მეთქი... არა, მასე არ მინდოდა მეთქვა.—დაიწყო თავის მართლება მან.

— შენ კი არა, სხვებიც დელს ეძახიან. მაგრამ ვნახოთ—ვიწრო ფანჯარაში გაიხედა, გული დაეწვა, რომ მის ერთადერთ ძმაზე ასეთი წარმოდგენა აქვთ. დელად, გადარეულად სთვლიან. მაინც სადაა, ამდენი ხანია, გაიფიქრა. სამი დღეა წასულია სადღაც და ნაილეს სტანჯავს მასზე ფიქრები.

კარგახანს ისხდნენ ქალიშვილები და თავთავიანთ ფიქრებს ესაუბრებოდნენ. ნაილე ძმაზე ფიქრობდა, ნაზიმე—მომავალ საქმროზე, რომელიც მის მშობლებს აკვანშივე გამოენახათ მისთვის. ექვსი თვის ნაზიმე დაენიშნათ ერთ გლეხის შვილზე, მაგრამ თექვსმეტი წლის ნაზიმეს ალარ უნდოდა მითხოვება მშობლების მიერ არჩეულ საქმროზე.

არც ნაზიმეს მშობლები იყვნენ მაინცადამაინც კმაყოფილი მათ მიერ არჩეული სასიძოთი. თექვსმეტი წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოიცვალა და ამ ცვლილებამ მათზედაც მოახდინა

გავლენა, მაგრამ სიტყვის გატეხა, უარის თქმა და ნიშანის დაბრუ-ნება უბედურებას მოასწავებდა. ხშირად საშვილიშვილო სისხლი ითესება ასეთი საქმის გამო. მშობლებს ექვსი შვილი ჰყავდათ ნაზიმეს გარდა და ამდენი ადამიანის გაუბედურებას ისევ ნაზიმეს გაუბედურება სჯობდა.

ამის გამო იყო, რომ ისინი ვერაფერს ბედავდნენ. ხოლო ნაზიმე თავის გულში იწვოდა და იხრაკებოდა. არ უნდოდა და არა, გაყოლოდა მისთვის არა საყვარელ ადამიანს, თუმცა საქმროს ოჯახი არც ისე დასაწუნი იყო და არც საქმრო იყო ცუდი ბიჭი.

— კაცი მიყვარდეს და თუნდაც არაფერი ჰქონდეს!—ამბობდა ის თავის გულში. ყველა უფრო მოსწონდა, ვიდრე მშობლების მიერ არჩეული საქმრო. რატომღაც ეჯავრებოდა ნურის დანახვა. ნეტავი მოკვდებოდესო, ნეტავი მეწყერს მოყვებოდესო—ნატრობდა. სრულიად უდანაშაულოდ სწყევლიდა ახალგაზრდა კაცს.

ნური კი შორიდან ადევნებდა თვალყურს საცოლეს. კმაყოფილი იყო ბედისა და მშობლებისაც, რომ ასეთი კარგი ქალი დაუბევეს მას თავის დროზე და დღედღეზე ელოდა ნაზიმესთან შეუღლებას, წინასწარ ოცნებობდა მომავალ ბედნიერებაზე, ოჯახზე, შვილებზე, მტერ-მოყვარეზე და სრულიად არ ფიქრობდა იმაზე, თუ ამ დროს რას გრძნობდა მისი დანიშნული.

— გლახა ბიჭი არაა ნური.—თითქო ახლა მოაგონდაო, ისე უთხრა ნაილემ ამხანაგს კარგახნის სიჩუმის შემდეგ.

ნაზიმე გამოერკვა ფიქრებიდან. იაზმის ყურით ამოიწმინდა თვალები და ამხანაგს შეხედა.

— არ მიყვარს, არ შემიძლია მასთან ცხოვრება. გესმის?! არ შემიძლია! გლახაა-მეთქი არ ვამბობ. ბევრს სჯობია ჩვენს ბიჭებში, მაგრამ არ მომწონს. იქნებ იმიტომ, რომ ჩემი სურვილის გარეშე ამოირჩიეს. ხომ იცი, რაც შენ არ აგირჩევია, არ მოგეწონება.

— იქნებ არჩევა არ შეგიძლია, რა უშავს სხვის არჩეულს?

— მაინც ჩემი არჩეული მირჩევნია.... ჰო, ნური გლახა ბიჭი კი არაა, მაგრამ მე რომ არ ამირჩევია ის, ამიტომ არ მომწონს.

— მართალი ხარ.—დაუმოწმა ნაილემ. — შეუთვალე უარი. იქნებ დაგეთანხმოს. შეუთვალე—არ მიყვარხარ, არ შემიძლია შენთან ცხოვრებათქვა. ნუ დამღუპავ, თავსაც ნუ გაიუბედურებთქვა.

— მერმე რას იტყვის, დამეხსნება გგონია?!

— ვინ იცის, იქნებ დაგეხსნას. ქალების მეტი რაა!.. სხვას შეირთავს.

— ვინ მივუგზავნო, ვინ გაუბედავს მაგის თქმას! არც მშობლები დაეთანხმებიან.

— მშობლები არაფერია. ვაჟი უფრო ადვილად დაითანხმებს მშობლებს. არ მომწონს ქალიო, — იტყვის... მიზეზებს მონახავს. შენ მხოლოდ ნური დაითანხმე.

ნაზიმეს წუთით სახე გაუბრწყინდა.

— ის რომ ჩემზე უარს იტყოდეს, მე არ შემირთავდეს, ყველაფერზე თანახმა ვიქნები. სამუდამოდ ავიღებ გათხოვებაზე ხელს... ნაილე, შენ გეყურბანე, მომიხერხე რამე, დამეხმარე. გეყოლება ვინმე, მიმეგზავნოს, უთხრას ჩემი დარდი...—თვალებზე ცრემლები მოადგა და სიტყვა ვერ დაამთავრა.

— მოგიხერხებ.—მტკიცედ უთხრა ნაილემ. შემდეგ ჩაფიქრდა. ახლა დაიწყო ძებნა, რომელი ივარგებდა ნურისთან მისაგზავნად. რამდენჯერ გაიფიქრა—მურადს მივუგზავნი, ყველაზე უფრო დამეგობრებულია ის ჩემს ძმასთანო, მაგრამ არ დაუჯდა. იქნებ ეკვი დაეპადოს, იფიქროს თავისთვის უნდაო და გადაემტეროს. ნუ გეშინია ნურის მეტი ამხანაგი არ ყავდეს. ერთადერთი ნურია, რომელიც დელს არ ეძახის. კაცად მიაჩნია.

ნაილეს თითქოს ამ მოგონებაზე შეუყვარდა ნური. გახედა ნაზიმეს, რომელიც თავდახრილი იჯდა. ნეტავ რაზე არ მოსწონს ამ გომბიოს ისეთი კეთილი ადამიანიო—გაიფიქრა.

— მე მივალ. თვითონ ვეტყვი ყველაფერს.—გადაწყვეტით უთხრა მან ნაზიმეს.

— შენ?

— რა უშავს?

— ხისიმია შენი?

— არა, მაგრამ...

— სხვა კაცთან რავა მიხვალ აბა!

— რა მიშავს, ხომ არ შემჭამს. ამხანაგისათვის მეტი საქმე უნდა გააკეთოს კაცმა...

— არა. არ ივარგებს.

— რატომ?

— გაიგებენ. თავი მოგეჭრება. ჭორებს დაგიყრიან: თვითონ უნდოდა ნური საქმროდო. ესეც არ იყოს, ახალგაზრდა კაცთან ლაპარაკს ცეცხლთან შებრძოლება სჯობია.

ნაილე ჩაფიქრდა.

— მართალია, ნაზიმე, რას იტყვიან, რომ გაიგონ—ნაილე მივიდა ნურისთან მარტო, ელაპარაკაო... მართლა არ შეიძლებაო, გადაწყვიტა. ქვეყანა ახმაურდება. თითქოს მეტი არაფერი ჰქონდეთ საქმე...

საშინელია ჭორი. უცებ გააღებს პირს და აქაქანდება.

ნაილეს პირდაღებული ვეშაპი წარმოუდგა თვალწინ.

— ნეტავ ენა არ ჰქონდეს ადამიანს,—გაიფიქრა—მაშინ არც ჭორი იქნებოდა, არც შური და მტრობა.

— კარგი, სხვა ვინმეს მოვნახავ... დაიცა, დაიცა! მასწავლებელს ვეტყვი. ის კარგი ამხანაგია ნურის. ყველაფერს მოახერხებს.

— მასწავლებელი?

— ჰო, ახალმოსული რომაა.

— იცნობ?

— არა, მაგრამ რა უნდა მის გაცნობას?

— როგორ? შენ უნდა გაეცნო?

— რა უშავს! შინ მოვაყვანინებ მურადს. სადილზე დავპატიჟებ. მაშინ ვეტყვი.

— შენ?

— გინდა შენც მოდი. თვითონ უთხარი.

— ჩემი სიკვდილი!.. რას ამბობ ნაილე? რას იტყვის უცხო კაცი!

— რა უნდა თქვას. საქართველოში ქალები ხომ ლაპარაკობენ მამაკაცებთან? მას არ გაუკვირდება. მე აკაკის არ ვემალები, რომ დამირჩეს შემთხვევა, გავყვები საკუთარ ძმასავით.

— ნუ მაბეჩებ!

— გეფიცები! ძმასავით მიყვარს!

— უცხო კაცი?

— მერე რა! ხომ გეუბნები, ძმასავით მეთქი. აკაკი ცოლშვილიანია.

— ბეჩი!...ცოლშვილიანია. კაცებმა რა იციან ცოლშვილიანობა!

— პატიოსანია...კაცი ხომ ყველა ერთნაირი არაა. უსინდისო კაცებშიც არის და ქალებშიც.

— არ ვიცი, მე ჩემი დარდები მაქვს.—ნაღვლიანად სთქვა ნაზიმემ, წამოიწია და ფანჯარაში გაიხედა.

— უიმე, მურადი მოდის!—უცებ ჩამოიბურა სახე და გასაქცევად მოემზადა.

— რა ამბავია?—შეაჩერა ნაილემ,—მურადი ხომ უცხო არაა. არ გახსოვს, ბავშვობისას მხარზე რომ შეგვიჯენდა და ისე წაგვიყვანდა სათამაშოდ?

— მაშინ სხვა იყო... გამიშვი, გამიშვი ნაილე.—თავპირი შეიხვია, კარი გააღო და ისე გაიქცა, თითქოს ვინმე მისდევსო.

ეზოში შემოსულ მურადს ცხენი მოყავდა. ნაილემ შენიშნა, რომ მურადი რაღაცით კმაყოფილი იყო, უღიმოდა თვალები.

— ვისია, მურად, ცხენი?—მიეგება ნაილე ძმას. პირდაპირ შეხედა თვალებში და გაულიმა.

— სტუმარი გვეყოლება—უპასუხა დას მურადმა და საბჭოს შენობისაკენ გაიხედა.

— ვინ არის?—გაიკვირვა ნაილემ, რადგან შემთხვევა არ ახსოვდა, რომ მურადს სტუმარი მოეყვანოს შინ.

— მთავრობის კაცია. ამბობს, პარტიამ გამომგზავნაო—კიდევ მიიხედა უკან.—მოვა აქ. შეიძლება...—განგებ არ დაამთავრა სათქმელი.

— მურად!—შესძახა ნაილემ.

— რა იყო?

— ჩვენ რა გვაქვს, რომ სტუმარს ვემსახუროთ?

— არაფერსაც არ თხოულობს. მარტო ბინა უნდა. შენ სადილს გაკეთებაც იცი.

— გაკეთება! გაკეთებისათვის გასაკეთებელია საჭირო. არა, ფანსას მთავრობის კაცი როგორ დადგება?—ფერი ეცვალა ქალიშვილს.

— შემპირდა, უსათუოდ დავდგებიო, ცხენიც გამომატანა. აი, ეზოში დგას?—ცხენი ვაშლის ხეზე მიაბა, ლაგამი გამოაცალა და ხმელი ბალახი დაუყარა.

— უხუმრია, მურად...არ დაიჯერო...—გული აუტოკდა ნაილეს.

— დაიფიცა, ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევო...

— ბოლშევიკურსო?—სერიოზული სახე მიიღო ნაილემ.

— ჰო, სხვაგან არსად დავბინავდებიო.

ნაილე წუთით ჩაფიქრდა. შემდეგ სწრაფად ასწია თავი და მურადთან მივიდა.

— ჩვენმა კრუხმა თვრამეტი წიწილი გამოჩეკა. ჯაქვედან და ნაცარამ კვერცხის დება დაიწყეს. თუ სტუმარი გვეყოლება, საქმადზე არ შევწუხდებით. იაღიც მაქვს, მაწონიც, კაიმალიც, კვერცხიც, მაგრამ მჭადი რომ არ გვაქვს!...

— მჭადი!..—გაიმეორა მურადმა.—ვის გამოვართვათ მჭადი?

— არავინ არ მოგვცემს.

მურადს ფერი ეცვალა.

— მთელი დღე უქმელია კაცი!—ჩაილაპარაკა. მან ... ... რომ არაფერი ვაჭამოთ...—თავი ... ...

— ახლა?

— ჰო, მთელი დღე არაფერი უქამია. ... ...

— დღეს და ხვალ საყოველთაო ... ...

კაცია? აი ნახავ, წიგნის კითხვას გასწავლიო, პარტიაში ჩაგწერო. ნაილე, დამეხმარე. წავიდეთ, ოთახი დავალაგოთ. ხომ იცი, ქეთომ რომ იცოდა ოთახის დალაგება, ისე დავალაგოთ!—ხელი მოკიდა დას და სახლისაკენ გაარბენინა.

მზე კარგა გადაიხარა. და-ძმამ დიდი ხანია დაალაგეს ოთახი, განიერ ტახტზე ნაილემ სქელი ლეიბი გააგო, ახალი ზეწარი გადააფარა და ზედ აბრეშუმის საბანი გაშალა. ეს ერთი ხელი ლოგინი ჰქონდა მას უცხო სტუმრისათვის შემონახული. ის დედამ დაუტოვა, ასე გამზადებული. ნაილეს ის ჯერ არავისთვის დაუგია. ან ვინ უნდა მისვლოდა ასე საპატიო! ფანჯარაზე დოლბანდი ჩამოაფარა, იატაკზ დედისეული ძველი ხალი გაშალა და აქა-იქ კედლებზედაც მიაკრ სხვადასხვა სურათები.

სადილიც მზად ჰქონდათ. მჭადი უკვე გამომცხვარიყო. კვერ ხიც მოეხარშნათ და წვნიანი შეჭამადისთვისაც მზად ჰქონდათ სპ ლენძის თეფშები.

მურადი მალიმალ გამოიხედავდა გარეთ, იქნებ მოდისო, მაგ რამ სტუმარი ჯერ არსად ჩანდა. რაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო მეტი და მეტი მღელვარება ემჩნეოდა მას. რამდენი რა გაიფიქრა. ბოლოს მაინც გადაწყვიტა საბჭოსკენ გავლა, გამოვიდა, ნაილეს დაუბარა, მალე მოვალო და წავიდა, მაგრამ ჭიშკართან მივიდა თუ არა, დაინახა ანდრო და თავმჯდომარე მისკენ მომავალი.

მურადი უცებ მოტრიალდა. ნაილე გააფრთხილა, კიდევ გადაავლო თვალი ანდროსათვის გამზადილ ოთახს, შემდეგ გარეთ გავარდა და სტუმრებს ჭიშკართან დაუხვდა.

— მობრძანდი.—საკუთარ სახლკარს გადახედა—ეს არის ჩემი კარმიდამო...ღარიბი ვარ, მაგრამ...—ლოყები გაუწითლა სირცხვილმა.

თავმჯდომარემ მკვახედ გადახედა მურადს და შემდეგ ანდროს მიუბრუნდა.

— ვერ მოეწყობით, ამხანაგო ანდრო, აქ. დამიჯერეთ, უფრო კარგად მოგათავსებთ! წაიყვანე, მურად, ცხენი იუსუფ-აღასას!—ბრძანების კილოთი მიმართა მურადს.

ასეთი შეურაცყოფა თავის დღეში არ განუცდია მურადს. საშინელი ტკივილები იგრძნო გულის არეში. ყელში მოაწვა ბოლმა, მაგრამ შესძლო თავის დამორჩილება, უხერხულად გაიქნია თავი და ანდროს შეხედა.

ანდროს თითქოს არ გაუგონია თავმჯდომარის სიტყვებიო, მურადთან მივიდა და მხარზე დაკრა ხელი.

— აბა, ჩემო მასპინძელო, გამიძეხ!—შემდეგ თავმჯდომარეს

მიუბრუნდა, ხვალ მოვილაპარაკოთ კიდევ იმ საქმეების შესახებ. თუ საბჭოსაც შეკრებ, ძალიან კარგი იქნება.

— კარგი —დაეთანხმა თავმჯდომარე,—ჯუმა-ღლეა და ხალხიც თავისუფალია. რა დროისათვის აჯობებს?

— თქვენ უფრო იცით. შეიძლება შუადღისას, თუნდ საღამოს, როგორც აჯობებს. პარტიის წევრი რამდენი გყავს საბჭოში?

— სამი კაცია, მეოთხე მე ვარ, მაგრამ ჯერ მარტო კანდიდატობის მანდატი მაქვს.

— ჩვენ უფრო ადრე შევიკრიბებით. ამხანაგებს გავეცნობი. მოსალაპარაკებელიც მაქვს ზოგი რამ.

— კარგი, შეეკრიბავ...—წასვლა დააპირა, მაგრამ ისევ მობრუნდა და ანდროს მიმართა.

— ნუ დაგეხათრებათ. წამოდით ჩვენსას. თქვენ იქნებ სულ სხვა მოსაზრებით არ გინდათ იუსუფ-აღასას დაბინავება. ჩემსას მოთავსდით, არც ისე კარგად ვცხოვრობ, მაგრამ ერთი და ორი კაცის პატივისცემა არ გამიჭირდება.

ანდრომ მადლობა გადაუხადა.

— არა უშავს, აქაც მოვეწყობი, მურადი ოთახის დათმობას შემპირდა და სხვა არ მინდა რა...ოთახი ხომ გაქვს, მურად?— მიუბრუნდა მურადს.

— ელბეთ არის.—მოკლედ მიუგო მურადმა.—წამოდი, ნახე.

ანდრომ ხელი გაუწოდა თავმჯდომარეს.

— ნახვამდის, დურსუნ. ხვალ დილით ადრე მოვალ.—ხელი ჩამოართვა და მურადს წამოყვა სახლისაკენ.

დურსუნი ერთ ადგილას იდგა იმ დრომდე, სანამ სტუმარ-მასპინძელი შინ შევიდოდნენ. მაშინ მიბრუნდა, ერთი მაგრად გააფურთხა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

ანდროს მოეწონა მისთვის გამოყოფილი ოთახი. ის მრავალ ოჯახში იყო ნამყოფი, მრავალ მდიდარ თუ ღარიბ გლეხისას გაეთია ღამე ზემო-აჭარაში, მაგრამ არსად ასე არ მოსწონებია. თითქმის ყველგან და ყველასას ერთნაირი შმორის სუნი იდგა. ეს იმიტომ, რომ პირველ სართულში პირუტყვები ცხოვრობდნენ და ხის იატაკიდან ამოდიოდა ნეხვის სუნი.

ამით განსხვავდებოდა მურადის ბინა. აქ უფრო კარგი ჰაერი და შესაფერი სისუფთავე იყო.

— საქონელი არ გვყავს და იმიტომაა ასე—აუხსნა მურადმა. —ახლა, რომ შევეჩვიე, მეც მიჭირს სხვისას ღამის გათევა. მიკვირს, როგორ ვერ ვამჩნევდით წინათ.

— უპირუტყვობაც არ ვარგა, ამხანაგო მურად. ძროხა აუცილებლივ უნდა გაიჩინო, თხებიც, ცხვრებიც...

— მერე ხომ ისევ ისეთი სუნი დადგება!

— რატომ? განა ბოსელი არ შეიძლება გამოეყოთ ცალკე?

— ცალკე. მართალია, შეიძლება ბოსელის ცალკე გამოყოფა,— გაიღიმა მურადმა.—დაჯექი, ახლავე სადილს მოვიტან.—ოთახიდან გავიდა სამზარეულოში, სადაც ნაილე პატარა დაბალფეხიან მრგვალ მაგიდაზე სადილს ალაგებდა.

— ყველაფერია?—შეეკითხა მურადი დას.

— ყველაფერი.—კიდევ დაათვალიერა.—დაიცა, მარილი კლებია.—თეფშზე მსხვილად დანაყილი მარილი დაყარა და მაგიდაზე დადგა.

— აჰა, წაიღე, წყალი თუნგით დგას ბუხართან. ახალმოტანილია. ჭიქაც იქვეა.

— შენ არ წამოხვალ?—ფრთხილად შეეკითხა მურადი დას და თვალებში შეხედა.

— მეე?!.—გაიკვირვა ნაილემ.

— რა უშავს!—უფრო ფრთხილად უთხრა მურადმა,—ქალები იქ არ ემალებიან კაცებს.

— იქ სულ სხვაა.

— თუ აკაკისთან გამოდიხარ?—იპოვა საბუთი ძმამ.

— იმას შევეჩვიე, შენსავით მიყვარს. ჩემი და ხარო მეუბნება, მის ცოლს ვიცნობ და შვილს...ეს კი...

— უფრო კარგი ხასიათისაა... სულერთია, ხომ უნდა დაენახვო მაინც, დაელაპარაკო, სადილიც გაუკეთო. წიგნიც ისწავლო.

— შენ მირჩევ?

— რა უშავს!

— რას იტყვიან! ხომ იცი, რა იციან ჩვენში. არა, მურად, მასე არ ივარგებს.—თავი გააქანა ნაილემ.

— ვისი გეშინია!—ცოტა არ იყოს მწყრალად სთქვა მურადმა —დედა არ გვყავს და მამა. შენი პატრონი მე ვარ, რასაც გეტყვი, უნდა დაიჯერო—მე ხომ შენი მტერი არა ვარ!

— არა, მაგრამ სოფელს ანგარიშის გაწევა უნდა. ჩვენ აქ ვცხოვრობთ. როგორი ადათიც არის, ისე უნდა ვიცხოვროთ. ნაზიმეს ორი სიტყვის თქმაც ვერ გაუბედავს კაცისთვის...მართლა, მურად, უთხარი ნურის, ხელი აიღოს მაგ გოგოზე. არ უნდა ნაზიმს მასზე გაყოლა.

— მერე ვინ ატანს ძალას!

— მშობლები. ნურის მშობლებს აკვანშივე დაუნიშნავთ ნურისათვის. ახლა სიტყვის გატეხის ეშინიათ, ხომ იცი რა მოყვება სიტყვის გატეხას. უთხარი, იქნებ დაგიჯეროს. ქალების მეტი რაა, უკეთესს შეირთავს.

მურადი ჩაფიქრდა.

— კარგი, ვნახოთ... ვეტყვი, უსათუოდ ვეტყვი.— დაავლო ხელი მაგიდას, ასწია და ფრთხილად გაიტანა.

— მოგშივდებოდა. მართალი რომ გითხრა, მეც მომშივდა.— მაგიდა იატაკზე დადგა და აქეთ-იქედან ორი სამფეხა სკამი მიუდგა.

— დაჯექი, ვისადილოთ... აი აქ.—მიუდგა სკამი ახლოს. ეერაა ჩვენში ყველაფერი კარგად. ჯერ კიდევ ვერ ბედავენ ჩვენი ქალები უცხო კაცთან გამოჩენას. რას იზამ, ასეთი ადათი ჰქონიათ ჩვენს ძველებს და არ უნდათ მოშალონ.

— არა უშავს, ამხანაგო მურად, სწავლა-განათლება შემოვა, განვითარდებიან, გადახედავენ ცხოვრებას და მაშინ ქალებიც გამოვლენ ისე, როგორც მამაკაცები. არც იმათ დაერიდებათ და შერცხვებათ. უარს არ იტყვიან, მონაწილეობა მიიღონ ჩვენს მშენებლობაში.

— ქალები!— შეაჩერა მურადმა ანდრო.— ჩვენი ქალები კაცებზე მეტად არიან დაინტერესებული ქვეყნის საქმეებით. შენ არ იცი, ქმრების რომ არ ეშინოდეთ, ჩაჩაბსაც არ აიფარებენ. კაცები, კაცებია აქ დამნაშავე, ქმრები.

—შენ არ აუკრძალავდი ცოლს უცხო კაცთან პირახდილ შეხვედრას?— ღიმილით კითხა ანდრომ.

— მე რატომ ავუკრძალავდი. არც შევირთავ ისეთ ქალს, თუ კარგად არ ვიცნობ. ვინ დამიშლის. დედა არ მყავს და მამა. ნაილე ჩემი აზრისაა. შერცხვა ახლა შემოსვლა. ჯერ მაინც ვერაა გაბედული, ხალხის ეშინია... სახელი წამიხდებაო.. სულერთია, მაინც შემოვიყვან. რახან ჩვენს ოჯახში დაბინავდი, ჩვენად ითვლები. ვითომც ძმა ხარ ჩვენი. რატომ უნდა გერიდებოდეს ჩემი და... ბრძანეთ! ბრძანეთ!—გადაუდგა თევშით მოტაფული კვერცხი.—ბრძანეთ! ჩვენში ღვინო არ მოდის, არც სვამენ, თორემ... მეც არ დამილევია. მინდოდა მესინჯა, ბათუმში რომ ვიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე ყიდვა. რა ღვინო გინდაო მკითხეს. ვერაფერი ვუპასუხე. არ ვიცოდი რანაირი არსებობს ღვინო. შემრცხვა და წამოვედი. არ მოდის ჩვენში ყურძენი, თორემ გავაკეთებდი... გიყვარს შენ ღვინო?!

— არც ისე. ხანდახან ვსვამ კი, ზოგჯერ უხდება სხეულს.

— ამბობენ ადელებს კოცსო.

— ვინც ბევრს დალევს კარგ საქმეს არ წაჰკიდებს.—უპასუხა ანდრომ და სადილობას შეუდგა. არაფერი ეჭამა მთელი დღის განმავლობაში და მოშიებოდა.

სადილობის დროს არ გალაპარაკებიან ერთმანეთს. სჭამდნენ თავდახრილი. ორივენი ერთი თევშიდან სვლეპდნენ მაწონს და აჭმევდნენ კარგად გამომცხვარ სქელ მჭადს.

სადილის შემდეგ მურადმა აალაგა მაგიდა, ისევ გაიტანა ოთახიდან და მალე დაბრუნდა.

ანდრომ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ამოალაგა პორტფელიდან, მიიხედ-მოიხედა, მაგიდა არსად იყო, რომ ზედ დაეწყო, და ამიტომ ტახტზე დაყარა. ეს ტახტი გრძელი და განიერი იყო, მთელი ოთახის სიგრძეზე გაკეთებული. ზედ შეიძლებოდა გაშლილიყო ორი ლოგინი და დაწოლილიყო შვიდი-რვა სული. ახლა ამ ტახტის მხოლოდ ნახევარი იყო დაგებული, მეორე ნახევარი კი სრულიად თავისუფალი. ანდრომ ნივთების დასაწყობად გამოიყენა თავისუფალი ნაწილი და ზედ წიგნები დაალაგა.

— მაგიდა დაგვჭირდება—უთხრა მან მურადს, როცა შეატყო, რომ ტახტი ვერ შესცვლიდა მაგიდას.

— მაგიდა. მაგიდას გავაკეთებინებ.—ჩაფიქრდა მურადი, ისევ ფეხებზე დაიხედა და გაჩუმდა.

— შენ დურგალი მომიყვანე, გაკეთებინება ჩემი საქმე იყოს. ჰო, მართლა, მურად, ხვალ ხულოში უნდა გაგაგზავნო, იქედან რაღაცები უნდა წამომიღო და ცხენიც მიუყვანო პატრონს. ხომ არ შეგეზარება?

— რატომ შემეზარება! ჩემი საქმე სიარულია. დილას წავალ ადრე და საღამოს აქ გავჩნდები. თუ დამაგვიანდეს, არა უშავს, ღამით სიარულისაც არ მეშინია.

მოილაპარაკეს ხვალინდელ გამგზავრებაზე. დავალება ჩამოუთვალა ანდრომ და შემდეგ სთხოვა წასვლისას კიდევ ენახა და მოლაპარაკებოდა.

III

ჯერ კარგად არც კი გათენებულიყო, რომ მურადმა ანდროს ოთახის კარებს დაუკაკუნა.

— მივდივარ, რას დამაბარებ კიდევ?—დაუძახა მან კარებიდან.

ანდრო წამოდგა, კარი გააღო და მურადი ოთახში შემოიყვანა.

— აი რა, ჩემო მურად. ფოსტაში ჩემს სახელზე წერილები, ჟურნალ-გაზეთები და წიგნები იქნება. მაზრკომში შეივლი და ეტყვი, რომ ჩემგან ხარ გამოგზავნილი, გამოგატანებენ რამეს და წამოიღე. ჰო, მართლა..—ფული ამოიღო ჯიბიდან—კოოპერატივში შეხვალ, შარვალს, ხალათსა და ფეხსაცმელს იყიდი შენთვის და თუ მოგრჩება, შენი დისთვისაც წამოიღე რამე.

მურადმა ტყვიანაცემივით დაიხია უკან.

— არა, არ წავიღებ. ტანზე ისედაც ვიყიდი. შენ რატომ უნდა მომცე, ბავშვი ხომ არ ვარ! არა, არ წავიღებ!

—მურად!—შესძახა ანდრომ.—საჩუქარს როდი გაძლევ! აი, დაითვალე. შვიდი თუმანია. ნაწილნაწილად უნდა გადამიხადო. მე ხომ აქ ვრჩები. ამჟამად მე ფული მაქვს. აქ არ მჭირდება. რად მინდა უქმად ჯიბეში მეწყოს. წაიღე, წაიღე, ნუ გრცხვენია. გეუბნები სესხად გაძლევ მეთქი. სინდისს გეფიცები, გადაგახდევინებ.

ძლივს დაარწმუნა, რომ სესხად აძლევდა. შვიდი თუმანი ჩაუთვალა და კიდევ გაუმეორა დავალება.

მურადი წავიდა.

ადრე იყო, მაგრამ ანდრო არ დაწოლილა. ტანზე ჩაიცვა, ხელპირი დაიბანა და გარეთ გამოვიდა.

ჯერ კიდევ ეძინა სოფელს. ბოსლიდან მოისმოდა მხოლოდ პირუტყვის შეღმუვლება. ეჩქარებოდათ სუფთა ჰაერზე გამოსვლა, ნამიანი ბალახის ჭამა და თავისუფლად განავარდება.

ანდრო გავიდა ეზოდან, სერზე ავიდა და ჯამეს ახლო მაღლობზე გაჩერდა.

სუფთა ჰაერი იყო აქ. უხვად დანაწულ ბალახს ზედმეტი მწვანე ფერი მისცემოდა. მობიბინე სიმინდის ყანები ამ დილით უფრო კარგი სანახავი იყო.

ანდრო კარგახანს ათვალიერებდა სოფელს. არ იყო ცუდ ადგილას გაშენებული ეს სოფელი. ლამაზი მაღლობები ჰქონდა ირგვლივ შემოვლებული. ქვემოთ ნახევარი კილომეტრის მანძილზე გიჟი მდინარე მიგრიალებდა. მისი ხმა აღვიძებდა მძინარე მინდორ-ველსა და ტყეებით შემოსილ მთებს, რომლებიც იქით-აქეთ ამოსდგომოდნენ მას.

ყველაზე მაღლა მეჩეთი იყო წამომდგარი. მაღალი ხის შენობა ოდნავ დაფერდებულიყო, მაგრამ საკმაოდ დაებიჯვათ და დაემაგრებინათ. იქვე ახლოს დაბალი ხის შენობა იდგა. ეს იყო მედრესე. აქ ასწავლიდნენ სჯულის კანონებს და ლოცვებს. სავალდებულო იყო ეს სწავლა ყველასათვის. შენობა ძველი იყო, მაგრამ საკმაოდ ახალი ყავრით დაეხურათ და ძველი კარებიც გამოეცვალათ მისთვის.

ცოტა მოშორებით იდგა ახალაგებული სკოლა —ორთვალი სახლი პატარა აივნით. ოთხი ფანჯარა ჰქონდა წინიდან, მაგრამ ოთხივეში ჩაემტვრიათ მინები. აივანზე აქა-იქ იატაკის ფიცრებიც აეყარა ვიღაცას. პატრონის ხელი აკლდა ამ სახლს. წინ ეყარა უამრავი ნაგავი, ხეების ნაჭრები, ძონძები, ფიჩხი, ქვები და ნახერხი. აქაურობა უფრო გაპარტახებულს ჰგავდა, ვინემ სკოლის ეზოს.

მეჩეთთან ახლოს ხის ღარზე წვრილად მოდიოდა ანკარა წყა-

ლი. ეტყობოდა, რომ ის შორიდან იყო გამოყვანილი თიხის მილებით. ამ წყალით სარგებლობდნენ მლოცველები. აბდესს იღებდნენ, ხელ-ფეხს იბანდნენ აქ და შემდეგ შედიოდნენ სალოცავად მეჩეთში. სოფლელების ნაწილი სასმელ წყალსაც სარგებლობდა აქედან, ვინაიდან სოფლის შუაგულში გამოყვანილი წყალი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

ანდრომ დაუცადა სოფლის გაღვიძებას.

აქა-იქ სახლის სახურავიდან გამოჩნდა ლურჯი კვამლი. აჭრიალდნენ კარები, გამოვიდნენ ძროხები, თხები და ცხვრები.

ერთ ეზოდან ფეხშიშველა ბიჭი გამოცუნცულდა თუნგით ხელში და წყაროსაკენ გაიქცა. შემდეგ რამდენიმე ეზოდან მიბაძეს მას. შუაში გამოვიდა თავპირახვეული ქალი ვებერთელა კოკით ხელში, დაზვერა იქაურობა და რომ შეატყო არავინ იყო, წყაროსაკენ გაექანა ჩქარი ნაბიჯით. თითქო მოსაპარავად მივიდაო, აავსო ჭურჭელი, სწრაფად აიდგა მხარზე და შინისკენ გაიქცა. მაგრამ უეცრად თვალი მოჰკრა მამაკაცს, შესდგა, პირი იბრუნა, ზურგი შეაქცია გზისკენ და ისე იდგა, ვიდრე მამაკაცმა არ ჩაუარა და კარგა მანძილით არ ჩასცილდა. შემდეგ მიბრუნდა და განაგრძო გზა.

ანდრომ მხოლოდ სამი გლეხი დაინახა თოხებით სამუშაოდ მიმავალი და კიდევ ერთი ქალი, რომელიც ბოსტანში მუშაობდა, რგავდა თუ კვალს ავლებდა სანერგისათვის.

სჩანს ყველა არ უქმობს დღეს.—გაიფიქრა ანდრომ და თვალი აადევნა სწორედ იმ გლეხებს, რომლებიც სამუშაოდ მიდიოდნენ. იმ დრომდე უყურა, სანამ თავიანთ ყანებში არ ჩავიდნენ და თოხნა არ დაიწყეს. დაიმახსოვრა ის ადგილი და ის ეზოც, სადაც ქალი მუშაობდა.

მზე გადმოადგა მთას მაღლიდან და ისრებივით ჩამოუშვა სხივები სოფელში. სოფელმა უკვე სავსებით გამოიღვიძა, ახმაურდა, ამოძრავდა; პირუტყვები გამოვიდნენ შუკებში, წყაროსთან აერიამულდნენ ბავშვები, ეზოებში აკაკანდნენ ქათმები, გამომზეურდნენ ინდაურები, ახტუნდნენ და აბღავლდნენ დედას მოცილებული ხბოები.

ანდრომ საათს დახედა. რვა შესრულებულიყო. ძალიან გვიან ამოდის მზე ამ სოფელშიო, გაიფიქრა და ახედა იმ მთას, რომლიდანაც მზე იყურებოდა.

მაღალი მთა იყო. რამდენიმე საათი დასჭირდა მზეს, რომ ზედ შემომდგარიყო და გადმოეხედნა. წარმოიდგინა ანდრომ, თუ როდის ამოვიდოდა მზე აქ ზამთრობით.

წავიდა შინისაკენ, რომ პორტფელი წამოეღო და საბჭოში წასულიყო. წესით უკვე იწყებოდა სამუშაო დღე.

სახლის კარი ფრთხილად შეაღო, ფეხაკრეფით აუარა გვერდი

იმ ოთახს, რომელშიაც ნაილე ეგულვებოდა, მიეიდა თავის ოთახთან, კარი გააღო და ის იყო უნდა შესულიყო, რომ ოთახში ნაილე დაინახა და შესდგა.

ნაილე ლოგინს ალაგებდა. გრძელი თმის ნაწნავები კოჭებამდე სწვდებოდა. თეთრი კაბა ეცვა წელზე ნაოქდაყრილი. ფეხები ქოშებში შეედგა და შიშველი კოჭი მოუჩანდა.

კარი რომ გაიღო, ის სწრაფად შემობრუნდა და ანდროს პირისპირ შეეფეთა.

— უიმე!— შეიძახა უცებ. პირი იბრუნა, უნდოდა ჩამოეფარებინა სახეზე რამე, მაგრამ ვერაფერს წააწყდა. იაზმა თან არ ჰქონდა. არ მოელოდა ანდროს მოსვლას და ოჯახში პირახდილი თავისუფლად საქმობდა.

პირველად ვერაფერი მოახერხა ანდრომ, თითქო გაშეშდა. შემდეგ სწრაფად მიბრუნდა, გარეთ გამოვიდა და ეზოში გაიარ-გამოიარა.

ნაილემ უხერხულობა იგრძნო. ვინ იცის, იქნებ საჭირო საქმე ჰქონდა ოთახში და ხელი შევუშალეო, გაიფიქრა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, როგორ ეცნობებინა, რომ ნაილე არ არის ახლა შიგ. ძალიან ინანა, რომ მურადს არ დაუჯერა გუშინ, არ შეყვა და არ გაეცნო სტუმარს. ახლა ხომ ასე არ შერცხვებოდა! გააჟრჟოლა, მაინც უხერხულად წარმოიდგინა ახალგაზრდა უცხო კაცთან მარტოდ გალაპარაკება.

სასწრაფოდ აალაგა ლოგინი, გამოასუფთავა ოთახი, მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა. საჭირო იყო ეცნობებინა ანდროსათვის, რომ უკვე შეუძლია შესვლა.

არავინ იყო ამის მთქმელი.

კარგახანს იფიქრა. ჭუჭრუტანიდან უკვრეტდა ეზოში მოსიარულე ყმაწვილ კაცს და გული ძლიერ უცემდა.

— რა იქნება, გავალ, ვეტყვი, რომ შემოვიდეს ოთახში, —გაიფიქრა,— რა დაშავდება ამით! ვინ გაიგებს! თუნდაც გაიგონ, მერე რა. ვის რა საქმე აქვს ჩემთან! მართლა, მურადი თვითონ მეუბნება,—ნუ გეშინია, ჩემს მეტი პატრონი არ გყავსო და მე კი მასეთებისთვის არ გაგიჯავრდებიო. სულ არ გავს ჩემი ძმა ზოგიერთებს. გავალ და ვეტყვი — გადაწყვიტა, თავპირზე იაზმა შემოიხვია, კარი გააღო, უნდოდა გასვლა, მაგრამ ვერ გაბედა და ისევ მობრუნდა.

— ასე არ ივარგებს, — და სულ სხვა მოიფიქრა. თუნგი აიღო ხელში, ვითომ წყაროზე მიდის. უფრო შეიბურა სახე, კარი გააღო და სწრაფი ნაბიჯით წყაროსაკენ წავიდა.

ანდრომ აარიდა პირი, მაგრამ როცა ჩასცილდა, თვალი

გააყოლა მოხდენილად მიმავალ ქალს, კარგახანს უცქირა, შემდეგ მიბრუნდა, ოთახში შევიდა, პორტფელი გამოიტანა და წავიდა.

საბჭოს შენობის წინ გლეხები გაჩერებულიყვნენ. ანდრო რომ დაინახეს, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და თავით-ფეხებამდე აათვალ-ჩაათვალიერეს უცნობი ახალგაზრდა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — მიესალმა ანდრო შისვლისას. გლეხებმა კანტიკუნტად უპასუხეს სალამზე.

— ხომ კარგად ბრძანდებით, ამხანაგებო? — მიმართა ანდრომ საერთოდ და სათითაოდ გადახედა ყველას.

— ღმერთმა ბრძანებით გამყოფოს, რა გვიშავს, — უპასუხა მათში ყველაზე ხნიერმა გლეხმა, უფრო წინ წამოვიდა და ანდროსთან მივიდა.

— ბათუმიდან ხარ თუ ხულოდან? — კითხა მან.

— ბათუმიდან — მიუგო ანდრომ. — ხულოშიაც გამოვიარე.

— რაიზა გარჯილხართ? — ფრთხილად იკითხა მეორემ. დახეული ყაბალახი გაისწორა თავზე და შემდეგ ულვაშებზე გადაისვა ხელი.

— თქვენს საბჭოზე მომამაგრეს. უნდა დაგეხმაროთ, ხელი შეგიწყოთ, ერთის სიტყვით — რასაც შეეძლებ...

— დიდხანს დარჩებით? — ჰკითხა ისევ უხნესმა.

— სანამ საჭირო ვიქნები. ან სანამ გამიწვევენ... სხვა, თქვენ რას გვეტყვით, რა გვაკლია, რა გვაქვს, რა გვესაჭიროება, რას მოვითხოვთ მთავრობისაგან? — კიდევ დაათვალიერა სათითაოდ ისინი.

— რა უნდა გვინდოდეს — ჩაილაპარაკა ერთმა. — არაფერი არ გვაკლია, მთავრობა რაზე უნდა შევაწუხოთ.

— მართალია — დაემოწმა მეორე, —თუ ჩვენ არ შეგვაწუხებს, მთავრობას რაზე გავრჯით.

ანდრომ შეატყო, რომ ასეთი შეკითხვებით ვერაფერს გახდებოდა, მიბრუნდა და საბჭოს შენობაში შევიდა.

მარტო მდივანი იჯდა გაზეთგადაფარებულ მაგიდასთან და რაღაც ცნობას თუ მოწმობას წერდა. არ დაუჯდა, ასე თამამად შემოსული კაცი რომ დაინახა, მაგრამ რახან სტუმარი არ გავდა ჩვეულებრივ მთხოვნელებს, თან ხელში პორტფელი ეჭირა, არაფერი უთქვამს, თავი უფრო ჩაღუნა და წერა განაგრძო.

— თავმჯდომარე არ მოსულა? — ჰკითხა ანდრომ მას და პორტფელი იქვე მეორე მაგიდაზე დასდო.

მდივანს თითქო არც გაუგონია. თავიც არ აუწევია ზევით.

— ამხანაგო, თქვენ გეკითხებით. — გაუმეორა ანდრომ.

— რა გნებაკს? — დინჯად ასწია თავი მდივანმა და სერიოზული გამომეტყველებით შეხედა სტუმარს.

— თავმჯდომარე არ მოსულა?

მდივანმა თვალის ქუთუთოები ააპარპალა, მიიხედ-მოიხედა და შემდეგ უპასუხა:

— ხომ ხედავთ, არ მოსულა! — კალამი მელანში ამოაწო, თავი უფრო დაბლა დახარა და განაგრძო წერა.

ანდრო კუთხეში ჩამოჯდა დანჯღრეულ სკამზე, პორტფელიდან რაღაც წიგნი ამოიღო და კითხვა დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ ერთი გლეხი ფრთხილად შემოვიდა, მიუახლოვდა მდივანს და მაგიდასთან გაჩერდა. კარგახანს იდგა უხმოდ. უცდიდა, როდის მორჩება საქმეს, როდის გამცემს ხმასო, მაგრამ იგი თვალაუღებლივ განაგრძობდა წერას. მოსწყინდა გლეხს ფეხზე დგომა. ცოტახანს გაიარ-გამოიარა ოთახში, შემდეგ ისევ მივიდა მდივანთან, თავი დახარა და მორიდებით მიმართა:

— დიმიწერე ერთი განცხადება საბჭოს სახელზე, თეოფილავ, — და ისე დაიღრიჯა, თითქოს სიცოცხლის შენარჩუნებას სთხოვდა.

მდივანმა მას ყური არ ათხოვა, მაგრამ გლეხმა რაკი ერთხელ გაბედა და ხმა ამოიღო, თხოვნის განმეორებაც აღარ დაიზარა.

— რაო? —შეუბღვირა მდივანმა და კიდევ ააპარპალა თვალის ქუთუთოები.

— განცხადება დიმიწერე საბჭოს სახელზე.— გაიმეორა გლეხმა.

— განცხადება?— გაიმართა წელში მდივანი. შენ გგონია მე შენი განცხადების საწერად ვარ აქ გამოგზავნილი?!. ისწავლეთ მეთქი, რომ გეუბნებით, სწორეთ მაგისათვისაა საჭირო სწავლა. ტყვილა კი არ მისწავლია მე იმდენი წელიწადი! . .— ამაყად გაიხედ-გამოიხედა და შემდეგ ისევ პირდაპირ შეხედა გლეხს.

— ტყვილა არ გაგრჯი. იაღი მოვიტანე. თუ ამართვამ იაღს, კარგია, თუ არა, ყველს მოგიტან.

— რა გინდა ამხანაგო, შენ?—ჩაერია ლაპარაკში ანდრო, რომელიც თვალს ადევნებდა ამ სურათს.

გლეხმა მოუხედა და რომ შეატყო მოსულიაო, მას მიმართა.

— განცხადება მინდა მივცე საბჭოს, სახლი მემტვრევა თავზე. შვიდი სული სარჩენი მყავს. მომცეს ნება ხე-ტყე გამოვიტანო სახლისათვის. ამ ზაფხულში მოვამზადებდი მასალას.

— განცხადება საჭირო არაა. ისე გაკეთდება მაგ საქმე... სხვა ხომ არაფერი საქმე გაქვს?

— სხვა რა საქმე უნდა მქონდეს. ამას თუ მომიფერებ, მეტი რა მინდა. გაგახსენდება ჩემი საქმე?

— გამახსენდება, დარდი ნუ გაქვს.— და ანდრომ გლეხის სახელი და გვარი ჩაიწერა.

მდივანმა უკმაყოფილოდ გააყოლა თვალი მიმავალ გლეხს და როცა ის კიბეზე ჩავიდა, მობრუნდა და ანდროს შეხედა.

— თქვენ რა საქმისათვის ინებეთ მობრძანება?— ტკბილად კითხა მან.

— თავმჯდომარის ნახვა მინდა.

— თავმჯდომარის? თავმჯდომარე დღეს ვერ გეახლებათ. თუ საქმე გაქვთ, მე შემიძლია მოვაგვარო.— უფრო ტკბილად გამოთქვა ეს სიტყვები და ხელში კალმისტარი შეათამაშა.

— მემპირდა, რომ იქნება დღეს აქ.— უთხრა ანდრომ.

— დავიწყებია, რომ დღეს ჯუმა-დღეა. ესენი არ მუშაობენ დღეს. ეს საქმეს მაინც არ უშლის ხელს. როცა მე აქ ვარ, შემიძლია თავმჯდომარის არყოფნა-არავის ვაგრძნობინო, ერთმანეთის საქმეს ხშირად ვაკეთებთ ჩვენ. მაგალითად, გუშინ მე არ ვიყავი აქ, ამაღლება იყო და ვიუქმეთ ბიჭებმა, ცოტა ქეიფიც გავმართეთ. ბევრნი არ ვყოფილვართ, ზოგიერთი სოფლის მასწავლებელი იყო და მართალი გითხრათ, გვარიანი დრო გავატარეთ. ჰო, იმას ვამბობდი, კარგი ბიჭია დურსუნი. იცის ამხანაგობა. არც მე ვარ თუმცა მისთვის ცუდი. ერთ თვეს რომ არ შემოიაროს აქ, მე თუ კი ვარ, უმისობა არ დაემჩნევა. ვიცი, ვის რა საქმე გავუკეთო, რა პასუხი გავცე, ვის რამდენი გავაწერო და ვის რამდენი გადავახდევინო. თქვენ სკოლის საქმეებზე ხომ არ ხართ? . . სკოლა ავაშენეთ, როგორც იქნა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი შრომა მიმიძღვის მაგის აშენებაზე. მერმე ვინ გიმადლის! პირიქით, საყვედურობენ კიდეეაც. არ უნდა, ბატონო, ამ ხალხს სწავლა. ნამდვილი კონტრრევოლუციონერები არიან. უცხო კაცი ძალიან ძნელად იცხოვრებს ამათთან. ლამე ერთია და შვიდ კაცს მოჰკლავენ... დაბრძანდით, დაბრძანდით. სკოლების საქმეზე თუ ბრძანდებით, მით უკეთესი. დღეს ჯუმა-დღეა და ჩვენი მასწავლებლები არ არიან აქ, თორემ დავუძახებდი. ერთად დაემთხვა ჩვენი ამაღლება და მაგათი ჯუმა. ორი დღე თავისუფალი აქვთ და წავიდ-წამოვიდნენ. თითო-ორ-ორი დღე რომ გადაამეტონ, არც იმით ღაშავდება რამე. თქვენთვის თუ საჭიროა, სკოლის შესახებაც შემიძლია მოგცეთ ცნობები.

— სკოლების საქმეზე არ მოვსულვარ, მაგრამ ეს საკითხიც მაინტერესებს. ბევრი მოწაფე ყავს სკოლას?— შეეკითხა ანდრო ამ არაჩვეულებრივ მოტიტინე მოხელეს.

— სულ არ ყავს, ჩემო ბატონო!— ახლოს მოიწია და ყურთან

უთხრა:—მე რომ მთავრობა ვიყო, ამათ სკოლებს კი არა, ნაობახებს გავუხსნიდი. მათრახი, მათრახია მაგათი საქმე!.. ასეა ბატონო სკოლის საქმე. თუ გნებავთ სხვა მასალებსაც მოგცემთ... დღეს მიბრძანდებით?

— არა.

— მაშ რამდენიმე დღეს დარჩებით სკოლების გამოსარკვევად... ტყვილა დაცდებით, ჩემო ბატონო. როგორც გითხარით—ისეა. რაც უნდა ირკვიოთ, მეტს ვერაფერს გამოირკვევთ.

— ჯერჯერობით არ ვაპირებ მაგ საქმეზე მუშაობას, მაგასთან ერთად სხვა სამუშაოც მაქვს...

— მაშ ერთ კვირაზე მეტი მოგიწევთ დარჩენა.

— უსათუოდ. მგონია, რამდენიმე წელი თუ არა, თვე მაინც.

— მართლა?!—ეს არ მოეწონა მდივანს და განზე მიიხედა.

— საბჭოზე ვარ მომაგრებული პარტიის მიერ.

— ოჰო, აი რაში ყოფილა საქმე! დიდად სასიამოვნოა, დიდად სასიამოვნო. ხშირად გვითქვამს მე და დურსუნს: რა კარგი იქნება, ერთ გამოცდილ კაცს რომ მოგვამაგრებდესო პარტია...ძალიან ძნელია ისე აქეთ მუშაობა. მართალი გითხრათ, მთავრობისა და პარტიის ხათრისათვის, თორემ აქეთ არ წამოვიდოდი. მაგრამ ხომ იცით, რაც უნდა იყოს, ჩვენი მთავრობაა. ზოგიერთებს კი ეგონათ —მღვდლის შვილია, ჩვენ არ გამოგვადგებაო, მაგრამ ნურას უკაცრავად, ბევრ კომუნისტზე (თქვენზე არ მიიღოთ, ჩემო ბატონო,) უკეთესად ვმუშაობ. განცხადებაც შეტანილი მაქვს პარტიაში მიღების შესახებ. თქვენ იცით, რახან ჩვენთან რჩებით, იმედია დამეხმარებით. ერთადერთი ისაა, რომ მამაჩემი მღვდელი იყო, თორემ სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი მე არა მაქვს. მექრთამე არა ვარ და ბიუროკრატი. დაბრძანდით, დაბრძანდით. მე თვითონ წავალ თავმჯდომარესთან, მოვიყვან. ჩანს, თქვენ იცნობთ მას.

— კი. გუშინ გავიცანი.

— ძალიან კარგი კაცია. ნამდვილი ბოლშევიკია, სიმართლე რომ მოგახსენოთ.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ დურსუნიც შემოვიდა. ჯერ მიიხედ-მოიხედა და შემდეგ ანდროს მიესალმა.

—როგორი პატივი გცათ თქვენმა არჩეულმა მასპინძელმა?—ღიმილით შეეკითხა თავმჯდომარე სტუმარს. ამ ღიმილში ირონიაც იყო.

— კმაყოფილი ვარ—ბიუგო ანდრომ—მშვენივრად მოვეწყვე. ჯერჯერობით მაგიდა და სკამი არა მაქვს, მაგრამ შემპირდა მურადი დურგლის მოყვანას. გავაკეთებინებ რამდენიმე სკამსა და ერთ მაგიდას. ბინას არა უშავს.

თავმჯდომარეს არ ესიამოვნა ანდროს სიტყვები.

— კარგია, თუ იმ დელმა შესძლო თქვენი პატივისცემა—შურით სთქვა მან.—თუმცა დაი ყავს კარგი, გაბედული გოგბიოა, ალბათ გაგაცნობდა.—ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

— მითხრა კი მყავსო, მაგრამ ჩემთვის არ გაუცნია—სერიოზულად უპასუხა ანდრომ.—საერთოდ, თქვენში არ ყოფილა მიღებული ასეთი წესი.

— არ არის, მაგრამ.—უხერხულობა იგრძნო დურსუნმა—არ არის, მაგრამ... როგორ გითხრათ, ძნელი განსავითარებელია ჩვენი ქალები. თუმცა წესსაც ანგარიში უნდა გაეწიოს, ადათი!.. ადათი ბევრ რამეს ნიშნავს... ეგ არაფერია, მაგაზე შემდეგაც ვილაპარაკებთ. მაშ არ გაგაცნოთ დაი, ა?

— არა.

— რა ეშმაკია!—ჩუმად ჩაიცინა.—ზოგიერთებს კი...თვალი ჩაუკრა ანდროს, მაგრამ გამოწვევის საპასუხო ნიშანი რომ ვერ შეამჩნია, გაჩუმდა, თავის მაგიდასთან მივიდა, მედიდურად დაჯდა და კარებზე მომდგარ გლეხებისაკენ გაიხედა.

— რა ამბავია, რა დაგემართათ, ერთი წუთის მოსვენების საშუალებას რომ არ მაძლევთ?—ისევ ანდროს შეხედა.—ასეა ყოველდღე.—შემდეგ გლეხებს მიმართა.—შემოდით.—და როცა შენიშნა, რომ ოთახში ათამდე გლეხი შემოვიდა ერთად, წამოდგა და მრისხანედ შეუტია.

— კმარა, რა ამბავია, ერთად რომ შემოვარდით, გადით გარეთ. გადით მეთქი—რომ არავინ გადიოდა, მდიანს ანიშნა და იმან ხუთი-ექვსი კაცი გაიყვანა.

— რა გინდა ხუსიავ, შენ? არ მორჩა შენი საქმე? - მიმართა ერთ გლეხს თავმჯდომარემ და ისევ მედიდური გამომეტყველება მიიღო.

— თუ არ დამეხმარები, რაფრად მორჩება, დურსუნ ეფენდი!—ახლოს მოიწია გლეხი და მაგიდასთან დადგა.

— რა გინდა, რაზე მოსულხარ? რაზე უნდა დაგეხმარო? თქვი, ხომ ხედავ საქმეები მაქვს!—უმატა ხმას დურსუნმა.

იმ წყალის შესახებ მინდა გთხოვო, დურსუნ ეფენდი.—დაეღრიჯა გლეხი.

— რომელი წყალია?

—ხოჯა მამუდი რომ არ გვაძლევს,—გლეხმა მიიხედ-მოიხედა,—ყველამ იცის, ის წყალი ყოველთვის რწყავდა. ჩვენს ყანიებს. ხოჯის ადგილიდან ჩემს მიწაზე გამოიცვლიდა...ახლა ადგა ხოჯა და წყალს აქეთ არ უშვებს. ჩემი მიწიდან წყალს არ მოგცემო, მეუბნება. სადაური სამართალია, დურსუნ ეფენდი. კაცი ხარ, ჩვენი მთავრობა ხარ და მოგვიფერო უნდა ეს საქმე.

— რა უნდა ექნა შენი აზრით!—შეუბღვირა დურსუნმა.

— უნდა დაგვეხმარო, დურსუნ ეფენდი. ერგზობა უთხარი ხოჯას, რომ უსამართლოდ ირჯება. ღმერთმა წყალი მისცა კაცს, მაგან რეიზა უნდა წაართვას. შენ დაგიჯერებს, დურსუნ ეფენდი, ხოჯა და ნუ დაგვამადლი მაგის თქმას, შენ გეყურბანე.

— მოდი და ელაპარაკე ასეთ კაცს,—ხელების გაშლით სთქვა თავმჯდომარემ და ანდროს მიუბრუნდა.—არ სჯერათ, რომ მთავრობას არ შეუძლია ხოჯის საქმეებში ჩარევა.—შემდეგ ისევ გლეხს შეხედა,—რად ვერ გაიგე, რომ ნებით არ იძლევა ხოჯა იმ წყალს. დასახლებას აპირებს იმ ადგილას და როგორ ფიქრობ, შენი გულისათვის მოსახლობაზე აიღებს ხელს?!. მთავრობაც გვიშლის ხოჯის საქმეში ჩარევას.

— დურსუნ ეფენდი, ასე როგორ შეიძლება,—წამოეშველა გლეხს ერთი ახალგაზრდა,—იმ წყალით მთელი სოფელი ვსარგებლობთ. რაღა მაინცდამაინც იქ აპირობს ხოჯა სახლის დადგმას, სადაც წყალის გადმოსაშვებია!

— ეს უბრალო მიზეზია და მეტი არაფერი.—დაიძახა ერთმა მოხუცმა გლეხმა, რომელიც კარებთან ატუზულიყო.

— ღვთის კაცი კი არა, ეშმაკის ხისიმია, უწყლოდ უნდა დაგვტოვოს ამდენი მოსახლე.—სთქვა ისევ ახალგაზრდამ და ანდროს გადახედა.

— გეყოფა.—შეუყვირა მას თავმჯდომარემ და მაგიდაზე დაკრა ხელი.—თქვენ ვერ მასწავლით მე კანონს და სამართალს.

— მაშ უწყლოდ დავიხოცოთ?!—ხმის აწევით უთხრა მოხუცმა გლეხმა და წინ წამოიწია.—ტანზე ჩვენ არ გვაქვს და ფეხზე, სიმინდი არ მოგვდის და პური, საქონელს ათასნაირი ჭირი გაუჩნდა და გვეხოცება, გზა არა გვაქვს და კვალი. ფული რომ ვიშოვოთ, საყიდელს ვერაფერს ვშოულობთ. ერთი წყალი გვქონდა და ისიც ხოჯამ უნდა წაგვართვას. აბა მითხარით, მითხარით, როგორი მთავრობაა თქვენი მთავრობა. ექვს ობოლს ეზრდი მოხუცებული კაცი, სიმწრით ლუკმა ჭადს ვაჭმევ და ახლა იმ ლუკმის წართმევასაც მიპირებთ.—ხელები აუცახცახდა მოხუცს.—ამ ხნის კაცი ვარ და გაჭირვება მალაპარაკებს. თავის საქმეებს რომ იკეთებს მუდამ ჩვენი ხოჯა, ჩვენკენ რად არ გადმოიხედავს. იმდენი ფულები რომ გადაგვახდია, მინარეთია გასაკეთებელი—სად წაიღო, რად მინდა მე მინარეთი! რად მინდა ჯამე! რად მინდა ღმერთი!.. ალლახ!..—გული შეულონდა მოხუცს, კედელს მიეყრდნო და თვალებიდან მარგალიტივით ჩამოცვივდა ცრემლები, რომლებიც თეთრ წვერებზე ჩამოეკიდნენ.

ყველა მოხუცს მიაჩერდა. ანდროს აუთრთოლდა გული. ის იმ წუთში მზად იყო გაქცეულიყო, თავისი ხელით გაეკრა გზა წყალი-

საკენ, ახლავე აქვე ეყვირა, რომ საშინელი დამახინჯებაა მთავრობისა და პარტიის პოლიტიკის, მაგრამ თავი შეიკავა.

— გაჭირვება მალაპარაკებს, გაჭირვება.—ამოილაპარაკა მოხუცმა. ღმერთსაც ვცოდებ და კაცსაც. თქვენ მთავრობა ხართ და თქვენთან მოვედი. ვის ვუთხრა, ვის შევჩივლო აბა! დღეს დილით ძროხა მომიკლა ჭირმა. იგი იყო ჩემი ბაღვების მარჩენალი. რა ვქნა, სად წავიდე ახლა. აქ წყალიც უნდა წაგართვაო. გადავირევი, აბა რას ვიზამ. ამბობენ, სხვაგან არ არის ასეთი მთავრობაო. სხვაგან მთავრობა ეხმარება ხალხსო, ექიმები ყავთ, წამლები აქვთ, სწავლა აქვთ, განათლება აქვთ და ჩვენ კი...— ცოტა ხანს გაჩუმდა და შემდეგ დაბალი ხმით წარმოსთქვა:—ჩვენს სოფელში მზეც გვიან ამოდის და გასაკვირი არაა, ჩვენამდე რომ არ მოუღწევია იმას, რაც სხვაგან არის. მაგრამ წყალი!... წყალი ხომ მუდამ გვქონდა! ვინაა ის, რომ წყალის წართმევას გაგვიბედავს, ხალხო!... ჩვენ ვერავინ დაგვიდგება წინ. მთავრობა თუ არ დაგვეხმარება, ჩვენით გავაკეთებთ ჩვენს საქმეს.

— მართალია, მართალი.—დაიძახეს იქით-აქედან და ოთახი ისევ აივსო გლეხებით.

თავმჯდომარეს, ცოტა არ იყოს, აეწვა კუდი. უშოვეს რაღა დრო მომაგრებულ კაცთან. ანდრო არ იყოს აქ, უჩვენებდა სეირს მაგათ, მაგრამ ახლა...გაბრაზება არ ივარგებს, სჯობს ისევ დამშვიდდეს და როგორმე ტკბილი სიტყვები მონახოს.

— ხალხო, რომ შემოცვივდით და მეხვევით აქ, მე ხომ ჯიბეში არ მაქვს წყალი. თქვენ კარგად იცით, ამასწინათ რომ მთავრობის კაცი იყო აქ, ის შეგვპირდა, გამოგიგზავნით ინჟინრებს, ტექნიკებს, მასალას, გამოგიყვანთ წყალს და ერთი კაპიკი არ დაგეხარჯებათო. ხომ სთქვა ასე!—გადახედა გლეხებს.

—მართალია, სთქვა—დაიძახეს გლეხებმა.

— ჰო და, დავიცადოთ ცოტა. მე ხოჯა კი არ მიყვარს, მაგრამ ხომ იცით, რაც არ უნდა იყოს, სახათრო კაცია.

— ჩვენ არ ვართ სახათრო?!..—შესძახა ისევ ახალგაზრდამ.

— შენ ახმედავ, ცოტა ენას მოუკელი თორემ.... მრავალწერტილებით სთქვა დანარჩენი თავმჯდომარემ.

— თორემ რა?!... ძალიან მემღერები რაღაცას...ვიცი, ვიცი, რაც გაწუხებს, მაგრამ არ გაგივა...

თავმჯდომარე აღელდა. ვერ მოითმინა ახალგაზრდა გლეხის სიტყვები. წამოვარდა, წაიწია, მაგრამ ანდრომ შეაჩერა.

— დამშვიდდით ამხანაგებო,—მიმართა ანდრომ გლეხებს—მე გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ყველაფერს მოვაგვარებთ ისე, როგორც თქვენ გინდათ. ახლა წაბრძანდით. მე და დურსუნი მოვი-

ლაპარაკებთ აქ ამხანაგებთან, გავერკვევით საკითხებში და სრული იმედი იქონიეთ, რომ თქვენი ინტერესები არ იქნება შელახული.— მოხუცთან მივიდა.—თქვენც დაგეხმარებით, ნუ გეშინიათ. შემოიარეთ ამ საღამოს აქ, ამიხსენით თქვენი მდგომარეობა და მივიღებთ ზომებს —მხარზე დაადო ხელი და კარებამდე მიაცილა.

გლეხები ახლა ანდროს შემოეხვივნენ, დაუწყეს ლაპარაკი ყოველი მხრიდან, მაგრამ ანდრომ ისინი პასუხით დააკმაყოფილა, გაისტუმრა და დურსუნთან მარტო დარჩა, რომ მოლაპარაკებოდა იმ საკითხებზე, რომლებიც აუცილებელ გადაჭრას საჭიროებდნენ სწრაფად და დაუყოვნებლივ.

— ვინაა ჭოვ, ის კაცი?

— მომაგრებულიაო.

— არ უნდა იყოს ცუდი ადამიანი.

ანდროს შეფსებაში იყვნენ მთელი დღე გლეხები და მასზე ლაპარაკობდნენ.

IV

მთელ სოფელს მოედო ახალი ამბავი. ყველა ლაპარაკობდა საბჭოს გუშინდელი სხდომის შესახებ. თურმე რა ამბავი დაუთენებია იმ ახალგაზრდასო, ამბობდნენ ანდროზე და ქებით იხსენიებდნენ.

— რა უფლებით აკრიფეთ მინარეთისა და მედრესეს შესაკეთებელი თანხებიო, უთქვამს.

— წყალს კი არა, თუ ძალიან გაძალდება და წინააღმდეგობას გაგვიწევს, სახლკარს ჩამოვართმევთ ხოჯას და სულ გადავასახლებთ აქედანო.

— ღარიბ გლეხობას უნდა დავეხმაროთო.

— ვენაცვალე, ნამდვილი ბოლშევიკი ყოფილა.

— ამბობენ, ჩვენს თავმჯდომარესაც შეუყენებს წყალსო.

— აბა რა დღეს დააყრის. ხიმშიაშვილის ნასტრაჟნიკალი კაცი რას ვარგა თავმჯდომარედ!

— მწერალი თეოფილე მოუხსნია უკვე. საჩვენო კაცი არ ხარო, უთქვამს.

— მართლა?.

— დღეს აღარ მუშაობდა, მივდივარო მითხრა.

— აი, აშენდეს მაგის ოჯახი.

— კარგ დროს მოგვეშველა. ნეტა კიდევ რა საკითხები გაარჩია საბჭომ, თუ იცი.

— მამუდამ მელაპარაკა. ის ხომ საბჭოს წევრია...

— ჰო!

— რაო და, ჯერ ასეთი საკითხები არასოდეს არ მდგარა ჩვენს საბჭოს სხდომაზეო—და გლეხმა ამხანაგებს დაწვრილებით უამბო ის, რაც მან საბჭოს წევრ მამუდასაგან იცოდა.

მართლაც არაჩვეულებრივი იყო საბჭოს ის სხდომა. ანდრომ ჯერ თავმჯდომარესთან დაამუშავა საკითხები, შემდეგ საბჭოს კომუნისტ წევრებთან და ბოლოს საბჭოს სხდომაზე გაიტანა.

დურსუნი ენაჩავარდნილი იყო. აღარ ისმოდა მისი მრისხანე ხმა და ჩვეულებრივ ამაყი ლაპარაკი. ახლა უკვე საბჭოს წევრები კამათობდნენ. ისინი, მართალია, ფრთხილად, მაგრამ მაინც ააშკარავებდნენ იმ შეცდომებს, რომლებიც საბჭოს დაეშვა თავის მუშაობაში. აქ მრავალჯერ მოიხსენიეს ხოჯის ოინები, მისი ფარისეველობა, ახსენეს იუსუფ-ალაც, როგორც კონტრაბანდისტების მფარველი და ხელის შემწყობი, როგორც გაიძვერა და ყაჩაღებთან კავშირის მქონე.

— საჭიროა მოვუღოთ ბოლო ჩვენში კონტრაბანდისტების თარეშს—მკაცრად სთქვა ერთმა ახალგაზრდამ საბჭოს კრებაზე.

— კონტრაბანდისტებს არა მარტო კონტრაბანდა გადმოაქვთ, არამედ რაღაც წერილები და ფურცლებიც. გადმოყავთ ვიღაც უცხო პირები და თუ ჩვენ თვითონ არ მივიღეთ ზომები ჩვენი თავისა და ჩვენი ქვეყნის დასაცავად, არ ივარგებს.—დაამთავრა მან.

აქ თითქო იშოვა მიზეზი თავმჯდომარემ.

— სანაპირო რაზმის საქმეებში ჩვენ ვერ ჩავერევით, ამხანაგებო,—სთქვა მან და ანდროს შეხედა, დამიმოწმებსო, მაგრამ ანდრომ მის სიტყვებს თავის ქნევით უარყოფითად უპასუხა და ამით სულ ჩაუგდო ენა.

დიდხანს გაგრძელდა სხდომა. ბევრი საკითხი გაარჩიეს. სკოლის, კოოპერატივის გახსნის, გზის გაყვანის, საქონლის დაავადებასთან ბრძოლის. იდგა საკითხი ხოჯა მამუდის მიერ მოსარწყავი წყალის დაკავების შესახებ. ამან დიდი კამათი გამოიწვია. საბჭოს თავმჯდომარეს აქ ხუთამდე სხვა მიემხრო, ისინიც ამართლებდნენ ხოჯის საქციელს, მაგრამ ანდრომ სათანადო ახსნა-განმარტების შემდეგ ხმების უმეტესობით დააღგენია საბჭოს, რომ წყალი მიეცეს გლეხებს იმავ ადგილიდან, საიდანაც ის დღემდე ეძლეოდათ.

ეს იყო პირველი დამარცხება, რომელიც დურსუნმა განიცადა საბჭოში. არასოდეს მის წინააღმდეგ არ დაუძრავს ვინმეს ამდენხანს ენა და დღეს კი....

— სულ ამის ბრალია.—სთქვა თავის გულში მან და ანდროს განზე გახედა.—დამაცა!—ჩუმად ჩაიმარხა გულში ბოღმით გამოთქმული სიტყვები. იმ ღამეს კი გაჩუმება არჩია.

აი, ამ ამბებზე ლაპარაკობდნენ მეორე დღეს გლეხები და თავიანთ შეხედულებებს გამოსთქვამდნენ.

ხოჯა მამუდი ვერ იყო კარგ ხასიათზე. მას უკვე გაეგო საბჭოს გადაწყვეტილება, მაგრამ ეს იმდენად არ სწყინდა, რამდენადაც ის სიტყვები, რომელიც ანდრომ წარმოსთქვა საბჭოს კრებაზე.

— როგორ,—ცხარობდა ხოჯა, — ვიღაც მოთრეულმა გიაურმა უნდა გამლანძღოს, მან უნდა ილაპარაკოს ჩემს გადასახლებაზე?!— ცეცხლს ყრიდა პირიდან—დამაცადოს, მე ვუჩვენებ მაგას სეირს!— იუსუფ-აღასთან მივიდა და ახლა ისიც აამხედრა—შენზეც ულაპარაკნიათო უთხრა, გადასახლებას გვიპირებენო, პირი შეუთქვამთო.

იუსუფ-აღას მუდამ ყავდა თავისიანები გვერდით და, გაიგეს თუ არა ეს ამბავი, ჩახმახებივით შეიმართნენ ფეხზე.

— გავცვითავთ, მოვკლავთ, გამოვშიგნავთ!—აყვირდნენ და აცახცახდნენ ისინი. ხალხში გამოვიდნენ, გლეხებს მოედგნენ, მაგრამ მათგან ვერაფერი საიმედო მიიღეს და ისევ თავიანთ ქერქში ატრუსდნენ.

ვერც თავმჯდომარე იყო კარგ ხასიათზე. მას მთელი ღამე არ ეძინა. სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ გადაეხადა სამაგიერო ანდროსათვის, როგორ მოეცილებინა ის თავიდან, როგორ დაეპირა მუეში ისევ მთელი სოფელი, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდა.

ანდრო არ ჰგავდა იმ პირებს, რომლებიც წინათ იყვნენ მომაგრებული საბჭოზე, თორემ ადვილად გაუსწორდებოდა. შეაშინებდა, როგორც ეს ერთ მომაგრებულ ამხანაგს უქნა. დაახვედრა გზაზე ყაჩაღები და სიტყვა დაადებინა, რომ მიატოვებდა აქაურობას. მეორეს კიდევ შარი მოსდო, ჩვენს ქალებს ეარშიყებაო, ოჯახებში დადის შეუკითხავადო. მართალია, ამის საბუთები არ ჰქონდა, მაგრამ კომიტეტი დაარწმუნა. ათიოდე გლეხი გაგზავნა საჩივრით. ისიც მოხსნეს. მესამე, მართალია, ყველაფრამდე კარგი იყო, ყველაფერში ეთანხმებოდა დურსუნს, მის ჭკუაზე დადიოდა, ის რომ დარჩენილიყო, იმის საწინააღმდეგო დურსუნს არაფერი ექნებოდა, მაგრამ გაიწვიეს, პარტიის ხაზს ამახინჯებსო. რამდენიმე დღე გავიდა იმის გაწვევის შემდეგ და ანდრო მოვიდა. პირველ შეხვედრისას დურსუნს ეგონა, გავკეთდი კაცი, ეს სწორედ ისეთი იქნება, როგორიც მე მინდაო, ყველაფრის დამჯერე და გამგონეო, მაგრამ...ყველა დაავიწყა და დაალოცვინა.

— არა, როგორ შეისწავლა ამ ბაღემა ამდენი.—ბრაზით სკდებოდა დურსუნი და ძილი არ ეკარებოდა.

დილით არაჩვეულებრივ ადრე ადგა, ტანთ ჩაიცვა, მოემზადა და წასვლას აპირებდა, რომ სიმამრი ხოჯა ესტუმრა და ყველაფერი გამოკითხა.

ძნელი იყო მისთვის განაჩენი წაეკითხნა სიმამრისათვის, ეთქვა ის, რაც მასზე სთქვეს, მაგრამ გამოსაცალი არ იყო. დღეს თავისი ხელით უნდა მოეყვანა სისრულეში საბჭოს გუშინდელი დადგენილება. თვითონ უნდა გამხდარიყო ჯალათი თავისი მოყვრისა და მეგობრის. ამიტომ აშკარად და დაუფარავად უთხრა ყველაფერი და დაარიგა კიდევაც.

— არაფერი წამოგცდეს, წინააღმდეგობა არ გასწიო, თორემ ეტყობა დაზოგვა არ იცის. სულ ტელეფონთან ზის. ათასნაირ ცნობებს აგზავნის აქეთ-იქით. სჯობს მოვუთმინოთ, ავიტანოთ დრომდე და შემდეგ მე ვიცი.

სიძის დარიგება მიიღო ხოჯამ. თავის მხრივ იუსუფ-ალაც ასე დაარიგა და, რახან შეატყვეს, რომ აქ ძალა ვერ გასჭრიდა, შეუდგნენ ქსოვას ბადისა, რომელიც ოდესმე თავის საქმეს შეასრულებდა და მოწინააღმდეგეებს მაგრად და მოხერხებულად დაიჭერდა.

ხოჯის მომჩივანი გლეხები დილაადრიან მისულიყვნენ საბჭოს შენობის წინ, თოხები და ბარები მოეტანათ. გაეგოთ საბჭოს გადაწყვეტილება და ახლა მის შესრულებას მოითხოვდნენ. მხიარულად ლაპარაკობდნენ, უხაროდათ, რომ მთავრობამ მათი ინტერესები დააყენა ხოჯის ინტერესებზე მაღლა.

იმედიანი სახეები ჰქონდათ. უფრო გაბედულად ლაპარაკობდნენ და ელოდნენ თავმჯდომარეს, რომელიც მათ წაყვებოდა წყლის გადმოსაშვებად.

დურსუნი გაჯავრებული და ნაწყენი მოდიოდა, მაგრამ გლეხები რომ დაინახა, ვითომც მხიარული სახე მიიღო, ახლოს მივიდა და საერთო სალამი მისცა.

გლეხებმა უპასუხეს სალამზე და მიიწ-მოიწიეს.

— ხომ დავაკმაყოფილე თქვენი თხოვნა. მეტი რაღა გინდათ, —თავმომწონედ მიმართა მან.

— მადლობელი ვართ, დურსუნ ეფენდი. ჩვენი მთავრობა ხარ, სხვა ვინ დაგვეხმარება აბა.—უპასუხა ყველას მაგივრად იმ გლეხმა, გუშინ რომ პირველი მივიდა საჩივლელად.

— მთავრობა ვარ.—გაიმეორა მან რამდენჯერმე ეს სიტყვები, —რა მთავრობა ვარ, როცა არაფერს მიჯერებთ და ჩემი არ გეყურებათ. მე თქვენთვის ვშრომობ, ვმაცადინობ, მინდა კარგად იყოთ. კარგი ჯამე გქონდეთ, კარგი მედრესე, კარგი წყალი, მაგრამ თქვენ მაინც საყვედურობთ. ძალად გვახდევინებენ ჯამეს ფულსო, დამასმინეს მომაგრებულ ამხანაგთან. ასე ეგონათ, მე მაგისათვის დამსჯიდნენ. თქვენ არ იცით და მე რამდენი შუამდგომლობა მაქვს აღძრული მთავრობაში იმის შესახებ, რომ კოოპერატივი გაგვიხსნან, გზა გაგვიკეთონ, წყალი გამოგვიყვანონ, გადასახადები შეგვიმცი-

რონ, მაგრამ თქვენც იცით, ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა.

გლეხებმა კიდევ მადლობა გადაუხადეს, თუმცალა დურსუნი კარგად ატყობდა, რომ ეს მადლობა მას არ ეკუთვნოდა და გლეხები ჩვეულებრივი პირფერობით ელაპარაკებოდნენ.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ ანდროც მოვიდა, გლეხებს მიესალმა, დურსუნს ხელი ჩამოართვა და გაუღიმა.

— აქტიური წევრები გყოლია საბჭოში.—უთხრა მან,—ასეთი აქტივით საქმის გაკეთება შეიძლება.

დურსუნს გული დაეწვა. მან თავის დამარცხებად მიიღო ყოველივე ის, რაც წუხელ მოხდა და იმ მომხდარი ამბის ქებით მოხსენიება არ იყო მისთვის სასიამოვნო, მაგრამ მაინც გაიღიმა და ისე შეხედა ანდროს.

— არა უშავს, მეტ აქტივობას კი მოველოდი. იმიტომ იყო, რომ არაფერს ვლაპარაკობდი. მინდოდა თვითონ ეთქვათ რა აწუხებდათ... აბა, ამხანაგებო,—მიუბრუნდა გლეხებს,—წავიდეთ, გამოვიყვანოთ წყალი. თქვენ ხომ არ წამოხვალთ, ამხანაგო ანდრო.

— წამოვალ.—დაეთანხმა ანდრო.

— თუ ხოჯამ არ დაგვერია კეტით.—მწარე ღიმილით ხთქვა დურსუნმა, ვითომ ხუმრობით.

— იმ შემთხვევაში დავაპატიმროთ.—სერიოზულად უთხრა ანდრომ.

— გეხუმრებით, ამხანაგო ანდრო. ხოჯა არაა ისეთი კაცი, რომ საბჭოს დადგენილების წინააღმდეგ წავიდეს. ჩემი სიმამრი რომაა იმით არ ვიტყვი, არაა ურიგო ადამიანი. შეგნებულია, კულტურული, განათლებული. სკოლას რომ ვაშენებდით, ხე-ტყის მასალაც კი შემოგვაწია. მართალია ხომ, ხასიავ!—შეეკითხა ერთ გლეხს.

— მართალია, დურსუნ ეფენდი.—დაუმოწმა ხასიამ.

— ეს რაღაც ამ წყალზე შეიქნა გაუგებრობა. მთავრობა შეგვპირდა წყალის გამოყვანას და ხოჯამაც იფიქრა, ჩემი მიწიდან გაყვანილი წყალი აღარ დასჭირდებათო და იმიტომ გადაკეტა, თორემ სხვა საქმეში როდის იყო, ხოჯას რომ ხელი შეეშალოს რამეში.—ისევ გლეხებს მიმართა.

— მართალია, არ შეუშლია.—ჩაილაპარაკა ვიღაცამ, მოაშუშა ტკივილები თავმჯდომარის ტკბილმა სიტყვებმა.

—მგელი მუდამ მგელი იქნება—ჩაილაპარაკა თავისთვის ახალგაზრდა გლეხმა და ბარი გაიდვა მხარზე.

გლეხებმა უთანაგრძნეს მას, მაგრამ ეს თანაგრძნობა მხოლოდ თავიანთ გულში გამოსახეს.

წავიდნენ წყლის გადმოსაშვებად.

გლეხები არ მოელოდნენ, რომ დღევანდელი დღე მშვიდობია-

ნად ჩაიცლიდა, რომ ხოჯა მამუდი აურზაურს არ ასტეხდა. დურსუნის, როგორც საბჭოს თავმჯდომარის, ხალხისკენ გადაბირება ყველასათვის გასაგები იყო. აქ მთავრობისა და პარტიის წარმომადგენელი იქონიებდა გავლენას, მაგრამ ხოჯა მამუდი თუ ამ საქმეს დამშვიდებული შეხვდებოდა, არავის ეგონა.

ანდროც არ მოელოდა.

— რა ვქნა, რახან ასე გინებებიათ... მაგით არ დავივსები, მაგრამ კარგი იყო არ გეწყენიებიათ ამ მოხუცებულობის დროს—ეშმაკურად უთხრა ხოჯამ გლეხებთან ერთად მისულ დურსუნსა და ანდროს.

ანდროს არაფერი უპასუხნია, დურსუნს შეხედა და ანიშნა შენ გაეცი პასუხიო, მაგრამ დურსუნმა პასუხის ნაცვლად სულ სხვა საგანზე დაიწყო ლაპარაკი.

წყალის გასაყვანი თხრილი, რომელიც ხოჯას ამოეკვეთა, გლეხებმა მალე ამოწმინდეს, შემდეგ ახალი თხრილიც წაიბეს ზედ და წყალს მიმართულება შეუცვალეს.

ეს იყო პირველი გამარჯვება, რომელიც ამ სოფლის გლეხებმა მოიპოვეს საბჭოს დადგენილებით, და ძალიან კმაყოფილი იყვნენ, როცა წყალმა გადაუარა გლეხების ეზოებს, აჩხრიალდა კენჭებზე და შეიჭრა ნათესებში. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. კარგახანია ამ წყალით არ უსარგებლნიათ მათ. მას შემდეგ, რაც ის ადგილი, სადაც წყლის სათავეა, ხოჯამ ჩაიგდო ხელში, წყალი სანატრელი გაუხდა გლეხებს, მეტადრე ნაწილი გლეხებისა დაიჩაგრა. სულ გადაუშენდათ რაც კი დაერგოთ. ნათესის მდგომარეობა ხომ სულ უმწეო იყო. რამდენჯერ მიმართეს ხოჯას, ღვთის კაცია, იქნებ შეგვიბრალოსო, შემდეგ საბჭოს,—მთავრობამ სამართალი გაგვიჩინოსო, მაგრამ დღემდე არც შებრალება ჩანდა, არც სამართალი.

ახლა კი თითქო ორივეა. საბჭომ სამართალი გააჩინა, ხოჯამ კი უყოყმანოდ და უსიტყვოდ მიიღო საბჭოს დადგენილება და ამას გარდა წყლის გასაყვანად ერთი ფერდობიდან მეორეზე დიდი ხის ღარიც კი შესწირა.

— აკი, გეუბნებოდით,—გლეხების გასაგონად უთხრა დურსუნმა ანდროს.—შეგნებული კაცია მეთქი... ხალხი, თვითონ გლეხებია მასთან დამნაშავენი, გააბრაზეს, გული მოაყვანიეს, თორემ წყალს როგორ დაუშლიდა!—შემდეგ მიუბრუნდა ხოჯას, რომელიც გლეხებს დადგომოდა თავზე და ვითომ ასწავლიდა, როგორ გაეყვანათ წყალი.

— შენ რომ წაბლის ხეები გაქვს, უნდა დაგვითმო ორი ძირი

სკოლისათვის გვინდა—უთხრა მან სიმამრს და თვალით ანიშნა, როგორი პასუხი იყო საჭირო.

ხოჯამ მოიხედა, ვითომ არ იცის რა უპასუხოსო, ცოტა ხანს დაფიქრდა და შემდეგ:

— ინებეთ, თქვენ რატომ დაგიკავებთ.—ღიმილით სთქვა მან, —რომ გადასწყვიტოთ ხოჯა გადავასახლოთო, იმასაც შესძლებთ. თორემ ორი ძირი ხის წაღებას რა უნდა.—ეს სიტყვები ანდროს გასაგონად იყო თქმული, მაგრამ მას ყურადღება არ მიუქცევია.

— ჩვენ გვინდა შენი სურვილით მოგვცე, თორემ ძალა რომ შეგვწევს, ეს კარგად ვიცით.—ამაყად უთხრა სიძემ და კიდევ ანიშნა, როგორი პასუხი იყო საჭირო.

— გეხუმრებით.— სთქვა ხოჯამ.— ხე რა ოხრად მინდა აბა. ასეთ საქმისათვის, ჩემი რომ არ მქონდეს, ვიყიდი და იმას მოგცემთ. ინებეთ, მხოლოდ ახალგაზრდა წაბლებს ნუ მომიჭრით, არც თქვენთვის ივარგებს და სამერმისოდაც არ დაგვირჩება.

— არა, არა.— უთხრა დურსუნმა,—ახალგაზრდა ხე რად გვინდა.— შემდეგ ანდროს შეხედა.— აი, ხედავ? — უჩვენა ხოჯაზე. ამით უნდოდა კარგი რეკომენდაცია მიეცა სიმამრისათვის, მაგრამ მაინცადამაინც საიმედო პასუხი ვერ მიიღო ანდროსაგან. უკანასკნელმა ხელი ჩაიქნია მხოლოდ. ასე ურწმუნო ადამიანები ჩაიქნევენ ხოლმე ხელს.

სიძე-სიმამრმა ერთმანეთს შეხედეს და შემდეგ ცალი თვალით ანდროს გაუპვრიტეს. კარგი ეშმაკი ყოფილხარ, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლებიო, გაიფიქრეს ერთსა და იმავე დროს ორივემ.

V

ხევი-ხევ ამოიპარა მურადი, თხრილს აყვა და ისე მივიდა შინამდე, რომ არავის დაუნახავს. კარგა მოზრდილი ტვირთი ჰქონდა აკიდებული ზურგზე. სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მაგრამ მხიარული და კმაყოფილი იყო.

სწრაფად ჩავიდა ეზოში, ქურდულად გაიხედ-გამოიხედა და სახლში შეეიდა.

ნაილე სამზარეულოში იჯდა. კარის გაღების ხმა რომ გაიგონა, ფრთხილად გამოიჭვრიტა. ანდრო ეგონა, მაგრამ მურადი რომ იცნო, სწრაფად გამოვარდა და ძმას მიეგება.

— სადაა ის?—მაშინვე კითხა მურადმა დას და როცა პასუხი მიიღო, ზურგიდან ტვირთი მოიხსნა და იატაკზე დასდო.

— რა არის ამოდენა.— შეეკითხა ნაილე, ტვირთს ხელი მოჰკიდა და სამზარეულოში შეიტანა.

— სიმინდი ვიყიდე. დანარჩენი კი ანდროს წიგნებია. . . გახსენი—გაუღიმა დას, დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ქალამნების გაძრობა დაიწყო.

ნაილემ მოკრული გახსნა. წიგნები, გაზეთები და რაღაც რვეულები ცალკე იყო შეხვეული და მოკრული, ხოლო სიმინდიან ტომარაში აგრეთვე თავსაფარში გამოხვეული ნივთებიც იყო ჩადებული.

— ეს კი ჩვენია. გახსენი, ნახე რა არის.— და კიდევ ღიმილით შეხედა მურადმა დას.

— რა არის?— ხელით დაუწყო სინჯვა ნაილემ გარედან.

— გახსენი მეთქი.— წამოდგა მურადი, შეხვეული გამოართვა და თვითონ გახსნა.

— ეს შენთვის ვიყიდე,—თეთრი ტილოს ფეხსაცმელები და აბრეშუმის წინდები გადასცა ნაილეს.— ეს კი ჩემია, — ხალათი, შარვალი, წუღები და ქუდი ამოიღო მურადმა.

— ნენე!— შესძახა აღტაცებით ნაილემ,— სად გიშოვნია ამდენი ფულები.— კიდევ გასინჯა ნაყიდი ნივთები.

— ფულები. ფულები, ვისესხე.— ამაყად მიუგო მურადმა. ნაილემ გაკვირვებით შეხედა ძმას.

— ვინ გასესხა ამდენი ფული? ამას ასი მანეთიც არ ეყოფოდა.— მესამეჯერ გადააწყო ყველა ცალ-ცალკე.

— შვიდი თუმანი მასესხა ანდრომ, სამი მანეთი კიდევ დამრჩა, ერთი ფუთი სიმინდი ვიყიდე.

— ანდრომ.— ნაილემ მწყრალად გახედა ძმას.

— რა იყო! კი არ უჩუქებია, სესხად მომცა. შენ თავს ვფიცავ, ნაილე, არ ვართმევდი, ძალად მომცა. მე ახლა არ მჭირიაო, თანდათან გადამიხდიო. ეწყინებოდა, რომ არ ამერთმია.

— თანდათან გადამიხდიო — გაიმეორა ნაილემ. ჩამოჯდა და გულდაწყვეტით შეხედა ძმის მიერ მოძღვნილ ფეხსაცმელებს.

— რატომ მოიწყინე, შენ გგონია ტყუილს ვამბობ?!.

— არა, მაგრამ ვერ გადავიხდით. აბა რა მოგვეძევა. რა უნდა გავყიდოთ. უცხო კაცს ფული რავა გამოერთმევა.

მურადს აუარ-დაუარა ფერმა.

— მართლაც, რით უნდა გადავიხადო — გაიფიქრა მან. — მოდი და, ანდრო არ დარჩეს ამ სოფელში, ან გადაიყვანონ, ან თავისით წავიდეს, მაშინ ხომ უნდა მისცეს ვალი. საიდან შეუძლია მერე ამდენი ფულის შოვნა!.. კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული. დამაც შეატყო ნაღველი ძმას და შეებრალა.

— ამეებს გავყიდი, ნაილე.—მოკიდა ხელი მის ტანსაცმელს,—

შენ კი გქონდეს. ახლა ამაში აღებული ფულიც რომ მივცეთ ანდროს, ისიც იკმარებს, მერმე კიდევ ვიშონით რამეს.

— რას ამბობ.— შეედავა ნაილე.— ესენი გავყიდოთ. მე სახლში ვარ, რად მინდა ასეთი ფეხსაცმელები. შენ კი კაცი ხარ, უნდა ხალხში გამოხვიდე.

ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, ვერ გადაწყვიტეს, როგორ მოქცეულიყვნენ.

ნაილეს, ერთი რომ ესირცხვებოდა უცხო კაციდან ფულის ასესხება, მეორედ ეშინოდა, ვაი თუ ისეთ დროს მოგვთხოვოს, რომ არავითარი საშუალება არ გვექნესო. ან და ვინ იცის, რამდენნაირია ადამიანი. იუსუფ-აღა ასე ფულების გასესხებით გამდიდრდა თურმე, დედისაგან გაუგონია: გაასესხებდა ფულს, დაუნიშნავდა ვადას და თუ იმ ვადაზე ვერ უშოვნიდნენ, ერთი-ორად გადაახდევინებდაო. ბევრია ისეთი გლეხი ამ სოფელში, რომელსაც ლუკმა ამოაცალა რამდენჯერმე იუსუფ-აღამ. ვალის ძალიან ეშინია ნაილეს და ურჩევნია მშიერ-შიშველი იყოს, ვინემ სხვისი ვალი ჰქონდეს.

— ანდრო ბოლშევიკია, ნაილე, ვალში ლუკმას როგორ წაგვართმევს.—გაამხნევა ნაილე ძმამ.

— სირცხვილია — უთხრა დამ. შემდეგ უამბო, რომ წუხელის ანდრო არ მოსულა ღამის გასათევად.—კაცი გამოეგზავნა. შენ გიკითხა, თუ მოვიდაო. შეიძლება დაეხათრა. ვინ იცის, ვისას გაათია ღამე.

— რას ამბობ— ეწყინა მურადს.— იქნებ არ უნდა ჩვენსას დარჩენა., სულ იმის ბრალია.— თავმჯდომარეს გადააბრალა.

— არა, ემინეს ვკითხე. ჩვენსას არ ყოფილაო. არც იუსუფ-აღასას ყოფილა. დღეს დილით მოვიდა, რაღაც ქაღალდები წაიღო და საბჭოსაკენ წავიდა.

— ვერ კითხე, რად არ მოვიდა წუხელის?!— შეაწყვეტინა დას სიტყვა მურადმა.

— რას ამბობ. როგორ მეკითხა!.. თუმცა...

— არ ვარგხარ... ნაილე, თუ ჩემი და კი ხარ, თუ ჩემი ხათრი გაქვს,— წამოდგა, მივიდა ნაილესთან და თავზე დაადო ხელი,— ანდრო ძმასავით უნდა მიიღო, გესმის?!. ძმასავით. შემპირდი, შემპირდი, რომ გაეცნობი მას. კარგი?!.

ნაილემ დიდრონი შავი თვალები შეანათა ძმას.

— შენ თუ გინდა, ასე იყოს,— უთხრა მან, სიმინდიანი ტომარი აიღო და კუთხეში მიიტანა.

მურადმა მჭადი და მაწონი შეჭამა, ფეხზე ისევ ქალამნები ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. მას ერთი სული ჰქონდა, სანამ ანდროს ნახავდა. ის პირდაპირ საბჭოსკენ წავიდა. იქ უნდა ენახნა ანდრო და მასთან ერთად წამოსულიყო სახლში, მაგრამ ანდროს

სკოლაში თათბირი ჰქონდა მასწავლებლებთან და ამიტომ კარგახანს ელოდებოდა კარებთან გაჩერებული. ვერ გაბედა შესვლა თათბირზე, თუმცა ძალიან აინტერესებდა დასწრება.

დაღამდა. სულ ჩამობნელდა, მაგრამ თათბირი მაინც არ თავდებოდა. მურადს გარეთ ესმოდა ანდროს ლაპარაკი. ის მასწავლებლებს არიგებდა, უხსნიდა, თუ როგორ უნდა ემუშავნათ, რა ამოცანები იყო მათ წინაშე დასმული ამჟამად. ვერ მუშაობთ კარგადო, ვერ ხელმძღვანელობთ სკოლასო, ძალიან ბევრ საყვედურს ეუბნებოდა ყველას.

უკვირდა მურადს. ვინ ყოფილა ეს, რა უფლებებით აღჭურვილი, რა შეგნებისა და სწავლის პატრონიო, ფიქრობდა. შელაპარაკებასაც რომ ვერ უბედავენ!.. ალბათ მართლაც დიდი ვინმეა. დიდი, მაგრამ პატარაც. სასტიკი, მაგრამ ლმობიერიც. ნეტავ ასეთი იყვნენ ყველანი.

ფრთხილად შეაღო კარი და შეიპვრიტა. ეგონა ვერავინ შემნიშნავსო, მაგრამ ანდრომ მაშინვე იცნო.

— შემოდი, მურად.— დაუძახა მან. — და ისევ განაგრძო ლაპარაკი.

მურადი სირცხვილით დაიწვა. ფრთხილად შეიპარა და კარებთან აიტუზა. შვიდამდე მასწავლებელი იყო. ამ თემში შემავალი ყველა სკოლიდან მოეწვიათ. კრებას რამდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდაც ესწრებოდა. ესენი კუთხეში მიმჯდარიყვნენ და განაბული ისმენდნენ ანდროს სიტყვებს.

მურადს ცოტათი გაუარა მორცხვობამ. ის ნელნელა წავიდა და ნურისთან ახლოს ჩამოჯდა. ეს ერთადერთი ახალგაზრდა ემეგობრებოდა მურადს და ამიტომ უფრო გაბედა მასთან მისვლა.

ანდრომ კიდევ ბევრი ილაპარაკა. ჯერ მასწავლებლებზე, შემდეგ ახალგაზრდობაზე. ყველა ესენი ჩავაბათ უნდა მუშაობაშიო, სთქვა. ახალგაზრდებს მიუბრუნდა და კომკავშირის უჯრედის ჩამოყალიბებაზე და მის ამოცანებზე ილაპარაკა. პირველად კი საჭიროა მომზადებაო, წერა-კითხვის შესწავლაო. კიდევ მრავალი რამ აუხსნა. ხვალიდანვე უნდა დავაარსოთ წერა-კითხვის უცოდინარობის საალიკვიდაციო სკოლაო. ერთეროი მასწავლებელი გამოჰყო, დაავალა ამ საქმის მოწესრიგება. ახალგაზრდებს კი წინადადება მისცა ევლოთ სკოლაში საღამოობით. შეპირდა, ვინც უკეთესად ისწავლის, იმას დავაწინაურებთ, ბათუმში გავგზავნით, კოოპერატივში დავნიშნავთ, საბჭოში ვამუშავებთო.

ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს. ზოგიერთი დაეჭვდა, არ გვატყუებდესო, მაგრამ მეტი ნაწილი კმაყოფილი იყო.

გვიან გაათავეს თათბირი და გამოვიდნენ.

ახლა მივიდა მურადი ანდროსთან და უამბო, თუ რისთვის

დაიგვიანა. კომიტეტში შეეჩერებინათ. რაღაც ქაღალდები იყოო გადასაბეჭდი. დავალება კი შეესრულე, ყველაფერი მოვიტანე, რაც დამაბარეო, უთხრა მან.

ნაილეს არ ეძინა, შინ რომ მივიდნენ. ის სამზარეულოში იჯდა და ძმას და სტუმარს მოელოდა. მჭადი გამოეცხო, მაგრამ ისევ კეცზე ჰქონდა ღადარწაყრილი. მოხარშული კვერცხი, მაწონი და ერბო ცალცალკე ეწყო თეფშებით.

მურადი უწინ შემოვიდა, გააფრთხილა სტუმარი მოვიდაო და ლამპა წაიღო ანდროს ოთახში.

ანდრო ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა. განგებ შეჩერდა გარეთ, რომ უხერხულობაში არ ჩაეყენებინა მასპინძელი.

— მობრძანდით — მიიპატიჟა მურადმა და ოთახში შეუძღვა. წუხელის არ გაგითევიათ აქ. იქნებ იმიტომ, რომ მე არ ვიყავი სახლში.— თვალებში შეხედა და პასუხს დაელოდა.

— მართალია — მოკლედ მიუგო ანდრომ. ძალიან გაუკვირდა, რომ მურადი რაღაც უფრო ზრდილობიანად და მორიდებულად ლაპარაკობდა. თქვენობით იხსენიებდა და თან დაკვირვებულად გამოსთქვამდა სიტყვებს. ჩანდა, რომ ხულოში ერთი დღით ჩასვლას, იმ ღამეს კი მასწავლებლებთან თათბირზე დასწრებას, მათს ლაპარაკსა და ერთმანეთისადმი მიმართვას გავლენა მოეხდინა მასზე.

— მე ვარ დამნაშავე — სთქვა მურადმა.— უნდა დავბრუნებულიყავი გუშინვე. აწი კი არ იქნება ასე.— მობრუნდა, სამზარეულოში შევიდა და იქიდან დაბალი, მრგვალი მაგიდა შემოიტანა ვახშმით გაწყობილი.

მადიანად ივახშმეს. ხანდახან შეხედავდნენ ერთმანეთს უსიტყვოდ და ისე ილუკმეზოდნენ. ორივეს მაგრად მოშივნოდა.

— ჯერ ხომ არ დაწვებით?— შეეკითხა ვახშმის გათავების შემდეგ მურადი და სუფრის ალაგებას შეუდგა.

— არა. ეს ქაღალდები უნდა დავათვალიერო— რამდენიმე კონვერტის გახსნა მოესწრო ანდროს.

— მაშ კარგი.— მურადმა მაგიდა გაიტანა და გავიდა.

ანდრომ გახსნა კონვერტები, გადაიკითხა ცირკულარები, მომართვები და შემდეგ გაზეთებს დაუწყო თვალიერება.

ის მოქანცულობას გრძნობდა, მაგრამ ახალი გაზეთების წაუკითხავად დაწოლა მაინც არ უნდოდა. კარგა ხანს კითხულობდა. ყველა გაზეთი გადაათვალიერა და როცა სულიერი კმაყოფილება მიიღო, წამოდგა, წიგნები და გაზეთები ერთ ადგილას დაალაგა და დასაწოლად ემზადებოდა. ამ დროს კარი გაიღო და მურადი შემოვიდა.

ანდროს არ გაკვირვებია მისი შემოსვლა. ცნობისმოყვარე ახალ-

გაზრდა გლეხი ასედაც უნდა მოქცეულიყო. მისთვის ჯერ უცნობი იყო კარებზე დაკაკუნება, შესვლის ნებართვის აღება და სხვა ამგვარი.

— მოდი, მურად,— უთხრა ანდრომ— .დაჯექი, მიამბე რა ნახე ხულოში. როგორ იმგზავრე.— ტახტზე ჩამოჯდა და მურადიც მიიწვია.

მურადი წუთით უხმოდ იდგა, თითქო რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა. ბოლოს უხერხულად მიიხედ-მოიხედა და ძლივს გასაგონი ხმით წარმოსთქვა:

— მე მინდა...—კიდევ მიიხედ-მოიხედა,— მე მინდა ჩემი და გაგაცნო— გაბედა.— ნაილე გაგაცნოთ და... —ამის მეტი ველარაფერი სთქვა.

ანდრო წამოდგა. უხერხულობა იგრძნო. ტანსაცმლის სწორება დაიწყო.

— ძალიან კეთილი. ძალიან კარგი.— უთხრა მან სახეაწითლებულ მურადს.— გთხოვთ.— და ამ შემთხვევისათვის მოემზადა.

მურადი მოტრიალდა, გავიდა და ერთი წუთის შემდეგ ნაილე შემოიყვანა..

ანდრო ფეხზე იდგა. ის მიეგება, მორიდებით მიესალმა ახალგაზრდა ქალს და ხელი გაუწოდა. ნაილეს თავზე თეთრი იაზმა მოეხვია, მაგრამ სახე დაუფარავი ჰქონდა. ანდრომ რომ ხელი გაუწოდა, მან პირი გვერდზე მიიბრუნა, თვალები მოარიდა და ისე ჩამოართვა ხელი.

ეს იყო უცხო მამაკაცის პირველი ხელი, რომელიც ნაილეს ხელს შეეხო. ნაილეს ხელს კი არა, მთელი მისი ამხანაგებისა და ტოლების ხელებს. პირველი შემთხვევა იყო ამ მხარეში, რომ აჭარელმა ქალმა თავისი სურვილით ჩამოართვა ხელი უცხო კაცს, პირღია დაენახა და გაეცნო. ვინ იცის, რას იზამდა სოფელი, ეს რომ გაეგო. შეიძლება ცეცხლის ალში გაეხვიათ მურადის სახლკარი, გამოეყვანათ ნაილე და სამაგალითოდ ჩაექოლათ. უცხო კაცი რომ ქალს შეხედავს, ვინ იცის რას გაიფიქრებს. მერმე ეს გაფიქრება ხომ ცოდვაა. წინასწარშეტყველი კრძალავსო, გაუგონია ნაილეს. ნაილეს კი არა, ყველას ასე სწამს. ქალი დამალული უნდა იყოს. ჩადრში შეხვეული, ჩაჩაბჩამოფარებული. მარტო ქმარს აქვს უფლება შეახოს ხელი, შეხედოს, უკან ჩამოიყენოს და ისე წაიყვანოს, თუ სადმე მიდის. უკან ჩანჩალი დაუწესებია მისთვის სჯულმდებელს. მორჩილება და სხვის ნება-სურვილზე ცხოვრება!... საწყალი ქალი!.. რისთვის იყო საჭირო მისი ასე დამონება და უუფლებობა!..

ნაილეს გააკრჭოლა, თავისი დანაშაული რომ წარმოიდგინა. სწრაფად გამოსტაცა ხელი ანდროს და უკან დაიხია.

— დაბრძანდით — მიუთითა ტახტზე ანდრომ.— დაჯექი მურად შენც .. კარგი და გყოლია.—ნაილეს შეხედა — სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. დაბრძანდით, დაბრძანდით, ნუ გერიდებათ. მეც სწორედ თქვენი ხნის და მყავს. დაბრძანდით.

ნაილე ფრთხილად მივიდა ტახტთან, ძლივს მოახერხა დაჯდომა. ხელები ხან მუხლზე დაიწყო, ხან ტახტზე. ვერ უპოვა ადგილი.

— უპირველეს ყოვლისა მადლობა უნდა გადაგიხადოთ პატივისცემისათვის, ამხანაგო ნაილე. იმედია შემაძლებინებთ სამაგიეროს გადახდას. ჩინებული კერძის გაკეთება გცოდნიათ,— სცადა ანდრომ სალაპარაკოდ გაწვევა, მაგრამ ნაილე ვერ ბედავდა ხმის ამოღებას. ის ხანგამოშვებით გაიხედავდა ანდროსაკენ და თუ ანდროს თვალებს შეეფეთებოდა, უცებ ისევ გამოიხედავდა.

ისევ მურადს გამოელაპარაკა ანდრო, უამბო გუშინდელი ამბავი, საბჭოს დადგენილება კოოპერატივის გახსნის შესახებ, გზის გაყვანის შესახებ და კიდევ მრავალი რამ.

— თუ ხვალიდანვე შეუდგები წერა-კითხვის სწავლას და იბეჭითებ, ახალგახსნილ კოოპერატიულ სავაჭროში დაგნიშნავთ და მერმე თანდათან დაგაწინაურებთ. რას იტყვი!— მიმართა ანდრომ მურადს.

მურადმა ნაილეს გადახედა, იმან კიდევ ძმას და ორივემ ერთად—ანდროს.

— დღედაღამ ვისწავლი. ერთ თვეში მეცოდინება წერა-კითხვა. ზოგიერთი ანბანი ახლაც ვიცი. ნაილემ მასწავლა. ამან თავის სახელისა და გვარის დაწერაც იცის.— მიუთითა დაზე.

— მართლა?!. იცით წერა-კითხვა?!.—შეეკითხა ანდრო ნაილეს.

— ცოტა ვიცი.— გაბედა ხმის ამოღება და რახან შეატყო, რომ ამით არაფერი დაშავდებოდა, ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:— აქ ერთი მასწავლებელი ქალი იყო, იმან მასწავლა.— შერცხვა, ბევრი ხომ არ მომივიდაო.

— გინდათ ისწავლოთ უფრო კარგად?!.— ღიმილით ჰკითხა ანდრომ

— ელბეთ მინდა, მაგრამ. . .

— მაშ ვისწავლოთ. კიდევ ხომ არავინ გყავთ თქვენს ამხანაგებში ისეთები, რომლებსაც უნდოდეთ სწავლა?

— არ ვიცი. ქალებს არ ასწავლიან ჩვენში. რა ქალის საქმეა სწავლაო. ქეღელდის კითხვა ხოჯიების საქმეაო, ამბობენ.— ახლა უფრო გათამამდა ნაილე.

— ეს კი შემცდარი შეხედულებაა. აი, ამხანაგო ნაილე, რაშია საქმე. თქვენ რომ დედა ნასწავლი გყოლოდათ, თქვენც ნასწავლი იქნებოდით. თქვენ თუ ისწავლით და სწავლული იქნებით, თქვენი

შვილებიც ნასწავლი გამოვლენ. კარგი დედა კარგ შვილს აღზრდის. ჩემი აზრით, თქვენ უნდა ისწავლოთ და ისწავლოთ იმდენი, რომ შესძლოთ შემდეგში ასწავლოთ სხვებს. გინდათ მასწავლებელი ქალი შეიქნეთ?.

ნაილეს გული კინაღამ ამოუვარდა ბუდიდან. პასუხის მიცემა ვერ მოახერხა და ძმას შეხედა, თითქოს სთხოვდა დამეხმარეო.

— ჩვენი ქალი მასწავლებლად რავა გამოდგება — დის მაგივრად უპასუხა მურადმა — მასწავლებლობას ბევრი სწავლა სჭირია...

— ნაილემაც ისწავლოს ბევრი. შენ რა, წინააღმდეგი ხარ?!.

— წინააღმდეგი რავა ვარ!— წამოხტა მურადი — ობლად გაზრდილია...—ცოტა შეჩერდა ამ სიტყვებზე და შემდეგ განაგრძო:— კარგი არაფერი უნახავს. ამ სოფლიდან ფეხი არ გაუდგამს. ქვეყანა არ იცის როგორია. მაგი თუ ისწავლის, მე სიხარულის მეტი რა მექნება!..

ნაილემ აღტაცებით შეხედა ძმას. მის გულში ახლა უფრო გაღვივდა ნათესავური სიყვარული. ამდენხანსაც უყვარდა ძმა, ცდილობდა პატივი ეცა მისთვის, ესიამოვნებინა, მაგრამ თავის მხრივ კი არ იცოდა რა შეხედულების იყო მასზე მურადი, სამაგიერო სიყვარული და პატივისცემა იყო თუ არა მის გულში. ახლა, როცა ასეთი სიტყვა სთქვა, ნაილეს თვალებში სიხარულის ცრემლები აუბრწყინდა.

— მაშ ნაილე ისწავლის.— გადაჭრით სთქვა ანდრომ.

— მე მინდა მურადს ასწავლოთ. მაგი კაცია. კაცისათვის უფრო საჭიროა სწავლა. მაგას დაეხმარეთ, ბატონო — ხმის კანკალით წარმოსთქვა ნაილემ და თვალებზე იაზმა აიფარა.

— მაგანაც უნდა ისწავლოს,— უთხრა ანდრომ,— თქვენც უნდა ისწავლოთ. თქვენმა ამხანაგებმაც... ყველამ, ყველამ უნდა ვისწავლოთ. მეც ვსწავლობ. ხედავთ რამდენი წიგნი დამაქვს თან?!. სწავლა ძალიან დიდია საჭირო. კომკავშირშიაც უნდა ჩაეწეროთ. გაგიგონიათ კომკავშირი? კომუნისტური ორგანიზაცია ახალგაზრდების.

— გამიგონია — სთქვა ნაილემ და ძმას შეხედა.— ქეთო ამბობდა კომკავშირში ვარო. მეც მითხრა ჩაეწერეო... ვიცი, ერთხელ გველაპარაკა გოგოებს. ჩაგწერავთო გვითხრა, მაგრამ...

— ვერ გაბედეთ?.

— რა ვიცი, გოგოებმა არ ქნეს... ყველას ეშინია. დედ-მამა ყავთ და...

— თქვენ ხომ ჩაეწერებით.

— მე?.— ძმას შეხედა.

— რატომ არ ჩაეწერება?!— სთქვა მურადმა — მე თუ ჩაეწერები, ჩემს დას რა უშავს?!.

— მომწონს — უთხრა ანდრომ და და-ძმას მაგრად ჩამოართვა ხელი.

თავი მეოთხე

I

ბზისპირას ძველი წისქვილი იდგა. უფრო კი ნაწისქვილარი, რომელიც წყალს კარგახანია მიეტოვებინა, სათავე გაეგლიჯა, მიმართულება შეეცვალა და ახლა საკმაოდ შორიდან უელიდა აქაურობას.

ათ წელზე მეტია მას შემდეგ. სოფლელებმა სხვა წისქვილი ააგეს და ეს ‘ეხობა უყურადღებოდ მიატოვეს. რამდენიმე პატრონი ყავდა მას და ვერ შეთანხმებულიყვნენ ‘ენობის განაწილებაში. ან რა ღირებულებას წარმოადგენდა ის, თორემ დაშლიდნენ.

სოფლის ბავშვები იყრიდნენ თავს შიგ წვიმიან დღეებში. თამაშობდნენ, ექიას (ზლაპრებს) უამბობდნენ ერთმანეთს და ხანდახან ოჯახობიასაც თამაშობდნენ. ერთი მამა იყო, მეორე დედა, სხვები შვილები, ან სხვა მემკვიდრეები. აქ გოგოებიც იყვნენ. ქალს თავისუფალი ცხოვრების უფლება მხოლოდ თორმეტ წლამდე ჰქონდა. ამ დრომდე არავინ უშლიდა მას თამაშობას, მამაკაცის დანახვას, დალაპარაკებას. შემდეგ კი, გადაადგამდა თუ არა მეცამეტე წელში ფეხს, მისთვის ყველაფერი ჩამობნელდებოდა. მშვენიერი და წარმტაცი ბუნება შავი ან მუქი ფერის იყო. ჩაჩაბიდან უქვრეტდა ქვეყანას და შავი ფერის ნაქერი ყველაფერს სამგლოვიარო სამოსელს აცმევდა.

თავიდან აჩვევდნენ გოგონებს ჩადრის ჩაცმას, ჩაჩაბშიგნიდან ცქერას. იაზმით სწრაფად პირსახის დაფარვას. ამიტომ შვიდი-რვა წლის გოგონებს შემოახვევდნენ იაზმას და ისე უშვებდნენ სათამაშოდ ან თიკნებისა და ბოხრიკების (ხბოების) საწყესავად.

ისინიც ვარჯიშობდნენ. მოჰკრავდნენ თუ არა უცხო მამაკაცს თვალს, სწრაფად იბრუნებდნენ პირს, იაზმას შემოიხვევდნენ და ‘ასე გაიყინებოდნენ ერთ ადგილას გამვლელისაკენ ზურგშექცეული, სანამ უცნობი არ ჩაივლიდა.

ასე შვებოდნენ დედები და შვილებიც მათ ბაძავდნენ. ამჟამად მათთვის საამაყო იყო, სასიამოვნო სათამაშო იყო ეს ცერემონია, მაგრამ გამოუცხადებდნენ თუ არა, აწი სათამაშოდ ვერ წახვალთ, ბიჭებს ვერ დაელაპარაკებით, მამაკაცს სახეს ვერ დაანახვებთო, ფრთებშეჭრილი ფრინველივით დაეცემოდნენ, დანაღელიანდებოდნენ და დიდხანს დასტიროდნენ დაკარგულს, უკვე წარსული ბავშვობის თა-

ვისუფალ დღეებს. მერმე დაიკარგებოდნენ ისინი, დაკარგავდნენ სილამაზესა და სიკეკლუცეს. ჩადრში ყველანი ერთმანეთს გავდნენ. ერთნაირი სიბნელით მიდიოდნენ და ცხოვრებას სამგლოვიარო ელფერს აძლევდნენ.

არც ისე ადვილი შესაძენია ჩადრი. რამდენიმე არშინი ზედმეტი აბრეშუმი ან სატინაა საჭირო. ჩვეულებრივ კაბასთან შედარებით ის ძვირიც ჯდება. ოჯახში, სამუშაოზე, ან სხვა ხელსაქმის კეთების დროს ჩადრი არ იხმარება. მუდამ ჩადრში ყოფნა შეუძლია მხოლოდ უსაქმურს, მაგრამ თითო ხელი ჩადრი ყველას უნდა ჰქონდეს ტირილში, ქორწილში ან ნათესავებში წასასვლელად. უამისოდ ქალის გარეთ გამოსვლა არ შეიძლება. მაგრამ ოჯახში, ყანაში, საქონელში, ჩვეულებრივ აცვიათ გრძელი ნაოჭებიანი კაბა, რომელიც კოჭებსაც უმალავს. ყელზე და თავზე კი მოხვეული აქვთ დიდი დარაია, აბრეშუმის ან ჩითის. მაგრამ ყველას როდი აქვს იმდენი შეძლება, რომ აბრეშუმი და ჩითის თავსაფრები იყიდოს. ყველაზე ხელსაყრელია დოლბანდის თავსაფარი, ფერადი ან უბრალო ფოთლებიანი. ათასობით საოდებოდა წინათ ასეთი თავსაფრები. ყველაფერზე რომ უარი ეთქვა გლეხს, იაზმა არ ეყიდა, არ შეიძლებოდა. ის ქალის მცველი და ნამუსი იყო.

ამიტომ ქალის დაბადება არ უხაროდათ ხოლმე აქ.

მაგრამ ბუნება როდი აქცევდა ყურადღებას მათ წყენა-სიხარულს. თითქო ჯინაზე უფრო მეტი ქალი იბადებოდა და მრავლდებოდა. ავადმყოფობაც ნაკლებად კიდებდა ხელს მოძულებულ გოგონებს. მაინც იზრდებოდნენ, მაინც მატულობდნენ ფერსა და ხორცს.

ბევრი ქალი გამოდიოდა ლამაზი, ეშხიანი, თვალტანადი. რომ ჩადრის ქვეშ არ ყოფილიყო დამალული ეს სილამაზე, ცხოვრებას ერთი ათად უკეთესი შნო ექნებოდა. ახლა კი ფეროვნება აკლდა. სმა-ჭამა, სიმღერა - თამაში, მოლხენა და დროს ტარება უფერული იყო. მარტო მამაკაცები ისხდნენ მაგიდასთან, მარტო ახალგაზრდა ვაჟები ცეკვავდნენ და მღეროდნენ. ასე იყო ქორწილში, ასე იყო ტირილში. ქალები მარტო ატარებდნენ დროს. ბნელ ოთახში ჩაიკეტებოდნენ, ცეკვავდნენ, ხუმრობდნენ, ამბობდნენ შაირებს, ხშირად მეტად უხეშსა და უწმაწურს.

მხოლოდ ერთადერთი ბავშვობა იყო უფრო ხალისიანი და სიცოცხლით სავსე. მხოლოდ ბავშვები იყვნენ ერთმანეთისადმი კეთილსა და მეგობრულ დამოკიდებულებაში. საძოვარში, ყანაში, ტყეში, მინდორში, მედრესეში და უფრო კი ნაწისქვილარში ისინი ერთმანეთთან იყვნენ და მხიარულად ატარებდნენ დროს.

წვიმდა. მდინარე წამოდიდებულიყო. გრუხუნით მიაგორებდა დიდრონ ქვებს და მიაცურებდა მორებს.

ნაგვალევ მიწას მალამოსავით ედებოდა წვიმის წვეთები. ბალახებს სიმწვანე მომატებოდა, სიმინდის ყანებს დაეცქვიტნაო ყურები. გოჯი სიმაღლე მოემატებინაო ერთი ღამის განმავლობაში.

წუხელ საღამოს დაიწყო და დღესაც შეუჩერებლივ უშვებს. სწორედ ნანატრია ასეთ დროს წვიმა...

ძალიან კარგია მაისის წვიმა. თავშიშველი შეუდგნენ ბავშვები წვიმის პირველ წვეთებს. მაისის პირველი წვიმა თმასაც ზრდისო იტყვიან. ზოგიერთების აზრით, მაისის პირველი წვიმის წყალი რომ შეინახო, ძმარად დადგება..

გლეხები, ვისაც ჰქონდა სანერგე თამბაქო, გადარგვას შეუდგნენ. ქალებმა კეჟერა ფხალი და ჰარხალი გადარგეს ბაღჩაში. ტომარწამოფარებული მუშაობდნენ.

ბავშვები თავიანთ საყვარელ თამაშობაში გართულიყვნენ. ნაწილქვილარში შუაცეცხლი დაენთოთ, აქეთ-იქიდან შემომსხდარიყვნენ და გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ირჩევდნენ ოჯახის მეთაურებს—მამას და დედას. ასახელებდნენ კანდიდატებს.

— მე ვიქნები მამა, ფადიკო იყოს დედა. თქვენ იქნებით შვილები.— ამბობდა ერთი ჰატარა ბიჭი, იქნებოდა შვიდი-რვა წლისა. თავი გაპარსული ჰქონდა, მაგრამ შუბლს ზევით ხელის სიფართე არეზე თმა ისე იყო დატოვებული, თითქოს მაკრატელი გატეხნია გამკრეჭავს და ბავშვი გაუკრეჭავი დაუტოვებიაო. გრძელი ბალანი შუბლზე ეფინა მას. შიშველ ფეხებზე საშინელი ჭუჭყი აჩნდა. ეტყობოდა, საპონი არასდროს არ ღირსებია.

— შენ გუშინ იყავი, დღეს სხვამ ითამაშოს.— უთხრა მეორე ბიჭმა.

— მოდი, ენვერი იყოს მამა და მე დედა ვიქნები.— დაიძახა ცქრიალა გოგონამ, რომელსაც იაზმის ნაჭერი შემოეხვია ყელზე.

— კარგია, კარგი — შესძახეს ბავშვებმა.— ენვერი და ფადიკო იყოს. ჩვენ შვილები ვიქნებით.

მოიწონეს ბავშვებმა.

ფადიკომ მაშინვე მიიღო დედის პოზა, აიხვია იაზმით პირი, მარტო თვალები გამოაჩინა. ენვერი კი გაიბუტა, კარებთან მივიდა და წვიმის წვეთებს დაუწყო ცქერა.

— რატომ არ თამაშობ?— შეუტიეს ბავშვებმა.

— არ მინდა, ეს თამაშობა არ მომწონს — სთქვა მან ისე, რომ ბავშვებისაკენ არ მიუხედავს. თუ გინდათ სხვა რამე ვითამაშოთ.

— ჯერ ეს, შემდეგ სხვა.— უთხრა ჰატარა დიასახლისმა, წამოდგა, კარებთან მივიდა, ენვერს ხელი მოჰკიდა და მოსწია.

— წამოდი, წამოდი, ცოტა ხანს ვითამაშოთ. აი, შენ მამა ხარ, მე დედა, ეს ორი ჩვენი შვილებია, ესენი მეზობლები, შენ ვითომ

ყანაში წადი. მე სადილს ვაკეთებ.. მერმე ყანიდან დაბრუნდები, მე სადილს გაგიწყობ. მოდი ჭოვ, მოდი.— უფრო მაგრად მოსწია, მაგრამ ენვერი უარზე იდგა.

— სცხვენია.— ჩაულაპარაკა ერთმა ბიჭმა მეორეს.

— რატომ? — ახლოს მიუტანა ყური ამხანაგს მეორემ.

— დაოჯახებულია და სცხვენია ჩვენთან თამაშობა.

— დაოჯახებული?!.— გაიკვირვეს ბავშვებმა.

— ჰო, თორმეტი წლისაა. აწი შეიძლება დაოჯახება.— განმარტა ჩუმად პირველმა.

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს.

ესენი ბავშვები იყვნენ, ბავშვები, რომლებმაც ოჯახური ცხოვრებისა და სქესთა დამოკიდებულების შესახებ არაფერი იცოდნენ, მაგრამ მათი ლაპარაკი და ყოფა-ქცევა სავსებით შეეფერებოდა მოზრდილი ადამიანების საქციელს.

ყველაზე უფროსი ამათ შორის თერთმეტ-თორმეტი წლის იქნებოდა ვაჟებიდან და ცხრა-ათი წლისა გოგონებიდან. ნამდვილი უმანკო ადამიანები, ნამდვილი გაუფურჩქვნელი კოკორები ცხოვრებისა, მაგრამ საკმაოდ დაბეჩავებული და მოძულებული იმავე ცხოვრებისაგან.

არავის ეცალა მათთვის, არავინ ზრუნავდა მათზე, არც მოვლაზე, არც სწავლაზე, არც ჩაცმა-დახურვაზე, დაბან-დარეცხვაზე.

სიღარიბეს აბრალებდნენ ყველაფერს. არქონებით ხსნიდნენ შვილების მოუვლელობას. სიღატაკის ბრძოლი იყო ყველაფერი, მაგრამ ყველაფერში არც ამის მთქმელები იყვნენ მართალი..

— არ გინდა ჩვენთან თამაში?!.— კიდევ კითხეს ბავშვებმა ენვერს და რადგან უკანასკნელმა ისევ უარი უთხრა, ოჯახის მამად სხვა აირჩიეს, მაგრამ ახლა ოჯახის დედაც ასარჩევი გახდა, ვინაიდან ფადიკომ არ ისურვა სხვასთან თამაშობა.

თამაშობა მაინც არ დაშლილა. ოჯახი ისევ შექმნეს, მამაც გამოყვეს, დედაც, შვილებიც, მეზობლებიც და ოჯახური ცხოვრების სცენები გაითამაშეს.

ენვერი არ ღებულობდა მონაწილეობას თამაშობაში. ის კარებთან ჩამომჯდარი ადევნებდა თვალყურს ამხანაგების თამაშობას და ხანდახან ნაღვლიანად ამოიოხრებდა.

წვიმა ოდნავ შენელდა. სქელი ღრუბლები გადაშორდა მთებს და ცამ პირი მოიწმინდა. საშუადღოზე გადაცილებულმა მზემ მორცხვად გადმოიხედა.

ბავშვები გამოცვივდნენ გარეთ. მოჩხრიალე ღარზე დაიწყეს წისქვილების აგება. ბორბლები აატრიალეს, საცეხველი მოაწყვეს ახლა უფრო კარგი სათამაშო იპოვეს და უფრო გამხიარულდნენ.

ბოლოს ესეც მოსწყინდათ. დაანგრიეს წისქვილები. მოხსნეს ბორბლები, ფეხებით გაასწორეს პატარა თხრილები და ერთად შეიქუჩდნენ.

— კრებაა, ამხანაგებო, კრება.— დაიძახა ერთმა ბიჭმა, ხის მორზე შეუხტა და ხელი გაიშვირა. ყური დამიგდეთ. მე ვარ თქვენი თავმჯდომარე. მე ვარ თქვენი მთავრობა, თუ რამე საჩივარი გაქვთ, მე მითხარით....

— შენ კი არა, მე ვარ თავმჯდომარე — ჩამოაგდო მეორემ ამხანაგი და თვითონ შეუხტა მორზე.

— მე ვარ თქვენი თავმჯდომარე — დაიწყო ახლა მან, მაგრამ ბავშვებმა უცბად გაკმინდეს ხმა და სოფლიდან მომავალ გზისკენ გაიხედეს.

საბჭოს თავმჯდომარე და რამდენიმე სხვა კაცი დაინახეს აქეთ მომავალი და ცქერა დაუწყეს.

— ვინ ახლაეს თავმჯდომარეს?.— გადაუჩურჩულა ამხანაგს ერთმა ბავშვმა.

— ბათუმიდან ამოსული კაცია.— უპასუხა ამხანაგმა.

— თურმე დიდი მთავრობის გამოგზავნილია.

— მთავრობის კი არა, პარტიისაო, ბაბამ სთქვა.

— ჩვენს თავმჯდომარეს ეშინია თურმე მაგ კაცის.

— თავმჯდომარეს რავა შეეშინდება. თვითონ მთავრობაა.

— დიდი მთავრობის გამოგზავნილი თუ კია, ელბეთ შეეშინდება.

ბავშვებმა ჩურჩული შეწყვიტეს, რადგან თავმჯდომარე და მისი მხლებლები უკვე სულ ახლოს მივიდნენ.

პატარებმა იცნეს სოფლის მასწავლებელი ნური ბერაძე და დელი მურადა. დანარჩენი ორი მათთვის უცნობი იყო.

უცნობთაგან ერთი ანდრო იყო, მეორე—ჩამოსული ინსტრუქტორი.

მოსულები ნაწისქვილარში შევიდნენ, დაათვალიერეს, გაზომ-გამოზომეს და გამოვიდნენ.

— დროებით გამოდგება—სთქვა ანდრომ.—შემდეგისათვის კი კარგი შენობა უნდა ავაგოთ.

— რასაკვირველია,—დაემოწმა თავმჯდომარე.

— მაშ ხვალიდან შეუდექით შეკეთებას. გაწმინდეთ, გაასუფთავეთ და მოაწყვეთ ისე, რომ შეიძლებოდეს საქონლის დაწყობა—სთქვა მაზრიდან მოსულმა.

— უსათუოდ, ამხანაგო დურსუნ. დურგლები და ხეროები, მგონია, გყავს, დავაყენოთ სამუშაოდ. სახურავიც შესაკეთებელია. კედლებიც. ნაწილობრივ ბოძებიც გამოსაცვალია. ჯერჯერობით იატაკს თავი დავანებოთ. რას იტყვი.

— სწორია, მეც მასე მგონია—დაეთანხმა დურსუნი.

— თუ შენობის საკითხს დროზე მოვაგვარებთ, მომავალ თვეში უკვე კოოპერატიული სავაჭრო გექნებათ, ამხანაგებო.— სთქვა მაზრიდან მოსულმა და შემდეგ ისევ თავმჯდომარეს მიუბრუნდა.

— გზის საკითხი გაქვთ ძალიან ცუდად. ამხანაგო დურსუნ, წარმოიდგინეთ, რომ ძალიან გაგვიჭირდება საქონლის გადმოზიდვა.

— ამჟამათ შეუძლებელია ამხანაგო ერასტი, საგზაო მუშაობის დაწყება და ოდნავ უფრო თავისუფალი დრო რომ გვექნება, უნდა შეეუდგეთ გზის გაყვანას. რას იტყვი, დურსუნ, შენ—შეხედა ანდრომ დურსუნს.

— ეგ ჩემი საქმე იყოს.—შეაწყვეტინა ისევ ანდრომ.—რაც საჭიროა, გავაკეთებ—გადახედა ბავშვებს, რომლებიც ერთად შექუჩებულიყვნენ და ყურს უგდებდნენ ამათ ლაპარაკს.

— გამარჯობა ახალგაზრდებო. როგორ ცხოვრობთ.—მივიდა და ერთ ბავშვს, რომელიც ყველაზე პატარა იყო, თავზე გადაუსვა ხელი.

— გონჯად რაიზა ვიქნებით.—უპასუხა უფრო მოზრდილთაგანმა, რომელიც ენვერის გვერდით გაჩერებულიყო.

— რა გვარი ხარ შენ?—შეეკითხა ანდრო.

— დევაძე.—სწრაფად მიუგო ბავშვმა.

— სკოლაში დადიხარ?

— არა. რაი უნდა ვაკეთო სკოლაში.—ამხანაგებს გადახედა.

— მედრესეში ვისწავლეთ—დაეხმარა ენვერი ამხანაგს.

— წერა-კითხვა იცით?—ახლა ამას მიუბრუნდა ანდრო.

— არა. ლოცვებს გვასწავლიდა ხოჯა.

— სკოლაში უნდა იაროთ. ხომ ხედავთ როგორი სკოლა ავაგეთ. ესეც თქვენი მასწავლებელი იქნება—მიუთითა მასწავლებელზე—სწავლა ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენთვის.

— ხომ არ უნდა გავგიაურდეთ, რად მინდა სწავლა?!.— სთქვა ერთმა ბავშვმა. შემდეგ ამხანაგებს გადახედა, თუ დამიდასტურებენო.

ამ თქმაზე ზოგმა გაიცინა, ზოგმა ანდროს შეხედა.

— შენ რა გვარი ხარ?

ბავშვმა ვერაფერი უპასუხა.

— არ იცი რა გვარი ხარ?—განუმეორა შეკითხვა ანდრომ.

არიფაი მქვია, გვარი არ ვიცი.—ცოტა არ იყოს შერცხვა

ბავშვს და ამხანაგს გადაულაპარაკა.

— მე რაი ვიცი, ჯოვ,—ნიდაყვი გაკრა ამხანაგმა.

— აი, ხედავ, უსწავლელი რომ ხარ, იმიტომაა, რომ საკუთარი გვარიც არ იცი. ასე არ ვარგა, ჩემო არიფ. შენ ხვალიდანვე მოხვიდე უნდა სკოლაში. წიგნებს მოგცემთ, ფანქრებს, გასწავლით, მუშაობას შეგაჩვევთ, გათამაშებთ. ხომ გესმით! ხვალ დილით უსათუოდ მოდით სკოლაში. რას იტყვით!

— ელბეთ მოვალთ.—აქა-იქ ჩაილაპარაკეს ბავშვებმა.

— ბაბაი არ გამომიშვებს—გულისტკივილით სთქვა ენვერმა და დამნაშავესავით დახარა თავი.

ანდრო მას დააცქერდა. ეს ბავშვი, მართალია, პატარა იყო, ათი-თორმეტი წლის იქნებოდა, მაგრამ მას სახეზე უკვე დასრულებული ადამიანის საქმიანობისა და დარდიმანდობის გამომეტყველება ემჩნეოდა.

გინდა შენ სწავლა?—შეეკითხა ანდრო.

— ელბეთ მინდა.

— მაშ ხვალ დილით მოდი სკოლაში. რა გქვია?

— ენვერი.

— გვარი?

— დევაძე.

— მაშ, ამხანაგო ენვერ დევაძე, შენ ხვალ უსათუოდ მოხვალ სკოლაში. გესმის?

— ელბეთ მესმის.—უპასუხა ენვერმა, ამხანაგებს გამოეთიშა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა შინისაკენ.

II

საშუადღეზე გადასული მზის სხივი მორცხვად შეპარულიყო ოთახში ვიწრო ფანჯრიდან და კედელზე ჩამოკიდებულ ხალიჩას მისჩერებოდა. ნაწვიმარზე გამოსული მზე აასკეცებდა სიცოცხლეს, ახალისებდა სულს. ზედმეტად აძგერებდა გულს და აღვიძებდა გრძნობებს.

ფარდაგგადაგებულ ტახტზე ფეხმორთხმული იჯდა საკმაოდ ჩასუქებული, დაახლოებით ოცდაათი წლის ქალი. მაღალი თავყელი ჰქონდა. ოდნავ ყეხიანი ცხვირი და სანდომიანი სახე. თვალები ვნებიანი და მიმზიდველი. თავზე იაზმა მოეფარებია. ხელში საკერავი ეჭირა და ზანტად აბნევდა ნემსით.

მზის სხივი რომ დაინახა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ფრთხილად გაიხედა გარეთ, შემდეგ მობრუნდა, მკლავები მკერდზე მიიკრა და ოთახში გაიარ-გამოიარა. თითქო გადასაფრენად ემზადებოდა,—რამდენჯერმე გადაიხედა ფანჯრიდან, შემდეგ ცარებთან ვილაცის ფეხის ხმას მოკრა ყური. მივიდა და ფრთხილად გააღო.

— შორეთი, მარტო ხარ?—მოესმა კარისგაღებისთანავე და კედელთან ატუზული გოგო დაინახა.

— შემოდი ქევსერ.—ხელი მოხვია ქალმა და ოთახში შეიყვანა.

ბავშვმა მიმოავლო თვალი იქაურობას და როცა გარეშე არავინ იყო, იაზმა მოიხსნა და მასპინძელთან ერთად ჩამოჯდა ტახტზე.

— როგორ ხარ, ქევსერ!—ჰკითხა ქალმა და გამოცდილი თვალებით ჩახედა მოსულს.

— რავა უნდა ვიქნე!—ნაღვლიანად უპასუხა გოგომ.—ქალის ცხოვრებას სიკვდილი სჯობნებია.—მორცხვად ჩაღუნა თავი და შიაჩერდა იატაკზე მჯდომ ბუზს, რომელიც რაღაც გემრიელს წუწნიდა.

— არაა ქმარი კარგი, არ მოგეწონა?!—ეშმაკური ღიმილით შეეკითხა ქალი. ხელები მოხვია, მაგრად მიიკრა მკერდზე და ტუჩებში აკოცა.

გოგონამ თავი უფრო დაბლა დახარა და სირცხვილისაგან ჭარხალივით გაწითლდა.

— ქმარს რა სჯობია, ქევსერ! ქალისათვის ღმერთს მარტო ერთი სიკეთე გაუჩენია ქვეყანაზე, ეს არის კაცი. ქალს თუ კაცი ადგას თავზე, ბედნიერია.

— მე მგონია ქმარი ყველაზე უბედურებაა ქალისათვის.— თავი ასწია და ქალს შეხედა.—შენ გიყვარს ქმარი?!. შეეკითხა ის.

— ქმარი?!. ქმარი როგორ არ მიყვარს, მაგრამ ჯერ მე ნამდვილი ქმარი არა მყავს.

— ენვერი?!..—გაკვირვებით შეეკითხა ქევსერი.

— ჯერ პატარაა. რა იცის იმან ქალის!

— ენვერი ჩემზე უფროსია ერთი წლით.

— ქალი სულ სხვაა.

— ნეტა მეც ვაჟი ვყოფილიყავი!.. ძალიან ძნელი ყოფილა ქალობა. შენ არ გიხარია, რომ ენვერი პატარაა? დიდი რომ იყოს, ხომ შენც ჩემსავით შეწუხებული იქნებოდი?—გულუბრყვილოდ უთხრა ქევსერმა.

შორეთი მიუხვდა რაზედაც ლაპარაკობდა ქევსერი. მას სახეზე ეტყობოდა უდროო ქორწინების შედეგი. თორმეტი წლის კიდევ არ იყო ჯერ და მისი ბავშვური სხეული უკვე გადაეთელათ.

ბოლმა აწვეებოდა გულს. სიცოცხლის სიძულვილს იწვევდა მასში ოჯახი, ქმარი და ყველაფერი ის, რაც მან ორი დღეა ნახა და განიცადა.

— რატომ ნატრობენ ქალები გათხოვებას!—ამბობდა ის თავის გულში.—რად უნდათ ქმარი, რის გულისათვის უნდა აიტანონ ყველაფერი ის, რაც მას მოყვება!

გაახსენდა წუხანდელი ღამე.

მხეციც არ მოექცევა ისე საშინლად თავის მსხვერპლს. მხეცზე უმხეცესი ყოფილა ქმარი. არც ხათრი, არც სიბრალული. რამდენი ცრემლი დაიღვარა! რამდენი კვნესა აღმოხდა, რამდენი თმის ბეწვი ჩამოყვა ქევსერის ხელებს, მაგრამ... შეუბრალებელი, ულმობელი ყოფილა ქმარი. კაცი!.. ნეტავ ყველა მამაკაცი გაწყდებოდეს. მაშინ ბედნიერად იცხოვრებენ ქალები, იშრომებენ და იქნებიან ტკბილად.

შორეთის გაეღიმა.

— ჯერ პატარა ხარ, ჩემო ქევსერ და მიტომ გეჩვენება ასე, თორემ კაცთან...—არ დაამთავრა სიტყვა.

— ფუ, კაცი!—გააფურთხა ქევსერმა.—სიკვდილი, სიკვდილი სჯობია ქალის ცხოვრებას... შემდეგ ყველაფერი დაუფარავად მოუყვა, ყველა წვრილმანი უთხრა. აუწერა ის წუთები, ქმრის ვერაგობა, დაუნდობლობა, შეუბრალებლობა...

ზოგიერთი ადგილიც აჩვენა დალურჯებული. ეგონა სიბრალულს აღძრავდა შორეთის გულში, თანაგრძნობას გამოიწვევდა. ეგონა თავის მხრივ შორეთიც შესჩივლებდა მას ქმარზე, უარესს ეტყოდა, ისიც ხომ ახალდაქორწინებულია. ფიქრობდა ერთმანეთს მიუტირებდნენ თავიანთ უბედურებას, მაგრამ ქევსერის ლაპარაკი თითქო არც კი წვდება გულამდე შორეთს.

სიამოვნებით იღიმება. კმაყოფილებით იზმორება და თითქო ქევსერის ბედი შეშურდა, ისე უცქერდა ბავშვის მწუხარე სახეს.

— ეგ არაფერია. ყველაფერს შეეჩვევი და შეეგუები, ქევსერ. ასეთია ქალის ბედი. პირველად მეც გამიჭირდა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით შევეჩვიე. მერმე კი...

— არა.—თავის გაქანებით სთქვა ქევსერმა.—მე შინ აღარ მივალ აწი. მასთან არ დავწვები. არა მეთქი. თავს მოვიკლავ, წყალში გადავვარდები, გესმის?!; აი ამიტომ მოვედი შენთან. დამშალე, ან თავს მოვიკლავ.—თვალებზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

შორეთის ახლა შეეპრალა ქევსერი. ბავშვის უმანკო ცრემლები მიწვდნენ გულამდე. უფრო დედის გრძნობამ წამოიწია და საკუთარი შვილის ბედი წარმოუდგა.

შორეთი დასრულებული ქალია. მან დიდი ხანია გამოსცადა ქმარშვილიანობა. მართალია, ის ქევსერივით მცირეწლოვანი არ ყოფილა, თექვსმეტი წელი ჰქონდა შესრულებული როცა გაათხოვეს, მაგრამ მაშინაც საკმაოდ გაუჭირდა ოჯახის სიმძიმის ატანა. მართლაც ძალიან ემძიმებოდა ქმართან ცხოვრება, მაგრამ შეეჩვია და ახლა... რამდენჯერ უნატრია ვაჟკაცის გვერდით ყოფნა.

ორი წელია ქმარი მოუკვდა. ათი წლის ვაჟი დარჩა და ის არის მისი სიცოცხლის მიზანი. თუმცა ვინ იცის... ჯერ ახალგაზრდა ქალია... შვილები კიდევ შეიძლება ეყოლოს. ავადმყოფი ქმარი რომ არ ყოლოდა, ერთი შვილის ამარა არ იქნებოდა ახლა.

თავის ბედს ქევსერის ბედი შეადარა. ერთმანეთთან ეს ორი ქალი მოქიშპეებსავით იდგნენ. პირველს მეორის ბედი შეშურდა, მეორეს—პირველისა...

არც ერთ მათგანს არ უნდოდა ყოფილიყო ასე. ორივე სიამოვნებით დასთანხმდებოდა ერთმანეთისათვის გაეცვალათ მდგომარეობა, მაგრამ ეს ხომ მათ ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული. აქ იყო ხალხი, სოფელი, სარწმუნოება, წესი, ადათი, ყურანი, ჯამე, ხოჯა და კიდევ ვინ იცის რამდენი მოლესილი ენა, რომელიც გველის ენაზე უფრო ზხამიანია და გესლიანი.

დიდხანს ელაპარაკა შორეთიმ ქევსერს, აუხსნა, რომ საჭიროა ბედის დამორჩილება, უფროსების აყოლა და, ყველაფერი რიგზე იქნება, მაგრამ ქევსერი ვერ დაითანხმა. ვერ ათქმევინა თანხმობა ქმრის ოჯახში წასვლაზე. არც თავის მშობლებთან წასვლა ისურვა.

— ნენეი მომკლავს.—ტირილით სთქვა მან.—არა, შენ გეყურბანე შორეთი, უნდა შემინახო შენთან. უნდა დამმალო. არაფერს არ გთხოვ, ტახტქვეშ ვიქნები დღედაღამ, შემდეგ სადმე გავიპარები, თუ გამაგდებ. ახლა სხვა გზა არა მაქვს.—ხელები დაუჭირა, ყელზე მოეხვია და მშობელსავით ამოუკოცნა თვალები, მაგრამ მაინც ვერ დაითანხმა.

— უბედურებას დამიტრიალებს ოჯახში შენი ქმარი. გადაგვწვავს, გადაგვბუგავს... მალე წადი ქევსერ, თორემ მოვლენ ყარიდან. ოსმანი და ესმა გაჯავრდება.—ხელი მოკიდა, კარებთან მიიყვანა, ერთხანს უცქირა სიბრალულით და შემდეგ ჩუმად უთხრა.

— ნაილესთან მიდი, ის დაგმალავს. ყველაფერს მოგიწყობს. გესმის? აქედან გადადი და პირდაპირ მიხვალ.

— იქ ვიღაც გიაური კაციაო, ხოჯაი ამბობდა წინაზე.— ნაღვლიანად უთხრა ქევსერმა და თვალები ცრემლებით აევსო.

— ჰო და მით უკეთესი. იმ კაცის ყველას ეშინია. იქ ვერავინ ვერ მივა შენს საძებნელად. ხომ გესმის, იქ უკეთესია.

— მერე ის კაცი! უცხო კაცი?!.

— შენ ის არაფერს დაგიშავებს. ამბობენ პატიოსანიაო. შენ გგონია გიაურები ყველა ერთნაირია?!.

— რაი ვიცი,—ჩაილაპარაკა ქევსერმა.—შენ რომ დამმალავდე, უკეთესი იქნება.—ისევ შეეხვეწა, მაგრამ შორეთიმ მრავალი მიზეზი დაუსახელა და გაისტუმრა.

ქევსერი ფრთხილად გავიდა. ყორეებს მოეფარა და შუკაში მიიმალა.

— საცოდავი გოგო! — ჩაილაპარაკა შორეთიმ და სახლში შებრუნდა. თავისი ქალიშვილობა მოაგონდა; ქმართან გატარებული წუთები. ხან მეტად ტკბილი და ბედნიერი. ხან მწარე და ნაღვლიანი. ცამეტი წელი იცხოვრა ქმართან და მხოლოდ რამდენიმე დღე თუ ექნება გატარებული ტკბილად. ხნიერი ქმარი მალე მოტყდა და დაეცა. ერთი ვაჟი დაუტოვა ცოლს და სამუდამოდ გამოეთხოვა. ძმას დაუბარა, მიხედე ჩემს ცოლშვილსო, და დამშვიდებულმა დახუჭა თვალები.

მიხედა ოსმანმა ძმის ოჯახს. არ გაუშვა მშრომელი და ოდნავ ქონების პატრონი ქალი ოჯახიდან. მოელაპარაკა და შორეთიც დასთანხმდა მაზლს. სხვა გზაც არ იყო. უარის თქმაც არ შეიძლებოდა. ქალს ვინ მისცა უფლება იმსჯელოს თავის ბედილბალზე. კაცმა სთქვა და მორჩა. კანონია ქალისათვის მამაკაცის სურვილი.

უცდის, ელოდება ახალგაზრდა ქვრივი მაზლის გადაწყვეტილებას და ელირსა კიდეც.

უნდა დარჩეს ქმარისეულზე შორეთი: უნდა აღზარდოს შვილი და რახან ის ჯერ ახალგაზრდაა და უქმროდ ვერ მოიცდის, პატარა ენვერზე დაქორწინდება. ენვერი მაზლიშვილია, მაგრამ...

მაზლისა და რძალის სურვილია ასე. მეზობლები, ამბავი, წესი და ადათი არ წავა ამის წინააღმდეგ.

ქონებიან, ლამაზ, მშრომელ, ჯანმრთელ ქალს არ გაუშვებენ ეზოდან. რატომ სხვამ უნდა წაიყვანოს ეს ქალი

ახლა ქმარის გაზრდას უნდა ელოდოს შორეთი. ბიჭი მხოლოდ თორმეტი წლისაა.

ოსმანმაც დაარიგა რძალი. ჯერ არ დააძალოს, არ შეაშინოს ბავშვი, მაგრამ მოწიფული ქალის სისხლი მღელვარეა, ზღვაზე უფრო ძლიერ ტალღებს ისვრის და...

შვილზე უფრო შეიყვარა შვილის ტოლა ქმარი. როცა დაიმარტოხელებს, კოცნის, გულში იკრავს, ეხვევა.

ენვერი გაურბის. რატომღაც არ მოსწონს ბიკოლას საქციელი. რატომ წინათ არ ეპყრობოდა ასე. ის კი არა, ხშირად ჩუმად აჭმევდა საკუთარ შვილს რჩეულ საჭმელს და ენვერს ყურადღებასაც არ აქცევდა. ერთ ოჯახში ცხოვრობდნენ, მაგრამ შორეთი კერძს ცალკე აკეთებდა შვილისათვის. ახლა თითქო შეიცვალა გული შვილზე. უფრო მეტ პატივს სცემს ენვერს. უფრო უვლის და ეალერსება.

შორეთიმ ფანჯარაში გაიხედა. ნაწვიმარზე ფერშეცვლილი მოსჩანდა მიდამო. აბიბინებული ყანები მშვენიერი სანახავი იყო. გაღმა სერზე სიმინდის ყანაში მაზლი, რძალი და შვილი იცნო, სამივე თოხით მუშაობდა.

ენვერი არ იყო მათთან... არ უყვარს ენვერს მუშაობა. სულ ბავშვებშია გართული და თუმცა სკოლაში არ დადის, მაგრამ მუდამ სკოლის წინაა გაჩერებული.

— ნეტავ სად იქნება ენვერი. გაიფიქრა შორეთიმ, გარეთ გამოვიდა და ეზოში მიიხედ-მოიხედა.

— ენვერ, ენვერ!—ფრთხილად დაიძახა მან.

— აქ ვარ.—საბძელიდან გამოეძახა ენვერი და ცოტა ხნის შემდეგ გამოყო თავი.

— მოდი აქ.—და შორეთიმ თითქო ცხელი წყალი გადაავლესო, ისეთი სითბო იგრძნო სხეულში.

ენვერი თავდახრილი ამოვიდა კიბეზე.

— რა გინდა.—უთხრა მან.

—მოდი აქ.—შორეთიმ ხელი მოავლო მკლავში, თავისკენ მიიზიდა და ასე შეიყვანა ოთახში.

— გამიშვი, რაი გინდა. გაიწია ბავშვი, მაგრამ ქალმა უფრო მიიზიდა ის და მაგრად ჩაიკრა.

ენვერს გული ჯინაღამ შეუსუსტდა. შეეცადა თავის დაღწევას, მაგრამ ღონიერი ხელები მას არ აძლევდნენ წასვლის საშუალებას.

ქალი უფრო მეტად იკრავდა მას გულმკერდში, კოცნიდა, კბენდა, ლოშნიდა. მეტსა და მეტ ჟინს იჩენდა და თანდათან აძლიერებდა შეტევას. შემდეგ უეცრად მოეშვა, მიიბნიდა, თვალები დახუჭა და უფრო ძლიერად მიიკრა მკერდზე.

— ფუ!—გააფურთხა ბავშვმა. მას შეძაგდა ბიცოლა. საზიზღარი მოეჩვენა. ასე საძაგელი სუნი ჯერ არ უყნოსავს. ვინ იცის რა სასჯელს აირჩევდა ის ამ საშინელი წუთების სანაცვლოდ. ასეთი არც ალერსი უნდა, არც ჭვევნა, არც კოცნა. ძლივს გაინთავისუფლა თავი. კარი გააღო და გარეთ გავარდა.

მთელი ღამე დაეძებდნენ ქევსერს. ქმარი, სიმამრი, მამა, ძმები, მაზლები, დადიოდნენ ცალ-ცალკე და ყოველ ბუჩქის ძირს ათვალიერებდნენ. სათითაოდ ჩამოიარეს. ზოგს შეეკითხეს, ზოგს ოჯახიც გაუსინჯეს, არავის დაემალოსო, მაგრამ ვერსად ვერ იპოვეს. ნაკვალევიც ვერ ნახეს. შორეთიმც დაფარა. უარი სთქვა, დაიფიცა, რომ თვალით არ დაუნახავს რამდენიმე დღეა.

ერთხმად უარყოფდა ყველა. არავინ იყო მისი მნახველი. დილით საბჭოში შეიტანეს განცხადება. თავმჯდომარეს მოელაპარაკეს და ანდროსაც გააცნეს მდგომარეობა.

ყველას ძალიან გაუკვირდა ქალის დაკარგვა, მაგრამ ანდროზე უფრო იმოქმედა ამ ამბავმა. ის თვითონ შეუდგა ამ საქმის გამორკვევას, შეკრიბა ახალგაზრდები, ზოგიერთ ხნიერ გლეხსაც მოელაპარაკა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

— ყაჩაღები გადმოდიან, იტაცებენ ადამიანებს და მიყავთ. შეიძლება შემოუთვალონ ქალის ქმარს სადა ყავთ მისი ცოლი, ფულები მოსთხოვონ და ქალი დაუბრუნონ.—აუხსნა თავმჯდომარემ.

სხვებმაც ასეთივე აზრი გამოსთქვეს, ხდებოდა წინათ ასეთი შემთხვევაო.

თავმჯდომარემ უფრო გააზვიადა.

ხანდახან მამაკაცსაც იტაცებენო. ჩამოთვალა მაგალითები. ზოგიერთებმა ქაჯებს გადააბრალეს, ლამაზ ქალს ქაჯიც ემტერებაო.

ძებნა მაინც არ შეჩერებულა. მაზრას აცნობეს. გზებზედაც დააყენეს მეთვალყურენი და ტყეები დაზვერეს.

მთელ დღეს ამაზე ფიქრობდა ანდრო. როგორ შეიძლება ასე უგზო-უკვლოდ დაიკარგოს ადამიანი. ღამით კი არა, დღისით გაუჭირდება ქალს მგზავრობა აქეთ. სად უნდა წასულიყო?!

მას არც ერთისა არ სჯერდა. არც მოტაცება, არც ქაჯები. აქ უთუოდ სხვა რამეაო, ფიქრობდა.

მარტო მურადი იყო დამშვიდებული. ილიმებოდა უდარდელად.

— არაფერია. ნუ სწუხხართ მაგისთვის.—ეუბნებოდა ანდროს.

და ეშმაკურად ჩაუქნევდა თვალს.

ანდროს ეჭვი ებადებოდა.

— ან იცის რამე მურადმა, ან მართლაც გიჟი და სულელია, რომ ადამიანის დაკარგვას არაფრად აგდებს.—ფიქრობდა ის და ბრაზი მოსდიოდა.

კარგა დაბნელებული იყო, ანდრო რომ წავიდა შინ. მურადმა მიაკითხა საბჭოში და წამოიყვანა.

გზაზე რამდენიმე სიტყვა უთხრა დაკარგული ქალის შესახებ, მაგრამ ანდროს მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

— მისი მშობლების ბრალია. მისი ქმარის ბრალია.—იმეორებდა ის და იღიმებოდა.

ანდროს აბრაზებდა მურადის სიტყვები და უდარდელი ღიმილი. ნუთუ მეტი შეგნება არ აქვსო, ფიქრობდა და ეჭვის თვალით უყურებდა.

ნაილეს ვახშამი გაემზადებია და ამათ ელოდებოდა.

— რატომ არ მობრძანდით სადილად?—მორიდებით კითხა მან ანდროს, როცა ოთახში შევიდნენ.

— ვერ მოვიცალე, ძალიან ცუდი საქმე შეგვემთხვა... ადამიანის დაკარგვა ხუმრობა როდია.—ანდრომ ქუდი მოიხადა, კედელზე მიაკიდა და შემდეგ ტახტზე ჩამოჯდა.

— ადამიანს რა დაკარგავს?!. — ჩაილაპარაკა ნაილემ და გაიღიმა. ამ ღიმილში მურადის ღიმილი დაინახა ანდრომ. არ მოეწონა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— დიაღ, ჩვენში ადამიანი არ დაიკარგება.—დაიწყო ისევ ნაილემ.—შეიძლება დროებით დაიკარგოს. შემდეგ ისევ გამოჩნდება... ეს გასაკვირი არაა, ქმარის და მშობლების ბრალია ასეთი დაკარგვა...

— მშობლების?!.—ცოტა არ იყოს წყენით იკითხა ანდრომ.

— და კიდევ ქმარის.—დის მაგივრად უპასუხა მურადმა.

— კი, მაგრამ, რა შუაში არიან ისინი!..

— არიან. დიაღ, არიან დამნაშავენი. თქვენ ახლა ვახშამი ბრძანეთ და მერმე ყველაფერს გაგაცნობთ.

ისევ გაიღიმა ნაილემ და ძმას შეხედა.

ანდრომ რაღაც ეჭვი აიღო და-ძმაზე. უთუოდ რაღაც იციანო, გაიფიქრა.

ანდრომ და მურადმა ივახშმეს ერთად; ნაილე ხან გავიდოდა, ხან შემოვიდოდა და მოვახშმეებს ემსახურებოდა. ხან წყალი შემოჰქონდა, ხან მაწონი, ხან ცხელ მჭადებს უმატებდა სუფრაზე.

ვახშამი რომ გაათავეს, ნაილემ სუფრა აალაგა, მრგვალი მაგიდა გაიტანა და როცა შემოვიდა, თან პატარა გოგონა შემოიყვანა.

ანდრომ შეხედა ბავშვს. ნამტირალევი თვალები ჰქონდა მას და შეშინებული სახე. ტანზე ჩვეულებრივ აქაური ბავშვებზე უკეთესად ეცვა და ყურებზე ოქროს საყურეები ეკიდა.

— ვისია ეს ბავშვი?—ჰკითხა ანდრომ მურადს და უფრო დაუკვირდა მისს შემკრთალ სახეს.

მურადი გაიღიმა.

— ეს ქალია, რომ დაიკარგა და ეძებენ—უპასუხა მან.

ანდრომ წამოიწია და მურადს ჩახედა თვალებში.

— მართალს გეუბნები. ეს არის ქევსერი.

ანდრომ კითხვის ნიშნით შეხედა ნაილეს.

— მართალია,—უპასუხა ნაილემ,—ძალათ გაათხოვეს... ხელი მოხვია გოგოს და მკერდზე მიიკრა.—დამალული მყავდა წუხელის. მინდოდა თქვენთვის მეთქვა და... მეცოდება. მეცოდება საწყალი გოგო!..—თავზე გადაუსვა ხელი და თმა გაუსწორა.

— აი, როგორი ადათია ჩვენში.—უთხრა მურადმა ანდროს და ქევსერს მიუბრუნდა.—არ გინდა დაუბრუნდე ქმარს?

ბავშვმა თავი დახარა და თვალებზე ხელები აიფარა.

ანდროს კარგა ხანს არ ამოუღია ხმა. ის ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. მართალია მის მხარეზე იყო კანონი, ძალა და საზოგადოებრივი აზრიც, მაგრამ ამათი გამოყენებაც მოითხოვდა ერთგვარ მოფიქრებას, სიფრთხილეს, წინდახედულებას.

— როგორ უნდა მოვიქცეთ ახლა?—შეხედა და-ძმას ანდრომ.

— რახან დავმალეთ, აწიც უნდა დავმალოთ—უპასუხა მურადმა.

— როდემდე?

— სანამ არ დაქალდება... თქვენ იცით, მე ნაილეს გაუჯავრდი წუხელ, რად დამალე მეთქი, მაგრამ მერე მეც შემებრალა. წყალში ჩავიხრჩობი, რომ არ დამმალოთო. არ ვიცი რა ვქნა.

—მოველაპარაკოთ ქმარს. იქნებ დასთანხმდეს, რომ...

— არ მინდა... შენ გეყურებანე... დაეცა ანდროს ფეხებთან ბავშვი.—მომკალით, მასთან ნუ მიმიყვანთ... გეყურებანე.—მოეხვია ფეხებზე და კოცნა დაუწყო, მაგრამ ანდრომ ხელი მოჰკიდა, წამოაყენა და დაამშვიდა.

კარგა ხანს ითათბირეს, ბევრი ილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ სანამ სათანადო ნიადაგს არ მოამზადებდნენ, მანამ ქევსერი ყოლოდათ დამალული და ამის შესახებ არავისათვის არაფერი ეთქვათ.

თავი მესამე.

მთელი ღამე მუშაობდა მურადი. კარები ჩაეკეტა, სანათი აენთო და ისე აწესრიგებდა საქონელს.

ტომრებით, ყუთებით და პარკებით ეწყო გაუხსნელი საქონელი. შაქარი, მარილი, ბრინჯი, ასანთი, საპონი, ზეთი, ფერადი თავსაფრები, ხალათები და შარვლები, ქუდები, ფეხსაცმელები. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც უფრო საჭირო იყო გლეხობისათვის.

მურადი ფრთხილად ხსნიდა ტომრებს, ყუთებს, პარკებს, იღებდა საქონელს და აწყობდა თაროებზე. უფრო ფეროვანსა და მიმზიდველ ნივთებს გამოსაჩენ ადგილას აწყობდა. უფრო შეუხედავსა და მდარეს მოფარებულ ადგილს უთმობდა. თითქოს გამოცდილი ხელი მუშაობსო, ისე აკეთებდა ის ამ საქმეს.

სახელმწიფოს მართვა დიასახლისმაც უნდა შესძლოს — უთხრა ერთხელ მას ანდრომ,—ასე სთქვა ჩვენმა ბელადმა ლენინმაო. ჩვენ დაგავალეთ კოოპერატიული სავაჭროს ხელმძღვანელობა, შენც უნდა იკისრო და შეასრულო.

ჭკვიანი კაცია ანდრო. მურადი აბა როგორ წარმოიდგენდა, რომ მას ოდესმე ასეთ საქმეს ჩააბარებდნენ. ანდრომ მოუწყო და მაზრაში გაგზავნა მოსამზადებლად.

გაეცანი, შეისწავლე და საქმეს მოჰკიდე ხელი, — უთხრა.

არ ეგონა, თუ ასე ჩქარა შეისწავლიდა ვაჭრობას. წერა-კითხვის სწავლა არ გასჭირვებია, მაგრამ ვაჭრობის შესწავლას ვერ შესძლებდა ეგონა. ხუმრობაა, ამდენი საქონელის სახელი დაიმახსოვრო, ყველას თავისი ადგილი მიუჩინო, მათი ნაყიდობისა და გასაყიდი ფასი იცოდე?..

ეშინოდა, ეფიქრებოდა, ყოყმანობდა, მაგრამ უარის თქმას ვერ ბედავდა.

როგორ შეიძლება უარის თქმა. რახან ანდრო ავალებს, ეს მთელი მთავრობის სახელით მიცემული დავალებაა. პარტია ავალებს. ჩვენი პარტია ავალებს და აბა მისი დავალების შეუს-

რულებლობა შეიძლება? მისი ნება-სურვილი ხომ ხალხის ნება-სურვილია და...

მურადი ვალდებულია ამ უძლიერეს ძალას დაემორჩილოს...

თურმე წერა-კითხვა ყოფილა ყველა საგნის შესწავლის საშუალება. ასე როდი ფიქრობდა მურადი. ახლა კი, როცა საქონელი შეისწავლა, მისი შეძენისა და ყიდვა-გაყიდვის წესებს გაეცნო, დარწმუნდა, რომ ამისთვისაც მთავარი ყოფილა იმ ანბნების ცოდნა, რომელიც მას მარტო წიგნებისა და გაზეთების წასაკითხად გამოსადეგი ეგონა. წიგნი, წიგნი ყოფილა მთავარი.

წიგნის კითხვა კი ორ თვეში კარგად შეისწავლა, წერაც. ახლა აღარ სჭირია დახმარება, ისე კითხულობს და სწერს. რომელი დახმარება! პირიქით, სხვებს ასწავლის და უხსნის.

აკაკის ლექსები იცის, ილიას პოემები, ნინოშვილის მოთხრობები გადაიკითხა და ახლა ახალგაზრდა მწერლების ნაწერებს ეცნობა.

საკვირველი ენერგია გამოიჩინა. წიგნს არ მოსცილებია. დღედაღამე წიგნთან არის, ლექსებს იზეპირებს, სიტყვებს სწავლობს, რიცხვებს ამრავლებს, აკლებს, უმატებს და ყოფს ერთმანეთზე— ანგარიშს სწავლობს.

დაუხარჯავი და დღემდე გამოუყენებელი ენერგია ერთბაშად გამოიყენა. ნოყიერ მიწაში რომ ჩქარა გაღვივდება თესლი, ისე გაღვივდა მასში ცოდნა. წვეთები მდინარეებად იქცნენ, სწრაფად და იწყო გონებამ ყველაფრის ათვისება.

სად იყო ამდენხანს... უსაყვედურებს თავს. გაქცეულიყო, გადავარდნილიყო, მისულიყო იქ, სადაც ანდროსთანა ხალხია, შეხვეწებოდა, ესწავლა იმათგან ყველაფერი. ახლა ხომ დიდი სწავლული იქნებოდა. რამდენი ეცოდინებოდა... როგორ ტყვილა გასულა რამდენიმე წელი. ოცდაორი წლისაა და ახლა დაიწყო, ათი წლის წინ რომ დაეწყო, ან უფრო ადრე!..

რამდენჯერ ჩაფიქრებია ამ კითხვას.

მაგრამ იყვნენ კი ანდროსთანა ადამიანები წინათ?

მაშინ რომ სწავლა-განათლების უფლება და შესაძლებლობა ჰქონოდა ხალხს, მაშინ რომ თავისუფალი ყოფილიყო შრომა, ხომ არც ისე გაჭირვებული იქნებოდნენ.

მართალი სთქვა ანდრომ.

— სილარიბე ჯერ კიდევ არაა სირცხვილი, ის ძველი ქვეყნის ნაშთია, მაგრამ მალე სილარიბე სირცხვილი იქნებაო.

ან რატომ უნდა იყოს ადამიანი ღარიბი ასეთ ქვეყანაში, როცა ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის მუშაობს.

ბევრი რამ გაიგო მურადმა ამ მოკლე ხნის განმავლობაში.

ბევრი რამ შეისწავლა.

ეზარებოდა შრომა წინათ, არ მუშაობდა... სულერთია, მაინც არაფრის მქონე ვიქნებიო, რატომ შევაწუხო სხეულიო. დადიოდა ალმა-დალმა და კმაყოფილდებოდა იმით, რასაც აკმევდნენ. მარტო ნაილე ზრუნავდა ოჯახზე. ქალებს იხმარიებდა და ეხმარებოდა. თესავდა, თოხნიდა, მკიდა და მოჰქონდა... ჯან-ღონე ერჩოდა და არ ზოგავდა. სანამ დედა ცოცხალი იყო, უფრო მსუბუქად მოდიოდა ლუკმა. მერმე გაძნელდა, მაგრამ მაინც არ გატეხილა, არ გაუგდია თოხი. ვაჟკაცის ძალა ჰქონდა და რკინის გული.

მურად ახლა აფასებს დის ღვაწლს. რატომ ამდენხანს არ დაფიქრებულა ამაზე!

— საწყალი გოგო!—სთქვა თავის გულში მან. გახსნა ყუთი და ნივთები ამოალაგა—აწი დავეხმარები. სრულიად არ ვამუშავებ ისეთ მძიმე სამუშაოზე. მასწავლებელს რომ ტანსაცმელი აქვს, ისეთს შეეუკერავ, ჩადრს არ ჩავაცმევ. ჩადრი!.. ისიც ჩვენს დასაბეჩავებლად მოუგონიათ.

მრავალნაირი ფიქრი უტრიალებს თავში მურადს. ის უკვე მოსამსახურეა. ჯამაგირს მისცემენ. საკუთარ ნაშრომს შეიტანს ოჯახში. უპირველეს ყოვლისა, ნაილეს უნდა უყიდოს კარგი ტანსაცმელი. მაგრამ არა, ჯერ უფრო სხვა საქმე აქვს. მაგიდა უნდა გააკეთებინოს ისეთი, როგორიც ანდრომ გააკეთებინა, სკამებია საჭირო... არა, ჯერ არც ამისათვის დახარჯავს ფულს. ვალი უწინ უნდა გადაიხადოს. ანდროს ვალი აქვს გადასახდელი. უსათუოდ მისცემს ამ ჯამაგირზე. ნეტავი რამდენი ექნება ჯამაგირი? მაზრაში ასეთი ნოქრები ორმოც მანეთს ღებულობენ, მაგრამ ისინი სწავლულებია. მურადს ვინ მისცემს იმდენს. სულერთია, რასაც მისცემენ, უკლებლად მისცემს ანდროს. დანარჩენს მეორე თვეში გადაიხდის. მერმე კი...

სრულ ჯამაგირს მოახმარს ოჯახს. სირცხვილია რომ ღარიბად ცხოვრობდეს კაცი!—იმეორებს ამ სიტყვებს. შეიძლება სილარიბიდან გამოსვლა და რატომ არ იმეცადინოს? დღედაღამ იმუშავებს. ერთ წუთს არ გააცდენს. არ კმარა, რაც იზარმაცა? აქაც იმსახურებს, წიგნებსაც იკითხავს, ანგარიშსაც ისწავლის. ანგარიშიც დიდი რამე ყოფილა. თუ ანგარიში იცი კაცმა, საქმეს კარგად წაიყვან.

რამდენი რამეა გასაკეთებელი და შესასწავლი...

სრულიად ახალი ქვეყანა გადაეშალა თვალწინ. ახალი ცხოვრება, ახალი სამყარო.

—უნდა გაიზარდოს, უნდა გახდეს ნამდვილი ბოლშევიკი.

ბოლშევიკი!.. რა კარგი სახელია, საამაყო სახელი! როცა ან-

დროს უცქერს და იცის ის ბოლშევიკია, გული სიამით უტოკავს. ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევო—იტყვის... მერე და რა ძლიერია ეს სიტყვები. მისი არც გატეხა შეიძლება, არც გადათქმა, არც უარყოფა. სთქვა სიტყვა ბოლშევიკმა და მორჩა... ნეტავ როდის ექნება უფლება მურადს სთქვას—ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევო. ძალიან უნდა მალე გახდეს იმ პარტიის ღირსეული წევრი, რომ-ლის წევრიც ანდრია, იცოდეს იმდენი, რამდენიც იციან ნამ-დვილმა ბოლშევიკებმა. დიაღ ნამდვილმა... ზოგიერთების ბოლშე-ვიკობა, მაგალითად, დურსუნის ბოლშევიკობა არ სწამს. თუმცა ისიც ხშირად ამბობს—ბოლშევიკურ ფიცს ვდებო, მაგრამ „ვალ-ლაი და ბილლაი" უფრო ხშირად წასცდება.

დაალაგა მურადმა ყველაფერი. მშვენიერი საკაჭრო გამოვი-და ნაწისქვილარი. კოხტად გამოიყურება საქონელი თაროებიდან. მურადს. ეოსწონს ნამუშევარი. დილით ადრიანად უნდა მოიყვანოს ანდრო. აჩვენოს იმასაც, თორემ ისე ვაჭრობის დაწყება არ ივარ-გებს.ვინ იცის, რა ცვლილებებს შეიტანს ანდრო. იქნებ არც მოე-წონოს, ხელახლა დაალაგებინოს, უფრო სხვანაირად, უფრო ლა-მაზად.

ნეტავ სად უსწავლია ამ კაცს ყველაფერი!

გზის გაყვანა რომ დაიწყეს, ინჟინრებთან იდგა, მათ აძლევ-და მითითებებს. ქვის მტეხავებს მუდამ ასწავლიდა, სად გაებურ-ლათ და როგორ გაეტენათ ნაღმის დენთი...

ყველაფერში გამოწაფულა და ყველა დარგი შეუსწავლია.

ნეტავ როგორ მოასწრო? ოცდახუთი წლის ვარო. ოცდასამი წლის მურადიც მალე შეიქნება. რატომ არ იცის ანდროს ნახევარი?

კარგად დაათვალიერა მურადმა ნაწისქვილარი. კედლები, ჭერი,იატაკი. არ იყოს სადმე დაზიანებული, არავინ შემოძვრესო. და როცა ყველაფერი რიგზე გამოდგა, გამოვიდა და დიდი ბოქ-ლომით დაკეტა. ზემოდან მავთული შემოახვია ბოქლომს, რომ უფრო საიმედო ყოფილიყო.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ნამგალივით მოხრილი. მთვარე ჭურდულად ამოპარულიყო მთის გადალმიდან და ახლა მთის წვერზე მაღალ ხეების ტოტებში გახლართულიყო.

ახლო იყო განთიადი. თანდათან მტრედისფერი სილურჯით იფერებოდა აღმოსავლეთი. დასავლეთიდან კი გრილი ნიავი მო-დიოდა.

მურადი სახლისაკენ წავიდა. შუკაში აიარა, სკოლის გვერდით გადავიდა ღობეზე და დაბლობში ჩავიდა. აქ უფრო ბნელოდა.

შეჩვეული ფეხები თავისთავად ირკვეოდნენ გზას, მაგრამ თვალებ-საც არ დაეკარგათ მხედველობა... ბნელაში ხედავდნენ ვაშლისა და ბალის ხეებს და იმათ ძირში უდროოდ ჩამოცვენილ ხილს. წინა-დღის ქარს ბლომად ჩამოებერტყა ხეხილი.

მურადმა ფრთხილად ჩაიარა ფერდობი, ცოტაღა უკლდა გზაზე გასვლას, რომ რაღაც ლანდი შენიშნა და შეჩერდა. შიშს არ იყო ჩვეული და მის გულსაც არ დასტყობია ზედმეტი ატოკვა, მაგრამ ძალიან გაუკვირდა, როცა ამ ლანდთან ერთად მეორე ლანდიც გამოჩნდა და ორივე სწრაფად მოეფარა ფერდობის პირას ამოზრდილ ბუჩქებს...

— ნადირი არაა.—გაიფიქრა მან. ფერდობისაკენ წავიდა, მა-გრამ უეცრად ეს ლანდები გამოცვივდნენ ბუჩქებიდან, ხეებში დაეშვნენ და მალე სიბნელეში ჩაინთქნენ.

— აი თქვენი რჯული მოისპო.—ჩაილაპარაკა.—კიდევ და-წოწიალებენ.—უნდოდა გამოდევნებოდა, აეტეხნა განგაში, მაგრამ იცოდა ამით ბევრს ვერას გახდებოდა, ტყვია აშლიდა სოფელს, კონტრაბანდისტებს მაინც არავინ გამოუდგებოდა—ზოგი შიშით, ზოგი ნაცნობების ხათრით. იცოდნენ, რომ კონტრაბანდისტები სა-ყვარელი სტუმრებია ხოჯა-მამუდის, იუსუფ-აღასი და არც თავ-მჯდომარეს სწყინს მათი სტუმრობა. ინგლისური ინდიგო ან ლო-რიგანის პუდრი, სურნელოვანი წყლები, ჩულქები და ხელთათმა-ნები, კოვერკოტი და... ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენი რა არ მოყვება კონტრაბანდისტის სტუმრობას.

მურადმა კონტრაბანდისტებად მიიღო დანახული პირები. კარგახან ადევნა თვალი მათს ნაგზურს ,იქნებ გამოჩნდნენ ისევ რომელიმე მხრიდანო, მაგრამ როცა არაფერი გამოჩნდა, მიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ წავიდა.

ნაილეს ფრთხილად ეძინა. ძმის ხმაზე ის სწრაფად წამოდ-გა და კარი გააღო.

მურადი მოექანცა მთელი ღამის მუშაობას, მაგრამ ის არა-ჩვეულებრივ კარგ ხასიათზე იყო. მჭადი და ყველი ჭამა, ცივი წყა-ლი დააყოლა და ტანგაუხდელი მიწვა.

— ერთი საათით დავიძინებ—უთხრა მან ნაილეს.—თუ არ გამომეღვიძოს—გამაღვიძე. მზის ამოსვლამდე უნდა გავაღო სავაჭ-რო. ანდროც უნდა წავიყვანო. შენც მოდი, ნახე როგორი კოოპე-რატივი გვაქვს. შენობა არ გვივარგა, მაგრამ არაფერია. მალე კარგს ავაგებთ. თვალები დახუჭა. მოინდომა დაძინება, მაგრამ არ დაეძინა. სიხარული არ ასვენებდა მას. შემდეგ რაღაც შიში იგრძნო.

ის ორი ლანდი მოაგონდა... კარგად დაფიქრდა და ისევ გაახილა თვალები.

— იქნებ კონტრაბანდისტებზე უარესები იყვნენ.—გაიფიქრა. დაკეტილი სავაჭრო გაახსენდა. ხომ შეიძლება, რომ...—წამოიწია. რამდენი მტერი ჰყავს კაცს. ყველას სხვადასხვანაირად შეუძლია ზიანის მიყენება.ხომ შეუძლიათ, რომ... არა. მურადი ვერ დაიძინებს. დიაღ, ვერ დაიძინებს, როცა ლანდები მოძრაობენ და ფხიზლობენ. ლანდები ბორბოტი ადამიანებია. ბორბოტი ადამიანები კი კეთილი საქმის მტრებია. კოოპერატივი კეთილი საქმეა. მურადმა ის უნდა დაიცვას. დიაღ, უნდა დაიცვას... სწრაფად წამოხტა, გაისწორა თავზე ჩამოფხატული ქუდი და კარები გააღო.

— სად მიდიხარ?—გაეხმაურა ნაილე ძმას.

— კოოპერატივში—უპასუხა მურადმა.—მაინც არ მეძინება და იქ კი საქმეები მაქვს. გათენდება—მოვალ.—კარები გაიხურა და წავიდა.

ნაწისქვილარი ისე დაუხვდა მურადს, როგორც დატოვა. ბოქლომიც მთელი იყო და მავთულიც ისევე ჰქონდა შემოხვეული. მურადი იქვე ახლოს ჩამოჯდა.

განთიადი თანდათან ახლოვდებოდა და ნამგალა მთვარე ზევითა და ზევით მისცურავდა. სოფელს ეძინა. მამლები ეგებებოდნენ განთიადს, უფრო უხშირებდნენ ყივილს. აქა-იქ ძაღლებიც შეიყეფებდნენ და ერთმანეთს გაეხმაურებოდნენ.

მურადი წამოდგა. მასში დილის ნიავმა სიხარულის ნაკადი ააჩქეფა. ახალი ენერგია შემატა. მიმოავლო თვალი ირგვლივ და შემდეგ გაღმა სერზე გადაიტანა მხედველობა. ტყიდან გამოდიოდა ბილიკი. ვიწრო ძაფივით გაბმული ბილიკი. ამ ბილიკით მოჰქონდათ სოფლელებს მთიდან შეშა, ყავარი, ფიცარი, თივა და ზამთრობით ხის კვირტები საქონლისათვის.

მურადმა დაინახა, ტყიდან ორი კაცი ჩამოყვა ამ ბილიკს და სოფლისაკენ დაეშვა. ისინი ჩქარა მოდიოდნენ და თან ზვერავდნენ მიდამოს. მურადი მოფარებულ ადგილას გაჩერდა. მან უკვე მოისაზრა ყველაფერი. სწორედ ამ ბილიკს მოყვებოდნენ ისინი...
ის ორი ლანდი, ორი საათის წინ რომ შეხვდა მურადს.

არ გასულა დიდი ხანი, რომ მგზავრები დაუახლოვდნენ სოფელს და შუკაში მოემწყვდნენ. მურადმა უკვე იცნო მოლა ნური. მეორე უცნობი იყო.

— ესენია!—ჩაილაპარაკა.—რაღაც ბორბოტი გაუზრახავ აქეთ. კარგი, საქმისათვის არ ჩამოვიდოდა მოლა სოფელში. წელიწადს ესენი იყვნენ...

იგრძნო მურადმა, რომ საქმე პირადად მას შეეხებოდა. მოლა ნური არ აპატიებდა იმ გარტყმას, რომელიც ამასწინათ არგო მას მურადმა, და სამაგიეროს გადასახდელად მოემზადებოდა.

ნური ჯერ კიდევ არ ითვლებოდა მოლად, ის ახლა სწავლობდა ღორჯომის სჯულის სასწავლებელში, სადაც სამასამდე მასავით მომწიფებულ ვაჟკაცს მოეყარა თავი. აქედან ევლინებოდნენ აჭარას „სწავლულები", აქ ასწავლიდნენ მათ წერა-კითხვას, ყურანს, ნუსხიხა და ჯადოს დაწერას. ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ გადიოდნენ ხალხში ახალგაზრდა მოლები და მოხერხებულად აბნევდნენ სოფლებში თავიანთ აზრებს, აბრუებდნენ და აბრმავებდნენ მშრომელ მოსახლეობას.

ნური იშვიათად ჩამოდიოდა სოფელში. როცა მოვიდოდა, მაშინ ყველას ყურადღებას იპყრობდა. ახალგაზრდა კაცს, საერთოდ, ნაკლები მოწონება აქვს აქეთ, მის სიტყვებს არავინ აქცევს ყურადღებას. ღრმად მოხუცებულების სიტყვებია კანონი. მაგრამ მოლა ნური განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. ეს უფრო იმიტომ იყო, რომ ხოჯა მამუდი კარგი თვალით უყურებდა ახალგაზრდა მოლას და ამიტომ ხალხშიაც აფასებდნენ.

ამ ბოლო ჟამს, ცოტა არ იყოს, შეირყა ამ პატივისცემის საფუძველი. საბჭოთა ხელისუფლება ვერ გამოდგა ასეთი ხალხისათვის სახეირო და მათი გულისწყრომაც დაიმსახურა. მაგრამ რას იზამდნენ! „ძალა აღმართს ხნავსო", და საბჭოთა ხელისუფლებაზე ძლიერი ძალა ჯერ არც ენახნათ...

ყველაფერი ხელს უწყობდა ფანატიკოსების პრესტიჟის დაცემას. თითქო ბუნებაც გაკერპდა: წინათ თუ ხოჯა ილოცებდა, წვიმა მოვიდოდა, ახლა წინაალმდეგ ხდება. ნუსხა ან ჯადო მოქმედებდა, ახლა ჩალასავით გამოფიტული. არც აღარავის არჩენს. .

მურადმა რომ ახალგაზრდა მოლას სილა გაუწნა და ღმერთმა მურადი დაუსჯელი დატოვა, ეს ხომ სულ უცნაურობაა. წინათ ასეთი საქციელისათვის შემდეგი სასჯელი იყო ალლახისაგან დაწესებული: გადელება და ამ დელობით სიკვდილი. ქაჯთან შეხვედრა და კლდეზე გადაჩეხვა. საშინელი უკურნებელი სენით დაავადება, უშვილობა, საქონლის ამოწყვეტა, მუდმივი ციებ-ცხელება და ვირნახულის მოუსავლობა.

ყველას აშინებდა ეს სასჯელი. ან როგორ არ შეაშინებდათ, როცა თავისი თვალით უნახავთ და ყურით სმენიათ, რომ ხოჯას მიერ დაწყევლილი გლეხი გადარეულა, კლდეზე გადაჩეხილა, ქაჯები შეხვედრია.., რამდენი რა ახსოვთ. ისევ ხოჯა თუ აპატიებდა, ნუსხას დაუწერდა, განკურნავდა, ქაჯებსა და ეშმაკებს მოაცილებდა, თორემ სხვა ვინ იყო დამცველი! ხოჯა კი ამ დროს თა-

ვის ინტერესებს არ ღალატობდა, და თუ რამეზე გულნაკლული იყო, ერთიათად აზღვევინებდა თავის მსხვეპლს.

ჰო და, ამ ბოლო დროს წაუვიდათ ხელი. ალლახი თუ გაწყრა, თორემ სხვა რა უნდა იყოს. გაწყრომის საბაბი კი არ ჰქონია იმ კურთხეულს. თუ ხოჯა მამუდს დანაშაულად ჩაუთვალა ის, რომ ხანდახან ჩადრს ჩაიცვამს, ქალივით მოირთვება და სოფელში ქალებს აცდენს, ეს არც ისე დიდი ცოდვაა. ყურანიც არ კრძალავს მრავალცოლიანობას. მოციქულებს შეუძლიათ ინებივრონ ქალებში და იყოლიონ რამდენიც უნდათ, ხოლო უბრალო მომაკვდავს ეკრძალება ხელი შეუშალოს მოციქულს ასეთი სიამოვნების დროს. როცა მოციქული ქალებთან ალერსშია, მოერიდონ უნდა, რადგან მათ უფლება აქვთ მიიღონ განუსაზღვრელი სიამოვნება. ასე ამბობს ყურანი და ის ხომ ცუდს არაფერს ამბობს!

სხვა რა ცოდვა ჩაუდენია. ქრისტიანის ვალი არ შეირჩინოო —ასწავლის კიდევ სჯული.ხოჯა მამუდს არც ეს ცოდვა ჩაუდენია. წართმევა ხომ შერჩენას არ ნიშნავს. ერთ გიაურ ვაჭარს დასტყუა ერთხელ ასი თუმანი. ნიგვზის ხეებს მოგცემო და მერე უარი უთხრა. მაგრამ ეს ხომ ცოდვა არაა!

მაშ რატომ არ უმართლებს ბედი? რატომ არ სჭრის ნუსხა ან ჯადო?

ჰაი, ჰაი, რომ იცის მიზეზი ხოჯამ, მაგრამ ვის უთხრას და შესჩივლოს.

ამიტომ დაიახლოვა ახალგაზრდა მოლა. ვინ იცის, იქნებ შეიცვალა ნუსხის დაწერის წესი. ან ჯადოს უნდა სხვანაირად მომზადება.ან ქაჯების გამოძახებაა საჭირო სხვა ხმით. წინათ გაჯავრდებოდა ვინმეზე. დაწყევლიდა, დასწერდა ჯადოს და ჩაუთქვამდა, ქაჯები გადაეღობოს გზაზე, ან ეშმაკები შეხვდესო. მორჩა და გათავდა. უსათუოდ ახდებოდა. ქაჯები მიბეგვავდნენ ალლახის ურჩს.

მოლამ მართლაც ასწავლა ხოჯას. მიზეზიც აუხსნა.

მართლაც შეიცვალა თურმე ნუსხის წერის წესები. არც ჯადო კეთდება ძველებურად. ამის მიზეზი კი... საიდუმლოდ უთხრა ყურში. ხალხმა შეიგნო და ალარ სჯერავსო. და ურწმუნოს ალლახიც ვერაფერს აკლებს. ურწმუნო იგივე ეშმაკი, იგივე ქაჯია და რა შეუძლია ღმერთს მათ წინააღმდეგო.

— მაშ დავღუპულვართ და ისაა!—მუხლებზე დაირტყა ხელი ხოჯამ. თუ ურწმუნოს ვერაფერს დავაკლებთ, თუ ჩვენს ურჩებს ღმერთი არ დასჯის, რა უნდა ვქნათ, ვალჰაი და ბილლაჰი, ყველა გაგიაურდება!—წვერებზე ხელი დაისვა მან და უიმედოდ შეხედა მოლას.

მოლამ აუხსნა,—ნაადრევია სასოწარკვეთილებაო.

თურმე, ნუ იტყვით, ყველაფერი ისე იცვლება, როგორც პირობები. მდგომარეობას ეგუება რჯულის კანონებიც. ყურანიც იცვლება მდგომარეობას მიხედვთ. რასაც ათი-ოცი წლის წინ გმობდა, დღეს ადიდებს, რასაც კიცხავდა, იმას აქებს და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ...

კიდევ ჩუმად ჩასჩურჩულა მოლამ.

— რომ გავიხანგრძლივოთ და შევინარჩუნოთ ტკბილი ცხოვრება, რომ ერთბაშად არ შეგვაქციონ ზურგი.

ხოჯას გააჟრჟოლა. არ მოელოდა ამას. მართალია, იცოდა ის, რომ რასაც ქადაგებდა და სხვას ასწავლიდა, ყველაფერი მოჭორილი ამბავი იყო, მაგრამ ცოტა რწმენა მაინც ჰქონდა ზეცის... ახლა კი... ყველაფერი ტყუილი ყოფილა და ამ ტყუილს მიტომ ასაღებს მართლად, მიტომ არწმუნებს სხვას უხილავი ღვთაების არსებობაში, რომ ასეა საჭირო მისთვის. ასე საჭიროა იმათთვის, ვინც უმუშევრად ფიქრობს თავის შენახვას. მაგრამ ტყუილს ხომ მოკლე ფეხები აქვს.

ასე ყოფილა დასაბამიდან, მაგრამ რატომღაც ახლა ეცლება ნიადაგი.

რაღა მაინცდამაინც ამ დროს ხდება ყველაფერი ეს. რატომ ასი, ორასი წლით ადრე ან გვიან არ მოხდა! ბედნიერი იყვნენ წინათ ხოჯები. რა აკლდათ! რაზე შეწუხდებოდნენ.

ისევ მოლა ნურიმ ანუგეშა.

— ჯერ კიდევ ადრეა. სანამ სარწმუნოება დაკარგავდეს თავის მნიშვნელობას, რამდენიმე ათეული წელი გავა... და მოუყვა ყველაფერს.

კომუნისტები ყველაზე საშინელი მტრები არიან სარწმუნოების. არც მაჰმადიანობა სწამთ, არც ქრისტიანობა, არც ბუდიზმი, არც ერთ წინასწარმეტყველს არ სცემენ თაყვანს. ღმერთსაც უარყოფენ. ძველი წესების აღმოფხვრა სურთ, მაგრამ... მაგრამ ის, რომ კომუნისტებსაც უამრავი მტერი ჰყავს.

უფრო დაბალი ხმით ეუბნება მოლა:

— ღორჯომში ხოჯები დარაზმულია. ხალხიც უჭერს მხარს. რუსის ხელმწიფის მომხრე კაცებიც შეერთებულან. ქართველების მღვდლებიც ჩვენს უარეს დღეში არიან და დროს ელოდებიან: კომუნისტებს ვერ ითმენს ვერავინ. მარტო ბეჩები, ღატაკები და არაფრის მქონე მაწანწალები ემხრობიან. მალე, სულ მალე ამოწყვეტენ კომუნისტებს. მაგრამ სისულელე იქნება იმაზე ფიქრი, თითქოს საჭირო არ იყოს ბრძოლა, ხელის შეშლა, თითო-ოროლა კომუნისტის გაქრობა.

— აი, ახლა სჭრიდეს ჯადო!—ინატრა ხოჯამ — ყველას გავადელებდი, ქაჯებს დავატაკებდი, ჭინკებს მივუსევდი.

მოლამ აქაც მონახა საშუალება.

ჯადო ახლაც იმუშავებს, ახლაც გასჭრის ნუსხა. მაგრამ საჭიროა ახალი მეთოდით მისი გამოყენება.. და ეს მეთოდი კი ერთ ღამეს დაამუშავეს ორივემ...

მოლა ნურის დელი მურადის ჯავრი სჭირდა. მუდამ ფიქრობდა სამაგიეროს გადახდაზე, ეძებდა დროსა და საშუალებას. ხშირად მოდიოდა სოფელში და საეჭვოდ დაიპარებოდა აქეთ-იქით, მაგრამ მურადი ამას არაფრად აგდებდა. მასეთი მტერი ათ-მყავდესო—იძახდა ის. ახლა აღარ იყო ყველასგან ათვალწუნებული დელი მურადი. მას ჰყავდა საკმაოდ კარგი ამხანაგები, რომლებიც-იც საჭირო იქნებოდა, თავს დასდებდნენ მისთვის.. არც ძველებურად გამოუცდელი და შეუგნებელი იყო. დღეს დელს აღარავინ ეძახდა. კრებებზე და თათბირებზე მის ლაპარაკს ანგარიშს უწევდნენ და ამიტომ ახლა დელი მურადასთან ბრძოლა არც ისე ადვილი იყო. ეს კარგად იცოდა მოლამაც.

მურადი შორიახლო მიჰყვა შუკაში ფრთხილად მიმავალ მოლასა და მის მხლებელს. უნდოდა ის მეორეც ეცნო, მაგრამ ვერ იცნო. ისინი მიდიოდნენ ჩუმად. ასე აიარეს სერი და ხოჯა მამუდის ეზოში შევიდნენ.

მურადი გამობრუნდა. გადმოიარა მეზობლების ეზოში და პირდაპირ შინ მივიდა.

თენდებოდა... ქათმები კაკანით მოფართხალებდნენ ქანდარებიდან. ფრინველებს ჟრიამული აეტეხნათ.

სოფელი იღვიძებდა.

II

გლეხობის უმეტესი ნაწილი სიხარულით შეხვდა კოოპერატივის გახსნას. გათენებიდანვე მოიყარეს თავი ნაწისქვილართან. შედიოდნენ, ნახულობდნენ სავაჭროს. სინჯავდნენ საქონელს, ყიდულობდნენ შაქარს, ჩაის, ტკბილეულობას, ნავთსა და მარილს. ზოგს ფული მოჰქონდა, ზოგს კვერცხი, ერბო და კარაქი. ზოგიერთები ისე მოსულიყვნენ, დასათვალიერებლად...

მურადი გამოცდილ ნოქარივით ტრიალებდა. აწოდებდა ერთსა და მეორეს საქონელს ,უხსნიდა მათი მოხმარის წესებს, მათ ხარისხსა და გამძლეობას.

რამდენიმე ქალიც მოვიდა. შორიდან შემოიპვრიტეს, ფრთხი-

ლად დაზვერეს და როცა დრო იხელთეს, შემოვიდნენ და რაღაცები შეიძინეს.

ანდრომ დარიგება მისცა მურადს. გააფრთხილა, ზედმეტი არავის გადაახდევინოს, წონაში არ დააკლოს, ხურდაში არავინ მოატყუოს, არც თვითონ მოტყუვდეს, გაუფრთხილდეს საქონელს თვალის ჩინივით.

თავმჯდომარემც გაიმეორა ანდროს თქმული. ნაძალადევად შეაქო მურადი და შეპირდა დაწინაურება.

გაჩაღდა ვაჭრობა. მეტი და მეტი მუშტარი მოაწვა სავაჭროს. სხვა სოფლებიდანაც იწყეს სიარული და მალე ნაწისქვილარი სოფლის ცენტრად გადაიქცა. ახლა ალარ კმარობდა ასე ვიწრო სავაჭრო. საპირო იყო მისი გაფართოება, უგზობის გამო საქონლის გადმოზიდვა ჭირდა.

გზა კიდევ არ იყო გაყვანილი. მართალია, რამდენიმე კილომეტრით გაეკრათ ის, მაგრამ ჯერ ბევრი უკლდა. გლეხები არ იყვნენ მოწადინებული. ზოგი ალმაცერადაც კი უცქერდა გზის გაყვანას. შიშობდნენ... მთავრობა ივლის ხშირად, მეტი გადასახადები იქნებაო. ამ აზრის გავრცელება ბნელი ძალებიდან გამოდიოდა.

— მთავრობას რომ თავის სასარგებლო საქმის გაკეთება არ უნდოდეს, მას რომ საკუთარი მიზანი არ ჰქონდეს, რატომ დახარჯავს იმდენ ფულს, რატომ გამოგზავნის ინჟინრებსა და ტექნიკებს, რატომ მოგვცემს იმდენ იარაღს და ასაფეთქებელ წამალს?— ჩაუგდებდა ლაპარაკში იუსუფ-ალა გლეხებს და სულსა და გულს მოუწამლავდა.

— მართლაც, რატომ ირჯება ასე მთავრობა?—ეკითხებოდნენ ზოგიერთები თავის თავს—რომელი მთავრობა ირჯებოდა ასე?

სამი მთავრობა ახსოვდათ.

რუსეთის მეფის... თურქების... მენშევიკების..:

ერთმანეთზე უარესები იყვნენ. მძარცველებივით შემოიპრეზოდნენ. ქურდულად დაესხმოდნენ თავს, ააფორიაქებდნენ, ააწრიალებდნენ, მოხვეტდნენ, მოკრებდნენ, დაიტვირთებოდნენ და წავიდოდნენ. კიდევ კარგი, რომ გზა არ ჰქონდათ და იშვიათად ამოივლიდნენ, თორემ სულ გამოსცლიდნენ სოფლებს.

ასე იცის საერთოდ მთავრობამ და ჯერ თუ არ დაუწყია ახალ მთავრობას ,ეზარებათ მოსვლა, ცუდი გზაა და ამიტომ. მაგრამ ნახეთ, გამოიყვანონ გზა. ყოველდღე ამოვლენ გადასახადებისათვის.

ბევრი იზიარებდა ამ აზრს. ხოჯა ამბობს, ალლახის კაცი,— ტყუილი ხომ არ იქნებაო.

ამიტომ იყო, რომ ორპოფად ლაპარაკობდნენ კრებაზე, რომელზედაც გზის გაყვანის საკითხი იყო დასმული.

დროებით გადავდოთ ეს საკითხიო—ამბობდნენ ზოგიერთები.

ჯერჯერობით რაც გვაქვს, იმას დავჯერდეთო.

თავმჯდომარეც მერყეობდა. მაგრამ ანდრომ გაიტანა. ახალგაზრდებმა დაუჭირეს მხარი. ნური ბერიძე გამოვიდა პირველად ანდროს მხარის დამჭერად. მურადი იმ დროს კიდევ ვერ გამოდიოდა კრებებზე.

ნურის სხვებიც აჰყვნენ.

— გზა გვინდა!

— განათლება გვინდა!

— ცხოვრება გვინდა!

ახმაურდნენ და შიიმხრეს უმეტესობა.

დაადგინეს, გასულიყვნენ სამუშაოდ უკლებლივ და თუ ვინმე უმიზეზოდ არ გავიდოდა, დაეჯარიმებინათ.

მაინც ბევრი არ გავიდა. მარტო ახალგაზრდები და ხუთაც ხნიერი გლეხი გამოვიდნენ დანიშნულ დღეს. ამათში ერია მოხუცი მუჰამედ შვინდაძე. ის მეტად კმაყოფილი იყო ანდროსი მას შემდეგ, რაც ანდრომ დახმარება გაუწია. ექვსი ობოლი შვილიშვილი გადაურჩინა სიკვდილს. ლუკმა გაუჩინა და არსებობის საშუალება მისცა. ძროხაც აყიდვინა. საბჭოს დაადგენია, დახმარებოდა საქონლის ჭირისაგან დაზარალებულ გლეხს. შემდეგ მოხუცს მოელაპარაკა და ერთი უფროსი შვილიშვილი ბათუმს გაგზავნა შოფერობის შესასწავლად. ორი ადგილობრივ სკოლაში მიაბარებინა და დანარჩენებს ყოველთვიურად ეხმარებოდა. რომ ასეთი დახმარება არა, დაწყდებოდნენ უბედურები. აბა რა გააჩნდა საწყალ მოხუცს. ერთი შვილისგან ექვსი ობოლი დარჩა. ერთმანეთის წამოყენება არ შეეძლოთ. ექვსივე ვაჟები, ერთმანეთზე უკეთესები. მაგრამ ვინ არჩევს ასეთ დროს უკეთეს-უარესს!

— ბედზე მომისწრო მაგ ოჯახაშენებულმა—ამბობდა მოხუცი. უკეთესი არავინ ყავდა ქვეყანაზე, მის ქება-დიდებაში იყო.

— რომელ მთავრობასაც ასეთი ადამიანები ჰყავს, რომელი მთავრობაც ასე ზრუნავს ადამიანებზე, იმას როგორ ვეტყვი უარს რამეზე! წამიყვანოს, მამუშაოს, გადამახდევინოს, გამაკეთებინოს. ყველაფერზე თანახმა ვარ—ეუბნებოდა ის ყველას, ვინც რაიმე აუგს იტყოდა მთავრობაზე, ან ანდროზე, რომელიც ზოგიერთებისათვის არ იყო მაინცადამაინც მოსაწონი.

მუჰამედს მევლუდა კოვზაძე და თევრად ბალაძეც თანაუგრძნობდნენ სხვა გლეხებს გარდა. ამათი გულიც პირველი დღიდანვე მოეგო ანდროს. მას შემდეგ, რაც ხოჯასა და მათ შო-

რის წყალის თაობაზე ატეხილი დავა სამართლიანად გადაწყვიტა და გლეხებს წყალი მიაკუთვნა.

— ეტყობა, მართლა მუშებისა და გლეხების ყოფილა ჩვენი მთავრობა.—ამბობდა მევლუდა კოვზაძე.

— თავიდან ეტყობოდა ანდროს. ხომ ნახე ვინ აირჩია. ყველაზე ლატაკისას დასახლდა. მურადაისას არავინ იკადრებდა ლამის გათევას. მაგან კი თვითონ აირჩია.

— კაცი გახადა, ჩემო ძმაო, მურადაი, მეტი რა გინდა! თურმე არ იყო დასაგლახებელი მაგ ბიჭი, ძალად ადელებდნენ.

— ეს სულ იმ ხოჯის ბრალი იყო.

— კიდევ კარგი, მართლაც რომ არ გადელდა, ხომ იცი, ხოჯა ვისზედაც იტყოდა დელიაო, მართლაც დელდებოდა.

— ეჰ, ჩემო ძმაო, ხოჯას არც გადელება შეუძლია და არც მორჩენა.

ასეთი ლაპარაკი ხშირად ჰქონდათ სოფელში. ხშირად ახსენებდნენ ანდროს სახელს და ზოგიერთს ის მხსნელად ყავდა მიჩნეული.

ჰო, ახალგაზრდები და ის ხუთიოდე გლეხი გავიდნენ გზაზე სამუშაოდ. დანარჩენები მიიმალ-მოიმალნენ. ზოგმა ავადმყოფობა მოიგონა, ზოგმა ხელმარტოობა. ანდრომ შეატყო, რომ ასე არაფერი გამოვიდოდა. საჭირო იყო ახლა სხვა ღონისძიებების მიღება. და ნაბიჯიც გადადგა.

მოილაპარაკა ახალგაზრდებთან, საბჭოს ზოგიერთ წევრთან, ცოტა უსაყვედურა საბჭოს თავმჯდომარეს, მოაწვევინა ჯერ საბჭოს სხდომა, შემდეგ საერთო კრება და ახლა სულ სხვანაირად ალაპარაკდა.

— მართლა და ნურავინ იფიქრებს, რომ მთავრობა მზამზარეულად ჩაუდებს ყველას ლუკმას პირში. ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ მთავრობა მშრომელთა ინტერესების შელახვისათვის ვინმეს არ დასჯის. ყველაფერი, რაც შენდება და კეთდება, ჩვენი ხელებით უნდა გაკეთდეს. მთავრობა საჭიროდ სცნობს გზის გაყვანას, არხის გაჭრას, ხიდის გაკეთებას. ყველაფერი ეს კი მშრომელთა ინტერესებს ემსახურება. მამ ყველა უნდა გამოვიდეს სამუშაოდ. დიაღ ყველა. ვინც არ გამოვა, ვინც ჩვენი დადგენილების წინააღმდეგ წავა...—ანდრომ მოიხსენია ღონისძიებები.

არავის დავერიდებითო. ძალას მივმართავთო.

ჯარიმაც იქნება. იძულებითაც გაგიყვანთ. სხვა საშუალებებიც გვაქვს ხელისშემშლელებისა და მავნებლებისათვის.

ჩეკაც არ გამორჩენია.

მავნებლებსა და ხელისშემშლელებს იქ მოვარჯულებთ.

ახლა აღარ ლაპარაკობდა ანდრო ისე, როგორც პირველ კრებაზე, როცა გზის საკითხი პირველად დაისვა. ახლა ის ყველასაგან კატეგორიულად მოითხოვდა სამუშაოდ გამოსვლას. ისინი, რომლებიც ვერ გამოვლენ, ხოჯა-მოლა ან კიდევ სხვები, გადაიხდიან ფულს მათი შრომის მაგივრად.

ყველას გაუკვირდა.

ასე თამამად ვინ გაბედავდა აღას წინააღმდეგ ხმის ამოღებას. ჩანს ძალას გრძნობს ზურგს უკან, თორემ...

ჩუმად ეღიმებოდა ზოგიერთს. ერთმანეთს გადახედავდნენ...

იუსუფ-აღაც იყო ამ კრებაზე. მოშორებით ჩამომჯდარი უყურებდა ყურს და გულში იგროვებდა შხამსა და ნაღველს. მას ვერ მოენელებინა ანდროს არსებობა ამ სოფელში. ახლა ისე იყურებოდა მისკენ, როგორც მეტად საზიზღარ არსებისაკენ. ულვაშებს იკვნეტდა და მალიმალ ისწორებდა ყაბალახს თავზე. უნდოდა ვინმე შეეცდინა, თვალს უშვებოდა ხან ერთს, ხან მეორეს—გამოდით თქვით რამეო, მაგრამ ვერავინ ბედავდა საწინააღმდეგოდ გამოსვლას. ან რა სინდისით გამოსულიყვნენ. ესეც არ იყოს, რომ მართლაც მიმართოს ძალას ანდრომ!.. ბოლშევიკებმა ასეთ დროს ხუმრობა როდი იციან.

ისევ გაჩუმება სჯობია.

ასე ფიქრობდნენ ზოგიერთები. თავს იქნევდნენ თანხმობის ნიშნად.

გადაწყვეტილება მიიღეს. ყველა უნდა გასულიყო სამუშაოდ. ვინც არ გავიდოდა, ფულს გადაახდევინებდნენ და ამ ფულით მუშახელს დაიქირავებდნენ.

ახლა ბევრს აეწვა კუდი. მათ შორის იუსუფ-აღაც ვერ დააყენა კარგ ხასიათზე ამ გადაწყვეტილებამ. კიდევ მოიკვნიტა ულვაშები და დალონებული წავიდა სახლში.

გზის გაყვანა მაინც ვერ მოახერხეს. ბევრი დაბრკოლება გადაეღობა. მაზრამაც არ გაუწია შეპირებული დახმარება და ხალხსაც აუცრუვდა გული. ორი თვე იმუშავეს მხოლოდ და შემდეგ მიანებეს თავი.

ეს სწორედ მაშინ, როცა საგზაო მშენებლობის ნამდვილი სეზონი იყო.

კიდევ მოიწვია ანდრომ კრება. ჯერ ფრაქციის, შემდეგ ახალდაარსებულ კომკავშირის უჯრედის, მოელაპარაკა საბჭოს წევრებს და ბოლოს ისევ საერთო კრებაზე დააყენა საკითხი.

ისევ დაიწყეს ყამათი, ისევ ილაპარაკეს, მაგრამ ახლა უფრო მეტი მომხრეები გამოჩნდნენ. კოოპერატივის საკითხით დაინ-

ტერესებული გლეხები გზის გაყვანას სიამოვნებით უჭერდნენ მხარს, რადგან ესმოდათ, რომ კოოპერატივი უგზობის გამო ვერაფერს მოიტანდა და ამრიგად ისევ ჩარჩებისა და სპეკულანტების ხელში ჩაცვივდებოდნენ.

ამ საკითხმა ყველა დააინტერესა და მესამედ გადაწყვიტეს გზის მშენებლობის გაგრძელება. გამოყვეს ხელმძღვანელები, აირჩიეს მეთაურები. ანდროს ისევ მთავრობასთან მოლაპარაკება და დახმარების გამოთხოვნა დაავალეს.

მუშაობა ისევ გაჩაღდა. ანდრო პირადათ წავიდა საოლქო კომიტეტში, იქ მოელაპარაკა ხელმძღვანელ ამხანაგებს, მიიღო რაც საჭირო იყო და მალე დაბრუნდა. ახლა ადგილობრივ მცხოვრებლებს გარდა მოყვანილი მუშებიც მუშაობდნენ: სპეციალისტები, ქვის მბურღავები, გამოცდილი მენალმეები, დურგლები და ზეინკლები. მოსულებს ახალი იერი მოეტანათ, მუშური სული და გული. მუშაობის შემდეგ ისინი ბართავდნენ ცეკვა-თამაშს, მღეროდნენ, უკრავდნენ ჩონგურსა და გარმონს, ხუმრობდნენ, იცინოდნენ და ახმაურებდნენ საუკუნეების განმავლობაში მძინარე ხეობებს.

— ახლაც აღარ დაიჯერებთ, რომ მთავრობას ეს გზა მისთვის, თავის ხალხისათვის, გიაურებისათვის უნდა?—ჩაულაპარაკა იუსუფ-აღამ ერთ დღეს მის მეზობლად მდგომ გლეხს, რომელმაც გზის მშენებლობის მდგომარეობის შესახებ უკანასკნელი ცნობები მოახსენა.

— ელბეთ მასეა, იუსუფ-აღა, მეც მასე მგონია. რუსები და ქართველებიც მოუყვანიათ.

— გვაბეჩებენ, ზექერიავ, გვაბეჩებენ. — და ცოტა ხნის შემდეგ მისკენ გადაიხარა.—ჩვენ კიდევ იმათ ვეხმარებთ. თვალდახუჭული ვართ. ხმას არ ვიღებთ.

— ჩვენ რა შეგვიძლია რუსუფ-აღა! მეთაურები არაფერს ამბობთ, ჩვენ თქვენ გიჯერებდით ყოველთვის.

— მაგრამ ახლა აღარ გვიჯერებთ!—საყვედურით შეხედა აღამ.

— რატომ არ გიჯერებთ! თუ კი რამეს გვეტყვი, ვალლაი და ბილლაი, დაგიჯერებთ!

აღამ მხარზე დაჰკრა ხელი და ჩუმად უთხრა:

— კიდევ გყავს ვინმე?

ზექერიამ მიიხედ-მოიხედა.

— ყველა შენთან იქნება, თუ კი გვიბრძანებ!—და რამდენიმე სახელი ჩუმად ჩასჩურჩულა.

— საჭიროა მაგ გიაურის მოცილება თავიდან. შემდეგ ყველაფერი რიგზე იქნება. გესმის? ანდროს მოცილებაა საჭირო.

— არავის არ უყვარს, მაგრამ ყველას იმორჩილებს.—გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ზექერიამ.

— ჯადო აქვს, ჯადო! თურმე ქალებს აჯადოებს, რამდენი ქალი გაურყვნია! დელი მურადასას იმიტომ დასახლდა, რომ ნაილე მოსწონებია.

— მერე ვინ იცის, იქნებ კიდევაც...—არ დაასრულა სიტყვა ზექერიამ.

— მაშ, მაშ... შეუცდენია. იმიტომ დანიშნა დუქანში მურადა, თორემ დელი მურადას ვინ ენდობა...

— ჰაი, ჰაი, ჰაი, რამდენი ბორტება ხდება მოფარებულში! —სთქვა ზექერიამ და აღას შეხედა.

იმ საღამოს ხოჯა მამუდისას კიდევ მოილაპარაკეს რაღაცებზე და გეგმები შეადგინეს. ამ მოლაპარაკებას მოლა ნური ესწრებოდა და მასთან ერთი უცნობიც.

III

კომკავშირის კრება თავის ბინაზე მოიწვია ანდრომ. შვიდი ახალგაზრდა გამოცხადდა. ეს იყო მთელი შემადგენლობა. ჯერ არც ერთ მათგანს მანდატი არ ჰქონდა, მაგრამ ანდროს მითითებით ყოველგვარ დავალებებს ასრულებდნენ.

მასწავლებელი სერგო ლომაძე ასწავლიდა ამათ წერა-კითხვას, ანგარიშს, პოლიტიკურ წიგნებსაც უკითხავდა და ხშირად საუბრობდა მათთან ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. პირადათ მისცა ანდრომ ლომაძეს ეს დავალება. არდადეგებზედაც არ გაუშვია შვებულებაში. გასამრჯელოს ანაზღაურება შეპირდა და მთელი ზაფხული თან იყოლია.

ამ ღონისძიებებმა კარგი შედეგი გამოიღო. ბიჭებმა ისწავლეს წერა-კითხვა, გაიცნეს ავკარგი და დღეს ანდროს გვერდით რამდენიმე მომზადებული ახალგაზრდა იდგა.

კრებებიც ცოცხლად ტარდებოდა. თათბირებიც წესიერად. მოწონებაც იცოდნენ, დაწუნებაც... დღითიდღე იზრდებოდა ახალი თაობა და ცოდნა-გამოცდილებით ივსებოდა.

მდივანმა გახსნა კრება. ის საკმაოდ გამოწაფულიყო უკვე. დღის წესრიგი გააცნო ამხანაგებს და მოხსენებისთვის ანდროს მისცა სიტყვა.

მომავალ სასწავლო წლის მზადების საკითხი იდგა და ამ საგანზე ილაპარაკა ანდრომ ;მაგრამ შიგადაშიგ ჩაურთო ამბები

ყოფაცხოვრებიდან. აღნიშნა, რომ კომკავშირმა უნდა ებრძოლოს ყველა ისეთ მოვლენას, რომელიც ხელს უშლის ცხოვრების წესიერად და კულტურულად მოწყობის საქმეს.

მოიყვანა მაგალითები: პატარა ქევსერის უდროოდ გათხოვება, რომელსაც ბავშვის გაქცევა მოჰყვა და შემდეგ კიდევ რამდენიმე აურზაური. სანამ ექიმი არ მოიწვია ანდრომ და არ დაამტკიცა, რომ ბავშვი სქესობრივად მომწიფებული არ იყო, მანამ ბავშვის მშობლები და ქმარიც დაჟინებით მოითხოვდნენ ბავშვის ქმართან დაბრუნებას. ბოლოს, როცა ექიმსაც არ უჯერებდნენ, ანდრომ წინადადება მისცა საბჭოს თავმჯდომარეს დაეპატიმრებინა როგორც ქმარი, ისე ბავშვის მშობლები და გადაეგზავნა მაზრაში. ასეც მოხდებოდა, მაგრამ შემდეგ ჩადგნენ შუაკაცები, სთხოვეს ანდროს დათმობა.

ხელწერილი ჩამოართვა საბჭომ ორივე მხარეს, რომ ბავშვი სანამ სქესობრივად არ დასრულდებოდა, ქმრისათვის არ გაეტანებინათ, ხოლო თუ ბავშვი გაზრდის შემდეგ უარს იტყოდა იმ საქმროზე, რომელსაც ის მიაკუთვნეს მისმა მშობლებმა, წინააღმდეგობა არ გაეწიათ.

მეორე მაგალითი. ენვერის ამბავი. თორმეტი წლის ბავშვი დაკოლიანდა! ეს ბავშვი ანდროსთან მოვიდა შველისათვის. ამ საქმეზედაც ატყდა ამბავი. ბავშვის მამა თავისას გაიძახოდა. არ უნდოდა დაეშალა ეს საქმე, მაგრამ აქაც საბჭოთა კანონები იქნა გამოყენებული და როცა საქმემ სერიოზული სახე მიიღო, ენვერის მამაც მოტყდა და პატიება ითხოვა.

— კიდევ არის, ამხანაგებო, მაგალითები, მაგრამ ჯერ აქ არ გავამხელ, შეიძლება ისედაც მოგვარდეს — თქვა ანდრომ და ნური ბერაძისაკენ გაიხედა.

ნურის ყურები აეწვა. მიხვდა, რომ ამ უცხო კაცს არამც თუ მომხდარი ფაქტები გაუგია, არამედ განზრახული ამბებიც სცოდნია.

— კი მაგრამ, მანჭაკლისა და მშობლების ჩაურეველად როგორ უნდა დაოჯახდეს კაცი?—იკითხა ერთმა ახალგაზრდამ და ამხანაგებს გადახედა.

ყველამ ერთად შეხედა ანდროს.

გაუჭირდა ანდროს პასუხის გაცემა. მართლაც, ერთი დარტყმით ხომ არ შეიძლებოდა ძველი ზნე-ჩვეულების აღმოფხვრა, ქალებისა და მამაკაცების ერთად გამოყვანა. ამას მომზადება სჭიროდა, სწავლა-განათლების შემოტანა, ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება. ამისთვის კი დრო იყო საჭირო და არც ისე პატარა დრო.

ახალგაზრდები კი ახლავე მოითხოვდნენ პასუხს. პირში მისჩერებოდნენ მომხსენებელს.

— მართალია, ძნელი გადასაჭრელია, ამხანაგებო, ეს საკითხი,—დაიწყო ანდრომ,—მაგრამ არც ისე, რომ ჩვენ ვერ შეეძლოთ მისი გადაჭრა. ჩვენ წარმოვადგენთ ამ სოფლის მოწინავე ადამიანებს და ჩვენ უნდა მივცეთ მაგალითი. მოვიყვანოთ ჩვენს რიგებში ქალები, ქალიშვილები, ჩავაბათ მუშაობაში და თანდათანობით ყველაფერი შეიცვლება.

— ჩვენი ქალები ჯიუტებია—ჩაილაპარაკა ერთმა.

კაცებთან კრებაზე როგორ მოვლენ ჩვენი ქალიშვილები!—დაუმატა მეორემ.

— რატომ არ უნდა მოვიდეს—გაკვირვებით იკითხა მურადმა,—თუ ვეტყვით, კიდევაც მოვლენ — მიიხედ-მოიხედა ოთახში, შემდეგ ანდროს შეხედა და წამოდგა.

— შეიძლება გარეშე დაესწროს ჩვენს კრებას?—ჰკითხა მან.

— ვისზე ლაპარაკობ?—იქ მყოფთ გადახედა ანდრომ.

— ნაილეს თუ აქვს უფლება დაესწროს მეთქი?—იკითხა მურადმა.

— ნაილე... თუ სურვილი აქვს...—კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა ანდროს, მაგრამ მურადი უკვე გასულიყო.

ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს. ვერ წარმოედგინათ, როგორ შემოვიდოდა ნაილე კრებაზე, სადაც მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. რას იტყოდა, ან როგორ მოიქცეოდა. მოუთმენლად ელოდნენ კარების გაღებას და ნაილეს გამოჩენას. და როდესაც ახალგაზრდა ქალის მომღიმარი სახე დაინახეს ,თვალები გაუშტერდათ.

— გამარჯობათ!—და ნაილე მოშორებით ჩამოჯდა ტახტზე.

პასუხის გაცემა ვერავინ მოახერხა.

— გაიცანი ნაილე ამხანაგები!—მიმართა ანდრომ, ვინაიდან შეატყო, რომ მურადს ასე სურდა.

ნაილემ გაიღიმა.

— ყველას ვიცნობ, უცხოები ხომ არ არიან... ფოხრიკებს ვაძოვებდი მაგათთან—წამოდგა, ჩამოიარა და სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

ამ მოქმედებამ სავსებით შესცვალა განწყობილება ახალგაზრდებში. თითქოს რამდენიმე წუთი დასჭირდათ, რომ გაერკვიათ მდგომარეობა. ნაილეს ყველა მათგანი იცნობდა ბავშვობისას, ლამაზი იყო, ეშხიანი და ცქრიალა, მაგრამ აგერ ოთხი წელია მისი სახე არავის დაუნახავს. ნათესავი ქალებიდან ესმოდათ ამ ფოგოს ქება, მისი ეშხი და სიდარბაისლე. ბევრჯერ გაუვლიათ გულში

მისი სახის დანახვა, რამდენჯერ დადარაჯებიან მოსახვევში, იქნებ პირახდილმა ჩამოიაროსო, მაგრამ თვალი ვერ მოუკრავთ.

ახლა კი ასე თავისუფლად შემოსვლა, ხელის ჩამორთმევა, დალაპარაკება და მათთან ერთად დაჯდომა, ხომ მთელი ბედნიერება იყო!

— განვაგრძოთ, ამხანაგებო, კრება—და ანდრომ ნაილეს შეხედა.—დღეიდან ჩვენთან ამხანაგი ნაილეც იქნება. ჩვენ კიდეე უნდა მოვიზიდოთ ასეთი ამხანაგები და ჩვენი მუშაობაც უფრო გავამრავალფეროვანოთ.

— ვის უნდა, ამხანაგებო, აზრი გამოსთქვას მოხსენების გარშემო.—ახალგაზრდა თავმჯდომარემ გადახედა ამხანაგებს.

ნურიმ დაიწყო პირველად. ის ყველაფერში ეთანხმებოდა მომხსენებელს; რაღაცა უნდოდა თავის თავზედაც ეთქვა, მაგრამ გაუბედაობა ემჩნეოდა. ხშირად გაიხედავდა ნაილესაკენ. ის უკვე მიმხვედარი იყო საიდუმლოებას. ანდროს ნაილე ეტყოდა ყველაფერსო—ამბობდა თვის გულში. ცეცხლი ედებოდა. ენანებოდა ბავშვობისას მისი სურვილის გარეშე დანიშნულის დაკარგვა. მალე დაამთავრა სიტყვა, დაჯდა და თავის ფიქრებს დაუბრუნდა. ისევ ნაზიმე დადგა მის თვალწინ... უყვარს ნაზიმე! უყვარს სულითა და გულით და რადგან ამ სიყვარულს საფუძვლად უძევს ადრინდელი სიტყვა, რომელიც მშობლებს დაუდვიათ ერთმანეთს შორის, რატომ უნდა გატყდეს ის სიტყვა ან ეს სიყვარული!—ასე უნდოდა ეთქვა ანდროსათვის, მაგრამ ვერ გაბედა.

ანდრომ თავმჯდომარეს გადაუჩურჩულა და ნაილესაკენ გაიხედა. ახალგაზრდა თავმჯდომარე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. რამდენჯერ მიაბრუნ-მოაბრუნა ენა პირში, ვერაფერი თქვა.

ისევ ანდროს წაართვა წუთით მოვალეობა და იქ მყოფთ მიმართა:

— ახლა ამხანაგებო, ნაილე გვეტყვის თავის აზრს და მოვუსმინოთ—გადახედა ნაილეს.

ახალგაზრდებს საბაბი მიეცათ. რამდენიმე თვალი მიაჩერდა ქალიშვილს.

ნაილემ დაიმორცხვა პირველად, ხელები გადაიტანა ერთი ადგილიდან მეორეზე, თავი ჩაღუნა და წუთით თავის მდგომარეობას ჩაუკვირდა.

— სიტყვა ამხანაგ ნაილეს ეკუთვნის—გაბედა ახლა თავმჯდომარემ და ნაილეზე მეტი სიმორცხვე დაეტყო.

— რა უნდა ვთქვა—თავისთვის ჩაილაპარაკა ნაილეს. შემდეგ წამოდგა და იქ მყოფთ გადახედა.

— რაც აქ თქვეს, ყველაფერი მართალია,—დაიწყო მან,—ძალიან ბევრ ქალს ათხოვებენ ჩვენში მისი სურვილის გარეშე, ძალად ატანენ ქმარს. ქალიშვილები რომ ისე თავისუფალი იყვნენ ჩვენშიაც, როგორც სხვაგან არის,—კარგია.

ველარ მოახერხა სიტყვის გაგრძელება, აღელდა. ცოტა შეისვენა. რამდენჯერმე მოისუნთქა ღონივრად და ოდნავ შეიკავა მღელვარებაც.

— მეტი რა უნდა ვთქვა—თვალებზე აიფარა ხელები და დაჯდა.

ანდრომ რამდენიმე შეკითხვა მისცა ნაილეს.

ეს შეკითხვა ეხებოდა მის დამოკიდებულებას ახალდაარსებულ კომკავშირის ორგანიზაციასთან. ჰქონდა თუ არა სურვილი ემუშავნა ამ ამხანაგებთან ერთად და შეასრულებდა თუ არა ყველა იმ დავალებებს, რომლებსაც მას ორგანიზაცია დააკისრებდა.

ნაილემ დადებითად უპასუხა. უფრო მეტიც: ორ გოგონას კიდევ მოვიყვანო, სახელები მოიხსენია—ნაზიმე და ფიქრიე.

— ორივეს სურვილი აქვს ჩვენთან მუშაობის. მე ველაპარაკე მათ. თუ კი მიიღებთ...—გადახედა ნურის, რომელიც თავჩაღუნული იჯდა.

ახალგაზრდებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ნურიმ უფრო დასწია თავი დაბლა და ყაბალახის სწორება დაიწყო.

— სიამოვნებით მივიღებთ. რას იტყვით ამხანაგებო თქვენ?—მიმართა ახალგაზრდებს ანდრომ.

წუთით ყველა გაილურსა.

— თუ სხვაც მოიყვანს თავის დას...—ჩაილაპარაკა ნურიმ.

ანდრო ახლა მიხვდა, რომ დასახელებულ ქალიშვილთაგან ერთი ნურის და იყო და ეს ერთი უსათუოდ ფიქრიე იქნებოდა, ვინაიდან ნაზიმესა და ნურის შესახებ ყველაფერი უკვე იცოდა მან. ნაზიმეს პირადადაც იცნობდა. ნაილემ გააცნო ერთხელ ჩუმად. არა, ჩუმად კი არა, მურადიც იქ იყო, მაგრამ ნაზიმეს შინაურებმა არ იცოდნენ ეს ამბავი; ისე მოუწყო ეს შეხვედრა ნაილემ ამხანაგს, რომ როცა ის უცხო კაცს წარუდგინა, ნაზიმეს სახეზე ჩამოფარებისა და გაქცევის საშუალებაც არ შესწევდა. ის დაეთანხმა ნაილეს, წუთით დაივიწყა, რომ სარწმუნოება მამაკაცთან შეხვედრას უკრძალავს, დაავიწყდა ხოჯის სიტყვებიც, ბავშვობისას მედრესეში განაგონი და გაზეპირებული, და ამ თავდავიწყების დროს ანდროსა და მურადს ხელი ჩამოართვა.

დაირღვა, რაც დასარღვევი იყო. „ცოდვაც“ მოხდა უკვე, სჯულიც შეირყა, ადათიც და ძწი უკან დახევა უნაყოფო იყო. ისევ ბოლომდე უნდა ევლო ამ გზით. მეტი გამოსავალი აღარ იყო. ამ გზას უნდა ეხსნა ან დაელუპა. და ნაზიმემაც ეს გზა აირჩია.

მოუყვა ყველაფერი. დაწვრილებით უამბო მშობლების დამოკიდებულება სასიძოსა და მის ოჯახთან. ისიც უთხრა, თუ როგორ ემუქრებოდა მამა უარის თქმისათვის.

არაფერი დაუმალავს.

— მასზე მითხოვებას სიკვდილი მირჩევნია—აქვითინდა და ნაილეს ჩაეკრა მკერდში.

ანდრო მას შეპირდა დახმარება. სიტყვა მისცა, რომ სურვილის გარეშე წაყვანის ნებას არავის მისცემდა. მით უმეტეს ნური ბერაძეს, რომელიც კომკავშირის რიგებში დგება, სწავლას ეტანება და ახალი ცხოვრებისაკენ მიილტვის.

კრებაზედაც ამ საკითხისაკენ იყო მიქცეული მთავარი ყურადღება. თეატრის, საავადმყოფოსა და კიდეე მრავალი კულტურული დაწესებულების დაარსებისა და გახსნის გარდა, საჭიროა ყოფაცხოვრების გარდაქმნა-მოწესრიგება.

ეს აზრი გაატარა ანდრომ. ამის გარშემო ილაპარაკეს სხვებმაც. გამოსული ახალგაზრდებიც ბევრ კარგ აზრს გამოსთქვამდნენ, მშვენიერ სურვილებს. ქალისა და კაცის თანასწორობას აღიარებდნენ. თანასწორ მონაწილეობის მიღებას ავალებდნენ ქალებსაც ყოველგვარ საქმეში, მაგრამ როცა საკითხი პირადად და ცალკე მათ შეეხო, ერთმანეთს გადახედეს.

— ჯერ სხვამ მოიყვანოს თავისი და—ჩაილაპარაკა ნურიმ თავისთვის.

— ზექიაც ჩაეწერება, რა უშავს!—ყაისაძეს გადახედა ნაილემ.

ყაისაძემ მიიხედ-მოიხედა, უხერხულობა იგრძნო. უნდოდა ეთქვა, შენი საქმე არაა ჩემი დის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ეს ზედმეტი იქნებოდა. ვერ გაბედა ხმის ამოღება და ისევ გაჩუმება არჩია.

— კარგი, ამხანაგებო,—გამოიყვანა უხერხულობიდან ანდრომ შემკრთალი ახალგაზრდები,—ჯერჯერობით ნაილე მივიღოთ, ვასწავლოთ, აღვზარდოთ, დავაწინაუროთ და შემდეგ სხვები თავისით მოვლენ. ვინც ღირსია მივიღებთ, ქალები იქნებიან ისინი თუ ვაჟები, ჩვენთვის სულერთია. ძალას არავის დავატანთ, არც კარებს ჩავუკეტავთ ვინმეს, მხოლოდ...

და ანდრომ კიდევ მოაგონა ამხანაგებს დისციპლინა, რომელიც კომუნისტურ პარტიას და კომკავშირს აქვთ; სიფხიზლე, გამზედაობა, ცოდნა, თავაზიანობა, პატიოსნება და თავმდაბლობა, რომელიც ყველა ბოლშევიკს უნდა ჰქონდეს და ახასიათებდეს.

ახალგაზრდებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, თითქოს ვეებერთელა ტვირთი მოაცილა მათ ანდროს სიტყვებმა.

თორემ...

შეიძლება მეორეთ აღარც მოსულიყვნენ ასეთ კრებაზე; როგორ შეიძლება გასათხოვარი და მოიყვანო აქ და ალაპარაკო უცხო კაცებში, ვინ დაანებებს. თვითონაც ძლივს ახერხებენ სახლიდან გამოპარვას. ათასნაირ მიზეზს იგონებენ, კრებაზე წასვლა რომ უნდათ. ვინ იცის რა მოხდება რომ გაიგონ, „გიაურები" უნდა გახდნენ მათი შვილები. ღმერთი არ იწამონ, ჯამეში არ იარონ, არ ილოცონ და მარხვა არ შეინახონ.

ქვეყანას შესძრავენ. ძილში გამოღადრავენ შვილებს ყელს. რედს გაუკეთებენ, დასწყევლიან და მოიშორებენ თავიდან.

მართლა ცუდი ამბავი მოყვება ამას, მაგრამ...

მაგრამ რაღაც რომ მაინც მიმზიდველია აქ! თითქო გიხარია, რომ ასე აკრიტიკებენ, მიწასთან ასწორებენ სარწმუნოებას, სჯულს, ყურანს, ღმერთსაც... გეღიმება, რომ ასე უსუსური ყოფილა ყველაფერი ის, რაც ყველაფერზე ძლიერი გეგონა. გწყინს და გიხარია. გწყინს—რად ყოფილხარ ასე უგუნური ამდენხანს. გიხარია, რომ ჭეშმარიტება გაიგე.

ახალგაზრდები ებრძვიან თავიანთ ორეულს.

რასაც ანდრო ამბობს,—სწორია. რასაც ის აკეთებს,—სწორია, მაგრამ... კარგი იქნებოდა, ყველა რომ ანდროს აზრისა იყოს.

კიდევ კარგი, რომ სავალდებულო არ გახდა ქალების ჩაწერაც, თორემ... ზოგიერთებს დიდი სურვილი აქვთ ამ მუშაობის, მაგრამ თავს მიანებებდნენ... ყველას ხომ არ შეუძლია მურადივით გამოიყვანოს საკუთარი და, პირზე ახადოს და კაცებთან ალაპარაკოს.

ფუ!

მაგრამ რა ლამაზია ის გოგო. როგორ უხდებოდა ლაპარაკი, რა შეენოდა ახალმოდაზე შეკერილი ტანსაცმელი!

დას ვინ გამოიყვანს ასე! სირცხვილია, უნამუსობაა.

მაგრამ... რა კარგია, როცა ქალიც არის კრებაზე. ნეტავ ყველას ყავდეს ასეთი და, ყველა პირახდილი დადიოდეს.

ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრი იბრძვის თვითეულის თავში. თითქო ახლა იწყება მათი გადახარშვის პროცესი. ტვინში რაღაცა დუღს. შიგ აწყვია ყველაფერი, რაც ადამიანს გა-

აჩნია. ერთმანეთშია არეული ძველი და ახალი. დუღილის დროს ებრძვიან ერთმანეთს, ეჯახებიან, იმტვრევიან, მთელდებიან. ხელ-ახლა იმტვრევიან და ამ ბრძოლასა და დუღილში თანდათან ყა-ლიბდებიან.

კრება გვიან დაიხურა...

ბევრი საკითხი გაარჩიეს კიდევ. კოოპერატივზეც ილაპა-რაკეს და ზოგი რამ მურადსაც დაუწუნეს. ცოტა გაქვს საქონე-ლიო, უსაყვედურეს. თუმცა მურადი აქ არაფერ შუაში იყო. ის კოოპერატივის გამგეობის დირექტივებს ასრულებდა, მაგრამ მაინც უკბინა ამხანაგების შენიშვნებმა.

უპასუხა ფრთხილად და ზომიერად, გულში კი გაიფიქრა, უმადურები არიან, არაფერს დაგიფასებენო.

როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და ანდრო მარტო დარჩა, მურადი შემოვიდა და უთხრა, რომ მასთან მოლაპარაკება სურს ნური ბერაძეს.

— შემოვიდეს.—უთხრა ანდრომ.

ცოტა ხანს შემდეგ ნური შემოვიდა. მას მღელვარება ემჩ-ნეოდა. ეტყობოდა, რომ რაღაც ნაღველი მოსწოლოდა მის გულს. კრებაზე ის უფრო თამამად და გაბედულად იყო, ვინემ ახლა. ყაბალახი თვალებამდე ჩამოეხურა.

— დაჯექი, ამხანაგო ნური.—ხელი მოკიდა მკლავში ან-დრომ და ტახტზე დააჯინა—კარგი კრება ჩავატარეთ, რას იტყვი?

— კარგი იყო.

— თანდათან გავიზრდებით, ამხანაგო ნური, ვისწავლით. გამოვიწაფებით. ჩვენს თვალწინ სანეტარო ქვეყანაა გადაშლილი, ბედნიერი ქვეყანა. ჩვენი ახალგაზრდობა უბედნიერესი თაობაა დედამიწის ზურგზე... უცებ შესცვალა ლაპარაკის კილო.

— რას იტყვი ნური, რომ გაგიშვათ, არ წახვალ სასწავლე-ბელში?

ნურიმ გაკვირვებით შეხედა და ყაბალახიც აიწია თვალებიდან.

— მე?

— ჰო, სწავლის სურვილი თუ გაქვს?

— სურვილი... სურვილი ვის არ აქვს, მაგრამ...

— რა გიშლს ხელს?—ანდრომ პაპიროსი ამოიღო, ნურისაც მიაწოდა და თვითონაც მოუკიდა.

— ოჯახი, მოხუცი მშობლები მყავს. ჩემს მეტი შვილი არა ყავთ. ვინ უნდა იმუშაოს.—ნაღვლიანად უპასუხა ნურიმ.

— მაგას ჩვენ მოვაგვარებთ. შენ ის მითხარი, სურვილი თუ

გაქვს ისწავლო?.. ხომ ხედავ, ჩვენში ყველა სწავლისაკენ მიილტ-ვის.

ნური რამდენიმე წუთით დაფიქრდა, მაგრამ ეს ფიქრი ანდრომ არ დააცალა.

— დაოჯახებული ხომ არ ხარ? ცოლი თუ გყავს, ან დანიშნული? ან ახლო ხანში თუ ეპირები დაოჯახებას?—გამოცდილი თვალებით დააცქერდა ის.

თითქო ამ შეკითხვას ელოდებოდა ნური, წამოდგა, თავზე მეათეჯერ გაისწორა ყაბალახი და ანდროს შეხედა.

— ცოლიანი არ ვარ, მაგრამ...

— დანიშნული ხარ?

ნურის შერცხვა. ხელებზე დაიხედა და თითები აათამაშა.

— ყველაფერი იცი... ჩემზე კარგად გაქვს გაგებული და მითხარი. მითხარი როგორ მოვიქცე. შენ ხომ ჩვენი მასწავლებელი ხარ...

ანდრომ საათს დახედა.

— დაჯექი,—მკლავზე მოკიდა ხელი, თავად დაჯდა და ნურიც გვერდით მოისვა.

— გაგებული მაქვს, მაგრამ კარგად არ ვიცი, მგონია, შენს მშობლებს ძუძუმწოვარა ბავშვი დაუნიშნავთ შენთვის. ასეა?

— კი.—უპასუხა ნურიმ.

— ახლა კი...—სახეზე დაუკვირდა ნურის, ვერ უთხრა პირდაპირ, რაც უნდოდა ეთქვა... პაპიროსი გააბოლა და ამით მოიგო რამდენიმე წამი.

— გოგო ამბობს უარს...—ანდროს სათქმელი თვით ნურიმ სთქვა. კედელს მოავლო თვალები და ერთ ადგილს რაღაც წერტილს მიაჩერდა.

— ესეც მითხრეს... შენ როგორ ფიქრობ მოიქცე?

— მე...—კარგახანს ეძება საპასუხო სიტყვა ნურიმ.

— გინდა შეირთო?—აღარ ადროვა მოფიქრება ანდრომ.

— მე... მე მიყვარს. ბავშვობიდანვე მიყვარდა. ჯერ კიდევ ათი წლის არ იყო, რომ შემიყვარდა. მერე გავიგე, რომ ჩემს სახელზე ყოფილა დანიშნული. მოსვენება დამეკარგა. მინდოდა მალე გასულიყვნენ დღეები, მალე გაზრდილიყო...—და ნურიმ ყველაფერი დაწვრილებით მოყვა.

ადრე მწიფდება ქალი აქეთ. თორმეტი წლისას ათხოვებენ. ვაჟები უფრო გვიან გამოდიან ცხოვრებაში. ცოლის შერთვა როდი ეადვილება ყველას. ამისათვის ქონებაა საჭირო. ქალის მშობლებსაც სჭირდებათ მისატანი. ისე ვინ მოგცეს ქალს. ეს მი-

სატანი კი ყველას არა აქვს. ღარიბი უცოლოდ მოხუცდება ან ვინმეს მახინჯს მოიყვანს.

თუ ბავშვობაში არ იცნობ, თუ ადრე არ დაიბეჭებ, მერმე გვიან იქნება. ამიტომაა, სანამ ჩადრს ჩააცმევენ გოგონებს, საცოლო ყმაწვილები სამწყესურში ხვდებიან და ათვალიერებენ მათ, ელაპარაკებიან, საჩუქრებს აძლევენ. თუ მოეწონათ, ოყალს დაადგამენ და მშობლებს დაუწყებენ მოციქულების გზავნას.

შემდეგ შეიქნება ვაჭრობა და ამ ვაჭრობის დროს საპატარძლოსაც გამოიწვევენ სამწყესურიდან, მოაცილებენ თავისუფალ ცხოვრებას, ამხანაგებს, შემოსავენ ჩადრით და დაუმალავენ სახეს. შემდეგ დიდი ცდაა საჭირო, რომ სახე დაინახო, ან გაელაპარაკო

ნური კი ერთხელ შეხვდა პირისპირ ნაზიმეს, დაელაპარაკა. შემომხედეო უთხრა, მაგრამ ნაზიმემ უფრო დაიფარა სახე, უფრო აუჩქარა ნაბიჯს და მის შემდეგ სულ სხვა შეხედულებისაა მასზე. როგორც ჩანს, არ მოეწონა ნურის საქციელი.

იქნებ სხვა მიზეზებიც იყოს, მაგრამ ნურიმ არაფერი იცის.

ანდრომ მოუსმინა. დარიგება მისცა, ურჩია, როგორ მოქცეულიყო. დახმარებაც შეპირდა.

ისე კი ყველაფერს აჯობებს, თუ ნური სასწავლებელში წავა. ისწავლის, გადახედავს ქვეყანას, გაიგებს ცხოვრებას და შემდეგ დაოჯახდება. ვინ იცის, იქნებ ნაზიმესაც გამოეცვალოს ხასიათი, ანდა, გამოჩნდეს უკეთესი ქალი, რომელიც შეუყვარდება... ჯერ მთელი წლებია წინ... სწავლა კი საჭიროა ახლავე დაიწყოს. ნასწავლი ადამიანები ყველაზე საჭირონი არიან ჩვენთვის...

ანდროს სიტყვებმა თანდათან მოინადირეს ნურის გული. ის ახლა აღარ ღელავდა ისე. უფროდაუფრო ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ნაზიმე მისი არ გახდება, მაგრამ ეს არც ისე დიდი უბედურებაა, შესაძლებელია უკეთესი ქალიც შეირთოს, მართლაც, მომავალი წინაა და როგორც ანდრო ამბობს, სახელოვანი კაციც გამოვიდეს შეიძლება.

ცოტა ხანს სდუმდა ნური, ემზადებოდა გადაწყვეტილების გამოსატანად. თავის გულში აკეთებდა დასკვნებს, ბოლოს, თითქოს დიდი ტვირთი მოიშორაო, მაგრად ამოითქვა სული და ანდროს შეხედა.

— ვისწავლი. — გადაჭრით სთქვა მან. — ვისწავლი, თუ კი ჩემს ოჯახს რამე დახმარებას გაუწევენ. ვინ გამგზავნის სასწავლებელში?

— საბჭო. ხვალ დილით შემოიარე, დაგიწერთ ქაღალდს,

ბათუმში წახვალ, იმ ქალალდს წარადგენ და მოგაწყობენ. მაშ ასე, ყოჩაღად იყავი.—კიდევ დახედა საათს.—კარგა ხანი გასულა. ნახვამდის.—ხელი გაუწოდა და კარებამდე მიაცილა.

ნური სწრაფად გავიდა, ჩქარი ნაბიჯით გაიარა ეზო და შუკაში მიიმალა.

— წავიდა?—ფრთხილად იკითხა მურადმა, როცა ანდრო მარტო დაინახა.

— წავიდა.—მიუგო ანდრომ.—შენ კიდევ არ გძინავს?

— რა დამაძინებს... მინდოდა გამეგო, რას იტყოდა ნური იმის შესახებ.

— ვის შესახებ?—ვითომც არ მიმხვდარა ანდრო.

— იმ გოგოზე... ძალიან კი უყვარს. რომ არ წამომყვეს, მოვიტაცებო, ან თავს მოვიკლავო. სულელია. ქალისათვის თავს როგორ მოიკლავს კაცი! თუ ქალს არ უნდივარ, არც მე ვინდომებ.

— მართალია. თუ ორივეს თანხმობა არაა, ისე არ ღირს შეერთება. ნური კი დათანხმდა წავიდეს სასწავლებელში. მე ვურჩიე. ეს ამბავიც გადაავიწყდება და ხწავლასაც შეიძენს. რას იტყვი?

კარგია, კარგი... მაგრამ...

— მაგრამ?

— მეც მინდოდა წავსულიყავი. კოოპერატიეში მუშაობას სწავლა მირჩევნია.—და ღიმილით შეხედა ანდროს.

— მართლა?—გაიცინა ანდრომ.—ჯერ ვერსად ვერ გაგიშვებთ, ამხანაგო მურად. ჯერ აქ ხარ საჭირო და ისე კი, რასაკვირველია, უსწავლელს არ დაგტოვებთ. — მხარზე დაჰკრა ხელი და ალერსიანი ღიმილით გაისტუმრა.

თავი მეოთხე

I

ერთი კვირა წვიმდა განუწყვეტლივ. მთის წვეროები თოვლით დაიფარა და ნაადრევი სიცივე ჩამოდგა. ყანები აუღებელი იყო. სანახევროდ უმწიფარი სიმინდი დამწვარივით გაიტრუსა. ქარმა და სიცივმა შემოაცალა ფოთლები ხეებს და ჩამობერტყა ხეხილი.

ხოჯა ამბობდა, დიდმა ცოდვამ დიდი უბედურება იცისო. იმ დიდ ცოდვას კი არ ასახელებდა, თუმცა ყველა ხვდებოდა რომელ ცოდვებზე იყო ლაპარაკი.

ხალხი გაირყვნა, ზოგიერთებმა ლოცვასაც მიანებეს თავი. არც მარხულობენ. ქალები პირზე ახდას აპირებენ. ახალგაზრდები დელი მურადის გზას დაადგნენ. ზოგიერთებმა რუსული ქუდი დაიხურეს. „შაფხა“ ქუდის დახურვა მუსლიმანისთვის ცი ცოდვაზე უფრო ცოდვაა.

მუსლიმანი ქალი თავშიშველი გამოდის მამაკაცთან და ლაპარაკობს. კოოპერატივში ყიდიან ისეთ იაფსებს, რომლებზედაც ვენახის ფოთლებია გამოხატული. ვენახი ყურძენს ისხამს და ყურძნით გიაურები ღვინოს აკეთებენ.

ამაზე უარესი: ბავშვებს წიგნები დაურიგეს, იმ წიგნებში მრავალი სურათია და ზღაპრები. ისეთი ზღაპრები, რომლებიც აკრძალულია მუსლიმანებისათვის. მართალია, ოჯახებში ყველგან არ შეაქვთ ეს წიგნები ბავშვებს, სკოლიდან რომ ბრუნდებიან, საბძელში ან ხეზე ჩამოკიდებენ წიგნებიან ჩანთას, მაგრამ მაინც სულერთია, ცოდვაა ყოველივე იმის გაკეთება, რაც ყურანში არ სწერია. ყურანს კი ზურგი შეაქციეს ზოგიერთებმა.

„უფრო უარესია მოსალოდნელი!“ ამბობს ხოჯა.

დელი მურადა ეშმაკის კაცია. გაიჩინა ამხანაგები, მრავლდებიან ისინი და დღეს თუ ხვალ შეიძლება სულ ჩაიძიროს აქაურობა.

ვის არ გაუგონია სოფელ ვერნების ამბავი. იმიტომ დაარქვეს მას ვერნები, რომ ის გავერანდა ერთ დროს. დაიქცა, დაშავდა. ერთი კაცის ჩადენილმა ცოდვამ ვერნები დააქცია. იმ კაცს რომ თავისი მოზვერისათვის რკინის რქა არ გაეკეთებინა, არც ეს ამბავი მოხდებოდა.

კარგი სოფელი იყო, ახლა რომ სოფელი ვერნებია. იქ. მდიდარი სოფელი. სოფლის ზევით მთაზე ტბა იყო, საკმაოდ მოზრდილი. ამ ტბაში წითელი მოზვერი ცხოვრობდა. ადამიანს არ ენახვებოდა ის. ღმერთიდან იყო გამოგზავნილი. ერთ გლეხს იმ სოფელში ჰყავდა წითელი მოზვერი. ამ მოზვერმა ერთხელ ტბის მოზვერი გაიცნო. გაიცნო კი არა, შეტაკება მოუხდა მასთან. მაგრამ გლეხის მოზვერი რას დააკლებდა ღმერთის გამოგზავნილ მოზვერს. სულ გაუსისხლიანა თავპირი და ისე გაისტუმრა.

გლეხს გაუკვირდა, გასისხლიანებული მოზვერი რომ მოვიდა შინ. მეორე დღეს კიდევ უარესად დაუბრუნდა.

— ასე არ უნდა — სთქვა მან. — იმ ღამესვე გააკეთა რკინის რქები, ჩამოაცვა თავის მოზვერს და გაუშვა. ახლა თვითონაც გაჰყვა და მოზვერების ჭიდაობას დაესწრო. ჭიდაობა ტბის მოზვერის დამარცხებით დამთავრდა. ის მოკვდა, მაგრამ სამაგიეროდ დატრიალდა ცოდვა, აღელდა ტბა, გადმოლახა ნაპირი, დაეშვა ქვევით მეწყერი და მთელი სოფელი წალეკა.

მაშ, როგორ გგონიათ! ხშირად ერთის მიერ ჩადენილი ცოდვა მთელ სოფელს გადახდება. ამიტომ იძახდა თავის დროზე ხოჯა, დელი მურადა და მისი კახპა დაი გადაეასახლოთო, ანდა...

ერთ ოჯახს ყველაფერს მოუხერხებს სოფელი. ვერავინ ვერ გაიგებს, ისე მოეწყობა საქმე. ორი გასროლა და...

იბნეოდა ასეთი „მარგალიტები“ ჩუმად ხოჯას პირიდან და მას მოხერხებულად ავრცელებდა ახალგაზრდა მოლა და იუსუფ-აღა. არც პატივცემული ემინე იდგა შორს. საბჭოს თავმჯდომარის მეუღლეს უფრო ავტორიტეტი ჰქონდა ქალებში და ამიტომ ასეთი თესლის მობნევა მისგან უფრო მოსახერხებელი იყო.

ქალების საშუალებით შედიოდა გლეხების ოჯახებში შხამიანი სიტყვები და სწამლავდა ყველას.

ანდროს ყურამდე მიდიოდა ცნობები. კომკავშირელებმა დაწერილებით ეუბნებოდნენ მას ყველაფერს. აფრთხილებდნენ მასაც, თვითონაც ფრთხილობდნენ. რაღაცას ანდროც ამჩნევდა, მაგრამ ჯერ ჩუმად იყო, ვნახოთ საიდან დაიწყებენ, ან როგორ ხერხს მიმართავენო. არიგებდა ახალგაზრდებს როგორ მოქცეულიყვნენ. თვითონაც ღებულობდა ზომებს. რამდენჯერ დასვა საკითხი მაზრაში საბჭოს თავმჯდომარის მოხსნის შესახებ, მაგრამ ვერას გახდა. ვილაცა მფარველობდა ამ კაცს. და ამ ვილაცის პოვნა ჯერჯერობით ძნელი ხდებოდა.

სოფლის გზა ამ დროს თითქმის გაყვანილი იყო. კიდევ რამ-

დენიმე კვირის მუშაობა და დამთავრდებოდა მაგრამ გლეხები ზედ გავლას უფრთხოდნენ.

აეი სულები, ეშმაკები და ქაჯები ეპატრონებიან აქაურობას.

ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ მათ მართლაც დაუხვდათ ეშმაკი. ზოგიერთს ქაჯიც ენახა ხიდთან ჩამომჯდარი. ერთი გლეხი თავისი ცხენით კლდეზე გადაჩეხილი იპოვეს. ესეც ქაჯის საქმე იყო.

ასე სჯეროდა ბევრს. ხოჯას აწერინებდნენ ეშმაკისაგან თავდასაცავ ნუსხას. ლოცვებს იზეპირებდნენ და ღამით სახლებში იკეტებოდნენ.

ზოგიერთი კომკავშირელიც იქვიანობდა. ვინ იცის, იქნებ... და შიში ვითარდებოდა გულში.

ერთ საღამოს ერთ კომკავშირელსაც შეხვდა ქაჯი. ძლივს გამოექცა. ბანჯგვლიანი იყო, ვარსკვლავივით თვალები ჰქონდა.

— არ გჯერათ?—ცხარობდა შაქირი.

ყველაფერს იფიცებს. გამოვიდა თუ არა მოსახვევში, აი, იქ, სადაც ერთხელ დიდი ქვა ააფეთქეს, რაღაც ბანჯგვლიანი ამოიმართა ტყიდან... პირდაპირ წამოვიდა და, გამოიქცა, თორემ უსათუოდ დაიჭერდა. ადამიანივით გამოუდგა და სოფლამდე მოსდია. სახელს ეძახდა. შემდეგ, რომ ვერ დაეწია, საშინელი ხმით ზეკივლა, მერე გადიხარხარა და ხევში დაეშვა.

კიდევ არ გჯერათ?

ანდრო არწმუნებდა შეშინებულ კომკავშირელს, რომ ეს ცრუმორწმუნეობის გავლენითაა, რომ მას მოეჩვენა ყველაფერი. მაგრამ ახალგაზრდა ფიცულობდა, ირწმუნებოდა, რომ მას არ მოსჩვენებია, რომ ყველაფერი ეს თავისი თვალით ნახა.

— ერთი მე შემხვდებოდეს ის ქაჯი!—ამბობდა მურადი და დასცინოდა მშიშარა ამხანაგებს.

— სირცხვილია, ხის კუნძი ქაჯად გეჩვენებოდეთ, ჩირგვი—ეშმაკად, და საკუთარ ლანდს გაურბოდეთ. აბა, რატომ ერთხელ არ შემეყარა მე. აი დედასა, რა დღეს წავკიდებდი! ხუმრობთ. ჩემდენი არავის უვლია ღამე ტყესა და ღრეში, მაგრამ ის თქვენი ქაჯი არსად მინახავს. გულმაგრად უნდა იყო და არავითარი ქაჯი არ მოგეკარებათ.

ქაჯების მნახველები ვერაფრით ამტკიცებდნენ თავიანთ სიმართლეს. ერთ ღამეს მზვერავებიც გაგზავნეს. მთელი ღამე დადიოდნენ ტყეში, ღრეებში. იმ ადგილებშიც, სადაც, გადმოცემით, ქაჯებისა და ავსულების ბინა იყო, მაგრამ მსგავსი რამ არ აღმოუჩენიათ. ორი მგელი მოკლეს მხოლოდ და ერთი ფოცხვერი.

მეორე ღამეს კი თოფუზა სარაბიძემ მოირბინა ფერწასულმა და გაფითრებულმა ანდროსთან. იმ დროს იქ რამდენიმე კომკავშირელი იყო.

— შემხვდა, შემხვდა...—იძახდა თოფუზა და სულს ვერ იბრუნებდა

— შემხვდა. შემხვდა ქაჯი. ქაჯის ქალი შემხვდა. აქვე მდინარესთან. გამოსასვლელთან...

ცხენით მოდიოდა. როცა მდინარეს მიუახლოვდა, დაინახა, რომ ნაპირას, ქვის ძირში მიმჯდარა ქაჯის ქალი, გადმოუშვია ოქროსფერი თმები და ივარცხნის. დაინახა თუ არა ცხენმა ეს, შეხტა. თოფუზამ თოფი მოიმარჯვა, უნდა ესროლნა, მაგრამ წამოვარდა ქაჯის ქალი, წაავლო თოფში ხელი, წაართვა და გადაუგდო. შემდეგ დაიწყო ხვეწნა: თოფუზ, ჩემო თოფუზ, დარჩი ჩემთანაო. მაგრამ ისევ ცხენმა იძალა, გაარღვია მდინარე და გამოვარდა. ამრიგად მშვენიერი სანადირო თოფი დაკარგა თოფუზამ.

ახალგაზრდებს ფერმა გადაჰკრა. თოფუზი არ იყო არც ცრუმორწმუნე, არც მშიშარა და არც ტყუილი იცოდა. რაღაც უსათუოდ იყო, თორემ ასე არ შეშინდებოდა ის.

— მაშ თოფი წაგართვაო, ამბობ, არა?—შეეკითხა სერიოზულად მურადი და ანდროს შეხედა.

— ება ტყუილს ვამბობ?—იწყინა თოფუზმა.

— შეიძლება მოგეჩვენა?

— არასოდეს არაფერი მომჩვენებია.—იუკადრისა თოფუზმა.

— მოდი წავიდეთ ბიჭებო. თქვენც წამოდით.—მიმართა მურადმა ჯერ ამხანაგებს და შემდეგ ანდროს.

— წავიდეთ!—წამოცვივდნენ ბიჭები.

შუაღამე იყო. ნაწვიმარზე ადიდებული მდინარე გრიალით მიაგორებდა ქვებს და ღრიალით მიდიოდა. იქ, სადაც უფრო გაშლილი ფონი იყო, ხიდის ასაგები მასალა მოეგროვებინათ, რადგან მოკლე ხანში მშენებლობა უნდა დაეწყოთ. ღამით აქ შეიძლებოდა მშიშარა კაცს მართლა მოსჩვენებოდა რამე. ამდენი კუნძებიდან, ქვებიდან და მორებიდან მიეღო ფანტაზიით წარმოდგენილ ქაჯის ან ეშმაკის სახე, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი გარკვევით მოჩანდა და თან ამდენი კაცი ერთად მიდიოდა, შიშის მოშგვრელს ვერავინ ვერაფერს დაინახავდა.

მიუახლოვდნენ მდინარეს იქ, სადაც თოფუზა უჩვენებდა, ქაჯის ქალი ბანაობდაო. მდორე წყალი ტრიალებდა. ზემოდან თეთრი ქაფი მოეყენებინა და ერთი შეხედვით თითქო დაეპვდნენ.

რომ აქ შეიძლება სიბნელეში სხვანაირად მოეჩვენოს ადამიანსო. მაგრამ თოფუზამ იწყინა.

— გეუბნებით, რომ ბანაობდა, სწორედ ამ თეთრად აქაფებულ წყალში იჯდა. დიახ აქ!—თითით ანიშნებდა ის ყველას ქაჯის ქალის ნამყოფს.—აქ იჯდა. აი ზურგით აქეთ, აღმოსავლეთით იცქირებოდა—და უცებ გაეყინა ენა ხახაში, რაღაცას გახედა სიბნელეში და შემდეგ იქითკენ გაიშვირა ხელი.

— შეხედეთ, შეხედეთ-მეთქი!—და ნაბიჯით უკან დაიხია.

ხევიდან მდინარე გამოდიოდა. ერთ ადგილას კლდე იყო ჩამოწოლილი და იქ ოდნავ შეტბორებულ წყალში მართლაც რაღაც მოძრაობდა.

ყველამ დაუკვირდა. ხევში სიბნელე იყო, და ის მოძრავი საგანი თეთრად მოჩანდა. ერთი შეხედვით, ის მოძრაობა მართლაც წყალში ჩამჯდარი ქალის მოძრაობას მოაგონებდა კაცს... იმ ქალის, რომელსაც მხოლოდ ტანის ქვედა ნაწილი აქვს დაფარული და გულმკერდი წყალს ზევით მოუტოვებია.

— ხედავთ?—თოფუზამ გადახედა ამხანაგებს.

— ვხედავთ.—უპასუხა მურადმა და თოფი გადმოიღო.

— დაიცა—შეაჩერა ანდრომ—მივიდეთ უფრო ახლო.

— მიიპარება, მიიპარება—ჩუმად დაიძახა ვიღაცამ და მართლაც ყველამ შენიშნა, რომ ნელნელა წყლის დინების წინააღმდეგ მიყვება ეს თეთრი არსება და ბნელაში შესამჩნევი ხდებოდა მდორე წყლის ზედაპირზე გავლებული ხაზი.

რამდენიმე ნაბიჯით წაიწიეს წინ. მურადმა ვერ მოითმინა და როცა შენიშნა, რომ ის საცაა დაიფარება თვალიდან, გაუმიზნა თოფი და ესროლა.

— ვა, ვა, ვა,—შესძახა რაღაცამ და თითქო მდინარიდან ზეწარში გახვეული ქალი ამოვარდაო, ისე აიწია ზევით, შემდეგ წყლის ზედაპირზე დაადვა თავი და მდინარის დინებას გამოყვა.

მიცვივდნენ მდინარის პირას ისე, რომ თვალი არ მოუცილებიათ თეთრად შემოსილ ქაჯის ქალის სხეულისათვის. ის მოყვებოდა მდინარეს და თანდათან უახლოვდებოდა ნაპირს.

ზოგიერთებს შიშით უკრთოდათ გული. მართლაც ქაჯის ქალი არ იყოს, ყველანი არ ამოგვწყვიტოსო — ფიქრობდნენ, მაგრამ, აი მოახლოვდა, სულ ახლოს მოაცურა წყალმა და ნათელი გახდა ყველაფერი.

— აი თქვენი ქაჯი!—დაითრია მურადმა მკვდარი ფრინველი და ანდროს ფეხებთან გააგდო.

— ფუ! —ჩააფურთხა თოფუზმა და ხელი ჩაიქნია.

— ეს არის შენი ქაჯი?!. როგორ იყო, თოფი რომ აგართვა

—მურადმა ბატს დააკლო ხელი და თოფუზს უჩვენა.

— როგორ წაგართვა თოფი თოფუზაე ამან?—აუხირდნენ ამხანაგები.

თოფუზს გული მოუვიდა. შერცხვა. უნდოდა რალაც ეთქვა თავის გასამართლებელი, მაგრამ ვერაფერი მოიგონა.—ეს ოხერი ბატი მაინც არ გამოჩენილიყო, ან გაფრენილიყო.—ფიქრობდა ის. აწი სად გაახილოს თვალი. როგორ აიტანოს ამდენი დაცინვა?

— აჰა, თოფუზაე, შენი თოფი!—დაიძახა ერთმა ახალგაზრდამ და ორპირიანი სანადირო თოფი ამოათრია იქვე ბუჩქებიდან.

— დაუტოვებია ბიჭო, დაუტოვებია!—უფრო აუხირდნენ ამხანაგები თოფუზას, რომელიც ვერ ახერხებდა სიტყვის თქმას.

— მომეცით აქ.—ძლიეს თქვა მან. გამოართვა თოფი ამხანაგს, იღლიაში ამოიდვა და საჩქაროდ წავიდა.

ბატი მურადმა წამოიღო. ერთ კვირაზე მეტია, რაც ანდრომ იყიდა ის ერთი გლეხიდან, დასაკლავად უნდოდა, მაგრამ ფრინველმა თითქოს იგრძნო მოსალოდნელი უბედურება და სწორედ იმ დროს გაიპარა, როცა მურადი დანას ეძებდა.

— ჩვენი კერძი ყოფილა და არ დაგვეკარგა!—ხუმრობდა გზაზე მურადი და ყვებოდა ამბავს, თუ როგორ მოეჩვენებოდა თოფუზას მობანავე ქალად, როგორ დაუძახებდა და მიიწვევდა თავისთან საბანაოდ.

— შენ ის თქვი, თოფს როგორ წაართმევდა!

— ჰო, მართლა. ეს მთავარია. რომ წაავლებდა ნისკარტს თოფს და დაითრევდა...

იცინოდნენ და ისე მოდიოდნენ სოფელში.

— გეყოფათ ბიჭებო. ამის შემდეგ ამ საგანზე ნუ ილაპარაკებთ, ეწყინა თოფუზს.—უთხრა ანდრომ ახალგაზრდებს.

— მოსჩვენებია, რა ვუყოთ მერე! არ მოეჩვენებოდა იმას, ვინც დარწმუნებულია, რომ არაფერი მაგის მსგავსი არ არსებობს.

— მე მაინც ვერ დაგიჯერებთ, ამხანაგო ანდრო, მე ნამდვილად ვნახე საკუთარი თვალებით. ყველაფერს გეფიცები, რომ ვნახე ნამდვილი ქაჯი.

— რაო, ქაჯი ნახე?—შეუტია ამხანაგს მურადმა.

— მე ხომ არ ვამბობ ნამდვილად ქაჯი იყო ან ეშმაკი!—წყენით სთქვა ახალგაზრდამ.—მე ვნახე ისეთი ცხოველი, რომელიც ორ ფეხზე დადიოდა ადამიანივით, რომელიც დასაჭერად გამომიდგა და რომელმაც სახელი მიძახა. შემდეგ ადამიანივით გადაიხარხარა.

— ვერ დაგიჯერებ, ენვერ, ვერა!—უთხრა ისევ მურადმა.

სხვებს ხმა არ ამოუღიათ.

II

მარტოდ იჯდა ანდრო ოთახში. ამ საღამოს თათბირი ჩაატარა კომკავშირელებთან და დიდი ხანი არაა, რაც დაბრუნდა. გარეთ წვიმდა. ახლახან დანთებული ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა. ფიქვის შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა და ნაპერწკლებს ისროდა.

ახალმიღებული ჟურნალ-გაზეთები ელაგა. მაგიდაზე. ანდრო გულდასმით ათვალიერებდა მათ და ზოგიერთ ადგილს ფანქრით ინიშნავდა.

არავინ იყო. ნაილე მასწავლებელ ქალთან დადიოდა ყოველ საღამოს და შინ მოგვიანებით ბრუნდებოდა. ხუთიოდე ქალი სწავლობდა წერა-კითხვასა და ჭრა-კერვას. ამ ორი სახის სკოლას ერთი მასწავლებელი ქალი უძღვებოდა. დღე ჭრა-კერვას, საღამობით წერა-კითხვას ასწავლიდა ის და ზოგიერთ წიგნსაც უკითხავდა. ნაილესა და ნაზიმეს გარდა აქ სულ ქმარიანი ქალები იყვნენ, ღარიბეპისა და ამდენხანს დაბეჩავებული გლეხების ცოლები. ამათ წარსული ცხოვრებიდან ერთი ბეწო არაფერი ახსოვდათ სასიკეთო, მათთვის არასდროს არ მოუცია რამე ღმერთს, არც ხოჯას. არც ლოცვა რგებდათ და არც მთავრობას მიუქცევია ყურადღება. ყოველი დღე ოფლიანი და ცრემლიანი იყო. ესენი გაებოროტებინა ცხოვრებას. ზურგი შეექციათ ყველაფრისათვის. რაც გამოსცადეს, მისი განმეორება აღარ უნდოდათ. ვისიც წინათ სჯეროდათ და სწამდათ,—მათი დანახვაც ეჯავრებოდათ და რახან ღმერთი არ ზრუნავდა მათზე, ახლა სიამოვნებით ეშმაკს დაუმეგობრდებოდნენ, თუ მათს მდგომარეობას შეცვლიდა.

— უარესი არაფერი მოგვივა.

— გამწარებულ სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნია.

— ლოცვას, სჯულს, ყურანს, ხოჯას რა მოუცია ჩვენთვის!

— გაგვაღატაკა.

— დაგვაბრმავა.

— დაგვამონავა.

— ჯანდაბას, მოხდეს, რაც მოხდება!

— არ გვინდა არც ლოცვა, არც ვედრება, არც ხოჯა, არც წინასწარმეტყველი, არც ღმერთი და არც...

ჩადრი მოიხსნეს და გადააგდეს... არა, კი არ გადაუგდიათ, რომ არ ჰქონდათ, რას გადააგდებდნენ. იაზმა შემოიხსნეს და ისე დაიწყეს სიარული. მასწავლებელი ქალი მიუგზავნეს ანდროს და სთხოვეს ესაუბრნა მათთან. მიეღო ისინი პარტიაში, ესწავლებინა, როგორ უნდა ცხოვრება.

დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ ანდროს კრებაზე. ასე არასოდეს არ მოხვედრია მათ გულს სიტყვები. სიტყვები კი არა, მარგალიტებია. არც ყურანში სწერია ასე, არც ხოჯას უთქვამს რამე ამის მსგავსი.

რა ყოფილა, სად იყვნენ ამდენხანს! ყველაფერი ეს, რასაც ხედავს ადამიანი, ბუნებას შეუქმნია. ადამიანმა კი უნდა გამოიყენოს ის. მშრომელი კაცი მშიერი არ უნდა იყოს. ალას რად უნდა ჰქონდეს მეტი ქონება. უსწავლელი რად უნდა იყოს? გლეხი. რად არ უნდა ჰქონდეს სოფელს კარგი გზა, წყალი, სკოლა და კოოპერატივი?

გაკვირვებულია ქალები.

— ნუთუ მართალია?

— ჭეშმარიტებაა!

ახალ ქვეყანაში ყველაფერი მშრომელს ეკუთვნის. ბუშა და გლეხია ქვეყნის პატრონი, სასწავლებლებში—პირველ რიგში მშრომელთა შვილები, დახმარება—მშრომელებს, მთავრობაში—მშრომელები. ჩვენში არ უნდა იყოს არც მჩაგვრელი, არც ჩაგრული. არც უსწავლელი, არც ღატაკი.

ვინ დასწერა ასეთი კანონი?

ვინ სთქვა ასეთი სიტყვები?

ვინ აკეთებს ამ საქმეს?

ქალები დაინტერესდნენ, უნდათ გაიგონ, ვინ მოევლინა მხსნელად ქვეყანას.

ანდროს პასუხის ძებნა არ სჭირია.

პატარა ოქტომბრელმაც იცის, რომ:

ასეთი კანონი დასწერა მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა, სტალინმა.

ბოლშევიკურმა პარტიამ დასწერა ეს კანონი.

ასეთი სიტყვები თქვეს მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა სტალინმა.

ასე ამბობენ ბოლშევიკები.

ასეთ საქმეს აკეთებს ლენინ-სტალინის პარტია.

მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი, კომუნისტური პარტია—განიმეორეს ქალებმა რამდენჯერმე.

მეორე დღეს გაზეთიდან ამოჭრილი ბელადთა სურათები დაურიგა ნილემ ქალებს.

ჭვარტლით გამურულ ცედლებზე პირველად გაიკრა პატარა სურათები ოქტომბრის რევოლუციის ხელმძღვანელებისა და სარდლების.

მურადი არ მოსულიყო ჯერ. მან დღეს ახალი წყება საკონელი ბიიღო და ჩვეულებრივ ღამე შუშაობდა მის ამოლაგებაჩალაგებაზე. ის ახლა უკვე ნამდვილი სპეკოთა ვაჭარი გახდა. ისე დააყენა საქმე, რომ გამოცდილ ვაჭარსაც შეშურდება. სამჯერ დაათვალიერებს ღამეში ნაწისქვილარს. უფრთხილდება, არავინ გაუბედოს სახალხო ქონებას უდიერად მოპყრობა.

წვიმის წვეთებმა მოაშხაპუნეს სახლის კედლებზე და ეუპრუტანიდან შემოჭრილმა ქარმა ლამპას აუთამაშა შუქი.

თერთმეტი საათი სრულდებოდა.

ანდრო დასაწოლად მოემზადა, მაგრამ კარების ჭრიალი მოესმა და ნახევრად გახდილი ხალათი ისევ ჩაიცვა.

მურადი უსათუოდ შემოვიდოდა ანდროსთან რაც არ უნდა გვიან მოსულიყო და ანდრომაც დაუცადა, მაგრამ ახლა არავინ გამოჩენილა.

— ნაილეა—გაიფიქრა ანდრომ, ყური დაუგდო და დარწმუნდა, რომ არ სტყუვდებოდა. სამზარეულო ოთახის ყარები გაიღო და შევიდა ეიღაცა. ფეხის ხმაზე იცნო ნაილე. მიბრუნდა, ოთახის კარები ჩაკეტა, ტანზე გაიხადა და ლოგინში ჩაწვა.

ძილი არ ეკიდებოდა. ისევ წიგნი აიღო და კითხვას შეუდგა.

კარგა ხანს კითხულობდა. ბოლოს მოექანცა თვალები, წიგნი მაგიდაზე დასდო და ჩასთვლიმა.

ჯერ კიდევ არ ეძინა კარგად. ყურებს ისევ ესმოდათ წვიმის წვეთების შხაპუნი და ქარის მოქროლვაზე სახლის გვერდით მდგარ ცაკლის ხის ტოტების რხევა.

კიდევ წუთი და დაიძინებდა, მაგრამ უეცრად რაღაც ისე ძლიერად დაეტაკა სახლის წინა კედელს, რომ ჭერი შეინძრა.

ანდრო თავისდაუნებურად წამოვარდა ლოგინიდან, მაგრამ მალე დამშვიდდა. ხის მორი დაგორდებოდა, ან რომელიმე პირუტყვი დაეჯახებოდა კედელსო—გაიფიქრა და ისევ დაწვა. მაგრამ ახლა საშინელი ღმუილი გაისმა და მას ქალის შეკივლებაც მოჰყვა.

ანდრომ სწრაფად ჩაიცვა შარვალი, პალტო მოისხა, ხელში რევოლვერი აიღო და გარეთ გამოვარდა.

სახლის წინა კარებთან ორი ლანდი ეპრძოდა ერთმანეთს.

ანდრო მივარდა, ფეხზე შეყენებული რევოლვერი მაღლა ასწია, მაგრამ ისევ დაუშვა და ჯიბეში ჩაიდო.

ნაილეს მურადისათვის მოეკიდნა ხელი და სახლისაკენ ეწეოდა, მაგრამ მურადი ძალაზე იდგა, იქნევდა ხელებს აქეთ-იქით, იგრიხებოდა, იმანჭებოდა საშინლად და რაღაც საზარელი ხმით ღმუოდა

— მიშველეთ! მომეხმარეთ!—კიოდა ნაილე—ძმა მომიკლეს. მომიჯადოვეს. დამილუპეს.—იხოკდა სახეს, იწეწდა თმებს და მუჭის ოდენა ცრემლებს ღვრიდა.

ანდრომ ძლივს შეესძლო მურადის შემოთრევა. უნდოდა როგორმე დაეწვინა, მაგრამ ვერ დაამშვიდა. ჯერ იფიქრა, იქნებ არაყი ან ღვინო დალია, დაითროო, მაგრამ ამის ნიშანი არ ემჩნეოდა. სულ გაფითრებული ჰქონდა სახე, თმები აბურძგვნილი, ხელში რევოლვერი ეჭირა და აქეთ-იქით იშვერდა. ძლივს შესძლო იარაღის ართმევა.

საჭირო იყო სასწრაფო დახმარება. გამოცდილი პირების მოყვანა, მაგრამ ვის უნდა მიელო ზომები.

მოშორებით მცხოვრებ მეზობლებს ნაილეს კივილი და ტირილი არ ესმოდათ. რამდენიმე დაძახებამ, უნაყოფოდ ჩაიარა. წვიმა და ქარი უშლიდა ხელს. თან გვიანიც იყო. კარგახანი გადაცილებოდა შუაღამეს.

მურადი იბრძოდა. იგრიხებოდა, იმანჭებოდა და ნადირივით ღმუოდა. არ ხერხდებოდა მისი დამშვიდება. ვერც დააწვინეს. შემოიხია ტანზე ყველაფერი. დაიკაწრა სახე. დაიკბინა თითები. ანდრო იძულებული გახდა თოკით შეეკრა ხელები. ნაილე თავს იკლავდა. დასტიროდა ცოცხლად დაღუპულ ძმას.

— რა მეშველება, რა დამემართა—იძახდა ის. წყევლიდა ცასა და ქვეყანას.

ანდრო ცდილობდა მის დამშვიდებას. არაფერია, მოვარჩენო, ნუ შეგეშინდებათო, მაგრამ ნაილე უიმედოდ იქნევდა თავს.

— ვისაც ასე მოუვიდა, ერთიც არ გადარჩენილა. ყველამ საშინელი ტანჯვით დალია სული. ვაიმე, რა მეშველება. — ცრემლები უსველებდა ლაწვებს. დაავიწყდა თავისთავი, არც მორიდება და კრძალვა უცხო ახალგაზრდა კაცისადმი, არც ხათრი. ყველაფერი დავიწყა ძმის უბედურებამ.

ანდრომ ხელფეხშეკრული მურადი ტახტზე დასდო. ნაილე წინააღმდეგ იყო, ჩემს ძმას თოკით ვერ შევკრავ, მის სხეულს აღარ ვაწამებო, მაგრამ რომ შეატყო, მურადის გაჩერება ისე არ შეიძლებოდა და უფრო მეტ ზიანსაც მიაყენებდა თავისთავს, დათანხმდა. მიეხმარა ანდროს ძმის შეკოჭვაში.

შეკრული მურადი ოდნავ დამშვიდდა. მოქანცულმა სხეულმა კვლავ გაბრძოლება ველარ შესძლო და მოისვენა. თვალები დახუჭა და ძილმა დაიმორჩილა სხეული.

ანდროსაც მიეცა იმედი.

— ძილი დაამშვიდებს,—უთხრა მან ნაილეს,—გამოღვიძების შემდეგ ისევ კარგად იქნება. გეყოფათ, ნუ სტირით. მე წავალ

და მეზობლებს შევატყობინებ.—წამოდგა, მაგრამ ნაილემ მაჯაში წაავლო ხელი.

— არა, ნუ წახვალ, მე ვერ დავრჩები მარტო. დარჩით, ჩემთან დარჩით დილამდე. ჩემი ძამიკო, ჩემი ნუგეში და პატრონი— ისევ გაიხედა მძინარე ძმისაკენ და აქვითინდა.

ანდრო ახლო დაუჯდა მძინარეს. დასცქეროდა და თან გულს უდუღებდა ვაჟკაცის ასე დაცემა და მისი დის სიბრალული.

ეძებდა მიზეზს. ფიქრობდა, რას უნდა მოეხდინა ასეთი გავლენა ახალგაზრდა და თან ასეთ უშიშარ ადამიანზე. იქნებ შთამომავლობით მოსდევს სიგიჟე, ან მართლაც იყო ნაწილობრივ შერყეული და ახლა გაუხსენაო, მაგრამ ნაილემ აუხსნა:

— არასოდეს არ ყოფილა მურადი დელი. ის განგებ მოუგონა ხოჯამ, მედრესედან რომ გამოექცა, ლოცვებს რომ არ სწავლობდა, მარხვებს რომ არ ინახავდა. დიახ, ამისთვის უწოდა დელი.

მშობლები, არც წინაპრები არ ჰყოლია დელი...

წინათ ასეთი შემთხვევები ხშირად იყო. ნაილესაც ახსოვს სამამდე შემთხვევა. სწორედ ამგვარად. უცებ გადელდებოდა ვაჟი და შემდეგ წვალობდა. ზოგი ორ-სამ წელიწადსაც ცხოვრობდა. ზოგი ერთი კვირის შემდეგ კვდებოდა.

არავინ იცის რა იყო ამის მიზეზი.

სოფლელები ამბობდნენ ხოჯის დანაწყევლიაო. ალლახის ურჩია და დაისაჯაო.

ვინ იცის რომელია სიმართლე!

ხოჯა მუდამ წყევლიდა მურადს, მაგრამ ვითომ შეუძლია წყევლას რამე?!

ანდრომ უპასუხა.

წყევლა ადამიანს ვერაფერს დააკლებს, მაგრამ...

ხოჯა რაღაც იქვებს ბადებდა მის გულში თანდათან.

მაგიდაზე ეგდო მურადის რევოლვერი. ის სულ ტალახში იყო მოსვრილი. ანდრომ აიღო, ტალახი მოაცილა, გაასუფთავა და დახედა.

ყველაფერი რიგზე იყო. შვიდი ტყვია იცქირებოდა ბარაბანიდან. ისეთ ვაჟკაცს და მსროლელს, როგორიც მურადი იყო, ასეთი იარაღით ხუთი კაცის დამარცხება შეეძლო. ნუთუ მან ვერ გამოიყენა ეს იარაღი!

გამოყარა ვაზნები და ფისტონზე დახედა. შვიდივე ფისტონი ვატეხილი იყო. ნემსას წვეტანა ყველას დასცემოდა, მაგრამ ტყვია არ გავარდნილიყო.

ანდრო უკვე მიხვდა, რომ მურადს ვილაცისათვის სროლა მოუნდომებია, მაგრამ რევოლვერი არ გავარდნილა. ჩანს, ვილაც

დაჰვდა მას. ვილაცამ შეაშინა.

— აქ რაღაც საიდუმლოებაა.—გაიფიქრა, ვაზნები სათითაოდ გახსნა. ტყვია მოხადა და, წარმოიდგინეთ, არც ერთში დენთი არ აღმოჩნდა. ფისტონი აფეთქებულა, მაგრამ რახან დენთი არ ყოფილა შიგ, გავარდნაც არ მოხდებოდა.

გაუკვირდა. ვის უნდა ამოეცალა სრულიად სალი ვაზნებიდან დენთი! ეს ვაზნები თვითონ ანდრომ ამოიტანა ბათუმიდან. კომკავშირელებს დაურიგა და ერთი წყება თავისთვისაც დაიტოვა.

თავისი რევოლვერი ამოიღო. ვაზნები ამოალაგა, სათითაოდ დახსნა, მაგრამ ყველაფერი რიგზე იყო. არავითარი ნაკლი მათ არ ჰქონდათ.

სად ინახავდა მურადი ამ რევოლვერს? — შეეკითხა ის ნაილეს.

— მუდამ წელზე ეკიდა. დაწოლისას თავქვეშ ედო.

— საკვირველია.—ჩაილაპარაკა ანდრომ—მაშ ვის უნდა ამოეცალა წამალი ვაზნიდან?

— წამალი?—გაიკვირვა ნაილემ.

— არც ერთ ვაზნაში წამალი არაა. სხვა კი ყველაფერი რიგზეა. როგორც ჩანს ვილაცას უმუშავნია ამ საქმეზე.

ნაილე გაფითრდა.

— ჩვენსას არავინ ყოფილა... ვის უნდა ჩაედინა ასეთი ღალატი?—გააჟრჟოლა და კანკალი აუვარდა.

— ეშმაკი არსებობს?—ცახცახით შეეკითხა ის ანდროს.

— არა.

— ქაჯი?

— არც ქაჯი.

— კუდიანები?

— არც მასეთები.

— ჯადო მოქმედობს?

— არა.

— ტყუილია. ჯადო კი მოქმედობს — სთქვა ნაილემ მტკიცედ.—ჩვენში აკეთებენ ჯადოს. ჭკუას აურევენ ადამიანს. სადაც სურთ, იქით წაიყვანენ, რაც სურთ იმას აკეთებინებენ. აძინებენ, აღვიძებენ, ალაპარაკებენ ყველაფერს, რაც სურთ. ჯადო არის. ეს სიმართლეა.

ანდრო ჩაფიქრდა. მოაგონდა ჰიპნოტიზიორები. თითქმის სასწაულებს ახდენენ. ხშირად სნეულსაც ჰკურნავენ. ხშირად ასნეულებენ კიდევაც, მაგრამ ეს ხომ მეცნიერებაა და აქ, ამ მიეარდნილ კუთხეში ვის შეუძლია მოახდინოს ჰიპნოზური ცდები. ან ვინაა ისეთი ნასწავლი.

სათითაოდ მოიგონა ამ სოფლის ყველა მცხოვრებთაგანი, მაგრამ საეჭვო არავინ აღმოჩნდა.

— ჯადო კი არა, მაგრამ არის ერთგვარი მეცნიერება, ჰიპნოზად წოდებული, იმის საშუალებით ზოგიერთ რამეებს აკეთებენ... მაგრამ ეს ძალიან რთული საქმეა. ჩვენში, საერთოდ, ნაკლებად მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ისე კარგად სარგებლობდნენ ჰიპნოზით.—აუხსნა ანდრომ ნაილეს, მაგრამ უკანასკნელი მაინც თავისას ამბობდა.

როგორც იყო დაადგა საშველი გათენებას. დილის ცივგმა შემოანათა ფანჯარაში. თოვლი მოსულიყო. ჯერ კიდევ მოუკრეწელი მსხლისა და ვაშლის ტოტებს თოვლის სიმძიმეც მომატებოდა. ბევრს ჩამოტეხოდა ტოტები, აუღებელი სიმინდის ყანები გადაბურულიყო თეთრად, ხოლო აქა-იქ მოჩანდა თოვლდაუფარავი ადგილები, უფრო დაბლობებში და ქვემოთ.

მურადს ისევ ეძინა. არ ემჩნეოდა, რომ ნორმალური ძილი ჰქონდა. ხშირად შეკრთებოდა, ამოიღმუვლებდა, სახეს დამანჭავდა, მაგრამ მაინც ეძინა.

ნაილემ მხოლოდ გათენების შემდეგ მისცა გარეთ გამოსვლის ნება ანდროს. თვითონ მძინარე ძმას დაადვა თავზე და მგლოვიარესავით დაიკრიფა გულხელი.

ანდრო გამოვიდა სოფელში. საბჭოში მივიდა, მაგრამ ჯერ იქ არავინ დაუხვდა და თავმჯდომარის სახლისაკენ წავიდა.

იწვა დურსუნი, მაგრამ ანდროს მისვლა რომ აცნობეს, მაშინვე წამოვარდა, ტანზე ჩაიცვა და გამოეგება.

— მობრძანდით!—შეიპატიჟა სახლში. რაღაც უგულო იყო ეს შეპატიჟება. ასე არასასურველ სტუმარს შეიპატიჟებენ ხოლმე.

ანდრომ შენიშნა ეს, მაგრამ მაინც შევიდა.

— ძალიან დამნაშავე ვარ შენთან—დაიწყო დურსუნმა, როცა სტუმარი შეჰყავდა.—ამდენი ხანია ჩვენში ხართ და ერთხელაც არ მოგიწვიეთ ოჯახში, თუმცა მე დაუპატიჟებლად მესტუმრებოდით მეგონა... დაბრძანდით.—უნდოდა შეეკითხა, რა ამბავია, რაზე შეწუხებულხართო, მაგრამ ვერ გაბედა. თანაც ეშინოდა, რამე ცუდი არ მითხრასო.

ანდრო ტახტზე ჩამოჯდა.

დურსუნის ოჯახი, მართალია, მდიდარ მოსახლის ელფერს იძლეოდა—ხალებით, ფარდაგებით, ფაოჩის ლოგინებით და სპილენძის და ვერცხლეულობის ჭურჭლებით იყო სავსე, მაგრამ კულტურული სახე ხაიხც არ ჰქოხდა. გახიერ ტახტთან იდგა მხოლოდ ერთი ტაბურეტი, რომელზედაც გამურულშუშიანი პატარა ლამპა იდგა და პორტსიგარით თუთუნი. შუა კედელზე ბუხარი

იყო ამოყვანილი და აქეთ-იქით დაბალი სკამები.

დურსუნის გარდა თითქო არავინ ცხოვრობდა ამ ოჯახში. ყველანი მიმალულ-მომალულიყვნენ. კედლიდან გამოდიოდა ბავშვის ტირილის ხმა და ქალის ფრთხილი ჩურჩული.

ანდროს არ მოეწონა აქაურობა. ყველაფერი ცივი და მიუკარებელი იყო.

— ცუდი ამბავი შეგვემთხვა, ამხანაგო დურსუნ—თქვა და სკამზე დადებული პორტსიგარი აიღო.

თავმჯდომარეს სისხლი გაეყინა წუთით. ანდროს მიაჩერდა და სმენა გაამახვილა.

— წუხელ მურადი გაგვიხდა ცუდად...

— მურადი?—თითქოს ძალიან ეწყინა დურსუნს,—რა მოუვიდა?—თვითონაც დასწვდა სათუთუნეს.

— რაღაც უცნაური რამ შეემთხვა. მართალი გითხრა, მე არც შემიძლია წარმოვიდგინო, რა დაემართა ამ კაცს.

თავმჯდომარე დამშვიდდა, თუთუნი შეახვია, ცეცხლი მოუკიდა, გააბოლა და შემდეგ ამოიღო ხმა.

— გადაირეოდა.—ისე თქვა მან, თითქოს არაფერია, — ხომ პირველი არაა მაგისგან.

— როგორ?

— აკი გეუბნებოდი, ამხანაგო ანდრო, ხანდახან უვლის, მაგრამ ხან იოლად, ხან უფრო ძლიერად. წუხელის როგორ მოუარა?

ანდრომ დაწვრილებით უამბო.

— დაიღუპა კაცი!—დაასკვნა თავმჯდომარემ.—მაშ, აღარ გადარჩება.—მაგრად მოსწია თამბაქო და დაგრეხილი ბოლი ამოუშვა.

— უნდა გადაეგზავნოთ როგორმე ბათუმში.

— ფიქრობ, უშველიან რამეს?

ანდრომ თავი ჩაიქნია.

— ჩვენი მოვალეობა მოვიხადოთ. ექიმები გასინჯავენ. ვინ იცის, იქნებ იხსნან... ცოდვაა აბალგაზრდა კაცის დაღუპვა. მეტადრე მისი და მებრალება.

„იმის და ებრალება“.—გულში ჩაიცინა დურსუნმა.

— გავაგზავნოთ, თუ ფიქრობთ, აჯობებს. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.—წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა და ისევ მალე დაბრუნდა.—გავაგზავნოთ, მაგრამ რით? ცხენზე ჯდომას შესძლებს?

— არა მგონია. თუ ოდნავ არ გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა, ცხენით ვერ გავგზავნით.

თავმჯდომარე ჩაფიქრდა.

— უბედური!—ჩაილაპარაკა მან ბოლოს.—ამ ბოლო დროს თითქოს უკეთესობა ეტყობოდა... სამაგიერო კაცის მონახვა დაგვჭირდება ახლა. მერე არც ვინმე გვყავს შესაფერი.—კიდევ დაფიქრდა, რამდენჯერმე გააპოლა თამბაქო და შემდეგ განაგრძო.—კოოპერატივის დაკეტვაც არ შეიძლება,—ანდროს შეხედა—რას იტყვით, თოფუზა რომ დავნიშნოთ. მგონია, კოჭკავშირელიც უნდა იყოს. მართალია, გამოცდილება არა აქვს ამდენი, მაგრამ უკეთესი არ მეგულება.

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმცა ჯერ მურადზე უნდა ვიზრუნოთ. ცოდვაა ადამიანის ასე დაღუპვა.

— ძალიან მებრალება, მართალი გითხრათ... რაც შეგვიძლია, დავეხმარებით. თქვენი აზრით, თუ გაგზავნაა საჭირო, გავგზავნოთ, კაცები გავაყოლოთ. ცხენზე გაკრულ საკაცეზე დავაკრათ... სხვა რა გაეწყობა.—ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა—თქვენ სად ისურვებთ დაბინავებას?

— მე ბინის გამოცვლა არ მიფიქრია.—უპასუხა ანდრომ, თუმცა შემდეგ დაუფიქრდა, რომ თუ მურადი წავიდოდა ოჯახიდან, მას მურადისას აღარ ეცხოვრებოდა, რადგან ოჯახში მარტო ნაილე რჩებოდა.

— მოვნახავ ბინას.—ცოტა ფიქრის შემდეგ დაუმატა ანდრომ.

— გნებავს ამ ოთახს დაგითმობ. ცოტა მოშორებით კი ვცხოვრობ, მაგრამ არა უშავს. თუ არა და ჩემი სამამრი დავითმობს. მართალია, ხოჯაა, მაგრამ, როგოც ხედავ, არც ისეთი კაცია, რომ მისას არ იცხოვრებოდეს.

— გმადლობთ—უპასუხა ანდრომ.—ბინის საკითხს როგორმე მოვაგვარებ. ჯერ კი, სანამ მურადი არ გაგვიგზავნია, იქვე უნდა დავრჩე.

— თქვენი ნებაა.—უთხრა თავმჯდომარემ.—მე თქვენი შეწუხება არ მინდა, თორემ... ბოდიში.—ისევ გავიდა ოთახიდან და ცოტახნის შემდეგ თეფშები შემოიტანა.

— ცოტა ვისაუზმოთ, ქალებს ვერ მოუსწრიათ შესაფერი საუზმის გაკეთება...—აღარ დაუცადა ანდროს პასუხს, უცებ გავიდა, სქელი მჭადი შემოიტანა, მოხარშული კვერცხები, კარაქი, მაწონი და თუნგით წყალი.

ანდროს არაფრის ჭამა არ უნდოდა. მთელი ღამის უძილოს მოსვენება და ძილი უფრო ესაჭიროებოდა, თუმცა ამ პირობებში მას არცერთისათვის არ ეცალა...

— მობრძანდით, ვისაუზმოთ,—ჰატარა, მრგვალ და დაბალ მაგიდაზე დაწყობილ საუზმესთან მიიპატიჟა სტუმარი და თვითონაც დაბალ სკამზე დაჯდა.

— გმადლობთ, არაფერი მინდა — უთხრა ანდრომ. თან უხერხულობაც იგრძნო.

— მობრძანდით, მობრძანდით, გასინჯეთ როგორი ყველია. აი, კაიმაღი ნახეთ. იშვიათად, ასეთი კარგი კაიმაღი გააკეთოს ვინმემ აქეთ.—კოვზით აიღო და მოსვა.

ანდრო ჩამოჯდა დაბალ სკამზე. უნდოდა ძალა დაეტანებინა თავისთვის, ეკამა რამე, მაგრამ თითქოს პირი შეეკრა. ერთი ლუკმა ჩაიდვა, წყალი დააყოლა და ისევ თამბაქო ამოიღო.

არც დურსუნს უკამია ბევრი, წამოდგა, პალტო ჩაიცვა და ანდროს წამოჰყვა.

მურადისას მეზობლებს მოეყარათ თავი. მურადი ისევ შეკრული იდო. მას ახლა აღარ ეძინა. ფართოდ გაღებულ თვალებს უაზროდ ატრიალებდა. ისევ იგრიხებოდა, იღმიკებოდა და ღმუოდა. აქეთ-იქით ჩამდგარი გლეხები სიბრალულით დაყურებდნენ. მათი სახეები მწუხარებით იყო მოცული. თვალცრემლიანი ნაილე თავზე უსვამდა ძმას ხელს და ხუკუკა გრუზა თმას უსწორებდა. მისი დამწუხრებული სახე უფრო აძლიერებდა იქ მყოფთა გულში სევდასა და ნაღველს.

თავმჯდომარე ახლოს მივიდა მწოლარესთან, თავზე დაადგა და თვალებში ჩახედა.

— როგორ ხარ, მურად? ა, მურად?—ჩასძახა მან, მაგრამ მურადს არაფერი ესმოდა. ის ისევ ატრიალებდა თვალებს და ისევ უაზროდ ლუღლუღებდა.

— ცოდვებმა გვიქნა, ცოდვებმა—უჩურჩულებდნენ გლეხები ერთმანეთს. ზოგიერთები ზიზღით გამოიხედავდნენ ანდროსაკენ და წარბებს ისე შეხრიდნენ, თითქოს ანდრო ყოფილიყოს მურადის გაუბედურების მიზეზი.

ახალგაზრდებიც აქ იყვნენ. მათ დამარცხებულის პოზა მიეღოთ და ჩუმად იდგნენ. ანდროს შეხედავდნენ ხშირად. ამ კაცდან მოელოდნენ საიმედო სიტყვების გაგონებას.

ახალგაზრდებს შორის ყველაზე მეტი აღელვება თოფუზას ეტყობოდა. ის ხშირად ჩახედავდა თვალებში მურადს. ერთ ადგილას ვერ დგებოდა, გადიოდა, შემოდიოდა და მოუსვენრობას იჩენდა.

— მოვიყვანოთ ხოჯა, ნუსხა დავაწერინოთ—დაარღვია ერთმა გლეხმა მყუდროება და სხვებს გადახედა.

— ვთხოვოთ, ძალიან კარგი იქნება—დაუმატა მეორემ.

— ჩუმად!—შეუტია თავმჯდომარემ გლეხებს—კიდევ არ ივიწყებთ თქვენ ნუსხასა და ჯადოს? ისე მოვიქცეთ, ამხანაგო ან-

დრო, თქვენ რომ თქვით: გავაგზავნოთ ბათუმში.—მიუბრუნდა ის ანდროს.

— უსათუოდ!—დაემოწმა ანდრო და ნაილეს გადახედა.—მოიმზადე, ამხანაგო ნაილე, მურადს გაყვები! ალი, ენვერ, რეჯებ —შეხედა ახალგაზრდებს—თქვენც გაყვებით. დურსუნ, ორი ცხენია საჭირო. ერთი საკაცეც გავაკეთებინოთ.

თავმჯდომარეს სიტყვა არ შეუბრუნებია. მიტრიალდა და დავალების შესასრულებლად წავიდა.

გამოიდარა. ღრუბლები მიმოიფანტნენ და მზემ გამოიხედა. ნაადრევი თოვლი სწრაფად დადნა და მიწამაც იწყო გაშრობა.

ნაილემ მოამზადა რაც საჭირო იყო, საგზალი, ტანსაცმელი, მურადს დუჟმორეული პირი მობანა, თმა გადაუვარცხნა და სამგზავროდ მოამზადა.

ორი ცხენიც მოიყვანეს. საკაცე იყო გაბმული. მურადი დააწვინეს, მაგრად შეუკრეს ხელფეხი და საკაცეზე დააკრეს. სამი ახალგაზრდაც მზად იყო. ანდრომ მიმართვები დასწერა—საოლქო კომიტეტს, ცაკს, ჯანსახკომს, ყველას თხოვდა დახმარება აღმოეჩინათ მურადისათვის და სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

ნაილე ცრემლებით გამოეთხოვა ოჯახს. გულში რაღაც უხილავს, მაგრამ ყოვლისშემძლე განგებას შესთხოვა, მშვიდობით დამბრუნე ჩემს ოჯახში, მომირჩინე ჩემი ძმაო. ოჯახი მეზობლებს გადააბარა, გამოემშვიდობა ყველას და გზას გაუდგა.

ახალგაზრდებმა ნაღვლიანი თვალებით გააცილეს წასულები და როცა ისინი მოსახვევს მიეფარნენ, პირი იბრუნეს და მათ წინ გაჩერებულ ანდროს შეხედეს.

— მოარჩენენ ვითომ?—ფრთხილად იკითხა ერთმა ახალგაზრდამ და ამხანაგებს გადაავლო თვალი.

ამხანაგებმა არაფერი უპასუხეს და ასეთივე შეკითხვიანი თვალები ანდროს მიაპყრეს.

— მოარჩენენ, ამხანაგებო. საბჭოთა მედიცინა მაგასაც შესძლებს.—უპასუხა ანდრომ მათ და ამ სიტყვებმა ახალგაზრდებთან ერთად მასაც იმედი მისცა.

III

მუხლმორთხმული იჯდა ხალიჩაგადაგებულ ტახტზე იუსუფალა. ხელები აქეთ-იქით შემოედგა თავზე და ბუტბუტებდა. ხან ისე დახრიდა თავს, რომ შუბლით ხალიჩას შეეხებოდა. ხან ასწევდა და ჭერს მიუშვერდა თვალებს, ხან კი წამოდგებოდა და ორივე ხელს გულზე დაიკრეფდა.

ლოცულობდა. ბუტბუტით იმეორებდა არაბულ სიტყვებს და უფრო და უფრო ეხსნებოდა შოლუშული სახე.

თითქო ლოცვა მალამოდ ედებოდა მის ნაოხარ გულს. მის გარდა იქ არავინ იყო. ჩამავალ მზეს სხივები შემოეპარებინა ვიწრო ფანჯარაში და ოქროსფრად მოექარგნა მეორე მხარეს კედელზე ჩამოკიდებული თოფი.

მამისეული იყო ეს თოფი და იუსუფ-აღა შვილივით უყვარდა მას. დაჟანგულ ჩახმახს ქონით წმენდდა და საიზლეში მუდამ უცვლიდა წამალს.

თითქმის ნახევარი საათი მოანდომა იუსუფმა ლოცვას. მასაც გაუკვირდა, რომ ამდენი დრო დაკარგა უქმად, მაგრამ ძაინც კმაყოფილი დარჩა, რომ დიდი ხნით განზე გამდგარმა, ბოლოს მაინც მოიგონა ალლახი და ილოცა.

ალბათ მოხუცებულობის ბრალია, თორემ იუსუფი არადროს არ ყოფილა ლოცვის მოყვარული. ხანდახან, სხვის დასანახავად აიღებდა აბდესს და შეასრულებდა ლოცვის წესებს, თორემ ისე არაფერი სწამდა.

ხალხში კი მორწმუნის სახელი ჰქონდა. ღვთის მოშიში და წინასწარმეტყველის მიმდევარი უკეთესი არავის ეგონა.

ხოჯასაც უყვარდა. სახალხოდ აქებდა, პატივისცემით იხსენიებდა და თუ ვინმეს რჩევა-დარიგება დასჭირდებოდა, იმასთან მიასწავლიდა.

ამ საქმეში დაუზარელი იყო იუსუფი. რჩევა-დარიგებას არავის დაამადლიდა და თუ მისი რჩევით ვინმეს საქმე მოუგვარდებოდა, სასყიდელსაც არ იუკადრისებდა.

— ჭკუა ხომ უფასოდ არ რიგდება, ჩემო ემიავ!—ეტყოდა ის თავის მსხვერპლს და... ყველაფერი ისე მოგვარდებოდა, როგორც იუსუფის სურვილი იყო. გასაძრჯელოს ის არ ითხოვდა, მაგრამ ორი-სამი დღით ყანაში მოხმარებას ადვილად დაავალებდა კლიენტს.

ერთი შვილი ყავდა, სულ რაღაც ორი-სამი წლის, თორემ მის ბარაზე მეტი არავინ იყო. კიდეე კარგი, რომ ბედმა გაუღიმა და მესამე ცოლისაგან ოჯახის მემკვიდრე გაუჩნდა და გვარის გამაგრძელებელი შეეძინა, თორემ უნდა გადასულიყო. სხვებს უნდა დაენაწილებინათ მისი ნაკვდავი... კიდეე კარგი რომ მოიყვანა მესამე ცოლი. კინალამ დაუჯერა ექიმებს, ისეთ ავადმყოფობის შემდეგ შვილი არ გეყოლებაო რომ უთხრეს.

არაფერი არ იციან ექიმებმა. თუ ქალთან ალერსი შეუძლია, ძალა და ღონე ერჩის, შვილი რატომ არ უნდა შეეძინოს. რა ვუყოთ მერმე, ახალგაზრდობისას, ბათუმში ყოფნისას ქალთან ჰქონდა კავშირი. ავადმყოფობა ძნელი იყო, მაგრამ სოფლის წამლობამ

მოარჩინა. მას შემდეგ თავი არ წამოტკენია. არა, თვითონ არაფერ შუაში იყო, ცოლები იყვნენ დამნაშავენი. გამოვა ქალი უნაყოფო. ასე რომ არ იყოს, მესამე ცოლს არ აყვებოდა ბავშვი. საერთოდ ქალსაც უნდა შერჩევა. თავის დროზე რომ დაეჯერებინა და ისე მოქცეულიყო, როგორც ხოჯა ურჩევდა და ის ქალი შეერთო, რომელზედაც ხოჯამ მიუთითა, ახლა ოცი წლის ვაჟი ეყოლებოდა, მაგრამ... არ ღირს იმაზე ფიქრი. ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი და ქვეყნის ხმას აჰყვა. ცუდს ამბობდნენ იმ გოგოზე, თითქოს ახალგაზრდა ხოჯას რაღაც... მაგრამ განა შეუძლია ვინმეს ხალხის ენას ბოქლომი დაადოს? ვიღაც ერთი ამოიყრანტალებს და გადამდებ სენივით მოედება ქვეყანას.

იუსუფ-აღას მესამე ცოლის შერთვის ამბავი მოაგონდა.

ამ დროსაც ისე დაყარეს ხმა, ჩურჩულებდნენ, კიდევ ხოჯა მამუდზე ავრცელებდნენ ჭორს. კიდევ კარგი, რომ არ დაიჯერა. ან როგორ დაიჯერებდა. განგებ შეთხზეს ეს ჭორი იუსუფ-აღას ცოლებმა. აღარ უნდოდათ მესამე გაჩენოდათ ოჯახში. ძლივს შეეჩვივნენ და შეეგუენ ერთმანეთს. საერთო ენა მონახეს. ჭირ-ვარამი გაინაწილეს. საზიარო ქმართან ცხოვრებაც მოითმინეს და ახლა მესამე ქალის შემოსვლა ოჯახში ძალიან ძნელი იყო. იმას უნდა დაესაკუთრებინა საზიარო ქმრის ლოგინი და ესენი კი...

აღას გული მოუვიდა ცოლებზე. გაუტანელი არიან, ერთმანეთისათვის შეშურთ ბედნიერებაო, გაიფიქრა. მოაგონდა პირველი ცოლის ცრემლები. მუხლებზე ეხვეოდა, ეხვეწებოდა, მომკალი ჯერ, დამასაფლავე და მერმე მოიყვანე მეორე ცოლიო. ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მისი ქმარი მეორე ცოლთან ინებივრებდა იმ დროს, როცა პირველი ცოლი იმავ სახლში იქნებოდა.

— სულელებია ქალები—ღიმილმა გაუპო ბაგე აღას.—რა ატირებდა, რად იკლავდა თავს? სულერთია, ქალი ყველა ქალია, ყველა ერთნაირია და ერთი ჯიშის. მრავალი ცოლი კი ხალისია და სიხარული. ცხოვრებას არ მოგაწყენს. ახალი სურნელება შემოდის ოჯახში ახალი ცოლის შემოსვლით. თითქოს ცხოვრებას თავიდან იწყებ. ძველი ცოლები რომ ადვილად ურიგდებოდნენ ამ ამბავს, იუსუფი ახლაც მოიყვანდა მეოთხეს. თუმცა, რაღაც ძალიან წახდა ცხოვრება. ამ კომუნისტებმა უცნაური ამბავი მოიტანეს. იუსუფ-აღას არ ეგონა თუ ასე იქნებოდა. თავიანთ მოტანილ ამბავს თვითონვე წაიღებენო, ფიქრობდა. მაგრამ ახლა ატყობს, რომ ისინი წასასვლელად როდი მოსულან. რას ჰქვიან „მოსულან"! მოსულან კი არა, აქვე ყოფილან, აქ დაბადებულან და აღზრდილან. აი მაგათი რჯულიც კი...

და მაგრად შეუკურთხა მან.

კარები ფრთხილად გაიღო და შიგ შემკრთალი ორი თვალი გამოჩნდა გიშრის მძივებივით.

—ყავა მოგართვა?—და თვალებთან ერთად ფერმკრთალი ქალის სახეც გამოჩნდა.

— მოიტანე—მკვახედ მიუგო აღამ, მიბრუნდა და ფანჯარაში გაიჭვრიტა.

ფერმკრთალი ქალი ისევ შემოვიდა. ყავა შემოიტანა. ფინჯანით ცივი წყალი მოაყოლა და დადგა ტახტზე, სადაც იუსუფ-აღა ფეხმორთხმული იჯდა.

— ხოშნეთი ისევ ავადაა?—ახედა აღამ ქალს და ისე შეეკითხა.

— გონჯადაა—მიუგო ქალმა და სათქმელად მოფიქრებული სიტყვა ჩაყლაპა.

— განწირულს არაფერი ეშველება. ნუსხამ რომ არ უშველა, არაფერი არგებს. ილოცოს, ალლახს ეევედროს, რომ ჯოჯოხეთში არ მოხვდეს. რას დგეხარ. წადი და ასე უთხარი—წარბშეკრულმა შეხედა ქალს.

ქალმა მხოლოდ თვალები მოარიდა აღას მრისხანე სახეს. თითქო რაღაც გადასაწყვეტი აქვსო, ისე ჩაფიქრდა და მალე ისევ ალაპარაკდა.

— იქნებ მორჩეს, იუსუფ-აღა, დავეხმაროთ რამე. ცოდვაა ქალი.—ცრემლები აუბრწყინდა თვალებში.

— ახლა გეპრალება?—თავი ჩაიქნია აღამ.—დასაწყვეტი ხართ ქალები. აკი როცა მის მოყვანას ვაპირებდი, ძალიან სწუხდი. სახლში არ შემოვუშვებ, თავს მოვიკლავ, მოვწამლავო, იძახდი. ხა-ხა-ხა, სასაცილო ხასიათი გაქვთ — ფინჯანი აიღო და ცივი წყალი მოსვა.

— ბაშინ... მაშინ სულ სხვა იყო, იუსუფ—ცრემლები მოიწმინდა ქალმა.—მაშინ მე ის მძაგდა. მძაგდა იმიტომ, რომ შენ მიყვარდი. მე მეგონა ჩემი სიყვარული შენშიაც პოულობდა გამოხმაურებას. მეგონა მეც გიყვარდი, მაგრამ რახან ყველაფერი სულ სხვა გზით წავიდა, ვინემ მე ვფიქრობდი, რახან ჩემი ქმრის სარეცელი სხვისი საზიარო შეიქნა, რახან ბედმა მე ცრემლები და...—აქვითინდა და თვალებზე აიფარა იაზმა.

— გეყოფა!—შეუტია იუსუფ-აღამ და ფინჯანი ტახტზე დადგა... უნაყოფო ხეს მოსჭრიან, უჯიშო ბაკს თავიდან იცილებენ, ქალი კი უფრო მეტის ღირსია. მჯადს გაშმევთ, გინახავთ, მეტი რა გინდათ? მითხარი, რა გინდათ მეთქი?—წამოდგა და პირისპირ დაუდგა ქალს.

ქალმა ჯერ მორჩილებით დახარა თავი, შემდეგ, თითქოს ზედმეტი დამცირება იგრძნო, თავმოყვარეობამ დასძლია და თვალებში ცეცხლის ალი ანათდა.

— მჯადის ჭამა არაა სიცოცხლე, იუსუფ!—მრისხანედ სთქვა მან. მჯადს ძაღლსაც მიუგდებენ, ადამიანს ადამიანური სიცოცხლე უნდა, მოვლა და პატრონობა, ალერსი და სიყვარული, გავლა და გამოვლა, ჩვენ კი...—ვერ გაბედა ეთქვა ყველაფერი, რაც გულ ხე ჰქონდა მოწოლილი.

იუსუფ-ალამ ანთებული თვალები მიუშვირა ქალს. ხელები აუცახცახდა და ტუჩები აუთრთოლდა.

— თქვი, თქვი ბარემ რაც გინდა!—დამუჭა ხელი და ჰაერში ასწია—თქვი და გაგაქრო ბარემ, თქვი, თქვი-მეთქი!

ქალმა დასძლია ყოველგვარი შიში, კრძალვა და მორიდება, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მძიმედ აწვა მას და პირუტყვივით ამუნჯებდა. ამოიღო მოთმინების ფიალა, ამოვიდა ბოღმა მკერდიდან და საცაა უნდა გადმოიღვაროს.

ყველა ადამიანს აქვს ბოღმისა და ნაღვლისათვის ჭურჭელი გულში. ზოგს—ძალიან პატარა მოკულობის—მალე აივსება, მალე გადმოხეთქს, მაგრამ ზოგიერთს — ხშირად სიკვდილამდე ყოფნის მთელი განვლილი დღეების სიმწარეს ინახავს და აგროვებს შიგ. აგროვებს და ითმენს... ითმენს, ითმენს, მაგრამ ხანდახან ისეთ მძიმე დაწოლას შეხვდება, რომ ვეღარ გაუძლებს.

ასეთ დღეში იყო ახლა იუსუფ-ალას პირველი ცოლი ლუთბიე. უენო, თავმდაბალი, ხათრიანი, მორჩილი ქალი სავსებით შეცელილიყო. ამოცლოდა მკერდიდან საკუთარი გული და მის მაგივრად ახალი, უფრო გამბედავი და გმირული გული გასჩენოდა.

ქალის მიმქრალი სახე მის სნეულებას ადასტურებდა. ტუჩები გათხელებოდა, ცხვირი სანთელივით ჩამოქხოდა, სახე ჩაძოგრძელებოდა და თაფლისფერი თვალები უფრო ღრმად ჩამჯდარიყვნენ ბუდეში...

მომაკვდავი ადამიანი გაიბრძოლებს უკანასკნელად. შეებრძოლება სიკვდილს. შეებრძოლება ყველაფერს და ყველას, ვინც გზაზე გაეხირება და სულის მოთქმის საშუალებას არ მისცემს.

ასეთ გაბრძოლებას გავდა ლუთბიეს გაბრძოლება, მაგრამ ეს გაბრძოლება როდი იყო საკუთარი თავის, საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თავი დიდი ხანია დავიწყებოდა მას. დიაღ, დიდი ხანია მას შემდეგ, რაც იუსუფ-ალას ხელში ჩავარდა, რაც გაუცრუვდა იმედი, გაუქრა ის მშვენიერი ოცნება ქმარსა და

ოჯახზე, რომელიც ყველა ქალს ცამეტი-თოთხმეტი წლის ასაკიდან დაფარფატებს თავზე და ილუზიების ქვეყანაში დააქროლებს.

თექვსმეტი წლის ლუთბიე ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავს ჰგავდა. მთელ იმ ცუთხეში არ დადიოდა მისი შესადარი. ბავშვობიდანვე სხვაზე იყო დანიშნული და კანონით სხვისი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ფულს ყველაფერი შეუძლია. ჩვიდმეტი წლის ვაჟი ხეზე ჩამოჰკიდეს და ჩამოახრჩვეს... ლუთბიე მაშინ ათიოთერთმეტი წლის იყო, მაგრამ მაინც ღრმა სიმწარე იგრძნო მისმა გულმა. მას არ უყვარდა საქმრო, ან რა იცოდა ნორჩმა გულმა სიყვარული, მაგრამ მაინც ეწყინა. ტიროდა მთელი დღე.

— ბედი ჰქონია მაგ გომბოს .—იძახდნენ მეზობლებში, როცა იუსუფ-აღამ დანიშნა პატარა ლუთბიე. — ვინ ღირსა აღას ცოლობას. ბედნიერი იქნება მთელ თავისს სიცოცხლეში.

ასე ეგონა ლუთბიესაც. თანდათან იჩრებოდა ნორჩ გულში საქმროს სიყვარული და როდესაც მათი შეუღლება კანონიერი გზით ფაქტი გახდა, ლუთბიეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

შეეიდა ახალ ოჯახში და შეიტანა მოღიმარი სახე, ცქრიალა თვალები, ჯანსაღი სხეული, ახოვანი ტანი, მოღერილი ყელი,— ყველაფერი ის, რაც ქალს ამშვენებს, ალამაზებს, ადიდებს და მიმზიდველს ხდის.

ბედნიერი იყო მაშინ.

დოვლათით სავსე ოჯახი დუღდა და გადმოდუღდა.

ახალგაზრდა ქმარი თავზე ადგა და დედამთილიც მზრუნველობით ეპყრობოდა.

ოცდახუთი წელია მას შემდეგ. ოცდახუთი წელი!.. კიდევ როგორ გაუძლო ლუთბიემ, როგორ მოიტანა სული აქამდე!.. თუმცა რა, მარტო სული მოიტანა... დანარჩენი რა მოყვა გარდა სანთელივით გაყვითლებული სახისა და ჩონჩხისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს მოძრაობის უნარი და შესაძლებლობა !.. ორმოცი წელი შეასრულა, მაგრამ თითქოს ოთხმოცი წელი ეკიდოს ზურგზე.

ქონებას როდი შესძლებია გაბედნიერება. ცივი ლუკმა იყოს და ტკბილი ცხოვრება. აი, ისეთი, მის მშობლებს რომ ჰქონდათ.

ერთმანეთს უნაწილებდნენ ლუკმას, თვალებში შესცქეროდნენ. არაფერი ჰქონდათ, მაგრამ მაძღარი იყვნენ. სიყვარულით კვებავდნენ ერთმანეთს.

კარგია სიყვარულზე დამყარებული ოჯახი.

ვინ იცის, შვილი რომ მისცემოდა, იქნებ იუსუფსაც ჰყვარებოდა. მეორე ცოლი რომ არ მოეყვანა... თუმცა რატომ არ მოიყვანდა, როცა შესაძლებლობა ჰქონდა, ოჯახი და პირობები ხელს უწ-

ყობდა. ბევრი ცოლის ყოლა ხომ სახელი იყო. რატომ არ გაითვალისწინა ეს თავის დროზე ლუთბიემ. არ არჩევნა—ღარიბს, ღატაკს გაჰყოლოდა და ამდენი ტანჯვა არ განეცადა?!. ბარემც რომ ერჩივნა, მაგრამ მას არავინ ეძლევდა არჩევის უფლებას. აღაზე უკეთეს სასიძოს სად იპოვნიდნენ. თუ მეორე ცოლს მოიყვანს, რა უშავს, პირველი ცოლი ეყოლება ბაინც პატივში. ვის არ მოუყვანია მეორე ცოლი, თუ ოჯახი უწყობდა ხელს.

გვიანლა არის, თორემ ახლა კი იცის ლუთბიემ, ვისაც მისთხოვდებოდა. ვინ იცის, ახლა რამდენი შვილი ეყოლებოდა. როგორ დიდრონები, ოცი წლის, ან ცოტათი ნაკლების. მერმე რაგორ საყვარელია შვილი!.. დედა-შვილის გული შეერთებულად ძგერს. რამდენი სიამოვნებაა, როცა პატარა ხელებით დედის გულმკერდში დაიწყებს ცაცუნს საყვარელი ბავშვი.

ქალმა, რომელსაც ეს არ გამოუცდია, რა იცის სიცოცხლისა და სიტკბოების. ყველა ალერსზე ძვირფასია პაწიას მოალერსება. უმანკო შემოტიტინება და ზოგჯერ გულუბრყვილო ცრემლების გადმოღვრა.

მერმე როგორ უნდოდა ლუთბიეს დედა გამხდარიყო, შვილები ეშობა, აღეზარდა და მათი ცქერით დამტკბარიყო. რატომ უნდა წართმეოდა მას გრძნობა ბედნიერი დედისა!..

რა სჭირდა საამისო. ჯანმრთელობა არ აკლდა და სხვა რამ. რომ ის რალაც სენი არა... რამდენიმე შვილის დედა გახდებოდა. ის სენი კი ადამიანის გამაუბედურებელი ყოფილა. შეუღლებიდან ერთი კვირის შემდეგ გამოაჩნდა. დასცა, დააგდო, გამოაცალა ძალა და ღონე, ძარღვებიდან ამოსწოვა სისხლი. საიდან გაჩნდა, სად იფარავდა თავს ის წყეული. თვითონ იუსუფს არაფერი ეტყობოდა ავადმყოფობის. გარეგნულად მეტად ჯანმრთელის შეხედულება ჰქონდა... თურმე ბათუმში შეეყარა. რამდენიმე ხანს ატარა საიდუმლოდ, შემდეგ შეუდგა წამლობას, სოფლის წამლები იხმარა, ექიმის წამლებიც აურია. ამით თითქოს მოკლა, მიაძინა სენი, მაგრამ...

კიდევ უნდოდა საიდუმლოდ შეენახა იუსუფს ეს ამბავი. ნუსხას აწერინებდა ხოჯას, წყალში გალესავდა და ასმევდა, მაგრამ წყალში გალესილი წამალი წყალისებრ მკურნალობდა.

გვიან, ძალიან გვიან მიმართა ექიმს დახმარებისათვის, მაგრამ ლუთბიე როდი გაასინჯა, ისე გამოაწერინა წამალი. მაინც იმოქ-

მედა წამალმა, მიაძინა სენი და სხეულში შედენა...

ლუთბიეს ბრალი დარჩა უშვილობა. უნაყოფო გამოდგა და ალას გვარი გადაშენდება თუ...

და იუსუფი მეორე ცოლის ძებნას შეუდგა.

კარგი, ახალგაზრდა და ჯანსაღი. ასეთი იყო მისი მოთხოვნილება. ლუთბიეს ჩამოშორდა. ცალკე გაიწყო ლოგინი და ახალი ცოლის ძებნა განაგრძო.

ვერავინ აღწერს ლუთბიეს ნაღველს, სევდას და განცდებს მაშინდელს. ცრემლები ასველებდა ბალიშს, როცა ლოგინში იწვა და სტიროდა.

ბევრი ეხვეწა, მომკალი, მერმე მოიყვანე ცოლი, მაგრამ თითქოს სიკვდილზე მეტი სასჯელი უნდოდა მისთვის ქმარს, უარს ეუბნებოდა. არ ემეტებოდა სასიკვდილოდ. ეშხი და სილამაზე ჯერ კიდევ იმდენი შერჩენოდა, რომ ბევრ ქალს ჩრდილავდა. ლერწამივით ტანი თითქოს მეტი მიმზიდველი გამხდარიყო. და არ უნდოდა გაეშვა. როგორ შეიძლება გაშვება. მჭადი არ აქვს თუ?

რატომ უნდა გაუშვას. მის ძველებს ხუთი-ექვსი ცოლი ჰყოლია, მას ორი ყავდეს. შვილი რომ არ ეყოლა, თორემ შეიძლება არც ეფიქრნა მეორე ცოლზე.

ამით იმართლებს თავს იუსუფ-აღა. თუმცა არავინ სდებს ბრალს. წესია მრავალცოლიანობა. ყურანიც არ უკრძალავს.

— იუსუფ, ცოდვაში დგები, გეყოს ჩემი წახდენა, ნუ მოსტაცებ სხვასაც დედობის უფლებას. ნუ მოუწამლავ სხეულს კიდევ სხვა ვინმეს—შეევედრა ლუთბიე, როცა შეატყო, რომ იუსუფი თავისას არ იშლიდა.

— ჩუმად, მაშ გინდა გადაშენდეს ჩემი გვარი?—უყვირა იუსუფმა და შეიძლება დაერტყა, რომ ლუთბიეს თავი არ დაეხარა და არ გასულიყო.

დადუმდა, ჩაიხრჩო გულში ნაღველი, ამოსწვა მწარე დარდები.

მოიყვანა მეორე ცოლი იუსუფმა. მეხუთე წლისთავზე მოხდა მეორე ქორწინება და პირველ ქორწილზე მეტი ლხინი გადაიხადა აღამ. ყველა შეკრიბა და მიიპატიჟა. განიახლა სიყმაწვილე და მოიგონა პირველი ღამე. განუსაზღვრელ ბედნიერებას განიცდიდა ახლა. ნეტარებით იყო სავსე მისი გული.

ჩადრში გახვეული ქალწული, 15 წლის ხოშნეთი, შიშით თრთოდა ამ დროს ოთახში შემწყვდეული. ჩიტივით ფართქალებდა მისი გული. შიში გამჯდარიყო მის ორგანიზმში. თუმცა ქალები აიმედებდნენ და ანუგეშებდნენ. მარტოდ დარჩენილმა კი ცრემლებით გაიწურა. როგორ მოეპყრობოდა მას ის კაცი, რომელიც

მისი ქმარი გახდა და მისი პატრონი შეიქნა. მერმე როგორ ეშინოდა ამ კაცის ხოშნეთს. ბავშვობისას, როცა იუსუფ-აღას დაინახავდა, გარბოდა. როგორ წარმოედგინა, რომ ამ კაცის ცოლი გახდებოდა, მასთან ერთად ერთ ოთახში დარჩებოდა, მასთან დაწეებოდა... ერთ ლოგინში... ალლაჰ!..

გააჟრჟოლა. შიშმა აიტანა, ააკანკალა და ერთი ისეთი შეჰკივლა, რომ მეორე ოთახში ცრემლების ტბაში მჯდომარე ლუთბიეც კი წამოვარდა.

უნდოდა შესულიყო, ენახა რა ხდებოდა იქ, სადაც პატარძალია დატოვებული, მაგრამ ვერ შეჰბედა. შეეშინდა, ვაი თუ იუსუფ-აღამ მომისწროსო, კედელს აეკრა და სულის თქმაც შეაჩერა.

საკუთარი თვალით თავისი საფლავის დანახვას, თავისი გასვენების დასწრებას, რომ ეს მოსახერხებელი იყოს, უფრო აიტანდა ლუთბიე, ვინემ იმღამინდელ განცდებს.

უნდოდა დავიწყებოდა ყველაფერი, შერიგებოდა ბედს, მაგრამ ვერ შესძლო. ამოვარდა მკერდიდან გული. გაშრა სისხლი ძარღვებში. არ უნდა გაიგონოს და დაინახოს, რაც მის გარშემო ხდება. მაგრამ თითქოს ჯინაზე ხედავს და უყურებს. ხედავს, რომ დაადგეს გულზე ფეხი, საშინელი ფეხი. გადათელეს და წაბილწეს მისი თავმოყვარეობა. ესმის საკუთარი გულის კვნესა და გლოვა.

უცნაური ამბავია. ნუთუ მართლაც ასე ძნელია ამ ამბვის ატანა!

უსინდისო, გაიძვერა. როგორ მხიარულად შედის ახალ ცოლთან. როგორ მიუახლოვდა, მოხადა თავზე, უმანკო თვალებში ჩახედა და...

არა, აღარ შეუძლია ლუთბიეს მოითმინოს ეს. ახლავე შევარდება, დაავლებს ხელს გამყიდველ, მოღალატე ქმარს და... ან შეაკვდება, ან ყელს გამოღრღნის .საკუთარი კბილებით გამოღრღნის ყელს... მაგრამ სადაა ამის გამბედაობა! სადაა ამდენი ძალღონე!

ჩაეხო. მაგრად ჩარგო ბალიშში თავი, ყურებიც დაიცო, რომ არ გაიგონოს რა ხდება კედელს იქით, სადაც წყეული ქმარი ახალ ცოლს ეალერსება.

არაფერი შველის, მაინც ესმის, ესმის კი არა, ხედავს ყველაფერს. თითქო კედელი გამჭვირვალე გახდა.

რა საზიზღარი სურათია. როგორ შელის ნუკრივით კრთის იუსუფ-აღას მკერდზე მიკრული ხოშნეთი. როგორ არიდებს სახეს მის ტუჩებს, რომელიც ლოშნის მას, არიდებს, მაგრამ სანამდე. ან როგორ დააღწევს თავს ვაჟკაცის ხელებს ნორჩი და სუსტი ქალი.

ან რა უფლება აქვს თავის დაღწევისათვის იბრძოლოს. ის ხომ იუსუფის საკუთრებას შეადგენს ამაღამიდან და ხოშნეთს რა უფლება აქვს საკუთარი ნივთის სარგებლობა აუკრძალოს ადამიანს.

ჩათრევას ჩაყოლა სჯობია.

და ხოშნეადი მორჩილებით ჰხრის თავს.

ცეცხლი თანდათან მატულობს ლუთბიეს გულში. ცეცხლი საშინელი შურისძიების... ზიზღის. საშინელი ზიზღის.

მხოლოდ იუსუფ-აღაა ბედნიერი და კმაყოფილი. პირველი ცოლის ცრემლები მალამოდ ეცხება გულზე და მეორე ცოლის კვნესა მუსიკაა, დამატკბობელი მუსიკა...

კიდევ ცოტა და...

კედელს იქით-აქეთა მხარედან ერთნაირი კვნესა ალმოხდა სხვადასხვა ტანჯვით გამოწვეული.

ამ ღამემ ლუთბიეს გულში გასწყვიტა უკანასკნელი ძარღვი, რომელიც ჯერ კიდევ სასიცოცხლო სისხლს აწვდიდა სხეულს.

ამის შემდეგ მას არც გრძნობა გააჩნია, ალარც სიცოცხლე. გამოფიტულია და გამომშრალი.

რა ტრაგედიაა, როცა ადამიანი დაინახავს, რომ მომავალი გაქრა.

როცა გუშინდელი დღე ბჟუტავს იმედის შუქის ნაცვლად და ხვალინდელს დასცინის.

რატომ უნდა იცხოვროს ასეთმა ადამიანმა.

თვითმკვლელობასაც ნებისყოფა უნდა, ნებისყოფა კი იმას აქვს, ვისაც გული აქვს. ლუთბიეს არაფრის უნარი ალარ დარჩენია.

როგორ ურიგდებოდნენ ქალები ასეთ ამბავს. ლუთბიე პირადად იცნობს ისეთ ცოლებს, რომლებიც შეგუებიან ასეთ მდგომარეობას და ორივე ცოლი ტკბილად ცხოვრობს ერთ ოჯახში. ხან ერთი ხდება ქმრის ალერსის ღირსი, ხან მეორე...

რატომღაც ერთხელაც არ უკითხავს ლუთბიეს ასეთი ცოლებისათვის, როგორ აიტანეს ასეთი ცხოვრება. არ ეგონა, იუ მასაც არგუნებდა ცხოვრება იმათ ტედს.

არა. ლუთბიეს არ შეუძლია შეურიგდეს იმ მდგომარეობას, რომ მისი ქმრის საწოლი საზიარო იყოს.

სისულელეა. რალა დროს შერიგებაზეა ლაპარაკი, როცა უკვე შეურიგდა. უკვე გახდა საზიარო, საზიარო კი არა, უკვე წაართვეს ქმარი.

მეორე დღეს გვიან წამოდგა იუსუფი. კმაყოფილი და მხიარული იყო ის. უბრწყინავდა თვალები და ულიმოდა ტუჩები.

ხოშნეთი ამდგარიყო. მოკრძალებით იჯდა ტახტზე და საკუთარ ხელებს დასჩერებოდა.

იუსუფმა ლუთბიე მოიხმო და ხოშნეთი ჩააბარა.

—ეპატრონე და მოუარე.—შემდეგ გაიღიმა და ორივეს ამაყად გადახედა.

ლუთბიეს თვალებზე ცრემლები ისევ ციალფობდნენ, მაგრამ თავს ძალა დაატანა. მივიდა ხოშნეთთან, ორივე ხელი გაუჭირა და მეტოქე გულში ჩაიკრა.

არ ეგონა თუ გულში გრძნობის ნატამალი ექნებოდა. გამშრალ ხედ წარმოიდგინა თავისი თავი, მაგრამ იგრძნო თუ არა მის მკერდზე მიყრდნობილი ახალგაზრდა ქალის თავი, მოესმა თუ არა ამ ქალის გულამოსკვნილი ქვითინი, თვითონაც აუთრთოლდა გული და ატირდა.

ეს ტირილი შვების მომგვრელი და გულის დამაამებელი იყო ორივესათვის.

იუსუფმა კიდევ ღიმილით გადახედა ცოლებს და ოთახიდან გავიდა.

უფროს-უმცროსი ცოლები პირველი დღიდანვე დამეგობრდნენ. დედაშვილივით შეუყვარდათ ერთმანეთი.

ბავშვი იყო, მაგრამ უფრო ბავშვური გული ჰქონდა ხოშნეთს. ობლად აღზრდილი ბავშვი ყველას შიშით შეჰყურებდა თვალებში.

შეეთვისნენ, შეეგუენ ერთმანეთს. მოიტირეს თავიანთი ბედი ერთმანეთის მკერდზე და შემდეგ დამშვიდდნენ.

— ნეტავ ამას მაინც გაუჩნდებოდეს შვილი!—ნატრობდა ლუთბიე, მაგრამ წლები მიდიოდნენ და არაფერი სჩანდა.

უფრო სუსტი გამოდგა მეორე ცოლი. ისიც შეიპყრო მალულმა სენმა და ლოგინად ჩაგდო.

— თქვენ გინდათ მოკვდეს უშვილოდ იუსუფ-ალა?—ბრაზით წამოიძახა ერთ დღეს იუსუფმა და მესამის მოყვანა გადაწყვიტა.

ეს უფრო ჩქარა და უმტკივნეულოდ ჩატარდა.

ხოჯამ ურჩია. მიუთითა საცოლეზე და იუსუფმაც მაშინვე გადასწყვიტა. ორმოც წელზე გადაცილებული იყო და კიდევ ახალგაზრდა ქალი მოიყვანა. თუმცა ეს ქალი გაცილებით მომწიფებული და დასრულებული იყო, ვინემ წინა ცოლები.

მესამე ქალის შემოსვლას არ მოუხდენია არავითარი გავლენა ქალებზე. ხოშნეთი ავადმყოფი იწვა ამ დროს, ლუთბიე უვლიდა და პატრონობდა მას და ოჯახსაც.

მესამე არ გამოდგა ისეთი, როგორსაც მოელოდნენ. მეორე დღიდანვე შეუდგა ოჯახის მართვას და დაუფლებას.

ყველა კუნჭული დაათვალიერა და ყველა უჯრა გასინჯა. მაღლა ასწია თავი და ისე გადმოხედა წინანდელ ცოლებს.

არ მოეწონათ ერთმანეთი.

ლუთბიემ და ხოშნეთიმ ერთმანეთს მიუტირეს. მესამემ კი ორივე მიაწყევლა.

— ოჯახი დაგიქცევიათ, საწყალი კაცი დაგივსიათ, დაგევსოთ თვალები!—გაცნობისთანავე ასე მიმართა მან დამხდურ ქალებს. შემდეგ იუსუფ-აღას მოელაპარაკა. ბერწი ქალები რად გინდა სახლშიო, უთხრა. ურჩია მათი თავიდან მოცილება, მაგრამ აქ იუსუფ-აღას თავმოყვარეობამ გაიმარჯვა.

ზოგი რამ მაინც დაათმობინა გულიზარმა.

ერთ ოთახში მოათავსებინა ორივე ცოლი და თვითონ ყველაზე ცარგი ბინა აირჩია.

არც ახლა გამართლდა იუსუფ-აღას იმედი. ორი წელი გავიდა და შვილი არ ჩანდა.

ხოჯამ შეპირდა დახმარება. ისეთ ექიმს გამოგიგზავნი, რომ შვილი აყოლოსო,—უთხრა და მართლაც არ დაუგვიანა.

ერთმა მოხუცმა ქალმა იწყო სიარული გულიზართან. დღითაც დადიოდა, საღამოობითაც. რამდენიმე ოქრო აართვა იუსუფ-აღას და ერთ საღამოს მეორე მოხუცი ქალი მოიყვანა.

ორივე მარტოდ დარჩნენ იმ ღამეს გულიზართან და წამალი გაუკეთეს. იმ ღამიდან ერთი კვირის განმავლობაში ყოველღამ უკეთებდნენ წამალს და დილაადრიან მიდიოდნენ.

ერთი კვირის შემდეგ უთხრა ხოჯამ, რომ ალლახს უნებია შვილი შეეძინოს იუსუფ-აღას და ნება მისცა ცოლთან დარჩენის.

სასწაული მართლაც მოხდა და გულიზარს შვილი შეეძინა.

ვაჟი! ეს ნანატრი იყო და ნატვრაც აუსრულდა. ახლა უფრო გაამაყდა გულიზარი. დაიმორჩილა და მუჭში მოიმწყვდია უფროსი ცოლები და გაბატონდა ქმარზედაც.

დაჰკარგეს მოწონება წინა ცოლებმა. ოჯახის მძიმე უღელი უფრო დააწვა მათ კისერზე. აუტანელი გახდა მათი ცხოვრება.

იუსუფ-აღამ მიუშვა თავის ნებაზე გულიზარი. გახადა სრული მბრძანებელი და დაუმორჩილა მთელი ოჯახი, თუმცა წესის მიხედვით ოჯახის უფროსობა პირველ ცოლს ეკუთვნოდა.

რაც სურდა, იმას აკეთებდა გულიზარი. როგორც უნდოდა ისე ატრიალებდა ყველას და თვით იუსუფ-აღასაც თავის ნებაზე ათამაშებდა.

ექიმი დედაბერი დიდი საჩუქრით დაჯილდოვდა. ყველაზე

დიდი მოკეთე გახდა ამ ოჯახის და თავისებური უფლებები მოიპოვა.

როცა სუფრა, მაშინ მოვიდოდა. კიდევ საჭიროა წამლობაო, მოჰყავდა დამხმარე ქალი და მთელ ღამეებს ატარებდა გულიზარის ექიმობაშობაში.

ქალებს მეტი სიფხიზლე აქვთ. ხშირად ჭეშმარიტ ამბავს მიიღებენ საეჭვოდ, თორემ თუ ოდნავ საეჭვოა, მაშინ ხომ სულ გაქექავენ.

და ერთხელ მოხუცი „ექიმი" ქალის საქციელზედაც დაეჭვდნენ.

იუსუფ-ალა ბათუმში იყო წასული. საჩუქრები უნდა მიერთმია ვაჟის დედისათვის. გულიზარმა გაუშვა ის ამ დავალებებით.

სწორედ იმ საღამოს მოვიდა „ექიმი" დედაბერი. წინასწარ გააფრთხილა ქალები. გულიზარს უთხრა, რომ კიდევ არის საჭირო ექიმობაო და თავისებური დავალებები მისცა.

როცა დაღამდა და ქალები დაწოლას აპირებდნენ, დედაბერს მხლებელი ქალი მოყვა და ორივენი გულიზართან შეევიდნენ.

— რატომ იფარავს ის ქალი ჩვენთან სახეს?—გულუბრყვილოდ შეეკითხა ხოშნეთი ლუთბიეს.

ლუთბიე დიდი ხანია ფიქრობდა ამაზე. თვით იმ ქალის ჩაცმულობაც საეჭვოდ მიაჩნდა და ახლა უფრო გაუძლიერდა ეჭვი.

— არ ვიცი.—უპასუხა, მაგრამ შემდეგ საიდუმლოდ ყველაფერი გაუმხილა.

ღამე მიდიოდა, მაგრამ ქალებს არ ეძინათ. ოთახში კი სამარისებური სიჩუმე იდგა. სმენად იყვნენ გადაქცეული და სუნთქვაც შეეჩერებინათ.

— დავაყურროთ. კარებიდან შევიჭვრიტოთ—ჩუმად უთხრა ხოშნეთიმ ბედის მოზიარეს და ორივენი ფრთხილად წამოდგნენ. თითქო უსხეულო არსებად იქცნენ. დაჰკარგეს სიმძიმე და ბუმბულის ფეხები გამოისხეს.

მჭიდროდ იყო შეკრული კარები, მაგრამ ოდნავ მოდიოდა შუქი კედელში. დააყურადეს. ჩუმი ლაპარაკი ისმოდა. მკრთალად მოსჩანდა დედაბრის სახე. ტახტზე წამოწოლილიყო, რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის. იმ მხარეზე კი, სადაც გულიზარის ლოგინი იყო გაშლილი, უფრო ბნელოდა.

ქალებმა ძლივს დაინახეს ლოგინზე დამჯდარი გულიზარი. ის საღამურ ტანსაცმელში იყო. მის გვერდით კიდევ იჯდა ვიღაცა და ეს ვიღაცა სრულიად არ ჰგავდა ქალს, თუმცა ჩადრმოსხმული იყო. ის აფათურებდა ხელს გულიზარის მკერდზე და თანდათან ახლო იწევდა მისკენ.

აკვანში მძინარე ბავშვი ხანდახან ამოიპურტყულებდა.

ქალები ერთმანეთს შეერთებოდნენ და ისე იქვრიტებოდნენ ვიწრო და შეუმჩნევ ჭუჭრუტანიდან.

მალე ყველაფერი გასაგები გახდა: ხოჯა მამუდი ადვილად იცვნეს ქალის ტანსაცმელში, და ყველაფერი დაინახეს.

— ფუ!—ქალები ფეხაკრეფით მოსცილდნენ ჭუჭრუტანას. ამის შემდეგ უფრო გაღრმავდა სიძულვილი და მტრობა... გულიზარი უფრო შესძაგდა ქალებს...

მაინც ჩუმად იყვნენ. კრინტს არ ძრავდნენ საზიარო ქმართან და თავიანთ ბოღმას იკლავდნენ გულში. მაგრამ ახლა... ახლა, როდესაც აივსო მოთმინების ფიალა, როცა ხოშნეთი სულთმობრძავი წევს, როცა გულიზარი ზეიმობს გამარჯვებას და, როდესაც იუსუფ-აღა ლუთბიეს ზიზღით უყურებს და კიდევ ერთხელ ცდილობს გაქელოს მისი ღირსება, ყველაფერი ჰკარგავს საზღვარს და წონასწორობას.

— რა გითხრა, რა!—შეტევაზე გადავიდა ლუთბიე. — განა შენ არ იცი, რომ ჩვენ ადამიანები ვართ. ჩვენც გული და გრძნობები გვაქვს. აბა ჩაუფიქრდი. როგორ შეიწირე შენ ჩემი სიცოცხლე! როგორ მოწამლე საწყალი ხოშნეთი. იუსუფ! თუ სადმე არსებობს ცოდვა-მადლის გარჩევა და ცოდვისათვის ჯოჯოხეთს აკუთენებენ, შენთვის ის ცოტა იქნება. შენს ცოდვებს ჯოჯოხეთი ვერ ჩაიტევს, იქაც ნეტარება იქნება შენთვის. გესმის? ისე მძიმეა შენი ცოდვები, ისე საშინელი და საზიზღარი!—ცოტათი შეისვენა.—კიდევ გინდა გითხრა?!.

იუსუფ-აღას სიბრაზე თვალებში ცეცხლად მოაწვა.

— არ დადუმდები?—იყვირა მან და წყლით სავსე ფინჯანი ისე მაგრად დაანარცხა იატაკზე, რომ სულ ნამტვრევებად აქცია.

ლუთბიე ერთხანს გაშეშებული იდგა. მას თითქო გული მოფხანა ამ ამბავმა, მალამოდ მოეცხო იუსუფის გაბრაზება. ნეტავ კიდევ შეეძლოს მისი უფრო აღელვება. ნეტავ ასწავლა ისეთი სიტყვები, რომლებიც ლურსმანივით ჩაეჭდობა გულში საზიარო ქმარს და დაჩხვლეტს. ისე დაადენს სისხლს, როგორც ამდენი ხანია სდის ლუთბიეს გულსა და თვალებს.

და, უცებ მოაგონდა. მოაგონდა ის სურათი, ერთხელ რომ ჭუჭრუტანიდან დაინახა. აუძგერდა გული, აუცახცახდა სხეული, მაგრამ თავი შეიკავა. ვერ გაბედა თქმა. მკრთალაც ლურსმანზე ძლიერად გაჩხვლეტდა ეს სიტყვა იუსუფის გულს, მაგრამ...

აქ ისევ ქალის გული და გრძნობა გამოჩნდა.

შეებრალა სამი ცოლის ქმარი, ქმარი მოტყუებული და

შერცხვენილი.

— დაე, ჯერ კიდევ იყოს ყმაყოფილი თავისი ბედით, კიდევ უხაროდეს შვილის შეძენა—გაიფიქრა ლუთბიემ. სხვა დროისათვის შეინახა საწამლავზე ძლიერი სიტყვა და უხმოდ გამოვიდა ოთახიდან.

იუსუფ-აღამ ბრაზიანი თვალები გამოაყოლა მას და როცა ქალი გავიდა, უწმაწური გინებით მოიხსენია ლუთბიე და მისი მშობლები.

სიბრაზემ მაინც არ მოასვენა. ფეხზე ჩაიცვა, პალტო მოისხა, გამოვიდა და ხოჯა მამუდისაკენ გასწია.

ასე იცოდა მან. სიბრაზით გატენილი გული იქ მიქონდა დასაფერთხად. იქ პოულობდა შვებას და ამიტომ ყოველთვის იქითკენ გარბოდა.

IV

მხარ-თეძოზე წამოწოლილი ხოჯა წამოდგა და მიეგება სტუმარს.

— ბუირუმ აღა—უთხრა და მიიწვია.

იუსუფ-აღას გაუარა სიბრაზე, რომელიც სახლიდან აქამდე კიდევ მოყოლოდა. ხოჯის დანახვამ თითქო გული გაუხსნა, მოაგონა თავისი ვაჟი, რომელიც ხოჯის წყალობით ჰყავს. კი უნდოდა კიდევ მისცემოდა მეორე ვაჟიც, მაგრამ არ მიეცა. ქალი შეეძინა, და ქალი ხომ ჩასათვალი არაა მისთვის.

რამდენჯერ უთქვამს მოხუც „ექიმ“ დედაბრისათვის, ხოჯისთვისაც დაუვალებია, როგორმე ისე უწამლონ გულიზარს, რომ ბიჭი გაუჩნდესო, მაგრამ ეს თხოვნა ვერ შეუსრულეს.

ჩვენი საქმე ბავშვის გასაკეთებელი წამალის მიცემაა, დანარჩენი ქალის საქმეა. უნდა ბიჭს შობს, უნდა ქალსო. კინაღამ გულიზარზედაც აუცრუეს გული.

— როგორ ბრძანდები, იუსუფ-აღა?—მოიკითხა ხოჯამ— ბაღვები რას ექცევიან? ავადმყოფი თუ მორჩა?

ავადმყოფის გახსენებამ ისევ აუმღვრია გული აღას. კრიალოსანი ამოიღო, რამდენიმე მარცვალი ჩამოყარა და შემდეგ უპასუხა:

— ბაღვები კარგადაა... ავადმყოფი, ჯანდაბას, არც მორჩა, არც მოკვდა.—ხმას აუწია.—თითქო ყველაფერში მე ვიყო დამნაშავე. არა, როგორ გრწამს შენ, ხოჯავ, ეს? რაში ვარ მე დამნაშავე, რა ჩამიდენია ისეთი, რომ ჯოჯოხეთში ჩამაგდონ. მითხარი,

მითხარი, თუ მაქვს რამე ისეთი დაწაშაული.—მიაჩერდა თვალებში.

— ალლახის წინაშე უცოდველი არავინაა—მშვიდად და ეშმაკურად უთხრა ხოჯამ—ჯოჯოხეთში ბევრს მოუწევს ყოფნა, მაგრამ ჩვენ რა გვაქვს საჯოჯოხეთო. ლოცვები ყველაფერს გამოიყიდის. შენ კი ახალგაზრდობისას არ გიყვარდა ლოცვა, მაგრამ არაფერია, შენი ხოჯა ლოცულობდა შენთვის. ასე რომ არ ყოფილიყო...

და ხოჯამ ისევ ვაჟი უხსენა, რომელზედაც მზე ამოსდიოდა იუსუფ-აღას.

— ჩემს სიცოცხლეში არ დაგივიწყებ პატივისცემას—უთხრა მან ხოჯას და კიდევ რამდენიმე მარცვალი ჩამოაგდო კრიალოსნიდან.

საუბარი მალე სხვა საგანზე გადაიტანეს, ისევ საბჭოთა ხელისუფლება ახსენეს და მტრულად ალაპარაკდნენ.

— ვითომ მოარჩენენ მურადს?—იკითხა იუსუფ-აღამ ცოტა სირცმის შემდეგ.

ხოჯამ ხელი ჩაიქნია.

— ამბობენ კარგი ექიმები ყავთო. უნდა გეთქვა დურსუნისათვის, არ გაეშვა. ვინ იცის, იქნებ მართლა მოარჩინონ და მაშინ...

— მაგის დარდი ნუ გაქვს.—შეაწყვეტინა სიტყვა ხოჯამ.— ვინ მისცა მაგათ ისეთი ექიმები.—ხმას დაუწია და ჩუმად უთხრა— ძმ გიაურსაც რომ მოვიცილებდეთ, მერე არა გვიშავს,—ანდრო ჭოიხსენია და წყევლა-კრულვა გაუგზავნა.

იუსუფ-აღამ თავი გაიქნია.

— ძნელია, ყველას ჯადო გაუკეთა. ამბობენ, ქალებთანაც მართავს ცრებებსო. ახალგაზრდობა სულ მის მხარეზეა... ალლაჰ, რა დღეში ჩავცვივდით!

კარები ფრთხილად გაიღო და ახალგაზრდა მოლამ შემოიხედა.

— შემოდი, ნური, შემოდი.—დაუძახა ხოჯამ—ყოჩაღი ბიჭია, —მიუბრუნდა იუსუ-აღას.

ნური წამოვიდა, აღას მიესალმა და ხოჯის გვერდით მოიავსდა ტახტზე.

— ბევრი კარგი ბიჭი გყოლიათ ღორჯომში. კარგია, ძალიან კარგი. ახალგაზრდებმა უნდა ეცადოთ თორემ...—უთხრა იუსუფ-აღამ ნურის და პირდაპირ შეხედა.

— ალლახის წყალობით ბევრნი. სამასამდე ვართ ახალგაზრდ მოლები. ყველა კუთხიდან და ყველა სოფლიდან. ერთი დაძახეა და ყველაფერი ჩვენს ხელში იქნება.

— დამძახებელიც თქვენ უნდა დარჩეთ და შემსრულებელიც —ჩაურთო ხოჯამ.—სხვა ვინღაა. მთელი გლეხობა მაგათ გადაიბირეს.

— ეეე—გააგრძელა მოლამ.—ტყუილია, ჩვენი ხალხი მაგათ არ გაჰყვება. ახლა თუ თითო-ოროლა მისდევს , ეს შიშით, ან ქრთამის საშუალებით. ძალიან ბევრს ატყუებენ ფულით.

იუსუფ-აღა ჩაფიქრდა.

— ფული არც ჩვენ უნდა დავზოგოთ—სთქვა მან.—ჯერ მიეცეთ და მერმე ერთიანად ავართვათ.—შემდეგ საიდუმლო ხმით დაუმატა.—დურსუნი რომ ამბობდა, ვიღაც უცხო კაცი გვპირდება დახმარებასო?—მიიხედ-მოიხედა.

— ჩუმად!—შეუტია ხოჯამ.—ის ფული თავის დროზე იქნება... დღეს კი ჩვენს ძალას უნდა დავემყაროთ .ჩვენი ჯიბეები გავიქეჭოთ და...

იუსუფმა თავის უნებურად მოისვა ჯიბეზე ხელი.

— რაღა დამრჩენია.—სთქვა მან.—აღარ ვარ ძველებურად, ეროი სამასი ოქრო მქონდა შამონახული და...

— სამასიც საქმეს გააკეთებს—არ დააცალა სიტყვის დამთავრება ნურიმ.—ამჟამად სამასი ოქრო სამას კაცს ააღებინებს ხელში იარაღს.

იუსუფ-აღამ მწყრალად გადახედა.

— მარტო მე ვარ აჭარაში თუ?!—ბრაზით თქვა მან.

— სხვებიც არ დაიზარებენ.—უთხრა ხოჯამ.—სხვათა შორის შენ ჯერ ერთი შაურიც არ გაგიღია, სხვებმა კი...

— რამდენი საქმე გავაკეთეთ. უხარჯოდ რა გაკეთდება?— დაეხმარა ხოჯას ახალგაზრდა მოლა.

— რამდენი საქმე გავაკეთეთ.—გაიმეორა ხოჯამ ნურის სიტყვები.

— არა, მე ფული არ მაქვს.—დინჯად სთქვა იუსუფ-აღამ.— სამასი ოქრო მქონდა, მაგრამ... ახლა აღარ მაქვს.... აღარ მაქვს.— ცოტა იყუჩა—სამასი ოქრო რა ფულია. ცოლშვილი მყავს, ოჯახი მაქვს... ფული თუ არ გვექნება, რამ უნდა გვარჩინოს.

მოლამ სულ სხვა საგანზე გადაიტანა ლაპარაკი და რახან ფულის საკითხს მოეხსნა, იუსუფ-აღასაც მოეშვა გულზე.

— საშინელი კანონები გამოუშვიათ—დაიწყო მოლამ—არა მგონია ადამიანი შეეგუოს. თუ ის კანონები ცხოვრებაში გაატარეს, ყველაფერი მორჩა. მიწა-მამულს ართმევენ ყველას, ქალაქებში სახლებიც ჩამოართვეს. პირუტყვზე გადასახადი შემოიღეს ნაშრომი დაბეგრეს, ახლა ამბობენ ოქრო-ვერცხლიც უნდა მოაგ

როვონო. თვითეულ მოსახლისას ჩეკისტებს ჩაასახლებენო. ვინც გაძალიანდება, დაიჭერენ და ცივ ქვეყანაში გაგზავნიანო...

— ალლაჰ,—შესძახა ხოჯამ და რაღაც არაბულ ენაზე გაიმეორა.

— ალლაჰ,—აყვა მას იუსუფიც და ხელები აღაპყრო.

მოლამ უფრო შეუკეთა.

— ბეგები დახოცეს, ბევრი კი გადაასახლეს. ახლა აღები და ქონებიანი მოსახლეები უნდა დაიჭირონო. გუშინ ხულოში ორმოცამდე კაცი ჩამოიყვანეს დაპატიმრებული. ან ყველაფერი მოგვეცი, ჩვენი რჯული მიიღე, ან სიკვდილი აირჩიე, ან კიდევ გადასახლებაო. არ ვიცი, ასეთი დრო ჯერ არ ჰქონია ჩვენს ქვეყანას, ასეთი მთავრობა არ მოსწრია არავის. ყურანიც ამბობს: დადგება ისეთი დრო, როცა მამა შვილს არ დაინდობს, შვილი—მამასო, მაგრამ თუ ხალხი რჯულსა და სარწმუნოებას არ დაივიწყებს, თუ შეერთდება და შეკავშირდება, თუ არაფერს არ დაზოგავს ქვეყნისა და სარწმუნოების ხსნისათვის, ქვეყანა გადარჩება და ბედნიერება და მშვიდობიანობა დამყარდებაო. დიდია სახელი მუჰამედისა. დიდ არს სასწაული ალლაჰისა.—მოლამ ხელები მაღლა აღაპყრო და იქ მყოფთ გადახედა.

ხოჯა თავდახრილი იჯდა. თითებს ათამაშებდა და ხანდახან გახედავდა იუსუფ-აღას, რომელსაც ფერი თანდათან ეკარგებოდა და გულში საშინელი შიში უპინავდებოდა.

კარგა ხანს სდუმდნენ სამთავენი. თავიანთ გულში ესაუბრებოდნენ თავისთავს და თავიანთ დარდებს ებრძოდნენ.

ბოლოს ისევ იუსუფ-აღამ ამოიღო ხმა.

— ვინ დაზოგავს თავს რჯულისა და ადათის დასაცავად.— ჩაილაპარაკა მან.—გავაკეთოთ რაც საჭიროა და...

ასი ოქროს გაღებაზე დათანხმდა ჯერ ჯერობით.

—ყველამ რომ ამდენი გაიღოს, ქვეყანას ავაფეთქებთ. ეჰ, სად არის ძველი შეძლება, თორემ...—ხოჯას შეხედა.

ერთხელ სამასი ოქრო ერთ ლამეს წააგო კარტში აღამ და წარპიც არ შეუხრია.

მაგრამ ახლა. მხოლოდ გასავალი იზრდება. შემოსავალი არსაიდან არის. კონტრაბანდაც ვეღარ გამოაქვთ ისე ბლომად.

აწუწუნდნენ სამივენი ერთად.

— მაგ გიაურსაც თუ მოგვაცილებენ, ათ ოქროსაც დავუმატებ—ცოტა არ იყოს გაბედულად სთქვა აღამ და კიდევ წყევლითა და გინებით მოიხსენია ანდრო.

— დიდი დრო აღარ აქვს.—დაიმედა ხოჯამ და ნურის შეხედა.

— ამ ერთ კვირაში მურადს გამოუდგება. ხა, ხა, ხა,—ჩაიხითხითა მოლამ.—როგორ ბოხრიკივით უხტოდა... ახია მასზე. ამბობენ ბათუმის ექიმებს უარი უთქვამთ აქიმობაზე. ჩვენი საქმე არაა. ტიფლის ქალაქში გაგზავნეთ საგიჟეშიო. იქიდან კი უკან აღარ ბრუნდებიან...

— მართლა?—აღტაცებით შესძახა ხოჯამ.

— სიმართლეა. რახან კაცი გადელდება და საგიჟეში მოამწყვდევენ, შემდეგ წასულია მისი საქმე.

— რომ უფრო მეტი ქაჯები გვყავდეს!—ინატრა იუსუფ-აღამ.

— ფული ქაჯებსაც მოიყვანს—ულვაშებში ჩაიცინა ხოჯამ და მოლას თვალი ჩაუკრა.

— სახლკარს გავყიდი, რომ ვიცოდე ძველი დრო დაბრუნდება. დაე იყოს რუსის მთავრობა, მაგრამ ხელმწიფე იყოს, ხელმწიფე. ის ჩვენ არაფერში არ გვიშლიდა ხელს.

— არა, იუსუფ-აღავ,—შეაჩერა მოლამ იუსუფი.—ჩვენი რჯულისა და ადათისათვის კიდევ თურქები სჯობია. მაშინ უფრო პატივში ვიქნებით.

— არა, არა, არა. მაგის თანახმა არ ვარ. თურქები ჩვენც გიაურს, გურჯს გვეძახიან... რას გვიშლის რუსის ხელმწიფე. უფრო პატივს გვცემდნენ... ჩვენი რჯულის არ არიან და მორიდება უნდაო ამბობდნენ. მთავრობაში რომ მივიდოდი, მობრძანდი იუსუფ-აღავ, დაბრძანდიო. რაზე შეწუხებულხარო. თურქებმა კი მათრახი კინაღამ დამკრეს, გიაურები ხართო, გურჯები ხართო. აბა რატომ არ ებრძოდით გურჯებსა და ურუსებსო?.. რა მქონდა საბრძოლველი? რა მაკლდა. რა მინდოდა? ჩავიდოდი ხულოში ხიმშიაშვილთან და რასაც ვეტყოდი, იმას გამიკეთებდა. ზეგანის ტყე მაჩუქა მთლიანად. თვითონ სთხოვა მთავრობას. ღარიბი აღა მყავს და მიეცით რამეო. ლუბერნატორს თავისი ხელით წაეწერა,—აირჩიოსო. მეც ავირჩიე. ძალიან შემოსავლიანი იყო ის დალოცვილი. ეჰ, იმას რომ ისევ ჩავიგდებდე ხელში... სამასი მორი გამქონდა ყოველ გაზაფხულზე...—ნაღელიანად ჩაიქნია თავი და კრიალოსანი უფრო მარდად ჩამომარცვლა.

კარგა ხანს ილაპარაკეს... ანუგეშეს ერთმანეთი. ბოლოს როცა ოთახში სიბნელე ჩამოდგა, ხოჯას ღამემშვიდობისა უსურვეს და გამოვიდნენ.

ნისლი ჩამოწოლილიყო მთაში და ბნელი ღამე უფრო დაებნელებინა. ოდნავ მოსველებულ მიწაზე ფეხი უცურდებოდათ და ამიტომ ერთმანეთს ჰკიდებდნენ ხელს.

ნურიმ შინამდე მიაცილა იუსუფ-აღა. აქ კიდევ მოაგონა შე-

პირეპული ოქრო და მოკითხვის ვადა დაუნიშნა.

იქიდან წამოსული მოლა ისევ ხოჯასთან მივიდა. მას იქ დურსუნი დაუხვდა. ის მაგიდას მიჯდომოდა სიმამრთან ერთად. ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა და სანათის მკრთალ შუქზე ჩურჩულით კითხულობდა. ხოჯას მარჯვენა ხელი ყურთან მიეტანა და დაძაბული ყურადღებით უსმენდა.

კარები ჩაკეტილი იყო, მაგრამ გამოსაცნობ დაკაკუნებაზე გააღეს და მოლა შეუშვეს.

— დაჯექი და მოუსმინე,—ჩურჩულით უთხრა ხოჯამ მოლას და ანიშნა სად დამჯდარიყო.—საზღვარგარეთიდან მოსული წერილია,—დაუმატა მანვე და დურსუნს მიუბრუნდა—განაგრძე!—ისევ მოიშველა ხელი ყურზე და სმენად იქცა.

ნახევრად გაცრეცილი იყო ის ქაღალდი, რომელსაც დურსუნი კითხულობდა. ემჩნეოდა რომ ბევრ ხელში გამოეცვლო მას და ვინ იცის კიდევ რამდენი ხელი შეეხებოდა.

მაინცა და მაინც საინტერესო არაფერი იყო. ვილაც „დიდი კაცი“, რომელიღაც დიდი სახელმწიფო, სადღაც „უზარმაზარი“ ორგანიზაცია აპირებდა კომუნისტების მოსპობას. პირდებოდა დიდ საჩუქრებსა და პატივს ყველა იმას, ვინც იბრძოლებდა კომუნისტების წინააღმდეგ, ვინც დაღვრიდა სისხლს, ვინც ხელს შეუშლიდა მათს საქმეს და ასე დაუსრულებლივ...

იყო მუქარა, შეპირებები, ყველაფერი, ყველაფერი იყო ამ გაცრეცილ ქაღალდში, გარდა მისი ავტორის სახელისა და გვარისა.

თითქო დაკმაყოფილდნენ, მოიფხანეს გული, მაგრამ ბოლოს ისევ ჩაფიქრდნენ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ...—ეჭვით თქვა ნურიმ.

— მაგრამ რა?—იწყინა დურსუნმა.

— ის, რომ ქაღალდი საქმეს ვერ გააკეთებს.

— ვინ ამბობს მაგას?—წამოიძახა ხოჯამ.

— საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ხედავ?—რაღაც ქაღალდში შეხვეული დაანახა მოლას დურსუნმა.

— ამაღამ?—გაკვირვებით კითხა ნურიმ.

— დაცდა რა საჭიროა!

— კი, მაგრამ... მიიხედ-მოიხედა მოლამ.

— მოვა.—ჩუმად უთხრა დურსუნმა.

— თვითონ?

— გამოიცვლის. მხოლოდ დაცდა დასჭირდება.

— ეგ არაფერია.—ჩაილაპარაკა ნურიმ და გაიღიმა

აქაიქ ყიოდნენ მამლები. შუალამეზე გადასული იყო და სოფელს ღრმა ძილით ეძინა.

სოფლის სკოლიდან კი ახლა გამოვიდნენ ახალგაზრდები და წავიდ-წამოვიდნენ.

ბნელოდა. შავი ღრუბელი ძაძასავით გადაფარებოდა სოფელს. კრებიდან მომავალი ახალგაზრდები ეხმარებოდნენ ერთმანეთს და ასანთით ინათებდნენ გზას. მათ ხმაურზე ძაღლების ყეფა გაისმა, მაგრამ მალე ისიც შეწყდა და სამარისებური მყუდროება ჩამოვარდა.

დიდხანს გასტანა კრებამ ამალამ. ბევრი საკითხი გაარჩიეს. ბევრი იდავეს და იკამათეს.

ახლა არ გავდნენ წინანდელ ადამიანებს. არც ძველებურად უჭირდათ სიტყვის თქმა. საკითხის დაყენება, შედავება და კამათი. შეჩვეოდნენ დისციპლინასაც. უსაქმოდ არ ლაყბობდნენ და უსამართლოდ არავის ესხმოდნენ თავს.

იცოდნენ თავდაჭერა და ზომიერება.

ანდრო კმაყოფილი იყო ახალგაზრდებით, ყოველ საკითხში გვერდით ედგნენ, ყველა საქმეში ეხმარებოდნენ.

ერთადერთი სამწუხარო ის იყო, რომ მურადი გამოაკლდა ამ წრეს და დროებით ნაილეც მოწყდა მუშაობას.

— ნეტავ მორჩებოდეს და...—ამბობდნენ ამხანაგები. ყოველ შეხვედრისას ჰკითხავდნენ ანდროს, ხომ არაფერი იცი, ცნობა ხომ არ მიგიღია. ანდროც ელაპარაკებოდა ტელეფონით ბათუმს, ამბავს კითხულობდა , მაგრამ საიმედო არაფერი ისმოდა.

თბილისში უნდა გადავაგზავნოთო. იქნება იქ მოუხერხონ რამე, თუ არა და, საგიჟეში მოვათავსებთო, ეუბნებოდნენ ბათუმიდან.

ორი დღით ადრე ნაილე მოიხმო ტელეფონთან. ძლივს იღებდა ხმას საწყალი ქალი. ანდროს ხმა რომ გაიგონა, ცოტათი გამხნევდა, მაგრამ ცრემლები მაინც ვერ შეიკავა..

— საგიჟეში ვერ დავტოვებ. მოკვდეს ჩემს ხელში. სიკვდილამდე ვუცქერი მაინც, ვინ მყავს მაგის მეტი.—ამბობდა გულ-ამომჯდარი ნაილე.

საშინლად დაეწვა გული ანდროს. გადაწყვიტა ბათუმში წასვლა, ადგილობრივად დახმარება, მაგრამ მეორე დღეს აცნობეს, გუშინ ღამის მატარებლით გავგზავნეთ თბილისშიო.

ძალიან აწუხებდა მურადის წახდენა. თუ მას რაიმე გაუჭირდებოდა, უსათუოდ ნაილეზედაც იმოქმედებდა ეს და შეიძლება ძმის დარდს ისიც გადაყოლოდა.

კრებიდან ანდრო ყველაზე ბოლოს გამოვიდა. მასწავლებლებს ელაპარაკებოდა და ჩამორჩა.

ბნელში ძლივს იკვლევდა გზას, გრძელი ჯოხი ეჭირა და ისე მიაბიჯებდა.

მაინც ძალიან ჩამოპნელება იცის მთებს შუა. ჯიბეში ასანთი არ აღმოაჩნდა, რომ ხანდახან გაენათებინა. როგორც იყო, გადავიდა დიდ გზაზე. იქიდან შუკაში შევიდა და ფერდობს ჩაყვა.

მიუახლოვდა სახლს, იცოდა დაკეტილი დახვდებოდა და ჯიბისაკენ წაიღო ხელი გასაღების ამოსაღებად.

კიდევ ორიოდე ნაბიჯი გადადგა და უეცრად შესდგა.

ჩირგვებთან ორი ცეცხლოვანი თვალი ანათებდა და იმას მიაჩერდა.

— რა უნდა იყოს?—გაიფიქრა და ახლოს მივიდა.

მკვდარი კატა ეგდო. დიდი შავი კატა. ანდრომ ფეხი ჰკრა და კატა ქვევით ბუჩქებში გადავარდა.

სწორედ იმ ადგილას, სადაც კატა დაეცა, რაღაცა ამოიმართა, მაღალი, ადამიანის მსგავსი, გრძელი ყურები და ვეებერთელა თვალები ჰქონდა. ხელფეხი და ტანი ბეწვებით დაფარული. არც ადამიანს ჰგავდა, არც ნადირს. ზლაზვნით აიწია, წელში გაიმართა და ნელი ნაბიჯით ანდროსაკენ წამოვიდა.

ანდროს ჯერ ეგონა მომეჩვენაო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს მოჩვენება არ იყო და ჯიბიდან ნელ-ნელა ნაგანი ამოაცოცა.

ადამიანივით ორი ფეხით მოდიოდა ლანდი, უფრო და უფრო ახლოვდებოდა და ანდრომ გარკვევით დაინახა ორი გრძელი კბილი, რომელიც გამოშვერილი ჰქონდა წინ.

ანდრო ადგილზე დაესო. უნდოდა კარგად გაერჩია რა იყო ეს, მაგრამ გული საშინლად აუთრთოლდა, ვერ შესძლო დაეცადა ახლოს მოსვლამდე, რევოლვერი მიუშვირა და თან უჩვეულო ხმით შესძახა:

— ნუ ხუმრობ, თორემ ძვირად დაგიჯდება!—ჩახმახი ფეხზე შეაყენა, მაგრამ ამ დროს ლანდი უფრო მოახლოვდა და ანდროც მიხვდა, რომ საქმე სახუმრო აღარ იყო.

დაეცა ჩახმახი, მოადინა ტკაცანი იზალმა და ლანდმა უცნაურად გადიხარხარა...

ანდროს შიშმა დაუარა ტანში, არ ახსოვს, რომ მისთვის ოდესმე რევოლვერს ემტყუნებინოს. ზედიზედ დაუკრა შვიდჯერ, მაგრამ შვიდი ტკაცანი და შვიდჯერ უცნაური ხარხარის მეტი არაფერი მოყოლია ამას. ამ ამბავმა მოჰკვეთა მუხლები ანდროს და შეიძლება ჩაკეცილიყო იქვე, რომ საკუთარი ძალის იმედი არ ჰქონოდა. რევოლვერი ჩაიგდო ჯიბეში და ხელდახელ შესაბმელად

მოემზადა, მაგრამ ამ დროს ჩირგვებიდან ასეთივე მეორე ლანდი ამოიმართა და უფრო ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა წინ.

ახლა კი იგრძნო შიში ანდრომ და ინსტიქტურად პალტოს ჯიბეში ჩაიდო მეორე ხელი. აქ მას პატარა რევოლვერი აღმოაჩნდა, ბრაუნინგის სისტემის. ერთმა კომკავშირელმა გამოატანა სწორედ ამ საღამოს გასაწმენდად..

როდესაც ჯიბიდან ისევ რევოლვერიანი ხელი ამოიღო და გაიშვირა, ერთად გადიხარხარეს, მაგრამ რევოლვერმა იქექა და ცეცხლის მახვილმა გაჭკვეთა ღამე.

ამას კი აღარ მოყოლია ხარხარი, არამედ ორივე ლანდი უეცრად მოწყდა ადგილიდან და ხრიალითა და ლაწალუწით დაეშვნენ ხევში.

ცეცხლის ენები გამოედევნა გაქცეულებს და პატარა რევოლვერმა საშინელი გრიალი დააყენა სიბნელეში.

სოფელში ძაღლები აყეფდნენ, აღმუვლდნენ, აწკმუტუნდნენ, მაგრამ მცხოვრებთაგან არავინ გამოხმაურებია სროლას.

ანდრო დიდხანს იყო ფერდობზე გადამდგარი. ორი ტყვია კიდევ დარჩენოდა რევოლვერში და უნდოდა ბარემ ისიც ვამოეყენებინა.

დიდხანს იცქირებოდა სიბნელეში, იქნებ კიდევ მოვკრა თვალი სადმეო, მაგრამ არაფერი სჩანდა.

შევიდა სახლში. რაღაც სიცივე იგრძნო უადამიანო ბინაში გული შეუღონდა. თითქო რაღაც სიბნელე ჩამოწვაო თავში.

სამის ნახევარი იყო. ცეცხლი შეანთო, ფეხსაცმელები გაიხადა და ბუხართან ჩამოჯდა.

არ ეძინებოდა. ძალიან აფიქრებდა ამაღამდელი შემთხვევა. ახლა უკვე ნათელი გახდა მისთვის მურადის გადარევის მიზეზი. უთუოდ იმასაც ასე დაესხნენ თავს. როდესაც იარაღმა აღარ იმოქმედა, მურადი შეშინდა. ალბათ შეებრძოლნენ მას და ამით ადამიანი ჭკუაზე შეაცდინეს...

ანდრომ ნაგანი ამოიღო. ყველა იზალი ჩაქეჭყილი იყო, თუმცა ტყვიები თავის ადგილასაა. მოხსნა ერთი ტყვია და ნახა, რომ მასრაში წამალი არ არის. გასინჯა მეორე, მესამე... ყველა... მაგრამ სულ ცარიელი აღმოჩნდა.

მოაგონდა მურადის ამბავი. იმის ვაზნებიც ასე იყო დაცარიელებული. მაგრამ ვის უნდა ექნა ეს? ანდრომ როცა მურადის ვაზნები ნახა, თავისიც გასინჯა, მაგრამ მაშინ ყველაფერი რიგზე ჰქონდა. მას შემდეგ ვის შეეძლო ამოეცალა ვაზნებიდან წამალი?

ბევრი იფიქრა. არასოდეს და არსად ანდროს თავისი რე-

ოლვერი არ ამოუღია, არც ვისმესთვის გადაუცია, არც სადმე სტუმრად ყოფილა. მაშ როგორ, რა საშუალებით მოახერხეს ეს.

ეჭვიც ვერავისზე მიიტანა...

კიდევ კარგი, რომ მეორე რევოლვერი აღმოაჩნდა, თორემ შეიძლება მურადის დღეში ჩავარდნილიყო. ან უარესიც დამართოდა. ყველაფერი შესაძლებელია.

მთელი ღამე არ დაუძინია. იჯდა ბუხართან და სულ ამ შემთხვევაზე ფიქრობდა. ეძებდა ამ ბნელი ამბის გმირებს, მაგრამ ვერ პოულობდა.

— უთუოდ მართალი იყვნენ ზოგიერთები, როცა ირწმუნებოდნენ, ქაჯი ენახეთო — სთქვა ანდრომ თავისთვის. მოაგონდა კომკავშირელი შაქირი, რომელიც ყველაფერს იფიცებდა, ენახე ბანჯგვლიანი ქაჯიო. მართალი ყოფილა შაქირი. მას მართლაც უნახავს რაღაცა. ნაილემც ხომ უამბო ანდროს, რომ ჩვენში რამდენიმე კაცი გაადელეს, გააგიჟეს ქაჯებმაო. არც ნაილეს სწამდა ქაჯის არსებობა, მაგრამ ფაქტებს სად გაექცეოდა. მეორე რევოლვერი რომ არ აღმოჩენოდა ანდროს, მაშინ კიდევ დიდხანს დარჩებოდა საიდუმლოდ „ქაჯების“ საქმიანობის ამბავი.

ბევრი რამე მოიგონა. ბავშვობისას მასაც გაუგონია კუდიანების, ქაჯების, ეშმაკებისა და ჭინკების შესახებ. ბევრჯერ შეშინებია, როცა ღამით გზაზე ან გზის პირას გაგდებული ხის კუნძი დაუნახავს, ან წყლის პირას ბუჩქებს შუა ჩამჯდარი თეთრი ქვა, რომელიც მართლაც შიშველ ქალს ჰგავდა. ბევრი შიში უნახავს, მაგრამ შემდეგ, როცა წამოიზარდა და ყველაფერს გაეცნო, შიშიც გაქრა. ის პირდაპირ მიდიოდა იმ საგანთან, რომელიც მას შორიდან საშიშ საგნად ეჩვენებოდა. მივიდოდა და როცა ნახავდა ხის კუნძს, ან ქვას, ან გადმოსრილ ბუჩქს, დამშვიდდებოდა და შიშიც გაუვლიდა.

ასე შეებოდა მუდამ და არასოდეს არ შეყრია ასეთ შემთხვევას.

გაახსენდა: ერთხელ მის სოფელში შეაშინეს ბავშვებმა ბავშვი, რომელსაც შიშზე ენა გამოუვარდა გარეთ. ველარც სჭამდა, ვერც სვამდა, ვერც ლაპარაკობდა. პირღია და ენაგადმოგდებული დადიოდა.

მოარჩინეს ის ბავშვი ექიმებმა.

ისევ შეშინებით მოარჩინეს: მარტოდ დატოვეს თურმე ერთ ოთახში და შემდეგ მასთან დათვი შეუშვეს კბილდაკრეჭილი.

როცა ბავშვმა დათვი დაინახა მისკენ მიმავალი, ვაი, შესძახა და გადმოვარდნილი ენა პირში მოემწყვდა .

დათვის ტყავში შემოსილი ექიმი მაშინვე გამოვიდა და მის მაგივრად ბავშვის მშობლები შეეიდნენ.

— იქნებ მურადიც მოარჩინოს შიშმა.—თქვა ანდრომ თავისთვის.

დაფიქრდა.

მართლაც შეიძლება მისი მორჩენა. წავიდეს უნდა თბილისში. უსათუოდ უნდა წავიდეს. მივიდეს, უამბოს ექიმებს მურადის შეშლის მიზეზი, უამბოს მის მიერ ნახულის შესახებ და იქნებ გაუადვილდეს ექიმებს წამლობა.

გადაწყვიტა და ოდნავ დამშვიდდა.

კარგად გათენებული არ იყო, რომ წამოდგა, ჩაიცვა, პალტო მოისხა და გამოვიდა. წავიდა წუხანდელი შემთხვევის ადგილას, რომ ენახა, ემჩნეოდა თუ არა რამე იქაურობას.

მივიდა იმ ბუჩქთან ,სადაც პირველად მკვდარი კატა ეგდო. დახედა. სველ მიწას შავი ბეწვები მიკვროდა. რამდენიმე ბეწვი აიღო ხელში. შემდეგ გადაიხედა იქეთ, საითაც კატა გადაგდო, მაგრამ იქ ვერაფერი ნახა. მიწას ცხენის ფეხის კვალის მსგავსი კვალი აჩნდა. ერთი უფრო განიერი, მეორე უფრო ვიწრო. კარგად დააკვირდა, ეს ადამიანის ფეხის კვალს არ ჰგავდა, ძალიან გაუკვირდა. ცოტა ქვევით, ქვიშაზე, სისხლი ნახა და ესიამოვნა.

— სჩანს ნაყოფი გამოუღია გასროლას—თქვა და გაჰყვა სისხლის კვალს, რომელმაც ხევში მდინარეზე ჩაიყვანა და შემდეგ დაიკარგა.

ანდრომ თავი ჩაიქნია. ამოვიდა ხევიდან და საბჭოსაკენ წავიდა. თუმცა ჯერ კიდევ ადრე იყო და იცოდა, იქ არავინ დაუხვდებოდა.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

I

ნაილე ყურადღებას არ აქცევდა ახმაურებული ქალაქის მოძრაობას. თითქო რამდენჯერმე უნახავს აქაურობა, თითქო ისიც ამ ქალაქის შვილია და მისი აღზრდილი. არც მატარებლით მგზავრობას მოუხდენია შთაბეჭდილება. ერთხელაც არ გაუხედავს ფანჯარაში. გამყოლთან ერთად ეჯდა ძმას გვერდით და ხშირად უწმენდდა პირზე მომდგარ დუჟს. უსწორებდა ტანსაცმელს და აწოდებდა წყალს.

მურადი აღარ იბრძოდა. ამდენი ხნის ბრძოლას არაქათი გამოეცალა მისი ორგანიზმისათვის. ერთი კვირის უქმელობას ეს ჯანლონით საკუთ ადამიანი ჩეარივით გაეხადნა. თვალები ჩასცვენოდა, სახე ეასცრეცოდა და მუხლები მოჰკვეთოდა. ის ხანდახან აღშფოთდებოდა, საკუთარ ხელებს შეებრძოლებოდა, ტანსაცმლის შემოხევას დაიწყებდა, მაგრამ საკმაო იყო ოდნავ წინააღმდეგობის გაწევა, რომ დასუსტებული ხელები ისევ მუხლზე დაეწყო და სხვის ბრძანებას დამორჩილებოდა.

ნაილე შეჩვეოდა ამ მდგომარეობას. ახლა აღარ აშინებდა ძმის თვალები, აღშფოთება და პირუტყვეული ზმუილი.

ახალგაზრდა ფერშალი, რომელიც მას ბათუმიდან თბილისში მიაცილებდა, ძლიერ უწყობდა ხელს, მუდამ გვერდით ეჯდა ავადმყოფს და თავს დასტრიალებდა.

თბილისის სადგურზე არ დარჩენილან დიდხანს. გამცილებელმა ეტლი დაიქირავა და სულის ავადმყოფთა სამკურნალოსაკენ წაიყვანა.

დილა იყო. არაჩვეულებრივი საავადმყოფო არაჩვეულებრივი ავადმყოფებით იყო სავსე. აქაური რეჟიმი სრულიად განსხვავდებოდა იმ რეჟიმისა და წესებისაგან, რომელიც ნაილემ ბათუმის საავადმყოფოში გაიცნო.

ექიმებიც სხვანაირი მოეჩვენა, მოსამსახურეებიც. თვით მორთულობაც სხვანაირი იყო. საავადმყოფოს დიდ ეზოში ავადმყოფები დასეირნობდნენ. ისინი ძალიან განირჩეოდნენ თავიანთი საქციელით ერთი მეორისაგან. დადიოდნენ თავთავისთვის, ელაპარა-

კებოდნენ თავისთავს, ზოგიერთი სკამზე ჩამომჯდარი რაღაცას ბუტბუტებდა. აგერ ერთი შეზვინულ სილას მისდგომოდა და მოსთქვამდა. აღვარღვარებდა ცრემლებს და თავში იცემდა ხელს. „ჩემო ბიჭუნია. ჩემო მშვენიერო, რა გინდა ამ სილაში, ამოდი ზევით". ამბობდა ის. შემდეგ გადაიხარხარებდა. სილაში თევზებია, ჩემი შვილი კი ჩემს ბაღში დახტისო, ხითხითებდა და კრეჭდა კბილებს. შვილო, ჩემო ბიჭუნიაო, შეიძახებდა შემდეგ და ისევ დაემხობოდა მიწაზე.

მეორეს ვედრო დაეჭირა ხელში, ონკანთან იდგა, ავსებდა წყლით ვედროს და ასხამდა უფსკერო კასრში. უკვირდა, რომ კასრი არ ივსებოდა. ამ მუშაობას ის ძალიან ბეჯითად ასრულებდა და საშინლად ჯავრობდა, თუ ვინმე მის ხელის შეშლას მოისურვებდა.

ერთი ავადმყოფი, მიმჯდარი ხის ძირში, ვეებერთელა წიგნს ჩასჩერებოდა, იმეორებდა და იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას და თუ ვინმე ახლო გაუვლიდა, შეაჩერებდა და კამათს დაუწყებდა. ელაპარაკებოდა ფარშავანგების ცხოვრებაზე, ლომებთან ბრძოლაზე. შემდეგ რაღაც სხვა საგანზე გადავიდოდა და ყველაფერს ერთმანეთში აურევდა.

მაღალი ტანის ახალგაზრდა ჩქარი ნაბიჯით დადიოდა. ხანდახან აძუნძულდებოდა, ირბენდა კარგახანს, შემდეგ შეჩერდებოდა და ქადაგებას მოყვებოდა.

— მიღალატა. მიღალატა მაგრამ—ამბობდა ის,—მერე რა? ვინ იტყვის, რომ მე მოღალატე ცოლი მყავს? თალიკოს თავს არავის დავანებებ. თალიკო, თალიკო!—გასძახებდა ვილაცას. — თალიკო კი არა, მღვდელი ყოფილა... ა ხუცესო, სეფის კვერი, თუ ამისთვის გეწვის... ხა, ხა, ხა. - დიაკონი ყოფილა.—ჩაიკუზებოდა და ოთხზე დადგებოდა. შემდეგ მოზვერივით აზმუილდებოდა.

ნაილემ მაღლიდან გადახედა მათ. ძალიან შეებრალა ისინი. გული აუჩუყდა. წარმოიდგინა თავისი ძმა იმათ შორის. ცეცხლი შემოენთო გულზე. თვალებიდან ცრემლები გადმოცვივდნენ და ლამაზი სახე დაულარეს.

ექიმებმა მურადი გასინჯეს, ჩაწერეს, მიიღეს და ნაილეს უთხრეს, რომ შეუძლია წავიდეს. მურადის ამბებს შემოგითვლითო. შეპირდნენ.

ნაილემ ვერაფერი უთხრა ექიმს.

ერთმა მსახურმა ხელი მოჰკიდა მურადს და მეორე ოთახში გაიყვანა. მურადი უსიტყვოდ დაემორჩილა მას. თავისი დიდრონი თვალები ნაილესაკენ მოატრიალა და ისე დაუწყო ცქერა, თითქო

ეველრებოდა: ნუ დამტოვებ მარტოდ ამათ ხელშიო. სწორედ ეს ამოიკითხა ნაილემ ძმის თვალებში და როცა ის თვალები კარებს იქეთ მიეფარა, ნაილემ ველარ მოითმინა, ყველაფერი დაავიწყდა და თავშეუკავებელი ქვითინი მორთო.

შემოეხვივნენ აქეთ-იქედან. დაუწყეს დამშვიდება. აიმედებ დნენ, არაფერი უჭირს მურადს აქ, მალე განიკურნებაო, მაგრამ ნაილეს დამშვიდება მაინც ვერ შესძლეს. ძმის თვალები ახლაც წინ ედგა და საშინელი საყვედურებით მისჩერებოდა, თითქო ეუბნებოდა, რად მომიყვანე აქ, რად მომიძულე, ნუთუ ასეთი სიყვარული გქონდა ჩემიო; ვერ დაიმშვიდა დიდხანს გული. ბოლოს ექიმებს დაუვარდა ფეხქვეშ.

შეიბრალონ საწყალი ობოლი ქალი! ერთი ძმის მეტი არაფერი ჰყავდა. თუ ამ ძმას დაკარგავს, სჯობს სიცოცხლე დაკარგოს. მისცენ ნება დარჩეს აქ, საავადმყოფოში. თვითონ მოუელის თავის ძმას, სხვებსაც მოუვლის. ოღონდ მისცენ აქ ცხოვრების ნება. ემსახურება ყველას, გააკეთებს ყველაფერს. ნუ დაიზარებენ მისთვის ლუკმა ჰურს. გადაიხდის ნაილე ყველაფერს. სახლი აქვს სოფელში, ძროხა ჰყავს, ქონება აქვს, ყველაფერს გაყიდის და აქ მოიტანს.

ყველას გული დასწვა ნაილეს სიტყვებმა. მომვლელი და პრაქტიკანტი ქალები ააცრემლა.

ერთი საშუალო ტანის, ლაჟვარდი სახის, თეთრხალათიანი ქალიშვილი მივიდა ნაილესთან, ხელი მოჰკიდა, ააყენა და იქით გაიყვანა.

— ნუ გეშინია ქალო,—უთხრა მან,—აქ ადამიანებს კი არ ჭლავენ, არამედ ჰკურნავენ. ვინ იცის, შენი ძმა შეიძლება მალე მორჩეს. ბევრია ასეთი შემთხვევა.—თავზე გადაუსვა ხელი და ჩამოშლილი თმები გაუსწორა.

ნაილემ ცრემლიანი თვალები შეანათა კეთილ ადამიანს. ასეთი ადამიანების თანაგრძნობამ მასში ოდნავ იმედი გააღვიძა. ამ ქალიშვილის სიტყვებმა გაამხნევა, თან გულიც აუჩუყა და აქვითინდა. ქალიშვილმა ხელი მოხვია და მკერდზე მიიყრდნო ნაილეს თავი. მშობელივით მიუალერსა და ამ ალერსმა ენისგან გამოუთქმელი სიამოვნება და სიტკბო აგრძნობინა ნაილეს. ასეთი თბილი სიტყვა მისთვის ჯერ არავის ეთქვა. გაკვირვებული იყო, რატომ იჩენდნენ მისდამი ასეთ ყურადღებას. რა ევალება ვილაც უცნობს, ასე მოეპყრას ვილაც აქარელ გოგონას, რომელსაც არც იცნობს, არც რაიმე პატივისცემა ახსოვს მისგან.

სჩანს განწირული არ ყოფილა ნაილე. წამოსვლისას კი დაა-

ბედა ანდრომ: ნუ გეშინია, ყველგან მოგხედავენ, მიგიღებენ, დაგეხმარებიანო. როგორ იფიქრებდა, თუ ამდენი პატივით მოეპყრობოდნენ.

რამდენიმე წუთს იდგა უხმოდ. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, წაყოლოდა ისევ ბათუმში მხლებელს თუ...

სხვა გზას ვერც ხედავდა. ძმასთან ახლოს ყოფნა არ შეიძლებაო, უთხრეს. არც ვინმე ყავდა ამ ქალაქში ნაცნობი.

— ჩემთან წაგიყვან. ერთად ვიცხოვროთ—შესთავაზა ახალ გაცნობილმა ქალიშვილმა ნაილეს. ექიმს სთხოვა ნება მიეცა ნაილესათვის სამსახურის გათავებამდე დარჩენილიყო საავადმყოფოში.

ახლა ნაილე უფრო დაუკვირდა აქაურ ცხოვრებას; ნახა გიჟი ქალები. ყველას სხვადასხვა შეშლილობა ახასიათებდა. იყვნენ ისეთებიც, როგორიც მურადი, ენაჩავარდნილნი, თვალებამღვრეულნი, ზოგჯერ დამშვიდებულნი და ზოგჯერ გაშმაგებულნი.

უყურდა ნაილე, უცქერდა ამ სურათს და განუწყვეტლივ ტიროდა. ებრალებოდა ძმა, რომელიც ასე საშინელი სენით გამოეთიშა და ბედის ანაბარა დასტოვა ისედაც ობოლი ნაილე.

ქალიშვილი ადრე განთავისუფლდა. გამოვიდა სადაც ნაილე იცდიდა, ხელი მოჰკიდა და გამოიყვანა.

ჭირისუფალი რომ საყვარელ არსებას დაასაფლავებს და გამობრუნდება, ისე გამოვიდა ნაილე საავადმყოფოდან. ცრემლებიანი თვალებით მოუხედა ვეებერთელა შენობას, რომელიც სავსე იყო განწირული ადამიანებით.

— ნუ იდარდებ ქალო,—მიმართა ქალიშვილმა ნაილეს.— გეყოფა ცრემლები. ექიმები ამბობენ, რომ მალე მოვარჩენთო.— იცრუა მან.—მეც ბევრი მინახავს, რომ მოარჩინეს.—შემდეგ დაწვრილებით გამოჰკითხა მიზეზი მურადის დაავადების.

მიეიდნენ ბინაზე. მხოლოდ ამ მგზავრობის დროს შეამჩნია ნაილემ ქალაქი, მოძრაობა, ხმაურობა, ხალხი, მანქანები, მაღალი და განიერი სახლები, ტრამვაის ვაგონები და ავტომობილების სრიალი. წუთით დაავიწყდა ყველაფერი და მთელი არსებით გაითქვიფა მოძრაობაში.

ნაილეს მასპინძელი ქალიშვილი მარტოდ ცხოვრობდა. პატარა და ვიწრო ბინა ჰქონდა მესამე სართულზე. ეტყობოდა, რომ ეს ბინა წინათ სამზარეულო ყოფილიყო, საცხოვრებლად შემდეგ გადაეკეთებინათ. მიუხედავად სივიწროვისა ლამაზად იყო მორთული, კედლებზე მრავალი სურათი ეკიდა. მაგიდაზე უამრავი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

— რა გქვია შენ?—ფრთხილად ჰკითხა ნაილემ ქალიშვილს,

როცა უკანასკნელმა სადილი, მოამზადა და პატარა მაგიდაზე დააწყო.

— თამარი.—მიუგო მასპინძელმა.

— თამარი. კარგი სახელია. თამარი მეფეც ყოფილა წინათ, მეც გამიგონია—და რაც იცოდა ყველაფერი უამბო.

მეორე დღეს ადრე წავიდა თამარი. მორიგე ვარო, მალე დაებრუნდებიო, შეპირდა. ნაილეს უნდოდა წაყოლოდა, გაეგო ძმის ამბავი, მაგრამ თამარმა უარი უთხრა.

— ამბავს თვითონ მოგიტან. დღეს დაისვენე, დამშვიდდი, ხვალ კი უსათუოდ წაგიყვან, ძმასაც გაჩვენებ, ექიმებსაც მოველაპარაკოთ,—უთხრა მან.

ახალდაჭერილ ფრინველივით გრძნობდა თავს ნაილე. მთელი დღე ტიროდა, ცრემლებმა დაუწითლა თვალები და დაულარა სახე.

თამარი მოგვიანებით დაბრუნდა. მოგონილი ამბავი მოუტანა ძმის შესახებ. ექიმებმა იმედი მომცესო, მალე მორჩებაო, მაგრამ სიმართლე კი შემდეგ გაუმხილა. რომ იცოდნენ დაავადების მიზეზი, მაშინ შეიძლება მორჩენაო, ისე კი... უსარგებლოა ყველაფერიო.

მოწყდა უკანასკნელ იმედის ძაფზე დაკიდებული გული ნაილეს, და ჩავარდა. ჩავარდა სადღაც უფსკრულში. აქვითინდა, მაგრამ ცრემლები აღარ აღმოაჩნდა. ამომშრალიყო თვალის უპეები.

მაინც ანუგეშა თამარმა.

— ეცდებიან ექიმები, სხვადასხვანაირად მიუდგებიან და შეიძლება გასჭრას. ადამიანზე ახლა ისე ზრუნავენ, რომ არ დაღუპავენ. ტირილი და ცრემლები არავის არგებს. რას იზამ, უნდა შეეგუო და შეურიგდე მდგომარეობას.

ნაილე ქვითინებდა და ისე უსმენდა.

— ერთი ძმის მეტი რა გამაჩნია.—სადღაც კუნჭულში ჩარჩენილი ცრემლები კიდევ ამოსწურა ნაილემ და ამ სიტყვებს ამოაყოლა.

ახლა თამარსაც მოაგონდა საკუთარი ძმა.

— მართლა, ხვალ ჩემი ძმა მოდის. დეპეშა მივიღე.—უთხრა ნაილეს მან და ოთახში მიიხედ-მოიხედა—მაგრამ არა უშავს. ჩვენ ერთად დავწვებით, ის კი იატაკზე მოვათავსოთ, ორი დღე დარჩება—წამოდგა და სუფრა გააწყო.

მთელი დღე არაფერი ეჭამათ. თუმცა ნაილეს არაფერი უნდოდა. როგორც იყო, ორიოდე ლუკმა მაინც შეჭამა და ცივი წყა-

ლი დააყოლა.

საღამოს თამარი მაგიდას მიუჯდა. უცნაური და საშინელი წიგნები ელაგა ამ მაგიდაზე.

ნაილე შორიდან ხედავდა და უკვირდა, როცა ასეთი ქალიშვილი, რომელიც ანგელოზს უფრო ჰგავდა, ვინემ ჩვეულებრივ ქალს, კითხულობდა ისეთ წიგნებს, რომელშიაც მხოლოდ შიშველი ადამიანები იყო დახატული. სრულიად შიშველი—ნაილეს ასეთი სურათები თავის დღეში არ ენახა. აი, აგერ მამაკაცის სურათი. შიშველი მამაკაცი. მეორე ადგილას კი დედაკაცის სურათია, სხვადასხვა პოზაში, ზოგს მუცელი გამობერვია, ზოგი... ნაილეს შერცხვა, გაწითლდა და პირი იბრუნა.

— რატომ კითხულობს ასე გულმოდგინედ თამარი ამ წიგნს. —გაიფიქრა მან. ეწყინა, რომ ასეთი კეთილი ქალიშვილი ასეთ წიგნებში ყოფილა გართული. ამას არ სჯობია იკითხოს ისეთი წიგნები, ქეთო მასწავლებელი რომ კითხულობდა?—„ვეფხის ტყაოსანი", ან „თამარიანი", ან კიდევ სხვა... უფრო ახლო რომ იცნობდეს თამარს და კარგად იცოდეს მისი ხასიათი, ამ წიგნებს დაუხვევდა. რა ქალის საქმეა ასეთი წიგნები. გარყვნილი კაცებიც არ იკადრებენ იმათ წაკითხვას.

დააკვირდა თამარს და დიდხანს უცქერდა.

მერმე, როგორ დაბეჯითებით კითხულობს. თვითეულ სურათს რამდენიმე წუთით აცქერდება. შემდეგ რაღაცას იწერს ქაღალდზე და კიდევ სურათს უცქერს.

— ფუ!—გვერდზე გააფურთხა ნაილემ.

შუაღამემდე თვალი არ მოუშორებია თამარს წიგნისათვის და, როცა ქალაქის საათმა თორმეტი დარეკა, მაშინ წამოდგა.

— ბოდიში,—უთხრა მან ნაილეს.—სრულიად დამავიწყდა, რომ თქვენ მოსვენება გინდათ. დაწექით, დაწექით შემოგევლე,— მივიდა და თავზე გადაუსვა ხელი.

ნაილეს უფრო დაეწვა გული.

— აფსუს, რა კეთილი ხასიათისაა და...—წიგნები და სურათები მოაგონდა. უნდოდა ეთქვა, ნუ კითხულობ მასეთ წიგნებს, არ შეშვენის შენისთანა მშვენიერ ქალიშვილს მასეთი წიგნების კითხვაო, მაგრამ გადაიფიქრა, იქნებ ეწყინოს და ამან ჩემს საქმეს ავნოსო.

დილით, ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულიყო და, კარებზე კაკუნი მოისმა.

— ჩემი ძმა, მისიჭირიმე!—აღტაცებით შესძახა თამარმა, წა-

მოხტა, კაბა გადაიცვა და კარი ვააღო.

ნაილეს ყურში ჩაწვდა თამარის სიტყვები. კედლისაკენ გადაბრუნდა და თავზე საბანი წაიფარა.

და-ძმა სიხარულით მოეხვიენენ ერთმანეთს. გადაკოცნეს და მიუალერსეს.

— როგორ ხარ დაიკო? როგორ მიდის შენი სწავლის საქმე? —ჰკითხა ძმამ და პალტო მოიხადა.

— კარგად ვარ. ერთი თვით პრაქტიკაზე დავდივარ. არ მოგელოდი. ხომ არაფერი გიჭირს? ჩემი ძამიე—და თამარმა კიდევ აკოცა ძმას.

— სასწრაფოდ წამოვედი, ძალიან დიდი საქმე მაქვს.—უთხრა ძმამ. პალტო მიაკიდა და დაჯდა.

— ნაილეს მოეჩვენა, რომ ამ კაცის ხმა მისთვის ძალიან ნაცნობი იყო. ფრთხილად გადმობრუნდა, უნდოდა გამოეჭვრიტნა, მაგრამ ცოტა კიდევ დაიცადა.

— ერთი ავადმყოფი გადმოვგზავნეთ რაიონიდან და იმას მოვაკითხე. სულით ავადმყოფია. საავადმყოფოში იქნება. შენ გეცოდინება სადაა ის-საავადმყოფო. უნდა წამყვე.

— მეც იქ დავდივარ პრაქტიკაზე. წაგიყვან.—შემდეგ გაიხედა ლოგინისაკენ, რომელზედაც ნაილე იწვა.—სტუმარი ქალიშვილი მყავს.—ჩუმად უთხრა ძმას და ანიშნა საწოლისაკენ.

— სტუმარი?—ჩუმად შეეკითხა ძმა.

ნაილემ ჩუმად ასწია საბნის ყური და გამოიჭვრიტა. მკრთალ შუქზე მან ნაცნობი სახე დაინახა, და გული საშინლად აუძგერდა.

— ანდრო!—წამოიძახა და ლოგინიდან მოურიდებლად წამოყო თავი.

— ნაილე!..

თამარი სახტად დარჩა. ხან ძმას შეხედავდა, ხან ნაილეს და გაკვირვებული აცეცებდა თვალებს.

მალე ყველაფერი გასაგები გახდა თამარისთვისაც.

ანდრო იმავე დღესვე წამოსულიყო და რომ გაეგო თბილისში გაგზავნეს მურადიო, დეპეშა გამოეგზავნა დისთვის, მოვდივარო.

ნაილეს თითქო მხსნელი გამოეცხადა. იმედი მიეცა. აღარ გრძნობდა თავს უპატრონოდ. იცოდა, რომ რახან ანდრო ამოვიდა, მას არ დატოვებს უყურადღებოდ. აღარც თამარია ახლა მისთვის უცხო. არ მოერიდება. არც თავისი მდგომარეობის გამხელა გაუჭირდება, არც მასთან დარჩენა დაეხათრება. ამათი ოჯახი ერთია ახლა. ანდრო მისი ძმაც არის. ასე რომ არ იყოს, უცხო კაცს როგორ მოეხვეოდა, უცხო კაცთან როგორ გაბედავდა ლოგინიდან

წამოდგომას. თამარი ახლა ნაილეს დაც არის. თამარი... რა კეთილი გულის ადამიანია! ანდროსავით დაკვირვებული და მოხერხებული. რატომ ამდენხანს ვერ იცნო მან ეს ქალიშვილი. ანდროს ხომ უთქვამს მისთვის, შენოდენა დაი მყავსო. ან სახით როგორ ვერ ამსგავსა. თამარი ხომ ძმის ასლია. სულ მას ჰგავს. ისეთი პირსახე, ისეთივე თვალები. ახლა რომ უცქერს ორივეს ერთად, უკვირს, რატომ ამდენხანს ვერ მოისაზრა გვარის კითხვა. ან ძმის სახელი რატომ არ ათქმევინა.

თამართან მივიდა. მოეხვია, გულზე მიიკრა და ქვითინით ალუღლუღდა.

— თუ მიკადრებ, ჩემი დაი იქნები თამარ, თქვენს მეტი არავინ მყავს ქვეყანაზე.—ისევ იპოვა ცრემლები ამომშრალ თვალებში, ისევ ატირდა.

ანდრომ დაამშვიდა, დააიმედა ნაილე, თამარს კი ცალკე უამბო ყველაფერი, რაც იცოდა და გადახდა მას სოფელში.

— ამბობენ, დაავადების მიზეზი რომ ვიცოდეთ, ადვილად მოვარჩენთო, ყველას ძალიან ეპრალება საცოდავი. უჭმელობასა და ბრძოლას ძალიან დაუსუსტებია. თუ დროზე არ უშველეს, შეიძლება კიდევაც მოკვდეს.

ამ სიტყვებს თამარი რუსულად ელაპარაკებოდა ძმას, რაც ნაილესათვის გაუგებარი იყო, მაგრამ ის სახეზე ატყობდა ორივეს, რომ არასასიამოვნო ამბავს უამბობდნენ ერთმანეთს და ეს ამბავი მურადს შეეხებოდა.

— ეს ქალი უფრო მეცოდება,—უთხრა დას ანდრომ—არავინ ყავს.—შემდეგ მოუყვა თუ როგორი ხასიათის, ენერგიისა და ნიჭის პატრონია ნაილე.

როცა ანდრო ნაილეზე ლაპარაკობდა, თამარი ნაილეს უცქერდა. მისი დიდრონი შავი თვალები, ოდნავ მალალი ცხვირი, მოხდენილი სახე, თანდათან უფრო და უფრო ლამაზი და მოხდენილი ეჩვენებოდა. ფიქრობდა, სხვა მოსაზრება ხომ არ აქვს ჩემს ძმას ამ ქალიშვილზეო. ანდროსაც ახედ-დახედავდა. თითქო ადარებდა, შეეფერებიან თუ არა ერთმანეთსო.

კარგა ხანს ლაპარაკობდნენ. თამარმა ჩაი მოამზადა და სუფრა გააწყო. ისაუზმეს. საუზმის შემდეგ ანდრო და თამარი საავადმყოფოში წასასვლელად მოემზადნენ, ნაილეს ურჩიეს დარჩენილიყო, თვითონ მოუტანდნენ ამბავს, მაგრამ რადგან ნაილემ სთხოვა წაეყვანათ, არც ანდროს უთქვამს უარი.

ტრამვაი სავსე იყო ხალხით. ძლივს მოახერხეს შესვლა ერთ ვაგონში. ჩამობმულ ღვედებზე რამდენიმე კაცის ხელი ებლაუჭე-

ბოდა, ერთმანეთს აწვებოდნენ; ჩამოსელისას ძლივს გამოდიოდნენ კარებში და ქუჩებში იბნეოდნენ.

თამარი და ნაილე ერთად იდგნენ, ანდრო უფრო წინ გაჩერებულიყო, ფანჯარაში იცქირებოდა, რომ დანიშნულ გაჩერებასთან ენიშნებინა მხლებლებისათვის. ის ხშირად მოუხედავდა მის უკან გაჩერებულ ნაილეს, არ გამეგებინა, ფიქრობდა, მაგრამ რატომღაც ყველაფერი შეიცვალა. ხალხი ერთმანეთში აირ-დაირია. ზოგი ჩამოვიდა, ზოგი ამოვიდა და ნაილე უკანასკნელ გაჩერებასთან სრულიად მარტო ჩამოვიდა ძირს.

მიიხედ-მოიხედა, არავინ ნაცნობი... მიტრიალდ-მოტრიალდა. ხან ერთს შეხედა, ხან მეორეს, მაგრამ ვერაფერი გაარკვია. ერთი ნაცნობი სახეც ვერ იპოვა.

წამოვიდა ფეხით. პირდაპირ გამოყვა ტრამვაის ლიანდაგს, მაგრამ შემდეგ ხალხის ზღვაში მოხვდა და თავბრუ დაესხა.

ახლა შეშინდა. სიმარტოვე იგრძნო. თვალებზე ცრემლები მოადგა, მაგრამ გული გაიმაგრა და ცრემლებიც შეიკავა.

— ამდენ ხალხში ადამიანი 'რავა დაიკარგება. ვიკითხავ, მიმასწავლიან—გაიფიქრა და ერთ სქელ ღიპიან კაცს შეეკითხა.

— ვა, აბა რა ვიცი, რამდენი საავადმყოფოა ამ ქალაქში. შენ მიხაილოვცკი გინდა თუ არამიანცკი?—უთხრა ღიპიანმა და გაეცალა.

მეორემ რაღაც რუსულად დაელაპარაკა და როცა ნაილემ ვერაფერი გააგებინა, უცნობმა თავისი გზა განაგრძო.

— ჩემი შვილიც საავადმყოფოშია ჭა.—უთხრა ერთმა მოხუცმა ქალმა და გაიყოლია. მიიყვანა იმ საავადმყოფოში, მაგრამ ეს სულ სხვა საავადმყოფო იყო და იქ სულ სხვა ხალხი დახვდა ნაილეს.

მთელი დღე იხეტიალა, რამდენჯერ კინალამ მოყვა ტრამვაის, ავტომანქანას, რამდენჯერ ეტლი კინალამ დაეჯახა. გამწარდა. გაცეცხლდა. ოფლად გაიღვარა. თითქო მის ჟინაზე გამრავლდა ხალხი და აირია ერთმანეთში. ისევ გაირბინა, რამდენიმე მანძილი, გადავიდა ერთი ქუჩიდან მეორეზე, მეორიდან მესამეზე და ბოლოს ერთ თავისუფალ მივარდნილ ქუჩას მოხვდა. აქ იშვიათად მიდი-მოდიოდნენ. არც ტრამვაის ხაზი იყო, არც მანქანები ჩანდა. ესიამოვნა ასეთი მყუდრო ადგილის აღმოჩენა და ოდნავ დამშვიდდა.

გაჩერდა, დაფიქრდა. ამდენხანს ფიქრის საშუალებაც არ ჰქონდა, ისე იყო მოგუზგუზე ხალხის ტალღაში ჩალექილი.

რა მოუვიდა ეს? როგორ დასცილდნენ? როგორ დაებნენ? ვაი თუ განგებ ჩაიდინეს! იქნებ იმიტომ, რომ არ უნდოდათ ნაილეს წაყვანა! აკი უთხრეს დარჩიო. რაღაც რუსულადაც ელაპარაკ-

ნენ ერთმანეთს. ვინ იცის, რაზე ლაპარაკობდნენ. ნეტავ არ წამოყოლოდა, დარჩენილიყო შინ, დაეცადა სანამ დაბრუნდებოდნენ.

ახლა კი... ნაილემ თვალი გადაავლო ქალაქს, რომელიც აქედან უფრო კარგად მოსჩანდა.

ზღვა ხალხი და ზღვა სახლები. ვის იპოვის აქ კაცი. ერთმანეთსაც არ იცნობენ, რამდენ კაცს კითხა ანდროსა და მისი დის თამარის შესახებ.

ვერავინ უპასუხა. ზოგიერთებმა სასაცილოდ აიღეს. ათასი ანდრო და ათი ათასი თამარი იქნება ამ ქალაქშიო, უთხრეს.

გაუკვირდა.

ნუთუ ანდროს არ უნდა იცნობდნენ. სოფელში ყველა ანდროზე ლაპარაკობს. ბათუმში ანდროს მიერ დაწერილ ქაღალდით სადაც მივიდა, ყველგან პატივით მიიღეს და დახმარება აღმოუჩინეს. აქ კი...

მუხლები მოკვეთოდა.. მოშიებოდა და თან სწყუროდა. ოფლისაგან სულ დასველებულიყო და ახლა ცივი ქარი რომ უბერავდა, საშინლად აკანკალებდა.

ღამდებოდა. ქალაქში თანდათან მეტი და მეტი ელნათურები ჩნდებოდნენ. ბოლოს ვარსკვლავებით მოქედილ ცას დაემსგავსა იქაურობა. შორიდან ორკესტრის ხმა მოისმოდა. ეს ხმა უფრო უსევდიანებდა და უღონებდა გულს. ის ახლა განწირულ ადამიანის პოზაში იდგა და ისე უცქერდა ამ სიცოცხლით სავსე ქალაქს, თითქოს მასში საშინელებას ხედავდა.

ფიქრი ვერ უშველიდა. ერთ ადგილას გაჩერებით არაფერი გამოვიდოდა და ისევ უკან გამობრუნდა. წამოვიდა იქითკენ, საიდანაც უფრო მეტი ელნათურები მოსჩანდა.

მოდიოდა ჩქარა, მაგრამ ხანდახან გაჩერდებოდა და დაფეთებულ თვალებს მიმოავლებდა იქაურობას.

ქუჩები ერთმანეთს გვანდნენ, სახლებიც ეთნაირი იყო, ხალხიც ერთმანეთის მსგავსი. ყველგან სხვადასხვანაირ ენაზე ლაპარაკობდნენ. ისმოდა ქართული, რუსული, სომხური, კიდევ რაღაც სხვა ენები. ნაილე მხოლოდ ქართულს ხედებოდა მათში.

ისევ აირია ქუჩები, ხალხი, მანქანები, ჭაღები, ელნათურები, სახლები, ისევ გაუცნაურდა ყველაფერი და აკრეფდა.

ამდენ ხალხში არავინ გამოჩნდა ისეთი, ნაილესთვის რომ ყურადღება მიექცია, გამოეკითხნა, გზა ესწავლებინა. ყველა მოკლე პასუხს აძლევდა, თითით უჩვენებდა, აქეთ წადით, იმას ჰკითხეთო.

ისევ მოიქანცა, ისევ დასველდა ოფლით ტანსაცმელი. ისევ მოეკვეთა მუხლები და ერთ მოფარებულ ადგილას გაჩერდა.

აქვითინდა. ლაპალუპით წამოვიდა ცრემლები თვალებიდან. მოაგონდა მურადი. მოაგონდა თავისი სოფელი, ამხანაგები, მეზობლები. თურმე იქ ყოფილა პედნიერი, იქ, სადაც ყოველი ხე და ბუჩქი ნაცნობია მისთვის, სადაც ბნელ ღამეშიც გამოიცნობს შინისაკენ მიმავალ ბილიკს.

რა კარგია ახლა იქ იყოს! მურადი კარგად ყავდეს! არაფერს არ ინატრებდა, არაფერი არ უნდოდა ამის მეტი. ნეტავ რით გათავდება ეს ამბავი? პოლო ხომ აქვს ყველაფერს. გაჭირვებაც ხომ არაა განუსაზღვრელი. ისიც ხომ უნდა დამთავრდეს, თუნდაც სიკვდილით .ნეტავ რით უნდა დამთავრდეს ეს ტანჯვა?

ნაილემ ვილაცა შენიშნა ვგერდით და მოუხედა.

— ვის ელოდები ქალო,—მიმართა უცნობმა რუსულად.

— რა გრძანეთ?—შეეკითხა ნაილე უცნობს.

— ქართველი ხართ?—და უცნობი უფრო ახლო მივიდა.

— კი.—მოკლედ მიუგო ნაილემ.

— ელოდებით ვინმეს?—თვალებში ჩახედა და მოკლე ულვაშები აიგრიხა უცნობმა. ნაილემ მოკლედ უამბო თავგადასავალი.

— წამობრძანდით. ტყვილა გივლიათ ამდენი. მართალია, ცოტა მოშორებითაა ის საავადმყოფო, მაგრამ წაგყვებით. როგორ შეგშინებიათ...

ნაილეს სახე გაუნათლდა. იმედი მიეცა და უფრო გაბედულად ალაპარაკდა. სთხოვა როგორმე ანდროსას მიიყვანოს. ხომ იცნობს ანდროს? კარგი ლაპარაკი რომ იცის, ახალგაზრდაა. მისი და იქ მსახურობს საავადმყოფოში. მესამე სართულში ცხოვრობს. ბევრი წიგნი უწყვია სახლში.

უცნობი ულვაშებს იგრეხს და ილიმება.

როგორ არა. ანდროს ის კარგად იცნობს, მისი ძველი მეგობარია. მის დასაც იცნობს. როგორ არა, მგონია, მისი სახელი...

— თამარი ჰქვია.—ასწრებს ნაილე.

— დიაღ, თამარი.—თამარს ძალიან კარგად იცნობს. ლამაზი ქალიშვილია, ოდნავ მაღალი.

— არა, საშუალო ტანისაა...

— დიაღ, საშუალო ტანისაა, მხოლოდ დაბალზე უფრო მაღალია.

სკოდნია. მაშ ნაილეს აღარაფერი უპირს. მიყვება უცნობს და ახლა იმას ცდილობს, როგორმე ეს კაცი არ გაებნეს ამ ზღვა ხალხში. სცხვენია, თორემ ხელს მოკიდებდა და ისე წაყვებოდა. თუმცა რა დროს სირცხვილია ასეთ დროს.

უცნობმა თვითონ მოჰკიდა ხელი. ილლიაში გაუყარა მკლავი,

ისე როგორც სხვებს აქვთ, ალბათ ისინიც იმიტომ არიან ერთმანეთზე გადაბმული მკლავებით, რომ ეშინიათ, არ დაიბნენო, ფიქრობს ნაილე.

გაიარეს ერთი ქუჩა, მეორე, მესამე და ბნელ მოსახვევში შეუხვიეს. ალბათ აქეთაა გზა. თუმცა აქ ყველგან გზაა, მაგრამ ყველა საავადმყოფომდე კი არ მიდის, არც თამარის ბინამდე.

— ანდროსას მივდივართ?—ცოტა ხნის შემდეგ კითხა ნაილემ უცნობს.

— დიაღ, ანდროსას.—და უცნობი უფრო მიეკრა ნაილეს.

— მაღალ სახლში ცხოვრობს თამარი. აქეთ არის ის სახლი? —დაეკვდა ნაილე.

— აქეთ არის. აი, ცოტა ზევით—თანდათან მიეკრა, მოულოდნელად ორივე ხელი მოხვია და ლოყაზე აკოცა.

ნაილეს სისხლი აუვარდა თავში. მთელი ძალა მოიკრიბა და ისე მაგრად კრა ხელი უცნობს, რომ რამდენიმე ნაბიჯით გააგდო იქით.

უცნობი ამას არ შეუშინებია. მან ისევ სცადა ნაილესთან მისვლა, მაგრამ ქალმა ახლა უარესად შეუტია.

უცნობი, თითქოს აქ არაფერიაო, ისევ მივარდა ნაილესთან, მოეხვია და პირზე დააფარა ხელი.

— წამოდი ჩემთან, ნუ გეშინია, ხვალ წაგიყვან ანდროსთან. ძმასაც გიჩვენებ.—თრთოლვით ეუბნებოდა ის და უფრო მაგრად აჭერდა პირზე ხელს, რომ ხმა ვერ ამოეღო.

ბნელი ქუჩა ხელს არ შეუშლიდა უცნობს თუ მოინდომებდა თავისი მხეცური განზრახვა სისრულეში მოეყვანა. ის ბრძოლით მიათრევდა ნაილეს და თანდათან მიიწევდა დაუსახლებელი ადგილისაკენ.

ნაილე თავგამოდებით იბრძოდა, ცდილობდა როგორმე გაეთავისუფლებინა თავი, მოეცილებინა გამხეცებული ადამიანის ხელი პირიდან, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა, წუთით მოიცილა ხელი პირიდან და მთელი ძალლონით რამდენჯერმე შეჰკივლა.

თითქოს ეს კივილიც დაიკარგა ქალაქის ხმაურში. არსაიდან მშველელი არ ჩანდა და ამან უფრო გაათამამა უცნობი. ბატკანივით მოიგდო ზურგზე ქალი და გააქანა იქეთ, საითაც უფრო მივარდნილი ადგილი იყო.

ახლა განწირულად ჩასთვალა ნაილემ თავი. მას მეტი აღარაფერი დარჩენოდა გარდა სიკვდილისა და გადაწყვიტა ეს სიკვდილი არ ყოფილიყო შერცხვენილი.

კიდევ მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე. წვდა ყელში და ისე მაგრად წაუჭირა, რომ უცნობს ცრემლები წამოსცვივდა თვალთაგან. ზურგზე მოგდებული ქალი მიწაზე დააგდო და მხეცივით დაეტაკა.

სიბნელისა და მყუდროებისაგან გათამამებული უცნობი უკვე ეანარჯვებულად გრძნობდა თავს და არაქათგამოლეულ ქალს ლანდათან იმორჩილებდა, საცა იყო სურვილსაც აისრულებდა, რომ უეცრად ორი ლანდი დადგა მათ წინ.

ნაილემ კიდევ ამოიყვირა გაცვეთილი ხმით და მუხლებზე დაეცა.

— ვინა ხართ?—მრისხანედ შესძახეს მოსულებმა და ჯიბის ფანარი გაანათეს.

— მე ვარ.—დაიღრიჯა უშნოდ უცნობი, ნაილეს მოშორდა და განზე გაჩერდა.

— ვინა ხარ მეთქი!—უფრო უყვირა ერთმა მოსულთაგანმა და რევოლვერი პირთან მიუტანა.

— ვინ უნდა ვიყო, ამხანაგებო? კაცი ვარ.—ისევ დაიღრიჯა უცნობი.

— ეგ ქალი ვინაა?

— ეგ ჩემი... როგორ გითხრათ. ახალგაზრდები ხართ. ნაშაა, რაღა, ნაშა...

— რა გინდათ აქ?—უფრო მრისხანედ იკითხა მეორემ და ფანარი ნაილეს მიანათა.

— რა გინდა, რა საკითხავია?—გაიკვირვა უცნობმა.—ახალგაზრდები არა ხართ? განა თქვენ კი...—და ნაილეზე მიუთითა.—გამიკერპდა რაღა, თითქო პირველად იყოს. ვა, სიყრმეს გეფიცები. ძალიან ავარა ვინმეა.

ნაილე ხმას ვეღარ იღებდა. სრულიად არაფერი გაეგებოდა უცნობის სიტყვებისა. თითქო მართალი ყოფილიყოს, რასაც ის ამბობდა.

— თქვენ ვინა ხართ,—ახლა ნაილეს მიუბრუნდა ახალგაზრდა

— მე, მე.—ნაილეს ცრემლები მოერია და აქვითინდა.

— ფასონსა ჰყიდის რაღა.—გალრეჭით სთქვა უცნობმა და შემდეგ დაუმატა,—გაამოთ ბიჭებო—და წასვლა დააპირა, მაგრამ...

— შესდექ,—მეორე ახალგაზრდამ მიუშვირა რევოლვერი და გააჩერა.

უცნობი აიბუძგა.

— ვა, მე რა დამიშავებია. გაამოთ მეთქი, სხვა რაღა გინდათ. კარგი ნაჭერია რაღა, ისიამოვნეთ.

— გაჩუმდი მეთქი,—კვლავ შეუტია ახალგაზრდამ და შემდეგ ამხანაგს მიუბრუნდა:—თვალი ადევნე, არსად გაიპაროს.

— ვინა ხარ, ქალო, არ იტყვი? რის გეშინია! ნუ სტირი, მხეცებთან ხომ არ ხარ! სადაური ხარ?

— აჭარელი.—ძლივს ამოილუღლუღა ნაილემ და ხელები სახეზე აიფარა.

— აჭარელი?!—გაკვირვებით შესძახეს ალახგაზრდებმა.

— ჰო, ბათუმს იქითაა ჩემი სოფელი.

— რაზე ჩამოსულხარ? როგორ მოხვდი აქ?

ნაილემ სული ამოითქვა. ტანსაცმელი გაისწორა და ვერე უპასუხა:

— ძმა ჩამოვიყვანე, ავადმყოფი ძმა და...—ქვითინით უამბო თაეგადა! ავალ ..

— მაშ თქვენ ბრძანდებით ასეთი კეთილი ადამიანი, რომ გზას ასწავლით უმწეო ადამიანებს?!—მიუბრუნდა ერთი ახალგაზრდა უცნობს და მუშტი ცხვირთან მიუტანა.—წამობრძანდით!—უთხრა შემდეგ ნაილეს. ჩვენთან ნურაფრის გეშინია. კომკავშირელები ვართ. იცით რაა კომკავშირი?

— ვიცი. მეც კომკავშირელი ვარ. ჩვენს უჯრედში ორი ქალი ვართ კომკავშირელი.—იმედი მიეცა ნაილეს. ახლა მოაგონდა, რომ კომკავშირელია, რომ ქალაქში კომკავშირის ორგანიზაციებია, აქვეა ცეკაც. აქვეა მთავრობა. რატომ არ მოისაზრა ეკითხნა კომკავშირის ცეკა? მისულიყო, ან მთავრობისთვის მიემართნა? რა სისულელე ჩაიდინა, რომ ასე იხეტიალა ქუჩებში. ახლა ნანობს, მაგრამ უკვე გვიანაა. ამდენხანს მოეფიქრებია! ვერ ვყოფილვარ კარგი კომკავშირელიო,—გაიფიქრა... უსაყვედურა თავს.

წამოვიდნენ ქალაქის ცენტრისაკენ. ნაილე ძლივს მოადგამდა ფეხს. ძალიან დასუსტებულიყო. მთელი დღე დადიოდა აღმადაღმა. მშიერი, მწყურვალი, თუმცა ვის ახსოვდა ჭამა-სმა. ახლა კი ყველაფერმა უწია. დაღლილობაცა და შიმშილიც ერთად იგრძნო.

ნაილე ოდნავ დამშვიდებული იყო. თავისთავს აღარ დასტიროდა, მაგრამ ახლა თამარისა და ანდროს შეწუხება აფიქრებდა. ვინ იცის, რას იფიქრებდნენო, როგორ შესძრავდნენო ყველაფერს. სწუხდა, ნანობდა და სთხოვდა ახალგაზრდებს, როგორმე წაეყვანათ ანდროსას.

ძნელი იყო ასე მიგნება, არც ქუჩის სახელი იცოდა ნაილემ, არც ანდროს გვარი ახსოვდა.

ხვალ დილით მიგიყვანთ საავადმყოფოში და იქედან ყველაფერს გავიგებთ. ამალამ კი წამოდით. ჩვენ ქალიშვილებთან მოგა-

თავსებთ საერთო საცხოვრებელში,—ურჩიეს ახალგაზრდებმა, მაგრამ ნაილე უარზე იდგა.

როგორ შეუძლია გაყვეს უცხო ახალგაზრდებს, ვინ იცის, იქნებ ესენი იმაზე უარესებია. ახედ-დახედა ორივეს და უარი უთხრა.

— მაშ ქუჩაში ხომ არ უნდა დარჩეთ?—ცოტა არ იყოს სასტიკი ხმით უთხრა ერთმა,—კომკავშირელი ქალი ყოფილხართ. სირცხვილია ასე მოქცევა. წამოდით, წამოდით, ამხანაგო, ნუ გეშინია, დაგეხმარებით, რაიკომში მიგიყვანთ, ცეკაში. ჩვენს ქვეყანაში ადამიანს რა დალუპავს.—საჩაიესაკენ შეუხვიეს.—მოშიებული იქნები, ჩაი დავლიოთ, ნუ გერიდებათ, აქ დასაძრახი არაფერია,—მაჯაზე მოჰკიდა ერთმა ხელი და ისე წაიყვანა.

— ვაი, სირცხვილო—ამბობდა ნაილე გულში და ფეხს ითრევდა, არ უნდოდა შეყოლოდა საჩაიეში, რომელშიაც უამრავი ქალი და კაცი ირეოდა.

— შემოდი, შემოდი. ეს ჩვენი საჩაიეა. ჩვენი სტუდენტები არიან აქ ყოველ საღამოობით, ქალიშვილებს გაგაცნობთ. როგორ შეიძლება ასე დამორცხვება?—და როგორც იქნა შეიყვანეს.

საჩაიე სავსე იყო ახალგაზრდებით. ქალები და ვაჟები ერთმანეთში ირეოდნენ. მაგიდებს მისხდომოდნენ, ერთად სჭამდნენ, სვამდნენ და მხიარულად საუბრობდნენ.

ნაილე დაიწვა სირცხვილით. მას ეგონა ყველა მას უცქეროდა. სულ ჩამოიფარა სახე და კუთხეში მაგიდასთან ჩამოჯდა.

ახალგაზრდებმა თავიანთი ხელით მოიტანეს ჩაი, შაქარი, პური და თხლად დაჭრილი ყველი. ასე მოჰქონდა ყველას თავისი კერძი. ნაილეს ძალიან შიოდა, მაგრამ მოკრძალებული იყო. ძლივს აიღო ერთი ნაჭერი პური და ყველი, მაგრამ ერთი ლუკმაც ვერ შეჭამა.

ახალგაზრდები ეხვეწებოდნენ ეჭამა, ჩაი დაელია, მაგრამ ნაილე თავს არ იღებდა ზევით.

საჩაიეში ჟრიამული იყო. ისმოდა სიცილ-კისკისი, ხუმრობა, ლაპარაკი, ჭიქების და კოვზების წკრიალი და ჩხაკუნი.

— არ მოდიხართ, ყმაწვილებო?—და ორი ქალიშვილი მიუახლოვდა იმ მაგიდას, რომელთანაც ნაილე და მისი მხლებლები ისხდნენ.

— მოვდივართ, მოვდივართ.—უპასუხა ერთმა ყმაწვილმა და შეშლილ ნაილეზე მიუთითა.

— გაიცანით, ქალიშვილებო, აჭარელი ქალია, კომკავშირელი, ამაღამ თქვენთან დარჩება.

— აჭარელი ქალი?!—გაიკვირვეს ქალიშვილებმა და ეჭვის

თვალით გადახედეს სახედაფარულსა და თავდახრილ ნაილეს.

— სადაური ხართ, ქალიშვილო?—შეეკითხა ერთი ქალიშვილი, ახლო მივიდა, ზემოდან დახედა.

— აჭარიდან.—ძლივს უპასუხა ნაილემ და უფრო დახარა თავი.

— რომელი სოფლიდან?—შეეკითხა ახლა მეორე ქალიშვილი.

— წყავნარიდან.—ცრემლები აუთამაშდა თვალებზე ნაილეს თავისი სოფლის მოგონებაზე.

— წყავნარიდან?!

— კი,—მიუგო ნაილემ მოკლედ და ბრაზი მოუვიდა, როდის მოეღება ბოლო ამდენ დაკითხვებსა და გაცნობებსო.

— საკვირველია,—ჩაილაპარაკა ქალიშვილმა,—წყავნარიდან ქალიშვილი აქ, თბილისში. სოფელ წყავნარიდან! მართალს ამბობ? წყავნარიდან ხარ? აი, იქიდან ორ მთას შუა რომ სოფელია გაშენებული?! ანკარა მდინარე რომ ჩამოუდის წინ. რა მშვენიერია! რა ლამაზია იქაურობა! რა გვარი ხარ?

ნაილემ ოდნავ ასწია თავი. ვინ უნდა იყოს ასე რომ იცნობს ჩემს სოფელსო, გაიფიქრა. როგორი ტყუილი სცოდნიათ ამ ქალაქში, წეღან კიდევ იმ კაცმა მოატყუა, თამარს ვიცნობო, ანდრო ჩემი ამხანაგიაო, და თურმე ბოროტი განზრახვა კი ქჰონდა. მოაგონდა ის შემთხვევა და გააჟრჟოლა.

— თუ წყავნარიდან ხარ, მე კი უნდა მიცნობდე,—უთხრა ქალიშვილმა და მხარზე დაადო ხელი.

ნაილემ ნელ-ნელა ასწია თავი. პირდაპირ ახედა უცნობს და წამოიწია.

— არ გინახივარ თქვენს სოფელში?—ჰკითხა ქალიშვილმა და ორი წყვილი თვალები მიაჩერდნენ ერთმანეთს.

ნაილე თითქო ახლა მოვიდა გონსო! ხელები გაშალა და ქალიშვილისაკენ გაექანა.

— მასწავლებელო! ქეთო!—შესძახა მან და ქალიშვილს ყელზე მოეხვია.

II

მთელი ქალაქი შამოიარეს. სხვადასხვა მიმართულებით დადიოდა და-ძმა. ტელეფონით შესძრეს ყველაფერი, მაგრამ ნაილეს ალმოჩენა არ მოხერხდა. მილიციაშიც განაცხადეს. ტრამვაის კონდუქტორებიც გააფრთხილეს. ყველასთან და ყველგან მოიკითხეს, მაგრამ ვერას გახდნენ.

შუაღამეზე გადასული იყო, ბინაზე რომ დაბრუნდნენ. ძალიან დალონებული იყვნენ. თამარი თავს აბრალებდა ნაილეს დაბნევას.

უფრო მეტი ყურადღება უნდა მიგვექცია, ამბობდა ის. ვინ იცის, რა მოუვიდა საწყალ გოგოს. ვის შეხვდა, ვის გადაეყარა. რამდენნაირი ადამიანებია ქალაქშიო. წუხდა და ნაღვლობდა.

მოქანცული იყვნენ და თან მთელი დღე უჭმელ-უსმელი, მაგრამ ამას ვინ გრძნობდა. კიდევ ივლიან, განაგრძობენ ძებნას, რომ რაიმე შედეგს მიაღწევდნენ.

ორი დაჭკრა ქალაქის საათმა. მოძრაობა შეწყდა ქუჩებში. უკანასკნელმა ტრამვაიმ გაიარა ჭრიალითა და რაწკა-რუწკით და მალე მისი ხმაც შეწყდა.

— რა გაეწყობა. ჩვენ საცდელს ნუ დავაკლებთ და რაც მოხდება ჩვენი რა ბრალია. უთხრა სანუგეშოდ დას ანდრომ.— ადამიანი როგორ დაიკარგება ჩვენში.

— მეტი ყურადღება უნდა მიგვექცია.—ნაღვლიანად სთქვა თამარმა და თავისთავთან ერთად ძმასაც უსაყვედურა.

მეორე დღეს ძალიან ადრე წამოდგნენ. ჯერ კიდევ არ იყო მოძრაობა ქუჩებში, რომ ნაილეს საძებრად წავიდნენ. ყველას ეკითხებოდნენ: მილიციელს, მეეზოვეს, დარაჯებს. რამდენჯერმე აიარ-ჩაიარეს ის ქუჩა, რომელზედაც გუშინ ტრამვაით გაიარეს, იქნებ სადმე ჩამოვიდაო, მაგრამ ვერ იპოვეს და ისევ საავადმყოფოსაკენ წავიდნენ.

საავადმყოფო ჯერ კიდევ დაკეტილი იყო. ახლო-მახლო ქუჩებში გაიარ-გამოიარეს და სანამ კარები გაიღებოდა, ნაილეც გამოჩნდა. ის ქეთოს მოყვებოდა. შორიდან იცნო თამარი და სირბილით წამოვიდა. მივარდა, ყელზე მოეხვია და აქვითინდა.

საყვედური ან ბოდიში ზედმეტი იყო. სიხარულმა დააავიწყა ყველაფერი, თუმცა ნაილეს გულს რას დაჩენდა ასეთი სიხარული. ძმა დარდი ყოველ დროს თან დაყვებოდა. მძიმე ლოდივით აწვა გულზე და გულს უხუთავდა.

საავადმყოფოში ძმა არ უჩვენეს. ნახვა უარესიაო, უთხრეს. ჩაიწერეს ყველაფერი მომენტები, დაახატვინეს იმ მოჩვენების სრული სურათი, აჩვენეს მრავალნაირი ბეწვებიანი ტანსაცმელები და ბოლოს მასთან ერთად გააკეთეს ისეთი საფრთხობელა, რომლის მსგავსი იმ ღამეს ანდრომ ნახა.

საფრთხობელას ხელ-ფეხი გაუკეთეს, აამოძრავეს და რამდენჯერმე შეამოწმეს.

მთელი დღე მოანდომეს ამ საქმეს და ანდრო გაანთავისუფლეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მოვახდენთ ცდასო, ჯერ კიდევ

საჭირო ავადმყოფს ჯან-ღონე შეემატოთ, რომ შესძლოს საფრთხოებელებთან შებრძოლება, მისი დამარცხება და შემდეგ შეიძლება ცდამ შედეგი მოგვცესო, უთხრეს ექიმებმა.

შეთანხმდნენ. ანდრო იმავ საღამოს გამოემგზავრა ბათუმისაკენ. ნაილე დას ჩააბარა და დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია, თუმცა ეს დავალება არ იყო საჭირო თამარისათვის.

III

გავიდა ერთი კვირა. ნაილე ყოველდღე დაჰყვებოდა თამარს საავადმყოფოში, ეხვეწებოდა ყველას, მაგრამ ძმის ნახვა ვერ მოახერხა. მურადი ჩაკეტილი ყავდათ. გაძლიერებულ საკვებს აძლევდნენ და ბევრს აძინებდნენ.

ოთახში, სადაც ის იყო მოთავსებული, გარდა ლოგინისა არავითარი ნივთი არ ჰქონდა ჭიქა, თეფში ან სხვა ჭურჭელი, რომელიც აუცილებელი იყო მისთვის, რეზინისა იყო, რბილი, რომ ზიანი არ მიეყენებინა სხეულისათვის.

მურადი ერთი კვირის განმავლობაში საკმაოდ მოლონიერდა. ახლა თითქმის მასთან შესვლასაც ვეღარ ბედავდნენ მომვლელები.

ექიმები გარედან ადევნებდნენ თვალს და დროს ელოდნენ. ერთხელ, როცა მურადს ეძინა, მის ოთახში ჩუმად შეიპარა ექიმი, ნაგანის სისტემის რევოლვერი შეიტანა და იქვე იატაკზე დადო, ფანჯრებზე ფარდა ჩამოაფარა, გამოვიდა და გარედან დაუწყო თვალყურის დევნება.

ცოტა ხნის შემდეგ გაეღვიძა მურადს. ერთი ამოიღრინა და ნადირივით წამობობღდა.. მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას და სიბნელე რომ შეამჩნია, არ მოეწონა. ელნათური ძლივს ბჟუტავდა. განგებ დაებნელებინათ ასე და თანდათან უფროდაუფრო ართმევდნენ ძალას.

მურადი ფეხზე წამოდგა, გაიზმორა და რაღაცას მიაჩერდა. შემდეგ ელვის სისწრაფით გაექანა და ქორივით დააფრინდა რაღაცას. ეს იყო რევოლვერი, რომელიც სწრაფად აიღო, გაიღიმა და გულში ჩაიკრა. ეს პირველი ღიმილი იყო, რომელიც მურადის სახეზე შეამჩნიეს ამ ხნის განმავლობაში.

ცდის მოსახდენად მზად იყვნენ.

ელნათურმა თანდათან დაჰკარგა სინათლე, მილულა თვალები და შეუმჩნევლად გაქრა. ოთახში ჩამოდგა საშინელი სიბნელე, რომელშიაც მოემზადა მურადი. ის გაშეშდა ერთ ადგილას, გაიყინა, თითქო გააკვირვა ამ ჯოჯოხეთურმა სიბნელემ. რევოლვერი მაგრად დაიჭირა ხელში და თვალები გადააბრუნა. ამ დროს შე-

უმჩნევლად გაიღო კარები და შიგ ორი საფრთხობელა შეეიდა.

მურადი უაცრად შეკრთა, უკან დაიხია, მაგრამ შემდეგ შეუხტა, მხეცივით შეჰყვირა, რევოლვერი მოიმარჯვა და გაისროლა. ცეცხლის ენებმა გასერეს სიბნელე, საფრთხობელები მძლავრად დაეტაკნენ მურადს. რომელიც გაშმაგებით დარბოდა, და ბოლოს მასთან ერთად იატაკზე დაეშვნენ.

მურადმა მოიმწყვდია ისინი ხელში და ის იყო უნდა დაეხრჩო ორივე, რომ უეცრად, თითქო რალაცა დაეცა თავში, უგრძნობლად ჩაიკეცა.

წამსვე გაანათეს. აიყვანეს გრძნობადაკარგული მურადი, თავისი ტანსაცმელი ჩააცვეს, სხვა ოთახში შეიყვანეს, მისცეს დასაძინებელი წამალი და დააწვინეს. შემდეგ ნაილე მოიწვიეს, საწოლთან მიუჯდინეს და შედეგს ელოდნენ. ნაილე დაარიგეს, თუ ვინიცობაა აზრიანად გამოიღვიძოს და რამე მოითხოვოს ან იკითხოს, არ გაიკვირვო, ჩვეულებრივ ამბავად მიიღე და უსიტყვოდ აუსრულე ყველაფერი.

ნაილე ხედავდა მძინარე ძმას და საშინლად ღელავდა. უხაროდა, თან ეშინოდა. ხშირად გაიხედავდა იქეთ, სადაც ექიმები ისხდნენ. თამარი სულ ახლოს ეჯდა ნაილეს. მოფარებული იყო, რომ გაღვიძებისას მურადს არ შეემჩნია.

კარგა ხანს ელოდნენ.

მურადს ეძინა. ექიმები ხშირად სინჯავდნენ მას და თანდათან გამარჯვების იმედები ემატებოდათ. სუნთქვა, მაჯისცემა, გულის მუშაობა ნორმალურ კალაპოტში დგებოდა.

გამთენია მოატანა. თითქო ერთი წუთი გასულიყოს, ისე გაიარა ამდენმა დრომ. არავინ მოუქანცავს ღამის გრძელ საათებს. მურადის გაღვიძების მოლოდინში სწრაფად გასულიყო დრო.

დიდხანს ეძინა მურადს. შემდეგ ძალიან მოქანცულად შეინძრა და თვალების ქუთუთოები შეათამაშა.

ყველა გაინაბა. ნაილეს გული აღარ იცდიდა საბუდარში და ამოვარდნას ლამობდა. ახლა უნდა გადაწყვეტილიყო მურადისა და ნაილეს ბედი. ახლა, ამ წამს უნდა ეთქვა ყველაფერი. განიკურნა თუ...

თრთოდა ნაილეს გული. ათასნაირი ფიქრები ირეოდნენ ერთმანეთში.

— არა. არ შეიძლება, რომ ასეთი ავადმყოფი განიკურნოს...

— რატომ არ შეიძლება? რაა შეუძლებელი ქვეყანაზე?

— შეუძლებელი ბევრი რამ არის და მათში მურადის მორჩენაც შეუძლებელია.

— არაა შეუძლებელი!

— აი ვნახოთ!

— ვნახოთ!

— ანდრო ხომ ამბობს: ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, შეუძლებელი არაფერიაო...

— მერე, ვინაა შენი ანდრო ასეთი?

— მარტო ანდრო ხომ არ ამბობს ასე. ეს სიტყვები ბელადების სიტყვებია:

— სიცრუეა.

— აი ნახავ, თუ სიცრუეა.. — გააჟრჟოლა ნაილეს ტანში. ვილაც ორი კამათობდა მის გულში და ნაილეს მათი ხმა ესმოდა. ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე არსება დაუფლებოდა ნაილეს გონებას და ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებს გამოსთქვამდნენ.

— რა საძაგელია ის ერთი. მარცხნივ ზის მგონია... მაგრამ დაიცა, მარჯვნივ უნდა იყოს. ნეტავ არ იქნებოდეს მარჯვნივ. ამბობენ მარჯვენა გული მართალს ამბობსო. არა. ეს უთუოდ მარცხენაა. არ მორჩებაო მიტომ იძახის. წყეული!—მკერდზე იკიდებს ნაილე ხელს. უნდა გამოარკვიოს, რომელი მხრიდან არის ის, არ მორჩებაო რომ იძახის.

რატომ არ უნდა მორჩეს? განა ამის მეტი არ შეუძლია მედიცინას? სულელები ხომ არ არიან ეს ექიმები? რამდენი უსწავლნიათ, რამდენი წიგნი წაუკითხავთ?

მურადმა თვალები გაახილა და ძლივს შემოაბრუნა ის ნაილესაკენ. ცოტა ხანს უცქირა დას და შემდეგ ტუჩები აიცმაცუნა.

შეიკუმშა ნაილეს გული. კიდევ ცოტა და გასკდებოდა, მაგრამ ძალა დაატანა თავს.

— მურად, გინდა რამე? — ჩვეულებრივი ხმით უთხრა მან ძმას და თვითონაც გაუკვირდა თუ სად იშოვა ამ დროს ასე მშვიდი და აუღელვებელი ხმა.

— წყალი მომიტანე, ნაილე! — ძლიერ მისუსტებული ხმით წარმოსთქვა მურადმა და ბალიშზე ძლივძლივობით შეარხია თავი.

ნაილეს მოეკვეთა მუხლები. ვეღარ შეიმაგრა თავი და იქვე მუხლებზე ჩაიჩოქა, მაგრამ ამ დროს უკანიდან თამარმა ჩუმად მიაძახა და ნაილემაც შეიმაგრა თვი.

— მიაწოდე წყალი! — ჩუმად ჩასძახა მას თამარმა და ჭიქით წყალი მიაწოდა ისე, რომ მურადს არ შეუმჩნევია. — გამაგრდი, ნუ გეშინია! — დაატანა თან და მოეფერა.

ნაილემ ღონე მოიკრიფა. ჭიქით წყალი ტუჩებთან მიუტანა ძმას და თვალებში ჩახედა.

მურადმა მოსვა წყალი. ენით ტუჩები მოიწმინდა და დას ახედა.

— ანდრო არ მოსულა წუხელის?—...კითხა მან ნაილეს და გადაბრუნება სცადა, მაგრამ ვერ გადაბრუნდა.—ვაი, ვაი, ვაი, როგორ საშინლად მტკივა გვერდები.

— ნუ გეშინია ძამია, არა გიშავს.—ძლივს უთხრა ნაილემ— ანდრო წუხელისაც იყო, დღესაც მოვა... როგორ ხარ, გეყურბანე? —ცრემლები გადმოცვივდა, მაგრამ ჩუმად აქეთ-იქიდან შეუტიეს და გადმოღვრილი ცრემლები თვალებზედვე შეაშრა.

— დამტვრეული ვარ, თორემ არაფერი მიშავს.—ამოილაპარაკა მურადმა და გაიხედ-გამოიხედა.—ნაილე, სადა ვართ ახლა? —შეეკითხა ის, როცა მიხვდა, რომ მისთვის უცნობ ადგილას იწვა.

— ჩვენ?—გაიღიმა ნაძალადევად ნაილემ. — ჩვენ სტუმრად ვართ... დიახ, სტუმრად. აი, ნახე. ანდროსას ვართ. ეს მისი დაა. აბა შეხედე, როგორ ჰგავს ძმას,—იპოვა გამოსავალი ნაილემ. თამარს მოჰკიდა ხელი და მურადთან მიიყვანა.

მურადმა ახედა თამარს და გაუღიმა.

— ანდროც კარგი ვაჟია და დაც კარგი ყოლია. — შემდეგ ნაილეს შეხედა—საპმელი არაფერი გაქვს?

ნაილემ ექიმებს მოუხედა და როცა იმათგან საპმელის მიცემის თანხმობა მიიღო, გაღიმებული სახით მიუბრუნდა.

— საპმელის მეტი რაა, მურად. რა მოგიტანო?

— რაც გინდა, იყოს.

თამარმა იმავე წუთში შეუტანა საპმელი მურادს და წინ დაუდგა.

მურადმა მოინდომა წამოჯდომა, მაგრამ ვერ შესძლო და ისე მწოლარემ დაიწყო ჭამა. რამდენიმე ლუკმა ძლივს შეჭამა, ცოტა წყალი დააყოლა და გაიღიმა.

— მეგონა სულ შევჭამდი—თქვა მან.—ახლა კი თუ დამაძინებთ, ძალიან კარგი იქნება, მეძინება. თუ საბანსაც გადამიმატებთ უკეთესი იქნება... მცივა კიდეც.

დავალება მაშინვე შეასრულეს.

— მეტი არაფერი მინდა. ახლა წადით და დაიძინეთ თქვენც. —უთხრა მურადმა ქალიშვილებს, მაშინვე დახუჭა თვალები და დაიძინა.

— მოგვილოცავს, მოგვილოცავს. — შემოეხვივნენ ნაილეს იქ მყოფნი.

ნაილე იმდენად იყო აღელვებული სიხარულისაგან, რომ ცარგა ხანს არ იცოდა რა ეთქვა. ბოლოს, როგორც იყო, გამოერკვა, შეიგრძნო ყველაფერი და ექიმებს მოეხვია. ზოგს ყელზე ეხვეოდა, ზოგს ხელებს უკოცნიდა... ტიროდა, იცინოდა, ქვითინებდა. თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა.

— ბედი გქონიათ, ქალო, ბედი. — ეუბნებოდნენ ექიმები და თვითონაც გახარებული იყვნენ ასეთი გამარჯვებით.

— მალე შესძლებს ჩემი ძმა სიარულს?—შეეკითხა ცოტა ხნის შემდეგ ნაილე ექიმს.

— მალე, ძალიან მალე. ერთ კვირაში ერთად გაისეირნებთ ქუჩებში—ღიმილით უპასუხა მოხუცმა ექიმმა და კმაყოფილი სახით გაუღიმა.

თავი მეექვსე

I

ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა თოვლი. მოსახლეობა ჯერ კიდევ არ მომზადებულიყო საზამთროდ. თიეა და ჩალაც კი არ ჰქონდათ მომარაგებული პირუტყვისათვის. გზა დაიკეტა. მაზრასთან კავშირი გაწყდა და ამან ძალიან შეაწუხა ყველა.

ველარც გაზეთები მოჰქონდათ, ველარც წერილები: არც ვინმე მოდიოდა, რომ ახალი ამბავი მოეტანა.

ანდროს ყველაზე უფრო მურადის ამბავის გაგება აინტერესებდა. ერთ კვირაზე მეტია, არაფერი იცოდა. ერთი კვირის წინ კი მიიღო დისგან წერილი, მაგრამ მასში საიმედო არაფერი იყო. თამარი უთუოდ კიდევ გამოგზავნიდა წერილს, მაგრამ უგზობის გამო ვერ მოაღწევდა.

ანდრო შეეცადა მაზრასთან კავშირის აღდგენას. გამოიყვანა გლეხობა და შეუდგა გზის გაწმენდას. გაწმინდა კიდევაც რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, მაგრამ ერთ დღეს განაწმენდი გზა მეორე დღეს ისევ გასაწმენდი გახდა.

ჩაიკეტა სოფელი. ჩამობნელდა ცა. დაიბურა მთები თოვლით და დაიტვირთა ხეები. სოფელი თოვლის საბანში შეძვრა და გაილურსა. იშვიათად გამოიხედავდნენ გარეთ. მთელი დღის განმავლობაში ისხდნენ ბუხართან და მასლაათობდნენ, თუმცა სამასლაათოდ არ ჰქონდათ ამ დროს საქმე. თუ ასე გაგრძელდებოდა და მიმოსვლა არ იქნებოდა აღდგენილი, სოფელი მალე საფრთხეში ჩავარდებოდა. წელს მოსავალი ძალიან მცირე მოვიდა და იმ ჭირნახულით თავის გატანა ასეთ ზამთარში ძალიან გაჭირდებოდა. კარგ მოსავლიან წელიწადშიც არ ყოფნიდათ საკუთარი მოსავალი. მუდამ სხვადასხვა ადგილებიდან ეზიდებოდნენ სიმინდსა და ხორბალს. წელს კი ხომ სულ გარედან შემოტანილით უნდა ეცხოვრნათ, ჯერ კიდევ ნოემბერი არ დალეულიყო და იმოდენა თოვლი დასდო. აწი ხომ უფრო მეტი იყო მოსალოდნელი.

ანდრომ თავის დროზე დააყენა საკითხი საბჭოს სხდომაზე. მახლობელ სოფლების საბჭოებსაც მიმართა: დავეხმაროთ ერთმანეთს, გზა გავწმინდოთ, მიმოსვლა აღვადგინოთ, მაზრასთან კავშირი ნუ გაგვიწყდებაო, მაგრამ ვერაფერს გახდა. მხოლოდ ზოგიერთებმა დაუჭირეს მხარი. ახალგაზრდობა და ზოგიერთი ღარიბი

გლეხი გამოვიდა გზის გასაწმენდად. დანარჩენები განზე იხედებოდნენ. ზამთარმა თოვლი იცისო, იძახდნენ, თოვლი კი ალლახის ნება-სურვილით მოდისო და რა უფლება გვაქვს ვიბრძოლოთ განგების წინააღმდეგო. გავიპირვებთ, მოვითმენთ და ზამთარიც გაივლისო. ასეთების ოჯახში ჯერ კიდევ იყო რამდენიმე დღის საყოფი ჭირნახული და სხვებზე აღარ დარდობდნენ. არც ხვალინდელ დღეზე ფიქრით იწუხებდნენ თავს.

კოოპერატივის საქმეც ვერ იყო კარგად. თოფუზა კაკაძემ ვერ გამოიჩინა უნარი და საქმისადმი სიყვარული. მურადის შემდეგ ის დანიშნეს სავაჭროში, მას ჩააბარეს ყველაფერი, მაგრამ რაღაც ძალიან უგულოდ მოეკიდა საქმეს. მაინც, ძალიან გამოიცვალა ის იმ ღამის შემდეგ. მუდამ გაბღვერილი დადიოდა განგანზე. კომკავშირის კრებებსაც იშვიათად ესწრებოდა. ლაპარაკს სულ დაანება თავი. ორ სიტყვასაც არ იტყოდა ამხანაგებში.

ანდრო ცდილობდა შეექმნა მისთვის უფრო კარგი პირობები, ხელი შეეწყო, დახმარებოდა. ერთხელ მოელაპარაკა კიდევაც. გამოკითხა ასე გამოცვლის მიზეზი, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. როცა მურადის მაგივრად კოოპერატივში დანიშნა, ეგონა, ხასიათს გამოიცვლისო... ან რა ისეთი დიდი ამბავი ის იყო, რომ ამდენხანს ჩარჩენოდა გულში. ბატმა შეგაშინაო, ეხუმრნენ ამხანაგებმა და ის ეწყინა. ანდროსაც გაეცინა. იმ დროს და ამან უფრო იმოქმედა მასზე ალბათ. ის იყო და ის, იმის შემდეგ დაფრთხა და შორი-შორს დადიოდა.

პირველი ორი დღის განმავლობაში, სულო ცოდვილო, კარგად მუშაობდა კოოპერატივში. გამოცდილი ნოქარივით ვაჭრობდა, მაგრამ შემდეგ ისევ გამოიცვალა. სამი დღე არ გაულია სავაჭრო ანდროს თბილისში ყოფნის დროს. მეოთხე დღეს გამოცხადებულა საბჭოს თავჯდომარესთან, მაგრამ ფეხის ტკივილი მოუგონებია და კოოპერატივში მუშაობაზე უარი უთქვამს. იმავე საღამოს კოოპერატივი გაუტეხნიათ და ყველაფერი გაუტანიათ.

სულ არეულ-დარეული დაუხვდა ანდროს ყველაფერი. დურსუნი ცოფს ჰყრიდა პირიდან. დახვრეტით ემუქრებოდა ქურდებსა და თოფუზას.

— განგებ იტკივებს ფეხს... ღორისშვილი, მოლალატე, მოეკლა უნდა. ჩემი ხელით გამოვღადრო ყელი!—იძახდა ის და მთელ სოფელს აწრიალებდა.

— მომეცით ქურდი. მომეცით ხალხის ქონების მტაცებელი. მომეცით მეთქი, თორემ...—ანდროს გადახედავდა, ხომ არ სწყინს ჩემი სისასტიკეო.

ერთხელ თოფუზას დაპატიმრებაც გადაწყვიტა. მოაყვანინა

ფეხშიშველი ახალგაზრდა. უყვირა, შავი დღე დაუთენა, მაზრაში გადაგზავნა დაუპირა, მაგრამ ანდრომ არ დაანება.

ვინ იცის, იქნებ სარაფერ შუაშია. დავიცადოთ, შევაჩერ წ-მოთ, შევისწავლოთ და დაპატიმრებას შემდეგაც მოვესწრებით.— უთხრა მან თავმჯდომარეს და ამით თითქო ოდნავ დაამშვიდა ზედმეტად აღელვებული ხელმძღვანელი.

— ძალიან შემბრალე და ხათრიანი კაცი ხარ, ამხანაგო ანდრო.—უსაყვედურა დურსუნმა ანდროს.—ჩემის აზრით, საჭიროა მაგის დაპატიმრება ახლავე. არის თუ არა ქურდობის ჩამდენი, მაინც დასაჭერია. სად იყო? რას უელიდა? ავადმყოფი მურადა თუ იცავდა ხალხის ქონებას, მაგას რა მოუვიდა!—თანდათან უმატა ხმას და შეშინებულ თოფუზას ცხვირთან მუშტი აუთამაშა. შემდეგ ისევ ანდროს მიუბრუნდა.—მაგი კოოპერატივში დავაყენეთ ჩვენ, თუ სხვების ეზოში ხეებზე სახოკიალოდ? რა შუაში ვართ ჩვენ, მაგან ხიდან ჩამოვარდეს და ფეხი მოიტეხოს?.. იქ, იქ უნდა მოეტეხა ფეხი, სადაც ხალხის ქონება იყო. იქ, ქურდებისათვის უნდა შეეკლა თავი და ხალხის ქონების გატაცების ნება არ მიეცა. გამაშორეთ აქედან, არ დამანახოთ. შენი ბედი, რომ ამხანაგმა ანდრომ მოგისწრო, თორემ კარგ ადგილას მეყოლებოდი ახლა!— ხელი ჰკრა მის წინ გაჩერებულ თოფუზას და იქით მიაგდო.

თოფუზა ორმა ძლივს წაიყვანა სახლში.

— იქნებ სერიოზულად აქვს ფეხი ნატკენი, დახმარება ესაჭიროება?—უთხრა ანდრომ დურსუნს, როცა თოფუზი წაიყვანეს.

— მომკვდარიყოს მაგ ფეხის ტკივილით!—გაბრაზებით სთქვა დურსუნმა.—ვისი დავალებით დადიოდა სხვის ეზოში?.. შენთვის არ მითქვამს კიდევ მაგის ამბავი...—მიიხედ-მოიხედა დურსუნმა, არავინ გვიყურებდესო და შემდეგ განაგრძო.—ჰიბრაიმა კორძაძის გოგოს გადაჰკიდებია, დაუწყია თვალყურის დევნება, მაგრამ რომ ვერსად დაუმარტოხელებია ისე, რომ სახე დაენახა, ეზოში შეპარვია, ხეზე ასულა და ისე უდარაჯებდა თურმე. გოგო გარეთ არ გამოსულა და მაგ ტუტუცს მთელი ღამე გაუტარებია ხეზე. რომ გაყინულა კარგად, ჩამოცოცებულა, მაგრამ დასცდენია ხელი ტოტზე, გადმოვარდნილა და ფეხი მუხლში ამოუგდია. კიდევ კარგი, ჰიბრაიმას არ შეუტყვია, თორემ უჩვენებდა სეირს. გამთენია იყო, კარებზე რომ მომადგა და გამიცხადა, კოოპერატივში ვეღარ წავალო. იცოცხლე, მე მას დღე დავუთენე, მაგრამ რაღა დროსი იყო. მომეკლა მინდოდა, ისე ავღელდი... შემდეგ შევუხვიეთ, რაღაც წამლებიც დავადეთ, და ახლა ურჩება მგონია, მაგრამ, რა გამოსადეგია მასეთი ადამიანი! სიკვდილი ათასწილად სჯობია! ვის რა ვუთხრა, მე ვარ დამნაშავე, მე წამოვაყენე. ვი-

ფიქრე, კაცი დადგება და კარგია მეთქი. ოპოლია. მოხუცი დედა ჰყავს სარჩენი. რა მეგონა ასე მოიქცეოდა. შემარცხვენდა.—ცბილები გააკრაჭუნა და საშინლად გადააბრიალა თვალები თავმჯდომარემ.

მეორე დღეს ანდრომ ინახულა ავადმყოფი. გამოკითხა ჯანმრთელობის შესახებ, შემდეგ დამარცხების მიზეზი მოაგონა.

თოფუზამ არაფერი უპასუხა.

— დამნაშავე ვარ... სასიკვდილო ვარ... გავბეჩდი... მოვტყუვდი...—მეტის თქმა ვერ მოახერხა.

ანდრომ დაუწუნა საქციელი. კომკავშირელს არ შეშვენის მასეთი საქმეო, უთხრა, მაგრამ დახმარება მაინც შეპირდა.

— მადლობელი ვარ, ამხანაგო ანდრო, არავითარი დახმარება არ მჭირდება. სანახევროდ მორჩენილი მაქვს ფეხი, საცაა ადგომასაც შევძლებ და თუ კიდევ მენდობით და დამავალებთ რამეს, თავს გადავდებ და ჩადენილ დანაშაულსაც გამოვისყიდი.—თვალები ცრემლებით ამოეესო.—უფრო დამშვიდებული ვიქნებოდი, რომ დაგეპატიმრებინეთ, მძიმე სასჯელი დაგედოთ. უფრო ამეტანა იქნება იმ დანაშაულის სიმძიმე, რომელიც მე მიმიძღვის.—აქვითინდა და ცრემლები ლაპა-ლუპით წამოვიდა თვალიდან.

ანდროს შეებრალა სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა. ამ ოჯახის სიცალიერემ უფრო დაუწვა გული. დაკეკილი საბანი ეხურა ავადმყოფს. თავზე ძველი ჩვარი ჰქონდა წაკრული. იწვა ბნელ ოთახში და სიცივისაგან კანკალებდა. მოხუცი დედა ადგა თავზე, მაგრამ უბედურს რა გააჩნდა, რომ ავადმყოფისათვის დახმარება ალმოეჩინა. წყალს მიაწოდებდა ხანდახან, ცივ მჭადსა და ყველის ნატეხს მიუტანდა და სალამორობით ხოჯასთან დადიოდა. იქიდან ნუსხა მოჰქონდა ქალალდზე დაწერილი... ამ ქალალდს წყალში გაძრავდა და დაწოლისას სამჯერ დაალევინებდა. დილობით კი ადრიანად კითხავდა ფეხის ამბავს. პასუხი მუდამ ერთი და იგივე იყო. გუშინდელთან შედარებით დღეს უარესად მაქვსო, ეუბნებოდა თოფუზი და ისედაც გულმოკლულ დედას უფრო უკლავდა გულს.

ანდრომ გაიგო, რომ რამდენიმე დღეა ავადმყოფს ფბილი საჭმელი არ უჭამია. ფქვილი არა გვაქვს, დამფრქვევი არავინ გვყავსო, უთხრა თოფუზმა.

ანდრომ მიიღო ზომები. ერთი კომკავშირელი მიამაგრა თოფუზას ოჯახზე და დაავალა დახმარება. თვითონ კი რამდენიმე კვერცხი, ერბო, შაქარი და ჩაი გაუგზავნა კოოპერატივიდან.

როცა მეორეხელ ინახულა ანდრომ თოფუზა, უარესად დაუხვდა. წელს ქვემოთ სულ გასიებული იყო. განძრევაც არ შეეძლო. ფეხი რუმბივით გადაქცეოდა, გაშეშებოდა და სახეზე მკვდრის

ფერი დასდებოდა.

— როგორ ხარ, თოფუზ?—შესვლისთანავე შეეკითხა ანდრო და დახედა.

— ვკვდები—ძლივს ამოიღო ხმა ავადმყოფმა.

— ნუ გეშინია. რა გჭირს სასიკვდილო. მე ახლავე გავაგზავნი კაცს და ექიმს მოვიყვან. შენი ბრალია, თორემ ამდენხანსაც მოვიყვანდი. ბევრადაც აჯობებდა. მაშინ რომ ექიმი მოგვეწვია, ახლა უკვე კარგად იქნებოდი.—მაჯაზე მოჰკიდა ხელი და თვალებში ჩახედა.

— არა, ანდრო, არა. მე სასიკვდილო ვარ და ტყვილა რაზე უნდა მომარჩინო. ძალად მოვიკალი თავი და შენ რაზე შეგაწუხო. არა, ექიმი არ მინდა... ნუ გამოიბარებ. სულ ერთია ასეთ თოვლში ხულოდან ვერ მოვა და თქვენ კი შეწუხდებით... რომც მოვიდეს... მე მაინც ვერაფერს მიშველის... არც მინდა მიშველოს... არა, არ ვარ ამდენი ყურადღების ღირსი... ანდრო, მურადის ამბავი მითხარი რა იცი?—თავისი ამბავი მურადზე გადაიტანა.

— რა ეს თოვლი დაიდო, ცნობა არ მიმიღია. ისე კი თბილისშია, საავადმყოფოში წევს.

— როგორ ფიქრობთ, მორჩება ვითომ?

— შეიძლება მორჩესო, ექიმები ამბობენ.

— შეიძლება მორჩესო ნეტავ მორჩებოდეს! საცოდავი ბიჭი... ნაილე უფრო მეცოდება... მაშ ექიმებმა თქვეს, შეიძლება მორჩესო, არა?

— კი. ასე თქვეს თუმცა გადაჭრით კის თქმაც არ შეიძლება. ასეთ შემთხვევაში თუ დაავადების მიზეზი გაიგეს ექიმებმა, მაშინ ოდნავ შესაძლებელი ხდება მორჩენის იმედი ვიქონიოთ.

— დაავადების მიზეზი?!—გაკვირვებით იკითხა თოფუზმა.

— დიახ. საერთოდ ექიმობა უფრო ადვილია, როცა დაავადების გამომწვევი მიზეზი გაგებული და შესწავლილია.—უპასუხა ანდრომ.

— მაშ მურადი მორჩენილია!—წამოიძახა იმედიანად თოფუზმა და თანაც ნაღვლიანად ამოიოხრა. ერთხანს იყურა, შემდეგ ანდროს ხელს მოავლო ხელი და გულთან მიიტანა.—მითხარი, მითხარი, ანდრო, ხომ გადარჩენილია მურადი? ხომ განკურნებულია? მითხარი!—მაგრად მოუჭირა ხელი ანდროს ხელს და თვალებში ცრემლები აუთამაშდა.

ანდრო გაკვირვებით დააცქერდა თოფუზას ცრემლებით ამოვსებულ თვალებს, რომლებიც მიმორბოდნენ აქეთ-იქით და პირდაპირ შემოხედვას უფრთხოდნენ.

— შეიძლება გადაარჩინონ... იმედი მაქვს მოარჩენენ—უპასუხა

ანდრომ და უფრო დაუკვირდა ავადმყოფის ამღვრეულ თვალებს.

— შენ ყველას გადარჩენა შეგიძლია, ამხანაგო ანდრო, ყველაფრის ექიმი ხარ და ყველაფერიც იცი... ნეტავ მეც ისე ბედნიერი ვიყო, რომ...—დაება ენა და ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

— შენც ბედნიერი ხარ, თოფუზ. რა გიშავს, ხომ გეუბნები ექიმს გამოვუძახებ მეთქი... დამშვიდდი. გამაგრდი. ვაჟკაცი არა ხარ?!

— ვაჟკაცი.—გაიმეორა თოფუზმა.—მერე ვაჟკაცები ასე კვდებიან? ასე სასირცხვილოდ და საჯაყად!

— კიდევ შენსას გაიძახი!—დაუწყო დამშვიდება ანდრომ.— რა გაქვს სასიკვდილო? მასეთებს არჩენენ ჩვენი ექიმები! ეგ რაა, სულ უბრალო ამბავია...

— არჩენენ თუ დაავადების მიზეზს გაიგებენო, და მე კი ათასჯერ სიკვდილი მირჩევნია... ეჰ, მურადის დაავადების მიზეზი გაიგეს და მურადი მორჩება... ჩემი დაავადების მიზეზს რომ გაიგებენ, თოფუზა უნდა მოკვდეს... ასე წერებულა ჩემი ბედის წიგნაკში.—ისევ გაურჩა ენა პირში და სათქმელი სიტყვა ყელში გაეჩხირა ცოტა ხანს წვალობდა ასე. შემდეგ ძალა დაატანა თავს და ენა აამოძრავა.—მაგრამ... რა გაეწყობა... კარგი კი იყო ისე მოვმკვდარიყავი, ისე ჩავსულიყავი საფლავში, რომ ამხანაგების გინება და წყევლა არ ჩამყოლოდა, მაგრამ არ მოეწყო ასე და რა ვქნა... საწყალი დედა მეპრალება... ამბობენ, მამაჩემი მართალი კაცი ყოფილა. პირში თქმა უყვარდაო. ისე ჩასულა მიწაში, რომ არავინ მოუტყუებია. არც ვინმე გაუძარცვავს, არც ვინმესთვის წაურთმევია... იმიტომ ყოფილა ისე ღარიბი. მაშინდელ დროში სიმართლე სიღარიბის მომტანი იყო. პატიოსნებას გროშად არ აფასებდნენ. ახლა კი, როცა სიმართლეს, შრომას, პატიოსნებას—ღირსება, ფასი და მოწონება აქვს, მე შერცხვენილი უნდა მოვკვდე, თუნდაც ვიცხოვრო...—ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ისევ ანდროს შეეკითხა:

— ჩემი წახდენის მიზეზიც უნდა გაიგონ ექიმებმა?

— რა საჭიროა?—ღიმილით მიუგო ანდრომ.—მაგის თუ გრცხვენია. არა, არ ვეტყვით ექიმს შენი დამარცხების მიზეზს. ახალგაზრდა ხარ, გეპატიება მასეთი ცელქობა... არა უშავს, ამხანაგო თოფუზ, მოგირჩება ფეხი და შემდეგ არ აედევნები გოგოებს.—გაუღიმა.—ნახვამდის, ახლავე გამოვიძახებ ექიმს. ყოველ ღონეს ვიხმარ, როგორმე სასწრაფოდ გადმოიყვანონ. მართალია, დიდი თოვლია, მაგრამ გავგზავნი ბიჭებს გზის გასაწმენდად... შენ მანამდე ყოჩაღად იყავი.—შუბლზე გადაუსვა ხელი.— მაშ ასე... ნახვამდის!—მოშორდა საწოლს და კარებისაკენ წავიდა, მაგრამ თოფუზმა მოაბრუნა.

— ანდრო, დარჩი კიდევ ცოტა ხანს.—ვედრებით უთხრა მან

ანდროს.

— რა გინდა თოფუზ?—ისევ მიბრუნდა ანდრო საწოლთან.

— მაშ ექიმს უნდა გამოუძახო?..—კიდევ შეეკითხა თოფუზა

— კი. ვეცდები როგორმე ხვალ საღამომდე მოიყვანონ.

— ხვალ საღამომდი?

— დიახ.

— ამხანაგო ანდრო, ნუ მოგყავს ექიმი. არ მინდა მე ის. შეიძლება ისედაც მოვრჩე. უსათუოდ მოვრჩები. ექიმს ტყეილა შეაწუხებთ...

— კარგი, ამხანაგო თოფუზ, ნუ ბოდიშობ! ექიმის მოსვლით არაფერი დაშავდება. მოვიდეს, გნახოს...

— კი, მაგრამ არ მინდა, რომ მნახოს... დიახ არ მინდა...— აღელვებით წარმოსთქვა ეს სიტყვები და ანდროს შეხედა პირდაპირ.—მომეცი ხელი. აი, ასე—ანდროს ხელს ხელი მოუჭირა.

— რა იყო თოფუზ? რამ აგაღელვა? —ალერსით შეეკითხა ანდრო.

— ანდრო, მამაშენი მუშა იყო?—შეეკითხა თოფუზი პასუხის ნაცვლად.

— კი. მუშა იყო.

— დიდი ხანია მოკვდა?

— ძლივს მახსოვს. პატარა ვიყავი.—მიუგო ანდრომ.

— რევოლუციონერი იყო?

— კი.

— ეჰ.—ამოიხვნეშა თოფუზმა.—მოიყვანე ექიმი. მოიყვანე, მაგრამ ჩვენს მეტს ნურავის ეცოდინება... დიახ ნუ ეცოდინება, რომ...—კიდევ გაუჩერდა ენა.

— ხომ გეუბნები, არ გაგამხელ ექიმთან მეთქი. არ ვეტყვი როგორ დაგიზიანდა ფეხი, რადგან ასე გრცხვენია.

— არა. ექიმები ისედაც გაიგებენ—ნაღვლიანად სთქვა თოფუზმა.—მურადის დაავადების მიზეზი თუ გაიგეს, ჩემსასაც გაიგებენ.

— გაიგეს?!.—გაკვირვებით ჩააცქერდა ანდრო.

— დიახ, გაიგეს.

— როგორ?—უფრო გაკვირვებით შეეკითხა ანდრო.

—შენ მურადისათვის არაფერს დაიშურებდი.

— მე?

— ჰო! შენ გადაარჩინე მურადი და ეს მადლი ადამიანს ათას ცოდვას მოაცილებს, თუმცა შენისთანა კაცს რა ცოდვები ექნება!

— არაფერი მესმის. რა გსურს მითხრა, თოფუზ. ამიხსენი!

თოფუზმა თავი გაიქნია.

— გახსოვს, რომ გვეუბნებოდი: ბოლშევიკები ყველაფერს შეესძლებენო.

— მახსოვს.—მიუგო ანდრომ.

— მართალი ყოფილა... დავრწმუნდი. აი დედასა, კარგად ვიყო... მე ვიცი რასაც ვიზამდი მაშინ, მაგრამ...

— მალე გახდები კარგად. ნუ გეშინია.

— შენ გინდა მე მოვრჩე? გავიარო ისე, როგორც დავდიოდი?

— უსათუოდ.

— მაშ, ექიმს ნუ მოიწვევ. თუ უექიმოდ მოვრჩი, მაშინ ყველაფერს გეტყვი, თუ არა და, სიკვდილის დროს მაინც მოგელაპარაკები.

— რას ამბობ თოფუზ! მაკვირვებს შენი სიტყვები. ბოლშევიკებმა პირდაპირი სიტყვა-პასუხი ვიცით. მითხარი, მითხარი რა გტანჯავს, რა გაწუხებს. მითხარი აშკარად.—უფრო ახლო მიიწია ანდრო.

თოფუზმა წუთით თვალები მოასვენა და შემდეგ ისევ გაახილა.

— გინდა გაიგო, რა მაწუხებს?.. კარგი... გეტყვი. ყველაფერს გეტყვი. გეტყვი, მაგრამ ჯერ შენ მითხარი, მურადის გადელების ამბავი თუ უამბე ექიმებს?

ანდრო შეკრთა. გაუკვირდა... არა, საიდან? რაგორ? ვინ გაიგო იმლამინდელი ამბავი, როცა ანდროს არავისთვის უთქვამს?

—არ მესმის!—უთხრა მან პასუხის მომლოდინე თოფუზას.

— თუ უამბე ექიმებს, მურადა რა მიზეზით და როგორი საშუალებით გადელდა მეთქი, გეკითხები?—საშინელი სიწითლე მოაწვა თვალებში ავადმყოფს.

— შენ გგონია მე ვიცოდი?—შეეკითხა ანდრო და რაღაც ეჭვებით დაისერა მისი გული.

თოფუზმა თავი დაიქნია.

— იცოდი, იცოდი და ვაჟკაცურადაც მოიქეცი.

— რაგორ?

— მურადზე ძლიერი და გაბედული გამოდექი... მე კი არ ვფიქრობდი...

— რას ამბობ, თოფუზ?—უკან დაიხია ანდრომ.

— სიმართლეს. ვაჟკაცი ყოფილხარ. მე ბატმა შემაშინა, მურადი უბრალო საფრთხობელამ გაადელა... შენ კი...

— თოფუზ!—შესძახა ანდრომ.

— გამიგე? არ მოელოდი განა? ახლა შეგიძლია ამოიღო რევოლვერი და გული გამიგმირო. მაშინ რომ მოგესწრო, უკეთესი იქნებოდა. აჰა—და თოფუზმა გულმკერდი მოიშიშვლა.

— თოფუზ!

— გეხვეწები. შენი ტყვია ყველაზე კარგი ექიმი იქნება ჩემთვის და ნუ დამამადლი. მხოლოდ გვევედრები, დედას არ გაუმხილო, რომ ისეთი საქმის ჩამდენი ვარ. ამხანაგებში სახელგატეხილს დედის ცრემლები მაინც ჩამყვეს საფლავში.—მწარედ გაიღიმა—რას იტყვი ანდრო? ახლაც მომიყვან ექიმს? აწიც მიწამლებ? ხა. ხა. ხა. ხა.—დასცინა თავისთავს თოფუზმა და თვალები ჭერს მიუშვირა.—ხოჯას წამლებმა ვერ მომარჩინა, მაგრამ მისმა საწამლავმა კი ძალიან მაგრად იმოქმედა. ალლახს კაცს მორჩენაზე უუარო მოწამვლა შესძლებია. ეჰ!..—თვალები დახუჭა და ენა ჩაიგდო.

ანდრო რამდენიმე წუთი იდგა თოფუზას საწოლთან. უყურებდა ამ მოტყუებულსა და შეცდენილ მომაკვდავ ახალგაზრდას და მწუხარებას გამოსთქვამდა. ბოლოს ხმის ამოუღებლივ მობრუნდა და საჩქაროდ გამოვიდა.

— წავიდა. წავიდა იმიტომ, რომ შურის საძიებლად მოვიდეს...—ჩაილაპარაკა თოფუზმა, როცა ანდროს წასვლა შენიშნა. განწირულ ადამიანივით ამოიოხრა და ისევ დახუჭა თვალები.

II

მთელი დღე თოვდა. ისე დიდი თოვლი დაიდო, რომ სულ შეწყდა მოძრაობა. ალარავინ გამოდიოდა გარეთ. თოფუზას ბნელ ოთახი უფრო ჩამობნელდა. ავადმყოფის გულმა უფრო ძლიერად იგრძნო სიბნელე და მწუხარება. ნატყვიარი ფეხი უფრო ტკივდა და დამძიმდა. ტკივილებმა თანდათან აიწია და გულს მიუახლოვდა. სუნთქვა უჭირდა თოფუზას, პირი უშრებოდა. თვალებში სიმწრის ცრემლები ჩადგომოდა და ტუჩები ჩალურჯებოდა.

საწყალი დედა მთელი დღე ეჯდა საწოლთან. გარდა სიკვდილისა არაფერს ალარ მოელოდა მისი გული. მარტო იმაზე ფიქრობდა ერთადერთი შვილის დაკარგვის შემდეგ შესძლებდა თუ არა სიცოცხლეს, ან ელირებოდა თუ არა ეს სიცოცხლე რამედ. ტიროდა, ცხარე ცრემლები დანაოჭებულ სახეზე ღვარად ჩამოდიოდა.

მიმქრალ ბუხარში ერთი მუგუზალი ბოლავდა ობლად და შიშინებდა. სახლის სახურავი დატვირთულიყო თოვლით და კაეებს ჭრიჭინი გაჰქონდათ, თითქო პატრონს აფრთხილებდნენ, თუ არ დათოვლე სახურავი, მეტი, ალარ შეგვიძლიაო. თოფუზი პირაღმა იწვა. უკვე მეორე დღეა ალარ გადაბრუნებულა. ხანდახან ამოილაპარაკებდა. მაშინაც ძალას ატანდა თავს. ებმებოდა ენა და უშრებოდა ყელი.

— ვინაა შვილო, გუშინ რომ კაცი იყო შენთან?—ჰკითხა

დედამ. იჭნებ ლაპარაკში ტკივილები დაუამდესო. მოიძრო მოსხმული შალი და საბანს ზემოდ გადააფარა შვილს.

საწყალი დედა.

ნუთუ ასე უნდა დაეღუპოს შვილი. გამოზრდილი ვაჟკაცი. სხვა ვინ ჰყავს? ვინაა მისი შემხედავი. რამდენ ცეცხლში გაუვლია საცოდავ ქალს და რამდენი გაჭირვება აუტანია... ახლა კი...

ქარი მოაწვა სახლს და კედლებს ჭრიჭინი დააწყებინა.

— ის კაცი ბოლშევიკია. არ გაგიგონია ანდრო?—ძლივს უპასუხა დედას თოფუზმა.

— გამიგონია, შვილო, ერთხელ კიდევაც დამინახავს... აქებენ, კარგი კაციაო, გაჭირვებულს შველისო.

— მართალია, დედილო, გაჭირვებულებს შველის. ბოლშევიკები ყველანი მასეთებია...

— ღმერთმა უშველოს, შვილო. კიდევ აღარ მოვა?

თოფუზმა თავი გააქანა.

— არა, მეტს აღარ მოვა... მე ვუთხარი, რომ არ მოვიდეს.

— რათა შვილო?

— არ მინდა შეწუხდეს... ისედაც ბევრი საქმეები აქვს. რად უნდა დაკარგოს ტყვილა დრო... ვაი, ვაი, როგორ შემომიტია. დედილო, მიშველე!—შეწუხდა ავადმყოფი და ისე გაფითრდა, რომ საწყალმა მოხუცმა ლოყაზე ჩამოისვა ხელები.

— ვინმე მაინც მოსულიყო.—გაიფიქრა.—წავალ, შვილო, მოვიყვან ვინმეს.—წამოღება, მაგრამ თოფუზმა შეაჩერა.

— არა, არ მინდა არავის მოყვანა.

— მოლა ნურის მოვიყვან შვილო. შენ გიყვარდა მასთან ლაპარაკი. კარგი ყმაწვილია.

— ჯანდაბას... არ დამანახო!—ბრაზით წამოიძახა თოფუზმა და ბალიშში ღრმად ჩარგო თავი.

— კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა და აივანზე რამდენიმე კაცის ფეხის ხმა გაისმა.

მოხუცმა პირსახე იაზმით ჩამოიბურა, კარებთან მივიდა და ფრთხილად გააღო. თვითონ კი სიბნელეში მიიმალა, რომ სტუმრებს არ სჩვენებოდა.

ოთახში ანდრო და ორი სამხედრო პირი შემოვიდნენ.

თოფუზამ მოსულებს შეხედა და უცებ დახუჭა თვალები.

— ჩანს შურისძიება სხვაგვარად გადაუწყვეტია ანდროს.— გაიფიქრა მან. მწარედ გაღიმა.—დამიჭიროს უნდა... ეჰ, როგორ შემცდარა!—ნაღვლიანად თქვა თავის გულში და ერთხელ კიდევ გააახილა თვალები.

ანდრო ტახტთან მივიდა, თავი დახარა და ავადმყოფს ჩახედა.

— როგორ ხარ, თოფუზ? აბა გამოიხედე!—ჩასძახა მან.

თოფუზმა ძალად გაახილა თვალები.

— როგორ ხარ ა? აი, ექიმები მოგიყვანე. ჩვენდა პედად შეეხვედი, ზასტავაში მიდიოდნენ. აბა შეხედე. სამხედრო ექიმებია. მაგათ ხელში ავადმყოფი არ მოკვდება.

— ექიმებია?—ოდნავ იმედიანი ხმით იკითხა თოფუზმა.— დედა, დედა მეთქი! გამოდი აქეთ. სტუმრებს შეხვედრა უნდა... დაბრძანდით.—მიავლ-მოავლო ცარიელ ოთახს თვალები.—არაფერი მაბადია. ეჰ!

მოხუცი ფრთხილად გამოვიდა ბნელი კუთხიდან, მარტო თვალები უჩანდა, შორი-ახლო გაჩერდა და ისე ახედა მოსულებს.

— ეს არის, ამხანაგო ანდრო, დედაჩემი... დედილო, ეს არის ანდრო, მე რომ გეუბნებოდი. ყველა გაჭირვებულის მშველელი და პატრონი.

— ღმერთმა სიკეთე მისცეს, შვილო.—დალოცა მოხუცმა და ანდროს შეხედა. მოსულებმა მიიხედ-მოიხედეს. ღარიბული სახლის კედლები დაათვალიერეს და მაზარები გაიხადეს.

თოფუზი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, უკვირდა სამხედრო ტანსაცმელიანი ექიმების ნახვა. ვერ წარმოედგინა, თუ ექიმი სამხედრო ტანსაცმელს ჩაიცვამდა. სულ იმათ დამსგავსებოდნენ, საზღვრებზე რომ დგანან, მაღალ-მაღალი, ვაჟკაცური გამომეტყველების ადამიანები.

არ მაბეჩებდნენო, გაიფიქრა ,მაგრამ აი, გადაიცვეს თეთრი ხალათები, წაიწიეს სახელოები და ნამდვილ ექიმს დაემსგავსნენ. ასეთი ექიმები უნახავს თოფუზს ხულოში. ერთხელ ბათუმშიც ნახა.

ყველაფერი თან ჰქონდათ... რა სახის მაკრატლები, დანები და მარწუხები ამოყარეს. ოთახში წამლების სუნი დადგა. ასეთი სუნი ერთხელ მოხვდა თოფუზს აფთიაქში შესვლისას.

— სინათლეა ცოტა.—უთხრა ერთმა ექიმმა ანდროს და ვიწრო ფანჯარაზე ჩამოფარებული ფარდაგის ნაჭერი გადასწია, მაგრამ უმინო ფანჯარაში ძლიერი ქარი შემოვარდა.

— სანათი არა გაქვს?—მიმართა ანდრომ იქვე მდგომ მოხუცს.

მოხუცი უხმოდ მიბრუნდა და ხელფანარი გამოიტანა, სრულიად გამურული და ნახევრად დამტვერული.

— ახლავე ყველაფერი იქნება.—თქვა ანდრომ. სწრაფად გავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ორი კომკავშირელის თანხლებით მოვიდა. ორი დიდი ლამპა მოიტანა, რამდენიმე ცალი კარტოფილის სანთელი, ტაშტი, ვედრო და ერთი ტვირთი შეშა.

— აბა, ბიჭებო, დაანთეთ ცეცხლი!—მიმართა ანდრომ კომ-

კავშირელებს. თვითონ კი ლამპეტი აანთო და ტახტზე დადგა. შემდეგ ისევ ახალგაზრდებს მიმართა და სხვადასხვა დავალება მისცა.

— შენ ალი, ორი-სამი ამხანაგი მოიყვანე, სახლი უნდა დაითვალოს, თორემ საფრთხილოა, შენ კი აქ დაგვეხმარები, მამუდ —გაუჩინა საქმე მეორესაც.—დედი, შენ კი უკეთესია თუ დაგვტოვებ.

მოხუცი უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

ყველაფერი მზად იყო. ექიმებმა ძონძებით შეხვეული ფეხი გახსნეს და გულდასმით გასინჯეს.

ნატყვიარი მუხლს ქვემოთ რბილ ნაწილში იყო, მაგრამ გამოურეცხავი და გამოუსუფთავებელი ჭრილობა გაშავებულიყო, დამპალიყო, სიმსივნეს მოემატებინა თანდათან და ახლა მთელ სხეულს სისხლის მოწამლვით ემუქრებოდა.

სერიოზული ოპერაცია იყო საჭირო. ახლა არა მარტო ნატყვიარი იყო გასაწმენდი და ამოსაჭრელი, არამედ სხვა ნაწილების ამოკვეთაც აუცილებელი იყო.

ავადმყოფის მაჯა და გული არ იძლეოდა უარყოფით ნიშანს და ექიმებიც სასწრაფოდ შეუდგნენ საქმეს. რამდენიმე ნემსი გაუკეთეს. თოფუზმა იგრძნო თითქო ამ ნემსების გაკეთების შემდეგ მთელი ქვედა ტანი უტკივნელად მოჰკვეთეს. ის ახლა არც ტკივილებს გრძნობდა, არც სისუსტეს. ყველაფრამდე კარგად იყო წელს ზევით, მაგრამ წელს ქვევით რა ხდებოდა არ იცოდა. ტანის ქვედა ნაწილს გაეწყვიტა კავშირი ზედა ნაწილთან.

უბრძანეს კედლისაკენ გადაბრუნება და თოფუზიც დაემორჩილა. მიაცქერდა კედელს და უყურებს. თან ფიქრობს რას უზამენ ექიმები. გაუძლებს თუ არა ჭრილობის გაჭრას, გამორეცხვას. რად არ იწყებენ ამდენხანს ოპერაციას? მოცლილი ხომ არ არიან. ჯერ ერთი საათი ხელის ბანას მოანდომეს. გული უწუხდა თოფუზს, იმათ რომ უყურებდა, არც წყალი ენანებოდათ, არც საპონი, არც ანდროს უხდიდნენ ბოდიშს, თუნგით წყალს რომ უსხამდა.

ძლივს მორჩნენ. თავიანთ მოტანილ ხელსახოცებზე შეიმშრალეს ხელი. შემდეგ ის რაღაც ნემსები გაუკეთეს და ახლა რაღაცას ერთმანეთს თოფუზისათვის გაუგებარ ენაზე ელაპარაკებიან.

თოფუზი კი უცქერის კედელს. მოსწყინდა... გული სულ სხვანაირად ფეთქავს.

რას შვებიან ეს ოჯახქორები? მარტო გაპრიალებული იარაღების რაჩხუნი მოარჩენს კაცს? მარტო ეს რაჩხუნი და გაუგებარი გადალაპარაკება ესმის თოფუზს, სხვა—არაფერი.

გადმოაბრუნა თავი. უნდა შეხედოს—რას ელოდებიან, რატომ

არ იწყებენ ექიმობას, მაგრამ ვინ დააცალა თავის მობრუნება. სასტიკად აუკრძალა ექიმმა განძრევა.

— დამშვიდდი, თოფუზ, მალე მორჩებიან.—უთხრა ანდრომ.

რა კეთილი ხმა აქვს ამ კაცს. მალე მორჩებიან. დამცინის. ჯერ არც დაუწყიათ. როგორ უნდა მორჩნენ, მაგრამ... დაიცა... რაღაც ტკივილია. აჰა, დაიწყეს უკვე... არა არ შეუძლია გაუძლოს თოფუზმა მასეთ ოპერაციას. არ უნდა, დაანებონ თავი, დაეხსნან, თორემ...

საშინლად ჩამობნელდა თვალებში. ლამპები ხომ არ ჩააქრეს? კედელზე თითქო შავი ზეწარი ჩამოაფარა და ის ჭუჭრუტანაც კი დაბნელდა, ამდენხანს რომ დღის სინათლის შუქს უშვებდა და ცივი ქარი რომ მოდიოდა შიგ.... დაბნელდა. ყველაფერი შავი ფერით შეიმოსა. ალბათ ასეთია სიკვდილი... დედა მაინც დაეყენებინათ სახლში. ეცქირა თავისი შვილის სიკვდილისათვის. საწყალი დედა. ხმა რომ ჰქონდეს იყვირებდა, მოიხმობდა საყვარელ მშობელს, მაგრამ ალარაფრის უნარი ალარ აქვს. ნეტავ რად მოჰკლეს ასე საშინლად. რა იქნებოდა სიკვდილის დროს ორი სიტყვა ეთქვა დედისათვის? მაინც რამ წაართვა ასე საშინლად ძალა? ხელებიც ალარ მოძრაობენ. ფეხზე კი რაღაც უმნიშვნელო წვას გრძნობს. ალბათ დაიწყეს. სიკვდილი აწი იქნება.

და თვალებიც დახუჭა. რა კარგი ყოფილა სიკვდილი. არავისი დარდი ალარ აქვს ახლა თოფუზს. უნდა ტკბილად დაძინოს. იცის, რომ ეს დაძინება სიკვდილია, მაგრამ იყოს სიკვდილი, ასე კარგი და ტკბილი თუ კია ის.

მაგრამ, რომ არ ანებებენ დაძინებას. რაღაც საშინელი სიმწვავით შეიჭრა ცხვირში და დასაძინებლად გამზადილი სხეული გამოაფხიზლა. მკლავზეც უკბინა რაღაცამ, რა ხალხია... რას ერჩიან? დაანებონ თავი, დაეხსნან. არ უნდოდა თვალი გაეხილა, მაგრამ ის რაღაც, რომ შეევარდა ცხვირში, დაუნდობელი ყოფილა. რაა ცედელზე ჩამოფარებული. გული თითქო სულ სხვანაირად ძგერს... და... რა კარგია სიცოცხლე! ვინ თქვა, რომ სიკვდილი უნდოდა თოფუზს. თოფუზი სუსტადაა, მუხლებში და მკლავებში ძალა არა აქვს, მაგრამ, თვალებში სინათლე ხომ აქვს. გული ხომ ალარ წუხს წელანდელურად.

ნეტავ დაიწყეს ექიმებმა ოპერაცია? არა! კიდევ ხელს იბანენ. ისევ ანდრო უსხამს წყალს. რაღაცას მხიარულად ლაპარაკობენ. თოფუზსაც უნდა მიიღოს იმათ მხიარულ ლაპარაკში მონაწილეობა. ახლა ალარ მოქმედებს მასზე ექიმების ხანგრძლივი ხელების

ბანა. იბანონ რამდენიც უნდათ. როგორ აქაფებენ საპონს. ნეტავ რა საქმეს მიკეთებდნენ, რომ ასე ბეჯითად იბანენ ხელებს?

რუსული რომ იცოდეს, აუცილებლივ ეტყოდა თოფუზი მათ, რომ ხელის ბანით ავადმყოფი არ მორჩება, დასცინებდა კიდევაც, მაგრამ არ იცის რუსული... მოდი და ნუ გაგეცინებს... კიდევ წაისვეს საპონი.

რა ხალხი ყოფილა!

და თოფუზს ღიმილმა გაუპო ბაგე.

— როგორ ხარ, შვილო?—და დედის ხელი თოფუზის შუბლზე დაესვენა.

— ეს დედაა?—თოფუზმა თვალებში შეხედა... მერე ვინ შემოუშვა ის აქ? აკი დაითხოვეს აქედან? ალარც თვითონ არის ახლა კედლისაკენ თავშებრუნებული. კი, მაგრამ როდის დართეს გადმობრუნების ნება. ან ეს ფეხი რომ... ნელა ჩააცოცა ხელი მტკივანა ფეხისაკენ. ეს რაა? როგორ მაგრად შეუკრავთ. სიმსივნეც რომ არა აქვს. მარტო ერთ ადგილას გრძნობს სუსტ წვას. ასეთი წვა თოფუზს პირის მოპარსვის შემდეგ უგრძნია სახეზე, სადაც გაუკაწრავს ხოლმე.

— შვილო, არაფერს მეტყვი?—და მოხუცის თვალებში ცრემლები აციაფდნენ.—მითხარი გეყურბანე. როგორ ხარ?

თოფუზმა გაუღიმა დედას. ხმის ამოღება კი ვერ მოახერხა, თუ ვერ გაბედა.

დედის ხელი გადაცოცდა ხუჭუჭ თმაზე და მთელი მშობლიური ალერსის სითბო ჩაიტანა მკერდამდე.

— ვაშლი მოგიტანო, შვილო? შემწვარი ვაშლი? მითხარი, გეყურბანე, რამე.—დაიხარა მოხუცი და თავისი გულისცემა შვილის გულისცემას შეუერთა.

— ვაშლი?—ამოიღო ხმა თოფუზმა და ექიმებისაკენ გაიხედა. ისინი კიდევ იბანდნენ ხელებს.

— ექიმებმა თქვეს, შვილო, შემწვარი ვაშლი ეკმეკვაო. შემდეგ კი ვახშამს გაგიმზადებ.— უთხრა ალერსით დედამ.

— მომიტანე, ექიმებმა თუ სთქვეს.—უფრო გაბედულად წარმოსთქვა თოფუზმა და რაღაც უფრო მეტი სიძლიერე იგრძნო მუხლებსა და მკლავებში.

— როგორ ხარ, ამხანაგო თოფუზ? ხედავ, გადაგარჩინეს! აი, ასეთია მეცნიერება! რას გიშვება ფეხი? ძალიან ბევრი ჩირქი და წამხდარი სისხლი ამოიღეს, მაგრამ ყველაფერი ადვილად ჩაიარა.

თოფუზმა მადლიერი თვალებით შეხედა ჯერ ექიმებს, შემდეგ ანდროს. მადლობის ნიშნად გაუღიმა, შემდეგ თვალები ძირს დაუშვა და გაწითლდა.

III

დალამდა. თოვლით დაბურული ხეები მდევებივით იდგნენ. სახლების სახურავებიდან ჩამოყრილ თოვლს კედლები დაეფარა. ქარი ისევ უბერავდა და უხვად აყრიდა ხოშკაკალს. თოვლს თანდათან ემატებოდა და ახალდათოვლილი სახურავებიც ხელახლა დასათოვლავი ხდებოდა.

ბარში სახლები ასეთ თოვლს ვერასოდეს ვერ გაუძლებენ, მაგრამ აქაური სახლებისათვის მაინცადამაინც დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა. მაინც ჩამოთოვლეს იმ დღეს სახურავი, რომ უფრო დამშვიდებული ყოფილიყვნენ.

ახლა მოსჩანდა ბუხრებიდან ამოსული კვამლი, რომელიც ქარს აქეთ-იქით მიჰქონდა და თოვლის ნამქერს ატანდა სხვადასხვა მიმართულებით.

თოფუზის ლოგინთან მიმჯდარი დედა ტკბილად ესაუბრებოდა შვილს. მისი სახე გაბრწყინებული იყო. თვალებში სიხარულის ცრემლები ჰქონდა. სულ რამდენიმე საათი გავიდა მას შემდეგ, რაც თოფუზს ოპერაცია გაუკეთეს, და თითქო რამდენიმე დღე გასულიყოს. წუთობით უმჯობესდება ავადმყოფის მდგომარეობა. მართალია, სისუსტეს გრძნობს, მაგრამ ეს მას არ უშლის ხელს გამოელაპარაკოს დედას და მისი ლაპარაკიც მოისმინოს. მისი სხეული მხოლოდ მოქანცული იყო, განძრევა არ შეეძლო, თორემ არავითარი ტკივილი აღარ აწუხებდა.

— აღარ გაწუხებს, თოფუზ, ფეხი?

— არა, დედი. მხოლოდ გაბეჭეებული მაქვს. ასე მგონია, სისხლი ამოლეულა შიგ.

— ვეყურბანე იმათ ხელებს. ღმერთს მოუელენია ჩვენდა სასხსნელად. ურუსები კი იყვნენ, მაგრამ...

— ადამიანი ყველა ერთია, დედი. ქართველი, რუსი, თურქი, სომეხი—ყველაში ურევია კარგი და ცუდი.

— ის ანდროც რომ ყოფილა...—ჩაილაპარაკა ისევ მოხუცმა.

— ანდრო?.. ანდრო... ის სულ სხვა ადამიანია დედი...—თავი ჩაიქნია და საშინელი შეწუხება დაეტყო სახეზე.

— რა იყო, თოფუზ, ხომ არაფერი გეტკინა, შვილო?

— გული მეტკინა დედი, გული—მკერდზე დაიდვა დასუსტებული ხელი.

— მოგიკვდეს დედა. ეს რალა სატკივარია. წყალი დალიე,

შვილო.—ჭიქით წყალი მიაწოდა, მაგრამ თოფუზმა უარი უთხრა.

— წყალი ვერ მოარჩენს ასეთნაირ გულის ტკივილს, დედა.

— ვაი შენს დედას, შვილო. ხოჯასთან წავალ, ნუსხას დავაწერინებ. გულისტკივილს მაინც მოუხდეს იქნება.

— ნუ იტყვი, დედი.—თვალებში ცეცხლი მოაწვა თოფუზს.- ხოჯის სახელი დღეიდან ჩვენს ოჯახში არ ახსენო. გესმის, დედი, არ ახსენო!

— რას ამბობ, შვილო! შენც ხომ არ გინდა მურადას დღეში ჩაგაგდოს ალლახმა? როგორ შეიძლება, ხოჯა არ ახსენო, ალლახი არ ილოცო. ხომ ნახე როგორ გაადელა ალლახმა მურადაი, საწყალი ბიჭი. ამბობენ ნაილეც გადელებულაო.

— ტყუილია, მურადი მორჩა. დიაღ მორჩა. ის ღმერთმა კი არა, ხოჯამ გაადელა. ხოჯამ... მე გავადელე ის, დედა.—თოფუზი აღელდა.

— რას ამბობ შვილო? შენ რა შუაში ხარ? ის მისმა ცოდვებმა გაადელა. ეშმაკს ეშმაკები გამოეცხადა დიდება ალლახს, შენი თავი გადამირჩინა, არ დამტანჯა უდანაშაულო ადამიანი.

ფერუზემ ხელები აღაპყრო და რაღაც ლოცვები წარმოსთქვა.

— ჰმ,—ჩაიცინა მწარედ თოფუზმა.—ექიმებმა მომარჩინეს და ალლახს მადლობას ეუბნები, ძალიან უმადური ყოფილხარ, დედი!

— თუ ალლახის ნუბა არაა, ექიმები ისე ვერავის მოარჩენენ, შვილო. ნუ იტყვი მასე, გეყურბანოს დედა.—შუბლზე გადაუსვა ხელი და მკერდზე აკოცა.

— შენ არ გჯერა, დედი, რომ მურადი მორჩება?

— ალლახმაც ინებოს, შვილო, მაგრამ ხოჯა ამბობს არ მორჩებაო. ექიმები ვერაფერს გახდებიანო...

— ხოჯა ამბობს...—გაიმეორა თოფუზმა.—დიდი მოხერხება აქვს მაგ ხოჯას, მაგრამ... შენ იცი დედი ბოლშევიკები როგორი ხალხია? აი, ანდრო რომაა, ისეთებია ბოლშევიკები, ჰო და, იმათთვის დაუძლეველი არაფერია. ხოჯებს, აღიებს, მოლებს, ბეგიებს შეუძლიან ცოტა ხელი შეუშალონ, მაგრამ ბოლშევიკებს ვერას დააკლებენ... შენ იცი, რომ ჩვენს ტყეებში ქაჯი დადიოდა?

— ნუ ახსენებ, შვილო, მის სახელს. დასწყევლოს ღმერთმა მისი სახელი.—გააფურთხა მოხუცმა.

— არა, დედი, მე ქაჯის არ მეშინია. ისე გეკითხები, შენ თუ გაგიგონია, რომ ჩვენს ტყეებში ქაჯი და ეშმაკი დადიოდა.

— გამიგონია, შვილო, ხოჯამაც სთქვა იმ გზობაზე ვნახეო. მურადაიც იმან გაადელაო. ალლახის ურჩს ხვდებაო და ადელებსო. შენ კი ღმერთმა გაშოროს, შვილო, მისი შეხვედრა.

— ხა, ხა, ხა,—გადაიხარხარა თოფუზმა.—ის ქაჯი ანდროს ნახა ერთ ღამეს და იცი რა უქნა?

— ღმერთო, დამიფარე!

— ფეხში ტყვია გაარტყა, დედი. შემდეგ დასაჭერად გამოეკიდა, მაგრამ ქაჯმა ტყეში შეასწრო.—კიდევ ჩაიქნია თავი.— მეორე დღეს მოძებნა ფეხმოტეხილი ქაჯი და ფეხი მოურჩინა.

— გეყოფა. შვილო, დაიძინე.—დაეჭვდა შვილის გონებაზე დედა.

— ტყუილი გგონია? მოურჩინა ფეხი, მაგრამ რა გგონია შენ? აწი ის ქაჯი იცი როგორი გახდება? ანდროსათვის თავს არ დაზოგავს. ყველა ქაჯებს მოსპობს და ისე გაწმენდს ჩვენს კუთხეს, რომ აი, ერთი მალე მოურჩებოდეს ფეხი!—უძლური ხელები მოუჭირა ერთმანეთს.

მოხუცს ფერი ეცვალა. ცუდი ნიშანია ასეთი ლაპარაკი, გაიფიქრა. რომ დაიძინებდეს, ხოჯასთან წავიდოდა, ალოცვინებდა, ძალიან უხდება გონების არევას ლოცვები.

მაგრამ ძაღლი ხსენებაზეაო...

ფრთხილად მოაკაკუნა ვიღაცამ კარებზე და ვიწროდ გაღებულ კარებში მოლა ნურიმ შემოიჭვრიტა.

— მარტო ხარ, თოფუზ?—და შემოდგა ფეხი.

ფერუზე მოსცილდა შვილის საწოლს, იაზმა შემოიხვია და მიბრუნდა ზურგით სტუმრისაკენ.

— კარგ დროს მობრძანდი, ნური, ხოჯასთან მინდოდა წასვლა, ნუსხა უნდა დამეწერინებინა.—ისე ზურგშექცევით უთხრა უკვე სახლში შემოსულ მოლას ფერუზემ.

მოლამ არაფერი უპასუხა, ერთი მიიხედ-მოიხედა ოთახში და სხვა რომ ვერავინ დაინახა, თოფუზთან მივიდა.

— ექიმები იყვნენ?—ნახევარ ჩურჩულით ჰკითხა მან თოფუზს.

თოფუზმა პირი იბრუნა ბალიშზე.

ნური მოუბრუნდა ფერუზს

— მარტო დაგვტოვე, ფერუზე.—ბრძანების კილოთი უთხრა მას და ისევ თოფუზას გადახედა.

— დედა, არ გაბვიდე!—კარებთან მისული ფერუზე შემოაბრუნა თოფუზმა.

ფერუზე შესდგა. გააკვირვა შვილის ასეთმა კილომ.

— თქვენ ისაუბრეთ, შემოგველოს დედა. მე მალე შემოვალ.

— დარჩი მეთქი, დედი!—უფრო სასტიკად უთხრა თოფუზმა და მოხუცი მობრუნდა.

— აქ დამიჯექ,—მიუთითა ტახტზე.—შენ კი,—უთხრა ნუ-

რის,—ახლა ვერაფერს გეტყვი. არ შემიძლია, თორემ... არაუშავს, ჩემს მაგივრად სხვები გეტყვიან.

— თოფუზ!—შესძახა შეშფოთებულმა მოლამ და ავადმყოფისაკენ წაიწია.

— იციან ყველაფერი... წადი, წადი მეთქი...

— თოფუზ, რა ჩაიდინე?!

— არაფერი ისეთი... ჯერ არ გიცნობენ. კიდევ შეგიძლია იარო თავისუფლად, მაგრამ...—თოფუზმა ხმას აუწია—მაგრამ მოურჩება ფეხი ქაჯს და... ოჰ თქვენი...—კბილები გააკრაჭუნა და თვალებიდან ცეცხლი გადმოყარა.

— ასე!?.—მუქარით ჩასძახა მოლამ.

— ასე... ქაჯის ფეხის მორჩენამდე ასე... შემდეგ კი... თვითონ ქაჯი გაასწორებს თქვენთან ანგარიშებს.—მტკიცედ უპასუხა თოფუზმა

— მაშ, ქაჯი უნდა მოკვდეს!—მრისხანედ სთქვა მოლამ, იძრო ბებუთი და ის იყო მწოლარისათვის უნდა ჩაეცა გულში, რომ უეცრად თითქოს მიწიდან ამოძვრენენო, ორი ახალგაზრდა შემოვარდა კარებში რევოლვერებით ხელში და მოლამ ხელის აწევაც ვერ მოასწრო, ისე გაკოჭეს.

ფერუზემ შეიკივლა და შვილს გადაეფარა. თოფუზს, ამხანაგები რომ დაინახა, გული გაუმაგრდა. წამოვარდნა დააპირა, მაგრამ ვერ შესძლო და ისევ ლოგინში ჩავარდა.

— მიშველეთ ბიჭებო! მიშველეთ! შეკოჭეთ მაგი ბილწი. მავნე! გეყურბანეთ ამხანაგებო... მასე... მასე შეუკარით ხელები.- იძახდა თოფუზი და ძლივს იჭერდა თავს.

ახალგაზრდებმა სწრაფად გაიყვანეს მოლა და ფერუზეს დაუბარეს, რომ ფრთხილად ყოფილიყო... უცნობისათვის კარები არ გაეღო...

— ალლაჰ, ალლაჰ,—ამბობდა ფერუზე შვილის ლოგინთან ჩაჩოქებული და თავის პირმშოს მისჩერებოდა.

მოლას დაპატიმრებისა და წაყვანის შემდეგ თოფუზმა მოუყვა დედას ამბები, რომელიც მისსა და ქაჯების მოქმედებას შეეხებოდა.

— სიკვდილი ჩემი, სიკვდილი!—იძახდა საწყალი მოხუცი და ქვითინებდა...

ქარი შეწყდა. თეთრად დაბურულ მთებს შემოეცალა შავი ნისლი. ცა თანდათან მოიწმინდა. ვარსკვლავებმა გამოიკვრიტეს მაღლიდან და გამოჩნდა დასავლეთისკენ გადაკიდებული, კიდე-ჩამოჭრილი მთვარე, რომელიც თითქო ძალიან ჩქარა მიექანებოდა

და სრიალით მიდიოდა ჯერ კიდევ აქა-იქ დარჩენილ თხელ ლრუბ-ლებში.

მამლების ყივილი ყრუდ მოისმოდა.

ახლოვდებოდა დილა, რომელიც სიცოცხლის მომგვრელი მზის ხსივებით მოქარგავდა ქვეყანას.

თოფუზს ეძინა ტკბილად. ფერუზეს შვილის ხელი ჩაეკრა გულში და სთვლემდა სიხარულით აღსავსე. გარეთ კი ორი ახალ-გაზრდა დადიოდა რევოლვერებით ხელში და მძინარე ადამიანების სიცოცხლეს სდარაჯობდნენ. ესენი კომკავშირელები იყვნენ, ორგა-ნიზაციის დავალებას ასრულებდნენ.

IV

მთელ სოფელს მოედო მოლა ნურის დაპატიმრების ამბავი. ანდრო ჯერ კიდევ არ ამდგარიყო, რომ დურსუნი მიიჭრა მასთან. ის მეტად აღელვებული იყო. ლაპარაკს ძლივს ახერხებდა, ენა ებმებოდა.

ანდრომ სთხოვა დამჯდარიყო, მაგრამ ვერ მოახერხა დაჯ-დომა. შეურაცყოფილი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. გული საშინლად უცემდა.

— ერთი მითხარი, ამხანაგო ანდრო, ვინაა ამ სოფლის ბა-ტონ-პატრონი?..—ძლივს წარმოსთქვა მან და ანდროს მიაჩერდა.

ახალწამომდგარი იყო ანდრო, ხალათს იცვამდა ამ დროს, მაგრამ უცებ შეჩერდა და გაკვირვებით მიაცქერდა აღელვებულ თავმჯდომარეს.

— არაფერი მესმის.

— ვინ არის ამ თემის ბატონ-პატრონი მეთქი?—კიდევ გაი-მეორა შეკითხვა თავმჯდომარემ.

— საერთოდ, ბატონი არ ყავს ახლა ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს და, რაც შეეხება პატრონს, ვინ უნდა იყოს? ჩვენ, ჩვენ ვართ ჩვენი ქვეყნის პატრონი და, თუ გნებავს, ბატონიც. რა გინდა სთქვა მაგით?

— რა მინდა ვთქვა? ..—მაგრად ამოითქვა სული თავჯდომა-რემ.—ვინ დააპატიმრა ნური?

— მოლა ნური?

— დიაღ, ვინ მიუხდა ხოჯას სახლში?

— არ ვიცი,—ცოტა არ იყოს ჩაფიქრდა ანდრო.

— მაშ მე ვიცი...—სკამზე ჩამოდგა ცალი ფეხი. მაუზერი წინ მოიმწყვდია, ტარზე მარჯვენა ხელი დაადო და ამეტყველდა.—მაშ

მე ვიცი.—გაიმეორა ისევ.—შენ კი არ გეწყინოს და ერთ სამ-ოთხ კაცს ავუკრავ ბარგს ამ სოფლიდან.—მიაჩერდა ანდროს.

— რაშია საქმე, ამხანაგო დურსუნ? თუ ვინმე ბარგასაკრავია, მათი აბარგება რატომ უნდა მეწყინოს! ჩემი მოვალეობაც ისაა, რომ დაგეხმარო ასეთ საქმეში.

— დახმარება სხვაა. მე ვიცი შენ დაიცავ მათ, კომკავშირელებიაო, ახალგაზრდებიაო და გადამეღობები წინ, მაგრამ, იცოდე ამხანაგო ანდრო, ძალიან მიყვარხარ და მეხათრება შენი, მაგრამ საკითხს კი უმაღლეს ორგანოში დავსვამ თუ...

ანდრომ გადაიცვა ხალათი და ქამარი შემოირტყა.

— სჩანს ცუდად მიცნობ, ამხანაგო დურსუნ. დამნაშავეს და ხელისშემშლელს კომკავშირელს კი არა, პარტიის წევრიც რომ იყოს, არ დავერიდები, დიაღ, არ დავერიდები. სწორედაც იმიტომაა ჩვენი პარტია ძლიერი, რომ არავის დაერიდება. მითხარი რაშია საქმე?

— შენ არ იცი, რომ წუხელის ნაშუაღამევს კომკავშირელებს მოლა ნური დაუპატიმრებიათ?

— არა.

— ხოჯისას რომ მიცვენილან და კარების შელეწვა მოუნდომებიათ?

— პირველად მესმის.

— მაშ ვისი დირექტივებით მოქმედებდნენ ისინი?—უფრო აღელდა თავმჯდომარე.—დღეს მთელი სოფელი აწრიალებულია, ხოჯას იჭერენო, მოლა დაგვიჭირესო, აწი ჯამესაც დაგვიშლიანო. ხომ იცი, ამხანაგო ანდრო, ჩვენი მთავრობის პოლიტიკა?

— ძალიან კარგად!

— მაშ, სარწმუნოებისა და ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ ამ სახით ბრძოლა შეიძლება? დასაშვებია? მოსათმენია?

ანდრომ მხრები აიჩეჩა

— მაშ ვინ მუშაობს თავისი ბნელი ხელებით ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ? ვინ არიან ეს ლაწირაკები, რომ ასე მოქმედებენ! ვინ მისცა ნება მოქალაქის დაპატიმრების, ოჯახში მიხდომის. მითხარი ამხანაგო ანდრო, ვის აქვს ამის უფლება?

ანდრომ თავი გადააქნია... გუშინ თოფუზის ოპერაციის შემდეგ ექიმებს გამოყვა. ცოტა ხანს ისაუბრეს. შემდეგ ისინი ცხენებით წავიდნენ და ანდრო მარტო დარჩა. მასთან დაღამებისას კომკავშირის უჯრედის მდივანი შაქირ მენაბდე მოვიდა, თოფუზის ჯანმრთელობა იკითხა და ისევ წავიდა. ანდრომ მას დაავალა ყურადღება მიექცეთ თოფუზისათვის. გაანდო საიდუმლოება. სხვა

არაფერი. მაშ ეს რაღაც მომხდარა. სჩანს აქ რაღაც ამბავია კიდეკ.

— სადა ჰყავთ პატიმარი?—შეეკითხა დურსუნს ცოტა ხნის შემდეგ ანდრო.

— ვინ იცის.—უპასუხა თავმჯდომარემ.—იქნებ სადმე კიდევაც...

— შეუძლებელია. მაგას ვერ გაბედავდნენ.

— შენ არ იცნობ ამხანაგო ანდრო, ჩვენს ხალხს. ამ ტყეებს რომ ხედავ, იცი შიგ რამდენი ნადირი დადის? რამდენი ყაჩაღი იმალება? ეს ხალხიც ამ ტყეში გაზრდილია. ესენი რომ არ ჩაიდენენ, ისეთი არაფერია. რატომ გეუბნებოდი ჩემსას დაბინავდი მეთქი. მართალი გითხრა, მეშინოდა. შენ არ იცი და რამდენი ღამე გამითენებია თეთრად შენს სიცოცხლეზე ფიქრით. შენზე წინ რომ მომაგრებული ამხანაგი იყო, იმას სამჯერ დაუხვდნენ. მიკვირს, შენ რომ ვერაფერი გაგიბედეს, თუმცა ძალიან დაშინებული კი მყავს ყველა. მაგათ თუ მათრახი და ეს არ უჩვენე—მაუზერი ასწია ხელში.—ისე ვერ დაიმორჩილებ.

ვილაცამ გაბედულად მოაკაკუნა ყარებზე...

—მობრძანდით,—გაეხმაურა შიგნიდან ანდრო.

ოთახში შაქირ მენაბდე და ორი კომკავშირელი შემოვიდნენ.

— გამარჯობა, ამხანაგო ანდრო!

— გაგიმარჯოთ!—სათითაოდ გადახედა ანდრომ მოსულებს. სამივეს რევოლვერის ტარზე ჰქონდათ ხელი მოკიდებული და ფხიზელი თვალებით ზვერავდნენ ყველაფერს.

— აი, ეს ვაკბატონებია,—ხელით აჩვენა დურსუნმა ახალგაზრდებზე და სკამიდან ფეხი ჩამოდგა.

— რომელი ვაკბატონები?—მოუბრუნდა შაქირი თავმჯდომარეს.

— ის ჩვენ ვიცთ.—მაუზერზე დაიდვა ხელი დურსუნმა.

— ჩვენც რომ ვიცოდეთ, რა უშავს,—წამოიძახა ერთმა კომკავშირელმა, რომელიც კარებთან გაჩერებულიყო.

— თქვენზე ვილაპარაკებთ,—შიუგო თავმჯდომარემ და ანდროსაკენ შებრუნდა.

— უცნაურად ლაპარაკობ, ამხანაგო დურსუნ,—წინ წამოიწია შაქირი და მაგიდასთან გაჩერდა.—მე მგონია ჩვენ ერთმანეთთან საბრძოლველად მოწოდებული არ ვართ. თქვენ მთავრობის წარმომადგენელი ხართ, ჩვენი არჩეული. ჩვენც ორგანიზაციის წევრები ვართ. რატომაა, რომ რაღაც მწყრალ კილოზე გველაპარაკები. რა დიგვიშავებია?!.

— ის მე ვიცი, რაც დაგიშავებია.—ველარ შეიკავა თავი დურსუნმა.—ერთი მითხარი, ვინ დააპატიმრა წუხელის შუაღამისას

მოლა ნური ბორდავაძე! მითხარი მეთქი, ვინ დააპატიმრა?!

— ჩვენ,—ამაყად უპასუხა შაქირმა.

— თქვენ!—იყვირა თავმჯდომარემ.—ვინ ხართ თქვენ?!. ვინ ხართ მეთქი!—უფრო აუწია ხმას და მაუზერის ტარს ნერვიულად დაუწყო ხელით ტრიალი.

—ვინცა ვართ, კარგად იცით თქვენ, ამხანაგო დურსუნ, ჩვენ კომკავშირელები ვართ, მოქალაქეები ვართ...

— ჩუმად!—შეაწყვეტინა თავმჯდომარემ სიტყვა.

— თუ შეიძლებოდეს, აქ ნუ გვიყვირი,—გამაფრთხილებელი კილოთი უთხრა შაქირმა.—თქვენსას ჩვენ, უფრო ადრე ვიყავით და ვერ გნახეთ. ახლა ანდროსთან ვართ მოსული და თუ გსურთ დაესწროთ ჩვენს ლაპარაკს, კეთილ ინებეთ და მოისმინეთ, თუ არა და, მიბრძანდით. ჩვენ იქ გეახლებით და, როგორც საბჭოს თავმჯდომარეს, ყველაფერს დაწერილებით მოგახსენებთ.—ისეთი ტონით უთხრა ეს სიტყვები შაქირმა, რომ დურსუნმა სიბრაზისაგან ტუჩები დაიკვნიტა.

— წახდა დროება.—გაიფიქრა მან.

როგორ თამამად ლაპარაკობენ უფროსის წინაშე! აი, დედასა, სადაა ის დრო... ძათრახით აუპრელებდა ზურგს. ყურმუსაღები... ნაცრიანი მჭადით გამოზრდილები, ფეხშიშველა გლეხების გაზრდილები!..

როგორ შეჩვევიან ლაპარაკს!..

დურსუნმა ზიზღით გაიხედა ანდროსაკენ...

სულ ამისი ბრალი ყია. ყველაფერი შეასწავლა, რაც იცოდა. ნამდვილ ბოლშევიკებად მოაქვთ თავი. რომ ამაყობენ კიდეც! მაკაცის მოცილებაც რომ არ მოხერხდა! რამდენი ქაღალდი გაგზავნა, რამდენი რა არ დასწამა, მაგრამ არაფერი ეშველა. დააწინაურონ მაინც, რომ აქაურობას მოსცილდეს.

ანდრომ სთხოვა დურსუნს ედროვებია, მოესმინა მოსულებისათვის და, როგორც იქნა, გააჩერა, მაგრამ მისი ხელები მაინც თრთოდნენ და კანკალებდნენ ბრაზისაგან.

— ამხანაგო ანდრო.—დაიწყო შაქირმა,—ჩვენ წუხელის გადავაჭარბეთ, თუ შეიძლება ასე ითქვას. შეიძლება ამ შემთხვევაში სამართლიანი იყოს ჩვენი თავმჯდომარის წყრომა, მაგრამ ჩვენ ხშირად შენგან გაგვიგონია, რომ არის შემთხვევები, როცა ვეკ, დაელოდები დირექტივას და ისე იმოქმედებო. ჩვენც ასე მოვიქეცით. სხვანაირად არც შეიძლებოდა. აი, ახლა, როცა ფაქტის წინაშე ვართ, განსაჯეთ ჩვენი მოქმედება და სათანადო ზომებიც მიიღეთ.— ცოტა ხნის შეჩერების შემდეგ დაუმატა:—ჩვენ დავაპა-

ტიმრეთ მოლა ნური ბორდავაძე, გვინდოდა დაგვეპატიმრებია ხოჯა მამუდი ზერაძე, მაგრამ დაგვემალა...

— ვინ მოგცათ ნება?!—ვერ მოითმინა ისევ თავმჯდომარემ.

— მოგახსენებთ, ამხანაგო დურსუნ. რატომ ღელავთ მასე?.. ჩვენ გვინდოდა დაგვეპატიმრებია იუსუფ-ალაც...

— რა უფლებით?—კიდევ შეაწყვეტინა თავმჯდომარემ და წელში გასწორდა.

— უფლებებზე აწი ვილაპარაკებთ, ამხანაგო დურსუნ... ჩვენ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, ჩვენ ადამიანის სიცოცხლე ვიხსენით და...

შაკირმა მოკლედ მოუყვა წუხანდელი ამბავი...

კომკავშირელები ფხიზლები უნდა იყონ. ანდრომც ხომ უთხრა შაქირს, თოფუზს ყურადღება მიაქციეთო. ეს ყველაფერს ნიშნავს. ყურადღების მიქცევაში ყველაფერია ნაგულისხმევი. განა არ იცოდნენ, რომ მოლა თოფუზის მოკვლას მოინდომებდა?!. იცოდნენ და იმიტომ მიუჩინეს დარაჯები. ფეხაკრეფით შეყვნენ სახლში და უცდიდნენ. ასე დაარიგა მოხუცმა მუჰამედ შვინდაძემ. იმ მოხუცმა, თეთრწვერება რომაა, ანდრომ რომ შვილიშვილები მოუწყო სასწავლებლებში. დახმარება აღმოუჩინა და მიხედა. სწორედ ის მოხუციც ეხმარებოდა კომკავშირელებს. შორსმჭვრეტელი კაცია, ნახული აქვს ბევრი და ესმის. პირადათ მივიდა შაქირთან წუხელ. თოფუზას ამბავი იკითხა და რომ გაიგო, ანდროს მოყვანილმა ექიმებმა ოპერაცია გეუკეთესო, შეკრთა.

—ბიჭებო,—სთქვა მან,—ახლა საფრთხეშია თოფუზი. მას ბოროტი სულები დაეცემიან. მიხედეთ. უშველეთ.—და დაარიგა, როგორ მოქცეულიყვნენ...

შაქირმა გაუმტყუნა მოხუცს. ბოროტი სულები სად არიან, ბაბულიო, მაგრამ მოხუცმა დაიჩემა. ქვეყანა სიკეთესა და ბოროტებაზე ბრუნავსო. დაუდარაჯეთ, უთვალთვალეთ და ბოროტ სულსაც დაიჭერთო... ურუსებმა რომ თოფუზა მოარჩინეს, მაგას არ მოითმენენო. წადით და ნახავთო...

იმ ხნის კაცს ტყუილიც დაეჯერება. ორი კომკავშირელი ჭურდულად აეტუზა თოფუზას ოთახის კარებს. ერთი საბძელთან მიიმალა გარედან...

და თავის დროზე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოხუცი მუჰამედი ამბობდა. მარტო მოლა ჩავარდა. ხოჯა ვერ დაიჭირეს. დაიმალა. გარეთ იცდიდა ის, დერეფანში ატუზული... ისე კი ერთად მივიდნენ თოფუზისას.

დაჭერის შემდეგ მოლამ ყველაფერი აღიარა... დედა-შვილი

უნდა მოგვეკლა და ანდროსთვის დაგვებრალებიაო...

— სად არის პატიმარი?—კითხა ანდრომ 'მაქირს.

ამ ამბავის მოსმენაზე თავმჯდომარეს ფერი წაუვიდა. ის ისე კანკალებდა, რომ ყველასათვის შესამჩნევი იყო...

— ამათ საბძელში—ხელით ანიშნა ამხანაგზე 'მაქირმა.— სამი ბიჭი დარაჯობს.

— ძალიან კარგი. წავიდეთ საბჭოში დურსუნ! თქვენ მოლა ნური მოიყვანეთ იქ, ამხანაგებო.—ანდრომ პალტო მოისხა, ყაბალახი ყელზე შემოიხვია და გამოვიდა.

დურსუნი უხმოდ გამოყვა. ის ჰგავდა წელგაწყვეტილ გველს, რომელსაც უფრო მეტი გესლი მოწოლია, მაგრამ წასვლა არ შეუძლია და ერთ ადგილას აქნევს თავს. ამ დროს ის თავის სიახლოვეს ეძებს მოწინააღმდეგეს; იბრძვის, ტრიალებს, იგრიხება, წვალობს და თუ ცოცხალი არსება არ ჩაუვარდა ხელში, ქვას მოუჭერს კბილებს, მთელი სიძლიერით დააწვება, გადმოანთხევს რაც გესლი აქვს, ამოსწურავს მისს ფიალას და შემდეგ თავის დანთხეულ გესლშივე მოკვდება.

ასეთი იყო დურსუნ შვინდაძის მდგომარეობა ამ დროს, იმ განსხვავებით, რომ მას აღარც ქვა ჰქონდა კბილების მოსაჭერად და დაგროვილი გესლის ამოსანთხევად.

თავი მეშვიდე

I

მზიანი დღეები წავიდნენ ზედიზედ. ნაადრევად მოსულ ზამთარსა და ნამდვილ ზამთარს შუა პატარა გაზაფხული დადგა. დეკემბერმა მოწმენდილი ცა და ყინვიანი ღამეები მოიტანა. თოვლი თანდათან შეთხელდა და მალე სატელეფონო ხაზის აღდგენა და საფეხსნო გზის გაყვანა იყო შესაძლებელი.

კარგა ხანია სოფლელები მაზრასთან კავშირს მოწყვეტილი იყვნენ. არც გაზეთები მოდიოდა, არც წერილები, ქვეყანასთან მხოლოდ მოწმენდილი ცითა და მნათობებით იყვნენ კავშირში.

ყველაზე ძნელი იყო ეს ანდროსათვის, რომელიც ყოველ წუთში ელოდებოდა მურადის ამბავს. ან წერილს კი გამოგზავნიდნენ, ან დეპეშას, ან ტელეფონით დაელაპარაკებოდნენ, ხაზი რომ ყოფილიყო.

საბჭოშიაც არეული იყო საქმეები. ახლა უსათუოდ საჭირო იყო ცენტრის დახმარება. სოფლებში ჭორები იყო გავრცელებული... ვინ ანდროს წინააღმდეგ გამოდიოდა, წყეულიდა, აგინებდა... ვინ კიდევ საბჭოს თავმჯდომარეზე ილესდა კბილებს, მაგრამ ერთნიც და მეორენიც ვილაცის ხმას მიყვებოდნენ და არც კი იცოდნენ ვისი იყო ეს ხმა.

დაპატიმრებული მოლა ისევ საბძელში ჰყავდათ დამწყვდეული. კომკავშირელები დარაჯობდნენ რიგრიგობით. საჭირო იყო მისი გადაგზავნა, გამოძიების დაწყება, მისი მომხრეებისა და ხელშემწყობთა დაპატიმრება, მაგრამ ამის ძალა იქ არ ყავდათ და ამიტომ ხოჯა მამუდი და იუსუფ-აღა, რომლებსაც ბრალდებოდა მოლასთან ერთად მუშაობა და სხვადასხვა ბნელი საქმეების მოწყობა, ჯერ კიდევ არსეინად დასეირნობდნენ. ანდრომ და ზოგიერთმა ამხანაგებმა, მოითხოვეს იმათი დაპატიმრება, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარე წავიდა წინააღმდეგ. ის ჩადგა შუაში და დროებით გადაარჩინა სიმამრი დაპატიმრებისაგან.

ანდრო აჩქარებდა ახალგაზრდებს, გაყავდა სამუშაოდ, აწმენ-

დინებდა გზას, ასწორებინებდა ტელეფონის ბოძებს და აბამდა მავთულებს, რომ მზად შეხვედროდა მაზრიდან წამოსულ სატელეფონო ხაზის შემკეთებლებს.

რამდენიმე დღეში გაიყვანეს ბილიკი მახლობელ სოფლამდე. შემდეგ მათთან ერთად წაიწიეს წინ და მალე გავიდნენ ბათუმ-ხულოს გზატკეცილზე.

ახლა აღარ იყო საჭირო ცდა. მოილაპარაკეს. გადაწყვიტეს... ხვალ დილით ადრე უნდა დაეპატიმრებინათ შემჩნეული პირები. და მცველების თანხლებით მაზრაში გადაეგზავნათ. თვითონ ანდროც უნდა გაჰყოლოდა თან. ამის შესახებ ანდრომ საიდუმლოდ ძოელაპარაკა უფრო დაახლოვებულ კომკავშირელებს და შემდეგ თავმჯდომარესაც განუცხადა.

როგორც გსურდეს.—ცივად უთხრა დურსუნმა.—მე, როგორც თავმჯდომარე, არავის დაპატიმრებაზე ხელს არ ვაწერ... დაპატიმრე ვინც გინდოდეს... მაგრამ გაფრთხილებ, ამხანაგო ბერტაძე, რომ თქვენს დაგებულ მახეში თქვენვე არ გაებათ.

ეს რას ნიშნავს?—ფერი გადაჰკრა ანდროს.

— იმას, რომ მე ვერ მივიღებ მონაწილეობას იმ ბნელ საქმეებში, რომელსაც აქ ზოგიერთები აწყობენ. დიაღ, ვერ მივიღებ. —ავტორიტეტულად სთქვა დურსუნმა და მაგიდაზე ნერვიულად აათამაშა თითები.

— მაგრამ შენ ხომ მოვალე ხარ მიიღო ზომები ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ?

როგორც გენებოს, ისე მოიქეცით. მე არაფერიც არ ვიცი, ჩვენ ვმუშაობდით ამ დროშეც, აგერ მესამე წელია თავმჯდომარედ ვარ და არაფერი გამიფუჭებია, ახლა...

ყველაფერი მოიგონა, ამოალაგა რაც ჰქონდა სათქმელი. რომ ანდროს მოსვლის შემდეგ მისი ავტორიტეტი დაეცა, ანდრომ გლეხები გადაჰკიდა, ახალგაზრდები გადარია, დასდევენ ვითომც რაღაც ეშმაკებს, ქაჯებს, ატყუილებენ ქალიშვილებს და... კიდევ ბევრი აქვს სათქმელი, მაგრამ...

გაჩუმდა და ზურგი შეაქცია.

— მაშ შენ არ გინდა მიიღო ზომები დამნაშავეთა წინააღმდეგ, დაგვეხმარო და ხელი შეგვიწყო? არ ივარგებს მასე, ამხანაგო დურსუნ! შენ პარტიამ და ხელისუფლებამ სათავეში დაგაყენა, თემის ხელმძღვანელობა დაგავალა, როგორ ფიქრობ, პასუხისმგებელი ხარ თუ არა მის წინაშე?

— ვიცი, ვიცი.—ხელი ჩაიქნია დურსუნმა.—სადაც ადგილია, იქ ვიტყვი მაგის შესახებ... მანამდე კი როგორც გენებოს. აი, თემ-

საპეკ და აჰა თეკენც. მართეთ როგორც გენებოს.—უჯრის ვასაღებები ამოიღო ჯიბიდან და მაგიდაზე დაყარა.—აჰა, ჩაიბარეთ.—მიბრუნდა და სწრაფად გავიდა.

ანდრომ თვალი გააყოლა მიმავალ თავმჯდომარეს და როცა ის მიეფარა, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. უკანასკნელ ხანებში შეამჩნია ანდრომ, რომ სოფელში ატმოსფერა შეიცვალა. ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს გლეხებმა მოსვლა საბჭოში. ზოგი მათგანი კარებიდან შემოიხედავდა, მიავლ-მოავლებდა თვალს იქაურობას და გავიდოდა, ზოგიც გარედან ათვალიერებდა. ანდროსთან იშვიათად შედიოდა ვინმე. მარტო კომკავშირელები და ხუთიოდე გლეხი უცქერდა პირდაპირ. დანარჩენები მომდურავივით ჩაუვლიდნენ და რაღაცას ჩაიბუტბუტებდნენ.

ანდრომ კომკავშირის უჯრედის მდივანი მოიხმო.

— ახლა ვაპირებდი სწორედ შენთან მოსვლას, ამხანაგო ანდრო—მოსელისთანავე უთხრა მან.—ძალიან სახიფათო მდგომარეობაში ვართ. მე მგონია კარგი იქნებოდა მაზრისათვის გვეცნობებია. რაღაც გლახად იყურებიან ზოგიერთები.

— შეამჩნიე რამე?—თითქოს არაფერი იცისო, ისე ჰკითხა ანდრომ.

— ვინ ვერ შეამჩნევს. წუხელის ხოჯისას თათბირი ჰქონიათ. იუსუფ-აღა ომეროღლის მოლაპარაკებიან და...—მთელი საიდუმლოება გაეგო შაქირს დაწვრილებით.

აღი ომეროღლი ყაჩაღების მეთაური იყო. დიდი ხანია ნავარდობდა მისი ბანდა. ოცამდე კაცი ყავდა და მთელ ახლომახლო სოფლებს აწიოკებდა. ხანდახან ახალციხეშიაც გადადიოდა და იქაც ნავარდობდა. მეტად დაუნდობელი და საზიზღარი ადამიანი იყო. ზაფხულობით მომთაბარე ქურთებსაც არ ინდობდა, ართმევდა პირუტყვს, გადაყავდა საზღვარზე და ყიდდა. კონტრაბანდისტებსაც შეეღოდა; ცცველებს ატანდა თავის რაზმიდან და გასამრჯელოდ ოქროს ლირებს იღებდა.

კაცის კვლასაც არ ერიდებოდა, თუ ვინმე კი დაავალებდა და იმისთვის საჩუქარს შეპირდებოდა. გაგზავნიდა ორ-სამ ყაჩაღს და დავალებას შეუასრულებინებდა. უარს ვერავინ გაუბედავდა და წინააღმდეგობას. მისი სიტყვა კანონი იყო.

ეს ახლა უამბო შაქირმა ანდროს.

— რატომ ამდენხანს არ ვიცოდი მაგ ბრბოს შესახებ?!.—გაკვირვებით სთქვა ანდრომ და შაქირს შეხედა.

— კარგა ხანია არ ყოფილან აქეთ.—მაუგო შაქირმა.—ამ-

ბობდნენ საზღვარზე გადავიდაო, თურქების მთავრობას შეურიგდაო, მაგრამ ტყუილი ყოფილა. ახალციხის მაზრაში მიმალულა ამდენხანს. — შაქირი რმდენიმე წუთს ფიქრობდა. — უსათუოდ საჭიროა ვაცნობოთ მაზრის ხელმძღვანელობას.—სთქვა მან ფიქრის შემდეგ და ანდროს შეხედა.

მოილაპარაკეს. გადაწყვიტეს, ჩუმად გაეგზავნათ ვინმე და ამბავი შეეთვალნათ, დახმარება ეთხოვათ მაზრისათვის. იქედან დახმარების მოსვლამდე კი როგორმე გამაგრებულიყვნენ, მზად ყოლოდათ ძალები და თვალყური ედევნებინათ საეჭვო პირებისათვის.

შაქირმა ითავა გასაგზავნი კაცის გამონახვა. ანდრომ წერილი გაამზადა და შაქირს გადასცა. წერილში დაწვრილებით იყო აღწერილი მდგომარეობა.

რამდენიმე კაცი იყო დასაპატიმრებელი. საბჭოს თავმჯდომარეც უნდა გადაეყენებინათ და ამაზეც სანქცია იყო საჭირო. დურსუნის დატოვება თავის თანამდებობაზე აღარ შეიძლებოდა. ძალიან ბევრი მასალა იყო დაგროვილი მასზე და კიდევ მეტი აღმოჩნდებოდა. ახლავე უნდა დაეპატიმრებინათ, დაეწყოთ გამოძიება, მაგრამ ძალა არ იყო. ახალგაზრდები კბილებს კრეჭდნენ. მოითხოვდნენ დურსუნის, იუსუფ-აღას, ხოჯისა და სხვა შემჩნეულ პირთა დაპატიმრებას, მაგრამ ანდრო არ შვებოდა. იმ დროს, როცა სოფელი მოწყვეტილი იყო ცენტრს, როცა არსაიდან დახმარების იმედი არ იყო, ასეთი ნაბიჯის გადადგმა ძალიან სახიფათოდ მიაჩნდა.

გლეხობის მეტი ნაწილი კიდევ დურსუნისა, ხოჯისა და იუსუფ-აღას მხარეზე იყო. ისინი მოლა ნურის განთავისუფლების მოთხოვნასაც კი ბედავდნენ და ანდროს მოციქულებს უგზავნიდნენ.

ანდრო კარგი კაცია, მაგრამ მოსულია, დღეს არა, ხვალ წავა, დურსუნი, ხოჯა და იუსუფ-აღა აქ დარჩებიან, შემდეგ ამ ამბებს გაგვიხსენებენ და უარეს დღეში ჩავცვივითო, ფიქრობდნენ ისინი, შეთანხმდითო, ურჩევდნენ ანდროს. უფროსი კაცია, ზოგი დანაშაული უფროსობითაც ეპატიებაო.

ანდროსაც ადანაშაულებდა ზოგიერთი. არ ხართ მარტალი, ყველაფრიდან მათი გამორიცხვა არ შეიძლებაო, არც საბჭოში აგვარჩევინე, აღარც კრებებზე ვისწრებთ, ეს არაა კარგიო. ანდრო ჯერჯერობით მშვიდად პასუხობდა მათ. ყველაფერს მოვაგვარებო პირდებოდა და ამით დროს იგებდა.

დურსუნი უკვე განგანზე იცქირებოდა. არ ელაპარაკებოდა ანდროს, არც მის მითითებებს ასრულებდა... მას თავის მომხრეები ყავ-

და და თავისი გეგმები ჰქონდა შემუშავებული.

ორ ბანაკად ირაზმებოდა სოფელი. ერთ მხარეზე ახალგაზრდობა და ღარიბი გლეხობა დგებოდა, მეორეზე — დურსუნისა და აღების ახლობლები. პირველს ანდრო მეთაურობდა. მეორეს დურსუნი და იუსუფ-ალა.

ზოგნი არც აქეთ იყვნენ, არც იქეთ, მაგრამ ასეთები ძალიან მცირე ნაწილს შეადგენდნენ.

პირველი დავალება იყო, ზორბეგმა რომ მიიღო. გამოსაცდელია და ვნახოთ როგორ შეასრულებო, ასე უთხრა კომკავშირის მდივანმა.

ძალიან გაეხარდა ზორბეგს დავალების მიღება. ის ჯერ კიდევ არ იყო მანდატიანი კომკავშირელი და, რადგან ასეთი საპასუხისმგებლო დავალება მომცეს, სჩანს კარგადაც მიყურებენო, გაიფიქრა. ისანა, რომ ამდენხანს არ შევიდა კომკავშირში და სხვებსავით მანდატიანი ვერ გახდა. თუმცა არც მისი ბრალი იყო... დაუშალეს. რა გინდა კომკავშირში, დღეს არა, ხვალ მაგათი სახსენებელიც არ იქნებაო. ზორბეგმაც დაუჯერა... არც შეეძლო არ დაეჯერებინა... არა, ზორბეგს ვერც ასეთი სიტყვებით შეაშინებდნენ, მაგრამ... კიდევ იყო რაღაც მიზეზი... ყველაფერი ხომ არ ითქმება... ახლა არ ითქმება, თორემ თავის დროზე ზორბეგი თვითონ! იტყვის. დიაღ, იტყვის. რა ვუყოთ მერმე ბიძა რომაა. მშრომელი ხალხის კეთილდღეობას ათი ბიძაც რომ შესწირო, არაა ცოდვა... თუ ხალხის მტერია, მაშინ ბიძა კი არა, საკუთარი მამაც არაა დასანდობი... ახლაც გაბედავდა და იტყოდა ყველაფერს, მაგრამ არ ღირს. ისედაც არაა კარგი დამოკიდებულება ანდროსა და დურსუნს შორის და კიდევ რომ დაემატოს, ცუდი იქნება...

— ფრთხილად წადი, არავინ შეგნიშნოს. კომიტეტში მიიტანე ესსარათი... აბა შენ იცი—უთხრა შაქირმა და კონვერტი გადასცა.

ზორბეგს გაუკვირდა. როგორ მავალებენ ასეთი საიდუმლო საქმეების გაკეთებასო, გაიფიქრა, მაგრამ...

შაქირმა ყველაფერი აუხსნა. დურსუნის ძმაშვილია ზორბეგი, მის ერთგულად იცნობენ, ეჭვს არავინ აიღებს მასზე. თავისუფლად შეუძლია იმგზავროს. იქ კი... ყველაფერი უთხრა შაქირმა...

წერილის შინაარსიც გააცნო... მხოლოდ... არავინ, ძმა ხორციელმა არ გაიგოსო.

მიხვდა ზორბეგი. სულ შიგნითა ჯიბეში ჩაიდო კონვერტი, თბილად ჩაიცვა და გაემგზავრა. დურსუნის ორლულიანი სანადირო თოფი წაიღო. შველზე მიედევარ სანადიროდო, უთხრა ბიძას.

სოფლიდან აუჩქარებლივ გამოვიდა. სერ-სერ მიყვებოდა, თოვლში ეფლობოდა, განგებ უხვევდა აქეთ-იქით, მაგრამ მოსცილდა თუ არა სოფელს, ნაკვალევში ჩადგა და მოუსვა. ბევრი გზა ჰქონდა გასავლელი და დღე კი ამდენს არ დააცდიდა. ზვავიც ხვდებოდა აქა-იქ ჩამოწოლილი და ხელს უშლიდა. შორიდან უხდებოდა შემოვლა.

მიდიოდა გახარებული. პირველი დავალება პირველ ქორწილს უდრისო, ამბობენ. მართალი ყოფილა. სჩანს ანგარიშს უწევენ ზორბეგს, თვრამეტი წლის ახალგაზრდას. მერმე ვინ? თვითონ კოჭკავშირის უფროსის ხელმძღვანელი. მარტო ის კი არა, ანდროც, დიაღ, ანდროც, და ანდრო კი პარტიის კაცია. მთავრობის რწმუნებული. სახუმრო დავალება ხომ არაა..

ხელი მოისვა ზორბეგმა უბეზე, იქ, სადაც წერილი იდო, და უფრო აუჩქარა ნაბიჯს. ცოტა ხანს სწორი ბილიკით, შემდეგ პატარა დაღმართი ჩაირბინა და ღელისპირას ქვებთან შეჩერდა.

ბროლივით სუფთა წყალი მიჩხრიალებდა თოვლის ნაპირებს შუა მომწყვდეული. ოხშივარი ასდიოდა ნაკადულს და აქეთ-იქით იფანტებოდა.

აქ ცოტა ხანს შეისვენა. რამდენიმე თოვლის გუნდა გადაისროლა ხევში და შემდეგ სერს შეჰყვა. ცოტა გზა გაიარა და გადმობუერულ ტყეში შევიდა. თოვლს დიდრონი ტოტები ჩამოემტვრია ხეებიდან და აქა-იქ ბილიკი გადაეღობა. ზორბეგი მარდად ხტებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე და წინ მიიწევდა. განზრახული ჰქონდა საღამომდე ბათუმ—ხულოს გზატკეცილამდე მისულიყო და ღამე იქ გაეთია. დილაადრიან კი გასდგომოდა გზას.

დავალებული ასე ჰქონდა. თუ ამას შესძლებდა, დიდი საქმე იყო. შესძლებდა უსათუოდ, თუ ხელს არ შეუშლიდა რამე. ამინდი თუ არ წახდებოდა, როგორც ეს ხშირად იცის აქეთ. მთა უზნეურ ბავშვივითაა. ამ წუთში რომ მზე კაშკაშებს, მეორე წუთში გაავდრდება, ნისლი ჩამოწვება, ან ქარ-ბუქი ამოიჭრება. ასეთ შემთხვევას, შეუძლია დააბრკოლოს მგზავრი.

ზორბეგს სხვა დაბრკოლება აზრადაც არ მოსდიოდა.

ისევ აიარა აღმართი, ჩაირბინა სერი და ღელეს მიადგა. კიდევ სამიოდე ასეთი აღმართი უნდა აევლო, ამდენივე დაღმართი ჩაერბინა, რამდენიმე ადგილს უნდა გასულიყო ღელეზე და შემდეგ გადვიდოდა უფრო სწორ გზაზე.

აქ აღარ შეუსვენია. ღელეზე გაუხტა, შემდეგ თოფი გადაიკიდა მხარზე და აღმართს შეუდგა. ის იყო ადიოდა უღელტეხილზე,

რომ მოულოდნელად ვიღაც შეიარაღებული კაცი დაუხვდა წინ.

— არ დაიძრა!—მისცა ბრძანება უცნობმა და მაუზერი შუბლში მიუჩერა. ზორბეგი გაჩერდა.

უცნობს ხუთიოდე კაცი ამოუდგა გვერდით.

— მარტო ხარ?—მიმართა უცნობმა ზორბეგს ისე, რომ მაუზერის ტუჩი ზორბეგის შუბლისათვის არ მოუცილებია.

— აბა ვინ უნდა მახლდეს!—უპასუხა თამამად ზორბეგმა.

— სწორედ უპასუხე!—და ერთმა დამხვედრთაგანმა შაშხანის დუმა მიარტყა ფეხებზე ზორბეგს.

— ეი, შენ!—შეუყვირა ზორბეგმა,—რა გინდა ჩემგან?

მაუზერიანმა გადახედა მხლებლებს და ზორბეგთან მივიდა.

— რა იარაღი გაქვს თან?

— ამის მეტი არაფერი,—გადაკიდებულ თოფზე ანიშნა.

— სად მიდიხარ?

— ჩემი გზა რად გაინტერესებს!

— პირდაპირ მიპასუხე, თორემ...—მაუზერიანმა მკვახედ ჩახედა თვალებში.

— ჭვანაში მივდივარ,—იცრუა ზორბეგმა.

— ჭვანში რა გინდა?

— ჩვენმა თემსაბჭოს თავმჯდომარემ გამგზავნა. აი ეს თოფიც მისია.

— რომელ სოფლიდან ხარ?

— წყავნარიდან.

— წყავნარიდან?

— კი.

— რა გვარი?

— შვინდაძე.

— სტყუი!

— რა ზორი მაქვს!—კარგად ახედ-დახედა ზორბეგმა უცნობს და ვერც ერთი მათგანი ვერ იცნო.

— თუ ცრუობ, სიკვდილი არ აგშორდება, — და ერთ მხლებელს ანიშნა რაღაცა. ის უცებ სადღაც გაქრა, და ორიოდე წუთის შემდეგ ტყიდან გამოვიდა ვიღაც თავპირშეხვეული კაცი, რომელსაც მარტო თვალი უჩნდა.

მაუზერიანმა მოსულს ხელით ანიშნა ზორბეგზე, შემდეგ ზორბეგთან ერთი შეიარაღებული კაცი დატოვა და თავპირშეხვეულ კაცს შეჰყვა ტყეში.

ცოტა ხანს შემდეგ უფრო დამშვიდებული გამოვიდა ის. მაუზერი ბუდეში ჩაედო. სახეც უფრო მშვიდი ჰქონდა.

— არ იტყვი, რატომ მიდიხარ ჭვანაში?—მოსელისთანავე ციოხა მან ისევ ზორბეგს და ნაძალადევი სიბრაზე გამოხატა სახეზე.

— ვისი რა საქმეა რისთვის მივდივარ! საქმე მაქვს და მივდივარ. მთავრობა მაგზავნის.

— წერილი მიგაქვს?—შეუბღვირა მაუზერიანმა.

— არა.

— მაშ?

— ისე მივდივარ,—წუთით იფიქრა, — ეს თოფი გამომატანა დურსუნმა, ჭვანაში მიუტანეო ერთ კაცს.

— ვინ კაცია? რატომ მიუტანეო?

— ეს მისი საქმეა. მე რა ვიცი. მითხრა არავის უთხრაო, არც ვინმეს ვეტყვი.

— აღარც მაშინ იტყვი?—ისევ წაიღლო რევოლვერზე ხელი მაუზერიანმა—როცა აი, იქ,—და ხეზე მიუთითა.

— რას მერჩით, მთავრობამ ტყვილა რატომ უნდა მომკლას. რა დამიშავებია,—ვითომც ძალიან შეშინდა ზორბეგი, განგებ გადმოყარა ცრემლები.

— მაშ რატომ არ ამბობ?

— რომც მომკლათ, მაინც არ ვიტყვი, აჰა მომკალით,—მკერდი მიუშვირა,—მთავრობა თუ კაცის სიკვდილს იკადრებს. — საწყლად მიმოავლო თვალი იქაურობას და შენიშნა, რომ ხეებიან ძირში ოცზე მეტი შეიარაღებული კაცი იჯდა.

— გლახა ყოფილხარ!—გაჯავრებით უთხრა მაუზერიანმა,—მაგრამ არც ისე გლახა. გასწი და არავის უთხრა, რომ ჩვენ შეგხვდით. გესმის? არავის... თორემ, ხომ იცი ვინცა ვართ.

— ვიცი,—თავი ჩაიქნია ზორბეგმა,—ტალშევიკები ბრძანდებით.

— გასწი, ბევრს ნუ ლაპარაკობ, თორემ მიიღებ საჩუქრებს. ხომ გესმის, არავის კრინტი... დურსუნი რას ეკცევა ახლა?

ზორბეგი მიუბრუნდა.

— არაფერს,—შემდეგ თითქო დიდი საიდუმლო სთქვაო, ისე ჩასჩურჩულა,—მთავრობის კაცებს ელოდება მგონია. ალბათ თქვენზე თუ ამბობდა.

— ემზადება?

— ზოგიერთები გაფრთხილებული ყავს. კარგად უნდა შეეხვდეთო.

— კარგი, გეყოფა. წადი ახლა შენს გზაზე და გახსოვდეს, რაც გითხარი,—მიბრუნდა მაუზერიანი და ნელი ნაბიჯით წავიდა, მაგრამ, თითქო რაღაც გაახსენდაო, ზორბეგს წამოეწია და გააფ-

რთხილა.—ჩვენი ყოფილხარ. ჭკუით იმგზავრე. გესმის, არავინ არაფერი ჩვენს შესახებ.—ხელი დაკრა მხარზე და გაუშვა.

ზორბერგი თითქო გაფრინდაო, ისე მოსცილდა იქაურობას, რამდენიმე წუთში გაიარა საათის სავალი გზა და მახლობელ სოფელში შეავიდა.

— ახლა აღარ იცოდა ზორბეგმა საით წასულიყო. მან კარგად იცნო ყაჩაღი ალი ომერ-ოღლი პირახვეულ კაცში, რომელიც ტყიდან გამოიყვანეს მის გამოსაცნობად.

— რაღაც დიდი საქმისათვის ემზადებიან, — გაიფიქრა მან. მოაგონდა შაქირის სიტყვები. ძალიან საჩქაროდ გვჭირდება დახმარებაო. მერმე ვინ შესძლებს ამ დახმარების მიწოდებას? ზორბეგმა მთელი ღამე რომ იაროს, მაინც ვერ მიაღწევს ხულომდე. იქედან წამოსული დამხმარე ძალებიც ვერ მოვლენ დღე-ღამის ვანმავლობაში, ხოლო ყაჩაღებს და მათ მასპინძლებს ამ ელამ შეუძლიათ მოაწყონ თავდასხმა და მთელი სოფელი ააწიოკონ. სოფელს ვინ ჩივა, ანდროს მოჰკლავენ, შაქირს, არც სხვა კომკავშირელებს დაინდობენ. მერმე სირცხვილით სად უნდა გამოყოს თავი ზორბეგმა?

ანდროს მოღვაწეობა მოაგონდა.

ერთი წელი არაა, რაც მოვლინებულია, და რამდენი რა გაეკეთა. ყველაფერს ფერი და სიცოცხლე მისცა. რამდენი ახალგაზრდა გაწრთვნა და მოამზადა. რამდენი გაგზავნა სკოლებში. ერთი წელი კიდევ და მშვენიერი გზაც ეკვნება სოფელს. ამის მესამედი რომ ეკეთებია სხვა მთავრობას, ახლა ჩვენში ცხოვრებას არაფერი ემჯობინებოდა.

— მაგრამ რატომ მაინც არ მოსწონს ზოგიერთებს ეს მთავრობა?—ეკითხება თავის თავს ზორბეგი.

— მერმე ვის არ მოსწონს? ხოჯას, ბალას, ბეგის კაცებს.. მერე რა? ჯანდაბას მათი თავი. ნუ მოსწონთ! არც ჩვენ ვოგვწონს ბეგები, აღები და ხოჯები. ჩვენ ხომ მათზე მეტი ვართ.

რა დროს ამაზე მსჯელობაა... ზორბეგმა რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოკურცხლა, რომ შეჩერების დროს ნაცდური აენაზღაურებინა.

აქეთ უფრო გატეხილი იყო თოვლი. ის კარგახანი მიდიოდა სირბილით. შემდეგ მოიქანცა და ისევ ნაბიჯით, მაგრამ აჩქარებული ნაბიჯით წავიდა.

დეკემბრის დღე მალე მიიწურა. მზე გადავიდა მთის გადაღმა და მისი სხივებიც მოსცილდნენ ქვეყანას. ხევში აციდა და გაექერქეშდა თოვლის ზედაპირი, ფეხქვეშ ლაწა-ლუწი გაჰქოდა ყინვას.

კიდევ რამდენიმე წუთი და ზორბეგი შევიდა სოფელში. აქ

თოვლიც ნაკლები იყო და სიცივეც. თავისი გეგმის მიხედვით ამ ღამ ის აქ უნდა დარჩენილიყო ,მაგრამ ახლა გასაჩერებლად ალარ ეცალა. უნდა წასულიყო. და უსათუოდ ამ ღამვე მიეტანა ცნობა კომიტეტში.

ამ გზაზე თითქმის სულ არ იყო თოვლი ,მოძრაობას გაექცა ის და წყლად ექცია.

ზორბეგი არ შეჩერებულა, გავიდა სოფლიდან და გზატკეცილს დაადგა.

სიბნელე თანდათან მატულობდა. სიცივეც ძლიერდებოდა, მაგრამ ზორბეგს ოხშივარი ასდიოდა. ყაბალახიც კი დასველებოდა ოფლით.

ოც კილომეტრზე მეტი ჰქონდა გასავლელი და ძალიან აწუხებდა ის, რომ ამ გზას ხუთი საათი მოუნდებოდა, თუ ძალიან ჩქარა წავიდოდა. მისი ფიქრით ალიონზე მივიდოდა ხულოში, ხოლო სანამ კომიტეტში ამხანაგებს ნახავდა და ბარათს გადასცემდა, ამას კიდევ დრო უნდოდა.

მოიქანცა. ახლა ისე ჩქარა ვეღარ მიდიოდა, როგორც პირველ ხანებში. ხუმრობა ხომ არ იყო. ოცი კილომეტრი გზა გამოევლო, ქალამნებიც კი გაცვეთოდა.

შორს მოსახვევში გამოჩნდა ცეცხლის ორი თვალი, რომელიც ელვის სხივებით ჰკვეთდა სიბნელეს და წინ მიიწევდა, მას მოსდევდა გუგუნის ხმა და მძინარე მიდამოს აღვიძებდა.

ხულოდან მომავალი მანქანა მოსრიალებდა ღალმა, ბათუმის მიმართულებით.

— გავაჩერებ,—გაიფიქრა ზორბეგმა. — ვეტყვი გაბრუნდნენ უკან და ხულოში მიმიყვანონ,—შერმე დაფიქრდა, აქვს თუ არა ამის უფლება? ანდა ვინ გაუჩერებს მანქანას ვიღაც აჭარელ ბიჭს!

თავის თავს შეეკამათა ზორბეგი.

უფლება აქვს. უთუოდ აქვს უფლება. მას ხომ სასწრაფო საქმე აქვს, რომელიც საერთო საქმეა და არა კერძო ვინმესი... დიაღ, ასეთ დროს დიდი პასუხისმგებლობაც აქვს და დიდი უფლებაც.

უცებ გადაწყვიტა... გზის პირას გადმოშვერილი ნაძვის ტოტი ჩამოხლიჩა, ხელში დაიკავა და შუა გზაზე გაჩერდა.

მანქანის თვალებიდან ნასროლმა სხივებმა თითქო გაჰკვეთეს ზორბეგი. მან მაღლა ასწია ნაძვის ტოტი და ამით ანიშნა მანქანას გაჩერება.

სამი კაცი ელვის სისწრაფით ჩამოხტა მანქანიდან და სიბნელეში რევოლვერებმა იელვეს.

— არ მესროლოთ!—შესძახა ზორბეგმა და ხელები ასწია...

ერთი კაცი მიუახლოვდა ზორბეგს და ჯიბის ფანარი თვალებში მიანათა.

ზორბეგს ეგონა ესაა მესროლაო და შეუხტა, მაგრამ როცა შენიშნა, რომ ეს ფანარი იყო, დამშვიდდა.

— ვინა ხარ?—მრისხანედ ჩასძახა მისულმა ზორბეგს.

— წყავნარელი ვარ. ხულოში მივდივარ. ძალიან სასწრაფო საქმე მაქვს. ფეხით იქ მისვლამდე გათენდება. მე კი ამაღამვე უნდა მოვასწრო გამობრუნება... ნუ მაგვიანებთ, მოაბრუნეთ მანქანა. წამიყვანეთ ხულოში, სამაზრო კომიტეტში უნდა მივიდე, დიდი საქმე მაქვს კომიტეტის მდივანთან.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად და აღელვებით ამბობდა ზორბეგი და სიბნელეში შემოჭრილ ჯიბის ფანრის შუქზე ათვალიერებდა უცნობებს.

— რა გინდა მდივანთან?—მშვიდად შეეკითხა ფანრიანი და რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო.

— მიმიყვანეთ იქ და გაიგებ, აქ ნუ მკითხავთ... ვერც გეტყვი...—ძლივს ითქვამდა სულს ზორბეგი.

— მე ვარ, ამხანაგო, მდივანი. მოდით აქეთ,—ხელი მოჰკიდა ერთმა მათგანმა და მანქანის ანთებულ თვალებთან მიიყვანა, რომ შუქზე კარგად გაერჩიათ უცნაური ახალგაზრდის სახე.

— მე ანდრომ გამომგზავნა,—მოკლედ უთხრა ზორბეგმა,— მობაგრებული რომაა ჩვენს საბჭოზე.

— მერე, რაო?—შეეკითხა ისევ ის, მდივნად რომ გააცნო თავი.

— სასწრაფო საქმეა. წამიყვანეთ ხულოში და იქ გეტყვით. არა, აქ არ ვიტყვი, რომ გაცნობდეთ, მაშინ სხვაა. ახლა არ ვიცი ვინ ბრძანდებით. ძალიან გეხვეწებით წამიყვანოთ ხულოში. აი, შეხედეთ, სულ გაოფლიანებული ვარ. დიდი საქმე რომ არ მქონდეს, რატომ ვირბენდი ასე?.. დიაღ, არ ვირბენდი. სჩანს საჩქაროა.

უცნობებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს რაღაცა.

— ჩაჯექი მანქანაში—უთხრა ერთმა ზორბეგს და ანიძნა სად დაძჯდარიყო. თვითონ კი შოფერს მიუჯდა გვერდით და მობრუნება ანიშნა.

— მანქანა ელვის სისწრაფით გაქანდა, მიუხვ-მოუხვია, თავდათან აიწია ზევით და მალე ავიდა გორაკზე, სადაც ერთი ქვის შენობა იდგა და რამდენიმე ხის სახლი, ნაუცხადევად გაკეთებული.

ზორბეგი იცნობდა აქაურობას. აქ იდგა მხოლოდ ერთადერთი სასაკეთო სახლი, რომელშიაც წინათ ჯემალ-ბეგი ხიმშიაშვილი ცხოვრობდა და ახლა ამ სახლში სამაზრო მმართველობა იყო მოთავსებული.

სხვა შენობა აქ არ ყოფილა წინათ და ორ-სამ წელიწადში ახალი სახლების აგება არც ისე ადვილი იყო. მიუხედავად ამისა რამდენიმე ხის სახლი აეშენებინათ მუშა-მოსამსახურეებისათვის. აფთიაქისათვის, საავადმყოფოსათვის. აგროპუნქტიც იყო მოთავსებული ერთ ოთახში.

სწრაფად ჩამოვიდნენ მანქანიდან. ახლა დარწმუნდა ზორბეგი, რომ მართლაც მდივანი ყოფილა ის, წელან რომ ელაპარაკებოდა. იმ ოთახს მიადგა, რომელსაც კარებზე წარწერა ჰქონდა „მდივანი". გასაღები ამოიღო, კარები გააღო, შევიდა და კარტოფილის სანთელი აანთო. ღუმელში კიდევ ღვიოდა ცეცხლი და ოთახშიაც სითბო იყო.

— აბა, მითხარი ამხანაგო, რაშია საქმე?—საქმიანი კილოთი მიმართა მდივანმა ზორბეგს, როცა ყველანი შევიდნენ კაბინეტში.

ზორბეგმა უბეში შენახული წერილი ამოიღო. ის სულ დასველებულიყო ოფლისაგან.

მდივანმა წერილი ჩუმად ჩაიკითხა და გადასცა მაღალტანიან ახალგაზრდას, რომელსაც ტყავის ქურთუკი ეცვა.

— როდის წამოდი სოფლიდან?—მიმართა მდივანმა ზორბეგს, როცა ტყავის ქურთუკიანმა კითხვა გაათავა.

— შუადღისას,—მიუგო ზორბეგმა.

— იცი შენ, რაშია საქმე, რა სწერია ამ წერილში?

— წერილში რა სწერია არ ვიცი, მაგრამ ისე კი უფრო მეტი ვიცი—მიუგო ზორბეგმა და უამბო გზაზე ნახული. თან დაუმატა, რომ ისინი სოფლის ასაოხრებლად წავიდნენ, რომ ანდროს ემუქრებიან, რომ საბჭოს თავმჯდომარე აწყობს ამას ყველაფერს და რომ ახლავეა საჭირო დამხმარე ძალის გაგზავნა.

მდივანმა ამხანაგებს გადახედა.

— უნდა გავემგზავროთ, — მტკიცედ სთქვა ტყავის ქურთუკიანმა.—დაყოვნება ალარ შეიძლება.

— რა ძალა გვყავს?—ჩუმად კითხა მდივანმა.

— გვეყოფა,—ამხანაგს მიუბრუნდა—ხასან, მოემზადონ!

ხასანი სწრაფად გავიდა.

დარჩენილებმა ზორბეგს დაუწყეს გამოკითხვა უფრო დაწვრილებით. ძალიან გაუკვირდათ, რომ ზორბეგი გამოცდილ ვაჟკაცივით მსჯელობდა და იქცეოდა. მას ისე კარგად დაეთვალიერებინა ყაჩაღების ბანაკი, ისე კარგად დაკვირვებოდა, რომ იცოდა რამდენი თოფიანი და რევოლვერიანი კაცი იყო, როგორ ჩაცმულები, საიდან წავიდოდნენ, ვისას მივიდოდნენ და ვის დაეცემოდნენ პირლად.

— ხოჯა და იუსუფ-ალა აწყობენ ყველაფერს.—სთქვა მან,— სულ მათი მოხერხებაა. ზოგიერთებიც მიიმხრეს. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია მათი გავლენის ქვეშ... ატყუებენ ხალხს.

შემდეგ მოლას შესახებაც ილაპარაკა: ახალგაზრდაო და ძალიან მოხერხებულიც. ამხანაგებიც ჰყავსო. სათითაოდ ჩამოთვალა ვისაც იცნობდა და ვისი სახელიც გაეგონა.

ათი წუთიც არ გასულა, რომ კაბინეტში ახალგაზრდა შემოვიდა თავითფეხამდე შეიარაღებული და მოახსენა, რომ ყველაფერი მზად არის.

— წავიდეთ, ამხანაგებო,—სთქვა ქურთუკიანმა და ყველაზე უწინ გამოვიდა კაბინეტიდან.

III

მოულოდნელად ამოიჭრა დასავლეთის ქარი და შავი ღრუბელი ამოზიდა. მოწმენდილი ცა ჩამობნელდა. ვარსკვლავები გაქრნენ და კიდეჩამოტეხილი მთვარეც დაიმალა.

სოფელს ეძინა ჩვეულებრივი ძილით. რომ ძლიერი ქარი არა, ხეებიც მარმარილოს კერპებივით იდგებოდნენ ჩუმად, მაგრამ ახლა საშინელი ღრიანცელი აეტეხნათ. იქნევდნენ ტოტებს ძერას ფრთებივით, იხრებოდნენ, შფოთავდნენ. ახალგაზრდა ნაძვის ხეები მიწამდე ხრიდნენ წვეროებს.

ანდრო მარტოდ იჯდა ბუხართან. წიფლის კუნძებს მსხვილი ნაკვერჩხალი დაეყარა და ისეთი სითბო დაეყენებინა, რომ ხალათი გაეხადა და პერანგისამარა დამჯდარიყო. ერთხანს წიგნებს კითხულობდა, შემდეგ წიგნი გადადო და ნაკვერჩხლებს მიაჩერდა... რაღაცნაირ სიტკბოებას გრძნობდა ის ამ დროს. მოლაჟლაჟე ნაკვერჩხლები მასში მოგონებებს აღვიძებდა. ბავშვობა აგონდებოდა. ოჯახში, დედასთან რომ იჯდა და წიგნებს კითხულობდა. ან უფრო პატარა რომ იყო და ზღაპრებს ისმენდა, მდევებისა და ქაჯების ამბებს, ან ობოლი ბავშვის თავგადასავალს. იქიდანვე ინერგებოდა მის გულში ბრძოლის სურვილები, ობლებისა და ტანჯული ადამიანებისადმი სიბრალული. რამდენი ღამე გაუთენებია ფიქრებში. მეტადრე მაშინ, როცა მამას დააგვიანდებოდა მოსვლა. დედასთან ერთად მასაც ეღვიძა, ფიქრობდა მამაზე, რომელიც დღიურ ლუკმისთვის ადრე დილიდან გვიან ღამემდე მუშაობდა ხან ერთსა და ხან მეორე ქარხანაში.

ულამაზო ბავშვობა ჰქონდა. ერთხელაც არ გათენებულა მის ოჯახში ნამდვილი მზიანი დღე, ისეთი დღე, რომელსაც რაიმე ცუდი არ მოყოლოდეს. ან მშივრები იყვნენ, ან შიშვლები, ან სიცივით კანკალებდნენ ჩამქრალ ღუმელთან. რამდენჯერ უნატრია გათბობა, გაძღომა, სუფთად ჩაცმა-დახურვა და ხის იატაკიან ბინაში ცხოვრება. ცემენტის იატაკზე ჭილოფი ჰქონდათ გაგებული და ისე ეძინათ.

მთელი ის საშინელება რომ წარმოიდგინოს კაცმა, გული შეუწუხდება. მწარე მოგონებად მარტო ის ამბავიც კმარა, სახლის პატრონი რომ დაუთენებდა. თვე დადგებოდა თუ არა, მაშინვე დაეცემოდა თავზე, დაჭერით დაემუქრებოდა, გამოსახლებას შეპირდებოდა... რამდენი ხვეწნა და ვედრება იყო საჭირო, რომ ორი დღე დაეცადნა. შეპირებულ დღისათვის კი უსათუოდ უნდა მიეცათ. რამდენჯერ მშივრები ყოფილან და ბინის ქირა გადაუხდიათ.

როგორ სწვავდა ანდროს გულს, როცა დამწუხრებული დედის სახეს შეხედავდა ან დალვრემილ მამას. მერმე, რა გულკეთილები იყვნენ საცოდავები!

ნაღვლით ივსება გული...

ერთხელ სახლის პატრონის ვაჟი მიადგა ამათი ოჯახის კარებს. შემოიხედა, უცებ მიბრუნდა და წავიდა. ანდრო შიშველი იჯდა იმ დროს და დედა ერთადერთ დაკეკილ შარვალს უკერავდა შვილს. დაინახა სახლის პატრონის შვილმა და შემდეგ, სადაც შეხვდებოდა, დასცინოდა. უნიფხვოს ეძახდა. მერმე, როგორ მოქმედებდა ეს ანდროზე! საშინელი ბოღმა გუბდებოდა გულში. ებრძოდა თავისთავს, რატომ უნდა ვიყო ამ დღეშიო. შეშურდა მდგომარეობა მასზე ბევრად უნიჭო გივისა, რომელიც სასწავლებელში დადიოდა და ნაირნაირი ტანსაცმელებით იყო მორთული.

რატომ არის მამაჩემი მის მამაზე ცუდ პირობებში? ნუთუ მამაზე მეტი უშრომნია მამამისს, ან ახლა მუშაობს მეტს?—ეკითხებოდა თავის თავს. ნაღვლიანი თვალებით შეხედავდა სამუშაოდან დაბრუნებულ მამას, რომელსაც გამხმარი პური წყალით გადაჰქონდა ხახაში. რამდენი ნაღველი იყო მამის სახეზე მაშინ! რამდენჯერ უფიქრნია ანდროს, როგორმე შეემსუბუქებინა მამისათვის გასაჭირი. დაღონებული გული მაინც გაემხიარულებინა ხანდახან. იმედიანი სიტყვები ეთქვა. სკოლიდან დაბრუნებული დედას ეხმარებოდა, საოჯახო საქმეებს ასრულებდა. თეთრეულს აგროვებდა მეზობლებში და მიჰქონდა გასარეცხად დედასთან. გარეცხილები კი—უკანვე, თავიანთ პატრონებთან.

ერთხელ სახლის პატრონის შვილმა გივიმ სახეში გაარტყა ანდროს. მდგომარეობით ისარგებლა. საშინლად აეწვა ლოყა პა-

ტარას, მაგრამ ლოყაზე უფრო გული, მკერდი ამოსწვა უჩინარმა ცეცხლმა... სიბრაზე ჩაიკლა და ჩაიხარშა ძარღვებში. ხელზე, საკუთარ მაჯაზე იკბინა და სისხლი დაიდინა. ეს სისხლი უნდა აღლოს ოდესმე ანდროს. ასე გადაწყვიტა მაშინ.

ბუხარში ნაკვერჩხლებმა თვალი მილულეს. თითქო ძილი წამოეპარა. ანდროს კი მაინც არ ეძინა. რაღაცნაირად გატკბა ფიქრები. ძოგონებები მწარე დღეებითაა სავსე, მაგრამ მაინც არ უნდა მოცილდეს მას. თითქოს მშობლების სახეს უცქიროს უნდა, განაწამები მშობლების სახეს. ნეტავ ამ დროს მოსწრებოდნენ. ახლა ხომ ღიმილით მოიქარგებოდა მათი სახეები. მამას ხომ არ გაულიმნია თავის დღეში, არ უმღერნია და უთამაშნია. ახლა ხომ ახალგაზრდული ცეცხლით შეიმოსებოდა. როგორ უდროოდ დალია სული!

საცოდავი მამა. ვერ გაუძლო უკულმართი ქვეყნის სიმძიმეს. ჩაიკეცა ტვირთის ქვეშ და მთელი ოჯახი ცოლს დაუტოვა. აბა, შენ იცი, თუ გაუმაგრდებიო, თითქო ჯიბრით უთხრა... რამდენი მილიონის სიცოცხლე დასრულებულა ასე მწარედ...

ახლა აღარ სურს ანდროს კიდევ გაყვეს ფიქრებს. მეტად ჩამობნელდა გული... ჯოხით ნაკვერჩხლებს აურია, გამოაფხიზლა მითვლემილი ცეცხლი, იქნებ მოგონებებიც მოაცილოს, მაგრამ თითქოს ენანება გაწყვეტა ასე უადგილოდ. დედა, დედა უნდა მოიგონოს უფრო ცარგად, ის უფრო ძიდხანს ებრძოდა ცხოვრების სივაგლახეს. უფრო მეტი სითბო დატოვა შვილების გულში. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მის კალთაში თავჩადებულს ჩასძინებია. ფრთხილი და ალერსიანი კოცნა უგრძნია ძილში. ან ის როცა... ეჰ, ვისაც არ გამოუცდია, ვერ მიხვდება, ვერ გაიგებს იმას, რაც ანდროს გულშია ამჟამად.

კიდევ გივი მოაგონდა. რა უნიჭო იყო და რა წარჩინებებს აძლევდნენ. კარგა ხანს იზრდებოდა ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე ადამიანი ერთ სახლში, ერთ სახურავქვეშ, თუმცა სხვადასხვანირად. გივის მამა არა მარტო სახლის პატრონი იყო, ორი დიდი სავაჭროც ჰქონდა. მუდამ სავსე იყო მათი ოჯახი დოლათით. წვეულებები და ქეიფი იყო მუდამ მათ სახლში.

სამ მანეთს კი მაინც ახდევინებდა ობლებს. ქვეშ, სარდაფში ჩამწყვდეულ ადამიანებს. ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ამ ოჯახისათვის.

თებერვლის რევოლუციას არაფერი დაუკლია მისთვის. პირიქით, მეტი მოწონება მიეცა. რამდენიმე ათასი შესწირა მენშევიკურ პარტიას. თვითონაც შევიდა შიგ. ჯიბეში მანდატი ჩაიდო და „სოციალისტმა“ ვაჭარმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ასე მოიქცა მამა, მაგრამ გივი არ გაყვა მამის კვალს. ის ფე-

დერალისტებს მიემხრო და ავტონომია დაიკერა ენაზე. ჩერქესკა ჩაიცვა და თავმომწონედ გაიარ-გამოიარა. არაფრად ჩააგდო მამის მითითება—მენშევიკების პარტიაში უნდა დაეწეროო, რომ უთხრა, უფრო მეტი ემხრობა მენშევიკებსო.

გივის ფედერალისტები მოსწონდა. სუფთა ხალხია, თავადიშვილები. აზნაურები, მღვდლები, მათი შვილები, დარჩეული ქალები ყავთო. ერთხანს მართლაც კარგად ატარებდა დროს. შემდეგ მილიციაში შეავიდა და ბოლშევიკებს ეძებდა. შეუთანხმდა მენშევიკებს და მათთან ერთად მუშაობდა.

ანდროს კიდევ მოახვედრა მან ერთხელ მათრახი. ოც წელში იყო ეს ამბავი. საქართველო „დამოუკიდებელი" და „დემოკრატიული" იყო მაშინ. ყველას თავისუფლად შეეძლო ხალხის ყვლეფა.

ანდრო ქარხანაში მუშაობდა. მისთვის და მისი ამხანაგებისათვის ჯერ რევოლუცია არ მომხდარიყო. რუსეთის ოქტომბერი თანდათან შლიდა ფრთებს, მაგრამ აქამდე კიდევ ვერ მოეღწია. აქა-იქ ამოვარდებოდა ცეცხლის ალი. აფრიალდებოდა წითელი დროშა, მაგრამ... „დემოკრატიული სახელმწიფო" ცეცხლითვე მოსპობდა იმ კუთხეს. უმოწყალოდ ჟლეტდნენ დიდსა და პატარას, ვინც გაბედავდა „დემოკრატიული მთავრობის" აუგს.

მაინც მუშაობდნენ და მაინც იბრძოდნენ. მაინც ღვივდებოდა ნაპერწკალი და ძლიერდებოდა ცეცხლი.

ანდროც მუშაობდა. მუშაობდა იატაკქვეშ. ბეჭდავდა ფურცლებს, მოწოდებებს, გაზეთებს, გაჰქონდა და არიგებდა მუშებში, გლეხებში, დაბალ ინტელიგენტებში და ამ დროს ჩავარდა.

ჩავარდა და სწორედ იმასთან, ვისთან შეხვედრას მხოლოდ თანაბარ მდგომარეობაში ნატრობდა.

ახლა კი ჩავარდა სხვანაირად და ხელებშებორკილი.

სასტიკი გამომეტყველება მიიღო მილიციის უფროსმა ბატონმა გივი მახურაძემ, მრისხანედ ჩახედა თვალებში და წარბები შეხარა.

— კიდევ არ დაანებე ბიჭო შენ თავი მასეთ უკულმართობას?.

ანდროს არ უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ ვერ მოითმინა.

— რომელ უკულმართობაზე ბრძანებთ!

— აი, ოქ, სარდაფში რომ ეწევით.—მათრახის ტარი მიუტანა ცხვირთან.

ანდრომ უკან გადმოდგა ნაბიჯი.

— მალე, ძალიან მალე დავანებებთ სარდაფებში მუშაობას თავს, ბატონო პოლიციელო და...

აღარ დაამთავრებინა სიტყვა მილიციის უფროსმა, მათრახი გადაჭარა და დარაჯებს გააყვანინა.

შემდეგ არ შეხვედრია ანდრო მას. ამბობდნენ, მოჰკლესო. ზოგი იძახდა საზღვარგარეთ გაპყვა მენშევიკებსო. არავინ იცოდა სიმართლე.

კიდევ გააღვიძა ანდრომ მიძინებული ნაკვერჩხლები და დასაწოლად მოემზადა.

კარგახანი გასულიყო. საათი ორს უჩვენებდა. ქარი ისევ ძლიერად აწვებოდა კედლებს და შიგ შემოვარდნას ლამობდა. ანდრომ ფანჯარაზე ჩამოფარებული ფარდა გასწია და გაიხედა. საშინლად ჩამობნელებულიყო. არსაიდან სინათლის შუქი არ მოსჩანდა. ანდრომ ისევ ჩამოსწია ფარდა და ლოგინში ჩაწვა, მაგრამ უეცრად სახლის წინა კარებზე ისეთი ბრაგუნი გაისმა, რომ ანდრო უნებურად წამოვარდა.

ყური დაუგდო. ბრაგუნი უფრო გაძლიერდა. უთუოდ ვილაცა იყო. ანდრომ ჩაიცვა სწრაფად, რევოლვერი ხელში დაიკავა. ოთახიდან გამოვიდა და კარებს მიადგა.

— გაგვიღე ანდრო კარი, მოესმა ფრთხილი ხმა გარედან და ანდრომ ხმაზე შაქირი იცნო.

ანდრომ კარები გააღო.

— რა ამბავია შაქირ,—შემოსვლისთანავე ჰკითხა ანდრომ.

— ცუდადაა საქმე. გავიდეთ უნდა სოფლიდან. ბიჭები მზად მყავს. მოლაც გადავიყვანეთ სხვა ადგილას. ეშმაკიც ვერ მიაგნებს... მოემზადე, თორემ გვიან იქნება.

— რა ამბავია, არ იტყვი?—გაუკვირდა ანდროს.

— იუსუფაღასას მოსულან. ალბათ ადრე დილით დაგვეცემიან. საიდუმლოდ გავიგეთ. თვითონ იუსუფ-აღას პირველი ცოლი იყო ჩემთან, ოცდაშვიდი კაციაო. ათამდე აქაურები გაუბრიყვებიათ, ყველა შეიარაღებულია თოფებითა და რევოლვერებით. ჩვენი თავშვდომარეც იმათთან ყოფილა. დიდ აჯანყებებზე ლაპარაკობენ. აქაურებისთვის უთქვამთ, ბათუმი და ხულო ჩვენს ხელშია. ხვალ დილით მთელი ლაშქარი მოგვივაო. ყველაფერი დაწვრილებით გაუგიჟ ლუთბიეს. ყოჩაღი ქალია. იუსუფ-აღას საიდუმლოება ყველაფერი იცის. უნდოდა ჩვენთან დარჩენილიყო, მაგრამ არ დავრთუნება. ეჭვს აიღებდა ალა და უფრო ცუდი იყო.

—ჩვენ რაღა ძალა გვყავს?—შეაწყვეტინა სიტყვა ანდრომ.

— ოცამდე ახალგაზრდა... უპარტიო ახალგაზრდებიც შევაქუჩეთ. სიამოვნებით დასთანხმდნენ, გაეხარდათ კიდეეაც. საქმე იარაღია. შვიდი თოფი გვაქვს მხოლოდ, ათი რევოლვერი, ოთხი ყუმბარა. იარაღი რომ არ გვაკლდეს, ხალხს კიდევ ვიშოვით. ჩვენ ბევრი გლეხი გამოვგყვება. ნაზიმეც ჩვენთანაა. არ მოგვცილდა, სულ ერთია, თუ თქვენ დამარხცდით, მე მაინც არ მა-

ცოცხლებენო. ისევ თქვენთან მოვკვდე ის მირჩევნიაო. მამამისის-თვის მოუპარავს თოფი და მოიტანა. კარგი ხელმძღვანელი რომ გვყავდეს, ომში გამოწყაფული, მაგენი ვერაფერს დაგვაყლებენ. სროლა ყველამ კარგად ვიცით. ხვალ საღამომდე უსათუოდ მოგვის-წრებენ ხულოდან თუ რომ....—შეჩერდა შაქირი. უნდოდა ეთქვა, იქაც თუ მშვიდობაია, მაგრამ ანდრომ დაასწრო:

— დარდი ნუ გაქვს, ხულოში არაფერი ამბავია. ის გლეხების მოსატყუილებლად უთქვამთ. ნუ გეშინიათ. ხელმძღვანელობას გაგიწევთ. მხოლოდ უნდა ვეცადოთ, რომ უბრალოდ ვისიმე სისხლი არ დაიღვაროს.

— მაგის გარჩევა კი ძნელია, ამხანაგო ანდრო. ტყვიამ ბრა-ლიანი და უბრალო როდი იცის. ვინც ჩვენს მოწინააღმდეგეებთან იქნება, არ დავინდობთ... წავიდეთ, ბიჭები გვიცდიან.

ანდრო მიბრუნდა. პალტო ჩაიცვა, ყაბალახით შეიხვია თავი, ორი რევოლვერი ჩაიდო ჯიბეში და გამოვიდა.

ქარს თოვლის კორიანტელი დაეყენებინა, ახალი თოვლი ხვავ-რიელად ეფინებოდა გაყინულ თოვლს და სისქეს მატებდა.

ძლივს გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი, ძალზე სასტიკი იყო ქარ-ბუქი. თვალებში აყრიდა ხოშკაკალს და წვრილ თოვლის ფანტე-ლებს ერთმანეთში არეულს.

ცოტა ხანს მეზობლის საპძელს მოეფარნენ. შემდეგ ფერდ-ფერდ აიარეს და საბჭოს შენობაში შევიდნენ.

შაქირს აქ შეეკრიბა ახალგაზრდები. ფრთხილად და სათითა-ოდ მოეყვანა. ყველას ჰქონდა რაღაც იარაღი—ძველი და ახალი სისტემის .რევოლვერები, შაშხანა, ბერდანა, სანადირო თოფი, უბრა-ლო ფილთა, ძველებური დამბაჩა და პაპისეული კაჟიანი, მოვერ-ცხლილი და მოვარაყებული.

მთელი კოლექცია შეგროვდა იარაღებისა. ანდრომ დაათვალიერა აშხანაგები. თითო-ორ-ორი სიტყვა უთხრა, დააიმედა და შეპირდა, რომ საქმეს მშვიდობიანად მოაგვარებდა.

— არ გვეშინია მაგათი,—იძახდნენ ახალგაზრდები,—თუ რუ-სეთის ახალგაზრდობა მთელი წლების განმავლობაში მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი თავგამოდებით ებრძოდა მტრებს, ჩვენ რატომ ვერ ვიბრძოლებთ. თუ იმათ მოსპეს შავრაზმელები, მეფის ღენერლები, ბურჟუები და კაპიტალისტები, ჩვენ რატომ არ უნდა გავსრისოთ ბეგიები, აღები, მოლები, ხოჯები და მძარცველები.

ანდროს გაუკვირდა, — ისეთი სიტყვები წარმოსთქვეს. ასეთ ბიჭებთან რომ მოვკვდე, არ დამენანებაო, სთქვა გულში.

ოთახში შეიყარეს თავი. ოთხი კაცი დააყენეს გარეთ მორი-გედ და ორი მზვერავად გაგზავნეს.

ერთმანეთს ეცილებოდნენ წასულაში, დარაჯობაში. ნაზიმესაც თოფი ეჭირა და გამოცდილ მებრძოლივით აბრიალებდა თვალებს. არ დამტოვოთო ბიჭებო, ეუბნებოდა ახალგაზრდებს. ანდროსთან იდგა და თვალებში შესცქეროდა.

ოთახში მკრთალი შუქი იყო ბუხრის ახლო შემოდგმულ პატარა ფანრის. ირგვლივ შემოკრებილი სინჯავდნენ, იარაღს და რჩევა-დარიგებას აძლევდნენ ერთმანეთს.

გარეთ ისევ ეპრძოდა ქარბუქი ხეებს და ემუქრებოდა.

ერთი შეხედვით, სოფელს რაღაც შფოთვა ემჩნეოდა.

ფრთხილადგაღებულ კარების ჭრიალი გაეკვრებოდა ხოლმე ადამიანის ყურებს ქარის ხმასთან ერთად. ახალმოფენილი თოვლიც ისერებოდა ადამიანთა ფეხის ნაკვალევით და ამით ადვილი გასაგები ხდებოდა თუ რომელ ოთახიდან რომელი ბანაკის გასაძლიერებლად წასულან.

ახალგაზრდა მზვერავები უჩინრად მისდევდენ კვალს და ხშირად იუსუფ-აღას სახლის კარებამდე აცილებდნენ. საკმაოდ მოეყარათ თავი იქ.

მზვერავები იმახსოვრებდნენ მეზობლის გადადგმულ ნაბიჯებს. მიდიოდნენ ანდროსთან და ყველაფერს ეუბნებოდნენ. შაქირი მიყავდათ ადგილზე და უთითებდნენ ამა თუ იმ სახლიდან გამოსულ ფეხის კვალის მიმართულებაზე.

გაუჩინარებული იყვნენ ერთმანეთისათვის მოპირდაპირენი. მხოლოდ ახალგაზრდა მზვერავები მისდევდნენ კვალს და ითვლიდნენ იუსუფ-აღას სახლისაკენ მიმავალ ნაფეხურებს.

აგერ უეცრად, ძალიან ფრთხილად გაიღო მუჰამედ შვინდაძის სახლის კარი, სიბნელეში თითქო სიბნელე გამოვიდა, ხელში გრძელი თოფი უჭირავს, მიიხედ-მოიხედა და ფრთხილი ნაბიჯით გაუვა შუკას. ქარი უშლის მას, მაგრამ ლანდი მაინც მიდის.

თითქო გული მოწყდაო, ისე ამოიგმინეს მზვერავებმა ამის დანახვაზე.

— მუჰამედის ღალატი?!—წასჩურჩულა ამხანაგს პირველმა და თვალი გააყოლა მიმავალ ლანდს.

— დავეწიოთ და მოვკლათ. ბებუთით გამოვლადროთ ყელი. ღირსია მაგის,—ბრაზი ახრჩობდა ახალგაზრდას.

— ჩუ,—აფრთხილებს ამხანაგი. მაგისთანები ვერაფერს დაგვაკლებენ. მაშინ ჩავაძალოთ, როცა პირისპირ დავდგეთ.

— უმადური!. ანდროს რამდენი ამაგი აქვს მაგაზე...

— სუ. შეუხვია,—ორივემ გაუშვერიტა მიმავალ მოხუცს.

— ნახე თუ ჩვენებთან არ მიდის,—აღტაცებით წამოიძახა პირველმა.

— ვენაცვალე! თუ მაგი ჩვენთან იქნება. ერთი ათთან გავალთ საბრძოლველად.

ლანდი მიუახლოვდა საბჭოს შენობას. ფრთხილად მიმოტრიალდა, დაზვერა იქაურობა და კიბეზე ავიდა.

— ძია მუჰამედ,—აღტაცებით წამოიძახეს ახალგაზრდებმა და შეშოეხვივნენ მოხუცს.

— შენც ჩვენთან?—ღიმილით ჰკითხა შაქირმა.

მოხუცმა ყაპალახი მოიძრო, თოვლი დაიფერთხა, წვერებზე ჩამოისვა ხელი და ახალგაზრდებს გადახედა.

— აბა ვისთან უნდა ვიყო?—შეკითხვითვე უთხრა შაქირს და თვალებში შეაჩერდა.

— ვითომ გვეგონა...—არ დაამთავრა სიტყვა შაქირმა.

— იმათთან?—ხელი გაიშვირა მოხუცმა.—მეყო, კმარა, რამდენი ხანიც დავყავი მათთან ჩემი სიბეჩით. ახლა ძლივს გონზე მომიყვანეს და აწი ათასჯერ სიკვდილს ვარჩევ მათთან სიცოცხლეს.—თოფი ასწია ხელში.—მამისეულია. ნუ უყურებთ თქვენ მასე. კაჟიანი კია, მაგრამ მტყუნება როდი იცის. კარგახანია არ მიხმარია. გუშინ გამოვიტანე, გავწმინდე, კაჟი გამოვუცვალე, ახალი წამალი დავაყარე და ახლა... ბევრი არა და სამი კაცის მოცილება შემიძლია. მერმე მეც მომკლან, ერთი ხუთი-ექვსი წელი კიდევ მინდოდა მეცოცხლა, მინდა საბოლოოდ განადგურებული დავინახო მაგინი.—ანდროს შეხედა და შემდეგ ისევ ახალგაზრდებს გადაავლო თვალი.

არ გასულა ათი წუთიც, რომ კარი გაიღო და მეელუდ კოვზაძეც შემოვიდა ნაბადში შეხვეული.

კარგად ხართ ბიჭებო?—და ნაბადი მოიხადა.

— კარგად,—ერთხმად უპასუხეს დამხვდურებმა და ახედ-დახედეს.

მეელუდი თავითფეხამდე იყო შეიარაღებული. მაუზერი, ნაგანი, მოკლე კარაბინა, ფალასკები. გაჭედილი იყო სულ. ბიჭებს ვერ მოესწროთ მეელუდის დათვალიერება, რომ თევრად ბალაძე შემოვიდა, გრძელი ულვაშები ისე დაეგრიხა, რომ ლოყაზე დაფენოდა. მას ხელში ბერდანა ეჭირა და ფალასკაში ოცამდე ვაზნა უჩანდა.

ანდროს ძალიან გაუკვირდა გლეხების ასე მომზადებული ნოსელა. ვინ აცნობა ამათ, როგორ გაიგეს, რომ აქ ვართ? სად ჰქონდათ ამდენი იარაღიო,—ფიქრობდა ის და ამ ფიქრებს მის თვალებში კითხვის ნიშანი დაეხატა.

თევრადმა გაიხმო განზე ანდრო და იქ გასცა პასუხი ყველაფერზე.

— გინდა იცოდე, როგორ გავიგე?—და უამბო ყველაფერი.

—იუსუფ-აღას უფროსი ცოლი ლუთბიე ყოჩაღი ქალია. ახლა მოიკრა ჩემთან. მითხრა, რომ თქვენ აქ ხართ. ისიც მითხრა თუ რამდენი შეგროვდნენ იუსუფისას. დილაადრიან დაეცემიან ანდროს ბინასო. შემდეგ კომკავშირელებს ამოწყვეტენო. ძალიან მეშინია, რომ ამდენხანს არ ვიცოდი. ისეთ ბიჭებს გადმოვიყვანდი ნაყელავიდან, რომ ლეგიონს შეებმებოდნენ. აი დედასა.—მკერდზე დაიკრა ხელი.

ანდროს იმედი გაუორკეცდა. რახან მტრის სიდუმლოება გაიგო, ახლა მათთან ბრძოლა ადვილი იყო. ჯერ თვითონ შეიმუშავა მოქმედების გეგმა, შემდეგ გამოცდილ ამხანაგებს მოელაპარაკა. თევრადი, შევლუდი, შაქირი, ანდრო და მოხუცი მუჰამედი ჩაუჯდა.

გაინაწილეს როლები. ძალაც გაიყვეს, ყველას თავისი უბანი მიუჩინეს. მთავარი ძალა საბჭოს შენობაში დატოვეს. დაზვერვა გააძლიერეს და მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდნენ.

ოცდაათამდე იყვნენ. თუ მოხერხებულად იმოქმედებდნენ, მტერთან შეხვედრა არ გაუჭირდებოდათ. თავის დაცვა მაინც შეეძლოთ, სანამ მაშველი რაზმი მოუსწრებდა მაზრიდან.

IV

გათენებას ცოტა უკლდა. ქარი ჩადგა, მაგრამ თოვლი ისევ მოდიოდა. მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ აღას საბძელიდან იწყეს გამოსვლა შეიარაღებულმა კაცებმა.

ანდრომ განკარგულება გასცა მომზადებულიყვნენ. ჯგუფების ხელმძღვანელებს დარიგება მისცა და ადგილი მიუჩინა. კიდევ გააფრთხილა, არ გაესროლათ, სანამ მოპირდაპირეთა მხრიდან არ გავარდებოდა თოფი. მაშინ კი ყოველი მხრიდან უნდა აეტეხათ სროლა.

ნელნელა ნათლდებოდა. ახალი თოვლი ჭრელდებოდა ნაკვალევით. მოპირდაპირენი ემზადებოდნენ ერთმანეთის შესახვედრად.

ახალგაზრდები ჩასაფრებული იყვნენ მოხერხებულ ადგილას, რასაც თავდამსხმელები არ მოელოდნენ და შიშიც არაფრის ჰქონდათ. ისინი აშკარად გამოვიდნენ, ეგონათ ჯერ კიდევ ეძინა სოფელს. პირდაპირ ანდროს ბინისაკენ წავიდნენ. ის უნდა დაეჭირათ, მოეკლათ და შემდეგ სხვებს ეასწორებინენ. როცა ყველაფერს მოაგვარებდნენ, მოვიდოდნენ და საბჭოს შენობაში დაბანა-

კდებოდნენ. აქ გამოაცხადებდნენ თავიანთ ხელისუფლებას და შემდეგ მთელ აჭარას მოდებდნენ ამბავს. თითქმის ყველა სოფელში ყავდათ თავიანთი კაცები, რომლებიც პატარ-პატარა რაზმებს შეადგენდნენ, ადგილობრივ ხელისუფლებას დაიპყრობდნენ, ერთმანეთს შეუერთდებოდნენ და შემდეგ მაზრისაკენ გასწევდნენ.

ყაჩაღების, აღებისა და ბეგების თითო-ორ-ორი კაცები გაერთიანებულიყვნენ. ხოჯები და მოლები დაერაზმათ ხალხის მოსამზადებლად და ამრიგად ნაძირალებს, ცხოვრებიდან განწირულებს, პატარა სულის ლეშებს დიდი გეგმა შეედგინათ. ამ გეგმის შესრულებას მათი აზრით ხელს უწყობდა ცუდი ამინდი, უგზობა და ამ კუთხის ბუნებრივი თავისებურება—მიუდგომლობა.

ყაჩაღი ალი ომერ-ოღლი მოხერხებულად ატყუებდა ყველას. მას გვერდით ედგა რამდენიმე გამოცდილი პირი, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან მისულიყვნენ მათთან; ამ ხალხსაც დაკარგული ჰქონდა უდარდელი, უშრომელი და უზრუნველყოფილი ცხოვრება და, მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებულნი, თავიანთ ბატონობის აღდგენაზე ფიქრობდნენ.

მშრომელ ხალხს უამრავი მსხვერპლი გაუღია თავისუფლებისათვის, საუკეთესო შვილები შეუწირავს რევოლუციისათვის და ადვილად არავის მისცემს ნებას მოპოებული გამარჯვება გამოაცალოს ხელიდან. ასეთი იყო ხალხის გადაწყვეტილება.

უფრო ინათა. უკვე შესამჩნევი გახდა ახალმოფენილ თოვლზე თოვლზე ნაკვალევი, ზოგი ახალი და ზოგი უკვე წაშლილი ხვავრიელი ნალექიდან.

იუსუფ-აღას სახლიდან გამოსული ბანდიტები სამად გაყოფილი შევიდნენ სოფელში. ერთი ჯგუფი გზასთან, მდინარის პირას ჩასაფრდა, მეორე სოფლის გარეთ გავიდა და გორაკზე ნაძვნარში მიიმალა. მესამე კი წავიდა და მურადის სახლს შემოერტყა ირგვლივ, რომელშიაც, მათი აზრით, ანდროს ეძინა.

ანდრო და რამდენიმე ახალგაზრდა, მათ შორის ნაზიმეც, საბჭოს შენობასთან იყვნენ ჩასაფრებული და ბანდიტების ყოველგვარ მოქმედებას ხედავდნენ.

იუსუფ-აღა და მასთან ვიღაც ნაბდიანები ჯამეს წინ აივანზე გადმომდგარიყვნენ და იქიდან ზვერავდნენ სოფელს.

უკვე ყველაფერი ისე მოეწყოთ, როგორც უნდოდათ და ახლა მხოლოდ გამარჯვებაზე ოცნებობდნენ. უეცრად მურადის სახლიდან თოფი გავარდა და პირველმა ტყვიამ გაიწუილა ჰაერში.

ეს ამბავი ბანდიტებისათვის გასაკვირი არ იყო, მაგრამ ანდროს ძალიან გაუკვირდა. ვის უნდა ესროლა სახლიდან თოფი?—გაიფიქრა მან. ამხანაგებს გადახედა. სროლას რამდენიმე გასროლამ უპასუხა გარედან და სოფელი გამოფხიზლდა.

ანდრომ კარგად შეამჩნია, რომ იუსუფ-აღას საბძელიდან კიდევ რამდენიმე კაცი გამოვიდა და იქითკენ მიაშურა, საიდანაც ისე გაცხოველებული სროლა მოისმოდა. წასულებს გაყვა გზისპირას ჩასაფრებული ჯგუფი და მთელი რაზმი ბანდიტებისა ერთად შეკრებილი გარს შემოერტყა მურადის სახლს და ტყვიები დაუშინა.

ისინი უფრო გათამამებული მიდიოდნენ სახლთან და კარების შელეწვას ლამობდნენ. თან ხმამაღლა ყვიროდნენ—გამოდი, დაგვნებდი, თორემ ცეცხლს გავუჩენთ სახლს, ამოგწვავთ შიგო. დარბოდნენ სახლის ირგვლივ და ეძებდნენ სახლში შესასვლელს.

სახლიდან ისევ მოისმოდა სროლის ხმა, ხან კენტად, ხან ერთად, ხან ჯგუფურად. ბანდიტებს ეგონათ, რომ იქ იყვნენ კომკავშირელები, კომუნისტები და მათი მომხრე გლეხები, ამიტომ უფრო გააძლიერეს იერიში და სახლის კედლებს დაუშინეს ტყვია.

ახლა ანდრომ ერთი რაღაც გაიფიქრა, უნდოდა ამხანაგებისათვის გაეზიარებია, მაგრამ ამ დროს ყოველი მხრიდან ატყდა სროლა და სახლთან შექუჩებული ბანდიტებიდან რამდენიმე კაცი დაეცა ძირს.

ამან არევ-დარევა შეიტანა ბანდიტებში. ახლა სახლს მოსცილდნენ და აქეთ-იქით ეცნენ, მაგრამ უხვად წამოსულმა ტყვიებმა გზა-კვალი დაუბნია მათ და დაიწყეს დაქსაქსვა. ადგილობრივებმა თავიანთ სახლებს მიაშურეს, მოსულებმა ტყეებისაკენ მოუსვეს და იქ გამაგრდნენ, იქიდან დაიწყეს სროლა, მაგრამ მალე შეწყვიტეს და მიიმალნენ.

ანდროსათვის მდგომარეობა გარკვეული შეიქმნა. ის გამოვიდა საფარიდან, წაიყვანა რამდენიმე ახალგაზრდა და ბიჭებს ჩამოუარა.

ტქვეს ადგილას იყვნენ ჩასაფრებული, ორი-სამი კაცი ერთად. მოხუცი მაჰმუდი მურადის სახლთან ჩამალულებში ერია. სახლის წინ ხუთი ბანდიტი ეგდო, ერთი იმათგანი ჯერ კიდევ არ მომკვდარიყო და ხელებით პოტნიდა თოვლს.

— ეყოფა მაგათ,—იძახდა მოხუცი და ისვამდა თეთრ წვერებზე ხელს,—ჩემი კაეიანი თოფი ხომ გამოვწმინდე. ვეყურბანე ამას—კონდახზე აკოცა.—არა, როგორ მოგწონს ამხანაგო ანდრო, ჩემი მოხერხება? განგებ შევგზავნეთ კაცი შენს ბინაში. ბუხარში გაჩერებული სროლილობდა რევოლვერს. ისე მოვაჩვენეთ თითქოს ყველანი მაგ სახლში ვყოფილიყავით და ცხვრებივით შემოეხვიენენ გარს. ჩვენ კი გარედან დავუშინეთ.

— ყოჩაღ!—ჩამოართვა ხელი ანდრომ. წეღან სწორედ ასე გაიფიქრა მან. თავისთავს უსაყვედურა, რატომ დროზე არ მომაგონდა ეს ხერხიო. მაგრამ დახე, მოხუც მუჰამედს სწორედ ასე მოეფიქრებია.

სოფელი თითქოს ქვევრში ჩაძვრა. გაინაბა და ხმა გაკმინდა. ქალები და ბავშვები ბუხრებში მოაფარეს, კარები ძელებითა და ურდულებით გადაკეტეს, ფრთხილად იკვრიტებოდნენ ჰუკრუტანებიდან.

ანდრომ განკარგულება გასცა გამოდგომოდნენ ყაჩაღებს, მაგრამ წაიწიეს თუ არა წინ და სოფელს მოცილდნენ, მაშინვე ტყიდან სეტყვასავით წამოვიდა ტყვია და იძულებული გახდნენ ისევ უკან დაეხიათ.

ორი საათი ელოდნენ ერთმანეთს. ანდრო და შაქირი ახალგაზრდა მებრძოლებს ამხნევებდნენ, განკარგულებას აძლევდნენ და არიგებდნენ, რომ ფხიზლად ედევნებინათ მტრის მოძრაობისათვის თვალი. იყვნენ ჩასაფრებული მოხერხებულ ადგილას, აძლევდნენ ნიშანს ერთმანეთს, აწოდებდნენ ცნობას ანდროს და მოელოდნენ მტერთან შეხვედრას უფრო გადამწყვეტ და სასტიკ ფორმებში.

ანდრო ელოდა დახმარებას მაზრიდან. თუმცა ეს იმედი ძალიან უსაფუძვლოდ ეჩვენებოდა, რადგან ასეთ ამინდში და ასე ჩქარა დამხმარე ძალების მოსვლა შეუძლებელი იყო. გაგზავნილ კაცს მხოლოდ დღეს შეეძლო მისულიყო ხულოში. იქიდან კი ასეთ ცუდ ამინდში აქამდე მოსვლა ორ-სამ დღეს მაინც მოითხოვდა... მეტი გზა არ იყო, როგორმე უნდა გამაგრებულიყვნენ, დახმარების მოსვლამდე გადაერჩინათ სოფელი აუწოკებლად.

უკანდასახევი და გასაქცევი არ ჰქონდათ. ან უნდა გამაგრებულიყვნენ, ან სიცოცხლეზე აეღოთ ხელი. ჯერ იფიქრეს, იქნებ ამ სასტიკ დამარცხების შემდეგ გაიქცნენ, მიატოვონ აქაურობაო, მაგრამ ეს ფიქრი არ გამართლდა. არც მათ ჰქონდათ გასაქცევი და თავშესაფარი. ყველაზე სუსტი ადგილი აქ ეგულებოდათ. აქ უნდა გაეწყვიტათ ძაფი და სოფელი დაეპყროთ. მათ ამ მოსაზრებას ბევრი გასამართლებელი საბუთი ჰქონდა. მათთან იყო ამ სოფლის მეთაური დურსუნი, გავლენიანი და ცნობილი იუსუფ-აღა, ხოჯა მამუდი და ორიოდე გავლენიანი გლეხიც. ორ-სამ თვეს რომ გამაგრებულიყვნენ, ისიც საქმე იყო. სხვა სოფლებზე იმოქმედებდნენ და შემდეგ... მიატოვებდნენ აწიოკებულსა და აოხრებულს.

აბა ბანდიტების სახელმწიფოს ხომ ვერ შექმნიდნენ.

იუსუფ-აღა და მისი კაცები კი ასე არ ფიქრობდნენ. ისინი სამუდამო ბატონობაზე ოცნებობდნენ და ამიტომ იყო, რომ ალი ომერ-ოღლის ბანდას ურჩევდნენ, არ მოსცილებოდნენ სოფელს, გამაგრებულიყვნენ მახლობლად, სანამ ხოჯა მამუდი და დურსუნი სხვა სოფლებიდან მაშველ რაზმებს მოიყვანდნენ. მაშინ ყოველის მხრიდან შემოერტყმებოდნენ სოფელს და ყველას ერთბაშად დაიჭერდნენ. როგორც ამბობდნენ, აჯარა მთლიანად დაუჭერდა მხარს აჯანყებას

და მალე მოიცილებდა კომუნისტებს, რომლებსაც თითქო ახალგაზრდების გარდა არავინ ემხრობოდა. ასეთი იყო იმ ხალხის შეხედულება და სიზმარშიაც თავიანთ დაკარგულ ბედნიერებაზე, თავიანთ სიმდიდრისა და ართმეული ღირსების დაბრუნებაზე ოცნებობდნენ.

როგორც კი შეატყვეს, რომ სოფელში საკმაო ძალა ყოლია ბოლშევიკებს, როცა დარწმუნდნენ, რომ გლეხობის ძალიან მცირე ნაწილი აღმოჩნდა მათთან და ისინიც უარს აცხადებდნენ იარაღით გამოსვლაზე, ცოტა. არ იყოს საგონებელში ჩავარდნენ. ამდენი ხნის მზადება უქმად ჩაუარათ, სულ ნახევარი საათის ბრძოლას ვერ გაუძლეს და ტყეს შეაფარეს თავი.

არ უნდოდათ უკანდახევა. შეუძლებელიც იყო მათთვის ეს. კარგად იცოდნენ, რომ ბოლშევიკები მადლობას არ ეტყოდნენ ამისთვის და არჩიეს ყოველგვარი ზომების მიღება ადგილობრივი კომუნისტებისა და კომკავშირელების ამოსაწყვეტად. დურსუნი და ხოჯა დილაადრიან გაიქცნენ სოფლიდან დამხმარე ძალების მოსაყვანად.

დურსუნს იმედი ჰქონდა გლეხებს გამოვიყვანო, მაგრამ არ გაუმართლდა. ოცამდე კაცი ძლივს მოაგროვა, ოცდახუთამდე ხოჯამაც შეკრიბა და სოფელ წყავნარას შემოასია.

მოსახლეობა კვლავ ჩაიკეტა. გლეხობის უმრავლესობა დაიმალა. ანდროსთან და შაქირთან მხოლოდ ახალგაზრდები და ათამდე გლეხი შემოიკრიბა.

სოფელში შესავალი გზები იყო გაკავებული და გამაგრებული. საბჭოს შენობაში მოეწყო თოფებისა და ტყვიების საწყობი. რამდენიმე ახალგაზრდა მიუჯდა სანადირო თოფებისთვის ვაზნების მზადებას. ნაზიმემ კიდევ ორი ქალიშვილი აიყოლია და მებრძოლებისათვის საჭმელი დაამზადა. თვითონ დაჰქონდათ გამომცხვარი მჭადები სანგრებში და არიგებდნენ. სულ რამდენიმე ადამიანი დადიოდა სოფელში და ისიც ქურდულად.

არავინ იცოდა რით დამთავრდებოდა ეს ამბავი. ზოგიერთები ავრცელებდნენ ხმებს თითქო საზღვრიდან გადმოსულია უცხო სახელმწიფოს ჯარი და საცაა ალი ომერ-ოღლის ბანდასთან ერთად გამოილაშქრებსო. ამ ხმებს შიში შეჰქონდა ახალგაზრდობაშიაც.

სადილობის დრო მოახლოვდა. სროლა შეწყვეტილი იყო. კომკავშირელმა მზვერავებმა მიიარ-მოიარეს ახლომახლო ტყეები, გორაკზედაც ავიდნენ, მაგრამ არავინ დაუხვდათ. როგორც ეტყობოდა, ყაჩაღებს დაეტოვებინათ სოფელი.

დამშვიდებულნი დაბრუნდნენ და საბჭოს შენობაში მოიყარეს თავი, რომ უეცრად საშინელი სროლა ატყდა.

გამოცვივდნენ. მაღლა გორაკები შავად იყო მოფენილი ხალხით. სროლით მოიწევდნენ წინ და საბჭოს შენობას უშენდნენ ტყვიას.

ახლა აღარ იყო სახუმროდ საქმე.

ანდრომ მიიხედ-მოიხედა. მის გვერდით ოცამდე ახალგაზრდა იდგა, დანარჩენები სხვადასხვა ადგილას დარაჯობდნენ. ეს ძალა კარგად შეიარაღებულიც რომ ყოფილიყო, მაინც გაუჭირდებოდა მოსულებთან შეხვედრა. ოთხმოცამდე შეიარაღებული კაცი მოდიოდა და მათში უმეტესობა ძველი ყაჩაღები და სროლაში კარგად გამოწაფული ვაჟკაცები.

—ტყვიას გაუფრთხილდით ბიჭებო,—დაიძახა მოხუცმა მუჰამედმა და თავის კაჟიან თოფს მოავლო ხელი.

საბჭოს შენობის წინ გაწვნენ თოვლში და სროლა დაიწყეს. ბანდიტები შეუპოვრად მოდიოდნენ წინ. არ უფრთხოდნენ ტყვიას და თანდათანობით ჩამოდიოდნენ გორაკიდან, თითქო არ მოქმედებდა მათზე აქედან განასროლი ტყვიები.

შაქირს ბრაზი მოსდიოდა. აფრთხილებდა ახალგაზრდებს, არ გამოელიათ ტყვიები და თუ ვინიცობაა დაიხევდნენ, მარაგი ჰქონოდათ.

ანდროც შეფიქრიანებული იყო. მან კარგად იცოდა, რომ თუ ბანდიტები გაიმარჯვებდნენ, არც ერთ ამათგანს არ დატოვებდნენ ცოცხალს. თავისთავზე უფრო აწუხებდა ამხანაგების დაღუპვა, რომლებიც, სასიკეთო იარაღს მოკლებულნი, თავგამოდებით იბრძოდნენ.

თვითონ ანდროსაც არ ჰქონდა თოფი. ის რევოლვერამოღებული მოფარებოდა ქვას და მტრის მოახლოვებას უცდიდა. რამდენჯერ ინატრა ერთი შაშხანა თავისი ტყვიებით!

ნანობდა, რომ თავისი ერთგული თოფი სახლში დატოვა.

თანდათან გაძლიერდა სროლა. ყაჩაღებმა მაუზერები აამუშავეს და სულ დაცხრილეს საბჭოს შენობა. შაშხანებისა და ბერდანების ტყვიები უფრო ხშირად მოცვიოდა, მაგრამ ჯერ ერთის მეტი არ გამოუყვანია წყობილებიდან. იმასაც ფეხში მოხვდა.

დანარჩენები ჯერ კიდევ ყოჩაღად იბრძოდნენ. იშვიათად გაისვრიდნენ, მაგრამ ყოველ გასროლას მომაკვდავ ბანდიტის აყვირება მოყვებოდა.

ათამდე კაცი ჩამორჩა თოვლში გაგდებული მომხდურებს, მაგრამ მაინც არ იხევდნენ. ახლა რამდენიმე ასეული ნაბიჯით იყვნენ მოშორებული და თოვლი უშლიდა ხელს, თორემ შეეძლოთ ერთი გამოქცევით მოვარდნილიყვნენ და ხელჩართული ბრძოლა გაჩაღებულიყო.

ანდრომ თვალით ანიშნა შაქირს, რომ ბიქები უკან გადმოეყვანა და უფრო მოხერხებულ ადგილას ჩასაფრებულიყვნენ.

ბანდიტები, შენიშნეს რა უკან დახევა, ყვირილით და ვაშას ძახილით წამოვიდნენ და საბჭოს შენობამდე მოაღწიეს. აქ ისევ ახალგაზრდების ტყვიებმა აიძულეს შეჩერებულიყვნენ და თოვლის საფარის გაკეთება დაეწყოთ.

ცოტა ხანს თითქო შეწყდა ორივე მხრივ სროლა. ბანდიტებმა საბჭოს შენობის აღებით თავი გამარჯვებულად ჩასთვალეს და წუთით სული ამოითქვეს. მოპირდაპირეებმა ახალი საფარი მონახეს და მტრის დასახვედრად მოემზადნენ.

ახლა აღარ იყო კარგი სულიერი განწყობილება ახალგაზრდებში. ტყვიების სიმცირე და მოპირდაპირის მრავალრიცხოვნობა აფიქრებდა მათ.

ანდრო ახლა ცოცხალი ძალის გადარჩენაზე ფიქრობდა. უნდოდა როგორმე მოეხერხებინა და გაეყვანა მებრძოლები აქედან. ამისათვის ის ჩუმად მოელაპარაკა შაქირსა და სხვა ამხანაგებს.

— ბიქებო, დელი მურადი!—დაიძახა ამ დროს ერთმა ახალგაზრდამ და ფერდობში დაეშვა. ყველამ იქითკენ მიიხედა.

— მურადი, მურადი—შესძახა შაქირმაც და სიხარულით გაუბრწყინდა სახე.

— ჩვენი მურადი—და აღტაცება მოეფინა ყველას.

მურადი წელამდე თოვლს მოარღვევდა და ისე მოდიოდა. ოფლისაგან სულ გაწუწულიყო. მხარზე მსუბუქი ტყიამფრქვევი გაედო, აქეთ-იქიდან ორი თოფი ჩამოეკიდნა, წელზე ხელით სასროლი ყუმბარები ჰქონდა.

დაინახა თუ არა ბიქები, უფრო აუჩქარა ნაბიჯს. ანდრო და სხვები მიეგებენ მომავალს. ანდროს დანახვაზე მურადს სიხარულის ცრემლები გადმოცვივდა. იარაღი ამხანაგებს გადასცა, მივარდა და ისე მაგრად ჩაეკრა, გეგონებოდათ შეადუღდნენ ერთმანეთსო.

— ნუ გეშინიათ ბიქებო. მოდიან ჩვენები. მე დავწინაურდი. დიდი თოვლია ეს წყეული. გზაზე შემომხვდნენ და ამდილას აქეთ მოვარღვევეთ თოვლს... ნაილეც მათ მოჰყვება... თქვენ გენაცვალეთ ბიქებო, ხომ არავინ გაკლიათ? მაგ ბანდიტებს ხომ არ ჩაუთრევიათ ვინმე. შენც აქ ხარ ძია მუჰამედ. გენაცვალე თეთრ წვერებში,—მივარდა მოხუცთან და მთელი სახე ჩაუკოცნა,—შაქირ, ზია, ალი, როგორ ხართ? თქვენი დარდი მქონდა... ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით. დიდი ხანია მესმოდა სროლის ხმა, ბრაზით ესკდებოდი, რომ ვერ ჩოვდიოდი ჩქარა... ვინ იცის ტყვიამფრქვევის სროლა?

იქ ამიხსნეს, მაგრამ არა მგონია შეეძლო,—კიდევ მოეხვია ანდროს. —შემოგეევლე, გეყურბანე ჩემო ძამია.

— ნუ გეშინია მურად,—დაავლო ხელი ანდრომ ტყვიამფრქვევს, ახლავე ავაკაკანებ. აბა ბიჭო, შაშხანები! მურად, შენ მოისხი რამე, გაოფლიანებული ხარ,—ანდრომ პალტო გაიხადა და მურადს მოახურა.

როცა ესენი ამ ამბავში იყვნენ, ბანდიტები ახალ გამოლაშქრებისათვის ემზადებოდნენ, ზვერავდნენ იქაურობას.

ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე ბანდიტი გადმოვიდა სერიდან.

— დაყარეთ იარაღი, მოგვიყვანეთ მაგი გიაური და არ დაგსჯით, თორემ ამოგწყვიტავთ ყველას და სახლკარს გადაგიწვავთ.— გადმოიძახა ერთმა მათგანმა.

—მობრძანდით და ჩაგაბარებთ,—გასძახა გაბრაზებულმა მურადმა და ზედიზედ მიაყარა შაშხანიდან ტყვია.

ორი ბანდიტი ჩავარდა თოვლში, დანარჩენებმა პირი იბრუნეს, მაგრამ მალე ამხანაგები წამოეშველნენ და ყვირილითა და სროლით დაეშვნენ.

გამხნევებული ახალგაზრდები არ ზოგავდნენ ტყვიას და ისევ გამაყრუებელი სროლა ატყდა.

ანდრო, ტყვიამფრქვევთან მიმჯდარი, ჯერ კიდევ ჩუმად იყო. ელოდა ბანდიტების უფრო ახლო მოსვლას და ტყვიამფრქვეეი მზად ჰქონდა.

აი დადგა მომენტიც. შეუპოვრად წამოსული ყაჩაღები და მათი დამხმარე ძალები მიუახლოვდნენ მოპირდაპირის სანგრებს, ასტეხეს ყვირილი და სროლა, უნდოდათ იერიშზე გადმოსულიყვნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს აკაკანდა ტყვიამფრქვევი და ზედიზედ ორი ყუმბარა გასკდა მურადის მიერ გასროლილი.

ბანდიტები ამას აღარ მოელოდნენ და აირივნენ. იბრუნეს პირი, მოუსვეს საბჭოს შენობისკენ, მაგრამ ტყვიამფრქვევის ტყვიებმა არ მისცეს საშუალება უკან მოხედვის.

— ვაშა,—დასძახეს ახლა ახალგაზრდებმა და გაქცეულებს გამოუდგნენ, მაგრამ იმდენი ძალა არ შესწევდათ, რომ უფრო შორს გადევნებოდნენ. თავიანთი ნამყოფი პოზიცია დაიბრუნეს და საბჭოს შენობასთან გამაგრდნენ.

ბანდიტები მიიმალ-მოიმალნენ ტყეებში, ახალი საფარი გამონახეს და კანტი-კუნტად სროლილობდნენ. ერთი ტყვია შაქირს მარჯვენა ხელში მოხვდა, მაგრამ ამხანაგები არ მიუტოვებია. ჭრილობა შეიხვია და მარცხენა ხელით სროლილობდა, დანარჩენები ჯერ კიდევ უვნებლად იყვნენ. აღარ ეშინოდათ მტრის. ახლა თვითონაც კმაროდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, ტყვიამფრქვეეი და

ხელუმბარები ჰქონდათ, შეეძლოთ გამაგრებულიყვნენ თუნდაც ერთ კვირას.

დამარცხებულმა და შეურაცყოფილმა ბანდიტებმა აღარ დააყოვნეს, გადაეწყვიტათ, რაც უნდა დაჯდომოდათ აეღოთ სოფელი და შეეპყროთ მოპირდაპირენი...

ისევ მალე შეკრიბეს უკანასკნელი ძალები და უფრო გაბედული შეტევით შემოვიდნენ. ახლა ჯგუფ-ჯგუფად გადმოდიოდნენ ხსვადასხვა მხრიდან და ამით უფრო ახერხებდნენ თავიანთი თავის მოფარებას... შემოუტიეს ზემოდან, შემოუტიეს სოფლიდან, ასტეხეს სროლა ჯამედან, მინარეთიდან და ისევ რკალში მოამწყვდიეს ახალგაზრდები.

დაიძაბა მდგომარეობა. იგრძნეს ტყვიების ნაკლებობა, მაგრამ თავიანთ პოზიციას მაინც არ სტოვებდნენ. ანდრო აქეთ-იქით აძლევდა ტყვიამფრქვევს მიმართულებას. სროლილობდა დაზოგვით და მოხერხებულად. მოპირდაპირენიც აძლიერებდნენ ცეცხლს და ისევ უახლოვდებოდნენ დანატოვებ სანგრებს. ბოლოს იმდენად გათამამდნენ, რომ იხუვლეს და თავგანწირვით გადმოვიდნენ იერიშზე. უეცრად მიღმა რამდენიმე ტყვიამფრქვევი აკაკანდა და სეტყვასავით დაეშვა ტყვიები თოვლში. ამას მოყვა ხშირი სროლა შაშხანებიდან და იერიშზე გადმოსულებმა იკადრეს გაქცევა.

—ვაშა!—დასძახეს ახალგაზრდებმა და გაქცეულებს გამოუდგნენ.

ახლა ბანდიტებისათვის უკვე აღარ იყო საეჭვო დამარცხება და ამიტომ თავისთვის უნდა ეშველნათ. რაც ძალა და ღონე ჰქონდათ მოუსვეს, მაგრამ საღამომდი ბევრი მათგანი მოიყვანეს დაჭერილი და საბძელში დაამწყვდიეს.

V

სოფელმა თავისუფლად ამოისუნთქა. გლეხებმა გააღეს ჩაკეტილი კარები. ქალები და ბავშვები გამოვიდნენ გარეთ და კვლავინდებურად ჩაებნენ ცხოვრების ფერხულში.

ოცამდე პატიმარი წამოიყვანეს მაზრაში. მათში შვიდი კაცი ალი ომერ-ოღლის ბრბოს ეკუთვნოდა. დანარჩენები სხვადასხვა სოფლებიდან იყვნენ.

საბჭოს თავმჯდომარეს უკვე გაესწრო. ხოჯა თავის სახლიდან გამოიყვანეს. ის ფიცულობდა, რომ მას არავითარი მონაწილეობა

არ მიულია თავდასხმაში, მაგრამ ეს აქ აღარავის სჯეროდა. სხვა საბუთებიც ბევრი იყო მის დასაპატიმრებლად. ბინის გაჩხრეკისას მრავალი იარაღი აღმოუჩინეს, სხვათაშორის იპოვეს ის ტანსაცმელებიც, რომლებსაც ხმარობდნენ ქაჯებისა და ეშმაკების როლებში გამოსვლის დროს.

აი, ის ქურქი, რომელიც თოფუზას სცმია იმ ღამეს, როდესაც მურადის გაგიჟება მოახერხა, შემდეგ კი იმავე მიზნით ანდროს შეხვდნენ. გარკვეულად აჩნდა ფეხთან ჭრილობა, რომელიც ანდროს მიერ გასროლილმა ტყვიამ დაამჩნია. ნახეს მეორე ასეთივე ქურქიც, რომელსაც მოლა ნური იცვამდა. ორივე მოხერხებულად იყო გაკეთებული. მთლიანად ტანზე ჩამოიცმებოდა. ხელების მაგივრად ადამიანს რაღაც უცნაურბრჭყალებიანი თათები უკეთდებოდა, გრძელი ყურები და ოდნავ შესამჩნევი რქები. თვალების ადგილას ჩასმული იყო შავი შუშა, რომელიც ღამეში ცეცხლივით ელავდა. გრძელი კუდი და ბეწვებით დაფარული ტანი. ასე, რომ ამ ტანსაცმლით შემოსილ ადამიანს ადვილად შეეძლო შეეშინებია ადამიანი და მართლაც შეეშალა გონებიდან.

მთელი სოფელი დადგა ფეხზე. ახლო-მახლო სოფლებიდანაც იწყეს მოსვლა „ქაჯის“ ტანსაცმელების სანახავად. დიდი, პატარა, ქალი და კაცი, ყველა დაინტერესებული იყო...

ყველაზე უფრო იყვნენ გაკვირვებული მოხუცები, რომელთაც ჯერ კიდევ არ სჯეროდათ ამ ამბავის სინამდვილე და კიდევ ხოჯისა და იუსუფ-აღას მხარეს იჭერდნენ. ახლა, როცა ხოჯასთან ერთად ის „ქაჯების“ ტანსაცმელებიც ანახეს და ხოჯას პირით მოისმინეს მისი საქმიანობის ამბავი, თავბრუ დაესხათ.

—ფუი, შენს სინდისს, შენ გაიძვერავ, შენ!—მიაფურთხა ერთმა ღრმად მოხუცებულმა გლეხმა ხოჯას,—რათ ჩაიდგი ჩემი ცოდვა ხოჯავ! რად დამიღუპე ერთადერთი შვილი, რად გამიდელე? უსინდისოვ! ღვთისა და კაცის მტერო, ტყვია გერტყა შუბლში და ისე მოგეკლა, არ გენახვებია ჩემი შვილის სიცოცხლით წამება... უჰ, შენი ხორცი. შენი სული...—კბილები დააკრაჭუნა მოხუცმა და ჯოხით გაექანა ხოჯისაკენ, მაგრამ შეაჩერეს...

მოხუცს ტირილი აუვარდა.

— მე მეგონა ღმერთმა დამსაჯა, მან მომივლინა ეშმაკი საწამებლად, ვლოცულობდი, ვევედრებოდი ყოვლის შემძლეს, რომ ეპატიებია ჩემთვის თუ რამე დანაშაული მიმიძღოდა მისსა და ქვეყნის წინაშე. რამდენი დავხარჯე. თვითონ მაგას მივუტანე ნუსხის დაწერისათვის სიმწრით ნაშოვნი ფული... ხოჯავ,

ხოჯავ, რას მერჩოდი, რად ჩამიხშამე მოხუცებულობა!...ძლიეს ლუღლუღებდა ის და ცრემლებს ღვრიდა.

კიდევ გამოჩნდნენ ისეთები, რომლებსაც რამდენჯერმე შეხვედროდათ ქაჯი, რამდენჯერმე მიუტოვებიათ მისი შიშით წისქვილიდან წამოღებული ფქვილი, ან გასაყიდად წაღებული იაღი, ყველი თუ სხვა რამე ნაწარმი... რამდენჯერ შეშინებიათ ძალზე მეტად და ამ ნიადაგზე დასნეულებულან! რამდენი ვერ ბედავდა ღამე გარეთ გამოსვლას და რამდენს თვალწინ ედგა საშინელი სახე წყეული „ქაჯისა". ბევრი ბავშვი დაავადებულა შიშისაგან.

საწყალი მშობლები მიდიოდნენ ხოჯასთან, აწერინებდნენ ნუსხას, აძლევდნენ უკანასკნელ გროშებს, ვისაც ფული არ ჰქონდა, მიჰყავდათ თხა, ცხვარი, ბატკანი, მიჰქონდათ ერბო, კვერცხი, ქაწონი, რძე, ნიგოზი... ყველაფერს ღებულობდა გამოქნილი ხოჯა, ვითომც და თავისი მეზობლების ხათრისა და სიყვარულის გულისთვის.

ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფი მოიკეთებდა, მორჩებოდა. მაშინ ხოჯის ვალისგან ვეღარ ამოვიდოდა კაცი. მორჩენილი რამდენიმე დღეს უნდა მიხმარებოდა ხოჯას.

საჩუქრებ[illegible] მადლობა ხომ სულ სხვა იყო.

ასე სჩადიოდა მამედის მამა. ისე განაგრძო მამედამაც.

შვილი მამაზე ძოხერხებული გამოდგა. რამდენიმე საფრთხობელა ტანსაცმელი გააკეთა სხვადასხვანაირი. ერთხანს მარტო იცვამდა, გამოდიოდა და აფრთხობდა ხალხს. მაგრამ ეს კომუნისტები რომ გაჩნდნენ, მერმე მარტო მუშაობამ ვერ გამოიღო ისეთი ნაყოფი, როგორიც საჭირო იყო. თითქო ძალა მოაკლდა ეშმაკსა და ქაჯს. ნაკლებად ეშინოდათ მისი. რომ ვინმე გაედელებინა, საკმარისი არ იყო მარტო ბნელაში მოჩვენება და ქვების სროლა, ან სახელის დაძახება. ზოგჯერ შეტაკება, მაგრად მიბეგვა და გვერდების ჩაელეწვაც იყო საჭირო, რომ შემდეგ ყველა დაერწმუნებინა ქაჯის არსებობაში. მაგრამ ეს ხოჯას ახლა აღარ შეეძლო. ერთხელ მოუნდომა ერთ გლეხს დატაკება, მაგრამ როცა შეხედა, რომ შეშინებული გლეხი არა თუ არ გაიქცა, არამედ ჯოხი მოიმარჯვა,— ვეღარ გაბედა მასთან მისვლა, საზარელი ხმით ამოიკივლა და ტყეში დაიკარგა.

ამის შემდეგ შეუდგა თანაშემწის ძებნას. მოლა ნური ყველაზე კარგი მოწაფე გამოდგა. რამდენჯერმე ერთად მოახდინეს გასეირნება ქაჯის ტანსაცმელებით და სასურველ შედეგს მიაღწიეს. რამდენიმე ახალგაზრდას აუტეხეს გულისფრიალი და სამუდამოდ

დასთხოვეს ღამით გარეთ გამოსვლას. მაგრამ მურადს ვერ მოუხერხეს ვერაფერი, თუმცა რამდენჯერმე გამოეჩვენენ.

ამაზე კარგახანს იფიქრეს და იმსჯელეს. მურადი ლონიერი ბიჭი იყო, მას შეეძლო ორივესთვის მაგრად ჩაემტვრია გვერდები თუ, მასთან შებმას გაბედავდნენ, გვერდებს ვინლა ჩიოდა, გამომძღავნდებოდნენ და შემდეგ მათი სიცოცხლე რაღად ეღირებოდა.

თოფუზი აირჩიეს თავიანთი მიზნებისათვის. გაიგეს, რომ ის ბატმა შეაშინა, რომ ამიტომ ამხანაგებმა დასცინეს. დაიხვიეს ხელზე ეს ამბავი და თოფუზი შეკერეს. გადაიბირეს. უბრალოდ აუხსნეს: შევაშინოთ და მერმე დავცინოთ, ვეხუმროთ თითქო ეს არაფერიაო და ნელ-ნელა თოფუზი დაიმორჩილეს, ჩაითრიეს, ჩააბეს.

გაბრიყვებულმა თოფუზმა ვერ მოახერხა ამ ამბავის გამხელა. ანდროს ვერ გაუბედა თქმა. დურსუნმა კი იცოდა და უფრო აქეზებდა.

დაუჯერა ხოჯას, ჩაიცვა საფრთხობი ტანსაცმელი და რამდენჯერმე შეამოწმა თავისთავი. როცა დარწმუნდნენ, რომ როლი კარგად იყო შესწავლილი, საქმეს შეუდგნენ.

მურადს რევოლვერი მუდამ წელზე ჰქონდა და ტყვიებიც დასრიალებული კიაფობდა ბარაბანში. საჭირო იყო ამ .ტყვიების მოპარვა ისე, რომ მურადს არ შეეტყო.

ესეც მოახერხეს.

დაამზადეს წინასწარ ვაზნები, გამოაცალეს შიგ წამალი, წამოაგეს ზემოდან ტყვიები და ნამდვილ საღ ვაზნას დაამსგავსეს. შემდეგ ერთ დღეს თოფუზმა მოახერხა მურადის რევოლვერის ხუთი წუთით ხელში ჩაგდება, საღი ვაზნები მაშინვე გამოაცალა და ცარიელი ვაზნები ჩაუწყო.

ამის შემდეგ მურადთან მისვლა ორ კაცს აღარ გაუჭირდებოდა. მის ფსიქოლოგიაზედაც იმოქმედებდნენ. როცა ის რევოლვერის გასროლას მოინდომებდა და არ გავარდებოდა, უთუოდ უფრო ძლიერ შეშინდებოდა და ამ დროს ხელდახელ შებმა საკმარისი იქნებოდა მურადის სამუდამოდ წასახდენად.

ასედაც მოიქცნენ და შედეგიც ისეთი მიიღეს, როგორიც უნდოდათ. გააგიჟეს, შეშალეს ჭკუიდან კაცი და ოდნავ მოიფხანეს გული...

საბოლოო გამარჯვებისათვის კი ეს არ კმაროდა. დურსუნმა სიმამრს ანდროზე მიუთითა და მოლასა და თოფუზს მოელაპარაკა.

თოფუზს არ უნდოდა გაემეორებინა ის სცენა, რომელიც მან

გაითამაშა. ის ნანობდა კიდეც ჩადენილ დანაშაულს, რომელსაც ერთი ადამიანის დაღუპვა მოყვა, მაგრამ გვიან იყო. უარის თქმა აღარ შეიძლებოდა. დურსუნი ხომ სულელი არაა, ცოცხალი დატოვოს ისეთი ადამიანი, რომელიც ხელს შეუშლის, ან მისი საიდუმლოება იცის და მის გვერდით არ არის?

მაუზერი დაანახვა და აგრძნობინა, რომ ახლა ყოყმანი აღარ შეიძლებოდა.

რას იზამდა. დასთანხმდა თოფუზი და შეურიგდა ბედს.

ძნელი შეიქნა ანდროს რევოლვერის ხელში ჩაგდება და ვაზნების შეცვლა, თორემ სხვა ყველაფერი მზად იყო. რამდენიმე დღე უდარაჯა თოფუზმა, დურსუნმაც, მაგრამ ვერ მოახერხეს ვერაფერი. ფრთხილი ბოლშევიკი იარაღს ხალათშიგნით ატარებდა, ან პალტოს ჯიბეში ჰქონდა შენახული, არც ვინმესთვის უჩვენებია, არც გაუნათხოვრებია, მაგრამ ერთ დღეს, რაც თოფუზმა ვერ მოახერხა, დურსუნმა შესძლო.

კოოპერატივის საქმეზე მივიდა დილაადრიან ანდროსთან დურსუნი. ანდრო ის იყო ტანზე იცვამდა. რევოლვერი მაგიდაზე იდო. წუთით პირის დასაბანად გავიდა და ამ დროს დურსუნმა ყველაფერი გააკეთა.

ის იყო, იმ დღესვე აცნობა ეს ამბავი ხოჯას და საქმეს შეუდგნენ, მაგრამ, როგორც ვიცით, არ გაუმართლდათ. ანდრო შემთხვევით წამოღებულმა კომკავშირელის რევოლვერმა იხსნა, და საიდუმლოებასაც ფარდა აეხადა. ბნელი ძალების საქმიანობაც გამომზეურდა.

სახალხოდ გამოტყდა ხოჯა, ილაპარაკა აშკარად, აღიარა დანაშაული.

ახლა ყველამ იცოდა „ქაჯების“ ამბავი და ხალხი მათს საავსებით განადგურებას მოითხოვდა. გლეხები საშინლად აღელვებული იყვნენ, მიიწევდნენ დაპატიმრებულებზე.

— აქვე გავასამართლოთ!

— ჩვენვე ჩავქოლოთ!

— ყელები გამოვლადროთ!

— ცეცხლში ჩავწვათ მაგათი ხორცი!

იძახდნენ... ყოველ მხრივ შეკრეს გზები. თხილამურებით წავიდნენ მთებში, რომ დურსუნი და ზოგიერთი მისი მხლებელიც დაეჭირათ, სამუდამოდ და საბოლოოდ გაენადგურებინათ მათი სახსენებელი. მოესპოთ ისე, რომ ფესვებიც არ დარჩენოდათ ცოცხალი.

დაჭრილები და დახოცილებიც აკრიფეს, დაათვალიერეს და გასინჯეს. მხოლოდ ორი გლეხი აღმოჩნდა მკვდარი, ისიც მეორე სოფლიდან. ხოჯას გადმოეყვანა, მოეტყუებია და თავის გავლენის

ქვეშ მოექცია. დანარჩენები ყაჩაღები იყვნენ ალი ომერ-ოღლის ჯგუფიდან. ვაჟკაცური სახე ჰქონდათ. ზოგიერთ მათგანს საშინელი ნაღველი დარჩენოდა სიკვდილის დროს და ეს ნაღველი მათ შუბლზე იყო აღნიშნული.

— ვინ იცის, იქნებ ესენიც მოტყუილებით ჩათრეული არიან ამ საქმეში,—გაიფიქრა ანდრომ. სათითაოდ დაათვალიერა ყველა. ერთ დაჭრილს წერილები აღმოაჩნდა ჯიბეში. სულ გადაიკითხა ის, მაგრამ საყურადღებო არაფერი იყო. თავის შესაქცევად ეწერა მოცლილ დროს ბანდიტს. უფრო დღიურების სახით. ანდრო ნაწერმა დააინტერესა, თითქო ასეთი ხელით ნაწერი წერილები კიდევ ენახოს სადღაც... ბევრი იფიქრა, მაგრამ არ მოაგონდა. დაჭრილს დაუწყო სინჯვა. ორი ტყვია ჰქონდა მორტყმული, ერთი მკერდს ქვემოთ, მეორე სახეში. სულ გამურული იყო სისხლით. წვერულვაში წითლად ჰქონდა შეღებილი და თვალები მთლიანად გაწებილი შედედებულ სისხლით.

გადაიყვანეს სახლებში დაჭრილები, ჭრილობები მობანეს, მოწმინდეს, მალამო დაადეს და შეუხვიეს. ეს საქმე ქალებმა ითავეს. ნაილე მეთაურობდა მომვლელი ქალების ჯგუფს. ის თითქო გაზრდილიყო ამ თვენახევრის განმავლობაში, დაქალებულიყო, დარბაისლური იერი მიეღო. მისი მხიარული და ბედნიერების სხივებით აღსავსე სახე მთვარესავით ღაღაჟებდა. ის გამარჯვებული გმირი იყო და ბევრი შენატროდა მის ბედს.

ქალები, როგორც დაიმარტოხელებდნენ, ფუტკარივით მოეხვეოდნენ, დაუწყებდნენ ამბების გამოკითხვას. მაგრამ ჯერ ნაილეს კიდევ არ ჰქონდა იმდენი თავისუფალი დრო, რომ დაწვრილებით ეამბნა თავისი თავგადასავალი. მოკლედ კი ყველას ეუბნებოდა იმ სასწაულებრივი ექიმობის შესახებ, რომელიც მან ნახა და რომელმაც განკურნა და სიცოცხლე დაუბრუნა მურადს.

მურადს კი სულ არ ეცალა სალაპარაკოდ, მან თხილამურები გაიკეთა და სახლშიაც არ შეუვლია, ისე გამოუდგა გაქცეულებს დასაჭერად. მას შვიდამდე ახალგაზრდა გაჰყვა კარგად შეიარაღებული.

ყველასი გზა-კვალი გაიგეს, მაგრამ იუსუფ-აღა ისე გაქრა, რომ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცოდა. არც სახლში იყო, არც დაჭრილებსა და მკვდრებში ერია. ცოლებმა სხვადასხვანაირად აჩვენეს. ლუთბიემ მიკიბ-მოკიბა. მგონი აქვეა სოფელში დამალულიო. კარგად არ დაასახელა. ხოშნეთი მძიმე ავადმყოფი იწვა და მას არავინ შეკითხებია, ხოლო გულიზარმა ყველაფერი იფიცა, რომ იუსუფი სამი დღეა სოფელში არ არის, ჭვანაში წავიდა მოყვრისას და არ დაბრუნებულაო.

არავინ იცოდა სად იმალებოდა ის, მაგრამ ეს არც იმდენად აფიქრებდათ.

დღეს თუ ხვალ ისიც ჩავარდებოდა.

VI

გაცხოველებული კამათი იყო საბჭოს კრებაზე. ეს პირველი კრება იყო დურსუნის შემდეგ და საბჭოს წევრები უფრო თავისუფლად გამოდიოდნენ. ახლა ლაპარაკობდნენ ყველაფერს, რაც ამდენხანს ბოლმად სწოლოდათ გულზე და თქმას ვერ ბედავდნენ.

ახალი თავმჯდომარე აირჩიეს და უნდოდათ ძირფესვიანად განეახლებინათ საბჭოს ნუშაობაც. ერთმანეთს უკავშირებდნენ ყველა საჭირბოროტო საკითხებს.

ლაპარაკობდნენ გზის გაყვანის, კოოპერატივის გაძლიერების, სკოლაში მოწაფეების გაგზავნის, სამკითხველოსა და საექიმო პუნქტის გახსნის შესახებ.

ვერავინ იფიქრებდა, რომ ესენი იყვნენ ის უენო და გაუბედავი ადამიანები, რომლებიც ორი-სამი თვის უკან მხოლოდ თავის დაქნევით ადასტურებდნენ თავმჯდომარის, ან სხვა ვინმე პასუხისმგებელი ამხანაგის სიტყვებს, მიუხედავად იმისა, მოსწონდათ თუ არა ის.

ანდრო კმაყოფილი იყო გლეხების ამ აქტიობით. ის უფრო და უფრო ათამამებდა მათ და ხშირად ეხმარებოდა აზრის უფრო კარგად ჩამოყალიბებაში.

მურადი იმშვენებდა თავმჯდომარის მოვალეობას. გამოცდილ კაცივით ხელმძღვანელობდა კრებას და ხანდახან თუ ჩავარდებოდა უხერხულობაში, ვერ მოუყრიდა თავს საერთო აზრს, გაწითლდებოდა და ანდროს გადახედავდა.

ანდრო მიუხვდებოდა და მაშინვე მიეშველებოდა.

— მაშ ასე, ამხანაგებო,—განაგრძო სიტყვა მურადმა,—აიღებს თუ არა თოვლს, მაშინვე ვიწყებთ საგზაო მუშაობას. მიმდინარე წელს უსათუოდ უნდა დავასრულოთ გზის გაყვანა და შემდეგ უფრო გულდადებულად შევუდგებით სხვა სამუშაოებს. რას იტყვით?— გადახედა მან საბჭოს წევრებს.

— თანახმა ვართ,— ერთხმად შესძახეს მათ.

შემდეგ კოოპერატივის შესახებ ილაპარაკეს. ამ საკითხზე კომისია მუშაობდა. ეს კომისია თვითონ კოოპერატივის წევრებმა გამოყვეს კოოპერატივის გაძარცვის გამო და ახლა თავისი მუშაობის შედეგი მოახსენა სხდომას.

ძარცვა შიგნიდან მოეწყოთ. საქონელი, რომელიც კოოპერატივიდან გაეტანათ, დურსუნისას აღმოჩნდა. იგი კოოპერატივს დაუბრუნეს, მაგრამ კომისია მოითხოვდა დამნაშავეთა დასჯას. დასასჯელთა რიცხვში თოფუზა კაცაძეც ერია. მას თავის ზურგით გადაეზიდა ყველაფერი დურსუნისას. ის ამჟამად მწოლარე იყო. ფეხი ჯერ კიდევ არ მორჩენოდა, მაგრამ კომისია საჭიროდ სცნობდა, წამოდგებოდა თუ არა, დაეპატიმრებინათ და სასამართლოსთვის გადაეცათ. დურსუნის სახლკარი და ყოველივე ქონება საბჭოს გადაეცემოდა. ასევე უნდა გადასულიყო საბჭოს ხელში ქონება ხოჯა მამუდის, იუსუფ-აღასი და იმ პირებისა, რომელთაც ბანდიტები შემოიყვანეს და სოფლის აწიოკებას შეეცადნენ.

ძნელი გადასაჭრელი გახდა ეს საკითხი.

ზოგი შიშობდა, ზოგი ერიდებოდა, ზოგს კი მათი ცოლშვილი ეცოდებოდა და თავს იჭერდნენ ასეთი სასტიკი ზომების მიღებისაგან.

ბოლოს მაინც დაადგინეს: მოღალატეებს ჩამორთმეოდა ყოველგვარი ქონება და გადაცემოდა საბჭოს. ამ საკითხის საბოლოოდ დადასტურებას ითხოვდნენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან.

მესამე საკითხზე გადავიდნენ, როცა ნაილე შამოვიდა და ანდრო გაიხმო.

— ის კაცი კვდება... თხოულობს შენს ნახვას,— უთხრა მან ანდროს.

— მართლა?— სთქვა ანდრომ და მურადს ანიშნა, რომ უნდა წასულიყო.

მურადმა თავის დაქნევით მისცა დასტური.

ნელნელა თოვდა. ჩვეულებრივი ბნელი ღამე იყო და ძლივს ჩამოვიდნენ კიბეზე. ნაილე წინ მიდიოდა. ხშირად უცდებოდა ფეხი და მუხლამდე ეფლობოდა თოვლში.

ანდროს უნდოდა მიშველებოდა, ხელი მოეკიდებინა, მაგრამ უხერხულად მიაჩნდა. რომ ვინმეს დაენახნა, სხვანაირად მიიღებდა. ისიც დიდი გარდატეხა იყო, რომ აჭარელი ახალგაზრდა ქალი ასე დაუახლოვდა მას, ასეთ დროს მასთან გავლასაც ბედავს.

იშვიათი მოვლენა იყო ეს. ბევრი უყურებდა ამას უარყოფითად.

ზოგჯერ კიდეც ჩაუკრავდნენ ნაილეს, ხან ხუმრობით, ხან ისე, მაგრამ ნაილე მათ ყურადღებასაც არ აქცევდა. თბილისში ყოფნისას მან უფრო მეტი შეიგნო და ნახა.

ადამიანს ყველგან შეუძლია იყოს გარყვნილი, პატიოსანიც. თუ ქალაქში შეიძლება ქალ-ვაჟი იყოს ურთიერთშორის ამხანაგურ

დამოკიდებულებაში, სოფლად რა დაშავდება. გაპირვების დროს ნაილე ხომ სრულიად უცნობ კაცს გაყვა, დამეხმარება, გზას მასწავლისო. რა ვუყოთ მერმე, თუ ის გაიძეერა და გარყვნილი გამოდგა, სამაგიეროდ გაიცნო ათეული და ასეული ამხანაგები, რომელთაც მართლა შეუძლიათ ამხანაგობა, თანაგრძნობა, დახმარების აღმოჩენა.

ცხოვრება არც ისეთი ყოფილა, როგორიც ერთხანს მას ეგონა. როგორც ჯერ კიდევ ჰგონია ბევრს. როგორ გაუკვირდა ნაილეს, თამარი რომ რაღაც უცნაურ წიგნებს კითხულობდა. რამდენხანს ფიქრობდა იმაზე, რომ როგორმე ეთქვა თამარისათვის. ნუ კითხულობ მასეთ წიგნებს, ანგელოზივით ქალი ხარ, ნუ დაიღუპავ თავსო. ჯერ ვერ გაუბედა, მაგრამ ბოლოს, როცა კარგად დაუახლოვდა, მაინც უთხრა.

მერმე? სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა. ძლივს შეიკავა თამარმა სიცილი: მივიდა, გვერდით მიუჯდა და წიგნი გადაუშალა.

— უიმე, ნენეე,— შესძახა ნაილემ საშინელი სურათების დანახვაზე, მაგრამ. . . ყურები აეწვა შემდეგ. ეს სახელმძღვანელო წიგნები ყოფილა თურმე. სირცხვილი იმისი კითხვა და სწავლა კი არ ყოფილა, არამედ უსწავლელობა. მერმე როდი შეზარებია იმ წიგნებში ჩახედვა. როცა მურადის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა და ნაილე დამშვიდდა, სულ ის წიგნები ეჭირა ხელში. თურმე თუ ასეთი წიგნები არ იკითხე, როდი შეიძლება ექიმი გახდე, ადამიანი განკურნო. თამარიც ექიმობას სწავლობს და აბა როგორ უნდა მოიქცეს.

რამდენიმე ისეთი სურათებიანი წიგნი ნაილემც წამოიღო. ჩუმად კითხულობს. ძალიან დასჭირდა ახლა, როცა დაჭრილების მოვლა მიანდვეს. გამოცდილ ფერშალივით უხვევდა ჭრილობებს ავადმყოფთ. ესეც იქ ისწავლა. რამდენჯერმე ახლდა თამარს საავადმყოფოში, სადაც უამრავი ავადმყოფი იყო.

ვინ იცოდა იქ მორიდება და სირცხვილი. სრულიად შიშველი ადამიანები შედიოდნენ ექიმთან, ყოველ ნაკვეთს სხეულისას უჩვენებდნენ აშკარაღ.

ეს როდი ყოფილა დასაძრახი და სირცხვილი.

ადამიანი ხომ შიშველი იბადება! მას ხომ დედის ძუძუ კვებავს. ის ხომ სჭამს, სვამს, მოძრაობს, აქვს, ყოველგვარი მოთხოვნილება, რომელთა შორის ზოგიერთის დასახელებას, დაწერას ან თქმას ჩვენ ვერიდებით, გავურბივართ. სირცხვილად მიგვაჩნია! ხშირად ამ სირცხვილის მიზეზით დიდ, საშინელ ტკივილებსაც ვითმენთ, უცნაურ სენის გავრცელებას ვუწყობთ ხელს.

რატომ? რისთვის?

რატომ არ უნდა იცოდეს ყოველმა ქალმა დედის მოვალეობა,

მშობიარობის საქმე, განაყოფიერების საიდუმლოებანი, ცოლქმრული ურთიერთობის შედეგები. ბავშვის მოვლა და პატრონობა.

ასეთი სიტყვით მიმართა თამარმა ნაილეს და აბა რა უნდა ეთქვა გამოუცდელ ქალიშვილს.

— ელბეთ მასეა საჭირო,— დაეთანხმა ნაილე და გაბედულად ჩახედა წიგნში.

— ეჰ, რა ბედნიერი ხარ, თამარ,— დაეხარბა ამხანაგის ბედი,— ნეტავი შენ!

თამარი სხვანაირი ქალია. თანაგრძნობით შეხედა ნაილეს და იცით რა უთხრა?...

ფეხის ფრჩხილებამდე გაწითლდა ნაილე. როგორ წარმოიდგენდა, რომ თამარი ეტყოდა ამას. სად თამარი და სად ნაილე. სადაური შედარებაა, ნაილე როგორ გაბედავს იფიქროს ისეთ რამეზე. ამაზე ფიქრი რომელიმე სახელმწიფოს დედოფლად გახდომაზე ფიქრს ემსგავსებოდა.

თამარმა კი თვითონ უთხრა. ვინ იცის იქნებ ეხუმრა, მაგრამ-მეორედაც რომ განუმეორა! ქეთოსათვისაც ეთქვა.

არა. ყოვლად შეუძლებელია. სიბრალულმა ათქმევინა უთუოდ. აბა ანდროსთან როგორ გაბედავს თქვას ისეთი სიტყვები. თამამი ქალია თამარი, მაგრამ ძმას მაინც ვერ გაუბედავს ასეთი სიტყვა უთხრას.

ყველაფერი ახლა მოაგონდა ნაილეს. ფიქრებში გატაცებულს ფეხი დაუცდა და თოვლში წაიქცა.

— ხომ არაფერი იტკინე ნაილე?— ხელი მოავლო ანდრომ.

— არა,— უპასუხა ნაილემ. აყვა ვაჟის ხელს და ტანში ჯერ განუცდელი სიამოვნება იგრძნო.

რა თბილი და მიმზიდველი იყო ანდროს ხელები.

მაინც ჩქარა გამოსტაცა თავისი ხელი და გულზე აიკრა, თითქო შეეშინდა არ მომტაცოსო.

ახლა იგრძნო ანდროსადმი რაღაც სულ სხვანაირი სიუცხოვე.

მართლაც რომ თამარის სიტყვების ასრულება შეიძლებოდეს. მართლა რომ ანდრო. . . აუთრთოლდა გული და ძარღვებში ცხელი სისხლი აჩქეფდა.

არა, არა, არასოდეს არ შეიძლება ეს! ანდრო არ არის ჩვეულებრივი ადამიანი, მას ქალი და კაცი ერთნაირად მიაჩნია. არ შეიძლება რომ. . . ან ვინ გაუბედავს? ხომ უბრალო ვინმე არაა. არც კი მიკადრებს. ის კი არა, ბეგის ქალიშვილიც რომ იყოს, იმასაც არ შეირთავს. ნასწავლი ქალი უნდა ნასწავლ კაცს. . თამარმა კი სთქვა, სწავლას რა უნდა ამდენიო, ხუთ წელიწადში საშუალო ცოდნას მიიღებო, მაგრამ... მართლაც რა უნდა ამდენი, დრო და საშუალება თუ დაგირჩა კაცს. . . მერე? ნაილეს დროც

აქვს და საშუალებაც. რომ უთხრას ანდროს, ხვალვე გაგზავნის თბილისში. იქ კი თამარი, ქეთო და ამხანაგები დაეხმარებიან. მართლა, იქ არ არის ცეკა?!. ყველაფერს მოუწყობენ. ახლაც ეხვეწეს დარჩიო, მაგრამ მურადი ვერ გამოუშვა მარტო. . . რაღაც იდუმალი ძალაც იზიდავდა ანდროსაკენ... არა, სიყვარული სრულიად არ იყო ის. . . ისე, შეჩვევის მიზეზია. . . შეეჩვია ახალგაზრდა კაცს და ენატრება მისი ნახვა, თორემ... შეყვარებაზე ხომ არც კი გაუფიქრნია.. . როდის ჰქონია უფლება აეკრძალა ქალს თავისუფალი სიყვარულისა? ვისაც მიათხოვებდნენ, ის იყო მისი შეყვარებულიცა და ყველაფერი.

თამარმა, თამარმა ჩაუწვეთა ყურში და შეიძლება განგებ, ან იხუმრა იქნებ. მაგრამ ნაილეს გულში თითქო ფესვები გაიდგა და თანდათან ძლიერდება. . . ჩემი რძალი უნდა გახდეო. ახლაც ესმის თამარის ხმა.

ვითომ რა იქნება ასეთი? მუსლიმანებს ხომ მოყავთ სხვა სარწმუნოების, სხვა ტომის ქალები?.. რა დროს სარწმუნოებაა. აქ სარწმუნოება არაფერ შუაშია. ნაილე ასეთ რამეს ანგარიშს არ გაუწევს. ნუ გეშინია, მშობლები არ ყაედეს, რომ დაუშალონ. მურადი კი სრულიად არ წავა დის სურვილის წინააღმდეგ. . . სწავლა ყოველთვის შეიძლება, ოცდასამ წლამდე რომ ისწავლოს, მაინც საკმაო ცოდნას მიიღებს და შემდეგ...

უჰ, რას ამბობს. როგორ ტყუილად ფიქრობს განუხორციელებელ ამბავზე. ანდროს რომ ცოლის შერთვა უნდოდეს... რამდენი ლამაზი ქალია თბილისში... თამარის ამხანაგები რომაა. რა კოხტად დადიან, რა სიტყვა-პასუხი აქვთ, როგორი საქციელი. რამდენ ენაზე ლაპარაკობენ, როგორი ჩაცმულ-დახურული არიან. დაკრიალებული ფრჩხილები და სანთელივით ჩამოქნილი თითები... თუმცა თითები არც ნაილეს აქვს ცუდი.

ბევრს მოეწონა ქალაქში მისი გრძელი თითები და შავი თვალ-წარბი. რამდენჯერ შეაქეს, მაგრამ... სად ისინი და სად ნაილე. მათ ყველაფერი კარგი აქვთ. კარგი. რომ არ იყვნენ, ისე არიან მოვლილი, რომ მაინც ლამაზი და მიმზიდველი მოსჩანან.

კიდევ ჩაეფლო წელამდე თოვლში. ახლა თვითონ გაუწოდა ხელი ანდროს და როცა ვაჟის ხელის მოჭერა იგრძნო, თითქო არაქათი გამოეცალა და მუხლები მოეკვეთა. ძალას აყვა, ვაჟის ხელის ძალას, რომელმაც ის ასწია ზევით.

— ხშირად ეცემი ნაილე,— ანდროს ხმაში გაბზარული ზარის ხმა იყო. ნაილეს კი არც ასეთი ხმა დარჩენოდა საპასუხოდ. მარტო გული ძგერდა უჩვეულოდ და ის ძგერა ისე ძლიერი იყო, რომ ანდროსაც ესმოდა.

მაინც საჭირო იყო გალაპარაკება.

— ფეხსაცმელები სრიალებენ. ნაყინავი თოვლია ქვეშ და,— კიდევ წაიფორხილა, მაგრამ ანდრომ სწრაფად წააცლო მკლავში ხელი და შეაკავა.

იღლიაში ვაჟის ხელის გათამაშებამ უცნაური ძალით დაირბინა მთელ ტანში. მუხლები მოჰკვეთა და თავზე ცხელი წყალი გადაავლო .. ძალადაკარგული ჩამოეკიდა ვაჟის მკლავს და სიბნელეში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ისე, რომ ანდროს ხელი იღლიაში ჰქონდა. ქალაქში ნაილეს ბევრი ქალ-ვაჟი დაუნახავს ასე მიმავალი. ერთხელ ახალგაცნობილმა ახალგაზრდამაც შეაშველა ხელი ნაილეს, როცა ისინი თეატრში კიბეზე ადიოდნენ, მაგრამ ნაილე შველივით გაუხტა განზე. ხელიხელ ის მხოლოდ თამარს გაყვა რამდენჯერმე და მაშინ ისწავლა, რომ ასეთი სიარულის დროს საჭიროა ერთნაირად ადგამდნენ ფეხებს ორივენი. ქალაქში არავის გაუკვირდება, მაგრამ აქ რომ ვინმემ ხელიხელგაყრილი დაინახოს, ვინ იცის რა მოხდება... თუმცა ახლა ბნელა და. მერმე რა ტკბილია ასე სიარული. ნეტავ ასე ატარა რამდენიმე წუთს კიდევ... წუთს კი არა, წლები ატარა ასე.

ანდროს ტანშიაც უცნაური ცეცხლი აგუზგუზდა, მაგრამ მას მაგარი სადავე უჭირავს ხელში. ყოველთვის შეუძლია გრძნობების ალაგმვა და ახლაც ისე მოიქცევა... გაიყვანს ნაილეს მშვიდობიანად, ხელის მოკიდება ხომ დასაძრახი არაა. ანდრო ხშირად მოქცეულა ასეთ შემთხვევაში ასე, მაგრამ აქ რაღაც სულ სხვა რამეა. გულიც უფრო ძლიერად სცემს და ხელებიც თრთის ზედმეტად, თითქო სიცივემ აიტანაო. თუმცა სხეული ზედმეტ სითბოს გრძნობს.

ალაგეს მიადგნენ. ეზოში უნდა ჩასულიყვნენ და ანდრომ ხელი გაუშვა ნაილეს. შეუხტა ალაგეზე, გადავიდა და ნაილეს წამოეშველა. ნაილემ ცალი ფეხი შესდგა ალაგეზე, შემდეგ მეორე უნდა აეტანა, რომ უეცრად ორივე დაუსხლტა და მეორე მხრიდან მოშველებულ ანდროს ხელებში გაეხვია.

წამით ქალვაჟის გულმკერდი ერთმანეთს შეხვდნენ და ეს წამი მთელი საუკუნის სიცოცხლეს შეედრებოდა. ორივემ სცადა ამ ძვირფასი წამის გახანგრძლივება, მაგრამ ვერ შესძლეს, უფრო კი ვერ გაბედეს, ხოლო როდესაც სახლის კიბეზე ადიოდნენ, ანდრომ ისევ ხელმოკიდებული აიყვანა ნაილე და როცა ერთმანეთთან ისე ახლოს მოემწყვდნენ, ვეღარ გაუძლეს გრძნობების დაწოლას. უფრო და უფრო დაუახლოვეს სახე და... ტუჩები თავისთავად შეეწებნენ ერთმანეთს. რომელმა გადადგა პირველი ნაბიჯი, ვერ გაეგოთ, ანდრომ თუ ნაილემ... რომ გეკითხნათ, რომელი გამოდგა ასეთი გამბედავი, ქალი თუ ვაჟი,—ვერ გიპასუხებდნენ. ორივე ერთად აფეთქდა და...

ღამე იყო, სიბნელე, და მათი კოცნაც დაუნახავი დარჩა.

VII

მკრთალი შუქი ანათებდა პატარა ოთახს. კუთხეში მიდგმულ ტახტზე ადამიანის გაცრეცილი სახე მოსჩანდა. იქეე სკამზე მოხუცი მეჭამედი იჯდა და ღრმა ფიქრებში წასულიყო.

ანდროსა და ნაილეს შესვლაზე მოხუცი წამოიწია ასადგომად, გაცრეცილი სახე კი უფრო გაიცრიცა და შეხვეული თავი შეინძრა ბალიშზე.

ანდრო მივიდა მწოლარესთან. დააცქერდა და ხელი დაადო შუბლზე.—ვკვდები,—ძლივს წარმოსთქვა ავადმყოფმა,—ვკვდები და ამ დროს შენი ნახვა მომინდა,—ააცმაცურა ტუჩები და ცალი თვალი უფროდაუფრო გააღო.

ანდრომ არ იცოდა რა ეთქვა ამ კაცისთვის. ენუგეშებინა თუ ხელი ჩაექნია და ეთქვა, ძაღლი ძაღლურებ უნდა მოკვდესო. ბანდიტი, მძარცველი, კაცის მკვლელი, რა ღირსია შებრალებისო. მაგრამ ამ დროს გული რაღაც სიბრალულს მაინც გრძნობს. მიტომ იყო, რომ იმ დღეს, ვინც დაიჭრა და ვისი გაგზავნაც შეიძლებოდა, ანდრომ ყველა გაგზავნა მაზრის საავადმყოფოში. უაქიმებენ, მოუვლიან ისე, როგორც ჩვეულებრივ ავადმყოფს, მოარჩენენ და შემდეგ სასამართლომ დასდოს მსჯავრიო. ამასაც გააგზავნიდა, მაგრამ აღარ შეიძლებოდა, ძალიან მძიმედ იყო დაჭრილი და არჩიეს, გზაში სიკვდილს, ბარემ აქ მოკვდესო..

მაინც უვლიდნენ და პატრონობდნენ. ასმევდნენ და აჭმევდნენ, თუმცა ყველაფერი უქმი და ურგები იყო მისთვის.

— დიაღ, ვკვდები. ანდრო ბერტაძე, და ბედნიერი ვარ იმით, რომ შენ გხედავ ამ უკანასკნელ წუთებში. დიაღ შენ. პირველად ცხოვრება რომ დავიწყე, შემხვდი, როგორც მოპირდაპირეს—ენა მოისვა გამხმარ ტუჩებზე და ისევ განაგრძო:—ბედნიერი ვიყავი მაშინ, კმაყოფილი...და მეგონა, რომ ქვეყანა ჩემი იყო. შენ და შენს ბედში მყოფ ადამიანს ადამიანად არ ვთვლიდი. გახსოვს, ერთხელ რომ გაგარტყი? რა გიკვირს? ნუთუ ამდენხანს არ გიცვნივარ. დიაღ, დიაღ, გივი ნიახურიძე გახლავარ! მეგონა მიცანი. მე კი პირველი შეხედვისთანავე გიცანი. ვიცოდი აქ იყავი. მართალი გითხრა, ძალიან მინდოდა მენახე. ასე სისხლგამოლეულს, ასე დაცემულს კი არა, ჯანღონით სავსეს. რატომ მინდოდა არ ვიცი. მეჯავრებოდი თუ შენი ბედი შემშურდა, ვერ გეტყვი. საზღვარგარეთ ერთი წელი ძლივს გავძელი. ვერ შევეგუე უცხო ქვეყანას, უცხო ზნე-ჩვეულებას. იქაურობა მომეჩვენა დიდ საროსკიპოდ, სადაც ადამიანს მხოლოდ ქონებით აფასებენ. წინათ მეც ისეთი აზრისა ვიყავი. მეც ქონებით ვაფასებდი ადამიანს, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ ქონება მქონდა. ქონება... რა სასაცილოა... იმდენი ქონება კი თურმე არაფერი ყოფილა... მე ქვეყნები ვნახე, მე ხალხი ვნახე, მე ცხოვრება ვნახე და... რომ ზედმეტი

თავმოყვარეობა არ გადამღობებოდა წინ, გადავწყვიტე მოვსულიყავი, მეღიარებინა ჩემი დანაშაული და მიმეღო სასჯელი. რა სასტიკიც არ უნდა ყოფილიყო ის სასჯელი, ჩემთვის მაინც ყველაფერს აჯობებდა... ერთი წყალი მასვი...

ანდრომ მიაწოდა წყალი.

— დიაღ, იმას ვამბობდი. ბედნიერი ვიქნებოდი რაც უნდა სასჯელი მიმეღო, მაგრამ ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. ყაჩაღებს ავყევი და ახლა შენც ხედავ, სანამდე მივაღწიე... შენ გამარჯვებული გამოხვედი. წინადაც ვგრძნობდი, რომ გაიმარჯვებდი. ეს აუცილებელი იყო. ისე უგუნური კი არ ვყოფილვარ, რომ არ მივმხდარიყავი. ვიცოდი, რომ გაზაფხულის მოსვლას ვერაფერი შეაჩერებდა, მაგრამ მეგონა, რომ ჩემი სიცოცხლე მაინც გაივლიდა ისე, როგორაც ის დაიწყო. მოვტყუილდი.—კიდევ მოითხოვა წყალი, მოსვა, ოდნავ უფრო ასწია თავი და ამოიოხრა—დარწმუნებული ვარ მაპატიებდი ყველაფერს და მაცოცხლებდი, რომ ჩემი მოსამართლე ყოფილიყავი, მაგრამ ახლა შენმა ნასროლმა ტყვიამ შენს სამართალსაც დაასწრო და შენს გრძნობებსაც... იმიტომ გიხმე, რომ ეს სიტყვები მეთქვა შენთვის. მეგონა მიცანი და რომ არ შეიმჩნიე, გამიკვირდა...

დადუმდა... რამდენჯერმე მიმოავლო თვალი იქაურობას და ნელნელა გადაჰკიდა თავი.

— კვდება,—ფრთხილად სთქვა მუჰამედმა და ანდროს შეხედა.

ანდრო უძრავად იდგა. მის თვალწინ აშლილიყვნენ მოგონებები ფერადფერადი და ნაირნაირი. ბრძოლები, დამარცხებები და ბრწყინვალე გამარჯვებები, რომელთა წყალობით ქვეყანა თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას ეწევა. ის კარგა ხანს იდგა უძრავად მტრის გაციებულ გვამთან და არ იცოდა ცრემლი მართებდა ამ დროს თუ მხიარულება და ღიმილი.

— ამხანაგო ანდრო, ერთხელ შენ გვიამბე, რომ როცა მუშების ცოლშვილს ხოცავდნენ, ხალხის მტრები ხარხარებდნენო.—დაბალი ხმით უთხრა ნაილემ გამოურკვეველ მდგომარეობაში მყოფ ანდროს.

— მართალია,—მიუგო ანდრომ და გაუკვირდა, რაზე დასჭირდა ამ სიტყვების მოგონებაო.

— მტრის დამარცხება კი ჩვენ უნდა ვიზეიმოთ,—უთხრა უფრო თბილად, ახლოს მივიდა და მხარზე დაადო ხელი.

— დიაღ, გამარჯვება უნდა ვიზეიმოთ,—მტკიცედ მიუგო ანდრომ და გადახედა მოხუც მუჰამედს, რომელიც მიცვალებულს თავს უსწორებდა.

VIII

შეიცვალა ნაილესა და ანდროს დამოკიდებულება იმ საღამოს შემდეგ. თამამი და მოურიდებელი ნაილე თითქო დამორცხვდა, უფრო ერიდება ანდროს თვალების გამოხედვას, ლაპარაკშიაც მოკრძალებულია, მაგრამ გულში კი უფრო ახლოა ამ ადამიანთან და უფრო შინაური.

იმ ღამის შემდეგ ისინი ისე მარტოდ არ შეხვედრნიან ერთმანეთს, ისეთ მდგომარეობაში არ მოხვედრილან და ამიტომ თითქოს აღარც კი სჯეროდათ, რომ ის ფაქტი ნამდვილად მოხდა მათშორის. ერთმანეთის დანახვისას მოაგონდებოდათ და ისე გაუწითლდებოდათ სახე, რომ გამოცდილი თვალები მათს თვალებში დამნაშავეს გამოიცნობდა.

მურადმაც შენიშნა რაღაც სხვაგვარი დამოკიდებულება. მართალია, ნაილე არაჩვეულებრივ მორცხვობას იჩენდა და ერიდებოდა ანდროს, მაგრამ ხშირად ჩუმად და ქურდულად შეაპარებდა თვალებს ახალგაზრდა კაცს და თუ იქიდან მოპირდაპირე გამოხედვა წაშოეპარებოდა, უცებ მოწყვეტდა ცქერას და სხვა საგანზე გადაიტანდა.

ანდროც გრძობდა ამ ქალისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას. მოსწონდა. იმ საღამოს შემდეგ უფრო შეიქრა მის გულში ნაილეს სიყვარული, მაგრამ ამის გამომჟღავნება არ უნდოდა. უხერხულიც იყო... პირველ ხანებში კიდევაც პორიკანობდნენ ზოგიერთები, დელი მურადისას იმიტომ დაბინავდა, რომ ნაილე უნდა მოატყუოსო, ნამუსი ახადოსო, მაგრამ ანდროს საქციელმა და თავდაჭერილობამ ენა ჩაუგდო მათ. ახლა მას ბევრი ახალგაზრდა ქალთაგანი არ ემალებოდა. არ მიაჩნდათ ცოდვად არც სირცხვილად. დალაპარაკებოდნენ მას. არა მარტო მას, არამედ, საერთოდ, მამაკაცებს. ბევრი ქალი დადიოდა კრებაზე, გამოდიოდნენ სიტყვებით, ასრულებდნენ დავალებებს, უმეგობრდებოდნენ, უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ერთ დღეს წარმოდგენაც კი დადგეს სოფლის სკოლაში.

ზამთარი ნელნელა მიდიოდა. სოფელი ცოცხლდებოდა და მზეც მატულობდა ძალას, მაგრამ ჯერ კიდევ ყინვები იყო, მეტადრე საღამოობით, როცა დასავლეთის ქარი ამოიქროლებდა და ყინვების სუსხს ამოიტანდა.

გრძელმა ზამთარმა გააპირვა საქმე. მეტადრე პირუტყვის კვების საკითხი იყო ცუდად. გლეხები დილაადრიან წავიდოდნენ ტყეში, დაჭრიდნენ წყავის, ბაძგის და შკერის ტოტებს და მოჰქონდათ. დამ-

შეული პირუტყვი ღეროებიანად სჭამდა ამ მისთვის არასასიამოვნო საჭმელს, რომელსაც სხვა დროს კბილსაც არ შეავლებდა.

უგზობა უფრო უშლიდა ხელს სოფლებს და აძნელებდა მიმოსვლას. ახლა უკვე შეჩვეოდნენ გაზეთების მიღებას, ახალახალი ამბების გაგებას და ფოსტის მოუსვლელობა აწუხებდათ. მეტადრე ახალგაზრდები სწუხდნენ. ხშირად მიდიოდნენ ფეხით მაზრაში და მოჰქონდათ ჟურნალ-გაზეთები.

უკვე აღარ იყო საჭირო აგიტაცია გზის გასაყვანად. ყველა მზად იყო, ადნებოდა თუ არა თოვლი, მაშინვე შედგომოდნენ მუშაობას. იმ ამბებმა და გამოცდილებებმა, ხალხს თვალი აუხილა, დაანახვა მტერ-მოყვარე და სწორ გზაზე დააყენა. რამდენიმე ახალი წევრი მიემატა კომკავშირს. კომპარტიის რიგებში შესასვლელადაც შეიტანა ზოგიერთმა ღარიბმა გლეხმა განცხადება და სკოლაშიაც აღარ უშლიდნენ ბავშვებს სიარულს.

სოფელი თითქო ახლა გაშენდა აქ და ნამდვილი ცხოვრება დაიწყო.

ანდრო კმაყოფილი იყო. ის ხედავდა შესამჩნევ გარდატეხას. ათიოდე ახალგაზრდა ყავდა გაგზავნილი მოსამზადებლად კურსებზე, თუ სასწავლებელში, ზოგი ხულოში, ზოგი ბათუმში და ახალი კადრების მოლოდინში უფრო გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა.

ყოველდღე მოდიოდნენ მთხოვნელები, რომლებსაც შვილის გაგზავნა უნდოდათ ქალაქში, რომელიმე სასწავლებელში, ან კურსებზე. ზოგი თვითონ თხოულობდა სწავლას. მათ შორის ნაილეც იყო, მაგრამ მას ჯერ კიდევ ვერ გაეგებინა ანდროსათვის ამის თქმა. იმ შემთხვევის შემდეგ მაინც სულ დაება ენა. ანდროს თვითონ უნდოდა ეთქვა გაგაგზავნიო, მაგრამ ჯერ დროც არ იყო. ქალების გაგზავნას ასე შორს კიდევ ერიდებოდნენ. ამას გარდა, ნაილე აქაც საჭირო იყო, როგორც საუკეთესო ორგანიზატორი და ქალებში საკმაოდ კარგი გავლენის მქონე.

ერთ საღამოს კრებიდან ერთად დაბრუნდნენ ანდრო, მურადი და ნაილე. უკვე მოახლოვებული იყო გაზაფხული. აქა-იქ ლილოკრელი მოსჩანდა მთებზე. სოფელში კი თითქმის სულ აღარ იყო თოვლი. ფერდებჩაცვენილი პირუტყვი ბანცალით დადიოდა შუკაში და ნედლ ფიჩხს ავლებდა პირს.

ვახშამი ჩვეულებრივ წინასწარ ჰქონდა ნაილეს გაბზადებული და ერთად ივახშმეს.

ნავახშმევს ანდრო თავის ოთახში გავიდა და სამუშაოს მიუჯდა ჩვეულებრივ. მურადი ისევ საბჭოში წავიდა. ის თითქმის აღამებდა და ათენებდა იქ. რაღაც გეგმებს ადგენდა, სწერდა, გლეხებს ესაუბრებოდა, კითხულობდა და, ერთი სიტყვით, გვიან ღამემდე არ მოდიო-

და დასაძინებლად. მალე, ძალიან მალე მოიხვეჭა სახელი და შეიქმნა ავტორიტეტი. ახალგაზრდა თავმჯდომარე მთელი სოფლისათვის საყვარელი ხელმძღვანელი გახდა.

მარტოდ დარჩენილი ნაილე, ათასნაირმა ფიქრებმა გაიტაცა. მისი ცხოვრება საკმაოდ შეიცვალა სულ მოკლე ხნის განმავლობაში და ეს ცვლილებები მისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

ქალაქში ყოფნამ, იქაური ხალხისა და ცხოვრების გაცნობამ მასში კიდევ სულ სხვა და ახალი სურვილები გააღვიძა.

წინათ, ქვეყანა იქ თავდებოდა ეგონა, სადაც ცა იყო მიმაგრებული მთაზე და იმ მთის გადმოღმა აჭარის წყალი მოჩხრიალებდა.

ახლა კი...

რამოდენა ეჩვენა ბათუმი. რამდენი დიდი სახლი იყო, რამდენი მანქანა და გემები, რამოდენა ზღვა... რა დიდი ყოფილა ქვეყანა... გაუკვირდა რომ უთხრეს, თბილისში არიან დიდი სპეციალისტები, დიდი ქალაქია თბილისიო.

მართლაც რა ყოფილა. მგონია ერთი თვე ვერ დაივლის კაცი. რამდენი ხალხია და რამდენი სახლი.

მოსკოვი უფრო დიდიაო... ნეტავ თუ მართლა. თბილისზე დიდი?!. როგორ აკვლევს ადამიანი გზას?

ყველგან ასეთი ქალაქები, ასეთი ცხოვრება და აქ კი, მთის ძირში მიქოხვილი სოფელი, გზა არა აქვს და კვალი. შუქი და ნათელი...იქ ღამეც ღღესავით იყო განათებული.

ნაილეს თითქო გული შეუღონა საკუთარ სოფელში სამუდამოდ დარჩენაზე გაფიქრებამ.

ქალაქი სჯობია. იქ, სადაც მუდამ სიცოცხლე და მოძრაობაა, სადაც არ არსებობს სიბნელე და ღამე, არასოდეს არაა მყუდროება და სევდის მომგვრელი ნისლი.

ნეტავ რამ აიძულა ანდრო ისეთი ქვეყნიდან წამოსულიყო? აქ გაზეთი ენატრება წასაკითხად, იქ კი ყოველ საღამოთი თეატრებში შეუძლია იაროს, ტრამვაითა და ავტომობილებით ისეირნოს, სუფთად ჩაიცვას და დაიხუროს.

პარტიამ მიბრძანაო... ჰო, რახან პარტია უბრძანებს, რა გაეწყობა... მაგრამ ძნელი კია ისეთი ადგილის მოცილება.

თანდათან შედის ნაილე ფიქრებში და თავისთავს ეკამათება.

ანდრო მართალია... მას პარტიამ უბრძანა. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ნასწავლი კაცი სოფელსაც ხომ სჭირდება. აი, რამდენი საქმე გაკეთდა მას შემდეგ სოფელში, როგორ გამოიცვალა ყველაფერი... თუ ასე წავიდა საქმე, სოფელშიც არ იქნება ცუდი საცხოვ-

რებელი... გზას რომ გავაკეთებთ, მანქანები მოვლენ და იმით ვიეილით ბათუმამდეო, ანდრო ამბობს. საშუალო სასწავლებელი აქვე გვექნებაო. კინო-თეატრებს მოვაწყობთო, კლუბსაც ავაშენებთო.

მართლა თუ ეს ყველაფერი გაკეთდა...

„თუ“ რად უნდა ამას. ხომ კეთდება ყველაფერი.

ნაილეს კი მაინც რაღაც სხვა აწუხებს. ნუთუ იმით უნდა დამთავრდეს ყველაფერი. მხოლოდ ერთი... მოაგონდა ის ღამე... თოვლიანი ღამე და კიბეზე ასვლა.

ნეტავ რას ფიქრობს ახლა ანდრო? ნაილეს ყურები აეწვა. როგორ მოხდა, რომ ორივენი ერთმანეთს ისე მოულოდნელად, ყოველგვარი წინასწარი მოფიქრების გარეშე...

არაფერი არ ახსოვს ნაილეს, როგორ მოხდა. მხოლოდ ის წუთი ჩარჩენილა მის გულში ამოუშლელად. სხვა არაფერი იცის.

— ნაილე გძინავს?—მოესმა კარებიდან ამ დროს.

— არა... ათრთოლებული ხმით გაეხმაურა ის, მივიდა და კარები გააღო.

— ბოდიში, ნავთი გამოლეულა ლამპაში და თუ დამავალებთ... სამუშაო მაქვს თორემ არ შეგაწუხებდით,—და კარებიდან მიაწოდა ლამპა ანდრომ.

— ჩემი სიკვდილი. დამვიწყებია,—სწრაფად გამოართვა ნაილემ ლამპა, მიბრუნდა და ნავთის ჩასხმას შეუდგა.

განგებ აგვიანებდა. უნდოდა ანდროსთან რაიმე საგანზე საუბარი გაება, მაგრამ როგორღაც თავისთავს ამჩნევდა, რომ ლაპარაკის დაწყების შეძლება აღარ ჰქონდა, ისე ძლიერად უცემდა გული.

ანდრო კარებთან იცდიდა. თამბაქოს აბოლებდა და თან ნაილეს მიჩერებოდა.

— მე შემოგიტანთ ოთახში, ხელებს დაგისვრის,—და უნდოდა ნაილეს გაეტანა, მაგრამ ანდრომ მაინც გამოართვა და მადლობა გადაუხადა.

— მადლობა რა საჭიროა,—ღიმილით შეხედა ნაილემ და თვალებიდან თითქო ნაღვერდლები გადმოუცვივდა.

ანდრომ უსიტყვოდ გაუღიმა, მიბრუნდა, თავის ოთახის კარებთან მივიდა და ნაილეს მოუხედა.

— თამარს წერილს ვუგზავნი. რას შეუთვლი?

— თამარს? მოკითხვა. ძალიან დიდი მოკითხვა... მაგრამ მე თვითონ მივწერ. ამაღამვე დავწერ,—ღია კარებში გაჩერდა ნაილე.

— შენ თუ მისწერ, უკეთესი იქნება. იცი რა, მოდი შენ მისწერე ყველაფერი რაც მოხდა. არ შეაშინო კი...

— მივსწერ...საწერკალამი უნდა მათხოვო,—საშინლად აუძგერდა გული და ტანში ცრუანტელმა დაუარა.

— ინებეთ,—უთხრა ანდრომ და ოთახში შეეხდა.

ნაილე ცოტა ხანს იდგა კარებში. თითქო ვერ ბედავდა ფეხის გადადგმას. შემდეგ დასძლია და ანდროს ოთახის კარებთან მივიდა.

— მობრძანდით,—უთხრა ანდრომ და თვითონვე შეატყო თავს, რომ რაღაც უცნაური ემართებოდა.

ნაილე ფრთხილად შეეიდა. მაგიდასთან მივიდა, უნდოდა საწერკალამი აეღო, მაგრამ ხელები გაუჩერდა.

ანდრომ თვალები აარიდა ახალგაზრდა ქალს. წიგნი აიღო და მეორე ადგილას გადადვა. თითქო ამით უხერხულობიდან გამოვიდა. არასოდეს არ ჩავარდნილა ის ასეთ მდგომარეობაში. ნაილე ხშირად შესულა მასთან, სადილი ან საუზმე შეუტანია. ის ლამე, მურადი რომ ცუდად გახდა, სულ ერთად გაატარეს, ერთად იჯდნენ, ერთად გაათენეს, მაგრამ ერთმანეთისადმი ასეთი მორიდება და შიში არ ჰქონიათ, ახლა კი...

— კარგი წერა რომ არ ვიცი,—თავი დახარა და ისე ჩაილაპარაკა ნაილემ,—თამარი ნასწავლი ქალია და... დამცინებს.

— მერე რა. შენს ნაწერს მშვენივრად წაიკითხავს,—ახლა უფრო გათამამდა ანდრო.

— კი, მაგრამ... რა კარგია, რომ მეც ნასწავლი ვიყო.—სიწითლე შეეპარა სახეზე.

— ძალიან გინდა სწავლა?

— ნეტავ შეიძლებოდეს... ნასწავლი რომ ვიყო..—და მორცხვად გახედა ანდროს, რომელიც უმიზნოდ ატრიალებდა ხელში რაღაც წიგნს.

— ვითომ რა იქნებოდა?

— რა იქნებოდა?...—ცოტა სიჩუმის შემდეგ ჩაილაპარაკა ნაილემ,—კარგია, ქალაქში ვიცხოვრებდი, ქვეყანას ვნახავდი. ცხოვრებას გავიცნობდი. სულ სხვაა ქალაქის ცხოვრება...

— ასე გგონია?

— ასეა. აბა მე რა ვარ. ამ ტყეში დავიბადე და აქ უნდა მოვკვდე... შენს ადგილას რომ ვიყო, აქ არ გავჩერდებოდი... ძნელია ასეთ ადგილას ცხოვრება...

— მართალია, მაგრამ ჩვენ აქაც გავხდით ცხოვრებას საამურს. ისე მოვაწყობთ ყველაფერს, როგორც ქალაქებშია. ყველაფერი გვექნება. აი ნახე, მომავალ წელს როგორი გზა დაგვირჩეს, როგორი სკოლა ავაგოთ, კლუბი გავხსნათ, კინო-წარმოდგენები გავუშვათ. მაშინ ეს სოფელი ბევრად ემჯობინება ქალაქს. ასეთი მშვენიერი ბუნება სად არის ქალაქში.

— მოგწონს აქაურობა?

— რატომაც არა. როცა ყველაფერს მოვაგვარებთ, აქ ცხოვრება ნეტარება იქნება.

ნაილემ ღიმილით შეხედა ანდროს.

— დარჩები ჩვენში საცხოვრებლად?—კითხა მან და უფრო წამოუწითლდა სახე.

— თუ საჭირო ვიქნები...

— შენისთანა კაცი მუდამ საჭიროა.

ანდრომ ჩაიცინა.

— მალე ჩემზე უკეთესი ძალები ეყოლება ამ კუთხეს. როგორ გგონია, მურადი ცუდად ერკვევა საქმეში? ცოტა მომზადება კიდევ და საუკეთესო ხელმძღვანელი იქნება.

— შენ ხომ მაინც დარჩები? საჭირო ხარ. შენ რომ არ ყოფილიყავი, ისე კი არ გაკეთდებოდა საქმე.—თავდახრილი ლაპარაკობდა ნაილე.

ანდრომ ხელი ჩაიქნია.

— ეს არაფერია. ჩვენს პარტიას ასჯერ ჩემზე უკეთესი მუშაკები ყავს. მე არ ვიქნებოდი, სხვა იქნებოდა. პარტია თავის ხაზს მაინც გაატარებდა, როგორც ჩემი საშუალებით ატარებდა და ატარებს ამ სოფელში. მე კი შემოდგომამდე დავრჩები და შემდეგ ისევ უნდა განვაგრძო სწავლა...

— სწავლა?—გაიკვირვა ნაილემ.

— მაშ.

— შენ სწავლა უნდა დაიწყო?! შენ?!..

— მერე რა!

— რა უნდა ისწავლო კიდევ? ამდენი წიგნები წაგიკითხავს. იმდენი იცი. კიდევ რა გაქვს სასწავლი?

ანდრომ გულიანად გადაიხარხარა.

— ჯერ სადაა ჩემი ნაილე, სწავლას ასე ადვილად დაასრულებს ადამიანი? სწავლა სიკვდილამდეო, ამბობს ჩვენებური ანდაზა.

— მე კი მეგონა, რომ... რად გინდა ამდენი სწავლა?... რა კარგია, რომ მეც მინდა ვისწავლო, მაგრამ... თავი დახარა და თვალები ცრემლებით აევსო.

ანდრო თანაგრძნობით მისჩერებოდა ამ უმანკო არსებას, აქაურ ბუნებასავით სპეტაკსა და ჯანსაღს, სიცოცხლით სავსეს, ჯეირანივით მარდსა და შველიევით დაუდეგარ ადამიანს. უცქერდა და თან ფიქრობდა იმ მშვენიერსა და ლამაზ მომავალზე, რომლის შექმნას ის ნაილესთან ერთად აპირებდა.

კარგა ხანს სდუმდნენ. ანდრო ნაილეს მისჩერებოდა, ნაილე მაგიდას დაყურებდა თავდახრილი და ლამაზ აითეებს თავისდაუნებურად ათამაშებდა.

ბოლოს ისევ ანდრომ დაარღვია მყუდროება. მიეიდა, ხელი მოჰკიდა ქალიშვილის ხელს და ფრთხილად ასწია ზევით.

ნაილეს თავი არ აუღია, ისე ააყოლა ხელი ვაჟის ხელს.

ანდრომ მეორე ხელი მიაშველა. ორივე ხელებით აწეული ნაილეს ხელი ტუჩებთან მიიტანა და მაგრად, ძალიან მაგრად აკოცა.

ნაილე შეკრთა. თითქო ელდენი შეუერთდა მის სხეულს. გული კინაღამ ამოვარდა ზევით.

— რას შვები!—ძლივს ამოიძახა შან, მაგრამ თავის აწევა და პირდაპირ შეხედვა მაინც ვერ გაბედა. გაუწითლდა ლოყები, თვალებმა თიოქოს სინათლე დაკარგეს და სხეული თრთოლვამ აიტანა.

ორივე სხეულში მთის ნაკადულივით აჩქეფდა სისხლი და ძარღვებში დაირბინა.

ორივე დაიმორჩილა უხილავმა, მაგრამ ყველაზე ძლიერმა გრძნობამ და ერთ ადგილას გაყინა წუთით.

ქალი ისევ თავდახრილი იდგა, მაგიდაზე დადგმულ სამელნეს მისჩერებოდა და უყურებდა მას, თითქო ყველაფერი რაც ქვეყანაზე ხდება, იმ სამელნეში ყოფილიყოს მოთავსებული.

ანდროს ქალის ხელი ეჭირა ხელში. ხან ლამაზად ჩამოქნილ თითებს დააცქერდებოდა, ხან ნაილეს აწითლებულ სახეს გახედავდა, ხან თავდახრილ ქალს ზემოდან ბეჭებზე და კისერზე ჩამოშლილ თმაზე დაყურებდა.

ცქერამც ვერ დააკმაყოფილა გრძნობა: ვერც თვალები გააძლო მშვენიერი ასულის ეშხმა, ვერც ხელებზე კოცნამ ამოიტანა ტუჩებიდან დამამშვიდებელი სიტკბოება, ვერც ერთმანეთთან ახლოს სუნთქვამ გააძლო გული და ვერ დაამშვიდა სხეული.

ანდრო ნელნელა დაიხარა. ფრთხილად მოხვია ხელი სრულიად აცახცახებულ და ათრთოლებულ ნაილეს, მაგრად ჩაიკრა გულში და მხურვალე ტუჩებით ქალის ტუჩებს ჩაეწება.

ნაილეს ძალა გამოელია. მუხლები მოეკვეთა. თითქოს საწამლავი მიიღო მისმა სხეულმა ვაჟის ტუჩებისაგან. მოწყდა, მოეშვა და ანდროს მკერდზე მიესვენა.

ორიოდე წუთის შემდეგ მოვიდა გონზე, ფრთხილად მოიცილა ვაჟის ხელი, თავი გაინთავისუფლა და კარებისაკენ გაიქცა. ცოტა ხანს დაიცადა კარებთან თავდახრილმა, შემდეგ სახეალეწილი და დაომრცხვებული მობრუნდა, გვერდი აუარა ანდროს, მივიდა მაგიდასთან და საწერკალამი აიღო.

ანდრო კიდევ მივიდა მასთან, ხელები დაუჭირა და თვალებში ჩახედა.

— წერილს ნულარ სწერ. ორ დღეში თვითონ გაემგზავრები თბილისში, ისწავლი,— დაბალი, დამარწმუნებელი ხმით უთხრა და გაუღიმა.

ნაილემ დიდრონი თვალები შეანათა მას და გაკვირვებით ძიაჩერდა.

— ყველაფერს ეტყვი თამარს. ის როგორც საჭიროა, ისე მოიქცევა. მე ხშირად განახავ. შეგიძლია მურადსაც გააცნო ჩვენი დამოკიდებულება. ჩვენი სიყვარული ურყევი იქნება ნაილე—და ვაჟმა ქალის ხელებს მაგრად მოუჭირა ხელები.

ნაილემ ღიმილით ახედა ანდროს და თავისი ტუჩები ერთხელ კიდევ შეაგება ვაჟის ცეცხლოვან ტუჩებს.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

I

გაჩალეგული მუშაობა იყო გზაზე. ამტვრევდენ ქვებს, აფეთქებდნენ კლდეებს, გაჰქონდათ მიწა და ზვინავდნენ გზას. მთელი გაზაფხულის ფანმავლობაში მუშაობდნენ და რამდენიმე კილომეტრი ახალი გზა მიემატებინათ შარშანგაყვანილი გზისათვის, ოთხ-ხუთ ადგილას ახალი ხიდი შენდებოდა. ხიდეებზე ქალაქიდან მოსული მუშები და სპეციალისტები მუშაობდნენ. ისინი მთავრობის ხარჯზე იყვნენ გამოგზავნილი და სოფლელები მათ მხოლოდ ხე-ტყით ამარაგებდნენ.

შემოდგომამდე უნდა დამთავრებულიყო ეს გზა.

დილიდან გვიან საღამომდე ისმოდა წერაქვების ხმა და ნაღმების გრიალი. ვეებერთელა ლოდები სქდებოდა და ეშვებოდა ხევში. ლაწალუწი გაჰქონდა მოხეთქილ ხეებს.

სოფლელებს შეეგნოთ გზის მნიშვნელობა. ახლა აღარ ეშინოდათ კარგი გზით ამოსულ მთავრობისა.

ჯერ სამი წელიც არ გასულა და ქვეყანა სავსებით შეიცვალა. მარტო ანდროს კაიკაცობა როდი გააკეთებდა ამდენ საქმეს. მთავრობასა და პარტიას დაუვალებია და ანდროც ისე მუშაობს... თუმცა ანდროს ღვაწლიც არ შეიძლება დაეიწყებულ იქნეს. კარგ მუშაობაზე ბევრია დამოკიდებული.

აფასებენ ანდროს შრომას.

ყველაფერს უჯერებენ, პირველ ხანებში თუ არ მოეწონათ მისი საქციელი, უხეშად ეჩვენებოდათ, მოურიდებელ კაცად თელიდნენ, შემდეგ შეეჩვიენ და ახლა მასზე უკეთესი არავინ ჰყავთ.

ნაშუადღევი იყო. გზაზე მომუშავენი ისვენებდნენ. ნაწილი გლეხებისა კი მდინარის პირას ჩასულიყო აბდესის ასაღებად. სარწმუნოება და ღმერთი კიდევ სარგებლობდა მათი სიმპატიებით. ერთბაშად ვერ აეღოთ ხელი მამაპაპის ნაანდერძევ მავნე ჩვეულებზე. კიდევ მაგრად იყო გამჯდარი მათ ტანში დამაბეჩავებელი მოძღვრება და თაყვანს სცემდნენ მას.

ანდრო არ ჩარეულა მათ საქმეში. ერთხელაც არავისთვის უთქვამს ნუ ლოცულობო, ნუ შარხულობო, მაგრამ როცა საუბ-

რებს ატარებდა, მაშინ მის სიტყვებში აშკარად მოსჩანდა სარწმუნოებისა და ლოცვა-ვედრების საწინააღმდეგო აზრი. ის აზრი თანდათან მიდიოდა მსმენელთა გულში და ამის მიზეზი იყო ის, რომ ახლა მხოლოდ ნაწილი გლეხობისა იცავდა რელიგიურ წესებს.

ანდრო გაზეთს კითხულობდა. მის ირგვლივ ახალგაზრდები შემომჯდარიყვნენ ქვებზე. ზოგს წერაქვი ეჭირა, ზოგს ბარი. ბეჯითად უსმენდნენ და ხანდახან რომელიმე მათთვის გაუგებარი აზრის ახსნას ითხოვდნენ.

ცოტა მოშორებით მუჰამედი იჯდა. ეტყობოდა მოქანცულიყო მოხუცი. მჭადის ნატეხი ეჭირა ხელში და ღრღნიდა. მოქანცულ ყბას ძლივს აქანებდა და თეთრ წვერებს აცანცარებდა.

ანდრო ახლა დაუკვირდა ამ მოხუცს. მას ეგონა სალოცავად იქნებოდა წასული და აქ რომ დაინახა, გაუკვირდა. წამოდგა, გაზეთი შაქირს გადასცა, თვითონ მოხუცთან მივიდა და მის ახლოს ქვაზე ჩამოჯდა.

მოხუცმა წყალით გადაიტანა მშრალი ლუკმა და შემდეგ მიუხედა ანდროს.

— მოვხუცდი, ბავშვივით მინდა ყოველ წუთში საქმელი,— წვერებზე დაისვა ხელი და ფინჩხები ჩამოიბერტყა.

— ნუ გამოდიხართ ძია სამუშაოდ. სახლში დარჩით. იქ ბაღჩაშიაც მოსძებნით თქვენს შესაფერ საქმეს.—უთხრა ანდრომ. შეებრალა მამისტოლა მოხუცი.

— ეწყინებათ... ესეც არ იყოს, მეც მინდა მონაწილეობა მივიღო ამ სასახელო საქმეში... ჩვენს სოფელში გზის შესვლა უბრალო საქმე არაა. შეხედე ამ მთებს, რამდენი სიმდიდრეა. გზა რომ უფილიყო, რად ეღირებოდა აქაურობა. მართალი გითხრათ, გაურბოდით გზა-ქვალს. კარგი არაფერი მოჰქონდა ჩვენთვის გზას. გადასახადები, ბეგარა და მათრახები შემოჰქონდათ... ეჰ, შვილო, რამდენი უბედურება ახსოვს და რამდენი ტანჯვა-გაჭირვება აუტანია ამ ხალხს—მდინარის პირას მყოფ თავდახრილ მლოცველებს გადახედა.

— აი, რა დროს გრძნობდნენ ისინი ოდნავ სიმშვიდეს: როცა მიწას თავს დაადებდნენ და ალლახს შეევედრებოდნენ. ამ დროს ავიწყდებოდათ ტანჯვა-წვალება და ეს წუთები იყო მათს ცხოვრებაში ყველაზე ტკბილი.

ანდრომ ჯერ ქვემოთ მლოცველებს გადახედა და შემდეგ მოხუცს მიუბრუნდა.

— თქვენ არ ლოცულობთ?—კითხა მან ფრთხილად.

მოხუცმა თავი გაიქნია.

— ოც წელზე მეტია არ მილოცავს. ამიტომ იყო ჩვენი ხოჯა

ჩემზე გაბრაზებული. რაც ცუდი რამ მოხდებოდა სოფელში, ყველაფერს მაბრალებდა. ყველაფრის მიზეზი მე ვიყავი.

— მართლა?

— ჰო, შენთვის არ მითქვამს. ისე კი მინდოდა მეთქვა... როცა თავისუფალი დრო გვექნება, გეტყვი,—კიდევ მოსვა წყალი მოხუცმა.

— საინტერესოა.

— კია შვილო საინტერესო. ახალგაზრდობაში მეც ძალიან მიყვარდა ლოცვა. სხვა რა სიკეთე ვიცოდი, მაგრამ—და მოხუცმა მოუყვა მისი თავგადასავალი.

ცოლშვილიანი იყო მაშინ. ოჯახში არაფერი სიკეთე ჰქონდა. ნახევარჯერ მშივრები იყვნენ. ახლო-მახლო სამუშაო არაფერი იყო, და ლოცვით თავი არ ირჩინებოდა.

ერთხელ ბათუმში ნიგოზი წაიღო გასაყიდად. პირველი ჩასვლა იყო. ძალიან მოეწონა ქალაქი. გამოიკითხა და გაიგო, რომ ქარხანაში მუშებს ღებულობენ. ერთმა გურულმა უთხრა, მე წაგიყვანო. აცოცხლოს ღმერთმა, თუ ცოცხალია. კარგი კაცი იყო... მოხუცი დაფიქრდა, მაგრამ ვერც სახელი მოიგონა და ვერც გვარი.

ჰო, იმ კაცმა მიიყვანა „ზაოდში". ნოქარს სთხოვა მიეღოთ. მაგრამ ნოქარმა უარი უთხრა, აპარლეზს ვერ მივიღებთო. მუჰამედს გული მოუვიდა, მაგრამ არც ის კაცი გაბრაზებულა მუჰამედზე ნაკლებად. კიდევ სთხოვა. ადგილი გაქვთ, სამეშაო არის, რად არ უნდა მიიღოთ ეს კაციო.

არაა ხეირი მაგათი მიღებაო, უთხრა ნოქარმა. დღეში სამჯერ უნდა ილოცონ, სამჯერ ხელ-ფეხი დაიბანონ, გაიხადონ, ჩაიცვან. ამას ყველას დრო და საათები მიაქვს.

— ჰმ,—ჩაიცინა მოხუცმა,—ერთის მხრივ მართალი იყო ის კაცი. ის თავის სარგებელს ეძებდა. ბევრი დრო მიჰქონდა უსარგებლო ლოცვასა და მარხულობას. ზოგჯერ ისე დაავადდებოდა კაცი რემაზანში, რომ შემდეგ კაცად არ ვარგოდა. ხუმრობაა ვაქკაცისათვის მთელი დღე უჭმელ-უსმელი ყოფნა? უჭმელობა კიდევ აიტანება, მაგრამ უსმელობა პირდაპირ გულს ახმობს.

— ჰო და, იმ კაცმა მირჩია... თუ მუშაობა გინდა, ჩემო ძმაო, ლოცვას დაანებე თავიო. რა გზა მქონდა არ დამეჯერებია. სამუშაოს ვერ ვიშოვნიდი.

— ეჰ, ვერ ვივარგე მაშინ, თორემ,—თავი ჩააქნია მოხუცმა,—თუმცა რა უნდა გააკეთოს უსწავლელმა კაცმა. წერა-კითხვა რომ მცოდნოდა, უკეთესად კი მოვაწყობდი ჩემს საქმეს. კიდევ იმ კაცს უნდა ეუმადლოდე... დიდი დახმარება გამიწია.—მუჰამედს ძალიან სწყინდა, რომ შემდეგ არ იკითხა იმ კაცის ამბავი. არაა კარგი, პა-

ტივისცემას რომ დაივიწყებს კაცი?.

მოხუცს თანდათან მოაგონდა წარსული.

— ჰო, იქ გავიგე მე ყველაფერი. მტერი და მოყვარეც იქ გავიცანი, ქარხანა სკოლა ყოფილა ადამიანისათვის. ასე მივარდნილ ადგილას რომ არ ვყოფილიყავით და გზა-კვალი გვქონოდა დღემდე, შენ გგონია, ასე დაბეჩავებული ვიქნებოდით? უსწავლელობის და უვიცობის ბრალია შვილო ყველაფერი ეს, რასაც ხედავ.—მოხუცმა გადაიხედა ქვევით, სადაც მლოცველები მიწამდე თავდახრილი იყვნენ.—მალე, სულ მალე აღარ იქნება ეს ხალხი ასე ყრუ და შეუგნებელი. მალე ასწევენ თავს ზევით და ისე მიაფურთხებენ იმ ალლახსაც, როგორც ხოჯას მიაფურთხეს.—დაამთავრა მოხუცმა და წამოდგა.

II

დაღამდა. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ. დასავლეთიდან დაძრულ ნიავს რძის ფერი ნისლი ამოყვა და მთის კალთებზე გაიშალა.

აგრილდა. გაოფლებულმა მუშებმა თავი დაანებეს სამუშაოს, იარაღები შეაქუჩეს ერთ ადგილას, იქვე მოჩხრიალე წყაროსთან ხელპირი დაიბანეს და სიმღერით წავიდნენ სოფლებისკენ. მომარხულე გლეხები უფრო ადრე წასულიყვნენ. მზის ჩასვლამდე დაანებეს მათ თავი სამუშაოს, ვეღარ გაუძლეს მთელი დღე უქმელ-უსმელი ყოფნას და სახლებს მიაშურეს. ისინი ახლა მთელი დღის ნაცდურს ივსებდნენ. ხამნაკრავივით იტენიდნენ ლუკმებს, თუნგით სვამდნენ წყალს და გაფართოებული თვალებით დაჰყურებდნენ მათ წინ გაწყობილ სუფრას. ზოგიერთს ჭამის მადაც დაჰკარგოდა, არაქათგამოცლილები მიწოლილიყვნენ ტახტზე და მხოლოდ წყალის სმით ცდილობდენ დაკარგული ძალის აღდგენას. სამჯერ უნდა ეჭამნათ მთელი ღამის განმავლობაში. სრულიადაც არ რჩებოდათ ძილისათვის დრო. დილით, სანამ ვარსკვლავებს არ დაეკარგათ ელვარება, ნასადილევი უნდა ყოფილიყვნენ. შემდეგ კი—მორჩა, საღამომდე მათი პირი ვერაფერს ეღირსებოდა. მეტი უნდა ეჭამნათ, მეტი უნდა ესვათ, მთელი დღის საზრდო მოემარაგებინათ კუჭში. სხვა დროს ეს კიდევ შეიძლებოდა, მაშინ როდესაც მთელი დღის განმავლობაში არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ ახლა, ამ გაცხარებული მუშაობის დროს, ძნელი იყო მარხვის შენახვა. უსმელობა უჭირვებდათ უფრო საქმეს და თამბაქოს მოუწევლობა, თორემ უქმელობას კიდევ აიტანდნენ.

ახალგაზრდების ნაწილიც მარხულობდა. ჯერ კიდევ ვერ მო-

ახერხეს კომკავშირელებმა მათი გადმობირება. ზოგიერთებს სცხვენოდათ მამაპაპისეულ ზნეჩვეულების უარყოფა. ზოგიერთები კი შეგნებულად ჯიუტობდნენ. განზე იდგნენ და განზე იხედებოდნენ. ბევრი რამ არ მოსწონდათ საბჭოთა ხელისუფლების, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას ვერ ბედავდნენ. გამოცდილებას დაემტკიცებინა მათთვის საკუთარი ძალების უძლურება და ახლა ისევ ოჩან ცხენივით მიდიოდნენ ხელისუფლების ნაჩვენები გზით. წყალის გამოყვანაზედაც მუშაობდნენ, სკოლის შეკეთებაზედაც. არც გზაზე გასვლაზე უთქვამთ უარი, მაგრამ ემჩნეოდათ, რომ მაინცადამაინც არ ეხალისებოდათ ამ გზის გაყვანა.

ახლა, როცა მარხულობის გამო საბაბი ეძლეოდათ რამდენჯერმე ლოცვის, სამუშაოზე გვიან მოსვლის, ადრე წასვლის—ფართოდ იყენებდნენ ამ უფლებებს და რაც შეიძლება მეტ დროს ანდომებდნენ სარწმუნოებრივ ცერემონიებს. ზანტად იხდიდნენ ფეხზე, ბეჯითად იბანდნენ ხელფეხს და გაცილებით მეტ ხანს ანდომებდნენ ლოცვას.

არავინ არაფერს ეუბნებოდა მათ ამისთვის. ანდროს გაფრთხილებული ყავდა ამხანაგები ხელი არ შეეშალათ მათთვის, საბაბი არ მიეცათ გულის მოსვლისა და უკმაყოფილების გამოთქმის. ისედაც იყენენ უკმაყოფილონი. ამდენი ხანია ხოჯა არ ყავდათ და ჯამე დაკეტილი იყო. მართალია, მურადმა ნება მისცა, ვისაც გსურს ხოჯა გყავდეს, წადით, დაიქირავეთ, მოიყვანეთო, მაგრამ ამ სიტყვებმა ვერ მოაწესრიგა საკითხი. ათ მოსახლემდე ძლივს აღმოჩნდა ხოჯის დაქირავების მომხრე, მაგრამ, როცა საკითხი ფულის გადახდაზე მიდგა, ყველამ უარი სთქვა.

— მაშ, მთავრობა ვერ დაგიქირავებს თქვენ ხოჯას,—უთხრა მათ მურადმა,—ჩვენ არ გვქირია ხოჯები და აღები. არც მათი ლოცვა და ყურანი,—და თავისი აზრი გააცნო.

სკოლა უფასოდ ავაგეთ, მასწავლებლებს მთავრობა გზავნის, გზები გაგვყავს, ექიმებს, აგრონომებს, ფერშლებს უსასყიდლოდ გვიგზავნიან, წამლობა, ექიმობა უფასოა. მოითხოვეთ კიდევ რაც გნებავთ, ოღონდ თქვენს მოთხოვნილებას საფუძვლად ედოს თქვენი, მშრომელი გლეხობის სარგებლობა, რომ ყველაფერი ხალხის კეთილდღეობისაკენ იყოს მიმართული და, იმ მოთხოვნილებასაც სიამოვნებით დავაკმაყოფილებთ, მაგრამ...

ხოჯები არ გვინდა...

ჩვენ ვაფრთხილებთ, ვეუბნებით, რომ ცუდ საქმეს სჩადის. ეურჩევთ თავი დაანებოს, ნუ იხშობს გონებას.

მაინც არ იშლის?

თვითონ დაიქირაოს...

უკმაყოფილოდ გადახედეს ხოჯის მოყვანის მომხრეებმა ერთმანეთს. მურადს ვერაფერი შეჰკადრეს.

დასწყევლოს ეშმაკმა, როგორ დაებნათ გზაკვალი. აღარ იციან რომელი სჯობია...

ამ მთავრობას რომ ეს ხოჯები და აღები არ ეჯავრებოდეს, ნამდვილი მისაღები იქნებოდა. გზები გაყავს, სკოლებს აგებს, დახმარებებს იძლევა, ყველას პატივსცემს, ეკითხება, ირჩევს, აგზავნის, ერთი სიტყვით, ყველაფერს კარგს სჩადის, მაგრამ...

ხოჯასაც რომ დაიქირავებდეს;—ჩაუკრავდნენ სიტყვას.

— უკაცრავად თქვენთან,—შეაწყვეტინებდნენ კომკავშირელები.

— ვერ დაინახე, რას აკეთებდა თქვენი ხოჯა?

— ქაჯების ტანსაცმელებით რომ დადიოდა!..

— ქალებს რყვნიდა...

— ყაჩაღებს ინახავდა...

უამრავი მასალა იყო ხოჯის წინააღმდეგ და კომკავშირელებიც უხვად იყენებდნენ მას.

სიმღერით შემოსულ ახალგაზრდებს სოფლის ბავშვები შეეგებნენ. უფრო ახმაურდა და გაცოცხლდა სოფელი. კიდევ რამდენიმე კვირა და გზას სოფელში შემოიყვანდნენ. მდინარეზე დაწყებული იყო ხიდის აგება და მოკლე დროში დამთავრდებოდა. იქვე იდგა გზის მტკეპნავი, რომელიც დილიდან საღამომდე მიდი-მოდიოდა ახალმოზვინულ გზაზე. ამ უბრალო და მარტივ მანქანას უამრავი მნახველი ყავდა. შორი სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ მის შესახედად. ადგილობრივი ბავშვები ხომ ბუზებივით ეხვევოდნენ თავს.

ღამით დარაჯი იდგა ლოკომობილთან. რიგრიგობით მორიგეობდნენ ახალგაზრდები. მართალია ბმსისხო მანქანის მოტაცება არავის შეეძლო, მაგრამ მისი დაზიანება შეიძლება ვინმეს მოსვლოდა აზრად და ამიტომ არჩიეს მორიგეობის შემოღება. შაქირი იდგა პირველ ღამეს. შემდეგ—რიგის მიხედვით... ამაღამ თოფუზს მოუწია. ეს პირველი დავალება იყო მას შემდეგ, რაც ის ამხანაგებს დაუბრუნდა გამოჯანმრთელებული. კარგა ხანს ეუბნებოდნენ უარს, არ ღებულობდნენ. ისეთი დანაშაული, როგორიც მან ჩაიდინა, მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდათ. თვითონაც აღიარა. რამდენჯერმე გამოვიდა საკუთარი თავის კრიტიკით, რამდენჯერმე დაგმო თავისი საქციელი და პატიება ითხოვა.

ისევ ანდრომ აპატია. გამოცდის ვადა დაუნიშნა და დავალებებით დატვირთა, ამხანაგებს კი თვალყურისდევნება დაავალა.

თოფუზი ცალ ფეხზე ისევ კოჭლობდა. კარგად არ შედუღებოდა ნატყვიარი ერთმანეთს, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა, სიცოცხლე რომ

შერჩა და არ დაიღუპა. მერე როგორ უნდა დაღუპულიყო! როგორი სახელით უნდა ჩასულიყო მიწაში. ამხანაგების მოღალატე, კაცის მკვლელი, მკვლელზე უარესი. ახლა მაინც შესძლებს გამოისყიდოს თავისი დანაშაული. თუ კომკავშირშიაც მიიღეს და აპატიეს ყველაფერი, მაშინ ხომ ერთი-ათად უნდა გააძლიეროს მუშაობა.

კარგა ხანს არაფერს ენდობოდნენ. მარტო ამაღამ დააკალეს გზის მტკეპნავთან მორიგეობა და ამ გარემოებამ ნახევრად გაბზარული გული გაუმთელა.

თანდათან მიწყდა სოფელში მოძრაობა. შენელდა ხმაურობა და მალე სულ დადუმდა.

მთებზე უფრო გასქელდა რძისფერი ნისლი, თანდათან დაიწია ძირს, ნელნელა წამოეპარა სოფელს და მალე უჩინარი გახდა ის.

თოფუზი ყოჩაღად დადიოდა ლოკომობილთან, ხელში კარაბინი ეჭირა და ხშირად შეათამაშებდა, თითქო ენატრებაო მისი ამოქმედება. ის მხიარული იყო, კმაყოფილი. რახან თოფი მისცეს, ასეთ ადგილას დარაჯობა მიანდვეს, სჩანს შეცვლილა ატმოსფერო, შეიძლება თანდათან დაიახლოვონ ამხანაგებმა და აპატიონ ყველაფერი...

ნეტავ მართლაც მიიღებდნენ კომკავშირში. ახლა კი იცის როგორც უნდა იმუშაოს, როგორ მოექცეს მტერსა და მოყვარეს. რა ბედნიერი იქნებოდა, სასწავლებელში მოეწყობოდა, ან სადმე კურსებზე წავიდოდა· ხომ ხედავს, მურადამ როგორ აიწია· საწყალი მურადა. როგორ აბუჩად ყავდა აგდებული ყველას... დღეს ნახე, როგორ უძღვება საქმეს. რა ყოფილა სწავლა. თოფუზიც არაა უნიჭო. სწავლა მასაც არ ეზარება, მაგრამ შეაცდინეს, დაღუპეს. არც მათ დაყრიათ ხეირი. კიდევ კარგი, რომ თოფუზი გადარჩა, თორემ რა საშინელი სიკვდილი იქნებოდა.

გაჟრჟოლა. კიდევ შემოუარა ლოკომობილს. იქვე ახლო ელაგა სამუშაო იარაღები, მასალები, სპეცტანსაცმელი და, ყველაფერი დაათვალიერა. შემდეგ გაიარ-გამოიარა ახალგატკეპნილ გზაზე, გადაიხედა ხევში, სადაც ვეებერთელა ლოდები ელაგა გზიდან დაგორებული. მოაგონდა როგორ დადიოდა ის ამ ხევში „ქაჯის“ ტანსაცმლით. როგორ ფიქრობდა მურადის შეშინებას. მაშინ მხოლოდ უბრალო შეშინებაზე ფიქრობდა. უნდოდა დაეცინა ისე, როგორც მას დასცინეს ერთხელ. მაგრამ უბრალო შეშინება როდი გამოდგა. თურმე სულ განადგურებას ფიქრობდნენ ხალხის მტრები. რა იცოდა მაშინ თოფუზმა, რა მაზნით ეხმარებოდნენ მას მოლა ნური, ხოჯა და ზოგიერთი სხვებიც. ბრმა იარაღად იყენებდნენ თურმე ჯანლონით სავსე ახალგაზრდას და გამოუცდელ ნიჭს.

საკუთარი თავი შესძაგდა თოფუზს. ნეტავ რაიმე ძნელი საქმის

შესრულებას დამავალებდნენ, რომ მისი გაკეთებით ოდნავ მაინც გავიწმინდო სინდისი და პირნათლად წარვსდგე ამხანაგების წინაშეო,—გაიფიქრა მან.

ამ დროს მთიდან ვეებერთელა ქვა დაგორდა მოულოდნელად. მთელი სიძლიერით დაეშვა ქვემოთ და ისე ძლიერად დაეტაკა ლოკომობილს, რომ ამოდენა სიმძიმის მანქანა შეტორტმანდა.

თოფუზმა აიხედა ზევით. ახლა მხოლოდ კენჭები მოჩხრიალებდნენ ლოდის ანაგორებზე.

„ეგ რა ეშმაკია",—გაიფიქრა და მანქანასთან მიირბინა. ლოდი მიწოლოდა მანქანას და ადგილსამყოფელიდან ოდნავ გადაეჩოჩებინა.

თოფუზმა მიიხედ-მოიხედა. თვალი ააყოლა ზევით, ხომ არავინაა, მაგრამ როცა ვერავინ დაინახა, მივიდა და შეეცადა ლოდის დაგორებას. კეტი დაუდო, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრა. კარგახანს ეწვალა. უნდოდა როგორმე მოეცილებინა მანქანისათვის, მაგრამ ვერ შესძლო. ეწყინა, ძალიან ეწყინა, რომ ასეთი უბრალო საქმე ვერ შეასრულა. ვინ იცის, როგორ მიიღებენ ამხანაგები. ხომ შეუძლიათ იფიქრონ, თოფუზმა განზრახ დააგორა ქვაო, მანქანის გაფუჭება უნდოდაო, მერე ეს უნდა ახლა თოფუზს? რაც ძალა და ღონე ჰქონდა მიაწვა ლოდს, მაგრამ ოდნავაც ვერ შეარხია. შემდეგ კარაბინი მიაყუდა, წერაქვი აიღო და შეუდგა ლოდს ქვემოთ მიწის გამოთხრას, რომ ამით გასაქანი მისცემოდა ქვას, მანქანას დასცილებოდა და იქით გადაგორებულიყო.

კარგა ხანს მუშაობდა. სულ გაიწურა ოფლში. საკმაოდ გამოთხარა მიწა, ახლა ზემოდან უნდა დაწოლოდა კეტით დი ქვაც დასცურდებოდა. წამოიწია, უნდოდა კეტი აეღო, მაგრამ ამ დროს რაღაც მახვილი მოხვდა გვერდში და მკერდამდე გაუარა.

— ჰოი,— ამოიგმინა თოფუზმა და მხეცივით გავარდა. გვერდიდან ცხელმა სისხლმა ამოასხა და უბეში აჩხრიალდა ნაკადულივით.

-- ესეც შენ,—მოესმა მას ყურში და ახლა მეორე გვერდში გაისრიალა მახვილმა. იქედანაც ავარდა სისხლის ნაკადული.

შეტორტმანებული ვაჟკაცი დაეცა მიწაზე. მას უკვე აღარაფერი ესმოდა. ცხელი სისხლით ივსებოდა უბე და საყელოდან ამოდიოდა. მომაკვდავის გულის ძგერა ჯერ კიდევ არ შეჩერებულიყო. გონება უკანასკნელად კიდევ ებრძოდა სიკვდილს და ზოგიერთ რამეს კიდევ უკარნახებდა მომაკვდავს. ჯერ კიდევ ფეოქდა უკანასკნელი სისხლის ჩქერები და ამ დროს მასში უფრო ძლიერი იყო გადარჩენისა და შებრძოლების ინსტიქტი. წუთით გაუჩერდა საშინელ ჭრილობას, მაგრამ შემდეგ უეცრად ავარდა თავმოჭრილ მამალივით,

ვეფხვის ძალით შემოტრიალდა ირგვლივ, გაშმაგებული დაეტაკა რაღაცას თუ ვიღაცას, მაგრად მოუჭირა ხელები და მასთან ერთად დაეშვა მიწაზე... ქვა არის, — უნდა გასკდეს, რკინაა — გაიწელოს, ხეა — დაიფშვნას, ცოცხალი არსებაა — გაისრისოს, ისეთი სიძლიერით შემოჭერია მომაკვდავი ადამიანის ხელები მას. თოფუზის ხელები შეაცივდა, შეაკვდა და შეახმა რაღაც რბილ საგანს. თითქოს ადამიანის ყელია ის რბილი საგანი. ის მოხვდა მას პირველად სელებში და ვისიც არ უნდა იყოს იგი, თოფუზის ხელებმა უნდა გამოღადროს, გასრისოს...და რაღაც ახროტინდა და აფართხალდა მასთან ერთად. ორი ადამიანის ლეში გორაობს სიბნელეში და ერთმანეთს ებრძვის. ვინ ვის დასძლევს, რომელი რომელს მოერევა.... მაგრამ ორივე მოეშვა და მოდუნდა მომაკვდავმა დაიყოლია მოწინააღმდეგე. შური იძია და გვერდით მიიწვინა. ახლა ორი სიკვდილი ზეიმობს. სიკვდილი, რომელიც თოფუზას ლეშს დადგომია და სიკვდილი, რომელიც მის გვერდით გაწოლილ სხეულს დასცქერის.

ღამე მიდის. შორიდან ჭოტის გულშემზარავი კივილი ისმის, რძის ფერი ნისლი დაზოზინობს მთების კალთებზე...დანამულ ბალახებს ყურები დაუცქვეტნიათ.

სოფელს სძინავს. ჩამი-ჩუმი არ ისმის. ხანდახან თუ აფორხილდება პირუტყვი ბოსელში, ან შემკრთალი ქათამი შეფართხალდება ხეზე.

გათენებას კიდევ უკლია, მაგრამ ღამე გადატეხილა შუაზე. ბუნება დილის შესაგებებლად ემზადება. საცაა მორწმუნენიც წამოდგებიან. დილამდე უნდა მოასწრონ ჭამა, თორემ შემდეგ პირაკრული დარჩებიან. რა ტკბილია ამ დროს ძილი. არავითარი სიამოვნების გულისათვის არ მიატოვებს კაცი ლოგინს. ბევრს სძლევს ძილი, ვერ დგება დროზე და შემდეგ მთელი დღე მშიერია.

გაციებულ გვამთა მორის ერთის ტუჩებიდან გაქროლებულ ნიავს თბილი სუნთქვა აყვა. სუსტი, მაგრამ მაინც სიცოცხლის მანიშნებელი. თანდათან ძლიერდება ის და...უცებ სისხლიდან დაცლილი სხეული ამოძრავდა. კი არ ამოძრავდა, ოდნავ შეირხა მხოლოდ. შეირხა და გაყინულ თითებში სითბო შეიჭრა, როგორც თუჯის მილში ცხელი ორთქლი. ოდნავ გამთბარა გაციებული სხეული და... უთუოდ ჯერ კიდევ სიცოცხლე იმარჯვებს.

თოფუზის მიბნედილ თვალებს ღამის სიბნელე შეეგება.

გააღო და ისევ დახუჭა. სად არის იმდენი შეძლება, რომ თვალები ღია გააჩეროს. სხეული დაწრეტილია სისხლისაგან. გვერდებში ისევ ტრიალებს ბასრი მახვილი და სჭრის ყველაფერს. ფეხები თითქო მოუკვეთნიათ. არც ხელები აქვს. მარტო გული უნდა იყოს ცოცხალი, კიდევ — თვალები. გული ძნელი მოსაკლავი ყოფილა. რომ ადამიანს არ ჰქონდეს მკერდში ჩამწყვდეული და უამრავი ძარღვით

დაბმული, საოცარ ამბავს მოახდენდა. ვინ იცის, სად არ გაფრინდებოდა, რა სისწრაფეს არ განავითარებდა.

უცნაური მანქანა ყოფილა...

თოფუზს უბრუნდება სიცოცხლე. სიცოცხლე როდი ჰქვია ამას, მაგრამ ალარც სიკვდილის მსგავსია. არა, ნამდვილი სიცოცხლეა. მაშ ასე რომ არ იყოს, როგორ გრძნობს ყველაფერს. დიაღ, გრძნობს, როგორ არა! აი, ახსოვს ყველაფერიც.

მანქანაც, სამუშაო იარაღებიც, თავისი მოვალეობაც ახსოვს, მაგრამ...

კიდევ გაახილა თვალები და უფრო მეტ ხანს ჰქონდა ღიად. სჩანს სიცოცხლეს ძალა შემატებია. ნეტავ საიდან მოდის ეს ძალა?

თბება სხეული და თოფუზმა იგრძნო, რომ მას ხელები აქვს. დიაღ აქვს ხელები, აი, თითებიც აამოძრავა. რა უსუსური ყოფილა ადამიანი!

გული კი ისევ იბრძვის, თანდათან უმატებს ძგერას, ჭრილობა მიწით ამოგლესილა, მიწა სისხლით შეზელილა და ჭრილობას გადაკვრია, მაგრად გაუგლისავს ზედაპირი. სისხლიანი პერანგი გადაწებებია ზემოდან ამ ჭრილობას.

კენტად იყივლა სადღაც მამალმა და თოფუზმა იცნო, რომ ის მამალი მისი სახლიდან ყიოდა. მისი მამალია, ძველი მამალი, იმიტომ აქვს ისე ბოხი და ჩახლეჩილი ხმა.

მაშ ცოცხალი ყოფილა თოფუზი. მას ესმის, ეყურება და ცნობის უნარიც აქვს. ცოცხალია, მაგრამ, თუ ცოცხალია, აქ რა უნდა.

ასწია თავი, მაგრამ უცებ გაუვარდა მძიმე ლოდივით და ისე მაგრად დაეცა, რომ რამდენიმე წუთით გონება დაჰკარგა.

იმ ლოდზე მძიმე ეჩვენა საკუთარი თავი. მართლა, რა მძიმე ლოდი დაგორდა. ნეტავ მანქანას თუ ავნო რამე? მანქანას...რაღაცამ გაიელვა თავში.

მანქანასთან ხომ თოფუზი იდგა დარაჯად. მერე! შეასრულა თავისი მოვალეობა? თუ მანქანა გაიტაცეს, გზა დაანგრიეს, ხიდეები ააფეთქეს და თოფუზს ზომები არ მიუღია.

ახლა ყელიც გაუჩნდა თოფუზს. კი არ გაუჩნდა, ჰქონია. რომ არ ჰქონოდა, არც ეს სიბრაზე მიაწვებოდა ყელში. საშინლად აწვება სიბრაზე.

ნუთუ ისე წახდა თოფუზი, რომ ერთ მანქანას ვერ მოუარა?. მტრებს გაატანა. ფუ, ასე გამოისყიდა დანაშაული? აკი ამბობდა, ფიცს სდებდა, სიტყვას იძლეოდა. ოღონდ მიმიღეთ, დამსაქმეთ, მენდეთ და თავს შევწირავ სახალხო საქმესო. თავი მართლაც შესწირა, მაგრამ რა! ვის არგებს ასეთი თავშეწირვა?—მტერი რომ დაემარცხებინა და მაშინ მომკვდარიყო, სულ სხვა იყო, ახლა კი...

მუხლები დაესერა.

როგორ, ფეხებიც აქვს?!. სჩანს არაფერი არ აკლია მის სხეულს. თავი, ხელები, ფეხები, გული. მეტი რაა საჭირო სიცოცხლისათვის? სიცოცხლისათვის... ვის უნდა ასეთი სიცოცხლე. ნეტავ მომკვდარიყო! მომკვდარიყო, მაგრამ ვის უნდა. მოეკლა? მართლა. ვის? ვის და, აი იმ კაცს... აბა ეშმაკი ხომ არ იქნებოდა. როგორი `მახვილი დანა ჰქონდა, რა საშინლად გაისრიალა გვერდებში...

აეწვა გვერდები. საშინელი ტკივილი იგრძნო. ამ ტკივილმა თითქო ძალა შემატა, თითები მოუჭირა რაღაცას მაგრად და კბილებიც გააკრაჭუნა.

ამდენხანს არ გრძნობდა ამ ტკივილს, მაგრამ არც შეგრძნობა შეეძლო. გვერდები არ ჰქონდა და გვერდების ტკივილს როგორ გრძნობდა? ახლა კი, სხვებთან ერთად გვერდებიც ჰქონია. ნეტავ არ ჰქონდეს. რა საჭიროა ამდენი რაამები. ჰქონდეს მარტო თავი, გული, ხელები და ფეხები. დანარჩენი არაფერი გამოსადეგია.

— ვკვდები,—ამოიძახა და თავისი ხმის გაგონებამ შეაკრთო.

ნახევარზე უფრო ნაკლები მთვარე ამოსრიალდა მთის გადაღმიდან და თეთრი შუქი მოჰფინა მიდამოს. მამლები რამდენჯერმე გაეხმაურნენ ერთმანეთს და დადუმდნენ.

თოფუზმა— რამდენიმე ხმა გამოიცნო. ბევრჯერ სმენია მას მამლების ასეთი ხმა და გამოუცვნია ვისი ეზოდან რომელი ყიოდა.

— უჰ.—ამოითქვა ძლიერად სული, ისე როგორც კარგად ყოფნისას ითქვამდა, მაგრამ ფერდებთან რაღაც ახრიპინდა, თითქო იქაც ითქვამდა ვინმე სულს. კიდევ საშინელი ტკივილები იგრძნო და ისევ საშინლად მოუჭირა თითები რაღაცას, მაგრამ ეს რაღაცა ისე რბილია, რომ თითები ეფლობა შიგ. თანაც საშინელი ცივია.

ოდნავ შესძლო თავის წამოწევა. ძლივს გაახილა თვალები და შუქზე გაარჩია გარემო.

მანქანა დგას მდევივით. ლოდი ისევ მოწოლია ზემოდან. წერაქვები, ნიჩბები და ბარებიც იქვეა და...

თოფუზის გვერდით გაშოტილი ახმახი კაცის ლეში გდია. მუჭის ოდენა თვალები გადმოცვენილა უპეებიდან. თოფუზის ხელები მარწუხებივით შემოეჭერია ყელზე და ისე გაუწელავს, რომ ყორყის ხრახნილი გაწყვეტილა.

ვერ გაუძლო ამ სურათის დანახვას თოფუზმა, მოწყვეტით დაუშვა თავი ძირს და თვალებიც დახუჭა.

თანდათან იწევს მთვარე ზევით. უფროდაუფრო ახლოვდება დილა და სიცოცხლესაც ძალა და ენერგია ემატება.

— ეჰ,—კიდევ ამოიძახა თოფუზმა და ახლა მეტი ძალა იგრძნო სხეულში. წამოსწია თავი და კიდევ მიიხედ-მოიხედა.

იგივე სურათი იყო. თითები შეკვდომოდნენ, შედუღებოდნენ იქ მდებარე ადამიანის გაციებულ ყელს. ძლივს შესძლო ამ თითების განთავისუფლება. თითქო ლეში აღარ უშვებდა მათ.

გაციებულ სახეს დააცქერდა. თვალები გადმოცვენილი იყო, სახე ტალახით გასვრილი. მხოლოდ კბილები ჰქონდა დაკრეჭილი და თოფუზმა ოქროს კბილებზე იცნო იუსუფ-აღა.

— იუსუფ-აღა!—აღტაცებით წამოიძახა მან და თითქო ყველაფერი მოურჩა.ძალაც მიეცა მუხლებში, მაგრამ ეს ძალა მხოლოდ გადასაბრუნებლად ეყო. გვერდი იცვალა და ოდნავ სიამე იგრძნო.

— როდის გათენდება,—ამოილაპარაკა და ცას შეხედა. სწყუროდა საშინლად, ასე ეგონა მთელ მდინარეს ამოაშრობდა. ნეტავ შეეძლოს ჩახოხდეს მდინარესთან, რომელიც რამდენიმე ნაბიჯით არის დაშორებული აქედან. სულ შთანთქავდა იმოდენა წყალს...

კიდევ წამოიწია და იუსუფ-აღას გაციებულ გვამს დახედა. რა საშინელი შესახედავია. როგორ დაუკრეჭია კბილები... მიაფურთხებდა, ნერწყვი რომ არ ჰქონდეს ამომშრალი. იმდენი ძალა მაინც მისცა, წამოდგეს და ფეხებით ჩაულეწოს ხელოვნური თუ საკუთარი კბილები.

თოფი მოაგონდა. „ნეტავ სად არის თოფი?“ გაიფიქრა და ლოკომობილისაკენ გაიხედა. თვალებს სინათლე მომატებია. თითქო ყველაფერს გარკვევით ხედავს. კარაბინა ცოტა მოშორებით გდია მიწაზე. ნეტავ მიწვდებოდეს. გასწია ხელი, მაგრამ ვერ მიწვდა. ძალა დაატანა თავს. ძლივს აათრია წელი და წაიწია წინ. კორობინას კონდახში მოავლო ხელი და თავისთან მოათრია. შესვენება დასჭირდა სანამ საკეტს მოაბრუნებდა. შემდეგ სასხლეტს გამოსწია და თოფიც გავარდა: კორობინა ცოცხალ არსებასავით შეუხტა ზევით და შემდეგ ისევ დაეცა. სროლის ხმა მთებს გადაწვდა და რამდენჯერმე განმეორდა ხევიდან ხევში. ძაღლები გამოეხმაურნენ უჩვეულო დროს გაგონილ ხმას.

თოფუზმა მეორეხელ გადააბრუნა საკეტი და მეორეხელ დაიგრიალა თოფმა.

სოფელს თითქო სული ჩაუდგა მოულოდნელმა გასროლამ. რამდენიმე სახლის კარი აჭრიალდა და მკრთალი მთვარის შუქზე ამოძრავდნენ ლანდები.

მურადი წუთშივე გაჩნდა საბეჭოს შენობასთან. მასთან იყო ანდრო. ორიოდე წუთში შაქირიც მოვარდა და მალე მთელი სოფლის ახალგაზრდობა იდგა ფეხზე.

შეჩვეული იყვნენ ნაუცბადევად მომზადებასა და გამოსვლას

ყველას იარაღი ჰქონდა და ფალასკები. მზად იყვნენ. კიდევ ელოდნენ მტრების გამოჩენას. იცოდნენ, რომ ყოფილი თავმჯდომარე, იუსუფ-აღა და მისი ამყოლები, რომლებიც მაშინ ხელიდან წაუვიდათ, არ მოისვენებდნენ, კიდევ შეეცდებოდნენ თავიანთ საზიზღარ კბილების გამოჩენას. რამოდენიმე დღის წინ აკი სკოლას წაუკიდეს ცეცხლი. ამას წინათ კიდევ ახალაგებული ხიდის აფეთქება მოინდომეს. რომ სიფრთხილე არა, დიდ ზარალს იზამდნენ, მაგრამ, ახლა მაინცადამაინც ვერაფერს ახერხებდნენ. ხანდახან საქონელსაც გარეკავდნენ, ან კლდეზე გადაჩეხავდნენ, ან ვისმე გაქურდავდნენ, წვრილი საქმისთვის მოეკიდნათ ხელი, მაგრამ თუ შეამჩნევდნენ სიფხიზლის მოდუნებას, იერიშზე გადმოვიდოდნენ. ამიტომ იყო საგუშაგოები რომ დააწესეს. კოოპერატივთან, ხიდეებთან, საბჭოსა და სკოლის შენობასთან. ლოკომობილთანაც ამიტომ დარაჯობდნენ.

ჩუმად მოსდიოდა ცნობები მურადს. ერთი ხანია მაძებარ ძაღლივით ეძებდა იუსუფ-აღას ნაკვალევს. თითქოს სუნი აეღო, შემოპარულ მტერს უთვალთვალებდა.

თოფი მესამეჯერ გავარდა და ყველასათვის გასაგები გახდა საიდან იყო ის. იმ წამშივე სირბილით გაეშურნენ იქით და ორიოდე წუთის განმავლობაში გაჩნდნენ ლოკომობილთან, სადაც სისხლში გასვრილი თოფუზი მიწაზე ებრძოდა სიკვდილს.

დაფაცურდნენ ახალგაზრდები, ააღთეს ჟინჟღილები, დაათვალიერეს იქაურობა და ნახეს იუსუფ-აღას გაციებული გვამიც, რომელიც თოფუზს ცოტა განზე მიეწია, რომ მასთან ახლოყოფნას არ შეეწუხებინა.

— წყალი.—ეს იყო თოფუზის პირველი სიტყვა. შემდეგ როცა მის გარშემო შემოკრებილი ამხანაგები დაინახა, ოდნავ ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

— ნახეთ.—და იქით გაიშვირა დასაებული თითი, საითაც იუსუფ-აღას გვამი ეგულვებოდა.

— ჩაგიძაღლებია, ამხანაგო თოფუზ,—ჩასძახა შაქირმა, თავზე გადაუსვა ხელი და განკარგულება გასცა მის წამოსაყვანად.

მოაწყვეს ყველაფერი. ფრთხილად აიყვანეს, ორ ჯოხზე გაკრულ ბრეზენტზე დასდეს და ფრთხილად წამოიყვანეს სოფელში.

ინათლა. ნისლი შეჰყვა ფერდობებს. მზემ შორეული მთის წვეროებს სტყორცნა სხივები და ოქროსფრად შეღება. ფრინველები ჟივილ-ხივილით მოედინენ სოფელს.

ჩამოდგა სიცოცხლე.

სოფელი ფეხზე იდგა. საბჭოს წინ შეგროვილიყვნენ ქალი და კაცი, დიდი და პატარა. იქვე ხის ძირში ეგდო იუსუფ-აღას ლეში. სკოლის შენობაში შეეყვანათ თოფუზი, რომელსაც ზასტავი-

დან სასწრაფოდ გამოძახებული სამხედრო ექიმი დადგომოდა თავზე, ჭრილობა მოებანა, სისხლის დენა შეეწყვიტნა და მაგრად შეეკრა.

ანდრო ტელეფონთან მიმჯდარიყო და ბათუმს ელაპარაკებოდა.

ხალხი ღელავდა, აღშფოთებული იყო.

თოფუზას დედას ჩამოებღოტა ღაწვები. მას უკვე დავიწყებოდა ყველაფერი, გარდა მისი საყვარელი შვილისა. იგი არავის ერიდებოდა.

საზიზღარი მტრის გაყინული ლეში მიწაზე ეგდო. მის გარშემო გაისმოდა რამოდენიმე ათეული ადამიანის წყევლა-კრულვა, რომელიც ბინძურ ლეშს ჩაყვებოდა სამარეში.

თავი მეცხრე

I

უკანასკნელი მერხი შეიტანეს სკოლაში და კედელთან დადგეს. შავად მოელვარე დგამებს სპირტნარევ საღებავის სუნი ასდიოდა.

სკოლის ეზოში შეგროვილი ბევშვების ჟრიამულის ხმა სოფელს სწვდებოდა, ჩვეულებრივ ხალისითა და აღტაცებით ეგებებოდნენ ისინი სასწავლო წელს, ხტოდნენ, დარბოდნენ, მღეროდნენ. .

ახალგაზრდები დილაადრიან მოსულიყვნენ და გაცხოველებულ შუაობაში იყვნენ გართული. ორი საბარგო მანქანა გადმოეტვირთათ დილას აქეთ, ახალმოტანილი ავეჯი გადმოელაგებინათ, სკოლაში აეეზიდათ და თავთავის ადგილას დაეწყოთ.

ხუთამდე ქალიშვილი ერია ახალგაზრდებში. ისინი ნაზიმეს მოეყვანა და მისივე მითითებით მუშაობდნენ, იატაკი მოერეცხნათ, შუშები დაეწმინდათ და ახლა სურათებსა და რუკებს ჰკიდებდნენ.

სკოლა საკმაოდ შეკეთებული და გალამაზებული იყო. არავის ეჯავრებოდა ახლა მისი შეხედვა. არავინ გაურბოდა, არავინ იზარებდა მისთვის დახმარებასა და ხელისშეწყობას.

სანიმუშო სოფლად გამხდარიყო წყავნარა.

თითქო ერთბაშად შეცვლოდა იერი. გამოცვლოდა სახე.

ბევრი საქმე გააკეთა გზის შემოყვანამც.

თურმე ქვევრში ყოფილან დამწყვდეული დღემდე. ჯერ ერთი წელიც არ გასულა გზის შემოსვლის დღიდან და სოფელი სავსებით გადასხვაფერდა.

სახლების სახურავებზე როდი აწყვია ქვები ყავრების დასამაგრებლად. ლუსმანი და მავთული შეიტანა კოოპერატივმა უხვად. ნავთი, მარილი, შაქარი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი აღარავის აკლდა.

ოჯახის ავეჯებიც შეიცვალა. ჯამების ნაცვლად თეფშები გაჩნდა, საერთო ტახტის ნაცვლად, რკინის ტახტები დაიდგეს და ზოგიერთებმა განიერი ფანჯრებიც გაუკეთეს სახლებს.

ყველაფერი ეს შეუმჩნეველად, თითქო ყოველგვარი მითითებებისა და აგიტაციის გარეშე გაკეთდა.

ჯერ კიდევ რამდენს აუხილა თვალები ხოჯის, იუსუფ-აღისა და ყოფილი თავმჯდომარის ოინებმა. რამდენს დაანახა მტერი და მოყვარე, გააცნო ავ-კარგი.

გზის გაყვანა და მისი საზეიმოდ გახსნა კი დაუვიწყარი შეიქმნა ყველასათვის.

ახლაც ლაპარაკობდნენ მასზე. აღფრთოვანებით იგონებდნენ.

რამდენი ავტომობილი ამოვიდა... რამდენი მანქანა!

მთელი მილეთი დაესწრო იმ ზეიმს.

მთავრობაც იყო. თვითონ მთავრობის თავმჯდომარემ გასჭრა ზონარი, რომლითაც გზა იყო გადაკავებული. მან გამოაცხადა გზა გახსნილად.

რა მთავრობა გეყოლია! უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანები. ყველას ანხანაგურად ართმევდნენ ხელს. ელაპარაკებოდნენ. ესაუბრებოდნენ...

ეს კი მართლა მუშურ-გლეხური მთავრობაა, ნამდვილი ჩვენი მთავრობა...

რამდენს უკბინა გულზე მის მიერ წინად ნათქვამმა მთავრობისადმი საყვედურმა. გაახსენდა და თავისთავის წინაშე შერცხვა.

ასეთ მთავრობაზე იტყვის მშრომელი ადამიანი საყვედურს?

ხარბად შესცქეროდნენ და ისმენდნენ მოსული ამხანაგების სიტყვებს...

იყვნენ პარტიისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

მუშები, მუშა-ქალები, ახალგაზრდები, კომკავშირელები, პიონერები, ოქტომბრელები. დროშებით, პლაკატებითა და ლოზუნგებით მოერთოთ მანქანები, ყვავილებით შეემკოთ..

სოფლებიდან მოსულ ქალებს ჩაჩაბი აეწიათ. სახე გამოეჩინათ და მომღიმარი უცქეროდნენ სტუმრებს.

ზოგს ჩადრიც არ ჩაეცვა. სრულიად თავისუფლად წამოყოლოდნენ ქმრებს. ბავშვებიც წამოეყვანათ.

— ჰაუ, რამდენი მაშინებია!

— სამ საათში ამოსულა თურმე ბათუმიდან.

ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ უცნაურ მანქანებს.

ზეიმი ახალდაწყებული იყო, რომ მთის წვეროდან გუგუნი მოისმა. თითქო ვეებეროელა ორბი, ან არწივი გადმოფრინდაო, გუგუნით გადმოიარა და ქორივით დაიწყო ტრიალი ცაში, სწორედ იმ ადგილას, სადაც საზეიმოდ შეკრებილიყვნენ.

— ჰაეროპლანი!—დაიძახა ვილაცამ და უამრავი თვალები აიმართა ცისკენ.

მაღლიდან ფერადი ფურცლები გადმოიშალა ყვავილებივით და ფარფატით დაეშვა ძირს. ბავშვები ხეებზე აცოცდნენ. იქედან შეეგებენ მოფარფატე ქაღალდებს. დიდი აღტაცებით იქერდნენ.

ფეხზე იდგა მთელი სოფელი. მარტო ეს სოფელი კი არა,

მთელი ახლომახლო სოფლები. გადალმელებიც მოსულიყვნენ დიდიან-პატარებიანად.

ნაზიმე ამხანაგებით მოსულიყო. ის სხვებზე თამამად იყო, მაგრამ სტუმრებთან მაინც იჩენდა სიმორცხვეს. ვინმე წამქეზებელი რომ ყოლოდა, უსათუოდ მიიღებდა მონაწილეობას ზეიმში. ისამებდა (იცეკვებდა), იმღერებდა, ითამაშებდა. ნაილე!.. ნაილე რომ იყოს აქ, ის ყველაფერს გააბედვინებდა.

რა თამამია ის გოგო!

მეორე წელია უკვე თბილისში სწავლობს და მხოლოდ ერთხელ ინახულა სოფელი.

როგორ დამშვიდებულა ის ეშმაკი. გალამაზებულა.

ააჯანყა მთელი სოფელი იმ ცელქმა.

არა, ჩვენი ცხოვრება რაღაც ძალიან ცელქი და მოძრავი გახდა... აღარ იცი კაცმა სად გაჩერდე, რომელ საფეხურზე. სულ მწვერვალებისაკენ მიგიწევს გული.

მთელმა სოფლის ქალიშვილებმა მოიძვრეს ჩაჩაბი, გადააკეთეს მოკლე კაბებად ჩადრი. ყველა ნაილეს ბაძავს, ყველას უნდა ისეთი გახდეს.

სწავლა მოუნდათ. ქალაქისაკენ უპირავთ თვალი. ახალ ჩვევებს მისდევენ. წიგნები გაიჩინეს და მასწავლებლებთან დადიან საღამოს სკოლაში.

გრძელი და ნაოჭიანი კაბები დამოკლდა. აბრეშუმის წინდები გამოჩნდა და კოხტა ფეხებიც გამომზეურდა.

ასე უფრო ლამაზი ყოფილა ცხოვრება...

ღიმილი სახეს ამშვენებს, გულს უხდება, სიცოცხლეს ალამაზებს.

მაშ, რატომ არ უნდა ვიღიმებოდეთ?

და მთელი მოსახლეობა ღიმილით შეეგება სტუმრებს.

ეცნობოდნენ ერთმანეთს ქალაქის მუშები და სოფლის გლეხები, ქალაქისა და სოფლის ქალები, ქალაქისა და სოფლის ბავშვები.

— ჩვენ მუშების შვილები ვართ, თქვენ—გლეხების. ჩვენ ორთაველნი მშრომელების შვილები ვართ, ერთმანეთის ძმები და მემკვიდრეები. ვისწავლოთ, ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ. ვიყოთ მზად!

— მზად ვართ!—შესძახეს პატარებმა და ტაში დაუკრეს პატარა ორატორს, რომელიც მანქანაზე გაჩერებული ამბობდა სიტყვას.

ერთმანეთს გადახედეს სოფლის ბავშვებმა. პატარა ზექიეს დაავალეს საპასუხო სიტყვის თქმა.. გოგონები უფრო გაბედულნი არიან.

— ხისიმები ვართ. ძმები ვართ. ჩვენი სალამი ჩვენს სტუმრებს! —უცებ ჩიმოხტა ზექიე და ბავშვებში მიიმალა.

ეგონა, დამცინებენო, მაგრამ ტაში დაუკრეს. გამოიყვანეს და საჩუქარი მისცეს—პიონერის ტანსაცმელი და წითელი ყელსახვევი.

რა ლამაზი იყო ის დღე! მას შემდეგ სულ ლამაზი დღეები თენდება.

ზექიესა და მის ამხანაგებს კი არასოდეს არ დააავიწყდებათ ის.

სკოლიდან გამოსული შაქირი მურადს შეეგება და უპატაკა.

— სკოლა მზად გახლავს ამხანაგო თავმჯდომარე.—უთხრა და კარებისკენ გაიშვირა ორივე ხელი,—მობრძანდით.

მურადმა ღიმილით გადახედა ამხანაგს. მკლავში მოჰკიდა ხელი და გაიყოლია.

— ძალიან კარგი—უთხრა მან და გლეხებს მიუბრუნდა.—შევიდეთ, ვნახოთ, როგორ უმუშავნიათ.—კარები გააღო და სკოლაში შეევიდა.

ოთხი ოთახი ლამაზად მოერთოთ. სულ ახალი მერხები იდგა, ახალი მაგიდები, კედლებზე ახალი რუკები და სურათები.

— წელს ოთხი კლასი გვექნება. ორი ქალი-მასწავლებელი გვეყოლება. ორი ქალი-მასწავლებელი საკმარისია ჩვენი ქალიშვილებისათვის. რას იტყვი ნაზიმე შენ?

ნაზიმემ ეშმაკურად გაუღიმა. შემდეგ ამხანაგს წასჩურჩულა რაღაცა და გადიკისკისა.

— მე ვფიქრობ, მაგათ ვაჟები ურჩევნიათ.—იხუმრა ერთმა გლეხმა, ქალიშვილებს გადახედა, მათში თავისი შვილიც დაინახა და ესიამოვნა, რომ მისი ქალი ამხანაგებს არ ჩამორჩებოდა სილამაზითა და ეშხით.

— ორი მასწავლებელი არ გვეყოფა მურად.—ჩაერია ლაპარაკში ერთი თმაშეჭაღარებული გლეხი. ის საბჭოს წევრი იყო და უფრო მეტ მოთხოვნილებებს უყენებდა თავმჯდომარეს.

— რახან ვთქვი ორი იქნება-მეთქი,—მიუბრუნდა მურადი მას, —ორი მასწავლებელი ქალი იქნება, ორიც—ვაჟი. შეიძლება ორი მასწავლებელი კიდევ წავართვა განათლების განყოფილებას. შემპირდნენ. ვნახოთ.

—ჭრა-კერვის სკოლისას არაფერს ფიქრობთ?—მოკრძალებით იკითხა ქერათმიანმა ქალიშვილმა. სირცხვილისაგან აეწვა ლოყები და ინანა, რამ ამომაღებინა ხმაო.

მურადმა ქალიშვილებისაკენ გაიხედა და ქერათმიანს რომ შეხედა, მასაც აუწითლდა ლოყები.

— ჭრა-კერვის სკოლას რა აკლია?—იკითხა მან და წუთით შეაჩერა ხედვა ნაზიმეზე, რომელიც დარცხვენილ ამხანაგს ამოდგომოდა გვერდით.

—ბინა არ გვივარგა—ამხანაგის მაგივრად უპასუხა ნაზიმემ. შემდეგ დარცხვენილ ამხანაგს მიუბრუნდა.

— შენც ხომ ბინის შესახებ გინდოდა გეთქვა სურიე?—კითხა მან ქერათმიანს და თვალებში ჩახედა.

— კი.—მოკლედ უპასუხა ამხანაგმა და უფრო მოემატა სიწითლე მის ლოყებს. რატომ ავლაპარაკდიო, კიდევ ინანა მან, ხომ იცოდა, რომ მურადთან არ შეეძლო ჩვეულებრივი სითამამე ჰქონოდა, რაღაც უცნაურად უცემდა გული მუდამ, როცა მურადის სიახლოვეს გრძნობდა. აკი ამხანაგებიც ჩაუკრავენ ხოლმე ხშირად და...

ნეტავ ასრულდებოდეს! უნატრია რამდენჯერმე. მაგრამ... არა, როგორ შეიძლება ასეთი რამ ინატროს ქალმა?... რა სისულელეს ამბობს? ვითომ რატომაა სისულელე! სურიე ისეთივე ქალია, როგორიც საერთოდ ქალები, როგორიც მისი ამხანაგები. როგორიც ნაზიმეა, ანდა ნაილე, ან კიდევ მასწავლებელი ქალები. რა შუაშია აქ სირცხვილი. სურიეს მოაგონდა, რომ მან განცხადება დააწერინა და კომკავშირში შეიტანა. კომკავშირელებს ხომ არ სწავთ ღმერთი· არც სარწმუნოება... ამიტომ სურიესაც აქვს უფლება არ იწამოს არც ღმერთი, არც მოციქული. იყოს ისეთი ურწმუნო, როგორიც ყველა კომკავშირელია! უფლება აქვს კი არა, ასედაც უნდა მოიქცეს. ასე ახსნა ამასწინად მომხსენებელმა. მაშ სურიემც ეს რწმენა უნდა მიიღოს.

თამამად მიიხედ-მოიხედა.

—იმდენი ქალები ვერ ეტევიან პატარა ოთახში,—სთქვა მან გაბედულად.—ტყუილია თუ?—ამხანაგებს მიუბრუნდა.

—მართალია.—ერთხმად დაუდასტურეს ამხანაგებმა.

— ეგ კი არ მიფიქრია—მიიღო შენიშვნა მურადმა.—შაქირ, შენ ხომ არ გეგულება რიგიანი ბინა?

შაქირმა მხრები აიჩეჩა.

— თითო სასტუმრო ყველას აქვს, მაგრამ...

— სასტუმრო სჭირდებათ. არა, ისე თუ აქვს ვინმეს თავისუფალი ოთახი. ქირას მივცემთ·

— ქირას ვინ აიღებს მურად? ნეტავ კი მქონდეს, თორემ ვინ დაიზარებს. ჩვენი საქმეა. აბა, მაგასაც ხომ მთავრობას ვერ მოვთხოვთ.

— მართალია, ხუსეინ ემიავ, ჩვენს საქმეზე ცოტა ჩვენც უნდა ვიზრუნოთ... შეკეთებას თუ არ დაიზარებთ, მე მოგცემდით ჩემს სახლში ორ ოთახს, მაგრამ მოუფერებელია. მოვხუცდი, ვერ მივაქციე ყურადღება. ლამაზი კი არაა, თქვენ გთხოვოთ სახლის შეკეთება მაგრამ...—უხერხულობა იგრძნო მეჰამედმა და გრძელ ჯოხს დაუწყო ხელში ტრიალი.

— ბინას ჩვენ შევაკეთებთ, თუ შეელევი—უთხრა შაქირმა.

— შევაკეთებთ ძია,—სთქვა მურადმაც და ცალი თვალი გააპარა სურიესაკენ—რას იტყვი სურიე, გამოდგება ძია მეჰამედის ოთახები?

სურიეს არ გამოუხედავს ვაჟისაკენ, ისე უპასუხა, კარგიაო.

— მაშ ითავებ შაქირ მაგ ბინის მოწყობას. ამხანაგები დაგეხმარებიან, ხვალიდანვე შეუდექით, დრო ცოტა დაგვრჩა და სირცხვილი არ ვქამოთ.

აივანზე რომ გამოვიდნენ, საბჭოს შენობის წინ გაჩერებული ანდრო დაინახეს. ის სუფთად ჩაცმულ-დახურული იყო. ახალი კოსტიუმი ეცვა. სკოლის წინ შეგროვილი ხალხი რომ დაინახა, ამათკენ წამოვიდა.

გლეხებმა ანდროს დანახვაზე ერთმანეთს გადაულაპარაკეს რაღაც. შაქირი მურადთან მივიდა და გვერდით ამოუდგა.

— რა იქნება მურად, რომ ვთხოვოთ?—უთხრა მან თავმჯდომარეს.

— არაფერი გამოვა.—უპასუხა მურადმა და ნაღვლიანი თვალებით გაიხედა ანდროსაკენ.

— ძალიან საჭიროა ჩვენთვის.

— მართლა?

— შენ თვითონ იცი.

— მერე?

— ვთხოვოთ-მეთქი. სთხოვე ჩვენი სახელით, შემდეგ ჩვენც ვთხოვთ. ერთ წელიწადს რომ კიდევ დარჩებოდეს, დიდ რამეს ნიშნავს.

— ხომ გაიგე, რომ სასწავლებელში მიდის·—ცოტა არ იყოს წყენით უთხრა მურადმა.—ერთი წელი დარჩა ჩვენი ხათრისათვის. შარშან ჰქონდა ქაღალდები მზად, საოლქო კომიტეტიც აძლევდა მივლინებას. წელს რა პირით უნდა ვუთხრათ დარჩიო, მადლობის ნაცვლად ხელი შევუშალოთ? არა, მე არ შეშიძლია ვურჩიო კაცს მაგრე.

შაქირს ხმა არ ამოუღია, თვითონაც მიხვდა, რომ არ იქნებოდა წესიერი ასეთი ოხოვნით ანდროსადმი მიმართვა.

— ვისზე ამბობთ?—დაინტერესდა მოხუცი მუჰამედი.

— ანდროზე,—მოკლედ მიუგო შაქირმა.

— რაო?—დაასწრო მოხუცს ერთმა გლეხმა.

— ანდრო მიდის, და...

— მიდის?!—ერთხმად შესძახეს გლეხებმა და ახლოს მოიწიეს.

— მიდის,—დაუდასტურა მათ მურადმა,—ორ წელზე მეტია გვემსახურება და მადლობის მეტი რა გვეთქმის.

წუთით ყველამ თავის გულში ჩაიხედა.

ნაზიმემ ქალიშვილებს გადაუფურჩულა რაღაცა. იმათ გაკვირვებული გაიხედეს მომავალ ანდროსაკენ.

— მართლა?—ჩუმად შეეკითხა სურიე ნაზიმეს.

— ნაილემ გამანდო. ახლა მურადმაც იცის მგონია.

— ბედი ჰქონია იმ გოგოს.

— არც შენ გაქვს ურიგო ბედი,—ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ნაზიმემ და მურადზე ანიშნა.

სურიე თითისფრჩხილებიანად გაწითლდა, ენაც ვერ მოაბრუნა პასუხის სათქმელად.

— რად გრცხვენია? თვითონ მურადმა მითხრა. ტყუილა მიმალავ.

სურიემ ველარ შესძლო დარჩენა. სკოლაში შეირბინა, უკანა კარებიდან გავარდა და შინისაკენ გაიქცა.

ანდრო კიბეზე ამოვიდა და საერთო სალამი მისცა იქ მყოფთ. შემდეგ კარებთან მივიდა და სკოლაში შეიხედა.

— როგორ მოგწონთ, ამხანაგებო, კარგად მოუწყვიათ? მიმართა მან გლეხებს.

— ძალიან კარგია, ამხანაგო ანდრო,—უპასუხეს ცალ-ცალკე გლეხებმა.

— არა უშავს,—გაიხედ-გამოიხედა ანდრომ შენობაში,—მომავალისათვის ურიგო არ იქნება ახალი შენობის აგებაზედაც თუ იზრუნებთ. წელს რამდენი კლასი იმეცადინებს?—მიუბრუნდა მურადს.

— ოთხი... ექვსი მოწაფე გვეყოლება მეოთხეში.

— სამაგიეროდ პირველი გადაიტვირთება,—ჩაერია შაქირი.

— ბევრს ელოდებით?

— ორმოცზე მეტი გვყავს აღრიცხული. ზოგიერთები ათითორმეტი წლისანი არიან, მაგრამ უარს ვერ ვეტყვით. უნდა მივიღოთ ისევ პირველ კლასში. ერთი-ორი თოთხმეტი წლისაც ურევია.

— უსათუოდ უნდა მივიღოთ.—დაუდასტურა ანდრომ.

ხელახლა შევიდნენ სკოლაში. ანდროსთან ერთად დაათვალიერეს მეორეხელ ოთახები და გამოვიდნენ.

შეცვლილიყო დამოკიდებულება ანდროსადმი. მას ახლა ისე თამამად აღარ უყურებდნენ, არც ისე გაბედულად ელაპარაკებოდნენ, ვერც გახუმრებას უბედავდნენ. რაღაც უფრო მოკრძალებული იყვნენ. ზედმეტი სიყვარულით უცქეროდნენ. ყოველ მის სიტყვას უკვირდებოდნენ. ყველას უნდოდა რაღაც უჩვეულო სიტყვა და სიყვარული გაეტანებინა ამ კაცისათვის, რაღაც ძვირფასი და მომხიბვლელი სიტყვები ეთქვათ მისთვის. ზოგს სისველე ჩადგომოდა თვალებში და ანდროს შეხედვაზე უბრწყინავდა მარგალიტის მსგავსად.

— ბევრი რამე გავაკეთეთ, ამხანაგო ანდრო, და თუ კიდევ დაგვეხმარები, უფრო მეტს გავაკეთებთ,—სთქვა ერთმა გლეხმა, გამოეყო ამხანაგებს და ანდროსთან გაჩერდა.

ყველამ ყურადღება მიაქცია მას. მოედინ ჩაფაძის სიტყვა არავის გაეგონა ჯერ. ის მუდამ მდუმარებდა და ახლა რომ ხმა ამოეღო, ყველას გაუკვირდა. ანდროც კარგად იცნობდა მოედინს და მისი სიტყვა რომ გაიგონა, ესიამოვნა.

— თუ კი რაიმე შემიძლია, დახმარებას არ დავიზარებ, ამხანაგო მოედინ. მიმსახურეთ ამხანაგებო.—გადახედა იქ მყოფთ, რომლებიც მას მისჩერებოდნენ. ანდრო მიხვდა, რომ მათ სულ სხვა აინტერესებდათ. სხვაგვარი სიტყვა უნდოდათ გაეგონათ ანდროსაგან.

ანდრომ გასცა პასუხი მათ უსიტყვო შეკითხვას.

ანდრომ როდი გააკეთა ყველაფერი ის, რაც ამ მოკლე ხანში გაკეთდა. ერთისა და ორის კარგი ბიუობით როდი აშენდება ქვეყანა. ჩვენში კოლექტივი მუშაობს. პარტია ხელმძღვანელობს და მთავრობა ჩვენი ქვეყნის მშენებლობის საქმეს. პარტიული და უპარტიო ამხანაგები აკეთებენ ყველაფერს. ბოლშევიკები კი ლენინისა და სტალინის მითითებებით მუშაობენ. ანდრო, მურადი, შაქირი და სხვები ერთნაირად არიან მოვალენი ასრულონ პარტიის დავალებები. ანდრო იმას აკეთებდა, რასაც პარტია უკარნახებდა, რასაც მთავრობა ავალებდა. ყველგან ხომ ანდრო არ მუშაობდა, მაგრამ ყველგან აკეთებდნენ საქმეს. გაყავდათ გზები, აგებდნენ სკოლებს, უწევდნენ დახმარებას მშრომელებს, მტრებსაც ებრძოდნენ.

დიაღ, ანდროს ვაჟკაცობა აქ არაფერ შუაშია. მართალია, ესა თუ ის ბოლშევიკი უკეთესად მუშაობს, ესა თუ ის მუშაკი —უფრო სუსტად, მაგრამ ყველგან და ყველაფრის მეთაური და გამკეთებელი პარტია და ხელისუფლებაა, მშრომელები და მთლიანი კოლექტივია.

— გაუმარჯოს ჩვენს პარტიასა და ჩვენს მთავრობას!—აღტაცებით დაიძახა მოედინმა. მივიდა და მაგრად ჩამოართვა ხელი ანდროს.

გლეხებმა ტაში დაუკრეს.

მურადი სვეტზე მიყრდნობილი უცქერდა ამ სურათს. მას ძალიან სწყინდა ანდროს წასვლა, მაგრამ ვერ ამეღლავნებდა. ბევრი კარგი ახსოვდა ამ კაცისაგან. მთელი მისი ცხოვრება ანდროს ყურადღებამ შემოაბრუნა ასე, თორემ ვინ იცის რამდენხანს დარჩებოდა ის დელი-მურადად. რამდენხანს უნდა ეტარებია დელის სახელი.

მას თვალწინ ედგა ანდროს შეხვედრის წუთები. ცხენს რომ ქვები დაუგორდა, როგორ გაბრაზებული მივარდა მაშინ მურადი ანდროსთან და როგორ შეუტია. შეიძლება ეცემნა კიდეც. მაგრამ... ახლა სცხვენია მაშინდელი საქციელის. ნუთუ მართლაც

ისეთი იყო? მერმე ამ ორ წელიწადში როგორ გაიზარდა ასე? მართლაც წუთობით ვიზრდებით თურმე.

ახალგაზრდებს გადახედა. ყველანი გაზრდილან. დაწინაურებულან.

რა ბედნიერი ადამიანები ვყოფილვართ! სიხარულმა გაუხსნა გული.

ნაილე მოაგონდა. საყვარელი დაი, დედის მაგიერი. რა უბედური იქნებოდა, რომ ეს დრო არ მოსწრებოდა? ახლა კი თბილისშია, მალე ნასწავლი ქალი იქნება.

ანდროს შეხედა მურადმა. მან წუხანდლამდე არაფერი იცოდა ანდროსა და ნაილეს დამოკიდებულების შესახებ. მხოლოდ წუხელის გაუმჟღავნა ანდრომ. შეიძლება არც გაემჟღავნებინა, მაგრამ მოეწყო ისე საქმე.

ბარგს ალაგებდა ანდრო, მურადი რომ შეეიდა ოთახში. ორი ჩემოდანი გაეხსნა და რიგრიგობით აწყობდა შიგ ნივთებს. მურადმა ნაილეს სურათი დაინახა ანდროს ჩემოდანში. ასეთი სურათი მასაც ჰქონდა დის გამოგზავნილი, მაგრამ ანდროს წინაშე ის არასოდეს არ უნახავს. აქ გასაკვირი არაფერი იყო. ნაილეს ვერავინ დასძრახავდა ანდროსათვის სურათის გამოგზავნის გამო. არც ანდროს გაუმტყუნებდა ვინმე, ნაილეს სურათი ოთახში მაგიდაზე რომ ჰქონოდა, მაგრამ ჩემოდანში შენახვა სურათისა, რაღაც სხვა იყო.

სიყვარულს მუდამ საიდუმლოდ ატარებს ნებისიერი ადამიანი...

აქ გაუქროლეს გულში ეჭვებმა მურადს. ესიამოვნა. კმაყოფილების ღიმილმა გადაჰკრა. ჯერ სურათს გადახედა. შემდეგ ანდროს. რამდენჯერ გადაიტან-გადმოიტანა ხედვა ერთიდან მეორეზე.

კარგახანს იჯდა ჩუმად და უცქერდა, როგორ ალაგებდა ბარგს ანდრო. შემდეგ წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, სიბნელეში გაიხედა და ისე ზურგშექცევით უთხრა:

— იმ გოგოს შენ უნდა მიხედო ანდრო.—შემდეგ მობრუნდა და ისე განაგრძო:—შენს მეტი ახლობელი ვინ ყავს?—კიდევ გადაიხედა ღია ჩემოდანში, მაგრამ იქ დის სურათი ველარ დაინახა, ის უკვე დაემალა ანდროს.

— დარდი ნუ გაქვს, მურად. ნაილეს არაფერი გაუჭირდება, —სახეზე სიწითლე წამოჰკრა და ყურისძირამდე მივიდა.

— ქალია და...—უნდოდა ეთქვა სამწყესავიაო, მაგრამ ამის თქმა უადგილოდ ჩასთვალა. მწყემსი პირუტყვს უნდაო, გაიფიქრა.

კარგახანს ილაპარაკეს. მურადს აწუხებდა, რომ მარტოდ რჩებოდა სახლში, ხმის გამცემი არ ეყოლებოდა. მარტო ცხოვრება ერთ დროს უყვარდა მას, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო, მაშინ ადამიანს ვერ ხედავდა. ყველა მხეციეით უყურებდა მას. დასცინოდა

და აბუჩად იგდებდა. ახლა? ახლა ცხოვრება მხოლოდ ადამიანებშია, თუმცა ეს ადამიანები სულ სხვა ადამიანები არიან. ახლა რომ ობოლიკით იცხოვრო კაცმა... სახლში მოსვლაც შეზარდება. ესეც არ იყოს, შეჩვეული იყო ანდროსთან. თითქო ცრემლები მოაწვა თვალებზე მურადს და გული აუჩუყდა.

— რომელიმე მასწავლებელი დააბინავე ამ ოთახში. შენთვისაც კარგია, შეგიძლია იმეცადინო კიდევაც მასთან.—ურჩია ანდრომ.

მურადი ჭერს მიაჩერდა. კარგახანს არ ამოუღია ხმა, შემდეგ მიიხედ-მოიხედა ოთახში და ხმადაბლა სთქვა:

— ასე უნდა მოვიქცე, მაგრამ...

— არა უშავს, ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევხვდებით. მიწერ-მოწერაც გვექნება, შენც ამოხვალ თბილისში, ჩვენც გეწვევით...

მურადს სახე გაეხსნა.

— თამარი შემპირდა გეწვეიო, მაგრამ შენ რომ არ იქნები აქეთ... არ წამოვა. ისე კი ძალიან მინდოდა... დიდი პატივი მცა.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება... ძალიან მინდოდა ენახნა ჩემი ოჯახი. თუმცა რა ოჯახი მაქვს...—ისევ მიმოავლო თვალი კედლებს.

— ტყუილა ემდური ოჯახს, ჩემო მურად.—გაუღიმა ანდრომ. —არ გაკმაყოფილებს რაც გაქვს?

— არა, როგორ არა, ყველაფერი მაქვს და მეშოვება ახლა, მაგრამ ხომ იცი, რაღაც შნო, ლაზათი და სითბო აკლია.

— ჰოო. მაგ სითბოს კი ქალი მოიტანს. ეს ახლო მომავლის საკითხია. იცოდე ქორწილი არ აგვაცილო.—მხარზე დაჰკრა ხელი. —არ იფიქრო მოლხენა არ ვიცოდე? საჭიროებისა და თავის დროზე ვიმღერებთ, ვიცეკვებთ, მოვილხენთ, დავლევთ კიდეც და გავიხუმრებთ...

მურადს გაეღიმა.

— მაშ როგორ გგონია? ჩვენს ცხოვრებას მეტი სილამაზე უნდა მივცეთ. კარგი ბოლშევიკი ისაა, რომელმაც შრომაც...იცის, ბრძოლაც, დასვენებაც, მოლხენაც და დროს ტარებაც... ჩვენ ბურჟუაზიას იმიტომ კი არ ვებრძოდით, რომ სინდიდრის მტრები ვართ. პირიქით, სიმდიდრე და ქონება გვინდა ყველას ჰქონდეს. სხვისი შრომით არ უნდა მდიდრდებოდეს სხვა. ჩვენ კი თვითონ გვინდა ვიყოთ მდიდარი. ყველაფრის მქონე. არაფერიც არ უნდა გვაკლდეს. ჰო, ეს ამბები შენც იცი. როცა სოციალისტურ სიმდიდრეს დავაგროვებთ, მაშინ როდი დაგვჭირდება ამდენი შრომა. უფრო მეტი დასვენების საშუალება გვექნება, გასეირნების, მისვლა-მოსვლის. ისე, ჩემო მურად. შენ განაგრძე შენებურად ბრძოლა და შრომა.

საკმაოდ მომზადებული ამხანაგები გყავს, შენც გამოქედილი ხარ და მომავალში უფრო გამოიქედები.

ანდროს სიტყვები მალამოსავით ეელებოდა მურადის გულს. ის ბავშვივით აღტაცებაში მოდიოდა, სიამოვნებით უცემდა გული და თვალებში სიხარულის ნაპერწკლები კრთოდნენ.

— მართალი ხარ, ანდრო! ჩვენი ქვეყანა სიხარულითა და ბედნიერებით აივსო, ჩვენი გული სიამით ძგერს, მაგრამ მე ამასთან ერთად მინდოდა, რომ ერთმანეთი არ დაგვეკარგა.—ხმა აუთრთოლდა, შეჩერდა და ანდროს შეხედა.

ანდრომ გაიღიმა. მივიდა მაგიდასთან, სქელი წიგნიდან რაღაც წერილი ამოიღო და მურადს გადასცა.

ორჯერ ჩაიკითხა მურადმა წერილი. კითხვის დროს ხშირად აუელ-ჩაუელიდა ფერი. კითხვა რომ გაათავა, თავი დახარა და იატაკზე რაღაც წერტილს მიაჩერდა. არ იცოდა ამის შემდეგ როგორ გალაპარაკებოდა ანდროს, საიდან დაეწყო, ან როგორი ტონი მიეცა ხმისთვის. კარგახანს ფიქრობდა, შემდეგ თითქო იპოვა სიტყვა, მოისაზრა სათქმელი და თავი ასწია.

— და შენ როგორ ფიქრობ?—გაუბედავად ჰკითხა მან. უხერხულობა იგრძნო და ისევ ამოჩემებულ წერტილს მიაჩერდა.

— სიტყვა საქმედ უნდა იქცეს —მოკლედ მიუგო ანდრომ. კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა.

— „ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გაჰოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო“—ჩაილაპარაკა თავისთვის მურადმა.—მომილოცავს. ბედნიერი იყავით. მე კი ჩემზე უბედნიერესი ადამიანი მეორეც არ მეგულება ამ ქვეყანაზე.—წამოდგა, ანდროსთან მივიდა, მოეხვია, ძმურად გადაკოცნა და სიხარულის ცრემლები გადმოცვივდა მისდაუნებურად.

ეს იყო წუხელ. დღეს კი ანდრო მიდის და მისი წასვლა ყველას სწყინს.

საბჭოს შენობის წინ მოელვარე მანქანა გაჩერდა და რამდენჯერმე დაიბღავლა.

— მეძახის,—მიუბრუნდა ბოძზე მიყრდნობილ მურადს ანდრო.

მურადი ახლა გამოერკვა ფიქრებიდან. იქ მყოფ ახალგაზრდებს გადახედა და მათ შორის ორი ამოირჩია.

— თევრად, ზორბეკ, წავიდეთ, ანდროს ბარგი ამოვიტანოთ, —უცებ ჩამოირბინა კიბე და სახლისაკენ წავიდა ახალგაზრდებთან ერთად.

სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ, ანდრო გლეხებთან ლაპარაკობდა.

ერთმა გლეხმა ანდროს მოსვლის პირველი დღე მოიგონა.

— ეჰ ჩემო ძმაო, შეუგნებელი და უსწავლელი რომ არ ვყოფილიყავით, ვერც ისე აბუჩად აგვიგდებდნენ. ცივად, ძალიან ცივად შეგეგებეთ ამხანაგო ანდრო. ძალიან ცუდად დაგიხვდით და მიგიღეთ, მაგრამ ვაშა შენს ვაჟკაცობას. ჩვენ, გლეხები გულღია და წარბგახსნილი არასოდეს არ ვყოფილვართ. გულჩათხრობილი და თავდახრილები ვიყავით. ხშირად მას ვაქებ-ვადიდებდით, ვინც გვეჯავრებოდა, ვინც ჩვენი მტერი და ორგული იყო. ვერ ვარჩევდით მტერ-მოყვარეს და ყველაფერი მისი მიზეზი იყო. ახლა... ხედავ, როგორ ვლაპარაკობთ, როგორც გახსნილია ჩვენი წარბები, როგორ მომღიმარია ჩვენი სახეები. დღეს ვიცით ვინ არის მტერი, ვინ არის მოყვარე, ვიცით და არამარტო ამ ცოდნით ვკმაყოფილდებით, არამედ მტერსა და მოყვარეს თავთავის შესაფერად ვხვდებით. გულდახურული, წარბშეხრილი დაგიხვდიო, მძულვარებით შეგეგებეთ, მაგრამ გვეპატიება. ნაცვლად ახლა გატანთ ძვირფას მადლობას, მხიარულ გულებს, ულევ სიყვარულსა და სიხარულს. —მივიდა, ყელზე მოეხვია, გადაკოცნა და შემდეგ სხვებს გადახედა.

— აი, ამ გლეხების სახელით მადლობა გადაეცი ჩვენს პარტიას, ჩვენს მთავრობას, ჩვენს ძმებს—მუშებსა და მოსამსახურეებს.

ბევრს აუბრწყინდა სიხარულის ცრემლები თვალებში ამ სიტყვებზე.

ყველა ეუბნებოდა თითო-ორ-ორ სიტყვას ანდროს. უნდოდათ გაეტანებინათ ამ კაცისათვის ყველაზე ძვირფასი და ყველაზე უკეთესი გრძნობა.

მანქანის საყვირმა კიდევ მისცა ნიშანი.

ანდრო და გლეხები ჩამოვიდნენ სკოლის აივნიდან და ლაპარაკით საბჭოსაკენ წამოვიდნენ.

გზაზე ნაზიმე დაუახლოვდა ანდროს. მკლავზე მოჰკიდა ხელი, ერთ ადგილას შეაჩერა და ორი წერილი გადასცა.

— ერთი ნაილეს გადაეცი, მეორე ბათუმში დატოვე... არა, არა. ახლა ნუ წაიკითხავ მისამართს.—თავისი ხელით ჩაუდვა ჯიბეში,—ბათუმში რომ ჩახვალ მაშინ წაიკითხე. არავის უთხრა თორემ... —ეშმაკურად გაუღიმა და თვალებში შესედა.

— თორემ?—

— თორემ ჩვენც ვიცით, რაღაცა და...—კიდევ შეაფრქვია მხიარული ღიმილი.

ანდროს ყურები აეწვა. არ ეგონა თუ სხვამც იცოდა ნაილესა და მისი ურთიერთობის ამბავი, მაგრამ სჩანს ნაილეს თავისი მესაიდუმლეც ყოლია.

— კარგი, ვასრულებ თქვენს დავალებას,—ღიმილით უთხრა ანდრომ. მაინც მოასწრო კონვერტზე წარწერილ ერთი სიტყვის

წაკითხვა და მისთვის გასაგები გახდა ვის ეკუთვნოდა ის.

— აკი უარს ეუბნებოდით?—ჩაუკრა ანდრომ სახეწამოწითლებულ ქალიშვილს.

— არ მიყვარდა... მერე შემიყვარდა... უფრო კი იმიტომ არ მინდოდა, რომ ჩემი არჩეული არ იყო.—პირზე აიფარა ხელი.— ნენევ, რაებს ვლაპარაკობ,—შერცხვა და თავი დახარა.

მანქანა ადგილზე ძიგძიგებდა. თრთოდა. შოფერი საჭეს მიჯდომოდა და განკარგულებას ელოდა.

მანქანის ირგვლივ მთელი სოფელი შეკრებილიყო. ქალებიც გარეულიყვნენ, ბავშვებიც, მოხუცებიც. თითქო ყველას ენანებოდა ანდროს წასვლა. ბავშვები ყვავილებით რთავდნენ მანქანას.

— მაშ, გამარჯვებით ამხანაგებო!—გადახედა ანდრომ იქ მყოფთ და მანქანაში შევიდა.

მოხუცი მოჭამედი მივიდა მანქანასთან, გრძელი ჯოხი მიაყუდა განზე, ხელები ასწია და ანდროს მიუშვირა.

— კარგად იყავი, შვილო, კარგად იყავი,—ძიმართა მან,— კარგად იყოს ის მთავრობა, რომელმაც ჩვენში ამდენი სიხარული და სიყვარული დაგროვა. ერთნაირად ააფართქალა მოხუცისა და ყრმის გული. ერთნაირად გაგვინათა ყველას.—მანქანის საფეხურზე შესდგა და ხელები მოხვია ანდროს—ჩვენს მთავრობას, ჩვენს პარტიას ვეხვევი, ჩვენს მთავრობას, ჩვენს პარტიას ვკოცნი.— რამდენჯერმე აკოცა, შემდეგ მობრუნდა, თვალები ამოიწმინდა, თავის ჯოხს მოავლო ხელი და მურადს მიუბრუნდა.

— მურად, შენ შემოუძეხი—შენ გააცილე ჩვენი ძვირფასი სტუმარი.

მურადმა გაიღიმა, მივიდა ანდროსთან, ჯერ ხელი ჩამოართვა, შემდეგ მოეხვია და გადაკოცნა.

— მე გაგაცილებ—უთხრა მან ანდროს, მანქანაში შევიდა და გვერდით მიუჯდა.

მანქანა ნელნელა გამოძვრა ირგვლივ შემოხვეულ ხალხიდან, ვაკეზე გამოვიდა და განიერ გზაზე გასრიალდა.

სარჩევი

		გვერდი
თავი	პირველი .	5
	მეოერე	63
	მესამე	78
	მეოთხე	104
„	მეხუთე	145
	მეექვსე	167
	მეშვიდე	191
	მერვე	241
	მეცხრე	255

მკითხველებს

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები ამ წიგნზე შემდეგი მისამართით: ბათუმი, აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირი.

პ. ლოლია.

რედაქტორი—ნ. მალახონია, ტექრედაქტორი და კორექტორი – ნ. პაიკაძე,
გამომშვები—ე. ჩიქოვანი.

* * *

გადაეცა წარმოებას 7/I 1939 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
20/VII 1939 წ. მთავლიტის
რწმ. № 5388. ტირაჟი 5000.
სასტამბო ფურცელი —17,
საავტორო ფურცელი—16¼.
დაკვეთის
№ 127.

ფასი 10 მან.
ყდა 1 მან 50 კაპ.

აჭარის ასსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის სტამბა-ლითოგრაფია.
ბათუმი, ლუქსემბურგის ქ., № 22.

მთავარ შეცდომათა გასწორება

გვ.	სტრიქ.		დაბეჭდილია	უნდა იყოს
37	ქვ.	14,2	თევშით	თეფშით
77	ზევ.	8	მურადი	მურადმა
86		4	მდგომარეობას მიხედვთ	მდგომარეობის მიხედვით
96	ქვ.	13	ანდროს	ანდრომ
212		19	თოვლზე	კაცის
231		11	ნიახურაძე	მახურაძე